საბავშვო წიგნი

ამოზარი

ლიდეონი

სტივენ კინგი

მიზერი

I ნაწილი

ენი როდესაც უფსკრულში ჩაიხედავ, იცოდე, რომ უფსკრულიც ამოგხედავს.ფრიდრიხ ნიცშე

1

უმბრა უუნ,
იერნ უმბრა უუნ, ფეიუუუნნნ - ბგერები ნისლში.

2

ზოგჯერ ბგერები ტკივილთან ერთად სუსტდებოდა. ირგვლივ მხოლოდ ნისლი დაცურავდა. გაახსენდა, ნისლს წინ სიბნელე, უკუნი სიბნელე უძღოდა. ნუთუ უკეთესობის ნიშანწყალი დაეტყო? მკრთალი სინათლე მაინც შემოსულიყო საიდანმე. სინათლე მართლაც კარგი იქნებოდაო, - გაიფიქრა. აინტერესებდა, სიბნელეშიც ისმოდა თუ არა ის საოცარი ბგერები. პასუხი კითხვებზე არ გააჩნდა და რაღა აზრი ჰქონდა მათ დასმას?

ტკივილი სადღაც ბგერების მიღმა - მზისგან აღმოსავლეთით და ყურის ნიჟარების სამხრეთით არსებობდა. მხოლოდ ეს იცოდა, სხვა არაფერი.

კაცს ხანგრძლივი ტკივილის შეგრძნება ჰქონდა. ირგვლივ უკიდეგანო ნისლი გამეფებულიყო. გარე სამყაროდან კი ის უც-

ნაური ბგერები აღწევდა. ვერც კი წარმოედგინა, ვინ იყო, სად იყო და არც უნდოდა, გაეგო. მხოლოდ სიკვდილს ნატრობდა. მაგრამ ტკივილით გაჟღენთილ ნისლს ისე ამოევსო მისი გონება, რომ ამ სურვილს ვერ აცნობიერებდა.

დრო გადიოდა. კაცი გრძნობდა, დროდადრო ტკივილი უყუჩდებოდა. ამ ხნის მანძილზე გონებაში პირველად წამოუტივტივდა სხვა ფიქრი, რომელიც მის ამჟამინდელ მდგომარეობას არ უკავშირდებოდა. თვალწინ რივიას სანაპიროზე ქვიშიდან ამოჩრილი, გადატეხილი ხიმინჯი წარმოუდგა. ბავშვობაში მშობლებს სანაპიროზე ხშირად დაჰყავდათ. ყოველთვის ხიმინჯთან შორიახლოს დაიჩემებდა, გადასაფარებელი ქვიშაზე დავაფინოთ და დავსხდეთო. ხიმინჯს რატომღაც დამარხული ურჩხულის ეშვს ამსგავსებდა. იქ ჯდომა და წყლის ყურება უყვარდა. იქამდე უცქერდა, სანამ მოქცევა მას მთლად არ დაფარავდა. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც უკვე მირთმეული ჰქონდათ სენდვიჩები და კარტოფილის სალათი, ხოლო მამის ვეებერთელა თერმოსში გამაგრილებელი სითხის წვეთიც კი არ იყო დარჩენილი და როგორც კი დედა მზად იყო ეთქვა, დროა, ავიბარგოთ და სახლში წავიდეთო, სწორედ მაშინ ხიმინჯის წვერი წყლიდან ნელნელა კვლავ გამოიკვეთებოდა. მას წყლის მიქცევა ჯერ ოდნავ, მერე კი უფრო და უფრო აშკარად გამოაჩენდა. მალე ნარჩენებსაც მოაგროვებდნენ და ყრიდნენ მრგვალ ნაგვის ყუთში წარწერით: „ნუ დაანაგვიანებ პლაჟს“. აკრეფდნენ პოლის სათამაშოებს...

(პოლი? პოლი ხომ ჩემი სახელია, მე პოლი ვარ. საღამოს დედა მზით დამწვარ კანზე „ჯონსონს ბეიბის“ ზეთს წამისვამს, - გაუელვა მოგუგუნე თავში).

ასე რომ, სანამ სათამაშოებს აკრეფდნენ და გადასაფარებელს დაკეცავდნენ, ხიმინჯი მთლიანად გამოჩნდებოდა. მის გაშავებულ, შლამისგან მოგლუვებულ გვერდებს წყლის ქაფი თეთრად ჰქონდა შერჩენილი. ეს ზღვის მიქცევა მოქცევაა, უხსნიდა

მამა. მაგრამ ბავშვს სჯეროდა, რომ მთავარი აქ ხიმინჯი იყო. ზღვა მოდიოდა და მიდიოდა, ხიმინჯი კი იდგა და იდგა. მართალია, წყალი ზოგჯერ ფარავდა და ვერ დაინახავდი, მაგრამ მის გარეშე არავითარი მიქცევა მოქცევა არ არსებობდა.

ეს მოგონება აბეზარი ბუზივით დასტრიალებდა თავს და ჭკუიდან გადაჰყავდა. ცდილობდა, გარკვეულიყო მის მნიშვნელობაში, მაგრამ ბგერები ფიქრს აწყვეტინებდა.

ფეიუუნნნ

წითელიაააა ყველააფერიიიიიიიიი

უმბაა უუუნნ

დროგამოშვებით ბგერები წყდებოდა და გონება ეკარგებოდა. შესაბამისად, უწყდებოდა თავდაპირველი ფიქრი, რომელიც ყოვლისმომცველ ნისლს უკავშირდებოდა. უცებ მიხვდა, ამოსუნთქვა აღარ შეეძლო. ო, რა კარგია! ტკივილს, გარკვეულ დონემდე, მოითმენდა და გაუძლებდა კაცი, მაგრამ ყველაფერს ხომ ჰქონდა საზღვარი. ჰოდა, უხაროდა, რომ თამაშიდან გადიოდა.

მერე პირზე ქალის მაგარი ტუჩები იგრძნო. ჰაერი ქალის პირიდან მის პირსა და შემდეგ ყელში გადადიოდა. ფილტვები ევსებოდა. როდესაც წამით ტუჩები მოსცილდა, კაცმა თავისი სულთამხუთავის სუნი შეიგრძნო. ჩაბერილ ჰაერს ვანილიანი ნამცხვრის, შოკოლადის ნაყინის, წიწილასა და არაქისის კარაქზე დამზადებული კანფეტის ნარევის საძაგელი სუნი მოჰყვებოდა.

ქალი ჩასძახოდა: - ისუნთქე, ეშმაკმა დალახვროს, ისუნთქე, პოლ!

ქალის ტუჩები ხელახლა დააცხრა. ჰაერი ყელში ისე ჩაუვარდა, როგორც ნოტიო ქარი, რომელიც მეტროს ჩქარ მატარებელს ახლავს, ჩაიქროლებს და გაზეთის გვერდებსა და ნამცხვრის ქაღალდის ფუთებს ააფრიალებს ხოლმე. ტუჩები ისევ მოსცილდა და კაცმა გაიფიქრა, ღვთის გულისათვის, აღარ მინდა, არა. ვერ ვიტან მაგ დაწყევლილ მყრალ სუნსო.

- ისუნთქე მეთქი, ღმერთმა შეგაჩვენოს! - ვიღაც არაადამიანური ხმით ჩასძახოდა.

„კარგი, კარგი, ვისუნთქებ. რასაც გინდა, იმას ვიზამ, ოღონდ აღარ ჩამბერო. არ მომწამლო“, - გაიფიქრა კაცმა და ამოსუნთქვა სცადა. სანამ რამეს მოახერხებდა, ქალის მშრალი და ცივი, დამარილებული ხორცის მსგავსი ტუჩები ისევ დააცხრა და ჰაერი მთელი ძალით ჩაუშვა.

როცა ქალმა ტუჩები მოაცილა, კაცმა სცადა, მიწოდებული ჰაერისათვის გზა გადაეკეტა და ნახველივით ამოაგდო. მერე დაელოდა, ვიდრე თავისი მკერდი მაღლა აიწევდა და თვითონ ჩაისუნთქავდა, როგორც ამას მთელი სიცოცხლე დაუხმარებლად აკეთებდა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა. ჰაერის კიდევ ერთი ზორბა ნაკადი ამოუშვა, ჩაისუნთქა და ჩქარჩქარა განაგრძო სუნთქვა, რომ ქალის სუნი და გემო მალე გამოსულიყო მისი სხეულიდან.

ჩვეულებრივი სუფთა ჰაერი ასეთი სასიამოვნო არასოდესყოფილა.

ისის იყო, ისევ ნისლში უნდა ჩაძირულიყო და ეს დაბინდული სამყარო კვლავ გამქრალიყო, რომ ქალის ხმა ჩაესმა: - მგონი, გამოძვრა!

„მთლად ვერა“, - გაიფიქრა და წამსვე ძილმა წაიღო.

ისევ ხიმინჯი დაესიზმრა. სიზმარი ისეთი რეალური იყო, რომ თვალნათლივ ხედავდა, საცაა მივიდოდა ხიმინჯთან და მის მომწვანო მოშავო მრუდე ბზარებს ხელს გადაუსვამდა.

როდესაც ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა ანუ ნახევრად გონზე მოვიდა, მიხვდა, რა კავშირი იყო მასა და ხიმინჯს შორის, რომელიც გონებიდან არ სცილდებოდა. ტკივილი ზღვის მოქცევა მიქცევასავით კი არ იყო (ეს სიზმარმა ასწავლა), მხოლოდ ჩანდა, რომ ის მოდიოდა და მიდიოდა. სინამდვილეში ხიმინჯივით იყო, რომელიც ზოგჯერ გამოჩნდებოდა, ზოგჯერ კი წყა-

ლი ფარავდა, მაგრამ ყოველთვის იქ იდგა. როდესაც ტკივილი არ უტევდა, მისი მადლობელი იყო. მაგრამ თავს ვერ გაისულელებდა. იცოდა, რომ იქვე ჩასაფრებული დასაბრუნებლად მზად იყო. სანამ გონებით გააცნობიერებდა, სხეულით გრძნობდა, რომ გადატეხილი ხიმინჯები თავისი დამტვრეული ფეხები იყო.

საკმაო ხანი გავიდა, ვიდრე ერთმანეთზე შეწებებულ ტუჩებს გახსნიდა და ხმას ამოიღებდა:

- სად ვარ? - ჰკითხა ქალს, რომელიც წიგნით ხელში საწოლთან ეჯდა. წიგნის ავტორი კი პოლ შელდონი იყო. კაცმა თავისი წიგნი იცნო.

- საიდუინდერში, კოლორადოს შტატში, - მიუგო ქალმა. - მე ენი უილკსი ვარ და მე...

- ვიცი, თქვენ ჩემი დიდი თაყვანისმცემელი ხართ.

- დიახ, ასეა, - ღიმილით დაუდასტურა ქალმა.

3

ჯერ იყო წყვდიადი, მერე ტკივილი და ნისლი. შემდეგ მიხვდა, რომ გაუსაძლისი ტკივილი დროდადრო უკან იხევდა, რაც ერთგვარ შვებას ანიჭებდა. კაცი თავიდან უგონოდ იყო. მერე ქალის არასასიამოვნო სუნთქვა იგრძნო, რამაც გონება დაუბრუნა. შემდეგ მოაგონდა, რომ ქალის თითები დროგამოშვებით მის ტუჩებს ეხებოდა. კაცს პირში კაფსულის მსგავს რაღაცას უდებდა და რადგან წყალს არ აყოლებინებდა, ის რაღაც პირში იქამდე ედო, სანამ თავისთავად არ გადნებოდა. მას საშინლად მწარე, ასპირინის მსგავსი გემო დაჰკრავდა. იქნებ გადავაფურთხო, - გაიფიქრა კაცმა, მაგრამ გაფიქრება იოლი, შესრულება კი რთული ეჩვენა. იმ მწარე გემომ წყლის მოქცევა მიქცევა და ხიმინჯი გაახსენა.

(არა, ხიმინჯი კი არა, ხიმინჯები. ჰო, იქ ორი ხიმინჯია, ოღონდ ჩუმად, ჩუუუუ...)

და ტკივილი ცოტა ხნით თითქოს თვალს მიეფარა.

ეს მოგონებები იქამდე გრძელდებოდა, სანამ ტკივილი უკანდახევის ნაცვლად მთელი ძალით არ შემოუტევდა და ისე არ გამოფიტავდა როგორც წყალი რივიას სანაპიროზე ერთ დროს მყარ ხიმინჯს. ასე რომ, ამქვეყნად მუდმივი არაფერია (თუმცა ბავშვობაში ამის დაჯერება უჭირდა). გაუსაძლისმა ტკივილმა კაცს მეხსიერება სწრაფად დაუბრუნა. ის პოლ შელდონი იყო, რომელიც წერდა ორი სახის რომანებს: ცალკე კარგ რომანებსა და ცალკე ბესტსელერებს. ორჯერ იყო დაქორწინებული და განქორწინებული. ძალიან ბევრს ეწეოდა (უფრო სწორად, ეწეოდა უკანასკნელ მოვლენებამდე). მერე რაღაც ცუდი მოხდა, მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალია. საბედნიეროდ, რუხი ღრუბლები მიმოიფანტა. გაივლის ხანი და ერთ დღეს მისი უდიდესი თაყვანისმცემელი, რომელსაც ტუჩებზე შეყინული ნაძალადევი ღიმილი და ყიყინა ხმა აქვს, ძველ, მოკაკანე საბეჭდ მანქანას მოუტანს. თუმცა პო-

ლი იმ დღემდე კარგა ხნით ადრე დარწმუნდა, რომ ჯოჯოხეთში მოხვდა.

4

სანამ დაინახავდა, კაცმა ჯერ წარმოიდგინა ენი. ალბათ ქვეცნობიერად იგრძნო, თორემ რატომ გაუჩნდებოდა ქალის შესახებ ასე სასტიკი და ავბედითი ასოციაციები? როდესაც ის ოთახში შემოდიოდა, პოლს წარმოუდგებოდა რაიდერ ჰაგარდის რომანებში აღწერილი კერპები, რომელთაც წარმართი აფრიკელი ტომები სცემდნენ თაყვანს. თვალწინ ეხატებოდა ქვის სარკოფაგები და მსხვერპლშეწირვის საშინელი სურათები.

ჰაგარდს აფრიკული კერპები აღწერილი აქვს თავის რომანებში: „ის“ და „სოლომონ მეფის საგანძური“. ენი უილკსის იმ კერპებთან შედარება გადაჭარბებულიც იყო და, ამავე დროს, ზედგამოჭრილიც. ენი ზორბა ქალი იყო. შალის ნაცრისფერ სამოსში, რომელიც ყოველდღიურად ეცვა, უსიამოვნოდ გამობერილი მკერდი უჩანდა. ქალურობის და სინაზის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ქალური, მრგვალი ფორმა არც მის თეძოებს გააჩნდა, არც დუნდულებსა და ფეხებს. სახლში ერთი და იგივე გრძელი შალის ქვედაბოლო ეცვა. თუმცა როდესაც გარეთ უწევდა საქმიანობა, საძინებელში ჯინსის შარვალს იცვამდა. ენის დიდი და მსუქანი სხეული ჰქონდა. მის დანახვაზე კაცი უნებურად გაიფიქრებდა, ქალს მთელ სხეულში უმოძრაო, შედედებული სისხლი ხომ არ უდგასო.

პოლისთვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი ქალის მკვრივი ტანი იყო, რომელსაც თითქოს არც სისხლძარღვები ჰქონდა და არც შინაგანი ორგანოები. თითქოს თავიდან ფეხებამდე და ერთი გვერდიდან მეორემდე მხოლოდ ენი უილკსის

ერთიანი სხეული არსებობდა. პოლი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ენის თვალები თითქოს მოძრაობდა, მაგრამ სახეზე მიხატულივით ჰქონდა, როგორც კედელზე დაკიდებულ პორტრეტს, რომელსაც ვერსად დაემალები, ოთახის რომელ ნაწილშიც არ უნდა იყო.

კაცს ეჩვენებოდა, თუ ხელის საჩვენებელ და შუა თითს Vსავით გაშლიდა და ქალს ნესტოებში ატაკებდა, იქაც სიმკვრივე დახვდებოდა. თითქოს შალის გახუნებული სამოსი მისივე გახევებული სხეულის ნაწილები იყო. ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, პოლმა ქალი კერპს რომ შეადარა. როგორც კერპი, ისიც შფოთვასა და შიშს იწვევდა, მაგრამ კერპისგან განსხვავებით, ქალი რაღაცას მაინც გასცემდა. ის პოლს აბებს აძლევდა, რომელიც კაცში ზღვის მოქცევამიქცევის ასოციაციას იწვევდა.

აბები წყლის ტალღა იყო, ენი უილკსი კი - მთვარე, რომელიც ზღვაზე ამ ბუნებრივ მოვლენას განაპირობებს. ენი კაცს პირში აბებს უყრიდა. თავიდან ქალის მოსვლას იმით გრძნობდა, რომ ყოველ ექვს საათში აბებს პირში თითებით ჩრიდა (კაცი მალე მიხვდა, რომ მწარე გემოს მიუხედავად, გადაყლაპვა ჯობდა). მოგვიანებით ქალი თავის ერთერთ ქვედაბოლოსა და შალის ზედაში გამოწყობილი გამოეცხადა. როცა კი ოთახში შემოდიოდა, იღლიაში, ჩვეულებრივ, პოლის რომელიმე რომანი ჰქონდა ამოჩრილი. ღამით ბამბაზიის ხალათში ჩაცმული ეცხადებოდა. სახე რომელიღაც საცხისგან ერთიანად ულაპლაპებდა (საცხის ძირითად ინგრედიენტს კაცი შეუცდომლად ასახელებდა, თუმცა მისი ქილა არასოდეს ენახა, ადვილად ცნობდა ლანოლინის მძაფრ სუნს). ქალი პოლს აბებიანი ხელით ანჯღრევდა და ღრმა ძილისაგან აფხიზლებდა. ფანჯრიდან შემომავალი მთვარის შუქი ენის ცალ მხარზე ეფინებოდა.

გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც კაცს გაურკვეველი აბების სერიოზული შიში გაუჩნდა, მიხვდა, ეს იყო ტკივილგამაყუჩებე-

ლი, რომელიც კოდეინის დიდ დოზას შეიცავდა და „ნოვრილი“ ერქვა. მიუხედავად იმისა, რომ კაცის რაციონში სითხე და ჟელატინისმაგვარი ნივთიერებები შედიოდა, ქალს ღამის ჭურჭელი მაინც იშვიათად მოჰქონდა. ეს იმის ბრალი იყო, რომ „ნოვრილი“ პაციენტებში ყაბზობას იწვევს.

ამ წამლის მეორე უფრო სერიოზული გვერდითი მოვლენა მგრძნობიარე ავადმყოფებში რესპირატორული პრობლემებია.

პოლი განსაკუთრებული მგრძნობიარობით არ გამოირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის თვრამეტი წელი აქტიური მწეველი იყო. თუმცა მან ერთი მიზეზის გამო სუნთქვა მაინც შეწყვიტა (შესაძლოა, სხვა მიზეზიც არსებობდა, რომელიც კაცს არ ახსოვდა) - ეს პირიდან პირში ჩაბერვა იყო. მოგვიანებით პოლი მიხვდა, წამლის ზედმეტმა დოზამ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. ქალმა არ იცოდა, რას აკეთებდა, მაგრამ თავისი ქცევის სისწორეში დარწმუნებული გახლდათ. ეს იყო ერთერთი მიზეზი მრავალთა შორის, რის გამოც კაცს მისი ეშინოდა.

მას შემდეგ, რაც შავ ღრუბელს თავი დააღწია, დაახლოებით ათი დღის განმავლობაში კაცმა ერთდროულად სამი რამ აღმოაჩინა - პირველი: ენი უილკსს „ნოვრილის“ დიდი რაოდენობა ჰქონდა (თუმცა მას სხვა წამლებიც ბლომად გააჩნდა), მეორე: პოლი „ნოვრილზე“ დამოკიდებული გახდა და მესამე: ენი უილკსი შეშლილი და, შესაბამისად, საშიში იყო.

5

ტკივილსა და საავდრო ღრუბლებს წინ სიბნელე უძღოდა. როდესაც ქალმა უამბო პოლს, რაც შეემთხვა, კაცი იმაზე დაფიქრდა, სიბნელეს წინ რა უძღოდაო. ტრადიციულ კითხვაზე, რომელსაც ახლადგონსმოსული სვამს, ქალმა მოკლედ უპასუხა, რომ კოლორადოს შტატის პატარა ქალაქ საიდუინდერში იმყოფებოდა და ისიც დაამატა, რომ პოლის რვავე რომანი, სულ ცოტა, ოროროჯერ მაინც ჰქონდა წაკითხული. ხოლო მიზერიზე დაწერილი თავისი უსაყვარლესი წიგნები ოთხჯერ, ხუთჯერ ან, შესაძლოა, ექვსჯერაც კი წაეკითხა. ნეტავ უფრო სწრაფად წერდესო, თავისი ნატვრაც გაუმხილა ქალმა. მას შემდეგაც კი, რაც ტყავის საფულეში ავადმყოფის პირადობის მოწმობა იპოვა, ძლივს დაიჯერა, რომ მისი პაციენტი თვით პოლ შელდონი იყო.

- სად არის ჩემი საფულე? - იკითხა კაცმა.

- შენახული მაქვს, - უპასუხა ქალმა. სახეზე ფრთხილი ღიმილი გამოესახა, რაც კაცს ძალიან არ მოეწონა, თითქოს ყვავილებით მოფენილ მდელოზე მოულოდნელად ღრმა, შავი ნაპრალი გაჩნდაო.

- გგონიათ, იქიდან რამე მოვიპარე?

- არა, რასაკვირველია, თუმცა... - მიუგო კაცმა და გაიფიქრა: - თუმცა იქაა მთელი ჩემი ცხოვრება. ეჩვენებოდა, დრო გრძელ, ვარდისფერ საღეჭ რეზინასავით ისე იყო გაწელილი, ბავშვს ღეჭვა რომ მობეზრდება და ხელით რომ გამოქაჩავს პირიდან. დაახლოებით ერთი საათის მანძილზე, სანამ აბებს მისცემდნენ, კაცს დროის ასეთი შეგრძნება არ ასვენებდა.

- თუმცა რა? - ჩაეკითხა ქალი. პოლმა შიშით შენიშნა, რომ ქალს ვიწრო თვალები უფრო და უფრო უმუქდებოდა. თითქოს ნაპრალი პირს ფართოდ ხსნიდა და მიწისძვრისთვის ემზადებოდა. გარედან ქარის ღმუილის ხმა შემოდიოდა. პოლმა უცებ წარ-

მოიდგინა, ქალი როგორ დაწვდა, აიყვანა და თავის მაგარ მხარზე ტომარასავით მოიგდო, მერე გარეთ, ნამქერში გადააგდო, სადაც სიცივით სიკვდილი ემუქრებოდა. სიკვდილამდე კი მძიმე ტკივილისგან ფეხები აუკანკალდებოდა.

- თავის დროზე მამაჩემი მაფრთხილებდა, საფულეზე ყოველთვის თვალი გეჭიროსო, - უპასუხა თავისივე მარტივად მოფიქრებული ტყუილით გაკვირვებულმა კაცმა. თუ აუცილებელი შემთხვევა არ იყო, პოლის მამა რჩევის მიცემით თავს არასოდეს იწუხებდა. რამდენადაც ახსოვს, მხოლოდ ერთხელ, დაბადების დღეს, როდესაც პოლი თოთხმეტი წლის გახდა, მამამ, როჯერ შელდონმა, პრეზერვატივი მისცა და ასე დაარიგა: „საფულეში შეინახე, მანქანაში ალერსის დროს გრძნობა თუ ძალიან მოგერევა და სექსი მოგინდება, დრო იხელთე და წამოიცვი. ისედაც ბევრი ნაბიჭვარია ამქვეყნად და არ მინდა, თექვსმეტი წლის ასაკში მამა გერქვასო“.

- მამაჩემმა იმდენჯერ გამიმეორა, საფულეზე თვალი გეჭიროსო, ძალაუნებურად ალბათ გონებაში ჩამრჩა, - განაგრძო პოლმა, - მაპატიეთ, თუკი გაწყენინეთ.

ქალი დამშვიდდა და გაეღიმა. ნაპრალმა პირი შეკრა. ყვავილებმა მხიარულად იწყეს თავის ქნევა. კაცმა გაიფიქრა, მის სახეს ხელით რომ შევეხო, ღიმილის მიღმა ალბათ სიბნელეს შევეჯახებიო.

- საწყენი არაფერია, - თქვა ქალმა, - თქვენი საფულე საიმედო ადგილასაა. ერთი წუთით, თქვენთვის რაღაც მაქვს.

ქალი გავიდა და ორთქლმოდებული ჯამით დაბრუნდა, რომელშიც ბოსტნეულის წვნიანი ესხა. კაცმა ბევრი არა, მაგრამ იმაზე მეტი კი ჭამა, ვიდრე ეგონა. ენი კმაყოფილი დარჩა. სანამ წვნიანს აჭმევდა, ქალმა უამბო, რაც მოხდა. კაცსაც თანდათან ახსენდებოდა ყველაფერი. ფეხების დამტვრევის ამბავი განსაკუთრებით აინტერესებდა. მაგრამ თხრობის მანერით შეშფოთებული

დარჩა. კაცი თითქოს რომელიმე მოთხრობის ან პიესის გმირი იყო, რომლის ამბავსაც ქალი გამოგონილ ისტორიასავით ყვებოდა.

იმ დღეს ქალი საიდუინდერში ორხიდიანი მანქანით პირუტყვის საკვებისა და სურსათისათვის იყო წასული. თანაც უნდა გაეგო, უილსონის აფთიაქში ჰქონდათ თუ არა რბილყდიანი წიგნები, რადგან ოთხშაბათი იყო და რბილყდიანების ახალ პარტიას სამშაბათობით იღებდნენ ხოლმე.

- იცით, თქვენზე ვფიქრობდი, - უთხრა ქალმა, თან წვნიანს კოვზით აჭმევდა და ტუჩის კუთხეებზე ჩამოწუწულ წვეთებს მოხერხებულად უწმენდდა. - საოცარი დამთხვევაა, არა? იმედი მქონდა, „მიზერის ბავშვი“ რბილ ყდაში ბოლოს და ბოლოს გამოვიდოდა, მაგრამ არ გამიმართლა.

- გზაზე ქარბუქი ამოვარდა, - თქვა მან. - იმ დღეს შუადღემდე სინოპტიკოსები ირწმუნებოდნენ, ქარი სამხრეთისაკენ ნიუ მექსიკოსა და სანგრე დე კრისტოსკენ წავაო.

- მართალია, - გაახსენდა კაცსაც. - თქვეს, მიმართულებას შეიცვლისო. ჰოდა, მეც ამიტომ გამოვედი, - პოლმა ფეხები გაანძრია. მაშინვე საშინელი ტკივილი იგრძნო და ამოიგმინა.

- ამას ნუ იზამთ, - უთხრა ქალმა. - ფეხები ნებაზე არ მიუშვათ, პოლ, ისე ახმაურდებიან, ვეღარც გავაჩერებთ... ტკივილგამაყუჩებელს კი კიდევ ორი საათი ვერ მოგცემთ. ისედაც ბევრს გასმევთ.

„საავადმყოფოში რატომ არ ვარო“, - უნდოდა ეკითხა კაცს, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, სჭირდებოდა თუ არა რომელიმეს ამ კითხვის ხმამაღლა დასმა. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მაინც.

- მაღაზიაში ტონი რობერტსმა მითხრა, იჩქარეთ, რომ ქარბუქში არ მოხვდეთო. მე ვუპასუხე...

- რა მანძილია იმ ქალაქამდე, - ჰკითხა კაცმა.

- არის, რა, - გაურკვევლად უპასუხა ქალმა, თან ფანჯარაში გაიხედა. უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. კაცი შეძრა მისი სახის გამომეტყველებამ, რადგან იქ სრული სიცარიელე დაინახა. ეს იყო ალპურ მდელოზე შავი, უძირო ნაპრალი, სადაც ყვავილები არ ხარობდა და თუ ფეხი დაგიცდებოდა, ალბათ დიდხანს მოგიწევდა ფრენა. ეს იყო ქალის სახე, რომელზეც სიცოცხლის ნიშანწყალი ბოლომდე გამქრალიყო. ქალი, რომელსაც არ ახსოვდა არა მხოლოს ის, რასაც წუთის წინ ყვებოდა, არამედ საერთოდ აღარაფერი. წლების წინ პოლი ერთხელ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ესტუმრა. სტუმრობის მიზანი კვლევა იყო, რომელიც „მიზერის“ შეეხებოდა. ამ სერიის პირველი ოთხი წიგნი რვა წლის მანძილზე მისი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. პოლს ნანახი ჰქონდა ეს გამოხედვა, უფრო სწორად, ეს სიცარიელე. ეს იყო იმ ფსიქიკური დაავადების სიმპტომი, რომელსაც სამედიცინო ენაზე კატატონია ჰქვია. იმ წუთას პოლი ყველაზე მეტად იმან შეაშინა, რომ ენის ფიქრები ქალის გარეგნობას დაემსგავსა. მასავით მყარი, მკვრივი და უმოძრაო გახდა.

ქალს სახე ნელნელა გადაეწმინდა. აზროვნება თანდათან დაუბრუნდა და ფიქრების ნაკადი კვლავ დაიძრა. მაგრამ ენი ტბორივით კი არ ივსებოდა, არამედ სწრაფად, ელექტრო ხელსაწყოსავით, ტოსტერივით ან სულაც ელექტროსათბურასავით ხურდებოდა.

- ტონის ვუთხარი, გრიგალი სამხრეთისკენ მიდისმეთქი, - ჯერ ნელნელა, თითქმის ლუღლუღებდა ქალი, მერე კი თანდათან საუბრის ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა. პოლი შეშფოთებული უგდებდა ყურს. ენის ნათქვამი

უცნაურად ეჩვენებოდა, თითქოს სიმღერას არასწორ ტონალობაში უსმენდა.

- ტონიმ მითხრა, ქარმა მიმართულება შეიცვალაო, - განაგრძო ქალმა. - ფუი, ეშმაკმა დალახვროს! მაშინ აჯობებს, ჩემს

ცხენს მოვახტე და გავქუსლო მეთქი. თქვენს ადგილას, მის უილკს, ქალაქში დავრჩებოდიო, - მითხრა ტონიმ. - ძლიერი ქარბუქია მოსალოდნელი და არავინაა ამისთვის მზადო. უკან აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი. ჩემ გარდა, სხვა ვინ მიხედავს პირუტყვს. უახლოესი მეზობლები - როიდმანები აქედან რამდენიმე მილის დაშორებით ცხოვრობენ, თუმცა მე მათ არ ვუყვარვარ.

ქალმა პოლს გამომცდელად გადახედა. რადგან კაცმა ხმა არ გასცა, ქალმა ჯამის პირზე კოვზით დააკაკუნა.

- საკმარისია?

- კი. გმადლობთ, გემრიელი იყო. საქონელი ბევრი გყავთ?

კაცმა გაიფიქრა, თუ ბევრი ჰყავს, დამხმარეც ეყოლებაო. სიტყვა „დამხმარე“ ამ სიტუაციას ზუსტად შეეფერებოდა, რადგან კარგად ხედავდა, ქალს თითზე საქორწინო ბეჭედი არ ეკეთა.

- ბევრი არა, - მიუგო ქალმა. - ექვსიოდე კვერცხისმდებელი ქათამი, ორი ძროხა და მიზერი.

კაცმა თვალები აახამხამა.

ქალს გაეცინა.

- მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ, ღორს თქვენი მამაცი და ლამაზი გმირი ქალის სახელი რომ დავარქვი. დამცირება აზრადაც არ მომსვლია, - თქვა მან. მერე ჩაფიქრდა და დაუმატა: - ჩემი მიზერი ძალიან მეგობრულია.

ქალმა ცხვირი ასწია და შეიჭმუხნა. წამში ღორს დაემსგავსა, ნიკაპზე რამდენიმე ღერი ჯაგარივით თმაც უწყობდა ხელს.

- ღრუტ, ღრუტ, ღრუტ, - ღორივით აღრუტუნდა ქალი.

პოლს თვალები გაუფართოვდა, მაგრამ ქალს ეს არ შეუმჩნევია. მზერა კვლავ გაუშტერდა. თვალებში საწოლის გვერდით მაგიდაზე მდგარი ლამპის მკრთალი ანარეკლი უელავდა მხოლოდ.

ბოლოს, როგორც იქნა, ქალმა ხმა ამოიღო:

- ქალაქიდან ხუთი მილით ვიყავი დაშორებული, როდესაც ძლიერი თოვა დაიწყო, აქ ასე იცის ხოლმე. ანთებული მაშუქებით ნელა მოვდიოდი. გზის იქით თქვენი გადაბრუნებული მანქანა დავინახე. მაშუქები არ გენთოთ, - უსაყვედურა ქალმა.

- ქარბუქი უეცრად დამატყდა თავს, - ეს ამბავი საუბრის დროს თანდათან ახსენდებოდა კაცს, მაგრამ საკმაოდ მთვრალი რომ იყო, ის აღარ ახსოვდა.

- მანქანა გავაჩერე, - თქვა ქალმა. - აღმართი რომ ყოფილიყო, არ გავაჩერებდი. ვიცი, არ არის ქრისტიანული საქციელი, მაგრამ გზაზე საკმაოდ დიდი თოვლი იდო. ჰოდა, ორხიდიან მანქანასაც კი გაუჭირდებოდა ხელახლა დაძვრა. ასეთ დროს თავს იმშვიდებ ხოლმე: „ალბათ გადმოვიდნენ მანქანიდან, ალბათ ვინმემ წაიყვანა“ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს როიდმანების სახლის გვერდით დიდი გორაკის თავზე, ვაკე ადგილზე მოხდა. ჰოდა, მანქანა გავაჩერე. გადმოვედი თუ არა, კვნესა შემომესმა. ეს თქვენ იყავით, პოლ, - უცნაური, დედობრივი ღიმილის მსგავსი გამომეტყველებით თქვა ქალმა.

პირველად ამ ხნის მანძილზე პოლ შელდონის გონება ერთადერთმა ფიქრმა მოიცვა: „აქ აშკარა ხიფათში ვარ. ეს ქალი ნამდვილად ვერ არის რიგზე“.

6

დაახლოებით ოცი წუთი ქალი პოლს გვერდით ეჯდა და ესაუბრებოდა. წვნიანის ჭამის შემდეგ კაცს ტკივილი გაუახლდა. სურდა ყურადღებით მოესმინა ქალის მონაყოლი, მაგრამ კონცენტრირება უჭირდა. მისი გონება თითქოს გაორდა. ერთი მხრივ, ქალს უსმენდა, რომელიც უამბობდა, როგორ გადმოათრია კაცი დამტვრეული, 74 წელს გამოშვებული „კამაროს“ მარკის მანქანიდან. მოსმენისას ფეხები დროდადრო ისე უფეთქავდა და უელავდა, როგორც გადატეხილი, ბებერი ხიმინჯები გამოკრთებოდა ხოლმე წყლიდან მოქცევა მიქცევის დროს. მეორე მხრივ, პოლი თავის თავს სასტუმრო „ბოულდერადოს“ ნომერში ხედავდა, სადაც ახალი რომანის წერას ამთავრებდა. ღვთის წყალობით, ეს არ იყო მიზერი ჩასტეინზე დაწერილი რომანი. მიზერიზე ახალახალი წიგნები რომ აღარ შეექმნა, ამის უამრავი მიზეზი არსებობდა. მათ შორის მთავარი და გამორჩეული ის იყო, რომ მიზერი ბოლოს და ბოლოს გარდაიცვალა წიგნში „მიზერის ბავშვი“. ეს წიგნის დასასრულამდე ხუთი გვერდით ადრე მოხდა. მიზერის სიკვდილზე, პოლის ჩათვლით, ყველა ცრემლს ღვრიდა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ პოლს ისტერიკული სიცილისაგან სდიოდა ცრემლი.

როდესაც მანქანის ქურდის შესახებ ახალ წიგნს ამთავრებდა, გაახსენდა, როგორ ბეჭდავდა „მიზერის ბავშვის“ ბოლო წინადადებას: „იანმა და ჯეფრიმ დანთორფის ეკლესიის ეზო ერთად დატოვეს. ისინი მწუხარებაში ერთმანეთს მხარში ედგნენ. მათ ახალი ცხოვრების დაწყება გადაწყვიტეს“. გახარებული პოლი ისე გამეტებით ხითხითებდა, რომ რამდენჯერმე თითი აუცდა და სიტყვები არასწორად დაბეჭდა. მაგრამ „კეთილი“ იბმ პროგრამის წყალობით, რომელიც შეცდომით დაბეჭდილი სიტყვების გასწორებაში დაეხმარა, პოლმა წიგნი დაასრულა. კაცმა ოთახში ხტუნ-

ვა დაიწყო. თან ხმამაღლა ყვიროდა: „დასრულდა, ბოლოს და ბოლოს თავისუფალი ვარ. ყოვლისშემძლე ღმერთო, თავისუფალი ვარ. სულელმა ძუკნამ ბოლოს და ბოლოს იყიდა ფერმა!“

როდესაც ახალი რომანი „სწრაფი მანქანები“ დაამთავრა, აღარ გაუცინია. საბეჭდი მანქანის წინ იჯდა და ფიქრობდა: ჩემო მეგობარო, შესაძლოა, მომავალი წლის ლიტერატურული პრემია შენ მოიპოვო. მერე ტელეფონის ყურმილი აიღო...

- ...მარჯვენა საფეთქელთან მცირე სილურჯე გქონდათ, მაგრამ სერიოზული არაფერი. ოღონდ ფეხები... ბნელდებოდა, მაგრამ დანახვისთანავე შევამჩნიე, რომ თქვენი ფეხები...

...დარეკა და ერთი ბოთლი შამპანური „დომ პერინიონი“ შეუკვეთა. ელოდებოდა და ოთახში ბოლთას ცემდა. 1974 წლიდან ყველა რომანი სასტუმროს ამ ნომერში დაამთავრა. გაახსენდა, ოფიციანტს სასმელსა და ფეხის ქირაში ორმოცდაათი დოლარი გადაუხადა და ჰკითხა, ამინდის პროგნოზისათვის ყური ხომ არ მოგიკრავთო. პოლს თვალწინ წარმოუდგა ნასიამოვნები და მომღიმარი ოფიციანტი, რომელმაც უთხრა, ფიქრობენ, რომ ქარბუქი სამხრეთისაკენ, ნიუ მექსიკოსკენ წავაო. მერე კაცმა ხელში ბოთლის სიგრილე შეიგრძნო და საცობის მოშვების წყნარი ხმაც გაიგო. სასმელის პირველ ჭიქას მშრალი, ცოტა მომჟავო გემო დაჰკრავდა. მერე სამგზავრო ჩანთა გახსნა და ნიუიორკის თვითმფრინავის ბილეთს დახედა. ბოლო წამს გადაწყვიტა...

- ...მაშინვე ვიფიქრე, სახლში წავიყვანმეთქი. ყველაზე ძნელი თქვენი მანქანამდე მიყვანა იყო, მაგრამ, ალბათ შეამჩნევდით, ჯანიანი ქალი ვარ. მანქანაში გადასაფარებლების მთელი გროვა მიდევს. იმ გადასაფარებლებში შეგახვიეთ. თუმცა ბნელდებოდა, თქვენი სახე მაინც მეცნო. ვიფიქრე, იქნებ...

...მოდი, გარაჟიდან გამოვიყვან „კამაროს“ და თვითმფრინავზე ასვლის ნაცვლად დასავლეთის მიმართულებით წავალო. რა ჯანდაბა მინდა ნიუიორკის ცივ, ცარიელ და უსიამოვნო ბინაში.

შეიძლება იქაურობა სულაც გაქურდული დამხვდესო. „დასავლეთისკენ გარეკე, დასავლეთისკენ“, - ფიქრობდა და შამპანურს სვამდა. საკმაოდ გიჟური აზრი იყო. - „ბევრი არაფერი გჭირდება, ერთი ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი და...

- ...სამგზავრო ჩანთაც მანქანაში ჩავდე. იქ სხვა არაფერი იყო. ვჩქარობდი. მეშინოდა, ხელში არ ჩამკვდომოდით. ასე რომ, მანქანა ავამუშავე და შურდულივით გამოვქანდი...

...„სწრაფი მანქანების“ ხელნაწერი. ვეგასისაკენ გასწი, რინო მოინახულე, ან სულაც ლოსანჯელესს ესტუმრე, - აგულიანებდა თავის თავს. გაახსენდა, პირველად ეს აზრი სულელური ეჩვენა. ოცდაოთხი წლის ასაკში, როდესაც პირველი რომანი დაასრულა, ასეთ მოგზაურობას გამართლება ჰქონდა, მაგრამ ახლა ორმოცდაორი წლის კაცს ასეთი ამჩატება არ შეეფერებოდა. თუმცა რამდენიმე ჭიქა შამპანურის შემდეგ, აზრი სავსებით მისაღები გახდა. თავისი რომანის გამოგონილ, ირეალურ სამყაროში კარგა ხანს ყოფნის შემდეგ რეალურ სამყაროში დაბრუნება და დიდი მოგზაურობა შესანიშნავად ეჩვენებოდა, ჰოდა...

- ...მეგონა, კვდებოდით. ამიტომ თქვენი ჯიბიდან საფულე ამოვიღე. მანქანის მართვის მოწმობას დავხედე. პოლ შელდონი, ეწერა იქ. ალბათ დამთხვევაა მეთქი. მაგრამ მართვის მოწმობაზე დაკრული სურათი თქვენ გგავდათ. ისე შემეშინდა, რომ სამზარეულოში მაგიდასთან ჩამოვჯექი. მეგონა, გული წამივიდოდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიფიქრე, იქნებ სურათიც უბრალო დამთხვევაა და სხვა არაფერი მეთქი. მართვის მოწმობის სურათით ადამიანის ამოცნობა ჭირს ხოლმე. მაგრამ როცა მწერალთა გილდიისა და პენკლუბის ბარათებიც ვნახე, მივხვდი, რომ თქვენ...

...პრობლემები მაშინ დაიწყო, როდესაც თოვლი წამოვიდა. კარგა ხნით ადრე„ბოულდერადოს“ ბარში ჯორჯისგან ოც დოლარად მეორე ბოთლი „დომ პერინიონი“ იყიდა და გზაში დალია. სადღაც ეიზენჰაუერის გვირაბთან აღმოსავლეთით გადაუხვია,

რადგან გზა იმ მხარეს ცარიელი და მშრალი იყო. გრიგალი სამხრეთისკენ მიდიოდა. მანქანაში ბო დიდლის ძველ ჩანაწერებს უსმენდა. რადიო იქამდე არ ჩაურთავს, სანამ მანქანა სერიოზულად არ მოცურდა. პოლი მიხვდა, უბრალო სოფლის ნიავი კი არა, საშინელი ქარაშოტი დაატყდა თავს. გრიგალი სამხრეთისკენ კი არა, სწორედ მისკენ მოემართებოდა.მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მთვრალი იყო და ფიქრობდა, გავუმკლავდებიო. იმის ნაცვლად, რომ კანაში გაჩერებულიყო და თავშესაფარი მოეძებნა, ჯიუტად მიიწევდა წინ. მოაგონდა, ნაშუადღევს ყველაფერს ერთბაშად დაედო ნაცრისფერი. ალკოჰოლი ნელნელა გამოდიოდა მისი ორგანიზმიდან. სალონის საბარგულიდან სიგარეტის ასაღებად წინ გადაიხარა თუ არა, მანქანა მოცურდა. გზის გაგრძელება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. შემდეგ ძლიერი დარტყმის ხმა გაიგო და ქვეყანა რამდენჯერმე გადატრიალდა.

- ...ყვიროდით. როცა თქვენი ყვირილის ხმა გავიგე, მივხვდი, იცოცხლებდით. მომაკვდავი ადამიანი იშვიათად ყვირის, ამის თავი არა აქვს. უნდა ვაცოცხლო მეთქი, გადავწყვიტე და თქვენს მკურნალობას შევუდექი. ტკივილგამაყუჩებელი მოგეცით და ჩაგეძინათ. როდესაც იღვიძებდით და ბორგვას იწყებდით, მაშინვე წამალს გაძლევდით. სიცხემ აგიწიათ, მაგრამ კეფლექსი გაგიკეთეთ და წამალმა კარგად იმოქმედა. ერთი ორჯერ სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე იყავით, მაგრამ ყველაფერმა ჩაიარა, - თქვა ქალმა და წამოდგა, - ახლა კი დაისვენეთ, პოლ. ძალები უნდა აღიდგინოთ.

- ფეხები მტკივა.

- ვიცი. ერთ საათში წამალს მოგიტანთ.

- ახლა მომიტანეთ, თუ შეიძლება, - პოლს თხოვნა ესიკვდილებოდა, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო. ზღვა უკან იხევდა და ორი დამტვრეული, ხორკლიანი და დახეთქილი ხიმინჯი გაშიშ-

ვლებული იდგა, რომელსაც ვერც თავიდან მოიცილებდი და ვერც გაუმკლავდებოდი.

- ერთ საათში, - თქვა მტკიცედ ქალმა და ჯამით ხელში კარისკენ წავიდა.

- დაიცადეთ.

ქალი მობრუნდა. სახეზე ერთდროულად გამოესახა მკაცრი და მოსიყვარულე გამომეტყველება. პოლს არ მოეწონა ეს გამოხედვა.

- ორი კვირაა, რაც აქ მომიყვანეთ?

ქალი დაიბნა და აღელდა. პოლი მიხვდა, ქალს დროის აღქმა უჭირდა.

- დაახლოებით, - თქვა მან.

- უგონოდ ვიყავი?

- თითქმის.

- რას ვჭამდი?

ქალმა მზრუნველი სახით გადახედა.

- ინ ვენი, - წარმოთქვა სწრაფად.

- ინ ვენი?

ქალმა პოლის კითხვაში გაოცებაზე მეტად გაუგებრობა ამოიკითხა.

- ჰო, ინტრავენურად გკვებავდით, - თქვა მან. - კვალი მკლავებზე გეტყობათ.

ქალმა პირდაპირ შეხედა და მიკიბმოკიბვის გარეშე უთხრა:

- ჩემთან ვალში ხართ, პოლ. იმედია, ეს დაგამახსოვრდებათ! - და ოთახიდან გავიდა.

7

როგორც იქნა, ერთმა საათმა განვლო. პოლი საწოლში იწვა. ერთდროულად ოფლიც ასკდებოდა და აკანკალებდა კიდეც. მეორე ოთახიდან უგემოვნო რადიოსადგურ „ცინცინატის“ დიქტორის ხმა

შემოდიოდა. ის ხოტბას ასხამდა სამზარეულოს დანების ნაკრებს და კოლორადოს შტატის მსმენელებს პირდაპირ ეთერში დარეკვას სთავაზობდა.

პოლ შელდონიც ელოდა. მეორე ოთახში საათმა დარეკა თუ არა რვაჯერ, ქალი მაშინვე შემოვიდა. ხელში წამლის კაფსულები და ჭიქა წყალი ეჭირა. პოლმა მოუთმენლად წამოიწია იდაყვებზე, როდესაც ქალი საწოლზე ჩამოუჯდა.

- ორი დღის წინ, როგორც იქნა, თქვენი ახალი წიგნი ვიყიდე, - უთხრა ქალმა. ჭიქაში ყინულმა გაიწკრიალა. ამ ხმამ კინაღამ ჭკუიდან შეშალა პოლი. - „მიზერის ბავშვზე“ გეუბნებით. ეს წიგნი ისეთივე კარგია, როგორც სხვა დანარჩენი. არა, უკეთესია. უკეთესი კი არა, საუკეთესოა.

- გმადლობთ, - ძლივს მოახერხა პოლმა მადლობის გადახდა. შუბლი ოფლით დაეცვარა. - თუ შეიძლება... ფეხები... ძალიან მტკივა...

- ვიცოდი, ის იანზე დაქორწინდებოდა, - მეოცნებე ღიმილით თავისას განაგრძობდა ენი. - მჯერა, ჯეფრი და იანი საბოლოოდ კვლავ დამეგობრდებიან, არა? თუმცა არ მითხრათ, თვითონ წავიკითხავ. ახალი წიგნის გამოსვლას იმდენი ხანი ველოდი.

პოლის ფეხებმა ფეთქვა დაიწყო. სახსრებში რკინის მარწუხებმა მაგრად მოუჭირა. ადრე პოლმა ხელით მენჯის ძვალი მოისინჯა. გატეხილი არ ეჩვენა, მაგრამ უცნაურად იყო გაღუნული. ხოლო მუხლებსქვემოთ ფეხებს მთელი აღარაფერი შერჩენოდა.

პოლს მათი შეხედვა არ უნდოდა. ალაგალაგ ამობურცული ადგილები გადასაფარებლის ზემოდანაც კარგად ჩანდა.

- მის უილკს, გთხოვთ... მტკივა.

- ენი დამიძახეთ. მეგობრები ასე მეძახიან, - უთხრა ქალმა და წყლიანი ჭიქა მიაწოდა.

კაცმა დაორთქლილი ჭიქის სიგრილე იგრძნო. ქალს კაფსულები ისევ ხელში ეჭირა. კაფსულები წყლის მოქცევამიქცევა, ენი კი მთვარე იყო. მისი ნებასურვილით წყლის მოქცევა ხიმინჯებს დაფარავდა. ქალმა ხელი პოლის პირისკენ გასწია. კაცმა სასწრაფოდ გააღო პირი, მაგრამ ქალმა ხელი უკან წაიღო.

- თავს ნება მივეცი და თქვენს ჩანთაში ჩავიხედე. წინააღმდეგი ხომ არ ხართ?

- არა, არა, რასაკვირველია. წამალი...

კაცს შუბლი ოფლის ერთდროულად ცივი და ცხელი წვეთებით დაეცვარა. ცოტაც და იკივლებდა.

- იქ ხელნაწერი იდო, - ქალმა კაფსულები მარჯვენა ხელიდან აუჩქარებლად მარცხენაში გადაიტანა. კაცმა მათ მოძრაობას თვალი გააყოლა. - მიზერიზე დაწერილი რომელიმე ახალი წიგნი კი არ იყო, არამედ „სწრაფი მანქანები“ ჰქონდა სათაურად, - დედობრივი, სიყვარულნარევი საყვედურით უთხრა ქალმა. - მეცხრამეტე საუკუნეში არავითარი სწრაფი მანქანები არ ყოფილა, - თავის, ეგრეთ წოდებულ, ხუმრობაზე ჩაიხითხითა ქალმა. მერე წამალი მარცხენა ხელიდან ისევ მარჯვენაში გადაიტანა.

- რომ წავიკითხო, ხომ არ გეწყინებათ?

- არა... - ძვლებში ამტვრევდა და ფეხებში შუშის ნამსხვრევები ესობოდა. - არა, რა თქმა უნდა, - კაცს ღიმილის მსგავსი რაღაც გამოეხატა სახეზე.

- თქვენი ნებართვის გარეშე ამას ვერ გავბედავდი, - თქვა ქალმა სერიოზულად. - ძალიან გაფასებთ, პოლ, მიყვარხართ, - ქალი წამოწითლდა, აღელვებისგან ხელიდან ერთი კაფსულა გა-

უვარდა და ზეწარზე დაეცა. პოლს უნდოდა აეღო, მაგრამ ქალმა დაასწრო. კაცმა დაიგმინა. ქალმა ეს თითქოს ვერც კი შენიშნა, ფანჯრისკენ გაიხედა და საუბარი განაგრძო:

- თქვენი გონება, შემოქმედებითი აზროვნება ვიგულისხმე.

- ვიცი, ჩემი უდიდესი თაყვანისმცემელი ხართ, - მიუგო სასოწარკვეთილმა კაცმა.

ქალი ამ სიტყვებზე ერთბაშად აენთო.

- მართალია, სწორედ ასეა, - წამოიძახა მან. - წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თუ ამ სულისკვეთებით, თაყვანისმცემლის სულისკვეთებით წავიკითხავ თქვენს წიგნს, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მიზერიზე შექმნილი წიგნები სხვებზე მეტად მომწონს.

- არა, წინააღმდეგი არ ვიქნები, - თქვა კაცმა და თვალები დახუჭა. „რაც გინდა, ის ქენი, თუნდაც ფურცლებისაგან ქაღალდის ქუდები გააკეთე. ოღონდ, გემუდარები... წამალი... ვკვდები“... - გაიფიქრა კაცმა.

- რა კეთილი ხართ, - თქვა ქალმა ნაზად, - ვიცოდი, უარს არ მეტყოდით.

ადამიანი, რომელმაც მიზერი ჩასტეინის პერსონაჟი მოიფიქრა და ხორცი შეასხა, სხვანაირი ვერც იქნებოდა.

ქალის შოკისმოგვრამდე საზარელი თითები უცებ მის პირში აღმოჩნდა. კაცმა კაფსულები შეისრუტა და იქამდე გადაყლაპა, სანამ ხელის ფათურით წყალს მოძებნიდა და დააყოლებდა.

- პატარა ბავშვივით ხართ, - უთხრა ქალმა. კაცი მის სახეს ვერ ხედავდა, რადგან თვალები დახუჭული ჰქონდა. მომდგარმა ცრემლმა პოლს თვალები აუწვა. - იმდენი რამ მინდა გკითხოთ... იმდენი რამ მინდა გავიგო... - თქვა ქალმა და წამოდგა. საწოლმა დაიჭრიალა.

- აქ ძალიან ბედნიერები ვიქნებით, -უთხრა ქალმა. თუმცა კაცს თავზარი დაეცა და შიშით გული დაესერა, თვალები მაინც არ გაუხელია.

8

პოლი თანდათან წყლის დინებას მიჰყავდა. მცირე ხანს მეორე ოთახიდან ტელევიზორის ხმა ესმოდა, მაგრამ მალე სიჩუმე ჩამოვარდა. მის ყურთასმენას დროდადრო საათის ხმაღა სწვდებოდა. დათვლა უნდოდა, მაგრამ სათვალავი აერია.

„ინ ვენი... კვალი მკლავებზე გეტყობაო“, - გაახსენდა პოლს. ცალ იდაყვზე წამოიწია, ლამპას გაჭირვებით მისწვდა და ჩართო. მკლავებზე სახსართან სილურჯეები აჩნდა. კანქვეშ სისხლჩაქცევების მუქი ლაქები ეტყობოდა. კაცი ზურგზე იწვა, ჭერს მიშტერებოდა და ქარის ზუზუნს უსმენდა. შუაგულ ზამთარში სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე მყოფი ცხოვრობდა ქალთან, რომელსაც თავში ყველაფერი რიგზე როდი ჰქონდა, რომელიც საკვებს წვეთოვანით ვენიდან აძლევდა, როდესაც უგონოდ იყო, რომელსაც ალბათ წამლის ულევი მარაგი გააჩნდა და არავის უმხელდა, რომ პოლი მასთან ცხოვრობდა.

ეს ყველაფერი ძალზე მნიშვნელოვანიაო, - ფიქრობდა ის, - მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მიქცევა იწყებოდა. პოლმა საათის ხმას მიაყურადა და მაღვიძარას დაუწყო ლოდინი.

ქალი გიჟი იყო, მაგრამ პოლს ის სჭირდებოდა.

შავ დღეში ვარო, - გაიფიქრა პოლმა და ჭერს უაზროდ მიაშტერდა. კაცს ოფლის წვეთებით შუბლი ისევ დაეცვარა.

9

მეორე დილას ქალი შემოვიდა და, სხვა დროსთან შედარებით, ცოტა მეტი წვნიანი შემოუტანა. თან უთხრა, რომ ხელნაწერი წიგნის ორმოცი გვერდი წაიკითხა, მაგრამ სხვა წიგნებზე უარესი მოეჩვენა.

- მოქმედება სხვადასხვა დროს მიმდინარეობს. სიუჟეტის გაგება და გონებით მიყოლა საკმაოდ რთულია, - უთხრა ქალმა.

- ხერხია ასეთი, - მიუგო კაცმა. ტკივილი ოდნავ გაყუჩებული ჰქონდა და ქალის ნათქვამის გაანალიზება შეეძლო. - ხერხია, სხვა არაფერი. სიუჟეტი... სიუჟეტი გკარნახობს ფორმას, - განაგრძო პოლმა. ფიქრობდა, ნათქვამი ქალს დააინტერესებს და შეიძლება მოხიბლოს კიდეცო, რადგან როდესაც შედარებით ახალგაზრდა იყო და დამწყები მწერლებისათვის მასტერკლასებს ატარებდა, გრძნობდა, წერის მისეული სტილი ახალგაზრდებზე შთაბეჭდილებას ახდენდა. - იცით, ბიჭს თავგზა აქვს აბნეული და...

- მართალია, ძალიან თავგზააბნეულია. სწორედ ამითაა ნაკლებად საინტერესო. არ ვამბობ, უინტერესოამეთქი, ნაკლებად საინტერესოა. დარწმუნებული ვარ, უინტერესო პერსონაჟებს თქვენ არ ქმნით. თან უხამსი სიტყვები! ყოველი მეორე ბილწი სიტყვაა, - უპასუხა ფიქრებში წასულმა ქალმა. წვნიანს მექანიკურად აჭმევდა. ტუჩის კუთხეებსაც ისე ოსტატურად უწმენდდა, როგორც გამოცდილი მემანქანე ბეჭდავს საბეჭდ მანქანაზე. პოლი ადვილად მიხვდა, რომ ქალი ექიმი კი არა, ექთანი იქნებოდა. ექიმებმა არ იციან, პაციენტს როდის მოწმინდონ ტუჩები და ვერც ასეთი სიზუსტით გააკეთებენ ამას.

„იმ ქარბუქიან დღეს სინოპტიკოსს ენი უილკსის პასუხისმგებლობის ნახევარი მაინც რომ გამოეჩინა, ახლა აქ, ამ ჯოჯოხეთში, არ ვიქნებოდიო“, - დანანებით გაიფიქრა მან.

- არავითარი კეთილშობილება არ იგრძნობა, - ფეხზე წამოხტა ქალი და ხორცის წვნიანი კინაღამ ზედ სახეზე დაასხა გაფითრებულ პოლს.

- მესმის, რასაც ამბობთ, ენი, - მოთმინებით უპასუხა კაცმა, - ტონი ბონასაროს კეთილშობილება მართლაც არ გააჩნია. ის ცხოვრების ფსკერზეა, მაგრამ ცდილობს ამ სიტუაციას თავი დააღწიოს. ხოლო რაც შეეხება ბილწ სიტყვებს... ასეთ სიტყვებს ხომ ყველა ამბობს.

- ყველა არა, - გაავებული სახით მიუგო ენიმ, - როგორ ფიქრობთ, როგორ ვსაუბრობ, როდესაც პირუტყვის საკვების საყიდლად ვარ ქალაქში: „ჰეი, ტონი, მომეცი ერთი ტომარა ეგ დედაა-ფეთქებული ქატო და, მაგის დედაც, ტკიპას წამალი“? და რას ფიქრობთ, ტონი როგორ მიპასუხებს: „ახლავე, მაგის დედაც, ენი“?

ქალმა პოლს დახედა. სახე მოქუფრულ ცას უგავდა, სადაც ტორნადო ყოველ წამს შეიძლება გაჩენილიყო. კაცი შიშით ლეიბს გაეკრა. ქალს წვნიანის ჯამი გვერდზე გადმოეხარა და რამდენიმე წვეთი ზეწარს დაეწვეთა კიდეც.

- შემდეგ ბანკში წავალ და მისის ბოლინგერს ასე ვეტყვი: „აიღე, ეს დამპალი ქვითარი და ჩქარა ორმოცდაათი დოლარი გამოუშვი მეთქი? მერე სასამართლოს წინაშე რომ გამომიყვანენ“... - ტალახისფერი ხორცის წვნიანი ღვარად ჩამოედინა ზეწარზე. ქალმა დახედა, მერე კაცს შეხედა და სახე მოექცა.

- ნახე, რა ჩამადენინე.

- ვწუხვარ.

- აბა რა, წუხხარ, - იკივლა ქალმა და ჯამი კუთხეში კედელს მიანარცხა. ჯამი დაიმსხვრა და კედელი დაისვარა. პოლი კი სუნთქვაშეკრული იწვა.

ქალი გაირინდა, დაახლოებით ოცდაათი წამი გაუნძრევლად იჯდა. კაცის გულმა კი ამ ხნის მანძილზე ფეთქვა საერთოდ შეწყვიტა. ქალი თანდათან გამოერკვა.

- ასეთი ხასიათი მაქვს, - ჩაიცინა მან.

- ვწუხვარ, - გაიმეორა კაცმა.

- ჰო, უნდა წუხდე, - სახე კვლავ მოექუფრა ენის და დაღვრემილი მიაჩერდა კედელს. კაცს ეგონა, ისევ გადაირევაო, მაგრამ ამის ნაცვლად ქალმა ამოიოხრა და მძიმედ წამოიწია.

- მიზერიზე დაწერილ წიგნებში არ გჭირდება უშვერი სიტყვების გამოყენება, რადგან მაშინ არავინ ლაპარაკობდა ასე. ეს სიტყვები ალბათ არც არსებობდა. ველურ დროს სიტყვებიც ველური მოაქვს. ის უკეთესი დრო იყო. ყურადღება მიზერის წიგნებზე უნდა გადაიტანოთ, პოლ, ამას გულწრფელად გეუბნებით, თქვენი უდიდესი თაყვანისმცემელი.

კარისკენ წავიდა. უცებ შედგა და მოიხედა.

- ხელნაწერ წიგნს ჩანთაში თავის ადგილას დავაბრუნებ და „მიზერის ბავშვს“ დავამთავრებ. შეიძლება სხვა დროს მივუბრუნდე და წავიკითხო.

- არ გინდა, თუ ასე მოქმედებს შენზე, - გაღიმება სცადა კაცმა. - არ მინდა, გაგიჟდე. მე ხომ შენზე ვარ დამოკიდებული.

- მართალია, ჩემზე ხარ დამოკიდებული, - მიუგო ქალმა, კაცს ღიმილზე ღიმილით არ უპასუხა და ოთახიდან გავიდა.

წყალმა უკან დაიხია. ხიმინჯები დაბრუნდა. პოლმა საათს მიაყურადა. დაელოდა, როდის გაიგებდა რეკვის ხმას. როგორც იქნა, ორჯერ დარეკა. პოლი, ზურგით ბალიშზე მიწოლილი, თვალმოუცილებლად შეჰყურებდა კარს. ენი შემოვიდა. წინსაფარი ეკეთა. ხელში ვედრო ეჭირა.

- ალბათ შენს „დამპალ“ წამალს ელოდები, - უთხრა მან.

- ჰო, თუ შეიძლება, - ქალისთვის რომ ესიამოვნებინა, კაცმა გაღიმება სცადა. თან შერცხვა, თავი გროტესკულ არსებად წარმოიდგინა.

- მოგიტანე, მაგრამ ჯერ კედელი უნდა გავწმინდო. მოცდა მოგიწევს.

საბრალო პოლი საწოლში იწვა, მისი ფეხები დამტვრეული ტოტებივით უგრძნობლად ეყარა, სახეზე კი ცივი ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და ალაგალაგ პაწაწინა გუბეებად გროვდებოდა. კაცმა თვალი გააყოლა ენის, რომელმაც ოთახი გადაჭრა და კუთხესთან მივიდა. ვედრო იატაკზე დადგა, ჯამის ნამტვრევები აკრიფა და გარეთ გაიტანა. მერე დაბრუნდა, ვედროდან საპნიან წყალში დასველებული ტილო ამოიღო, გაწურა და ჩამუხლულმა კედელზე მიმხმარი წვნიანის კვალის გაწმენდა დაიწყო. პოლი იწვა და თვალყურს ადევნებდა. მერე აკანკალდა. ამან კიდევ უფრო აატკივა ფეხები, მაგრამ გაჩერება არ შეეძლო. ქალმა ერთადერთხელ მოიხედა, დაინახა ოფლში გახვითქული პოლი, რომელიც კანკალებდა და საწოლი ოფლით ენამებოდა. მერე ისე ცბიერად გაიღიმა, რომ პოლს თვალდაუხამხამებლად შეეძლო მისი მოკვლა.

- ზედაა მიმხმარი, ამას დრო დასჭირდება, პოლ.

ქალი ხეხავდა და ლაქებიც ნელნელა ქრებოდა. ტილოს წყალში ასველებდა, წურავდა და კვლავ ხეხავდა. შემდეგ ისევ

თავიდან იწყებდა. პოლი მის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ კედლის ხეხვას საათობით არ მორჩებაო, სწორედ ეს აზრი არ აძლევდა მოსვენებას.

მერე საათმა ერთხელ დარეკა იმის მაუწყებლად, რომ სამის ნახევარი იყო. ქალი წამოდგა, სველი ტილო წყალში ჩააგდო და ვედრო უსიტყვოდ გაიტანა. პოლი ყურს უგდებდა, როგორ აჭრიალებდა ქალის ზანტი, მძიმე ნაბიჯები იატაკის ფიცრებს, როგორ გადაღვარა ვედროდან წყალი და, წარმოიდგინეთ, ხელახლა მოუშვა ონკანი და ვედროში წყალი ისევ ჩაასხა. პოლი უხმოდ ატირდა. ზღვის მოქცევა ჯერჯერობით არსად ჩანდა. იყო მხოლოდ ტალახშემხმარი, დამტვრეული ხიმინჯები და მათი სამუდამოდ დამახინჯებული ჩრდილები.

ქალი შემოვიდა. ცოტა ხანს ზღურბლზე შეჩერდა და პოლის ოფლიან, სველ სახეს დააკვირდა. თვალებში მკაცრი და, ამასთან, დედობრივი გამოხედვა ჰქონდა. მერე კედლისკენ გაიხედა. შხეფების კვალი აღარსად ჩანდა.

- ახლა წყლით უნდა გამოვრეცხო, საპნის მკრთალი კვალი რომ არ დარჩეს. ყველაფერი წესისა და რიგისამებრ უნდა გაკეთდეს. მარტო ცხოვრება უქნარობას როდი ნიშნავს. დედაჩემი იტყოდა: „გაფუჭებულ საქმეს გულმოდგინებით ეშველებაო“. მეც ამ აზრისა ვარ.

- ძალიან გთხოვ, - დაიგმინა პოლმა, - მტკივა, ვკვდები.

- არა, პოლ, არ მოკვდები.

- ყვირილს მოვრთავ, - თქვა და ხმამაღლა საყვირლად მოემზადა. მაგრამ ამან ფეხები არა მარტო მეტად აატკივა, არამედ გულიც ცუდად გაუხდა.

- იყვირე, - მიუგო ქალმა, - მაგრამ გახსოვდეს, შენ გამოა ეს არეულობა. ყველაფერი შენი ბრალია.

პოლმა როგორღაც ყვირილისაგან თავი შეიკავა. ქალი კი ტილოს ასველებდა, წურავდა და წმენდდა. ასველებდა, წურავდა და

წმენდდა და ასე გაუთავებლად. ამასობაში საათმა, რომელიც ალბათ მისაღებ ოთახში იყო, სამჯერ ჩამოჰკრა. ქალი წამოდგა და ვედრო აიღო.

„ახლა ალბათ გავა, ვედროდან წყალს გადაღვრის და შეიძლება რამდენიმე საათი აღარ დაბრუნდეს, რადგან ჩემი დასჯა ჯერ არ დაუმთავრებიაო“, - გაიფიქრა პოლმა.

მაგრამ გასვლის ნაცვლად ქალი საწოლისკენ წამოვიდა. წინსაფრის ჯიბეში ხელი მოაფათურა და ორის ნაცვლად სამი კაფსულა ამოიღო.

- აჰა, აიღე, - უთხრა ქალმა ალერსიანად.

კაცმა წამალი პირში ხარბად ჩაიყარა. როდესაც მაღლა აიხედა, ქალს ყვითელი პლასტმასის ვედრო მაღლა აეწია, ნაცრისფერი წყალი დახრილ ვედროს პირამდე ჰქონდა მომდგარი.

- ეს წყალი მიაყოლე, - უთხრა ქალმა ისევ ალერსიანი ხმით.

კაცი თვალებად იქცა.

- ვიცი, უწყლოდაც გადაყლაპავ, მაგრამ მაგ წამლის უკან გამოღებაც შემიძლია. დალიე, ბოლოს და ბოლოს ნარეცხი წყალია, სხვა ხომ არაფერი. არ გაწყენს.

ქალი დაიხარა. პოლმა დაინახა, დაგრეხილი ტილო დამხრჩვალივით ეგდო ვედროს ფსკერზე. წყალს თავზე საპნის ბუშტები მოსდებოდა. კაცის გონების ერთმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დაიგმინა, მაგრამ მეორე ნაწილს ხმა არ ამოუღია. პოლმა სწრაფად დალია. წყალმა კაფსულები დაბლა ჩაიტანა, ხოლო პირში ისეთი გემო დაუტოვა, როგორც ბავშვობაში, როდესაც დედა კბილებს საპნით ახეხინებდა. პოლმა მუცლის გვრემა იგრძნო და ბუყბუყის ხმა გაიგო.

- ცხრა საათამდე თავისუფალი ხარ, პოლ, - უაზრო მზერა ერთი წამით მიაპყრო ქალმა. მერე ერთბაშად აენთო და გაიღიმა. - აღარ გამაბრაზო და ჭკუიდან ნუღარ გადამიყვან, პოლ, კარგი?

- კარგი, - დაიჩურჩულა კაცმა.

„ძალიან ცუდი აზრია მთვარის გაბრაზება, რომლის ნება სურვილზეც ზღვის მოქცევა მიქცევაა დამოკიდებული!“ - გაიფიქრა კაცმა.

- მიყვარხარ, - უთხრა ქალმა და ლოყაზე აკოცა. მერე უკანმოუხედავად

დატოვა ოთახი. სოფლელი ქალივით თითქოს რძით სავსე ვედრო ეჭირა, - ოდნავ განზე გაწეული, მაგრამ წვეთიც არ ეღვრებოდა.

პოლი იწვა, პირსა და ყელში საპნის გემოს, ბათქაშსა და ქვიშას გრძნობდა. აბეზარი ფიქრები თავს დასტრიალებდა, მალე ძილი მოერია. ფიქრები უკუაგდო, რომ წამლის მოქმედებისათვის ხელი არ შეეშალა. შეძლო, ყოველ შემთხვევაში, ამჯერად მაინც.

11

პოლს დაესიზმრა, თითქოს რომელიღაც ფრინველი კორტნიდა. კოშმარული სიზმარი იყო. უცებ გასროლის ხმა შემოესმა და გაიფიქრა: მიდი, ესროლე მაგ ნაბიჭვარს!

ამ გაფიქრებაზე გამოეღვიძა. მიხვდა, ენი უილკსი იქნებოდა, რომელმაც უკანა კარი ხმაურით გაიხურა და ეზოში გავიდა. პოლმა ქალის ფეხებქვეშ თოვლის ჭრაჭუნის ხმა გაიგო. მან პოლის ფანჯრის წინ ჩაიარა. ქურთუკი ეცვა. კაპიუშონი კი თავზე ჰქონდა წამოფარებული. ამონასუნთქი ჰაერი ჯერ სახეზე ბუმბულივით ედებოდა და სიარულისას შუაზე ეყოფოდა. ენის ოთახში არ შემოუხედავს. პირუტყვის დასაპურებლად და ბაგის გასაწმენდად ბოსელში მიიჩქაროდა. ბნელდებოდა. ჩამავალ მზეს ცა ალისფრად შეეღება. ექვსის ნახევარი ან ექვსი საათი იქნებოდა.

წყლის მიქცევა ჯერ არ დაწყებულიყო. შეეძლო, ძილი გაეგრძელებინა, უნდოდა კიდეც, მაგრამ სანამ ფიქრის და განსჯის უნარი ჰქონდა, ამჟამინდელ უცნაურ სიტუაციაზე უნდა დაფიქრებულიყო.

მაგრამ ყველაზე ცუდი იმის გაცნობიერება იყო, რომ არ უნდოდა ფიქრი მაშინაც კი, როდესაც ეს შეეძლო. თუმცა იცოდა, დაფიქრების გარეშე შექმნილ მდგომარეობას თავს ვერაფრით დააღწევდა. გონება თითქოს ფიქრს ხელს კრავდა, როგორც საჭმელს გაჯიუტებული ბავშვი, რომელიც გაფრთხილებულია, სანამ არ შეჭამს, სუფრიდან ვერ ადგება.

პოლი ფიქრს გაურბოდა, რადგან შექმნილი რეალობა საკმაოდ მძიმე იყო. უსიამოვნო სურათები ერთმანეთს ცვლიდა: ჯერ ენის გარინდებები, მერე ქალის აფრიკულ კერპებთან მიმსგავსება და ბოლოს ციდან ჩამოვარდნილ მთვარესავით ყვითელი პლასტმასის ვედრო კაცის ტუჩებთან. ამათზე ფიქრით სიტუაცია ვერ შეიცვლებოდა და ფიქრს რაღა აზრი ჰქონდა. მაგრამ ენი

უილკსსა და თავის მდგომარეობას პოლი მაინც ჩაუკვირდა. გულმა გამეტებით დაუწყო ძგერა. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, შიში და, ნაწილობრივ, სირცხვილი იყო. დაინახა, როგორ მიადო ტუჩები იატაკის საწმენდ ყვითელ ვედროს, რომელშიც ნარეცხი საპნიანი წყალი და იატაკის ჩვარი ეგდო და იმ ვედროდან მაინც დალია. არც კი უყოყმანია. ამ ამბავს ხომ ვერასოდეს ვერავის გაუმხელდა და თუ ოდესმე აქაურობიდან თავის დაღწევას მოახერხებდა, სამუდამოდ დაივიწყებდა, თუმცა ასეთი მომავალი საეჭვოდ ეჩვენებოდა.

ჯერჯერობით ბეჩავს (ან შეიძლება არც იყო ბეჩავი, მაგრამ როგორ არა, იყო) სიცოცხლე მაინც სწყუროდა.

„იფიქრე, ღმერთმა შეგაჩვენოს. ნუთუ ისე ხარ დაშინებული, ფიქრიც აღარ შეგიძლია?“ - ეკითხებოდა საკუთარ თავს.

მერე გონებაში ერთი ახირებული აზრი წამოუტივტივდა: „ახალი წიგნი ენის იმიტომ არ მოეწონა, რომ სულელია და ვერ გაიგო“, - გაბრაზდა პოლი. მერე უცებ მიხვდა, სიბრაზე შიშზე უკეთესი იყო. ამ გრძნობას ჩაეჭიდა და ფიქრს გაჰყვა: „გონებაჩლუნგია? არა, გონებაჩლუნგი არა, მაგრამ ძალიან ჩაკეტილი კი არის. ის არათუ ვერ იტანს ცვლილებას, ეწინააღმდეგება კიდეც მის იდეას“.

შეიძლება შეშლილია, მაგრამ პოლის ახალი წიგნის ქალისეული შეფასება ნუთუ ძალიან განსხვავდება იმ ასობით და ათასობით ადამიანის აზრისაგან (ამ ადამიანთა დაახლოებით ოთხმოცდაათი პროცენტი ქალი იყო), რომლებიც მოუთმენლად ელიან ახალ ხუთასგვერდიან რომანს, სადაც ობოლი გოგონას მღელვარე ისტორიის გაგრძელება იქნება აღწერილი? - ჩაეკითხა თავის თავს პოლი. - სულაც არა. მათ უნდათ მხოლოდ „მიზერი“, „მიზერი“ და კიდევ „მიზერი“. ყოველ ჯერზე, როდესაც ერთ ან ორ წელს მოანდომებდა სხვა რომანის წერას, რომელსაც სერიოზულ წიგნად მიიჩნევდა, სასოწარკვეთილება მაინც იპყრობ-

და, რადგან ქალების მხრიდან მოდიოდა და მოდიოდა საპროტესტო წერილების ნიაღვარი. ზოგიერთი ქალი წერილს ხელს ასე აწერდა: „თქვენი უდიდესი თაყვანისმცემელი“.

წერილებში სხვადასხვაგვარი ტონი იგრძნობოდა: იყო დაბნეული და გაოგნებული მკითხველების წერილები (ყველაზე მეტად გულს ეს ტკენდა), საყვედურისა და აშკარა გაბრაზების შემცველი ტექსტიც მრავლად იყო. მაგრამ უკლებლივ ყველაში ერთი და იგივე აზრი იყო გადმოცემული: „ეს ის არ არის, რასაც ველოდი. ის არ არის, რაც მინდოდა. თუ შეიძლება, „მიზერის“ მიუბრუნდით. მინდა ვიცოდე, მიზერი რა დღეშია“ და ასე შემდეგ. „ვულკანის ქვეშ“, „ტეს დ’ერბერვილი“ ან „ხმაური და მძვინვარება“ რომ დაეწერა, მათთვის ფასი მაინც არ ექნებოდა, ისევ „მიზერის“ მოითხოვდნენ.

„აზრის გაგება რთულია... ის პერსონაჟი უინტერესოა... ბილწსიტყვაობაა“, - გაახსენდა ქალის სიტყვები.

პოლი კვლავ ბრაზმა შეიპყრო. ქალის სწორხაზოვანი აზროვნება მოთმინებას აკარგვინებდა. ცალკე იმაზეც გაბრაზდა, რომ ენიმ ფაქტობრივად გაიტაცა და აქ გამოკეტა. აიძულა, იატაკის საწმენდი ვედროდან ბინძური წყალი დაელია და დამტვრეული ფეხების ტკივილით დატანჯულიყო. ამას ისიც დაემატა, რომ თავხედობა ეყო და პოლის საუკეთესო რომანი გააკრიტიკა.

„წავიდეს მაგის“... - შეუკურთხა კაცმა და უცებ თავი უკეთესად იგრძნო. კვლავ ირწმუნა თავისი ძალების. თუმცა იცოდა, რომ ეს ამბოხი წვრილმანი, უსუსური და უძლური იყო, რადგან ქალი ბოსელში ბრძანდებოდა და ვერაფერს გაიგებდა.

დამტვრეულ ხიმინჯებს კი წყალი ჯერჯერობითისევ ფარავდა, ჯერჯერობით...

მოაგონდა, როგორ შემოვიდა ქალი კაფსულებით ხელში და იქამდე არ მისცა წამალი, სანამ ხელნაწერის წაკითხვის ნებართვა არ მიიღო. კაცს სახე სირცხვილისა და დამცირებისაგან წა-

მოუწითლდა. თან გულში სიბრაზეც იგრძნო, რომელიც ნაპერწკლიდან პატარა ალად აუგიზგიზდა. გადაუკითხავი, ჩაუსწორებელი ხელნაწერები აქამდე არავისთვის, ბრაისისთვის, თავისი აგენტისთვისაც კი არ უჩვენებია, არავისთვის...

ფიქრი ძროხის ზმუილმა შეაწყვეტინა. გადაბეჭდილი ხელნაწერის ასლს ნეტავ რატომ არ ვაკეთებდიო, ისევ თავის საფიქრალს მიუბრუნდა. „სწრაფი მანქანები“ ხომ ერთადერთ ეგზემპლარად არსებობდა და ისიც ენი უილკსის ხელში იყო. სამწუხაროდ, ამ წიგნის სამუშაო, შავი ჩანაწერებიც კი გაანადგურა. წარმოგიდგენიათ, ორი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ ენი უილკსს წიგნი არ მოეწონა... ეგ გიჟი, ეგა!

„მიზერი“ მოსწონდა. აღმერთებდა მიზერის და არა უშვერი სიტყვებით მოლაპარაკე მანქანის ქურდს, რომელიც ნიუიორკის ესპანურ კვარტალში, ჰარლემში ცხოვრობდა.

გაახსენდა, როგორ გაიფიქრა: „თუ გინდა, ხელნაწერისგან თუნდაც ქაღალდის ქუდებიც გააკეთეო... ოღონდ... გეხვეწებიო“...

ბრაზი და დამცირება კიდევ ერთხელ იგრძნო. ამ გრძნობას პასუხად დამტვრეულ ფეხებში სუსტი პულსაცია მოჰყვა. საქმეც, მისი შესრულებით გამოწვეული სიამაყეც და საქმის ფასიც კი ერთბაშად მაშინ უფერულდებოდა, როდესაც ადამიანს ტკივილი შეაწუხებდა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კაცს თავი მწერლად მიაჩნდა. ქალს კი შეეძლო ეს წარმოდგენა ერთი ხელის მოსმით დაენგრია. ეს ხომ საშინელება იყო. პოლი ამას როგორმე უნდა გარიდებოდა. ქალი კერპი იყო, რომელიც პოლს თუ არ მოკლავდა, იმას მაინც მოუღებდა ბოლოს, რაც მასში ღირებული იყო.

ახლა პოლის ყურთასმენას ღორის ღრუტუნის ხმა მისწვდა. ენი ფიქრობდა, რომ პოლს ეწყინებოდა, მაგრამ სულაც არა, ღორისთვის „მიზერი“ ზედგამოჭრილი სახელი იყო. გაახსენდა, ქა-

ლი ღორს როგორ დაემსგავსა, ზედა ტუჩი წინ დინგივით წაიბზუა და ლოყები დაიბრტყელა. ღრუტ, ღრუტ, - ჩაესმა ქალის ხმა.

პოლმა მკლავები თვალებზე დაიფარა და შეეცადა, სიბრაზე არ განელებოდა, რადგან ამ გრძნობამ ვაჟკაცობა და სიმამაცე გააღვიძა მასში. გულად ადამიანს ფიქრი შეუძლია, მშიშარას კი - არა.

პოლი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ენი უილკსი პროფესიით ექთანი იქნებოდა. მაგრამ არ მუშაობდა, რადგან სამსახურში არ დადიოდა. ნეტავ რატომ არ მუშაობდა? ცხადია, ქალი ცოტა შექანებული იყო. თუ ეს ამბავი პოლმა შეამჩნია, პოლმა, ვინც ტკივილისგან იტანჯებოდა, სხვები, მით უმეტეს, ადვილად შენიშნავდნენ.

ქალს რომ თავში ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა, ამას ისიც მოწმობდა, რომ მან პოლი გადაბრუნებული მანქანიდან გადმოათრია და იმის ნაცვლად, პოლიციისთვის დაერეკა ან სასწრაფო დახმარება ეხმო, თავისი სახლის სასტუმრო ოთახში მოათავსა, ვენაში წვეთოვანი გადასხმები გაუკეთა და ნარკოტიკებით გაჭყიპა. არავისთვის გაუმხელია, ესე იგი, ამის შემდეგაც არავის ეტყოდა.

ასეთნაირადვე მოიქცეოდა თუ არა, ავარიის ადგილას პოლის ნაცვლად ვინმე სხვა რომ ეპოვა? არა, არა მგონია, - ფიქრობდა პოლი. - მე ხომ პოლ შელდონი ვარ და ის კი... ის ჩემი უდიდესი თაყვანისმცემელი.

პოლს თვალები მკლავებით ჰქონდა დაფარული და ფიქრობდა. მოგონებებში ჩაიძირა. ბოსტონში ერთხელ დედამ ზოოპარკში წაიყვანა. იქ ერთი ლამაზი, დიდი ჩიტი ნახა, რომელსაც უმშვენიერესი წითელი, იისფერი, ლურჯი ბუმბული და ძალიან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. დედას ჰკითხა, ეს ჩიტი საიდან ჩამოიყვანესო. უპასუხა, აფრიკიდანო. ბიჭი მიხვდა, ჩიტი აქ, ამ გალიაში, შორს იმ ადგილიდან, სადაც ღმერთმა გააჩინა, დასაღუპად

იყო განწირული და ატირდა. დედამ ნაყინი უყიდა და სცადა, დაემშვიდებინა. პოლი ცოტა ხნით დაწყნარდა, მაგრამ როდესაც ის საბრალი ჩიტი ისევ გაახსენდა, ტირილი მორთო. დედა იძულებული გახდა, შინ წაეყვანა. როდესაც ტროლეიბუსში ისხდნენ, დედამ უთხრა, არ გრცხვენია, მტირალასავით მოიქეციო.

მაგრამ ჩიტის ბუმბული... მისი თვალები... ფეხებში პულსაცია ისევ იგრძნო. არა, არა, არა...

პოლმა მკლავები თვალებს უფრო მაგრად დააჭირა. დროდადრო ბოსლიდან ხმაური ისმოდა. რისი ხმა იყო, ვერ იტყოდა, მაგრამ წარმოიდგინა ქალი, რომელიც დაწნეხილ თივას ბურთივით ფეხს არტყამდა, თივა ჰაერში ავარდებოდა და შემდეგ ძირს ხმაურით ეცემოდა.

(თქვენი აზროვნება, თქვენი შემოქმედება ვიგულისხმეო, გაახსენდა პოლს).

აფრიკა, ჩიტი აფრიკიდან...

მოგონებები თითქოს ბასრმა დანამ გაკვეთაო, ისე ჩაესმა ქალის მკვეთრი, თითქმის გამკივანი ხმა: „მერე სასამართლოს წინაშე რომ გამომიყვანენ დენ“...

ანუ სასამართლოს წინაშე წარსდგა დენ... დენ... დენვერში.

დაიფიცეთ, რომ იტყვით სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა.

(„არ ვიცი, საიდან მოსდის თავში ეს აზრები“.)

მე ვიცი.

(„ასეთ რამეს ყოველთვის წერს“.)

წარმოთქვით თქვენი სახელი.

(„მისებური წარმოსახვის უნარი ჩვენს ოჯახში არავის ჰქონდა“.)

ენი უილკსი.

(„ასეთი ცოცხალი წარმოსახვა“!)

ჩემი სახელია ენი უილკსი.

პოლს უნდოდა, ქალს უფრო მეტი ეთქვა თავის თავზე, მაგრამ ქალი გაჯიუტდა.

მიდი, ამოთქვი - წაილუღლუღა თვალებზე მკლავებწაფარებულმა კაცმა. ამ მდგომარეობაში უფრო კარგად აზროვნებდა და წარმოსახვაც უმარტივდებოდა. დედას უყვარდა მეზობელთან, მისის მალვენთან შვილის შექება. უყვებოდა, რა საუცხოო წარმოსახვის უნარი ჰქონდა ბიჭს, გონებაში სურათებს რა ცოცხლად ხატავდა და რა მშვენიერ პატარა მოთხრობებს წერდა. მაგრამ დედა ზოგჯერ პოლს მტირალასაც ეძახდა.

პოლმა დენვერის სასამართლო დარბაზი წარმოიდგინა. ენი უილკსს მუქი წითელი კაბა აცვია და თავზე საშინელი ქუდი ახურავს. დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. მოსამართლე მელოტი კაცია და სათვალე უკეთია. ჭაღარა ულვაში აქვს და ულვაშის ქვეშ ხალი, რომელსაც ულვაში მთლად ვერ უფარავს.

ენი უილკსი.

(„სამი წლის ასაკში უკვე კითხულობდა, წარმოგიდგენიათ“?!)

თაყვანისმცემლის სულისკვეთება...

(„ყოველთვის წერდა. უყვარს რაღაცის გამოგონება“.)

ახლა კედელი უნდა გავასუფთაო.

(„აფრიკა. ჩიტი აფრიკიდან“...)

მიდი - წაიჩურჩულა პოლმა, მაგრამ წარმოსახვა გაუჯიუტდა, აღარ ემორჩილებოდა. სასამართლოს წარმომადგენელი ქალს სახელს ისევ ეკითხებოდა. ის კი იმეორებდა: ენი უილკსი, ენი უილკსი. სხვას არაფერს ამბობდა. იჯდა სასამართლო დარბაზში, ჰქონდა მკვრივი, მყარი, ავისმომასწავებელი სხეული და საკუთარ სახელს იმეორებდა.

პოლი ცდილობდა წარმოედგინა, ყოფილი ექთანი, რომელმაც აქ ტუსაღივით გამოკეტა, ერთხელაც როგორ წარდგებოდა დენვერში სასამართლოს წინაშე. პოლს ამ ფიქრებში ჩაეძინა.

12

საავადმყოფოს პალატაში იწვა. ისეთ საოცარ შვებას გრძნობდა, რომ მზად იყო, ეტირა. ეტყობოდა, რაღაც მოხდა, როდესაც ეძინა. იქნებ ვინმე მოვიდა ან ენი გამოიცვალა და სხვანაირი გახდა. მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაც მთავარია, ქალიურჩხულის სახლში დაიძინა და საავადმყოფოს პალატაში გამოიღვიძა.

მაგრამ ამ სიგრძის პალატაში რატომ მოათავსეს? იმხელა იყო, თვითმფრინავის სადგომად გამოდგებოდა. ოთახში ერთნაირი საწოლები მწკრივებად იყო ჩარიგებული. ყველა საწოლის გვერდით ერთნაირი წვეთოვანი იდგა. პოლი საწოლზე წამოჯდა და ირგვლივ მიმოიხედა. პალატაში ყველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავდა და ყველა პოლ შელდონი იყო. შორიდან საათის რეკვის ხმა ჩაესმა. პოლმა ძილბურანში გაიფიქრა, სიზმარში ვარო და შვება სინანულით შეეცვალა.

შორს კარი გაიღო და ვეებერთელა პალატაში ენი უილკსი შემოვიდა. გრძელი კაბა ეცვა, წინსაფარი ეკეთა და თავზე ჩაჩი ეხურა. ისე იყო ჩაცმულდახურული, როგორც მიზერი ჩასტეინი წიგნში „მიზერის სიყვარული“. ერთი მკლავი დაწნული კალათის სახელურში ჰქონდა გაყრილი. კალათს თავზე პირსახოცი ეფარა, რომელიც ქალმა კალათში ჩაკეცა. ენი საწოლს მიუახლოვდა, კალათიდან პეშვით ქვიშა ამოიღო და მძინარე პოლ შელდონს სახეში შეაყარა. ენი უილკსი თავს მიზერი ჩასტეინად ასაღებდა, ხოლო მიზერი ქვიშის ქალი იყო.

კაცს სახეზე მკვდრისფერი დაედო. შიშმა გამოაფხიზლა. თვალი გაახილა. თავზე ენი უილკსი ედგა. ხელში „მიზერის ბავშვი“ ეჭირა. წიგნის სანიშნის მიხედვით პოლი მიხვდა, რომ ქალს წიგნის სამი მეოთხედი უკვე წაეკითხა.

- ძილში კვნესოდი, - უთხრა ქალმა.

- ჰო, ცუდი სიზმარი ვნახე.
- რა დაგესიზმრა?
უპასუხა, რაც თავში მოუვიდა:
- აფრიკა.

13

მეორე დილით ქალი გვიან შემოვიდა. სახე გაფითრებული ჰქონდა. პოლს ეძინა, მაგრამ იდაყვზე მოქაჩვამ მაშინვე გააღვიძა.

- მის უილკს? ენი? კარგად ხართ?

- არა.

„ღმერთო, იქნებ გულის შეტევა დაემართა“, - გაიფიქრა კაცმა და აღელვება წამსვე სიხარულით შეეცვალა. - „ნეტავ მართლა დაემართოს! ერთი ძლიერი გულის შეტევა! მაგის დედაც“... რა ფასადაც არ უნდა დაჯდომოდა, სიხარულით მიხოხდებოდა ტელეფონთან, დამსხვრეულ შუშებსაც გადაუვლიდა.

ქალი მართლაც გულგახეთქილი შემოვიდა... მაგრამ ეს სხვა გულისხეთქვა იყო. პოლისკენ ბარბაცით არა, მაგრამ რწევა რწევით ისე წამოვიდა, როგორც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მეზღვაური დადის ხმელეთზე.

- რა მოხდა? - ჰკითხა კაცმა და შეეცადა, გაწეულიყო, მაგრამ საით? გასაწევი ადგილი არ იყო. საწოლის თავი კედელს ებჯინებოდა. ქალი მიუახლოვდა. საწოლს დაეჯახა, შეტორტმანდა და პოლს კინაღამ თავზე დაემხო, მაგრამ თავი შეიკავა და კაცს მიტკალივით სახეგათეთრებული ზევიდან დააჩერდა. კისერზე ძარღვები დაბერილი ჰქონდა, ხოლო შუბლზე გამეტებით უფეთქავდა ერთი ძარღვი. გაშლილი ხელები მუშტებად შეკრა, მერე ისევ გაშალა.

- შენ... შე... შე ბინძურო ცხოველო!

- რა?.. რა დავაშავე? - ამოთქვა კაცმა, მაგრამ ერჩივნა, სადმე ფუღუროში შემალულიყო და საერთოდ გაუჩინარებულიყო. პოლს გაახსენდა, სანიშნი ქალის წიგნში. რომანის სამი მეოთხედი ჰქონდა წაკითხული. კაცმა ივარაუდა, ალბათ წიგნის ბოლო ნაწილიც წაიკითხა და ყველაფერი იცისო. რომანის ბოლოს ირ-

კვევა, რომ მიზერი უშვილო სულაც არ არის. უშვილო იანია. ენი ალბათ მისაღებ ოთახში პირღია და თვალებგაფართოებული იჯდა და კითხულობდა, რომ მიზერი ბოლოს და ბოლოს სიმართლეს მიხვდა და ჯეფრისთან წასვლა გადაწყვიტა. ენის ალბათ თვალები ცრემლით აევსო, როდესაც გაიგო, რომ მიზერისა და ჯეფრის კავშირი სულაც არ იყო იმ ადამიანის ზურგსუკან, რომელიც ორივეს ასე უყვარდა და ორივე უდიდეს საჩუქარს უმზადებდა მას. ეს საჩუქარი ვაჟიშვილი იყო, რომელსაც იანი თავის შვილად მიიღებდა. ენის ალბათ გული აუჩქარდა, როდესაც მიზერიმ იანს უთხრა, ორსულად ვარო. იანმა გულში ჩაიკრა, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა და მიზერის ეჩურჩულებოდა: „ჩემო ძვირფასო, ო, ჩემო ძვირფასო“. პოლი დარწმუნებული იყო, ყველაფერი ბოლო წამებში მოხდა. იმის ნაცვლად, რომ ენი მწუხარებისგან აქვითინებულიყო, როდესაც მიზერიმ ბიჭი გააჩინა, რომელსაც ალბათ იანი და ჯეფრი ერთად გაზრდიდნენ, რადგან მიზერი მშობიარობას გადაჰყვა, ამ დასასრულმა ენი გააცოფა და ჭკუიდან შეშალა.

- არ უნდა მოკვდეს, - უკივლა მან პოლს და ხელები რამდენჯერმე მუშტად შეკრა და მერე ისევ გაშალა. - მიზერი ჩასტეინი არ უნდა მოკვდეს.

- ენი, ენი... თუ შეიძლება...

მაგიდაზე წყლით სავსე ჭიქა და დოქი იდგა. ქალმა ჭიქას ხელი წამოავლო და პოლს სახეში შეასხა. ყინულები მარცხენა ყურზე მოხვდა და ქვევით, მხართან ჩაუცვივდა. პოლმა, როგორც დედამისი იტყოდა, ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ დაახეთქა ენიმ წყლით სავსე დოქი მის სახეზე და თავის ქალის მოტეხილობისა და ყინულიანი წყლის დასხმით გამოწვეული სისხლჩაქცევებისაგან როგორ კვდებოდა. მკლავები სიცივისაგან ხორკლით დაეფარა. ქალს ამის გაკეთება ნამდვილად უნდოდა, მაგრამ ბოლო

წამს შებრუნდა და დოქი კარს მიანარცხა. წვნიანის ჯამივით დოქიც ნამსხვრევებად იქცა.

ქალმა პოლს დახედა და სახიდან თმა ხელებით უკან გადაიწია. პოლმა ორი წითელი ლაქა შეამჩნია მისი ხელის ზურგზე.

- დამპალო, ეს როგორ გააკეთე, - ქოშინით უთხრა ქალმა.

პოლი დარწმუნებული იყო, მისი სიცოცხლე დამოკიდებული იყო იმაზე, რასაც კაცი მომდევნო ოცი წამის განმავლობაში იტყოდა.

- ენი, - დაიწყო სწრაფად თვალებანთებულმა კაცმა. - 1871 წელს ქალები მშობიარობის დროს ხშირად კვდებოდნენ. მიზერიმ თავისი სიცოცხლე ქმარს, საუკეთესო მეგობარს და შვილს მიუძღვნა. მისი სული ყოველთვის...

- რად მინდა მისი სული, - იკივლა ქალმა, თითები ბრჭყალებივით მოხარა და პოლის სახეს მიუახლოვა, თითქოს თვალების ამოჩიჩქნას უპირებდა. - მიზერი მინდა. შენ კი მოკალი, შე, მკვლელო! - ხელები კვლავ მუშტებად შეკრა და პოლის ბალიშს გამეტებით დასცხო. საბრალო პოლმა ნაჭრის თოჯინასავით დაიწყო ხტუნვა. მოძრაობისაგან ფეხები საშინლად აეწვა და ასტკივდა.

- მე არ მომიკლავს, - იყვირა მან.

ქალი გაშეშდა და პოლს მიაჩერდა. მის გამოხედვაში ვიწრო, შავი ნაპრალი ჩანდა.

- აბა რა, - მის სიტყვებში მწარე სარკაზმი გამოსჭვიოდა. - პოლ შელდონ, თუ შენ არ მოგიკლავს, მაშ, ვინ მოკლა?

- არავინ, - მიუგო კაცმა შედარებით მშვიდად. - უბრალოდ, მოკვდა.

ეს სიმართლე იყო. მიზერი ჩასტეინი რეალური პიროვნება რომ ყოფილიყო, პოლს ალბათ პოლიციაში დაკითხვაზე დაიბარებდნენ, რომ გამოძიებას დახმარებოდა. კაცმა რომ თქვას, პოლს მიზერის მოსაკლავად მიზეზი ჰქონდა. მესამე წიგნიდან

მოყოლებული, მას ვეღარ იტანდა. შეეძლო მოეკლა, მაგრამ არ მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ ზიზღი უფრო და უფრო ემატებოდა, მიზერის სიკვდილი მწერლისთვის ერთგვარი მოულოდნელობაც კი იყო. მაგრამ პოლი საკუთარ თავთან მართალი იყო. თუმცა სუსტად და ბანალურად გამოუვიდა, მაგრამ მერე წიგნი მაინც მხნედ და ოპტიმისტურად დაასრულა. მიუხედავად ამისა, მიზერის სიკვდილი ფაქტად დარჩა.

- მეგონა, კეთილი იყავი, - თქვა ენიმ, - თურმე არ ყოფილხარ, შე ბინძურო!

- მიზერი წავიდა ამქვეყნიდან, სულ ეს არის. ზოგჯერ ასეც ხდება. ასეთია ცხოვრება. ადამიანი ზოგჯერ...

ქალმა მაგიდას, რომელიც საწოლის გვერდით იდგა, ხელი ჰკრა და გადააყირავა. მაგიდის უჯრა ძირს გადმოვარდა. უჯრიდან პოლის მაჯის საათი და ხურდა ფული გადმოცვივდა. პოლმა არც კი იცოდა, მისი ნივთები უჯრაში რომ იდო. კაცი შიშისგან მოიკუნტა.

- ალბათ ფიქრობ, გუშინ გავჩნდი ქვეყანაზე, - კბილებში გამოსცრა ქალმა. - სამსახურში ყოფნისას ბევრჯერ მინახავს, როგორ კვდება ადამიანი. ერთის კი არა, ასობით ადამიანის სიკვდილს შევსწრებივარ. ზოგს ხრიალით ამოსდის სული, ზოგი კი, როგორც შენ ბრძანე, ძილში მიდის ამქვეყნიდან. მაგრამ ნაწარმოების გმირებს ასე არ ემართებათ. ჩვენ ღმერთს მივყავართ ამქვეყნიდან, როდესაც ამის დრო მოვა. მწერალი ღმერთია თავისი პერსონაჟებისათვის. ის, როგორც ღმერთი, ქმნის მათ. არავის შეუძლია ღმერთის ზრახვებს ჩაწვდეს... მაშ, კარგი. ღმერთი ხარ და მიზერი მოაშორე ამ ქვეყანას. მაგრამ, ბინძურო გაიძვერა, ღმერთს ახლა ფეხები დამტვრეული აქვს, ჩემს სახლში ჩემს პურს ჭამს და...

ქალი წელში გაიმართა, ხელები უღონოდ ჩამოეკიდა, კედელზე პარიზის ტრიუმფალური თაღის სურათს მიაჩერდა და გაირინ-

და. პოლი საწოლში იწვა და ქვევიდან შეჰყურებდა. ბალიშს ყინულის კვალი მრგვალ ლაქებად ეტყობოდა. ესმოდა, როგორ წვეთავდა გატეხილი დოქიდან წყალი. პოლს სწორედ მაშინ გაჰკრა გულში, რომ კაცის მოკვლა შეეძლო. ეს კითხვა, რასაკვირველია, თეორიულად დაუსვამს კიდეც საკუთარი თავისთვის, მაგრამ პასუხი აქამდე არ ჰქონია. ქალს დოქი კარისთვის რომ არ მიენარცხებინა, პოლი თავად დაახეთქებდა მას იატაკზე და დაამტვრევდა. მერე ერთ ნამტვრევს ქალს პირში ჩათხრიდა, სანამ ასე გარინდული, ბოძივით იდგა.

პოლი უჯრიდან გადმოყრილ ნივთებს დააკვირდა. ხურდა ფული, კალამი, სავარცხელი და თავისი მაჯის საათი იატაკზე იყო მიმოფანტული. მაგრამ საფულე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ, მისი შვეიცარული ჯიბის დანა არსად ჩანდა.

ქალი გონს ნელნელა მოეგო. სიბრაზემაც თანდათან გაუარა. მან პოლს ნაღვლიანად დახედა და უთხრა:

- უკეთესია, წავიდე და გაგეცალო. არა მგონია, შენთან დარჩენა ახლა ჭკვიანური იყოს.

- სად მიდიხარ?

- რა მნიშვნელობა აქვს? ვიცი ერთი ადგილი. აქ რომ დავრჩე, რაღაც სისულელეს ჩავიდენ. უნდა წავიდე, ნახვამდის, პოლ.

ქალი კარისკენ წავიდა.

- წამლის დროს დაბრუნდები? - ჰკითხა აღელვებულმა პოლმა.

ქალმა სახელურს ხელი წაავლო და კარი გამოაღო. უსიტყვოდ გავიდა და პირველად ამ ხნის მანძილზე კარი გარედან გასაღებით ჩაკეტა.

პოლს ქალის ნაბიჯების ხმა თანდათან შორდებოდა. კაცი შიშმა აიტანა, როდესაც ენის გაბრაზებული ყვირილი კიდევ ერთხელ გაიგო. მერე ძირს რაღაც დავარდა და გატყდა. ენიმ კარი გაიჯახუნა. ძრავა ჩართო და მანქანა დაძრა. პოლმა ყური მიუგდო

თოვლზე ბორბლების ჭრიალის ხმას. მანქანის ხმა თანდათან სულ უფრო შორიდან ესმოდა. ბოლოს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

პოლი მარტო დარჩა, მარტო ენი უილკსის სახლში, ოთახში ჩაკეტილი და ლოგინს მიჯაჭვული. მანძილი აქედან დენვერამდე იყო... ალბათ იქნებოდა ასე, ბოსტონის ზოოპარკიდან აფრიკამდე.

პოლი საწოლში იწვა, ყელგამშრალი ჭერს შეჰყურებდა და გული გამალებით უცემდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისაღებ ოთახში საათმა დარეკა. შუადღე იყო... ზღვის მიქცევა იწყებოდა.

14

ორმოცდათერთმეტი საათი...

პოლმა ზუსტად იცოდა, რადგან საათების რაოდენობა ჩაინიშნა. იატაკზე დავარდნილ კალამს გაჭირვებით მისწვდა და აიღო. საათის ყოველ დარეკვაზე ვერტიკალურ ხაზს იხატავდა მკლავზე. ოთხ ვერტიკალურ ხაზზე მეხუთეს დიაგონალურად ამატებდა. როდესაც ენი მოვიდა, კაცს მკლავზე ათი ასეთი ჯგუფი და კიდევ ერთი ვერტიკალური ხაზი ეხატა. თავიდან კოხტა, სწორი ხაზები ჰქონდა. მაგრამ ხელების კანკალის მომატებასთან ერთად კლაკნილად გამოსდიოდა. საათის არც ერთი დარეკვა არ გამორჩენია. მართალია, თვლემდა, მაგრამ ღრმა ძილით არ ეძინა და საათის ხმა წამსვე აფხიზლებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფეხების ტკივილს შიმშილი და წყურვილიც დაერთო. ყველაფერი დოღს დაემსგავსა, სადაც „მეფე ტკივილი“ წინ მიჰქროდა, მას „მშია“ თორმეტიოდე ფერლონგით ჩამორჩებოდა, ხოლო „მშვენიერი წყურვილი“ სადღაც უკან, მტვერში ჩაკარგული ძლივს ჩანდა. თუმცა ქალის წასვლიდან მეორე დღეს, გამთენიისას დაწინაურებულ „მეფე ტკივილს“, ფაქტობრივად, არც ერთი კონკურენტი აღარ ჰყავდა.

პოლმა მთელი ღამე ძილბურანში გაატარა. ტანზე ცივი ოფლი ასკდებოდა და ფიქრობდა, ვკვდებიო. კაცი აღსასრულის მოახლოებას იმედით შეჰყურებდა, ვერც კი წარმოედგინა, ტკივილი ასეთი გაუსაძლისი თუ იქნებოდა. ხიმინჯები იზრდებოდა და იზრდებოდა. მკვდარი კიბორჩხალები და ცოცხალი ორგანიზმები ხიმინჯის ნაპრალებში ჩარჩენილიყო. რა ბედნიერები იყვნენ, ტკივილს ვერ გრძნობდნენ. დაახლოებით ღამის სამ საათზე მორალურად გატყდა და გულამოსკვნილი ტირილი ამოუშვა.

მეორე დღეს შუადღისას მიხვდა, ფეხებისა და მენჯის ტკივილის გარდა, იყო კიდევ სხვა რამ, რაც არანაკლებ ტანჯავდა. ეს

ნარკოტიკზე დამოკიდებულებით გამოწვეული საზარელი, შურისძიებისმაგვარი განცდა იყო. დაუყოვნებლივ სჭირდებოდა კაფსულები.

პოლმა გაიფიქრა: „იქნებ საწოლიდან გადავხოხდეო“. კარგად იცოდა, რომ გაუსაძლისი ტკივილი იატაკზე დაცემით გაუმწვავდებოდა და ეს აფრთხობდა. ყველაფერი ნათლად წარმოიდგინა: დავუშვათ, წვალებით გადასულიყო იატაკზე და ხოხვა ხოხვით, ლოკოკინასავით მიცოცებულიყო კართან, მერე? კარი ხომ ჩაკეტილი იყო და იქ, კართან, უნდა წოლილიყო?

სასოწარკვეთილმა ხელი ჰკრა საბანს და გადაიძრო. ამ ხნის მანძილზე პირველად დახედა თავის ფეხებს იმ იმედით, რომ იქნებ არც ისე ცუდად ყოფილიყო საქმე, როგორც საბნის ზემოდან ჩანდა. საქმე ცუდად არა, უარესად იყო. გულგახეთქილ პოლს რონალდ რეიგანის ერთერთი კინოგმირის სასოწარკვეთილი სიტყვები ჩაესმა, როდესაც მან თავის ამპუტირებულ კიდურებს დახედა: „სად არის ჩემი ფეხები?“

პოლის ფეხები კი, ვაი რომ, აქ იყო.

ძნელი დასაჯერებელი იყო, ამ ფეხებით ოდესმე გაევლო. ენის მათზე არტაშანი დაედო. პოლმა, რასაკვირველია, იცოდა, მაგრამ აქამდე არ ენახა. ორივე ფეხზე მუხლსქვემოთ თხელი, წრიული ფოლადის ჩხირები ჰქონდა შემოხვეული და ძალიან ჰგავდა მუმიის ფეხებს სარკოფაგში. კაცს მუხლები გვერდით უცნაურად ჰქონდა შეტრიალებული. ორივე ფეხი საშინლად გასიებოდა, ხოლო ცალი ბარძაყის შუა ნაწილი თაღივით იყო ამოზნექილი. თეძოები დეფორმირებული და განზე გაწეული ჰქონდა. პენისიც კი ალაგალაგ ჩალურჯებოდა.

პოლს თავიდან ეგონა, რომ ფეხები მუხლსქვემოთ ჰქონდა დამტვრეული. მაგრამ თურმე ორივე ფეხი მთლიანად ჰქონია დალეწილი. კაცმა კვნესა კვნესითა და ტირილით საბანი ისევ დაიხურა. საწოლიდან გადასვლა კი არა, აქ, საწოლზე უნდა გდებუ-

ლიყო სიკვდილამდე. არაადამიანური ტკივილი უნდა აეტანა, ვიდრე აღსასრული არ გაათავისუფლებდა მისგან.

მეორე დღეს დაახლოებით ოთხ საათზე „მშვენიერი წყურვილი“ გამოცოცხლდა. პოლს პირი და ყელი კარგა ხნის გამშრალი ჰქონდა, მაგრამ ახლა ენაც გაუსივდა. კაცის ფიქრი წყლის გატეხილი დოქს დასტრიალებდა.

თვლემდა, იღვიძებდა და ისევ თვლემდა. ამასობაში დაღამდა კიდეც. მოშარდვა მოუნდა. პენისი ზეწარში შეახვია, ვითომ ამით შარდს გაფილტრავდა და აკანკალებულ პეშვში მოშარდა. მერე რისი მიტანაც პირამდე შეძლო, დალია და სველი ხელისგულები გაილოკა. სცადა, ისე შეეხედა ამ ამბისთვის, როგორც გადამუშავების უწყვეტი ციკლისთვის.

პოლი დარწმუნებული იყო, რომ ქალი მოკვდა და აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ქალი არაჯანსაღი ფსიქიკის იყო და ასეთ ადამიანებს იმპულსური ქცევა ახასიათებთ. პოლი ცოცხლად ხედავდა, როგორ გადააყენა ენიმ გზის პირას თავისი მანქანა, რომელსაც „ბებერ ბესის“ ეძახდა და აცრემლებულმა წამოიძახა: „მიზერი მკვდარია, მე რაღად მინდა სიცოცხლე. მშვიდობით, ულმობელო წუთისოფელო!“ პირში თოფის ლულა ჩაიდო და სასხლეტი გამოსწია. პოლს ჩაეცინა, ცოტა ხანში დაიკვნესა, მერე ტკივილისაგან დაიღმუვლა. ქარიც მასთან ერთად ღმუოდა.

ან იქნებ ავარიაში მოყვა, - განაგრძო ფიქრი. - ეს შესაძლებელი იყო? რასაკვირველია. პოლი ხედავდა, როგორ მიაქროლებდა ქალი მანქანას და...

(„ასეთი ცოცხალი წარმოსახვა ჩვენს ოჯახში არავის ჰქონდა“ - გაახსენდა დედის სიტყვები.)

უცებ ქალი გაირინდა. მანქანა გზიდან გადავიდა, კლდეზე გადაიჩეხა და აფეთქდა. არც გაუგია, რომ კვდებოდა.

თუ ენი მკვდარი იყო, პოლიც უსათუოდ მოკვდებოდა, როგორც ვირთხა ხაფანგში. კაცს იმედი ჰქონდა,რომ გონებას და-

კარგავდა და ეს შვებას მოჰგვრიდა, მაგრამ რატომღაც გონებას არ კარგავდა. ოცდაათმა საათმა განვლო, მერე ორმოცი საათიც მიილია. ახლა „მეფე ტკივილი“ და „მშვენიერი წყურვილი“ გვერდიგვერდ მიჰქროდნენ. „მშია“ კარგა ხანია უკან ჩამოიტოვეს...

კაცი თავს ისე გრძნობდა, როგორც ანკესზე წამოგებული ჭიაყელა, რომელიც იგრიხება და სიკვდილს ელის.

ენის მოსვლა პოლს სიზმარი ეგონა. მაგრამ შემდეგ თავის გადარჩენის ცხოველურმა ინსტინქტმა იმძლავრა და კვნესა, ხვეწნა მუდარა და თავის შეცოდება სცადა.

ქალს მუქი ლურჯი კაბა ეცვა და თავზე ზუსტად ისეთივე ქუდი ეხურა, როგორითაც პოლმა ის დენვერის სასამართლო პროცესზე წარმოიდგინა.

ენის სახეზე საუცხოო ფერი ედო და თვალები მხიარულად უციმციმებდა. მშვენიერი შესახედი იყო. ქალი ალბათ ასეთი მშვენიერი არასოდეს ყოფილა. სრულებით არ ჰგავდა იმ ენი უილკსს, რომელიც პოლმა ადრე ნახა. კაცმა გაიფიქრა: „ქვრივს ჰგავს, რომელიც ათწლიანი უმამაკაცობის შემდეგ, როგორც იქნა, გაჟიმესო“.

ქალს ხელში წყლით სავსე დიდი ჭიქა ეჭირა.

- დალიე, - უთხრა მან და ჯერ კიდევ გრილი ხელი კეფასთან შეუცურა, რომ კაცს თავი წამოეწია და წყალი მოხერხებულად დაელია. პოლმა სამი დიდი ყლუპი ხმაურით მოსვა. გამშრალ ენაზე ფორები საოცრად გადიდებული ჰქონდა. სიჩქარეში ნაწილი ნიკაპსა და მაისურზე ჩამოეღვარა. ქალმა ჭიქა მოაცილა. პოლი ჭიქას აკანკალებული ხელით წაეტანა.

- არა, - უთხრა ქალმა. - არა, პოლ. ცოტცოტა უნდა დალიო, თორემ ღებინება აგიტყდება.

ცოტა ხნის შემდეგ ორი ყლუპი ისევ დაალევინა.

- წამალი, - თქვა კაცმა ხველებით. ტუჩებზე შერჩენილი ნამი შეისრუტა. ბუნდოვნად ახსოვდა, როგორ დალია თავისი შარდი, რა ცხელი იყო და რა მარილიანი გემო ჰქონდა. - გთხოვთ, კაფსულები მომიტანეთ, ენი. ღვთის გულისათვის, მიშველეთ. საშინლად მტკივა.

- ვიცი, მაგრამ ჯერ უნდა მომისმინო, - უთხრა ქალმა მკაცრი და თან დედობრივი გამომეტყველებით. - აქედან რომ წავედი, ბევრი ვიფიქრე. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად მოვიფიქრე, რადგან ხშირად გონებაამღვრეული ვარ. ეს ვიცი. ამ ამბავს შეგუებული ვარ. ამიტომ არ მახსოვს, სად ვიყავი. ვლოცულობდი. იცი, იქ ღმერთია. ლოცვაზე ის ყოველთვის მპასუხობს. ვლოცულობდი. ღმერთს ვევედრებოდი: „პოლ შელდონი ცოცხალი დამხვდესმეთქი“. ღმერთმა მიპასუხა: „ცოცხალია, მე ვზრუნავ მასზე. შენ შეგიძლია უჩვენო მას ჭეშმარიტების გზა“.

პოლს ძლივს ესმოდა ქალის სიტყვები. თვალმოუცილებლად შეჰყურებდა წყლიან ჭიქას. ქალმა კიდევ სამი ყლუპი დაალევინა. კაცმა ხმამაღლა ცხენივით მოხვრიპა და დააბოყინა. მერე დაიკვნესა, თითქოს მუცელი დანით დაესერაო. ქალი იდგა და მშვიდად შეჰყურებდა.

- წამალს მოგცემ და ტკივილი გაგიყუჩდება, ოღონდ ჯერ ერთი საქმე უნდა გააკეთო, პოლ. ახლავე დავბრუნდები, - თქვა მან და კარისკენ წავიდა.

- არა, - დაიკვნესა პოლმა.

ქალს ყურადღება არ მიუქცევია. პოლი საწოლში იწვა და ტკივილი ტანჯავდა. ცდილობდა, არ ეკვნესა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

პოლმა გაიფიქრა, ეს ყველაფერი აგონია ხომ არ იყოო. მალე ენი შემოვიდა და ნახშირის გრილი შემოიტანა.

- ენი, საშინლად მტკივა, - თქვა პოლმა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუგორდა ლოყებზე.

- ვიცი, ძვირფასო, - მიუგო ქალმა და ლოყაზე აკოცა. მისი ტუჩები ბუმბულივით ნაზად შეეხო პოლის ლოყას. - ახლავე.

ქალი ისევ გავიდა. პოლი უაზროდ შეჰყურებდა ნახშირის გრილს. საგანი, რომელიც, როგორც წესი, ეზოში დგას, ახლა აქ, ოთახში იყო და კერპებისა და სასტიკი მსხვერპლშეწირვის ასოციაციას იწვევდა. მსხვერპლი რა უნდა ყოფილიყო, ალბათ ენიმ იცოდა. ის დაბრუნდა, ცალ ხელში „სწრაფი მანქანების“ ხელნაწერი ეჭირა - პოლის ორწლიანი შრომის ნაყოფი და ერთადერთი ეგზემპლარი. მეორე ხელით კი ასანთი მოჰქონდა.

- არა, - წამოიძახა პოლმა. ატირდა და კანკალმა აიტანა. ტვინს უჭამდა და მჟავასავით წვავდა ერთი ფიქრი: ბოულდერში ას დოლარზე ნაკლები დაუჯდებოდა ხელნაწერის ფოტოასლის გაკეთება. ყველა ეუბნებოდა - ბრაისი, ყოფილი ცოლები, დედაც კი - შენი ნამუშევრების ერთი სათადარიგო ასლი მაინც გააკეთე ხოლმე და სადმე ცალკე შეინახეო. ხომ შეიძლება, სასტუმრო „ბოულდერადოს“ ან მის ბინას ნიუიორკში ცეცხლი გაუჩნდეს, ტორნადომ გადაუაროს, წყალმა წალეკოს ან სხვა ბუნებრივი კატასტროფა მოხდესო. პოლი კი ჯიუტად იდგა უარზე არცთუ დამაჯერებელი მიზეზის გამო: ასლების გაკეთება შეიძლება უბედურების მომტანი გახდესო.

უბედურება და ბუნებრივი კატასტროფა ახლა აქ ერთად დაატყდა თავს. ოთახში ქარიშხალი ენი დათარეშობდა. ქალს თავისი მიამიტობით თავში არასოდეს მოუვიდოდა, რომ „სწრაფი მანქანების“ ასლი სადმე იქნებოდა. ეჰ, იმ ხალხისთვის რომ დაეჯერებინა... ასი დოლარი რომ გაემეტებინა...

- აბა, - თქვა ქალმა და პოლს ასანთი გაუწოდა. ხელნაწერი, რომლის სათაური თეთრ ქაღალდზე იყო დაბეჭდილი, ქალს კალთაში ედო. ჯერ ისევ ნათელი, დაწყნარებული სახე ჰქონდა.

- არა, - თქვა პოლმა და სიცხისგან ანთებული სახე გვერდზე შეატრიალა.

- კი, - მიუგო ქალმა, - უხამსია და კარგადაც არ არის დაწერილი.

- შენ რა იცი, რა არის კარგი. ახლოს რომ მოვიდეს და ცხვირი მოგაჭამოს, ამას მაშინაც ვერ მიხვდები. - იყვირა პოლმა, სულ არ ენაღვლებოდა, ქალი რას იფიქრებდა.

ქალმა ისე მშვიდად გაიცინა, თითქოს ხასიათი სავსებით შეეცვალაო. პოლი კარგად იცნობდა ენი უილკსს. შეიძლებოდა

მშვენიერი განწყობით ეთქვა: „უშენოდ ვეღარ გავძელი. რას შვრები, როგორა ხარო“.

- ჯერ ერთი, „კარგი“ ცხვირს არ მომაჭამს, - უთხრა ქალმა, - ცხვირი შეიძლება „ცუდმა“ მომაჭამოს და, მეორე, „კარგი“ კარგად ვიცი, რაც არის. კარგი შენ ხარ, პოლ. მაგრამ ცოტა დახმარება და ხელის წაშველება გჭირდება. აჰა, ასანთი გამომართვი.

- არა, - მტკიცედ გააქნია თავი პოლმა.

- კი.

- არა!

- კი.

- არა მეთქი, ეშმაკმა წაიღოს!

- ყველა სალანძღავი სიტყვაც რომ თქვა, ვერ გამაკვირვებ.

- ამას არ გავაკეთებ, - თქვა პოლმა და თვალები დახუჭა.

როდესაც გაახილა, დაინახა, რომ ქალს ხელში მუყაოს კოლოფი ეჭირა, რომელზეც გარდიგარდმო კაშკაშა, ლურჯი ასოებით ეწერა: „ნოვრილი“, დაბლა კი წითლად: „ნიმუში“ და „რეცეპტის გარეშე არ გაიცემა“. გამაფრთხილებელი სიტყვების ქვეშ კი ოთხი ცალი კაფსულა ეხატა. პოლი წაეტანა, მაგრამ ენიმ კოლოფი გასწია.

- როდესაც დაწვავ, ოთხ ცალ კაფსულას მოგცემ, მთელ ოთხ ცალს ერთად და ტკივილიც უკვალოდ გაქრება. ისევ დამშვიდდები. მე კი ამასობაში თეთრეულს გამოგიცვლი. ზეწარი სველი გაქვს. არასასიამოვნოა ალბათ სველ საწოლში წოლა. თეთრეულს გამოგიცვლი და შენც უნდა შეგცვალო.

ალბათ გშია. წვნიანსა და უკარაქო ტოსტს მიატან. მაგრამ ჯერ უნდა დაწვა, პოლ! თუ არადა, მაპატიე, მაგრამ ვერაფერს გავაკეთებ.

„კარგიო“, - უნდოდა ეთქვა პოლს, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. გვერდზე გაიხედა და მაცდუნებელ მუყაოს კოლოფს თვალი აარიდა.

- სატანა ხარ, - უთხრა პოლმა ენის.

ქალის გაცოფებას ელოდა, მაგრამ ამის ნაცვლად შემწყნარებლური სიცილი გაიგო, რომელშიც კარგად ნაცნობი სევდა იყო გარეული.

- დიახ, დიახ, - დაიწყო ქალმა, - ასე ფიქრობს ბავშვი, როდესაც დედა სამზარეულოში შემოდის და ხედავს, რომ მისი ვაჟი ჭურჭლის სარეცხი სითხით ნიჟარის ქვეშ თამაშობს. როგორც შენ თქვი, ბავშვი ისე ვერ იტყვის, რადგან ის შენნაირი განათლებული არ არის. ის მარტივად ეტყვის დედას: „დედიკო, რა ცუდი ხარ!“

ქალმა პოლს გახურებული შუბლიდან თმა გადაუწია. ხელი ლოყაზე ჩამოუსვა, კისრამდე ჩამოაცურა და მხარზე თანაგრძნობით მოუჭირა. მერე ხელი უკან წაიღო.

- დედას, რასაკვირველია, არ მოსწონს, როდესაც შვილი ეტყვის: „დედიკო, რა ცუდი ხარო“. დედამ იცის, რომ მართალია და თავის მოვალეობას ასრულებს, როგორც ახლა მე.

ენიმ მოხრილი თითები სამჯერ დაჭკრა ხელნაწერს, რომელიც 190 000 სიტყვისგან შედგებოდა, სადაც ხუთი პერსონაჟი მონაწილეობდა და რომელსაც ჯანმრთელი პოლ შელდონი ძალიან უფრთხილდებოდა. მაგრამ ახლა 190 000 სიტყვა და ხუთი პერსონაჟი ბევრად ადვილი გასამეტებელი იყო.

აბები, დაწყევლილი აბები, ახლა ეს იყო მთავარი. წიგნის პერსონაჟები ბუნდოვანი ლანდებივით ჩანდნენ. აბები კი რეალობა იყო.

- პოლ?

- არა! - ამოიკვნესა პოლმა.

- პოლ? - ქალმა ასანთის კოლოფი შეარხია და ღერები გააჩხაკუნა.

-არა!

- გელოდები, პოლ.

„ღვთის გულისათვის, როგორ იქცევი? რომაელი გმირი ჰორაციუსი გგონია თავი? ჰორაციუსი, რომელიც ხიდს ეტრუსკების შემოტევისაგან იცავდა. ვის მოხიბვლას ცდილობ? ეს კინოა თუ სატელევიზიო შოუ? სიმამაცისთვის მაყურებელთა აპლოდისმენტებს ელოდები? გააკეთე, რასაც გეუბნება. თუ არადა, მოკვდები და ის ხელნაწერს მაინც დაწვავს. რას აპირებ? აქ უნდა იწვე და იტანჯო იმ წიგნის გამო, რომლის გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობა ალბათ მიზერის შესახებ დაწერილთა შორის ყველაზე წარუმატებელი გამოცემის გაყიდული რაოდენობის ნახევარსაც კი ვერ მიაღწევს. პიტერ პრესკოტი კი თავის მშვენიერ, თავაზიან ირონიას მოიშველიებს და წიგნს ჟურნალ „ნიუსუიკში“ გააკრიტიკებს. გონს მოდი, გონს! ინკვიზიციის წინაშე თვით გალილეო გალილეიმ დაიხია უკან“.

- პოლ, გელოდები, - თქვა ზანტად ქალმა, - შემიძლია მთელი დღე გელოდო. მაგრამ იცოდე, თუ გააჭიანურებ, კომაში ჩავარდები. ისედაც გაქვს ამის წინაპირობები, თან უამრავი...

„კარგი, მომეცი ეგ ოხერი ასანთი. უმჯობესია ჩირაღდანი, არა, ბირთვული იარაღი იყოს, ყველაზე უკეთ ის ააფეთქებს, ბებერო კუდიანო!“ - ასე ფიქრობდა პოლის გონების ის ნაწილი, რომელიც სიტუაციას შეეგუა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ნახევრად კომატოზურ მდგომარეობაში იყო, სიბნელეში მოთქვამდა: „190 000 სიტყვა, ხუთი მოქმედი პერსონაჟი, ორი წლის თავაუღებელი შრომა და, რაც მთავარია, სიმართლე! ეშმაკმა წაიღოს, შენი სიმართლე, ისეთი სიმართლე, მარტო შენ რომ წარმოგიდგენია და გესმის“.

საწოლმა დაიჭრიალა, ქალი ფეხზე წამოდგა.

- ძალიან ჯიუტი ბიჭი ყოფილხარ, პოლ, - თქვა ქალმა, - მთელი ღამე აქ ხომ არ ვიჯდები... თითქმის მთელი საათი დამჭირდა მანქანით უკან დასაბრუნებლად... ცოტა ხანში ისევ მოვალ და ვნახავ, აზრი შეიცვალე თუ არა.

- შენ დაწვი მაშინ, - იყვირა პოლმა.

ქალი მობრუნდა და პოლს შეხედა.

- არა, - მიუგო ქალმა. - არ შემიძლია. სიამოვნებით გავაკეთებდი და გიხსნიდი ამ ტანჯვისა და აგონიისგან, მაგრამ...

- მაგრამ რა?

- ეს შენ უნდა გააკეთო, პოლ. შენი ნებით უნდა გააკეთო.

კაცმა გაიცინა. ქალს, დაბრუნების შემდეგ პირველად, სახე ძველებურად მოექუფრა. მან ხელნაწერი იღლიაში ამოიდო და ოთახიდან გავიდა.

18

ერთი საათის შემდეგ, როდესაც ენი დაბრუნდა, კაცმა ასანთი აიღო. ქალმა წიგნის თავფურცელი გრილზე დადო. პოლმა ასანთის ლურჯთავიანი ღერი გამოაძრო და ანთება სცადა, მაგრამ ვერ გაჰკრა, აუცდა. მეორე ღერი ძირს დაუვარდა. ენიმ ასანთი გამოართვა, აანთო და ანთებული ღერი პოლს მიაწოდა. პოლმა ქაღალდის კუთხეს ასანთის ღერი მიადო, მერე ანთებული ღერი ზედ დააგდო და ფურცელს მიაშტერდა, თითქოს სანახაობამ დაატყვევაო. ალი ფურცელს მოედო და ჩაყლაპა. ენის ბარბეკიუს ჩანგალი ეჭირა. როდესაც ბადეზე ფურცელი გაშავდა და დაიგრიხა, ქალმა ნამწვი ჩანგლით ქვევით ჩააგდო.

- ამას საუკუნე დასჭირდება, - თქვა კაცმა, - არ შემიძლია.

- არა, საქმე სწრაფად წავა, - მიუგო ქალმა, - ოღონდ რამდენიმე გვერდი ცალცალკე უნდა დაწვა, როგორც შენი თანხმობის გამოხატულება და დასტური.

ქალმა ახლა „სწრაფი მანქანების“ პირველი გვერდი დადო გრილზე. პოლს ამ გვერდზე ოცდაოთხი თვის წინ ნიუიორკის ბინაში დაწერილი სიტყვები გაახსენდა: „არა, ბორბლები არ გამაჩნია, - თქვა ტონი ბონასარომ, რომელიც გოგონას შესახვედრად კიბეს აუყვა. - არც სწრაფად ამთვისებელი მოსწავლე ვარ, მხოლოდ სწრაფი მძღოლი ვარ“.

პოლის გონებაში იმ დღემ ძველი, პოპულარული კინოკადრებივით გაიელვა. გაახსენდა, იდეებით დატვირთული და, ამავე დროს, შემოქმედებითი ტკივილით აღსავსე როგორ დადიოდა ოთახიდან ოთახში. მოაგონდა, იმ დილას დივანზე, ბალიშის ქვეშ ჯოანას ლიფი იპოვა. ქალს პოლი სამი თვის მიტოვებული ჰყავდა. ეჰ, ასე მუშაობს დასუფთავების სამსახურიო, გაიფიქრა კაცმა მაშინ. გაახსენდა, ნიუიორკის ტრანსპორტის მოძრაობის ხმა მის

ყურამდე შორიდან როგორ აღწევდა. მერე ეკლესიის ზარების ხმა ჩაესმა, რომელიც მლოცველებს წირვაზე უხმობდა.

გაახსენდა, როგორ დაჯდა სამუშაოდ. გულში ყოველთვის შვებას გრძნობდა, როდესაც ახალ საქმეს იწყებდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს კაშკაშა შუქით განათებულ ორმოში ჩავარდა.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეჭვობდა, რომ სათქმელის სიტყვებით გადმოცემას ვერ შეძლებდა. როგორც ყოველთვის, შიშობდა, რომ რომანს ვერ დაასრულებდა და სადღაც გაიხლართებოდა.

თან გულში საოცარ სიხარულსაც გრძნობდა. იმ სიხარულს, რომელიც მოგზაურობის დაწყებას ახლავს ხოლმე.

პოლმა ქალს შეხედა და ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით უთხრა: - ენი, ძალიან გთხოვ, ამას ნუ გამაკეთებინებ.

ქალმა მტკიცე ხელით ასანთი გაუწოდა და უპასუხა:

- თუ გადაწყვეტ, შეასრულებ კიდეც.

პოლმა თავისი წიგნი დაწვა.

19

ქალმა ხელნაწერის პირველი და ბოლო გვერდები, ასევე სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული ცხრა წყვილი დააწვევინა, რადგან თქვა, ციფრი ცხრა ძალას გამოხატავს, ხოლო ორჯერ ცხრა იღბლიანი ციფრიაო. პოლმა შენიშნა, რომ ქალს ჩანიშნული ჰქონდა ხელნაწერის წაკითხული მონაკვეთის ის გვერდები, სადაც, მისი აზრით, ღვთისმგმობი სიტყვები ეწერა.

- ახლა, - თქვა ქალმა, როდესაც მეცხრე წყვილი დაიწვა, - კარგი ბიჭი ხარ. ვიცი, ამის კეთება ფეხების ტკივილზე არანაკლებ მტანჯველია. ასე რომ, მეტს აღარ გავაგრძელებ.

ენიმ გრილი პოლის საწოლს ცოტა მოაცილა და ხელნაწერის დარჩენილი გვერდები სხვა დამწვარ ფურცლებთან ჩაუშვა. ოთახში ასანთისა და დამწვარი ქაღალდის მძაფრი სუნი იდგა. „ასეთი სუნი ალბათ დემონის გარდერობში დგას“, - გაიფიქრა განაწამებმა პოლმა. - „ეს სუნი დედის რძესაც არ შეგარჩენს“.

ქალმა ასანთის კიდევ ერთი ღერი აანთო და პოლს მიაწოდა. პოლი

გადმოიხარა და გრილზე დააგდო. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, აღარაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

ქალმა პოლი შეანჯღრია. დაქანცულმა კაცმა თვალი გაახილა.

- ჩაქრა, - უთხრა ქალმა. კვლავ აანთო ასანთი და პოლს დააჭერინა.

პოლი გაჭირვებით ისევ გადმოიხარა, რის გამოც ფეხებში ტკივილმა მარწუხებივით მოუჭირა. კაცმა გროვად ჩაყრილი ხელნაწერი ფურცლების კუთხეს ანთებული ასანთის ღერი მიადო. ხელნაწერს ცეცხლი წაეკიდა.

პოლი ბალიშზე გადაწვა და თვალდახუჭული ისმენდა ტკაცატკუცს.

- ღმერთო ჩემო! - გაიგო ქალის შეშფოთებული ხმა.

კაცმა თვალი გაახილა. დამწვარი ქაღალდის ნაფლეთები ჰაერში დაფრინავდა. ენი ოთახიდან გავარდა. პოლმა ონკანის მოშვებისა და ვედროში წყლის ჩხრიალის ხმა გაიგო. კაცი ზანტად ადევნებდა თვალს, როგორ დაფრინავდა ჰაერში დამწვარი ხელნაწერის შავი ნაკუწები. ერთი ნაგლეჯი თხელ ფარდას მოედო. უცებ ნაპერწკალი გაკრთა. პოლს ეგონა, საცაა ოთახში ცეცხლი გაჩაღდებაო, მაგრამ ნაპერწკალმა ერთხელ კიდევ იელვა და ჩაქრა. ფარდაზე პაწაწინა ნახვრეტი დატოვა, როგორც სიგარეტით ამოწვის დროს. ფერფლი საწოლზე ცვიოდა. ნაწილი კაცს მკლავებზე დაეფინა, მაგრამ პოლს ეს არ ანაღვლებდა.

ოთახში ენი შემოვიდა. თვალებს აცეცებდა და დანახშირებული ნაფლეთების ფრიალს შეჰყურებდა. გრილიდან კი ცეცხლის ალი ისევ ამოდიოდა.

- ღმერთო ჩემო, - გაიმეორა მან. ვედრო მოიმარჯვა და მიმოიხედა. ცდილობდა გაეგო, წყალი სად დაესხა. ტუჩებზე დუჟი მოსდებოდა და უკანკალებდა. პოლმა შენიშნა, რომ ქალმა ენა გამოყო და ტუჩები გაილოკა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემოო“ - მხოლოდ ამის თქმა შეეძლო.

პოლმა, ტკივილის მარწუხებში მოქცეულმაც კი, სიამოვნება განიცადა, როდესაც ენის შეშინებული სახე დაინახა. ქალის ამ გამომეტყველებამ კაცი ძალიან გაახარა.

ახლა სხვა ნაგლეჯი აფრინდა, რომელიც მოლურჯო ალში იყო გახვეული. ქალმა კიდევ ერთხელ წამოიძახა: „ღმერთო ჩემოო“ და გრილს ვედროდან წყალი ფრთხილად დაასხა. საზარელი შიშინის ხმა გაისმა და იისფერი კვამლი ავარდა. მერე სინოტივის სუნი დადგა.

როდესაც ქალი გავიდა, პოლმა ერთხელ კიდევ წამოიწია იდაყვებზე და გრილს გახედა, რომელიც კუნძივით ეგდო ბინძურ და გულისამრევ გუბურაში.

ცოტა ხნის შემდეგ ენი უილკსი დაბრუნდა. დაუჯერებელია, ქალი ღიღინებდა. მან პოლი წამოაჯინა და პირში კაფსულები ჩაუყარა. კაცმა გადაყლაპა და ისევ დაწვა. თან ფიქრობდა: „ამ ქალს მოვკლავ, აუცილებლად მოვკლავ“.

- ჭამე, - შორიდან ჩაესმა ქალის ხმა. პოლი ყრუ ტკივილს გრძნობდა. მან თვალი გაახილა და დაინახა, რომ ენი გვერდით ეჯდა. ამ ხნის მანძილზე პოლი პირველად იჯდა საწოლზე. კაცს შეეძლო პირდაპირ, და არა ქვევიდან, დაენახა ქალის სახე. მისი დანისლული გონება მიხვდა, რომ ამ მარადისობასავით გაწელილი დროის მანძილზე პირველად იჯდა. წარმოგიდგენიათ, იჯდა.

- ამის დედაც, - გაიფიქრა კაცმა. თვალები თავისთავად ეხუჭებოდა. ზღვის მოქცევა მოსულიყო და ხიმინჯები დაეფარა. ბოლოს და ბოლოს მოვიდა ეს ნანატრი მოქცევა და სანამ წავიდოდა, მის ტალღებში ერთი გემრიელად უნდა ენებივრა. ვინ იცის, იქნებ შემდგომში აღარც კი გამოჩენილიყო. ჰოდა, წამოჯდომაზე მერეც მოასწრებდა ფიქრს.

- ჭამე, - გაუმეორა ქალმა. პოლს გამჭოლი ტკივილი ისევ დაუბრუნდა. რაღაცამ გაიზუზუნა მისი თავის ქალის მარცხენა ნაწილში. კაცს კვნესა აღმოხდა.

- ჭამე, პოლ! უნდა ჭამო, თუ გინდა, რომ მოერიო... თუ არადა...

ქალმა პოლს ყურის ბიბილოზე უჩქმიტა.

- ღვთის გულისათვის, ყურზე ნუ მექაჩები, - წაილუღლუღა კაცმა.

პოლმა თვალები ძლივს გაახილა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქუთუთოებზე ლოდები ეკიდა. როგორც კი პირი ოდნავ გააღო, კოვზი წამსვე მის პირში აღმოჩნდა. რომ არ დამხრჩვალიყო, პოლმა ცხელი წვნიანი მაშინვე გადაყლაპა.

უცბად საიდანღაც არარსებული დიქტორის ხმა ჩაესმა: „ქალბატონებო და ბატონებო“... „მშია“ ისევ წინ გაიჭრა.

წვნიანის პირველმა კოვზმა კაცის კუჭნაწლავი თითქოს ჰიპნოზური ტრანსიდან გამოაფხიზლა. პოლმა სწრაფად დაიწყო

ლუკმების ყლაპვა. ეჩვენებოდა, რომ კი არ ნაყრდებოდა, უფრო და უფრო შივდებოდა.

პოლს ბუნდოვნად ახსოვდა, როგორ გააგორა ქალმა ახრჩოლებული გრილი ოთახიდან და რაღაც შემოაგორა. ნარკოტიკით გაბრუებულმა და დანისლულმა კაცის გონებამ ის რაღაც მაღაზიის ურიკად აღიქვა. ამ ამბავს არც გაოცება გამოუწვევია და არც ინტერესი. ბოლოს და ბოლოს ენი უილკსის სტუმარი იყო და ამ უცნაურ სახლში ბარბეკიუ, მაღაზიის ურიკა, პარკინგის დანადგარი, ზარბაზანიც კი გასაკვირი სულაც არ იყო.

კაცი მოგვიანებით მიხვდა, რომ მაღაზიის ურიკა ინვალიდის ეტლი იყო და ის ამ ეტლში იჯდა. დამტვრეული ფეხები წინ გახევებული ელაგა, ხოლო გადიდებული და გასიებული მენჯით უხერხულად იჯდა.

„ეტლში ალბათ მაშინ გადმომიყვანა, როდესაც გავითიშე“, - გაიფიქრა კაცმა. - „ეს რა ძალა ჰქონია“.

- მორჩა, - თქვა ქალმა. - მიხარია, კარგად რომ ჭამე, პოლ. მჯერა, გამოკეთდები. თუმცა ჯერ ვერ იტყვი, ძველებურად კარგად ვარო, მაგრამ თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დარწმუნებული ვარ, მშვენივრად გამოჯანმრთელდები... ახლა თეთრეულს გამოგიცვლი, შემდეგ - ტანსაცმელს. მერე ძლიერი ტკივილი თუ არ გექნება და ისევ გეშიება, ტოსტს გაჭმევ.

- გმადლობთ, ენი, - უთხრა პოლმა თავაზიანად. გულში კი გაიფიქრა: „შენი... თუ შევძელი, დედას გიტირებ, ენი უილკს, ეს იცოდე!“

21

ოთხი საათის შემდეგ ისევ საწოლში იწვა. ერთი კაფსულა „ნოვრილისათვის“ თავის ყველა წიგნს დაწვავდა. ჯდომისას ისე არ შეწუხებულა, როგორც ახლა. თითქოს წელს ქვევით ფუტკრების მთელი არმია შეესიაო. კაცმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იყვირა. მას შემდეგ რაც შავ ღრუბელს თავი დააღწია, ასე ხმამაღლა არ უყვირია. ეტყობა, საჭმელმა იმოქმედა და ენერგია მისცა.

პოლმა წარმოიდგინა, როგორ იდგა ქალი კარებთან საკმაოდ დიდხანს და კარის სახელურს ან თავის ხელისგულზე ხაზებს მისჩერებოდა. მერე, როგორც იქნა, შემოვიდა.

- აჰა, აიღე, - უთხრა ენიმ და ორი კაფსულა მიაწოდა.

პოლმა გადაყლაპა და წყლის დალევის დროს ჭიქა რომ ნაკლებად შექანებულიყო, ქალის მაჯას მოჰკიდა ხელი.

- ქალაქიდან ორი საჩუქარი ჩამოგიტანე, - უთხრა ენიმ, როდესაც გაიმართა.

- მართლა? - ჩაილაპარაკა კაცმა.

- ერთი ესაა, - ენიმ ეტლზე მიუთითა, რომელიც კუთხეში იდგა და ფეხების დასადები წინ ჰქონდა გამოწეული, - მეორეს ხვალ გაჩვენებ. ახლა კი დაიძინე, პოლ.

22

პოლმა დიდხანს ვერ დაიძინა. რადგან წამლის ზემოქმედება ფიქრის საშუალებას აძლევდა, შექმნილ მდგომარეობას ჩაუკვირდა. პოლს ფიქრი დაწერილი წიგნის განადგურებაზე შედარებით იოლი ეჩვენებოდა. ფიქრის დროს სხვადასხვა მოვლენისა და ფაქტის ისე დაკავშირება შეიძლებოდა, როგორც ქსოვილის ნაირფერი ნაჭრები უკავშირდება ერთმანეთს დალიანდაგებულ საბანზე.

როგორც ენიმ თქვა, მეზობლები, რომლებსაც ქალი არ მოსწონდათ, ამ ადგილიდან რამდენიმე მილის მოშორებით ცხოვრობდნენ. რა გვარის ხალხიაო, რა თქვა? ბოინტონები. არა, გამახსენდა, მათი გვარი როიდმანია. კარგი, მაგრამ ქალაქიდან რა მანძილზე ვართ? ალბათ არც მაინც და მაინც შორს. ასე, თხუთმეტიდან ორმოცდახუთი მილის დაშორებით. ენი უილკსის და როიდმანების სახლი ამ რადიუსში უნდა იყოს. ქალაქი საიდუინდერი ალბათ ისეთი პატარაა...

...ჩემი მანქანა, ჩემი „კამაროც“ ხომ სადღაც ამ რადიუსში იქნება. ნეტავ

იპოვა პოლიციამ? ალბათ, ვერა.

პოლი ცნობილი პიროვნება იყო. თუ მის სახელზე რეგისტრირებული მანქანა იპოვეს, არ გაუჭირდებოდათ იმის დადგენა, რომ პოლი ერთხანს ქალაქ ბოულდერში ცხოვრობდა, საიდანაც გაუჩინარდა. დამტვრეული და ცარიელი მანქანა რომ ეპოვათ, ძებნას დაუწყებდნენ. ალბათ ამ ფაქტის შესახებ ახალ ამბებშიც...

...მაგრამ ენი ტელევიზორში ახალ ამბებს ხომ არასოდეს უყურებს და არც რადიოს უსმენს. თუმცა იქნებ ყურსასმენიანი რადიო აქვს.

პოლი შერლოკ ჰოლმსის შესახებ ერთერთი მოთხრობის უმწეო ძაღლს ჰგავდა, რომელსაც ყეფა არ შეეძლო.

...რაც შეეხება მანქანას, ალბათ ვერ იპოვეს, რადგან პოლიციელები არ მოსულან. რომ ეპოვათ, ამ რადიუსში ყველა სახლს გაჩხრეკდნენ, ასე არ არის? ახლომახლო რამდენი სახლი იქნება? როიდმანების და ენი უილკსის გარდა, ალბათ ასე, ათი, თორმეტი.

თუ ჯერ მანქანა არ უპოვიათ, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ვერასოდეს იპოვიდნენ. პოლის წარმოსახვამ ფრთა გაშალა (წარმოსახვამ, რომლის მსგავსი დედამისის ნათესავებიდან არავის ჰქონდა). პოლიციელი მაღალი, მკაცრი, მაგრამ სიმპატიური სახის ადამიანი იქნებოდა. სახეზე ოდნავ გრძელი ბაკენბარდები ექნებოდა. მზის სათვალე ეკეთებოდა, რომლის შუშა მასთან მოსაუბრე ადამიანის სახეს აირეკლავდა. პოლიციელი ალბათ ცენტრალური შტატებისათვის დამახასიათებელი კილოთი ისაუბრებდა:

...ჰამბაგის მთაზე გადაბრუნებული მანქანა ვიპოვეთ, რომელიც ცნობილ მწერალს, პოლ შელდონს ეკუთვნის. მანქანის სალონში სისხლის კვალი აღმოვაჩინეთ, მაგრამ პიროვნებას ვერსად მივაგენით. ალბათ მანქანიდან გადმობობღდა და სადმე წავიდა. საოცარია, რომ...

სასაცილოა, ამ ფეხებით სადმე წასვლა. მაგრამ პოლიციელებმა ხომ არ იცოდნენ, რა დღეში ჰქონდა პოლს ფეხები. რადგან პოლი იქ, მანქანის ახლომახლო ვერ იპოვეს, მათ ალბათ ივარაუდეს, შესაძლოა, კაცს საკმაო ძალა ჰქონოდა, რომ ცოტა მანძილი მაინც ფეხით გაევლოო. ამგვარი დასკვნა მოტაცების ვერსიას სრულებით გამორიცხავდა. ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე მაინც.

...ქარბუქის დროს გზაზე ხომ არ შეგინიშნავთ დაახლოებით ორმოცდაორი წლის, მაღალი, ჟღალთმიანი მამაკაცი, რომელსაც ჯინსის შარვალი, კუბოკრული ფლანელის პერანგი და ქურთუკი ეცვა?

ენი პოლიციელს სამზარეულოში ყავით გაუმასპინძლდებოდა და ალბათ მხედველობიდან არ გამორჩებოდა, რომ სამზარეულოში შემავალი ყველა და, რა თქმა უნდა, საძინებლის კარიც დაკეტილი ყოფილიყო, რომ პოლის კვნესას სამზარეულოში არ შეეღწია.

...არა, ოფიცერო, არავინ მინახავს. ქალაქიდან სასწრაფოდ წამოვედი, რადგან ტონი რობერტსმა მითხრა, ქარიშხალი სამხრეთისკენ სულაც არ მიდისო.

კეთილი, იტყვის პოლიციელი, ყავის ჭიქას მაგიდაზე დადგამს და წამოდგება.

თუ ამ აღწერილობის ადამიანი სადმე ნახეთ, აუცილებლად გვაცნობეთ. ის ძალიან ცნობილი პიროვნებაა, „ფიფლსა“ და სხვა ჟურნალებშიც ბეჭდავდა.

უსათუოდ! - ჰპირდება ენი უილკსი. პოლიციელი მიდის.

იქნებ ეს ამბავი ერთხელ უკვე მოხდა და პოლს ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. შეიძლება პოლიციელი ან პოლიციელები მოვიდნენ ენი უილკსის სახლში. პოლს კი, ნარკოტიკით გაბრუებულს ეძინა. ღმერთმა იცის, რამდენი დრო ჰქონდა ძილში გატარებული. მაგრამ რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო დაუჯერებლად ეჩენებოდა ეს ამბავი, რადგან ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, ცნობილი პიროვნება იყო. პოლის შესახებ სტატია ჟურნალ „ფიფლში“ მისი პირველი ბესტსელერის გამო დაიბეჭდა, ხოლო ის ჟურნალ „ასში“ პირველი განქორწინების გამო მოხვდა. მის შესახებ სხვა ჟურნალებიც წერდნენ. პოლმა კარგად იცოდა, ვინმე ძალიან ცნობილი კი არა, ნაკლებად ცნობილი პიროვნებაც რომ გაუჩინარებულიყო, ფეხზე დადგებოდა ქვეყნიერება.

„ეს მხოლოდ ვარაუდია“, - გაუმხილა პოლმა საკუთარ თავს. მაგრამ ვარაუდსა და დასკვნებზე ფიქრი აქ უსაქმოდ წოლას ნამდვილად სჯობდა.

გზას დამცავი მოაჯირები ჰქონდა? პოლს მსგავსი არაფერი ახსოვდა. მოაგონდა, რომ სიგარეტის ასაღებად გადაიხარა და უცებ მიწა და ცა ერთმანეთში აირია. მერე მოვიდა სიბნელე. მაგრამ ისევ დედუქციის მეთოდს თუ მიმართავდა და შედეგის მიხედვით იმსჯელებდა, ალბათ გზას მოაჯირები არ ჰქონდა, რადგანგაგლეჯილი მოაჯირის გამო საგზაო პოლიცია აუცილებლად ატეხდა განგაშს.

მაშ, რა მოხდა სინამდვილეში? პოლმა კონტროლი დაკარგა და საჭე ვერ დაიმორჩილა იმ ადგილას, რომელიც არც ისე სახიფათო იყო. სახიფათო არა, მაგრამ საკმაოდ დამრეცი უნდა ყოფილიყო, რომ მანქანა გადაბრუნებულიყო, უფრო ციცაბოს კი დამცავი მოაჯირები ექნებოდა. ციცაბო გზაზე ვერც ენი უილკსი მივიდოდა პოლის მანქანამდე და კაცს მარტოდმარტო ვერ წამოათრევდა.

რაკი ასეა, მაშ, სად უნდა იყოს პოლის მანქანა? ალბათ სადმე თოვლშია დამარხული.

პოლმა თვალები მკლავებით დაიფარა და თოვლსაწმენდი მანქანა დაინახა, რომელიც იმ ადგილისაკენ მიემართებოდა, სადაც კაცს ორი საათის წინ ავარია შეემთხვა. მანქანა საღამოს ბინდბუნდში ღია ფორთოხლისფერ ბურთულასავით ჩანდა. თბილად შეფუთულ მძღოლს თავზე მემანქანის ძველმოდური კეპი ეხურა. მის მარჯვნივ ფერდობის ძირას პოლ შელდონის „კამარო“ ეგდო. მანქანას უკანა ბამპერზე გახუნებული ცისფერი წარწერა ჰქონდა: „ავირჩიოთ ჰარტი პრეზიდენტად“. მძღოლი პოლის მანქანას ვერ ხედავდა. წარწერა ისე იყო გახუნებული, რომ მძღოლის მზერას ვერ იზიდავდა. მანქანის გვერდებზე დამაგრებული გზის საწმენდი მოწყობილობაც ხელს უშლიდა და მხედველობის არეს უვიწროებდა. თან ღამდებოდა, მძღოლი დაღლილი იყო, ერთი სული ჰქონდა, როდის დაასრულებდა გზის ამ მონაკვეთს და ცხელ ყავას დალევდა.

გზიდან ახვეტილი თოვლი ჯერ შადრევანივით მაღლდებოდა და მერე ხევში ცვიოდა. „კამაროს“ თოვლი ეყრებოდა და სახურავამდე თოვლში იმარხებოდა. მოგვიანებით, გამთენიისას საპირისპირო მხრიდან მომავალი ასეთივე მანქანის წყალობით, „კამარო“ მთლად თოვლით იფარებოდა.

პოლმა თვალები გაახილა და ჭერს ახედა, სადაც წვრილწვრილი ბზარები ჩანდა. ეს ბზარები კაცისთვის ნაცნობი და ახლობელი გამხდარიყო. გონზე მოსვლის შემდეგ ამ ბზარებისთვის რამდენჯერ შეუხედავს. ახლაც კიდევ ერთხელ ზანტად გააყოლა თვალი ხაზებს და, წარმოიდგინეთ, თითქოს მის ხვეულებში სიტყვა „ავბედითი“ ამოიკითხა.

ესე იგი, ყველაფერი, როგორც წარმოიდგინა, ისე განვითარდა? ალბათ, კი.

ნეტავ ქალმა იფიქრა თუ არა იმაზე, რა მოხდებოდა, როდესაც პოლის მანქანას იპოვიდნენ? ალბათ იფიქრა. მართალია, ქალი მთლად დალაგებული ვერ იყო, მაგრამ არც სულელი გახლდათ.

ქალს თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ პოლს „სწრაფი მანქანების“ ასლი ექნებოდა და მართალიც იყო. ბებერი ძუკნა მართალი იყო. ასლი არ არსებობდა.

პოლს ახლა დამწვარი და გაშავებული ხელნაწერის ფურცლები წარმოუდგა: ალი, წყლის შიშინი და სუნი. პოლმა კბილი კბილს დააჭირა და შეეცადა, ეს მოგონება უკუეგდო. ცოცხალი წარმოსახვა განა ყოველთვის კარგი იყო.

შენ, ჩემო მეგობარო, ეს არ გააკეთე, მაგრამ ათიდან ცხრა მწერალი ხომ ასე მოიქცეოდა. თავისი წიგნის ასლს აუცილებლად გადაიღებდა. ენის ეს ამბავი აზრადაც არ მოსვლია, რადგან მწერალი არ იყო. მაგრამ არც სულელი გახლდათ. ოღონდ თავის თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონდა. ერთადერთ და სწორ გადაწყვეტილებად ხელნაწერის დაწვა განადგურება მიაჩნდა.

ქვეყნად ქსეროასლის გადამღები მანქანა რომ არსებობდა, ამაზე არც უფიქრია.

შესაძლოა პოლის დასკვნები ქვიშით ნაგებ კოშკებს ჰგავდა, მაგრამ ენი უილკსის შესახებ რაც დაასკვნა, წყალი არ გაუვიდოდა. კვლევამ, რომელიც პოლმა თავის დროზე „მიზერის“ გამო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩაატარა, მას, როგორც არასპეციალისტს, ავადმყოფის ნევროზულ და ფსიქოზურ მდგომარეობაზე ერთგვარი წარმოდგენა შეუქმნა. პოლმა გაიგო, რომ ასეთი ავადმყოფებისათვის ღრმა დეპრესიისა და მხიარული აღტყინების პერიოდებია დამახასიათებელი. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ჰგონია, რომ ყველას თვალი მისკენაა მიპყრობილი. თავად ის კი მონაწილეობს დიდ დრამაში, საიდანაც გამოსავალს თითქოს უთვალავი ადამიანი სულმოუთქმელად ელის.

პოლმა იცოდა, არამდგრადი ფსიქიკის მქონე ადამიანებისათვის დამახასიათებელია სწორხაზოვანი აზროვნება. მათი ფიქრი რაიმე ამოჩემებულ საგანს ან კონკრეტულ ადამიანს დასტრიალებს. ენი უილკსმა ამოიჩემა „სწრაფი მანქანების“ განადგურება და აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა ამ ხელნაწერის ასლი სადმე ყოფილიყო.

„იქნებ გადამერჩინა ხელნაწერი, რომ მეთქვა, მისი ასლი მაქვსო“ - გაიფიქრა კაცმა. „მაშინ უაზრობა იქნებოდა მისი დაწვა“.

პოლი თანდათან ძილისკენ მიდიოდა და უფრო და უფრო ღრმად სუნთქავდა, მაგრამ ამის გაფიქრებაზე თითქოს ყელში წაუჭირესო, თვალები გაუფართოვდა.

სწორია, ქალი ხელნაწერის დაწვას ფუჭ საქმედ ჩათვლიდა. ალბათ მიხვდებოდა, რომ არსებობდა სხვა ფაქტები და მოვლენები, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ეს კი ქალის ეგოს ტკივილს მიაყენებდა და მოთმინებას დააკარგვინებდა.

„ასეთი ხასიათი მაქვს“ - გაახსენდა პოლს ქალის სიტყვები.

საკითხავია, „სწრაფი მანქანების“ ხელნაწერს თუ ვერ გაანადგურებდა, მაშინ ამ „ბინძური წიგნის“ ავტორზე ხომ არ მიიტანდა იერიშს? ბოლოს და ბოლოს მეორე პოლ შელდონი ხომ არ არსებობდა.

პოლს გული შეუქანდა. ამ დროს ზედა სართულზე საათმა დარეკა. პოლმა თავისიოთახის ჭერზე ჯერ ქალის მძიმე ნაბიჯების, შემდეგ კი უნიტაზის ჩარეცხვის ხმა გაიგონა. ქალი ისევ საწოლში დაბრუნდა და ზამბარები ააჭრიალა.

„ჭკუიდან აღარ გადამიყვანო, კარგი?“ - გაახსენდა პოლს ენის სიტყვები.

მერე უცებ კაცის გონებაში ახალი თავსატეხი გაჩნდა: ნეტავ რამეს ნიშნავდა მანქანასთან დაკავშირებული ფსიქოანალიტიკური მსჯელობანი? როდის, რა ვითარებაში, როგორ იპოვიდნენ მანქანას? მისი პოვნა რა ხეირს მოუტანდა პოლს?

„ერთი წუთით“, - წაიჩურჩულა მან სიბნელეში. - „ერთი წუთით დაიცადე, ერთი წუთით, ერთი წუთით შეყოვნდი“...

კაცმა თვალებზე ისევ მკლავები აიფარა და ჩაფიქრდა. თვალწინ ისევ ის პოლიციელი წარმოუდგა, მუქი მზის სათვალითა და გრძელი ბაკენბარდებით.

„ჰამბაგის მთის ფერდობზე გადაბრუნებული მანქანა ვიპოვეთ და... ბლა ბლა ბლა“... - ეუბნება ის ენის.

ქალი ამჯერად პოლიციელს ყავაზე არ ეპატიჟება. ენი თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს. თუმცა სამზარეულომდე საგულდაგულოდ კარებჩარაზული ორი ოთახია. საძინებელში კი წამლით გაბრუებული პოლი წევს, რომლის კვნესა შეიძლება პოლიციელის ყურს მისწვდეს.

თუ პოლის მანქანა იპოვეს, ენის უსიამოვნებები არ ასცდება, ასე არ არის?

„ასეა“,- წაიჩურჩულა პოლმა. ფეხებში ტკივილი კვლავ იგრძნო. მაგრამ ამ ახალი აღმოჩენით თავზარდაცემულს ტკივილისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

ენის პრობლემები შეექმნებოდა არა იმიტომ, რომ პოლი სახლში წაიყვანა (შესაძლოა ქალის სახლი შემთხვევის ადგილთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ქალაქი საიდუინდერი. პოლი დარწმუნებული იყო, რომ ეს ასე იქნებოდა), არა, ამისთვის შეიძლება მედალიც კი მიეცათ და მიზერი ჩასტეინის ფანკლუბის წევრადაც მიეღოთ (პოლისთვის სამწუხაროდ, ასეთი კლუბი მართლაც არსებობდა), არამედ პრობლემა ის იყო, რომ ქალმა პოლი სახლში მოიყვანა და ამის შესახებ არავის უთხრა. არც იქაური სასწრაფო დახმარების სამსახურში დაურეკავს და ასე არ მიუმართავს: „მე ენი ვარ. მთა ჰამბაგის გზასთან ახლოს ვცხოვრობ. აქ ერთი კაცი ვიპოვე, რომელიც ისე გამოიყურება, თითქოს კინგ კონგმა ბატუტზე აბურთავა და დაჟეჟა“.

პრობლემა ის იყო, რომ ენიმ კაცი ნარკოტიკით გაჭყიპა, რომელიც, წესით, ქალისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა ყოფილიყო. არადა, ის პოლის წამალს არა მარტო ასმევდა, არამედ მძინარეს ვენაშიც უშხაპუნებდა. ფეხებზე არტაშანი დაადო, რისთვისაც ალუმინის ყავარჯნები გამოიყენა. პრობლემა კიდევ ის იყო, რომ ენი უილკსი დენვერში სასამართლოს წინაშე წარსდგა... „დარწმუნებული ვარ, სასამართლოზე მოწმედ არ გამოსულა... ამაზე თავს დავდებ“. - გაიფიქრა პოლმა.

ენი პოლიციელს უყურებს, რომელიც სუფთა, გაპრიალებულ მანქანაში

ჯდება. (მანქანას მხოლოდ ბორბლებსა და ბამპერზე შერჩენია თოვლისა და მარილის პატარპატარა გუნდები). ენი ისევ თავისუფლად, მაგრამ არც ისე უსაფრთხოდ გრძნობს თავს, რადგან იცის, ნადირს კვალში ჩაუდგნენ.

პოლიციელები ძებნას განაგრძობენ, რადგან ის ჩვეულებრივი კაცი კი არ არის, არამედ თვით პოლ შელდონია, ლიტერატურული ზევსი, რომლის კალამმა მიზერი ჩასტეინი შექმნა. გმირი, რომელზეც ლოცულობენ წიგნის მაღაზიები და თაყვანს სცემენ სუპერმარკეტების მომხმარებლები. მაგრამ თუ პოლიციელები პოლს ვერ იპოვიან, ალბათ ძებნას შეწყვეტენ ან სხვაგან განაგრძობენ. იქნებ როიდმანებიდან რომელიმემ დაინახა ენი იმ საღამოს და შეამჩნია, „ბებერი ბესის“ ძარაზე დალიანდაგებულ საბანში გახვეული ადამიანის მსგავსი ფორმა. მაგრამ როიდმანებს ის გახვეული რაღაც რომც არ ენახათ, ქალი მათ მაინც ვერ ენდობოდა. ისინი არ გაჩუმდებოდნენ. მათ ხომ ენი არ მოსწონდათ.

პოლიციელები ისევ დაბრუნდებოდნენ. ამჯერად ენის სტუმარი შეიძლება არც ისე ჩუმად ყოფილიყო საწოლში.

პოლს გაახსენდა, ქალი როგორ უაზროდ ატრიალებდა თვალებს, როდესაც გრილიდან ალი ამოვარდა. წინ და უკან როგორ დადიოდა, ტუჩებს ენით ისველებდა და ხელებს მუშტებად როგორ კრავდა და შლიდა.

საშიშროების შემთხვევაში ქალი წამდაუწუმ სასტუმრო ოთახში შეიხედავდა, სადაც პოლი იწვა. მერე ცარიელ ოთახებში ივლიდა და „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემოო“ იძახებდა.

ენიმ იშვიათი, აფრიკული ჩიტი მოიპარა, რომელსაც ლამაზი ფრთები ჰქონდა. რას უზამდნენ, თუ ეს გამჟღავნდებოდა? რასაკვირველია, სასამართლოს წინაშე მოუწევდა გამოსვლა, ალბათ ისევ დენვერში და ამჯერად თავისუფალს იქიდან აღარ გამოუშვებდნენ.

პოლმა მკლავები თვალებიდან მოიცილა და ჭერს ახედა. ბზარებში სიტყვა „ავბედითი“ მთვრალივით ირწეოდა. დანარჩენის წარმოსადგენად თვალებზე მკლავების დაფარება აღარ დასჭირვებია. ქალი რამდენიმე დღე ან სულაც ერთი კვირა არ გატყდებოდა. მერე კი გადაწყვეტდა, თავისი უიშვიათესი ჩიტუნია თავი-

დან მოეცილებინა. ისე მოიქცეოდა, როგორც ველური ძაღლი, რომელიც მოინადირებს და შემდეგ ნადავლს მიწაში მარხავს.

ქალი ალბათ ორის ნაცვლად ხუთ აბს დაალევინებდა ან ბალიშით გაგუდავდა, შეიძლება, თოფი ესროლა და ისე მოეკლა. შაშხანა სადმე აუცილებლად ექნებოდა შენახული. მთის სოფლებში ხომ ყველა ოჯახს აქვს სახლში იარაღი.

არა, თოფით არ მოკლავდა. ჭუჭყიანი საქმეა. სამხილები ბლომად დარჩებოდა.

თუმცა ჯერჯერობით მანქანა არ უპოვიათ. შეიძლება ნიუიორკში ან ლოსანჯელესში ეძებენ. პოლს საიდუინდერში, კოლორადოს შტატში არავინ ეძებს. გაზაფხულზე კი...

დაჟინებული პულსაცია კვლავ იგრძნო ფეხებში. საათი ისევ რომ დარეკავდა, ენი შემოვიდოდა. პოლს შეეშინდა, ვაითუ, ჩემი ფიქრები სახეზე ამოიკითხოსო. მარცხნივ გაიხედა. კედელზე კალენდარი ეკიდა. სურათზე ბიჭი გორაკიდან ციგით ეშვებოდა. კალენდრის მიხედვით თებერვალი იყო. მაგრამ, პოლის გამოთვლით, მარტის დასაწყისი უნდა ყოფილიყო. ენი უილკსს უბრალოდ გვერდის გადაფურცვლა დაავიწყდა.

რამდენ ხანში დადნებოდა თოვლი, რომ პოლის „კამარო“ გამოჩენილიყო და ნიუიორკის ნომრებითა და სალონის საბარგულში შენახული სარეგისტრაციო საბუთით მიმხვდარიყვნენ, რომ მანქანის მფლობელი პოლ შელდონი იყო? ის პოლიციელი ენის რამდენ ხანში დაურეკავდა? ენი გაზეთში ცნობას როდის წაიკითხავდა? გაზაფხული რამდენ ხანში დადგებოდა? ხუთექვს კვირაში?

„ამდენ ხანს ვიცოცხლებო“, - გაიფიქრა აკანკალებულმა პოლმა. ფეხების ტკივილმაც მთელი ძალით შეუტია. ეს იქამდე გაგრძელდებოდა, სანამ ენი არ შემოვიდოდა და წამალს არ მისცემდა. მერე კი ალბათ დაიძინებდა საბრალო პოლი.

23

ენიმ მეორე საღამოს საბეჭდი მანქანა როყალ-ი შემოიტანა, რომელიც იმ დროს იყო გამოშვებული, როდესაც ელექტრონული საბეჭდი მანქანა, ფერადი ტელევიზორი თუ ტელეფონი, რომელსაც ღილაკებიანი ციფერბლატი აქვს, სამეცნიერო ფანტასტიკად ითვლებოდა. შავ საბეჭდ მანქანას გვერდებზე შუშის პანელები ჰქონდა დატანებული. ხოლო ლითონის გასაწევი ბერკეტი არასამუშაო მდგომარეობაში დიდხანს ყოფნის გამო დაბურულიყო და შარაგზაზე ავტომანქანის გასაჩერებლად მდგარი მოგზაურის ცერივით გვერდზე გადახრილიყო. მანქანას წინ სახელწოდება: როყალ ნახევარწრიულად ეწერა. ქალმა საბეჭდი მანქანა საწოლზე, პოლის ფეხებს შორის ხვნეშით დადო. მერე ხელახლა ასწია, რომ პოლს შეეხედა. პოლმა თვალი შეავლო და მოეჩვენა, რომ საბეჭდი მანქანა იკრიჭებოდა. ღმერთო, ნამდვილად იკრიჭებოდა! ყოველ შემთხვევაში, ადამიანში წუხილსა და მოუსვენრობას ბადებდა. მანქანას ორფერი, გახუნებული ლენტი ჰქონდა. პოლს ასეთი ლენტი აღარც კი ახსოვდა. საერთო ჯამში, საბეჭდი მანქანა ნოსტალგიის არასასიამოვნო გრძნობას იწვევდა.

- აბა, რას იტყვი? - ჰკითხა ქალმა ღიმილით.

- კარგია, - მიუგო მაშინვე პოლმა, - ნამდვილი ანტიკვარია.

- ისე კი არ მიყიდია, როგორც ანტიკვარული ნივთი, - სახიდან ღიმილი გაუქრა ენის, - შევიძინე, როგორც მეორადი საქონელი, კარგი მეორადი ნივთი.

- მართალია. ანტიკვარული საბეჭდი მანქანა არ არსებობს, - მოსწრებული პასუხი მიაგება პოლმა. - კარგი მანქანა საუკუნე ძლებს. ასეთი საბეჭდი მანქანები ტანკივითაა.

ქალის დასანახად პოლი ხელსაც გადაუსვამდა და აკოცებდა კიდეც, რომ მისწვდომოდა. ენის სახეზე ღიმილი კვლავ დაუბრუნ-

და, ხოლო პოლს გული ოდნავ დაუმშვიდდა, ისე ძლიერ აღარ უცემდა.

- „ახალი მეორადები“ ერქვა იმ მაღაზიას, სადაც ეს ვიყიდე. სულელური სახელწოდებაა, არა? მაგრამ მისი მეპატრონე, ნენსი დარტმონგერი ერთი შერეკილი ვინმეა, - ენის სახე კვლავ მოეღრუბლა. მაგრამ კაცი მიხვდა, რომ ენის მოღუშვის მიზეზი პოლი არ იყო. კაცს თვითგადარჩენის ინსტინქტი გამოუმუშავდა. მაგრამ იქნებ ეს ინსტინქტი ადამიანში თავისთავად არსებობს. კაცმა აღმოაჩინა, რომ ენის ხასიათის ცვალებადობას ალღო აუღო. მას ისე უსმენდა, როგორც გატეხილი საათის ჟღარუნს.

- სულელი და ცუდი ქალია ეგ დარტმონგერი. ბოზმონგერი უნდა ერქვას. ორჯერაა განქორწინებული და ახლა ბარმენთან ცხოვრობს. ანტიკვარული ნივთიაო, როდესაც თქვი...

- არა, კარგია, - მიუგო პოლმა.

ენიმ პასუხი კარგა ხანს შეაყოვნა. შემდეგ აღსარებასავით წარმოთქვა:

- ასო „ნ“ აკლია.

- მართლა?

- ნახე!

ქალმა საბეჭდი მანქანა დახრილად ასწია. პოლმა დაინახა, რომ მანქანის კლავიატურას მართლაც აკლდა ასო „ნ“, სხვა მხრივ, ყველაფერი წესრიგში იყო.

- ვხედავ.

ქალმა მანქანა ისევ საწოლზე დადო. საწოლი ცოტა შეირხა. პოლი მიხვდა, საბეჭდი მანქანა ორმოცდაათი ფუნტი მაინც იქნებოდა. იმ დროს იყო გამოშვებული, როდესაც წარმოებაში შენადნობები და პლასტმასები არ გამოიყენებოდა... იმ დროს არც წიგნების მიხედვით იღებდნენ ფილმებს, არც გაზეთი „იუესეი თუდეი” გამოდიოდა, არც ღამის გასართობი გადაცემა „ენთერთმე-

ინთმენთ თუნაით“ არსებობდა და არც შოუბიზნესის ვარსკვლავები უწევდნენ რეკლამას საკრედიტო ბარათებსა და არაყს.

- ორმოცდახუთი დოლარი დამიფასა, მაგრამ ნაკლული ასოს გამო ხუთი დოლარი დამიკლო, - ქალმა ეშმაკურად გაიღიმა, მშვენიერი ნავაჭრი გამომივიდაო.

პოლმა ღიმილზე ღიმილით უპასუხა. ზღვის მიქცევა ჯერ არ დაწყებულიყო, რაც იმის საშუალებას აძლევდა, რომ გაეღიმა და მშვიდად წოლილიყო.

- ასე ადვილად დაგიკლო? - ჰკითხა კაცმა.

- ვუთხარი, ასო „ნ“ ძალიან მნიშვნელოვანი ასოა მეთქი, - ცოტა პრანჭვით წარმოთქვა ქალმა.

- ყოჩაღ! - შეაქო კაცმა. პოლი მიხვდა, ენისთან ურთიერთობაში პორმოთნეობა დაეხმარებოდა.

ქალს ისევ ეშმაკურად გაეღიმა. მერე ისეთი ხმით განაგრძო, თითქოს

სასიამოვნო საიდუმლო უნდა გაანდოსო:

- „ნ“ ჩემი საყვარელი მწერლის გვარში ერთერთი ასოა მეთქი, ვუთხარი.

- ეგ „ნ“ ჩემი საყვარელი მედდის სახელშიცაა, - მაამებლად უპასუხა პოლმა.

ენის ლოყები აუვარდისფრდა.

„თუ რაიდერ ჰაგარდის მოთხრობის ერთერთ რომელიმე კერპს პირში ანთებულ ღუმელს ჩაუდგამ, ღამით მასაც ზუსტად ასეთი სახე ექნება“, - გაიფიქრა პოლმა.

- შე სულელო! - უთხრა ქალმა ღიმილით.

- სულელი არა ვარ, - მიუგო კაცმა, - სულაც არა.

- კარგი, - თქვა ქალმა და გვერდზე გაიხედა. არა, გარინდებით არ გარინდულა. ცოტა აღელვებული იყო და დრო სჭირდებოდა გონზე მოსასვლელად. პოლსაც შეეძლო ცოტა მოდუნებულიყო, მაგრამ ფიქრობდა, საბეჭდი მანქანა წონით, სიმყარითა და და-

ზიანებული კლავიატურით ქალს ჰგავსო. იქვე საწოლზე იდო, კბილამოვარდნილი იკრიჭებოდა და კაცს პრობლემებს ჰპირდებოდა.

- ინვალიდის ეტლი გაცილებით ძვირი იყო, - თქვა ქალმა.შუბლი შეიკრა, მაგრამ მერე ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და პოლს ღიმილით შეხედა. - გადახდილი ფული სულაც არ მენანება. დროა, ეტლში ჩაჯდე. ვფიქრობ, დაწოლილი ბეჭდვას ვერ შეძლებ, თუ შეძლებ?

- ვერა...

- ფიცარი მაქვს... ზომაზე გავჭერი... და ქაღალდი... დაიცადე!

პატარა გოგოსავით გავარდა ოთახიდან. კაცს ღიმილი სახიდან წამსვე გაუქრა. მიხვდა, რისთვის იყო ეს ყველაფერი და როგორი ტყვიამფრქვევივით მოკაკანე ხმა ექნებოდა ამ საბეჭდ მანქანას.

ქალი მალე დაბრუნდა. თაბახის ფურცლების შეკვრა და სამი ფუტი სიგანისა და ოთხი ფუტი სიგრძის ფიცარი შემოიტანა.

- შეხედე! - უთხრა ქალმა და ფიცარი ეტლის სახელურებზე დადო. პოლმა ამ ფიცრის უკან თვალნათლივ დაინახა: როგორ იჯდებოდა იქ პატიმრის პიჟამოში გამოწყობილი, როგორ დაუწყობდა ქალი საბეჭდ მანქანასა და ფურცლებს წინ. ამ ხარისხის ფურცელი პოლს ყველაზე მეტად ეჯავრებოდა, რადგან მასზე ნაბეჭდი ადვილად იშლებოდა. ქალი ხეიბარ კაცს სამუშაო კაბინეტს უმზადებდა.

- როგორ მოგწონს?

- ვფიქრობ, კარგია, - თავის სიცოცხლეში ყველაზე დიდი ტყუილი თქვა კაცმა. მერე ქალს კითხვა დაუსვა, რომელზეც პასუხი უკვე იცოდა. - რა უნდა დავწერო?

- ოჰ, პოლ, - მიუგო სახეგაწითლებულმა ქალმა ცოცხლად, - ვიცი, ამ საბეჭდ მანქანას ახალი რომანის დასაწერად გამოიყე-

ნებ. ეს შენი საუკეთესო რომანი იქნება, რომელსაც „მიზერის დაბრუნებას“ დაარქმევ.

24

„მიზერის დაბრუნება“... პოლი ვერაფერს გრძნობდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ელექტრო ხერხმა ხელის მტევანი წაა-ცალა, ის კი გაოგნებული დაჰყურებდა, როგორ ასხამდა მაჯი-დან სისხლის შადრევანი.

- ჰო, - თქვა ქალმა. სახე პროჟექტორივით ჰქონდა განათებუ-ლი. ძლიერი ხელები გულზე დაეკრიფა. - ამ წიგნს ჩემთვის და-წერ, პოლ! ჩემი მოვლის გასამრჯელო იქნება. „მიზერის“ უახლე-სი და ერთადერთი ეგზემპლარი მარტო მე მექნება. სხვებს რო-გორც არ უნდა უნდოდეთ, ის მარტო ჩემი იქნება. იფიქრე ამაზე, პოლ!

- ენი, მიზერი მკვდარია, - მიუგო კაცმა, მაგრამ, მისდა გასა-ოცრად, მიზერის გაცოცხლებაზე დაიწყო ფიქრი. ამ მკვეთრ ცვლილებას მასში განცვიფრება არ გამოუწვევია. ბოლოს და ბო-ლოს კაცი, რომელმაც იატაკის საწმენდი ვედროდან დალია წყა-ლი, ამასაც შეძლებდა.

- არა, არ არის მკვდარი, - მეოცნებე სახით უპასუხა ენიმ. - მა-შინაც კი, როდესაც გავცოფდი, ვიცოდი, რომ სინამდვილეში მი-ზერი არ მომკვდარა. დარწმუნებული ვარ, ვერ მოკლავდი, რად-გან კარგი და კეთილი ადამიანი ხარ.

- ასე გგონია? - ჰკითხა პოლმა და საბეჭდ მანქანას შეხედა, რომელიც ისევ იკრიჭებოდა. „აბა, ვნახოთ, მეგობარო, რამდე-ნად კარგი ხარ“, თითქოს

წასჩურჩულა საბეჭდმა მანქანამ.

- დიახ, ასეა, - მიუგო ქალმა.

- ენი, არ ვიცი, შევძლებ თუ არა მაგ ეტლში ჯდომას. ბოლოს როცა ვიჯექი...

- ვიცი, მტკივნეული იყო. შემდეგში ისევ გეტკინება. შეიძლება უფრო მეტადაც კი. მაგრამ მალე დადგება ის დღე, შენ შეიძლება ფიქრობ, ეს მალე არ იქნებაო, მაგრამ მალე იქნება. ერთ მშვენიერ დღეს უფრო ნაკლებად გეტკინება, მერე სულ უფრო და უფრო ნაკლებად.

- ენი, თუ შეიძლება ერთ კითხვაზე მიპასუხე.

- კარგი, ძვირფასო.

- თუ ამ მოთხრობას დავწერ შენთვის...

- რომანს... რომანი უნდა დაწერო. სხვა წიგნებზე ნაკლები მოცულობისა არ უნდა იყოს. შეიძლება უფრო დიდიც კი გამოვიდეს.

პოლმა ერთი წამით თვალები დახუჭა და როდესაც გაახილა, უთხრა:

- კარგი, როდესაც ამ რომანს დავამთავრებ, გამიშვებ აქედან?

ენის სახე მოეღუშა. მერე კაცს შეხედა და ფრთხილად, შეპარვით უთხრა:

- ისე ლაპარაკობ, თითქოს აქ პატიმრობაში მყავდე.

პოლმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ სახეში შეხედა.

- ვფიქრობ, იმ დროისათვის, როდესაც დაამთავრებ, ეტლი აღარ დაგჭირდება და ხალხთან შესახვედრადაც მზად იქნები. ამის გაგონება გსურდა?

- ჰო, ამის გაგონება მინდოდა.

- გულწრფელად რომ ვთქვა, ვიცოდი, რომ მწერლები დიდი ეგოისტები იყვნენ, მაგრამ ამას უმადურობაც თუ ერთვოდა, არ მეგონა.

პოლი უსიტყვოდ შეჰყურებდა. ენიმ თვალი მოაცილა და გვერდზე გაიხედა. ცოტა აღელვებული ჩანდა.

- მიზერიზე დაწერილი ყველა წიგნი მჭირდება, თუ გაქვს, - უთხრა პოლმა, - რადგან მე კონკორდანსი არ მაქვს.

- რა თქმა უნდა, ყველა წიგნი მაქვს, - უთხრა ქალმა. - კონკორდანსი რას ნიშნავს?

- ზოგადად, კონკორდანსი სიტყვებისა და ცნებების ანბანური ჩამონათვალია. „მიზერის“ წიგნების ყველა მოქმედი პირი, მოქმედების დრო და ადგილი, ყველაფერი თავმოყრილი მაქვს ამ წიგნების კონკორდანსში.

ქალი ძლივძლივობით უსმენდა. მან უინტერესო დამოკიდებულება სამწერლო ტექნიკისადმი უკვე მეორედ გამოამჟღავნა. ალბათ ამის მიზეზი მარტივი იყო. ენის თავად ამბები იზიდავდა, მაგრამ მათი შეთხზვის პროცესი არ აინტერესებდა.

ის პოლის რომანების აქტიური მკითხველი იყო. მწერლის კონკორდანსი არაფერში ენაღვლებოდა, რადგან მიზერი და წიგნის სხვა მოქმედი გმირები მისთვის ნამდვილი, ცხოვრებისეული პერსონაჟები იყვნენ. დანთორფის სოფელზე რომ ჩამოეგდო პოლს სიტყვა, ქალი უსათუოდ დიდი ინტერესით მოუსმენდა.

- ყველა წიგნს მოგიტან. ზოგან გვერდები ჩაკეცილი მაქვს. ეს ის ადგილებია, რომლებიც ყველაზე მეტად მიყვარს და ხშირად ვუბრუნდები. ასე არ ხდება ხოლმე?

- ჰო, ასე ხდება, - დაეთანხმა პოლი.

- მინდა, წიგნის აკინძვა ვისწავლო, - თქვა ქალმა მეოცნებე სახით. - „მიზერის დაბრუნებას“ თავად ავკინძავ და ყდაში ჩავსვამ. დედაჩემის ბიბლიის გარდა, ეს ჩემი ხელით გაკეთებული ერთადერთი საკუთარი წიგნი იქნება.

- კარგია, - თქვა პოლმა იმისათვის, რომ რაღაც ეთქვა. კაცმა მუცლის ტკივილი იგრძნო.

- ახლა მე წავალ, შენ კი იფიქრე. რა ამაღელვებელია ეს ყველაფერი, არა?

- კი, ნამდვილად.

- ნახევარ საათში წიწილას მოგიტან კარტოფილის პიურეთი და მუხუდოთი და რადგან ასეთი კარგი ბიჭი ხარ, დესერტად ცო-

ტა ჟელესაც მოგართმევ. ნუ გეშინია, წამალს დროზე დაგალევინებ. შეიძლება ღამით ერთი აბი კიდევ დაგიმატო. კარგად უნდა გამოიძინო, რადგან ხვალ მუშაობას შეუდგები. გარწმუნებ, მუშაობაში უფრო მალე მომჯობინდები.

ქალი რამდენიმე წამით კართან შედგა და გროტესკულად ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა პოლს. მერე კარი გაიხურა. პოლს არ უნდოდა საბეჭდი მანქანისათვის შეეხედა. ცოტა ხანი თავის თავს უძალიანდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გააპარა მისკენ თვალი. მანქანა საწერ მაგიდაზე იდო და ისევ იკრიჭებოდა.

ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს წამების იარაღს უყურებდა, რომელიც პასიურ მდგომარეობაში მხოლოდ რამდენიმე წუთით იმყოფებოდა.

პოლს ქალის სიტყვები გაახსენდა: „ვფიქრობ, იმ დროისათვის, როდესაც დაამთავრებ... ხალხთან შესახვედრად... არა, ენი, ორივემ კარგად ვიცით, რომ ტყუილს ამბობდი. ეს შენს თვალებში წავიკითხე“, - ფიქრებში უსაყვედურა ქალს.

მოკლე და ძალზე უსიამოვნო პერსპექტივა იშლებოდა პოლის წინაშე. სიცოცხლის დარჩენილი ექვსი კვირა მოტეხილი ძვლებით ტანჯვაში უნდა გაეტარებინა და თან მიზერი ჩასტეინთან ნაცნობობა კვლავ აღედგინა. ბოლოს ალბათ ქალი უკანა ეზოში ნაჩქარევად დამარხავდა ან კაცის გვამს ღორს მიუგდებდა.

„ჰოდა, არ დაემორჩილო. ნურაფერს დაწერ. გააგიჟე და ჭკუიდან შეშალე. მოსიარულე ნიტროგლიცერინის ბოთლია. ცოტა ხელი წამოჰკარი და ააფეთქე. აქ წოლასა და ტანჯვას ეს არ სჯობია?“ - სცადა თავისი თავის შეგულიანება პოლმა.

მერე ბზარებს დაუწყო ჭერზე თვალიერება. ბოლოს მზერა ისევ საბეჭდ მანქანაზე შეაჩერა, რომელიც საწერ მაგიდაზე იდო და თითქოს იმ სიტყვებით იყო დატენილი, რომელთა დაწერა პოლს არ უნდოდა. მანქანა კბილამოვარდნილი პირით კვლავ იკრიჭებოდა.

„არა მგონია, შენი ნათქვამის გჯეროდეს, ჩემო ძმაო. რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, სიცოცხლე მაინც გიჯობს. მიზერისაც მკვდრეთით აღადგენ, ყოველ შემთხვევაში, ეცდები მაინც. მაგრამ მანამდე ჩემთან გექნება საქმე... არც მე მომწონს შენი სახე“.

ჰოდა, ბარი ბარში ვართ, - ყრუდ თქვა პოლმა. მერე ფანჯარაში გაიხედა. გარეთ თოვდა. პოლი ერთხანს ფანჯარაში იყურებოდა. შემდეგ აღარც კი ახსოვდა, როდის მოწყვიტა თოვლს თვალი და მზერა კვლავ საბეჭდ მანქანაზე გადაიტანა.

25

ეტლში ჯდომა არც ისეთი მტკივნეული აღმოჩნდა, როგორც პოლს თავიდან ეგონა. გაუხარდა, რადგან ადრე ეტლში რომ იჯდა, სხეული მეტად სტკიოდა. ენიმ სინი, რომელზეც საჭმელი ეწყო, საწერ მაგიდაზე დადო. მერე ეტლი საწოლთან მოაგორა და პოლს წამოჯდომაში დაეხმარა. კაცმა მენჯის არეში ყრუ ტკივილი იგრძნო, მაგრამ შემდეგ, ცოტა არ იყოს, დაუამდა. ქალი დაიხარა, ცხენივით კისერი კაცის მხარს მიაყრდნო. პოლმა წამით ქალის გულისცემა იგრძნო და სახე შეეცვალა. ქალმა მარჯვენა ხელი ზურგზე მოხვია, მარცხენა კი დუნდულების ქვევით ამოუდო.

- ეცადე, მუხლები არ გაანძრიო, - უთხრა ქალმა და ადვილად გადააცურა კაცი ეტლში. ეს ისე იოლად მოახერხა, როგორც წიგნს შეაცურებს ადამიანი წიგნების კარადის ცარიელ ადგილას. მართლაც რომ ღონიერი ქალი იყო ენი. პოლი თავის ჩვეულ ფორმაში რომ ყოფილიყო და ხელჩართული ჩხუბი გაემართათ, საკითხავია, გამარჯვება რომელს დარჩებოდა.

ქალმა ფიცარი ეტლის სახელურებზე დადო. „ნახე, რა კარგად მოერგო“, - უთხრა პოლს და სინის ასაღებად საწერი მაგიდისკენ წავიდა.

- ენი?

- გისმენ.

- იქნებ საბეჭდი მანქანა კედლისკენ შეატრიალო.

- რატომ? - შუბლი შეიკრა ენიმ.

„არ მინდა, მთელი ღამე მეკრიჭებოდეს“, - გაიფიქრა კაცმა გულში.

- ჩემი ძველი ცრურწმენაა, - უთხრა კაცმა. - სანამ წერას შევუდგებოდე, საბეჭდ მანქანას ყოველთვის კედლისკენ ვაბრუნებ და როდესაც ვმუშაობ, ყოველ ღამე კედლისკენ შეტრიალებულს ვტოვებ.

- ეს იცი რას ჰგავს, „არ დაადგა ფეხი ბზარზე, თორემ დედა მოგიკვდება“, - თქვა ქალმა. - მე ყოველთვის ვცდილობ, ფეხი ავარიდო ბზარს, - ქალი მივიდა და საბეჭდი მანქანა კედლისკენ შეატრიალა.

- უკეთესია?

- გაცილებით.

- პატარა ბავშვივით ხარ, - თქვა ქალმა და პოლს საჭმელი მიაწოდა.

26

ესიზმრა, თითქოს ენი არაბი ხალიფას სასახლის კარზე იყო და თავისი შელოცვებით ჭინკებსა და ბოთლიდან ამოსულ ჯინებს აჯადოებდა. მერე სასახლეს ჯადოსნური ხალიჩით შემოუფრინა. როდესაც პოლს გადაუფრინა, კაცმა დაინახა, რომ ენის თმა უკან ჰქონდა გადაყრილი, თვალებში კი სიმკაცრე ჩადგომოდა იმ გემის კაპიტანივით, რომელიც გზას აისბერგებს შორის მიიკვლევს. ხალიჩა მწვანე და თეთრი ფერის ძაფით იყო ნაქსოვი. პოლმა მასზე კოლორადოს შტატის სანომრე ნიშანი გაარჩია.

„იყო და არა იყო რა“, - ჩამოსძახა ენიმ. - „ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ბაბუაჩემის ბაბუა პატარა ბიჭი იყო. ეს არის ამბავი ღარიბი ბიჭისა... ეს ამბავი კაცმა მიამბო, რომელიც... იყო და არა იყო რა, იყო და არა იყო რა“, - იმეორებდა ქალი.

27

როდესაც პოლმა თვალი გაახილა, ენი თავზე ედგა და ანჯღრევდა. მზის სხივები ფანჯარაში შემოსულიყო. გარეთ უკვე აღარ თოვდა.

- გაიღვიძე ძილისგუდა, იოგურტი და მოხარშული კვერცხი მოგიტანე, - ნაკადულივით ჩაარაკრაკა ენიმ. - მერე კი წერა უნდა დაიწყო.

პოლმა ენის აღგზნებულ სახეს შეხედა და ახალი, უცნაური გრძნობა - იმედი ჩაესახა. პოლს დაესიზმრა, რომ ენი შეჰერაზადა იყო. მკვრივ სხეულზე ქალს გამჭვირვალე მანტია ემოსა. დიდი ფეხები წვერაპრეხილ, ვარდისფერ ქოშებში ჰქონდა წაყოფილი. ჯადოსნური ხალიჩით მიფრინავდა და სიმღერით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს წარმოთქვამდა, რომელიც ლამაზი ამბის და-

საწყისი უნდა გამხდარიყო. მაგრამ შეჰერაზადა ენი კი არა, პოლი იყო. და თუ კაცი კარგად დაწერდა, ენი მას თხრობის დასრულებამდე არ მოკლავდა, როგორც არ უნდა გამძაფრებოდა მისი მკვლელობის ცხოველური ინსტინქტი.

ეს რა, არ იყო შანსი?

პოლმა გვერდზე გაიხედა და შეამჩნია, რომ სანამ კაცს გააღვიძებდა, ენის საბეჭდი მანქანა უკვე მოებრუნებინა. მანქანა ამოვარდნილი კბილით კვლავ იკრიჭებოდა და თან თითქოს პოლს ეუბნებოდა: სცადე და იმედი არ დაკარგო. დანარჩენი კი ბედს მიანდეო.

ენიმ ფანჯარასთან მიაგორა პოლის ეტლი. ამდენი ხნის შემდეგ კაცი პირველად აღმოჩნდა მზის სხივებში გახვეული.

მისი მოდუნებული კანი, რომელზეც აქაიქ პატარპატარა ნაწოლები გასჩენოდა, თითქოს გახარებული მადლობას უხდიდა. ფანჯრის მინა ყინვას თავისებურად მოექარგა. პოლმა შუშას ხელი შეახო და სიცივე იგრძნო, რამაც გამოაცოცხლა და წარსულის ნოსტალგიაც აგრძნობინა.

პირველად ამ კვირების მანძილზე, წლებივით რომ გაიჭიმა, პოლს შეეძლო ფანჯარაში გაეხედა და არემარე დაეთვალიერებინა. აქამდე საწოლიდან კედელზე გაკრულ ცისფერ შპალერს, ტრიუმფალური თაღის სურათს და უსაშველოდ გაგრძელებული თებერვლის თვის კალენდრის გვერდს ხედავდა, სადაც გორაკიდან ციგით მოსრიალე ბიჭის სურათი იყო აღბეჭდილი. პოლმა გაიფიქრა, ყოველ თებერვალს, თუნდაც ორმოცდაათი წელი გავიდეს, ბიჭის სახე და მისი ყურებიანი ქუდი ყოველთვის გამახსენდებაო. პოლი სამყაროს ისეთი აღტაცებით უმზერდა, როგორც ბავშვობაში თავის პირველ ფილმს - „ბემბის“.

ჰორიზონტის ხაზი ახლოს იყო, რაც მთაგორიანი ადგილისათვის არის დამახასიათებელი. ქვეყანას თავზე ლურჯი, უღრუბლო ცა ეხურა. უახლოესი მთის ფერდობი მარადმწვანე ტყით იყო დაფარული. მანძილი სახლიდან ტყემდე დაახლოებით სამოცდაათი აკრი იქნებოდა. ხეებზე უმტვერო, ქათქათა თოვლი იდო. ვერ მიხვდებოდი, სახლის წინ მიწა დამუშავებული იყო თუ ადგილი საძოვრად დაეტოვებინათ. იქვე კოხტა, წითელი ნაგებობა მოჩანდა, რომელიც ბოსელი უნდა ყოფილიყო. როდესაც ენი თავის საქონელზე საუბრობდა ან პოლი ფანჯრიდან ბოსელში მიმავალ ქალს დაინახავდა, თვალწინ წარმოუდგებოდა ზღაპრების წიგნში დახატული ძველი ქოხმახი. პოლი ფიქრობდა, ბოსელს ალბათ

თოვლის სიმძიმისაგან ჩაზნექილი სახურავი, ჭუჭყიანი, ალაგალაგ ჩამსხვრეული ფანჯრის შუშები, ზოგიერთ ადგილას დანგრეული და მუყაომიკრული კედელი და მორღვეულმოფრიალებული კარი ექნებაო. ეს კოხტა, სუფთა, დიდი და წითლად შეღებილი ნაგებობა ხუთი მანქანის ფარეხი უფრო იყო, ვიდრე ბოსელი. ამ ნაგებობის წინ ჯიპი იდგა, რომელიც შესაძლოა რამდენიმე წლის წინ იყო ნაყიდი, მაგრამ კარგად იყო შენახული. მანქანის გვერდით თოვლსაწმენდი იდგა, რომელსაც ხელნაკეთი, კაუჭებიანი ხის ჩარჩო ჰქონდა. მისი ჯიპზე მიმაგრება მარტივად შეიძლებოდა. მშვენიერი მოწყობილობა იყო მარტოხელა ქალისთვის, რომელსაც მეზობლად დამხმარე არავინ ჰყავდა. (თუ არ ჩავთვლით იმ დამთხვეულ როიდმანებს, რომლებისგანაც ენი ერთ თეფშ ღორის ხორცის კატლეტსაც კი არ წამოიღებდა, შიმშილითაც რომ მომკვდარიყო). სახლთან მისასვლელი გზა თოვლისგან კარგად იყო გაწმენდილი. მაგრამ პოლი მთავარ გზას ვერ ხედავდა. ის ალბათ სახლის მეორე მხარეს იყო.

- პოლ, მგონი, ჩემი ბოსელი მოგეწონა, - უთხრა ქალმა.

პოლი შეკრთა. სწრაფმა გატოკებამ კაცს ფეხებში მთვლემარე ტკივილი გაუღვიძა, რომელიც წვივებსა და გასიებულ ბარძაყში ეკვეთა. ღრღნიდა და ნემსივით ჩხვლეტდა მარცხენა მუხლში. მერე ტკივილი თანდათან მინელდა.

სინზე ავადმყოფის მსუბუქი, ადვილად გადასამუშავებელი საჭმელი იდო, რომლის დანახვაზე პოლს მუცელი აუბუყბუყდა. ენი მიუახლოვდა და კაცმა დაინახა, რომ ქალს თეთრი ფეხსაცმელები ეცვა.

- ჰო, - თქვა კაცმა, - მომეწონა, ლამაზია.

ენიმ ეტლის სახელურებზე ფიცარი, ხოლო ფიცარზე სინი დადო. სკამი ეტლთან მიაჩოჩა და პოლს გვერდით მიუჯდა, როდესაც მან ჭამა დაიწყო.

- „ლამაზი ის არის, ვინც ლამაზად იქცევაო“, - იცოდა ხოლმე დედაჩემმა თქმა, ვცდილობ, ყველაფერი ფაქიზად მქონდეს, თუ არა და, მეზობლები ყბედობას დაიწყებენ. ყოველთვის ხელჩასაჭიდს ეძებენ, რომ ჭორები ამიგორონ. ამიტომ ვცდილობ, სალაპარაკო არ მივცე. გარეგნული მხარე ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია. ხოლო რაც შეეხება ბოსელს, მისი მოვლა მაინცდამაინც ძნელი არ არის, თუ, რასაკვირველია, საქმეს არ დააგროვებ. ყველაზე „საშურებელი“ საქმე ის არის, თოვლმა სახურავი არ ჩაამტვრიოს.

„რაო, „საშურებელი“ საქმეო? დაიმახსოვრე, მეგობარო, და ენი უილკსის ლექსიკონიდან ეს სიტყვა გამოიყენე შენს მემუარებში, თუ, რასაკვირველია, დაგცალდა მისი დაწერა“, - გაიფიქრა კაცმა.

- ორი წლის წინ ბილი ჰავერშამი მეხმარებოდა და სახურავზე გასათბობ, ელექტრო ზონარს ვდებდით. მერე მის ერთ ბოლოს ჩამრთველს ვუერთებდით. ზონარი ხურდებოდა და ყინულს ადნობდა. მაგრამ ამ ზამთარს ვფიქრობ, ზონარი არ დამჭირდება. ნახე, ყინული თავისით როგორ დნება?

პოლს ჩანგლით კვერცხი პირისკენ მიჰქონდა. ხელი ჰაერში გაუშეშდა. ბოსლის სახურავს გახედა. ჩამწკრივებულ ლოლოებს წვეთები ჩქარჩქარა წყდებოდა და ბოსლის ძირას გაყინულ, ვიწრო არხში ეცემოდა.

- ჯერ ცხრა საათი არ გამხდარა და უკვე ორმოცდახუთი გრადუსია ფარენგეიტით, - თქვა ენიმ მხიარულად.

პოლს თვალწინ წარმოუდგა თოვლში დამარხული თავისი „კამარო“, რომლის უკანა ბამპერი შეიძლება ჩანდა კიდევაც.

- ზამთარი ალბათ კუდს მოიქნევს. შეიძლება დიდი ქარბუქიც ატყდეს, მაგრამ გაზაფხული მოდის, პოლ. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, გაზაფხულის მოსვლას ისე ელოდები, როგორც სამოთხეში მოხვედრასო.

პოლმა კვერცხიანი ჩანგალი თეფშზე დადო.

- ბოლო ლუკმა აღარ გინდა? ჭამა დაამთავრე?

- ჰო, - უთხრა პოლმა. თვალწინ კი ქალაქ საიდუინდერიდან მომავალი როიდმანები წარმოუდგა. მისის როიდმანს სახეში კაშკაშა სინათლე სცემდა და ხელი ასწია, რომ თვალები მოეჩრდილა. უცებ რაღაცას მოჰკრა თვალი და ქმარს მიუბრუნდა: „იქ ქვევით რაღაც იყო... არ მითხრა, გიჟი ხარო... ნამდვილად რაღაც იყო... დავბრუნდეთ, ისევ უნდა შევხედო“.

- კარგი, თუ ჭამა დაამთავრე, სინს წავიღებ, - უთხრა ქალმა. - შენ კი მოემზადე და აზრები დაალაგე, - ქალის მზერაში სითბო იგრძნობოდა. - პოლ, ვერ აგიწერ, რა აღტაცებული ვარ.

ენი ოთახიდან გავიდა. პოლი ეტლში იჯდა, ფანჯრიდან იყურებოდა და ლოლოებიდან წვეთების წკაპაწკუპს თვალს ადევნებდა.

29

- სხვანაირი ქაღალდი მჭირდება, შეგიძლია მომიტანო? - ჰკითხა პოლმა ენის, როდესაც ის ფიცარზე საბეჭდი მანქანისა და ფურცლების დასაწყობად შემოვიდა.

- სხვანაირი? - ჰკითხა ქალმა და პოლიეთილენით შეფუთული ფურცლების შეკვრაზე თითი დააკაკუნა. - ეს ყველაზე ძვირი ქაღალდია.

- დედაშენს არასოდეს უთქვამს, რომ ყველაზე ძვირი ყოველთვის საუკეთესო არ არის?

ენის შუბლი შეეჭმუხნა. სახეზე გულისწყრომა გამოეხატა. პოლი მიხვდა, ქალს მოთმინება ეკარგებოდა.

- არა, არ უთქვამს. მან რაც მითხრა, ჭკვიანო ბიჭო, ის არის, რომ იაფი საქონელი უვარგისიაო.

ენი თავისი ფეთქებადი ხასიათით ცენტრალური შტატებისათვის დამახასიათებელ გაზაფხულის ქარიშხლიან ამინდს ჰგავდა. პოლი იმ დასკვნადმე მივიდა, რომ ქალი სავსე იყო ტორნადოებით. პოლი ფერმერი რომ ყოფილიყო, რომელიც ახლა ცას აკვირდებოდა, შეამჩნევდა, რომ ცა ენის სახესავით საავდროდ იქუფრებოდა. ჰოდა, თავისი ოჯახი და საქონელი სასწრაფოდ უნდა შეეკრიბა, რომ თავშესაფარში გაქცეულიყვნენ. ქალს შუბლი ჩვეულებრივზე მეტად გაუთეთრდა. ნესტოები ისე დაებერა, როგორც ცხოველს, რომელმაც ცეცხლის სუნი იგრძნო. ხელებს შლიდა და ისევ მუშტებად კრავდა. თითქოს ჰაერს იჭერს და ჭყლეტსო.

მწარე გამოცდილებამ პოლს აფიქრებინა, სანამ დროა, უკან დაიხიე და ქალი დაამშვიდეო, როგორც რაიდერ ჰაგარდის ერთერთ მოთხრობაში აფრიკული ტომი ამშვიდებს მსხვერპლის შეწირვით თავის განრისხებულ ღვთაებას.

მაგრამ იყო კიდევ სხვა ხმა, რაც კაცს ურჩევდა, ნაკლებად მშიშარა ყოფილიყო. შეჰერაზადას როლს ვერ ითამაშებ, თუ ყოველ მის აფეთქებაზე გული გაგისკდაო. თუ ერთხელ უკან დაიხევ, მერე ნახე, რა ხშირად იქნება ეს ნერვული აფეთქებებიო. ისევ ხმა ჩასძახოდა, შენ რომ არ გქონდეს ის, რაც ქალს ასე ძალიან სურს, ალბათ იმ დღესვე, როცა გზაზე გიპოვა, საავადმყოფოში წაგიყვანდა ან მოგვიანებით მოგკლავდა, რომ როიდმანებისაგან თავი დაეცვაო. ენისთვის ხომ მთელი სამყარო როიდმანებით იყო სავსე. ყოველი ბუჩქის უკან როიდმანები იყვნენ ჩასაფრებულები. თუ ახლავე არ მოუვლი მაგ ძუკნას, პოლ, ჩემო მეგობარო, ამას მერე ვერასოდეს გააკეთებო, უმეორებდა ხმა.

ქალმა უფრო ჩქარა დაიწყო სუნთქვა, ხელებსაც მუშტებად გაცილებით სწრაფად კრავდა და შლიდა. პოლმა იცოდა, ერთი წამი და ქალი თავს დააცხრებოდა.

რაც კი გამბედაობა გააჩნდა, მოიკრიბა და რაც შეიძლება მკვახედ და გაღიზიანებულად უთხრა:

- ენი, შეწყვიტე. გაგიჟება საქმეს არ უშველის.

ქალი გაშრა, თითქოს სილა გააწნესო.

- ბუზს სპილოდ ნუ აქცევ, - უთხრა პოლმა მშვიდად.

- ეს ოინია, - თქვა ქალმა. - არ გინდა, ჩემი წიგნი დაწერო და თავს იძვრენ. მეგონა, თანახმა იყავი, მაგრამ დაწყება არა და არ გინდა.

- სისულელეა, - მიუგო კაცმა. - გითხარი, არ დავწერმეთქი?

- არა, არ გითქვამს, მაგრამ...

- კეთილი. თუ აქ მოხვალ, გაჩვენებ, პრობლემა რა არის. თან ვებსტერის ქილა წამოიღე.

- რა?

- ქილა, სადაც კალმები და ფანქრებია ჩაწყობილი. ზოგჯერ გაზეთებში დანიელ ვებსტერის პატივსაცემად ასე მოიხსენიებენ ხოლმე. ეს, რასაკვირველია, ტყუილი იყო, რომელიც კაცმა იმწამს შეთხზა, მაგრამ ტყუილმა სასურველი შედეგი გამოიღო. ქალი დაიბნა. ასეთი დაბნეული არასოდეს ყოფილა, რადგან არაფერი გაეგებოდა იმ სფეროსი, რომელიც პოლმა ახსენა. ქალში დაბნეულობამ გაბრაზება უკუაგდო. ახლა აღარც კი იცოდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა გაბრაზების უფლება.

ქალმა კალმებისა და ფანქრების ქილა მოუტანა და წინ ფიცარზე დაუდო.

პოლმა გაიფიქრა: „ეშმაკმა წაიღოს! გავიმარჯვე“.

არა, ეს არ იყო მართალი. მან კი არა, მიზერიმ გაიმარჯვა. მაგრამ არც ეს იყო სიმართლე. შეჰერაზადამ გაიმარჯვა.

- აბა, რა ხდება? - ჰკითხა ქალმა უკმაყოფილოდ.

- შეხედე.

პოლმა შეფუთული „ქორასაბლ ბონდის“ ფირმის საბეჭდი ქაღალდი გახსნა და ერთი ფურცელი ამოიღო. მერე ფანქრით სწო-

რი ხაზი გაავლო. შემდეგ ბურთულიანი კალმით გაავლო პარალელური ხაზი. მერე ორივეს ცერი გადაუსვა. ორივე ხაზი გაიდღაბნა. ფანქრით გავლებული ხაზი კალმით გავლებულზე მეტად წაიშალა.

- ხედავ?

- რას?

- ფურცელზე საბეჭდი ლენტის მელანიც გაიდღაბნება. შეიძლება ფანქარივით არ წაიშალოს, მაგრამ კალამზე მეტად გადღაბნილი კი იქნება.

- შენ რა, აპირებ ყველა გვერდს ცერი უსვა?

- როდესაც ფურცლები ერთმანეთს დაედება, გარკვეული დროის შემდეგ ხახუნი ნაწერს წაშლის, - უთხრა კაცმა. - ხელნაწერის გადაფურცვლაც ხშირად ხდება. მწერალს ზოგჯერ უკან დაბრუნება უწევს, რომ სახელი ან თარიღი დააზუსტოს. ღმერთო ჩემო, ენი, ამ ბიზნესში პირველი, რაც უნდა იცოდე ის არის, რომ რედაქტორები ამ ქაღალდზე დაბეჭდილდა ასევე კალმით შესრულებულ ხელნაწერებს ვერ იტანენ.

- ასე ნუ ეძახი. მძულს, როდესაც ასე ეძახი, - უთხრა ქალმა.

- რას ნუ ვეძახი, - ჰკითხა გაოცებულმა პოლმა.

- ღვთისგან ნაბოძებ ტალანტს ბიზნესს რომ ეძახი, ამას ვერ ვიტან, - მიუგო ქალმა.

- ვწუხვარ.

- დიახ, უნდა წუხდე, - უთხრა ქალმა ცივად. - დამნაშავედ უნდა გრძნობდე თავს. უზნეო ადამიანი ხარ, ასეთი რამ რომ წამოგცდა.

„არა, ენი“, - გაიფიქრა კაცმა და გული სიბრაზით აევსო. „არა, უზნეო არ გახლავარ. „სწრაფი მანქანები“ სულაც არ იყო უზნეობა. ახლა რომ ვუფიქრდები, არც იმ ძუკნა მიზერის მოკვლა იყო უზნეობა. უზნეობისგან გათავისუფლების აღსანიშნად მივემგზავრებოდი დასავლეთ სანაპიროზე. დამსხვრეული მანქანიდან ამო-

მიყვანე და ისევ უზნეობაში მაბრუნებ. გულის სიღრმეში ეს შენც იცი. ხანდახან ამას შენს თვალებშიც ვკითხულობ. შენ შეიძლება სიგიჟის გამო სასამართლომ გაგათავისუფლოს, მაგრამ მე არ გაგათავისუფლებ, ეს იცოდე“.

- კარგი შენიშვნაა, - თქვა პოლმა. - მოდი, ქაღალდის თემას დავუბრუნდეთ.

- გიშოვი მაგ სულელურ ქაღალდს, - უთხრა ქალმა პირქუშად, - ოღონდ მითხარი, როგორი უნდა იყოს.

- თუ ხვდები, მე შენს მხარესა ვარ.

- ნუ მაცინებ. ჩემს მხარეს არავინ ყოფილა დედაჩემის გარდა, რომელიც ოცი წლის წინ გარდაიცვალა.

- გინდ დაიჯერე, გინდ არა, - მიუგო კაცმა, - თუ ურწმუნო ხარ და არ გჯერა, რომ მადლობელი ვარ ჩემი გადარჩენისთვის, მაშინ ეს შენი პრობლემაა.

პოლი ყურადღებით აკვირდებოდა და ქალის თვალებში უნდობლობაც და დაჯერების სურვილიც ერთად ამოიკითხა. კარგი, ძალიან კარგი. პოლმა მთელ თავის გულწრფელობას უხმო და კიდევ ერთხელ წარმოიდგინა, როგორ ჩათხრიდა ქალს ყელში შუშას, რომ ერთხელ და სამუდამოდ სისხლისგან დაცლილიყო. სისხლისგან, რომლითაც მისი ავადმყოფი ტვინი იკვებებოდა.

- მაშინ ის მაინც უნდა დაიჯერო, რომ წიგნის მხარესა ვარ, - თქვა კაცმა. - როგორც მახსოვს, წიგნის აკინძვა და ყდაში ჩასმა გინდოდა. ხელნაწერის აკინძვას გულისხმობდი? დაბეჭდილი გვერდების?

- ჰო, რა თქმა უნდა, - მიუგო ქალმა.

„აბა რა“, - გაიფიქრა კაცმა. „სტამბაში რომ მიიტანო, კითხვები გაჩნდება. ენი უილკს, შენ შეიძლება წიგნის ბეჭდვის ბიზნესის არაფერი გაგეგება, მაგრამ არც ისეთი მიამიტი ხარ, ვერაფერს ხვდებოდე. პოლ შელდონი გაქრა, ხოლო შენს ასოთამწყობს შეიძლება გაახსენდეს, რომ შენი მიტანილი ხელნაწერი რაღაცით

პოლ შელდონის ყველაზე ცნობილ გმირს უკავშირდება. თან ეს ყველაფერი საეჭვოდ ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც პოლ შელდონი გაუჩინარდა. ასოთამწყობს ალბათ გაუკვირდება, რომ რომანის ერთადერთი ეგზემპლარი შეუკვეთეს.

მხოლოდ ერთიო, - ამბობს ასოთამწყობი.

ქალი როგორ გამოიყურებოდა, ოფიცერო? ტანით ზორბა იყო. ქვის კერპს ჰგავდა, რომლის მსგავსი რაიდერ ჰაგარდს თავის ერთერთ მოთხრობაში აქვს აღწერილი... მისი სახელი და მისამართი მაქვს... ერთი წუთით, საქაღალდეში მოვძებნი...

- ვფიქრობ, აკინძული ხელნაწერი კარგად უნდა გამოიყურებოდეს და დიდხანს უნდა გაძლოს. ამ ქაღალდზე თუ დავბეჭდავ, დაახლოებით ათ წელიწადში ნაწერი ისე წაიშლება, რომ ხელში ცარიელი გვერდები შეგრჩება. რასაკვირველია, თუ თაროზე შემოდებ, მაშინ არაფერი მოუვა.

მაგრამ ენის ეს არ უნდა, ასე არ არის? მას უნდა, ყოველდღე გადაფურცლოს. სურს, ყოველწამს აღტაცებით ჩასცქეროდეს.

ქალი გაქვავებული სახით უსმენდა. რაღაც ახალი, გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც კაცმა ალღო ვერ აუღო.

- რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი, - უთხრა ქალმა. - გითხარი, მოგიტანმეთქი. ოღონდ მითხარი, როგორია საჭირო.

- საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში იკითხე ორი შეკვრა... ჰო, შეკვრაში ხუთასი ფურცელია.

- ეგ ვიცი, სულელი არა ვარ.

- ვიცი, რომ არა ხარ, - მიუგო კაცმა, რომელიც თანდათან ღიზიანდებოდა. ტკივილი ფეხებში ზევითქვევით მოძრაობდა. განსაკუთრებით მენჯი აწუხებდა, რადგან ერთი საათი გავიდა, რაც ეტლში იჯდა. კაცს, როგორც იტყვიან, სული კბილით ეჭირა.

„დამშვიდდი, ღვთის გულისათვის, წყალში ნუ გადაყრი იმას, რასაც მიაღწიე“, - ეუბნებოდა თავის თავს. „მაგრამ მივაღწიე კი რამეს? იქნებ ეს წარმატებასმოწყურებული ადამიანის ფიქრია?“

- მაშ, ორი შეკვრა თეთრი ქაღალდი იყიდე. „ჰემამილ ბონდი“ კარგი ბრენდია, „თრაიედ მოდერნსაც“ არა უშავს. ორი შეკვრა ასეთი ქაღალდი ადრე ნაყიდ ერთ შეკვრა „ქორასაბლ ბონდზე“ იაფი დაგიჯდება. რომანის დასაწერად და მერე გასწორებულის გადასაწერად ორი შეკვრა სრულიად საკმარისია.

- ახლავე მივდივარ, - წამოიძახა ქალმა და ფეხზე წამოდგა.

პოლს გული შეუქანდა. მიხვდა, ქალი ამჯერადაც უწამლოდ უპირებდა დატოვებას. ფეხები უკვე სტკიოდა. ქალს რაც არ უნდა ეჩქარა, მისი მოსვლისთვის ტკივილი ხომ საშინელ ურჩხულად გადაიქცეოდა.

- ახლავე წასვლა არ არის საჭირო, - ჩქარჩქარა დაიწყო ლაპარაკი კაცმა. - „ქორასაბლ ბონდით“ დავიწყებ. მერე ხომ მაინც უნდა გადავწერო.

- მხოლოდ სულელი თუ დაიწყებდა კარგ საქმეს ცუდი იარაღით, - ქალმა „ქორასაბლ ბონდის“ შეკვრას ხელი წამოავლო, მერე ის ფურცელიც აიღო, რომელზეც პოლმა ხაზები გაავლო. ქაღალდი დაჭმუჭნა და დაამრგვალა. შემდეგ „ქორასაბლ ბონდის“ შეკვრაც და ქაღალდის ბურთიც ნაგვის კალათში ჩააგდო და პოლს მიუბრუნდა. ცივი, ჯიუტი გამომეტყველება მის სახეს ნიღაბივით ეკვროდა. თვალები კი ათცენტიან მონეტასავით უბზინავდა.

- ახლავე ქალაქში მივდივარ. ვიცი, რაც შეიძლება ჩქარა გინდა დაიწყო, რადგან ჩემს მხარეზე ხარ, - ბოლო სიტყვები საოცარი სარკაზმით წარმოთქვა. - ჰოდა, რადგან ასე ვჩქარობ, შენი საწოლში ჩაწვენის დროც არ მაქვს.

ქალს სახეზე ყალბი ღიმილი გამოესახა. თავისი თეთრი ფეხსაცმელებით პოლისკენ გაიწია და თითებით კაცის თმას შეეხო.

პოლმა სცადა, თავი არ აერიდებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ქალს უფრო ფართოდ გაეღიმა.

- ვფიქრობ, მოგვიწევს საქმის გადადება ერთი, ორი ან შეიძლება სამი დღითაც. ჰო, ასეა, ტკივილის გამო ალბათ სამ დღეზე ადრე წამოჯდომას ვერ შეძლებ. ცუდია... მაცივარში შამპანური მიდევს. ალბათ ბოთლს ისევ საკუჭნაოში დავაბრუნებ.

- ენი, შემიძლია ახლავე შევუდგე, თუ...

- არა, პოლ, - ქალი კარისკენ წავიდა, მაგრამ მერე შედგა და პოლს ცივი სახით გამოხედა. მხოლოდ თვალები უბზინავდა ათცენტიან მონეტასავით.

- იქნებ ფიქრობ, შეგიძლია გამასულელო ან გამაცურო, - უთხრა ქალმა, - ვიცი, ჩლუნგი და შტერი ვჩანვარ, მაგრამ არც შტერი ვარ და არც ჩლუნგი, პოლ.

ქალს უცბად თითქოს სახე გაეყო და მისი ცივი, ჯიუტი გამომეტყველება გაბრაზებული ბავშვის სახემ შეცვალა. პოლს წამით გონებაში გაუელვა: „ეს ელდა ალბათ ბოლოს მომიღებსო. ნუთუ მეგონა, რაღაც უპირატესობას მივაღწიე? შეუძლია კი ადამიანს, შეჰერაზადას როლი ითამაშოს, როდესაც მისი დამტყვევებელი გიჟია?“

ქალი უცებ პოლისკენ გამოქანდა. სქელ ფეხებს გამეტებით ადგამდა და მოხრილ იდაყვებს წინ და უკან აქნევდა. თმაც მის მოძრაობას იმეორებდა და სახის გარშემო ხტოდა, რადგან სამაგრი ვეღარ იჭერდა. გოლიათს ჰგავდა, რომელიც ჩონჩხების ველზე ხმაურით დარბოდა. ტრიუმფალური თაღის სურათი თითქოს შიშით ეხლებოდა კედელს.

- ჯიიიიიიაჰჰჰ! - დაიკივლა ქალმა და მუშტები პოლის გასიებულ მარცხენა მუხლს დასცხო.

კაცმა თავი უკან გადააგდო და აღმუვლდა. ძარღვები კისერზე და შუბლზე დაებერა. მუხლიდან წამოსულმა ტკივილმა მთელს ტანში დაუარა.

ქალმა საბეჭდ მანქანას ხელი დაავლო და ბუხრის თავზე დაახეთქა. ისე ადვილად ასწია, როგორც პოლი ცარიელ მუყაოს ყუთს ასწევდა.

- იჯექი ახლა მანდ და იმაზე იფიქრე, აქაურობას ვინ განაგებს, - უთხრა ქალმა ტუჩების მანჭვით. - კიდევ იმაზე იფიქრე, როგორ შემიძლია დაგსაჯო, თუ ცუდად მოიქცევი ან მომატყუებ. თუ გინდა, იყვირე, მაგრამ რა აზრი აქვს. მაინც ვერავინ გაიგებს. აქ არავინ შეჩერდება, რადგან ყველა ფიქრობს, რომ ენი უილკსი გიჟია. ყველამ იცის, რაც ჩავიდინე. მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულოდ მცნეს.

ქალი კარისკენ წავიდა, მაგრამ მობრუნდა.

- კიდევ ერთ რამეს გეტყვი, - თქვა მან ნელა, - ყველას ჰგონია, შემრჩა და მართლებიც არიან. ამ ყველაფერზე იფიქრე, პოლ, სანამ მე ქალაქში ვიქნები შენი სულელური ქაღალდის საყიდლად.

კარი ისე მაგრად გაიჯახუნა, რომ მთელი სახლი შეზანზარდა. მერე პოლს გასაღების გადატრიალების ხმა შემოესმა.

კაცი ეტლის ზურგს მიეყრდნო. ერთიანად ცახცახებდა. ცდილობდა კანკალი შეეჩერებინა, რადგან მოძრაობით ტკივილი უმძაფრდებოდა, მაგრამ არ შეეძლო. ცრემლები ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. თვალწინ წარმოუდგა, როგორ გადმოჭრა ქალმა ოთახი, როგორ დაუშინა მუშტები მთელი ძალით მუხლზე, ისე როგორც გაბრაზებული მთვრალი დაჰკრავს ხოლმე მუშტს მუხისგან დამზადებულ ბარის მაგიდას. საშინელმა ტკივილმა მთლიანად შთანთქა მისი სხეული.

- გემუდარები, ღმერთო, გემუდარები, - დაიკვნესა პოლმა, როდესაც გარედან მანქანის დაძვრის ხმა გაიგო. - ან მიხსენი ამ გასაჭირიდან, ან მომკალი... ან მიხსენი, ან მომკალი.

მანქანის ხმა სულ უფრო და უფრო შორიდან ისმოდა. პოლს ვერც ღმერთმა უშველა, დარჩა ცრემლითა და გაუსაძლისი ტკი-

ვილით გათანგული. ტკივილით, რომელიც მთელ სხეულში ბობოქრობდა.

30

პოლი იმაზე დაფიქრდა, რომ მოგვიანებით მსოფლიო, რომელიც ამოუწურავი გარყვნილებითა და სიბინძურით იყო სავსე, კაცის ქმედებას გმირობად ჩათვლიდა და პოლიც არ შეეწინააღმდეგებოდა ამგვარ ეპითეტს. სინამდვილეში მისი საქციელი მხოლოდ თავდაცვის მცდელობა იყო.

თითქოს შორიდან ბუნდოვნად ესმოდა ზოგიერთი შერეკილი სპორტული კომენტატორის - ჰოვარდ კოსელის, უორნერ ვულფის ან მთლად გადარეული ჯონი მოუსტის აღტაცებული სიტყვები, როდესაც ისინი აღწერდნენ, თუ რა ძალისხმევას მიმართავდა პოლი ნარკოტიკის მოსაპოვებლად, რომ ტკივილს მისთვის სული არ ამოეხადა. ეს იყო გასაოცარი სპორტული მოვლენა და რა შეიძლებოდა დაგერქვათ სპორტის ამ სახეობისათვის? დოპინგისათვის რბოლა?

„ნახეთ, არაჩვეულებრივ ნებისყოფას იჩენს პოლ შელდონი დღეს! - კაცის გონებაში მოკალათებული სპორტული კომენტატორი თავისას არ იშლიდა - დიახ, შელდონმა ეტლი დაძრა. მოდით, კიდევ ერთხელ ვნახოთ ეს მომენტი“.

შუბლიდან წურწურით ჩამოსული ოფლი თვალებს უწვავდა. კაცმა მარილიანი ცრემლით დასველებული ტუჩები გაილოკა. კანკალს ვერა და ვერ იოკებდა. ფეხები ისე სტკიოდა, მისთვის ეს სამყაროს დასასრული იყო.

პოლმა გაიფიქრა: „დგება წუთი, როდესაც ყოველგვარი საუბარი ტკივილის შესახებ უაზრობა ხდება, რადგან მსოფლიოში

არავინ იცის, ეს რა განუზომელი ტკივილია. ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ხელში დემონებმა ჩაგიგდეს“.

პოლს იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, რომ ქალს „ნოვრილი“ სადმე სახლში ექნებოდა შენახული. წამალი უნდა მოეძებნა. მაგრამ საწოლი ოთახის კარი ჩაკეტილია... კაცი ვარაუდობდა, რომ აბები ამ სართულის აბაზანაში კი არა, სადმე აქვე იქნებოდა... ქალი რომ დაბრუნებულიყო და დაეჭირა... ეს დაბრკოლებები არაფერი იყო იმ ტკივილთან შედარებით, რასაც პოლი განიცდიდა. ან გაუმკლავდებოდა ამ დაბრკოლებებს, ან არადა, მოკვდებოდა. ეს იყო და ეს.

წელსქვემოთ ცეცხლი წაეკიდა და ტკივილი ფეხებში ლურსმნებივით ჩაესო, მაგრამ ეტლის დაძვრა მაინც შეძლო. ეტლი ძალიან ნელა ამოძრავდა. დაახლოებით ოთხი ფუტი გაიარა, ვიდრე მიხვდებოდა, რომ ეტლი კარისკენ უნდა შეეტრიალებინა.

აცახცახებულმა მარჯვენა ბორბალს ჩაავლო ხელი, „აბებზე იფიქრე, აბებზე და იმ შვებაზე, რასაც აბები მოგიტანს“, - გაიფიქრა პოლმა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ბორბალს დაეყრდნო. რეზინი იატაკზე თაგვივით აწრიპინდა. ერთ დროს ძლიერი, მაგრამ ახლა მოდუნებული კუნთები ჟელესავით უთიმთიმებდა. სიმწრისგან ტუჩებს კბილებით იკვნეტდა და ბოლოს, როგორც იქნა, ეტლი ნელნელა მოტრიალდა.

მერე ხელები ორივე ბორბალს ჩასჭიდა და წინ გაგორდა. ამჯერად ხუთი ფუტი გაიარა და გაიმართა. შემდეგ თვალთ დაუბნელდა. გონზე მოსასვლელად რამდენიმე წუთი მაინც დასჭირდა.

პოლს შორიდან კვლავ ჩაესმა სპორტული კომენტატორის გაწვრილებული ხმა: „უყურეთ, კვლავ ცდილობს ამოძრავდეს. წარმოუდგენელია, რა ნებისყოფა აქვს ამ კაცს!“

პოლმა კართან რაღაც დაინახა და იქითკენ გაგორდა. ხელი ჩასწია, მაგრამ თითები იატაკამდე ვერ მიაწვდინა. იატაკზე ენის თმის სამაგრი ეგდო. ალბათ მაშინ ჩამოუვარდა, როდესაც პო-

ლისკენ გაცეცხლებული გამოქანდა. პოლმა ტუჩზე გამეტებით იკბინა. ოფლი კისერში წურწურით ჩასდიოდა და პიჟამოს საყელოს უსველებდა.

„არა მგონია, აიღოს ეს სამაგრი. ხალხნო, ნახეთ, რა ძალისხმევას იჩენს, მაგრამ ვშიშობ, ყველაფერი ამით დამთავრდება“, - არ ცხრებოდა კომენტატორი.

იქნებ სხვანაირად დამთავრდეს... პოლი მარჯვნივ გადაიხარა. სცადა, ყურადღება არ მიექცია ტკივილისათვის, რომელიც სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა. იხრებოდა და თან ყვიროდა. მაინც ვერავინ გაიგებსო, გაახსენდა ქალის სიტყვები. იატაკამდე ერთი დუიმი ისევ რჩებოდა. თითებს თმის სამაგრის თავზე საცოდავად ასავსავებდა. მარჯვენა თეძო ლამისაა გარეთ გამოვარდნოდა.

„ღმერთო, მიშველე, გემუდარებიიიი“...

პოლი კიდევ უფრო დაიხარა. თითის წვერებით თმის სამაგრს შეეხო, მაგრამ, სამწუხაროდ, შემთხვევით წაჰკრა თითი და სამაგრი ცოტა წინ წასწია. პოლი ეტლში ოდნავ ქვევით ჩახოხდა. ისევ მარჯვნივ იყო გადახრილი. ტკივილისაგან ყვიროდა. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ღია პირიდან ენა ფარდის ასაწევდასაწევი ზონარივით ეკიდა. ენის წვერიდან კი ნერწყვი წვეთწვეთად იატაკზე ეცემოდა.

კაცი თმის სამაგრს თითებით დასწვდა... კინაღამ გაუსხლტა... ბოლოს, როგორც იქნა, აიღო და მუშტში მოიქცია.

გაიმართა თუ არა პოლი, ტკივილი ახალი ძალით ეკვეთა. კაცს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. თავი უკან გადასწია, რამდენადაც ამის საშუალებას ეტლი იძლეოდა. თმის სამაგრი ეტლის სახელურებს შორის გადებულ ფიცარზე დადო. გული ერეოდა, მაგრამ მერე გადაუარა.

რას აპირებ? გაუჯავრდა დაქანცული გონება ცოტა ხნის შემდეგ. ელოდები ტკივილი თავისით როდის გაივლის? ხომ იცი,

რომ არ გაგივლის. ენი უილკსს დედამისის სიტყვები მოჰყავს ხოლმე. მაგრამ დედის გამონათქვამები შენც ხომ კარგად გახსოვს, ასე არ არის?

კი, ასეა.

პოლი ეტლში იჯდა. თავი უკან ჰქონდა გადაწეული. სახე ოფლისგან ულაპლაპებდა და თმა შუბლზე მიწებებოდა. დედის ერთერთი გამონათქვამი ხმამაღლა, შელოცვასავით წარმოთქვა: „შეიძლება, გარს ფერიებიც გეხვეოდნენ და ელფებიც, მაგრამ ღმერთი იმას შველის, ვინც თავის თავს შველის... გაანძრიე ხელი და გეშველებაო“.

სწორია, ჰოდა, შეწყვიტე ლოდინი. ერთადერთი მძიმეწონოსანი ელფი, რომელიც აქ გამოცხადდება, ენი უილკსია, - ჩასძახა გონების ხმამ.

კაცმა ინვალიდის ეტლი გაჭირვებით კვლავ დაძრა. კარისკენ გაგორდა. ქალმა კარი დაკეტილი დატოვა, მაგრამ შეიძლება პოლს გაეღო. ტონი ბონასარო, რომელიც ახლა ფერფლად იყო ქცეული, მანქანის ქურდი ბრძანდებოდა. როდესაც პოლი „სწრაფი მანქანების“ დასაწერად ემზადებოდა, მანქანის ქურდობის ტექნიკა ყოფილმა პოლიციელმა ტომ ტუიფორდმა აუხსნა და აჩვენა, წვრილი, დრეკადი მავთულით როგორ აღებდნენ ხოლმე ქურდები მანქანის კარს და სიგნალიზაციას როგორ თიშავდნენ.

ეს ამბავი გაზაფხულზე, ორ წელიწადნახევრის წინ იყო. დავუშვათ - განაგრძო ტომმა ახსნა განმარტება. - მანქანის მოპარვა არ გინდა. მანქანა გაქვს, მაგრამ საწვავი არა. ბენზინის გადმოსასხმელი მილი გაქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, საიდანაც უნდა გადმოასხა, იმ მანქანის საწვავის ავზს ხუფი აქვს ჩაკეტილი. ეს პრობლემაა? არა, რა თქმა უნდა, თუ ხელთ თმის სამაგრი გაქვს.

პოლს უსასრულობასავით გრძელი ხუთი წუთი დასჭირდა, სანამ კარს ისე მიუდგებოდა, როგორც სურდა. ეტლის მარცხენა ბორბალი კარს თითქმის შეეხო.

კარებში ძველებური საკეტი აღმოჩნდა ჩადგმული. კაცს თვალწინ წარმოუდგა ჯონ ტენიელის ილუსტრაციები წიგნისთვის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“. პოლს ყეფასავით კვნესა აღმოხდა, როდესაც ეტლში ცოტა დაბლა ჩაჩოჩდა. მერე ჭუჭრუტანაში გაიხედა. მოკლე დერეფნის იქით სასტუმრო ოთახი ჩანდა. იატაკზე წითელი ხალიჩა იყო დაფენილი. ძველმოდურ დივანსაც წითელი ფერის ქსოვილი ჰქონდა გადაკრული. ნათურას კი ფოჩებიანი ჭაღი ფარავდა.

დერეფნის მარცხნივ ოდნავ გაღებული კარი ჩანდა. პოლს გულისცემა გაუხშირდა. ალბათ იქ სააბაზანო ოთახი იყო. ხშირად გაუგია წყლის ჩხრიალის ხმა, რომელიც შეიძლება იქიდან მოდიოდა. ქალმა ალბათ იატაკის ვედრო წყლით იქ აავსო. ახსოვს პოლს, იმ ვედროდან წყალი როგორ დალია. ნეტავ ქალი იქიდან ხომ არ შემოდიოდა, როდესაც პოლს წამალს ასმევდა? ალბათ იქიდან, დაასკვნა პოლმა.

კაცმა თმის სამაგრს სასწრაფოდ წამოავლო ხელი, მაგრამ სამაგრი თითებში გაუსხლტა და ფიცრის კიდისკენ გასრიალდა.

- არა! - წამოიძახა ხმაჩახლეჩილმა და საჩქაროდ ხელი დაუფარა, რომ არ გადავარდნილიყო. პოლს მეორეჯერ ისევ დაუბნელდა თვალები. დანამდვილებით არ ახსოვდა, მაგრამ, მისი ვარაუდით, მხედველობა კარგა ხნის შემდეგ დაუბრუნდა. მარცხენა მუხლში აუტანელი ტკივილი ახლა ოდნავ შესუსტებულიყო. პოლმა მარჯვენა ხელის თითები რამდენჯერმე მოხარა და გაშალა, სანამ თმის სამაგრს აიღებდა.

„ახლა ვეღარ დამისხლტები“, - გაიფიქრა მან და თმის სამაგრი მავთულივით გაასწორა. მერე საკეტის ჭუჭრუტანაში შეყო. ოფლი სახეზე ისევ წურწურით ჩამოსდიოდა. ხმას ყური მიუგდო... არა, უფრო გრძნობას მიენდო.

გაახსენდა, ტომ ტუიფორდის ხელის მოძრაობა, როდესაც უხსნიდა, როგორ უნდა გაეღო ჩაკეტილი ავზის ხუფი.

პოლმა ორჯერ სცადა, მაგრამ ორივეჯერ უშედეგოდ. თმის სარჭი იღუნებოდა და ორი, სამი ცდის შემდეგ შეიძლება გადამტყდარიყო.

- ღმერთო, გემუდარები, - შესთხოვა ღმერთს, - ცოტა დამეხმარე, სხვას არაფერს გთხოვ.

ისევ ჩაესმა სპორტული კომენტატორის ხმა: „ხალხნო, შელდონი დღეს გმირულად იქცეოდა. მაგრამ, ვნახოთ, ბოლო ცდა როგორ გამოუვა. მოლოდინით აღსავსე მაყურებელი გასუსული“...

პოლმა თვალები დახუჭა. კომენტატორის ხმა მიწყდა. პოლს საკეტში თმის სარჭის ჩხაკუნის გარდა აღარაფერი ესმოდა. მარცხენა ხელი კარის სახელურს ჩაავლო. მარჯვენათი კი თმის სარჭს ფრთხილად ამოძრავებდა. ცოტა კიდევ... ცოტაც...

გონების თვალით ხედავდა, საკეტის პატარა და მტვრიან ბუდეში კბილანები როგორ ამოძრავდა. საკეტის ენაც ცოტა გაიწია. არც იყო საჭირო ენა ბოლომდე გაწეულიყო. პოლი კარს მიაწვა. მაგრამ ახლა თმის სარჭი გაიღუნა და ხელიდან უსხლტებოდა. სასოწარკვეთილმა პოლმა ერთხელ კიდევ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, სარჭი საკეტში ზევით ასწია, სახელური გადაატრიალა და კარს ისევ მიაწვა. გაისმა ტკაცუნის ხმა. სარჭი გატყდა და ერთი ნაწილი საკეტში ჩარჩა. „ამდენი შრომა წყალში ჩამეყარაო“, - გაიფიქრა პოლმა, მაგრამ დაინახა, კარი ნელნელა როგორ გაიღო. საკეტის ენა კი კარს რკინის თითივით დარჩა გამოშვერილი.

- გმადლობ, ღმერთო, - წაიჩურჩულა პოლმა.

„მოდით, ხელახლა ვნახოთ ჩანაწერი“, - კიოდა აღტაცებული უორნერ ვულფი და მასთან ერთად ბღაოდა ენი უილკსის სახელობის სტადიონზე მოსული ათასობით და ტელეეკრანებთან მსხდომი მილიონობით მაყურებელი.

- ახლა არა, უორნერ, დამაცადე, - თქვა პოლმა და ეტლი უკან გასწია, მერე ისევ წინ წამოვიდა. ცდილობდა, ეტლი კარისკენ მიემართა, რომ როგორმე გაევლო.

31

პოლს ცუდი კი არა, უსაშინლესი წამი დაუდგა. ეტლი კარში ვერ გაეტეოდა, რადგან კარის სიგანეზე ორი დუიმით მეტი ჩანდა. თავიდან ქალმა ეტლი საძინებელში დაკეცილად შემოიტანა, ამიტომ მიამსგავსა პოლმა ის მაღაზიის ურიკას.

ბოლოს პოლი, როგორც იქნა, კარში მაინც გაძვრა. ჯერ პირდაპირ მიადგა გასასვლელს, მერე წინ გადაიხარა და კარის კიდეებს აქეთიქით ხელები მაგრად ჩასჭიდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ეტლს წინ მიაწვა. ეტლის ლილვი ხეს გაეხახუნა, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, პოლი გასასვლელში მაინც გავიდა. იქითა მხარეს კაცს თვალები ისევ დაუბნელდა.

32

პოლს ქალის ხმა ჩაესმა. მან თვალი გაახილა და დაინახა, ენი თოფს უმიზნებდა. ქალს თვალები გაცოფებისგან უელავდა. პირზე დუჟი მოსდებოდა.

- თუ ასე ძალიან გინდა თავისუფლება, პოლ, - უთხრა ქალმა, - სიამოვნებით მოგანიჭებ მას.

ქალმა თოფი შეაყენა.

33

პოლი ელდანაკრავი დაელოდა თოფის ხმას, მაგრამ ქალი არსად ჩანდა. კაცი მიხვდა, ეს მოლანდება იყო.

„არა, მოლანდება კი არა, გაფრთხილებაა“, - გაიფიქრა კაცმა. - „ნებისმიერ წუთს შეიძლება დაბრუნდეს“.

პოლს გონებაში გაუელვა, შეიძლება უკვე შუადღეაო. უნდოდა, საათს დაერეკა, რომ გაეგო, დრო რამდენად სწორად გამოიცნო. მაგრამ საათი ჯიუტად დუმდა.

„ამას წინათ ენი ორმოცდაათი საათი იყო წასული. ამ ჯერზე შეიძლება ოთხმოცი საათი დააგვიანდესო“, - გაიფიქრა პოლმა. - „ან, რა იცი, შეიძლება ხუთ წამში დაბრუნდეს, მეგობარო. მაშინაც ასე იყო: ამინდის ბიურო მოსალოდნელ ქარიშხალზე აფრთხილებს მოსახლეობას, მაგრამ როდის ან სად დაგატყდება თავს, არავინ გეუბნება. ერთი მაგათი...“

პოლი სააბაზანოსკენ გაგორდა და შიგნით შეიხედა. სააბაზანო მკაცრი სტილის თეთრი ფილებით იყო მოპირკეთებული. აბაზანა ბრჭყალების მაგვარ ფეხებზე იდგა. მის გვერდით თეთრეულის კარადა იყო, ხოლო მოპირდაპირე მხარეს - პირსაბანი,

რომლის თავზე სამედიცინო კარადა ეკიდა. კარიდან კარგად ჩანდა, რომ იატაკის ვედრო აბაზანაში იყო ჩატოვებული.

დერეფანი საკმაოდ ფართო იყო. ადვილად შეიძლებოდა ეტლის ისე მოტრიალება, რომ კარს პირდაპირ მიდგომოდა. მაგრამ კაცს დაღლილობისგან ხელები უკანკალებდა. პოლი ბავშვობაში ჯანმრთელობით არ გამოირჩეოდა, სუსტი ბავშვი იყო. მერე როდესაც გაიზარდა, ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას უთმობდა. მაგრამ ახლა მისი კუნთები ინვალიდის კუნთებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. თითქოს ის სუსტი ბავშვი ისევ დაბრუნდაო. ამდენმა ვარჯიშმა, სირბილმა და სავარჯიშო მოწყობილობებზე ოფლის ღვრამ თითქოს უკვალოდ ჩაიარა.

ასე რომ, პოლი სააბაზანო ოთახის წინ იდგა. შესასვლელი შედარებით ფართო იყო. კაცს მაინცდამაინც დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია ეტლის ზღურბლზე გადასაგორებლად, მერე კი კაფელის იატაკზე შეუფერხებლად შეგრიალდა. იმ წამსვე რაღაც მჟავე სუნი ეცა. რომელიც გამწმენდი საშუალებების სუნს მიამსგავსა. სააბაზანოში ტუალეტი არ იყო. ამას ადრეც ვარაუდობდა, რადგან ტუალეტის ჩარეცხვის ხმა მხოლოდ ზედა სართულიდან ესმოდა. კაცს გაახსენდა, ამ ხმის გაგონებაზე ღამის ჭურჭელი მასაც სჭირდებოდა ხოლმე. აქ მხოლოდ აბაზანა, პირსაბანი და თეთრეულის კარადა იყო, რომლის კარი ნახევრად ღია დარჩენილიყო.

კაცმა თვალი შეავლო ერთმანეთზე ფაქიზად დაწყობილ ცისფერ პირსახოცებს. პოლს ეცნო ისინი. ქალი ტანს ამ პირსახოცებით უსუფთავებდა ხოლმე. პოლი თეთრეულის კარადასთან დიდხანს არ გაჩერებულა. სამედიცინო კარადისკენ წავიდა. კარადა მაღლა ეკიდა. პოლმა ხელი ასწია, მაგრამ თითის წვერებიდან კარადამდე ცხრა დუიმი მაინც რჩებოდა. ნუთუ შეიძლებოდა, ბედისწერა, ღმერთი, თუ ვინც გნებავთ, ასეთი ულმობელი ყოფი-

ლიყო. მოთამაშეს ჰგავდა, რომელიც ბურთს თავგანწირული მისდევს, მაგრამ ბურთის დაჭერის არავითარი შანსი არა აქვს.

გულგატეხილმა პოლმა დაჭრილივით დაიზმუვლა. ხელი ჩამოუშვა, თავი უკან გადააგდო და ქოშინი აუტყდა. ნაცრისფერი ღრუბლები თანდათან დაბლა ეშვებოდა.

პოლმა ირგვლივ მიმოიხედა. უნდოდა ისეთი რამ ეპოვა, რითაც სამედიცინო კარადას გააღებდა. კუთხეში იატაკის საწმენდი ჯოხი დაინახა.

„ამის გამოყენებას აპირებ? მართლა? კარგი, შეგიძლია კარადის კარი გააღო და რაც შიგაა, ბაკანში გადმოყარო. მაგრამ ბოთლები და შუშები ხომ დაიმტვრევა. დავუშვათ, არ არის იქ შუშები, მაგრამ ერთი ფლაკონი პირში გამოსავლები სითხე „ლისტერინი“ ან რაღაც ამის მსგავსი ხომ ყველას აქვს კარადაში. თან გადმოყრილ ნივთებს უკან ხომ ვეღარაფრით შეაწყობ. ენი უილკსი რომ მოვა, მერე?“

- ვეტყვი, ეს მიზერიმ ჩაიდინა მეთქი, - ჩაილაპარკა კაცმა. - სიცოცხლის ელექსირს ეძებდა, რომ მკვდრეთით აღმდგარიყო.

პოლს მეტი აღარ შეეძლო, ტირილი წასკდა. მაგრამ ცრემლიანი თვალებით მაინც აქეთიქით იყურებოდა და რაღაცას ეძებდა, რომელიც რამეში მაინც დაეხმარებოდა.

კვლავ თეთრეულის კარადისკენ გაიხედა. თვალები გაუფართოვდა და სუნთქვა თითქმის შეწყვიტა. ერთი თვალის შევლებით თაროებზე მხოლოდ დაკეცილი ზეწრები, ბალიშისპირები და პირსახოცები დაინახა. ქვევით არც დაუხედავს. ახლა შეამჩნია, რომ ქვედა თაროზე მუყაოს ყუთები იდგა, რომლებზეც სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანიის იარლიყი იყო დაკრული.

პოლმა ეტლი უხეშად მოაბრუნა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და კარადისკენ გაქანდა.

„ღმერთო, გემუდარები, არ დაუშვა, რომ იმ ყუთებში შამპუნების ან ტამპონების მარაგი აღმოჩნდეს, ან მისი ძვირფასი დედის ფოტოსურათები, ან“...

პოლმა ერთერთი ყუთი გადმოათრია და გახსნა. არც შამპუნები და არც კანის მოვლის საშუალებები იქ არ იყო. მხოლოდ სხვადასხვა დასახელების წამლის კოლოფები ელაგა, წარწერით: „ნიმუში“. ყუთის ფსკერზე სხვადასხვა ფერის აბები და კაფსულები იყო. პოლმა ერთერთი წამალი იცნო. ამ წნევის წამალს მამამისი ბოლო სამი წლის მანძილზე სვამდა. დანარჩენი წამლები არასოდეს ენახა.

„ნოვრილი“, - ბუტბუტებდა პოლი და წამალს გამწარებული ეძებდა. ოფლი სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა და ფეხებში ტკივილი გამეტებით ურტყამდა. „სადაა ეს დედააფეთქებული „ნოვრილი?“ „ნოვრილი“ არსად ჩანდა. პოლმა ყუთი ისევ თავის ადგილას დადო. ახლა მეორე ყუთს მისწვდა და გახსნა. თვალებს არ უჯერებდა. რამდენიმე დასახელების ნარკოტიკულ და ტკივილგამაყუჩებელ წამალს შორის „ნოვრილიც“ იყო. ბევრი „ნოვრილი“, საყვარელი „ნოვრილი“. ყველა კოლოფზე „ნიმუში“, ეწერა. პოლმა ერთი კოლოფი ამოიღო და ნაცნობი კაფსულები დაინახა, რომელსაც ენი ყოველ ექვს საათში ასმევდა. „ექიმის კონსულტაციის გარეშე ნუ მიიღებთ,“ - ეწერა ასევე წამლის კოლოფზე.

„ღმერთო, ექიმიც აქაა“, - ამოისლუკუნა პოლმა, კოლოფს ცელოფანი კბილით მოაგლიჯა და სამი კაფსულა სასწრაფოდ დაღეჭა. წამლის მწარე გემო თითქმის არ უგრძვნია. მერე შეყოყმანდა, დარჩენილი ხუთი კაფსულიდან კიდევ ერთი ამოიღო და ისიც მიაყოლა.

პოლმა სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. თავი ჩაქინდრული ჰქონდა და ნიკაპით მკერდის ძვალს ებჯინებოდა. შეშინებულ თვალებში ეშმაკები მაინც უხტოდნენ. იცოდა, მალე შვებას იგრძნობდა, მაგრამ წამლის დალევაზე მნიშვნელოვანი,

„ნოვრილის“ ქონა იყო. შეძლებდა, მთვარესა და წყლის მოქცევა მიქცევაზე კონტროლი დაეწესებინა. ამაზე კარგი რაღა იქნებოდა. წამალს როგორც უნდოდა, თავის ნებაზე დალევდა. ეს საოცრება იყო...

კაცს გულში შიში და დანაშაულის განცდა შემოეპარა. ენი უილკსი ახლა რომ დაბრუნდეს...

„კარგი“, - გაიფიქრა კაცმა. - „უნდა ვიჩქარო“.

პოლმა მუყაოს ყუთში ჩაიხედა. უნდოდა გაეგო, რამდენი კოლოფის აღება შეიძლებოდა ისე, რომ ენის ვერ შეემჩნია. აინტერესებდა, თაგუნიას, სახელად პოლ შელდონს, შეუმჩნევლად რამდენის წაღება შეეძლო.

კაცს ჩაეცინა. მიხვდა, წამალი არამარტო ფეხების ტკივილს უყუჩებდა, არამედ მთელს ორგანიზმსა და გუნება განწყობაზე კარგად მოქმედებდა.

„რა დროს ეგაა, გაინძერი, იდიოტო“, - გაუჯავრდა გონების ხმა.

კაცმა ხუთი კოლოფი „ნოვრილი“ აიღო, მთელი ოცდაათი კაფსულა. უფრო მეტი უნდოდა აეღო, მაგრამ თავი შეიკავა. დარჩენილი კოლოფები ისე გადაანაწილა, რომ ყუთს ნაკლებად დატყობოდა და ყუთი ისევ კარადაში შეაცურა.

კაცმა მანქანის ხმა გაიგო. თვალებგაფართოებული გაიმართა, ხელები ეტლის ბორბლებზე დააწყო და მაგრად მოუჭირა. თუ ენი უილკსი მოდიოდა, ეს დასასრულის მოახლოებას ნიშნავდა. საწოლ ოთახში სწრაფად დაბრუნებას ვერ შეძლებდა. იქნებ მოესწრო და იატაკის საწმენდი ჯოხი მისთვის ერთხელ მაინც ჩაერტყა, სანამ ქალი წიწილასავით თავს წააცლიდა.

პოლი ეტლში იჯდა, კალთაში „ნოვრილის“ კოლოფები ელაგა, გაშეშებული, მოტეხილი ფეხები უმოძრაოდ წინ ეყარა და მანქანის ხმას ყურს უგდებდა. წუთები უსასრულოდ გაგრძელდა...

მერე ხმა თანდათან სულ უფრო შორიდან ისმოდა და ბოლოს მიწყდა.

„კიდევ გჭირდება სხვა გაფრთხილება, ჩემო ბიჭო?“ - არ ისვენებდა გონების ხმა.

არა, აღარ სჭირდებოდა. მუყაოს ყუთებს უკანასკნელად შეავლო თვალი. კაცის ფიქრით, ყველაფერი ისე ეწყო, როგორც ადრე, თუმცა მაშინ ტკივილით გათანგულს ყურადღება არ მიუქცევია ყუთების განლაგებისათვის. შესაძლოა ქალს ყუთები ალალბედზე კი არა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა, არამედ გარკვეული თანმიმდევრობით ჰქონდა დაწყობილი. იქნებ მას, როგორც ღრმა ნევრასთენიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, კარგად ახსოვდა თითოეული ყუთის ადგილი. იქნებ ერთი უბრალო შეხედვაც საკმარისი იქნებოდა, რომ მიმხვდარიყო, რაც აქ მოხდა. ამის გაფიქრებაზე კაცს არ შეშინებია. მას წამალი სჭირდებოდა და მოახერხა მიღება. თუ ქალი ამის გამო დასჯიდა, პოლი ბედს დამორჩილდებოდა, სულერთია, მას სხვანაირად მოქცევა მაინც არ შეეძლო. ეს მორჩილება ალბათ იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ ქალმა პოლი ტკივილზე დამოკიდებულ ცხოველად აქცია, რომლისთვისაც მორალი უცხო იყო.

პოლი ნელნელა, უკუსვლით სააბაზანოს კარისკენ წავიდა. თან დროდადრო უკან იყურებოდა და ამოწმებდა, ხომ არ ავცდი, სწორად ხომ მივდივარო. ასეთი მოძრაობა წამლის მიღებამდე ალბათ სიმწრის კივილს გამოიწვევდა, მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, ტკივილი აღარ აწუხებდა.

პოლი დერეფანში გამოვიდა. უცებ კაცს თავში საშინელმა ფიქრმა გაუელვა. იქნებ სააბაზანო ოთახში თეთრი კაფელი სველი იყო და კვალი დავტოვეო. ფიქრი ისეთი დამაჯერებელი იყო, რომ იატაკზე ეტლის ბორბლების ნაკვალევს აშკარად ხედავდა. კაცმა თავი გააქნია და იატაკს ისევ დააკვირდა. არა, საბედნიეროდ, არავითარი კვალი იქ არ ჩანდა. ოღონდ კარი ადრინდელ-

ზე ღიად დარჩენილიყო. პოლი წინ გაგორდა, გადაიხარა, სახელურს მისწვდა და კარი ნახევრად მიხურა. მერე ისევ შეხედა და კარი ცოტა კიდევ მიხურა. აი, ზუსტად ასე იყოო, - გაიფიქრა.

ახლა უკვე შეიძლებოდა თავის საძინებელში დაბრუნებულიყო. მაგრამ კაცმა გააცნობიერა, რომ ეტლს პირი მისაღები ოთახისაკენ ჰქონდა და გულმა იქითკენ გაუწია, რადგან ტელეფონი მისაღებში ეგულებოდა.

გონება ისე გაუნათდა, როგორც კაშკაშა ალი სქელ ნისლში მოქცეულ მდელოს გაანათებს ხოლმე. „საიდუინდერის პოლიციის განყოფილება გისმენთ, ოფიცერი ჰამბაგი გელაპარაკებათ“.

„მისმინეთ, ოფიცერო ჰამბაგი, ყურადღებით მომისმინეთ და ნუ შემაწყვეტინებთ, რადგან არ ვიცი, რამდენი დრო დამრჩა. მე პოლ შელდონი ვარ. ენი უილკსის სახლიდან გირეკავთ. მე მისი ტყვე ვარ აგერ უკვე ორი კვირაა, შეიძლება ერთი თვეც იყოს. მე...“

„ენი უილკსი!“

„საჩქაროდ მოდით აქ და კიდევ სასწრაფო დახმარების მანქანა გამოგზავნეთ. ღვთის გულისათვის, ენი უილკსის მოსვლამდე მოდით...“

„მის მოსვლამდე“, - სლუკუნებდა პოლი. - „დიახ, იჩქარეთ“.

რატომ გგონია, რომ ტელეფონი აქვს? გაგიგია, რომ ვინმესთვის დაერეკოს? ან ვის უნდა დაურეკოს - თავის „კეთილ“ მეზობლებს, როიდმანებს?

მაგრამ რადგან ქალს არავინ ჰყავს, რომ მთელი დღე ტელეფონით ესაუბროს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ესმოდეს ტელეფონის საჭიროება, ხომ შეიძლება რამე გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდეს, დაეცეს, ხელი ან ფეხი მოიტეხოს. შეიძლება ბოსელს ცეცხლი წაეკიდოს...

რამდენჯერ გსმენია, ან საერთოდ გსმენია თუ არა, სადმე დაერეკოს?

ნეტავ არის რამე პირობა, ვთქვათ, ტელეფონით დღეში ერთხელ მაინც სარგებლობა, რომ კორპორაციამ სატელეფონო ხაზი არ გაგიუქმოს?.. სიმართლე რომ ვთქვა, მისი დარეკვა არ გამიგია, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მე ხომ თითქმის უგონოდ ვიყავი.

ხავსს ეჭიდები. ხომ იცი, რომ ხავსს ეჭიდები.

დიახ, იცოდა, რომ ხავსს ეჭიდებოდა, მაგრამ ტელეფონზე ფიქრი; ხელში შავი, გრილი პლასტმასის აპარატის შეგრძნება; მრგვალი ციფერბლატის დატრიალება და ნომრის აკრეფა - ყოველივე ეს დიდი ცდუნება იყო, რასაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ასე რომ, პოლი მისაღები ოთახისაკენ გაემართა.

მისაღებ ოთახში ობის სუნი იდგა. ჰაერი დახუთული, გაუნიავებელი იყო და ბნელოდა. თუმცა ფანჯრებზე ფარდები ნახევრად იყო გადაწეული და მშვენიერი მთის პეიზაჟი ჩანდა. ოთახში იმიტომ ბნელოდა, რომ მუქი წითელი ფერი ჭარბობდა. ისეთი გრძნობა გაგიჩნდებოდა, თითქოს ვიღაცის სისხლი დაღვარესო.

ბუხრის თავზე ქალის ფოტოსურათი ეკიდა. ქალს უსიამოვნო, ცივი სახე, წვრილი თვალები და მოკუმული ტუჩები ჰქონდა. ფოტოსურათი როკოკოს სტილის მოოქრულ ჩარჩოში იყო ჩასმული. ზომით დიდი ქალაქების საფოსტო განყოფილების ფოიეში დაკიდებულ პრეზიდენტის ფოტოსურათს უდრიდა. პოლს დიდი მკითხაობა არ დასჭირვებია, ადვილად მიხვდა, რომ ეს ქალბატონი ენი უილკსის დედა იყო.

მისაღებ ოთახში მოძრაობის დროს ეტლის მარცხენა მხარეს პატარა მაგიდას წამოედო, სადაც კერამიკის მინიატურული ზიზილპიპილები ეწყო. ერთი პინგვინი, რომელიც კერამიკის მორზე იდგა, შექანდა და, ისის იყო, ძირს უნდა დავარდნილიყო, პოლმა ხელი სტაცა და მუჭში მოიქცია.

„ნუ გეშინია, დაიჭირე. არ ინერვიულო. თანაც იატაკზე ხალიჩაა, სულერთია, მაინც არ გატყდებოდა“. - ჩაესმა გაოგნებულ პოლს.

„რომ გამტყდარიყო!“ - იკივლა შინაგანმა ხმამ. - „რომ გამტყდარიყო! დაბრუნდი შენს ოთახში. დაბრუნდი, სანამ რამე სამხილი დაგიტოვებია.

„არა, ჯერ არა“, - გაჯიუტდა პოლი, თუმცა იცოდა, ამ ნივთის გატეხვა ძვირად დაუჯდებოდა.

კაცმა ირგვლივ მიმოიხედა. ოთახი უხარისხო ავეჯით იყო გადატვირთული. წესით, დიდებულ მთიან პეიზაჟს, რომელიც ფანჯრებიდან ჩანდა, ოთახის ატმოსფეროზე გავლენა უნდა მოეხდინა, მაგრამ აქ ცივი გამომეტყველების ქალი მბრძანებლობდა, რომელიც საშინელ, დაგრეხილ დივანთან, რომელზეც ალბათ ენი იჯდა და ტელევიზორს უყურებდა ხოლმე, მაგიდა იდგა. მაგიდაზე კი უბრალო, მრგვალციფერბლატიანი ტელეფონი ჩანდა.

სუნთქვაშეკრულმა პოლმა ფრთხილად დადო კერამიკის პინგვინი ზიზილპიპილებიან მაგიდაზე და ტელეფონისკენ გაგორდა.

მაგიდაზე ტელეფონის გარდა უშნო, მწვანე ლარნაკი იდგა, რომელშიც გამხმარი ყვავილები ეწყო. ისე ჩანდა, თითქოს ხელის უბრალო მიკარებაზე ყველაფერი გადმოყირავდებოდა.

მანქანის ხმა არ ისმოდა, გარედან მხოლოდ ქარის ზუზუნი აღწევდა. პოლმა ხელი გაიწვდინა და ყურმილი ფრთხილად აიღო. სანამ ყურთან მიიტანდა, მანამ იგრძნო, რომ ტელეფონი არ მუშაობდა. მან ნელა დადო ყურმილი. თითქოს ყურში როჯერ მილერის ძველი სიმღერა ჩაესმა: „არც ტელეფონი, არც აუზი, არც საყვარელი ცხოველი... არც სიგარეტიიი“...

პოლმა თვალი გააყოლა ტელეფონის სადენს. ხაზი ჩამრთველს უერთდებოდა. ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი გამართულად მუშაობდა. ალბათ ბოსლის თავზე ელექტრო ზონარიც ასე იყო. პოლს ქალის სიტყვები გაახსენდა: „გარეგნულ მხარეს ძალიან, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვსო“.

პოლმა თვალები დახუჭა და დაინახა, როგორ ჩაასხა ენიმ წებო ჩამრთველში. მერე ტელეფონის ხაზი ჩამრთველს შეუერთა,

სადაც ის სამუდამოდ ჩახმა და ჩაიყინა. სატელეფონო კომპანიას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ხაზი დაზიანებული იყო.

სანამ ვინმე არ ეცდებოდა, ენისთან დარეკვას და რადგან ვერ დაუკავშირდებოდა, სატელეფონო სამსახურს შეატყობინებდა. მაგრამ ენისთან არავინ რეკავდა. ქალი ყოველთვიურად სატელეფონო გადასახადის ქვითარს იღებდა და გადახდას არ აგვიანებდა. ტელეფონი კი დეკორაციასავით იდგა, რომ გარეგნული მხარეწესრიგში ყოფილიყო. ისევე როგორც მის წითლად შეღებილ, კოხტა ბოსლის სახურავზე თვალის ასახვევად ქალს ელექტრო ზონარი ჰქონდა გაჭიმული. ვითომ ამით ყინულს ადნობდა.

იქნებ ენიმ წინასწარ განჭვრიტა, რომ პოლი შეიძლება საძინებელი ოთახიდან გამოსულიყო და ტელეფონი განგებ გააფუჭა. მაგრამ საეჭვოა, ასე მომხდარიყო. პოლის აქ მოყვანამდე კარგა ხნით ადრე, ენის მომუშავე ტელეფონი ნერვებს უშლიდა. ალბათ ღამღამობით ჭერს მიშტერებული საწოლში იწვა და ქარის ზუზუნს უგდებდა ყურს. თან არაკეთილმოსურნე ხალხზე ფიქრობდა. ნებისმიერ მათგანს ნებისმიერ დროს შეეძლო დაერეკა და ქალისთვის პირში მიეხალა: „ეს შენ ჩაიდინე, ენი უილკს! დენვერში წაგიყვანეს. უდანაშაულო რომ ყოფილიყავი, არ წაგიყვანდნენ!“

ენი ალბათ მოითხოვდა, რომ მისი ტელეფონის ნომერი სატელეფონო ცნობარიდან ამოეღოთ. ამ თხოვნას, რა თქმა უნდა, შეუსრულებდნენ. ნებისმიერი ადამიანი, ვინც რამე სერიოზული ბრალდების გამო სასამართლოს წინაშე წარმდგარა და გაუმართლებიათ, ასე მოიქცეოდა. (რადგან სასამართლო პროცესი დენვერში გაიმართა, ქალს ალბათ სერიოზულ დანაშაულში ედებოდა ბრალი). მაგრამ ტელეფონის ნომრის სატელეფონო ცნობარიდან ამოღება დიდი ხნით ვერ ანუგეშებდა ისეთ ღრმა ნევრასთენიით შეპყრობილ ადამიანს, როგორიც ენი უილკსი იუო. მთელი ქვეყანა ხომ მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. თუ მო-

ინდომებდნენ, მათ სატელეფონო ცნობარის გარეშეც შეეძლოთ ქალის ტელეფონის ნომრის გაგება. ბრალდების მხარე ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს ალბათ სიამოვნებით გაუმხელდა ქალის ტელეფონის ნომერს. ასეთი ადამიანები ნამდვილად გამოჩნდებოდნენ, რადგან ენის წარმოსახვაში ეს სამყარო ბოროტი ხალხით იყო სავსე. ხოლო ერთადერთი ნათელი წერტილი ამ მტრულად განწყობილ წუთისოფელში თავად ენი გახლდათ. როგორც ჩანს, ტელეფონის დადუმება საუკეთესო გამოსავალი იყო. პოლსაც ასევე დაადუმებდა, რომ გაეგო, კაცმა რა ღრმად შეტოპა.

პოლის გონება პანიკამ მოიცვა. შინაგანი ხმა დაჟინებით მოითხოვდა, რომ კაცი თავის ოთახში დაბრუნებულიყო. წამლის კოლოფები სადმე დაემალა და ენის ფანჯარასთან დახვედროდა. პოლი ამ ხმას დაემორჩილა. ფრთხილად მოშორდა ტელეფონის მაგიდას, უკან დაიწია და, ისის იყო, ეტლი ნელნელა შემოატრიალა, რომ მანქანის ხმა გაიგო. პოლმა იცოდა, რომ ეს ნამდვილად ენი უილკსი იქნებოდა.

კაცს კინაღამ გული წაუვიდა. მისი არსება საშინელმა შიშმა მოიცვა. ასეთი შიში არასოდეს განუცდია. შიში, რომელსაც თან დანაშაულის გრძნობა ახლდა. პოლს მოულოდნელად თავისი ცხოვრებიდან ერთი შემთხვევა გაახსენდა, რომელიც ახლანდელ სასოწარკვეთილ მდგომარეობას რაღაცით ჰგავდა. მაშინ თორმეტი წლის ბიჭს საზაფხულო არდადეგები ჰქონდა. მამა სამსახურში იყო. დედა კი მეზობელთან, მისის კასფბრაკთან ერთად, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს ცხოვრობდა, ბოსტონში ერთი დღით გაემგზავრა. პოლმა თვალი მოჰკრა დედის სიგარეტის კოლოფს, ერთი ღერი გამოაძრო და მოუკიდა. დიდი გატაცებით ეწეოდა. ტანში სასიამოვნო სისუსტემ დაუარა. „ალბათ ასეთი გრძნობა აქვს მძარცველს, როდესაც ბანკში გასაძარცვად შედისო“, - გაიფიქრა პოლმა. როდესაც ნახევრამდე მოწია, ოთახში სიგარეტის კვამლი საკმაოდ დადგა. სწორედ მაშინ გაიგო კარის ხმა. „პოლ, მე ვარ“, - დაუძახა დედამ. - „საფულე დამავიწყდა“.

პოლი გიჟივით მოჰყვა ხელების ქნევას, მაგრამ იცოდა, სიგარეტის კვამლს ოთახიდან ასე ვერ გაიყვანდა. „ჩამავლეს და გატყეპა არ ამცდებაო“, - გაიფიქრა ბიჭმა.

მაგრამ ახლა გატყეპას არ აკმარებდნენ. ის სიზმარი გაახსენდა, ენი თოფს რომ უმიზნებდა. „თუკი ასე ძალიან გინდა თავისუფლება, პოლ, მოგანიჭებ ამ თავისუფლებასო“, - ეუბნებოდა სიზმარში ენი.

სახლისკენ მომავალმა მანქანამ სვლას უკლო. ნამდვილად ენი იყო. პოლი ხელებით, რომელსაც ძლივს გრძნობდა, ეტლის ბორბლებს ჩააფრინდა და დერეფნისკენ გაგორდა. ზიზილპიპილების მაგიდას რომ ჩაუარა, პინგვინს შეავლო თვალი, ნეტავ ძველ ადგილას ხომ დგასო? ამას დანამდვილებით ვერ იტყოდა. იმედი კი ჰქონდა.

დერეფანში სიჩქარეს მოუმატა. ცდილობდა, კარს პირდაპირ მიდგომოდა, მაგრამ გზას ოდნავ აცდა... ეტლი შესასვლელის მარჯვენა მხარეს მიაჯახა და კედელმა ეტლს უკან უბიძგა.

„საღებავი ჩამოიფცქვნა?“ - უკივლა აფორიაქებულმა გონებამ. - „ღმერთო, გაფხაჭნე საღებავი, კვალი დატოვე?“

მადლობა ღმერთს, დაჯახების ადგილი ცოტა ჩაიზნიქა, მაგრამ არ გაფხაჭნილა. მოთმინებადაკარგული პოლი შეეცადა, როგორმე კარს სწორად მიდგომოდა.

მანქანის ხმა ნელნელა ახლოვდებოდა. პოლს ბორბლების ქვეშ თოვლის ხრაშუნის ხმაც კი ესმოდა.

„ნუ გეშინია, ადვილია“, - აგულიანებდა თავის თავს.

პოლი შესასვლელისკენ დაიძრა. კარში შეაღწია, მაგრამ ეტლის ბორბლები ახლა კარის გვერდებს წამოედო. ეტლი ისე გაიჭედა, როგორც საცობი ღვინის ბოთლში. კაცი ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან იხევდა.

პოლი კიდევ მიაწვა. მკლავებზე კუნთები ვიოლინოს გაწყვეტილი სიმებივით უთრთოდა. როგორც იქნა, ბორბლების ჭრიალით ოთახში შეაღწია.

ჯიპმა სახლისკენ გადმოუხვია.

„ალბათ ხელში საბეჭდ ქაღალდთან ერთად სხვა ბარგიც ექნება“, - ჩქარჩქარა ლაპარაკობდა მისი შინაგანი ხმა. - „ფეხი რომ არ დაუცურდეს, ალბათ ნელა ივლის. რაც მთავარია, ოთახში ხარ. ჯერ კიდევ გაქვს დრო“.

პოლი წინ გაგორდა. მერე მოუხერხებლად მობრუნდა და ღია კარს დასაკეტად მიადგა. ამასობაში ჯიპი სახლთან გაჩერდა. კაცი წინ გადაიხარა, სახელურს ხელი მოკიდა და კარის დაკეტვა სცადა. მაგრამ საკეტის ენა რკინის თითივით იყო ისევ გამოშვერილი. პოლი ცერით მიაწვა. ენა ცოტა შეიწია და გაჩერდა. კაცი უაზროდ მიშტერებოდა. თავში მეზღვაურებში გავრცელებული გამოთქმა ამოუტივტივდა: „რაც გასაფუჭებელია, აუცილებლად

გაფუჭდება... მაგრამ, ღმერთო, გემუდარები, არა... არ დაუშვა... განა საკმარისი არ არის, რომ ტელეფონი დუმდა?“ - შეევედრა პოლი ღმერთს.

კაცმა ცერი აუშვა და ენა ისევ წინ გამოვარდა. მერე ენას ისევ მიაწვა. ისიც ცოტა შეიწია და ადრინდელ პოზიციაზე გაჩერდა. პოლმა კლიტეში რაღაც ჩხაკუნი გაიგო და მიხვდა, რომ საკეტში თმის სარჭი იყო ჩარჩენილი.

მანქანის კარი გაიღო. პოლმა მანქანიდან გადმოსვლისას ქალის ღრუტუნის ხმაც კი გაიგო. თითქოს შეფუთული ქაღალდის ხმაც კარგად ისმოდა.

„მიდი“, - წაიჩურჩულა პოლმა და საკეტის ენას წვალება დაუწყო. ყოველ ჯერზე ენა ერთი მეთექვსმეტედი დუიმით კლიტეში შედიოდა და ჩერდებოდა. პოლს ისევ იმ დაწყევლილი თმის სარჭის ჩხაკუნი ესმოდა. „მიდი... მიდი... მიდი“, - არ ცხრებოდა კაცი.

პოლს ერთმანეთში არეული ცრემლი და ოფლი უსველებდა სახეს. კაცი მიხვდა, რომ აბების მიღების მიუხედავად, ისევ ძლიერი ტკივილი დაეწყო. ასე ძვირად უჯდებოდა ეს პატარა საქმე.

„არც ისე ძვირადო“, - შეეკამათა შინაგანი ხმა. - „მერე ნახე, რა ძვირად დაგისვამს ენი უილკსი, თუ ეს დაწყევლილი კარი ვერ დაკეტე“.

პოლს ესმოდა ქალის ფეხის ხმა სახლისკენ მომავალ თოვლიან ბილიკზე. მერე ქალმა საფულედან გასაღები ამოიღო.

„მიდი... მიდი... მიდი... გემუდარებიიიი..“.

საკეტის ენაზე ცერის დაჭერა უფრო სწრაფად დაიწყო.ამასობაში ქალმა სამზარეულოს კარი გააღო და მხიარულად დაუძახა: - პოლ, მე ვარ. გიყიდე ქაღალდი. „ჩამავლო, ღმერთო, დამიჭირა. ღმერთო, გეხვეწები არმომკლას“. - პანიკამ მოიცვა მთელი მისი არსება. რაც ძალა და ღონე ჰქონდა, კაცი საკეტის ენას დააწვა. რაღაცამ ყრუდ გაიჩხაკუნა და თმის სარჭი გატყდა. საკეტის

ენა თავისუფლად ამოძრავდა. ქალმა სამზარეულოში ქურთუკი გაიხადა. პოლს „ელვა“ შესაკრავის გახსნის ხმა შემოესმა.

ბოლოს და ბოლოს კარი დაკეტა. „ნეტავ ენიმ კარის ხმა გაიგო?“ - გაიფიქრა კაცმა. - „ალბათ გაიგო, რადგან თოფივით ხმა იყო“.

პოლი ფანჯრისკენ გაგორდა. ქალის ნაბიჯები კი უკვე დერეფნიდან ისმოდა.

- ქაღალდი გიყიდე, პოლ. გღვიძავს?

„ვერა, ვერ მოვასწარი. ალბათ გაიგო“, - გაიფიქრა კაცმა.

ქალმა გასაღები ჭუჭრუტანაში შეყო.

„ვერ გააღებს... თმის სარჭი... ყველაფერს მიხვდება..“.

მაგრამ თმის სარჭის ნემტვრევები ალბათ საკეტის ფსკერზე ეყარა, რადგან გასაღები მშვენივრად გადატრიალდა. კაცი ეტლში იჯდა და თვალებმილულული ფიქრობდა, ეტლი ისევ ძველ ადგილას დგას თუ არაო. (ყოველ შემთხვევაში, ადრინდელ ადგილთან ახლოს ხომ მაინც არისო). იმედია, ქალი პოლის ოფლიანი სახისა და მოცახცახე სხეულის დანახვაზე იფიქრებდა, აუტანელი ტკივილი ტანჯავსო. სხვა მხრივ, კაცი იმედოვნებდა, რომ კვალი არსად დაუტოვებია.

კარი გაიღო. პოლმა დაბლა დაიხედა. კაცი ისეთ აგონიაში იყო, რომ მხედველობიდან სრულიად გამორჩა, „ნოვრილის“ კოლოფები ისევ კალთაში რომ ეწყო.

ქალს ორივე ხელში თითო შეკვრა ქაღალდი ეჭირა. მოდიოდა და იღიმებოდა.

- ეს არის, რაც მთხოვე, არა? - ჰკითხა ქალმა. - ნახე, „თრაიედ მოდერნია“. ორი შეკვრა აქ არის. ორიც სამზარეულოში დავტოვე. ყოველი შემთხვევისათვის ვიყიდე ამდენი. შენ როგორ... - ქალმა ლაპარაკი შეწყვიტა, პოლს შეხედა და შუბლი შეეჭმუხნა.

- ოფლში ხარ გახვითქული და ჭლექიანის ფერი გადევს. რას აკეთებდი?

მიუხედავად იმისა, რომ პანიკაში მყოფი შინაგანი ხმა გაჰკიოდა: დაგიჭირეს, აღიარე და პატიების იმედი იქონიეო, პოლმა მაინც მოახერხა და ქალის ეჭვიან მზერას თავისი ირონიანარევი პასუხი მიაგება:

- ვფიქრობ, კარგად იცი, რასაც ვაკეთებდი. ვიტანჯებოდი.

ქალმა ჯიბიდან ერთჯერადი ხელსახოცი ამოიღო და პოლს შუბლზე გადაუსვა. ხელსახოცი მთლიანად დასველდა. ქალმა საშინლად ყალბი, დედობრივი მზრუნველობით გაუღიმა.

- ცუდი იყო? - ჰკითხა ქალმა.

- კი, ძალიან. შეიძლება ახლა...

- მე გაგაფრთხილე, ჭკუიდან ნუ გადამიყვანმეთქი. იცოცხლე და ისწავლეო, ასე არ ამბობს ანდაზა? ჰოდა, თუ იცოცხლებ, ისწავლი კიდეც.

- შეიძლება ახლა აბები მივიღო?

- ერთი წუთით, - უპასუხა ქალმა, პოლის ოფლიანი, სანთელივით ყვითელი და ალაგალაგ წითლად დაფოთლილი სახისთვის თვალი არ მოუცილებია, - ჯერ უნდა დავრწმუნდე, კიდევ ხომ არაფერი გინდა. სულელ ენი უილკსს ხომ არაფერი დაავიწყდა? მან ხომ არ იცის, როგორ მუშაობს მისტერ ჭკვიანი ბიჭი. მინდა გავიგო, ისევ ქალაქში ხომ არ დავბრუნდე მაგნიტოფონის, განსაკუთ-

რებული ფოსტლების ან სხვა რამის საყიდლად. თუ მეტყვი, წადიო, მაშინვე გავქანდები. შენი სურვილი ჩემთვის კანონია. აბების მოცემაზეც კი არ დავკარგავ დროს. ჩემს მანქანას, ჩემს „ბებერ ბესის“ მოვახტები და წავალ. აბა, რას იტყვი, მისტერ ჭკვიანო ბიჭო, არაფერი გჭირდება?

- არაფერი, - თქვა პოლმა. - ენი გთხოვ...

- ჭკუიდან აღარ გადამიყვან?

- არა, არასოდეს.

- როდესაც ვცოფდები, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, ეს გახსოვდეს - უთხრა ქალმა და პოლის ხელებს დახედა, რომელიც „ნოვრილის“ კოლოფებზე ჰქონდა დაფარებული. დიდხანს უყურა და მერე ჰკითხა:

- პოლ, ხელები ასე რატომ გიჭირავს?

კაცს ცრემლები წამოუვიდა. ეს დამნაშავის ცრემლები იყო. ყველაზე მეტად ამას ვერ იტანდა: ამ ქალმაურჩხულმა რაც გაუკეთა, ის არ აკმარა და დამნაშავედაც აგრძნობინა თავი. ამ მიზეზის გამოც ტიროდა და ბავშვური მოქანცულობისაგანაც.

კაცმა თავი ასწია და ქალს შეხედა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. პოლმა, როგორც იტყვიან, ხელში შერჩენილი ბოლო კარტით ითამაშა.

- აბები მინდა, - თქვა კაცმა, - და მოშარდვა. შენი წასვლის მერე ვიკავებ, ენი. მეტი აღარ შემიძლია. არ მინდა, კიდევ ჩავისველო.

ქალმა გაუღიმა. შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან გადაუწია და მოფერებით უთხრა:

- ჩემო საბრალო, ბებერმა ენიმ ძალიან დაგტანჯა, არა? კარგი, ახლავე მოგხედავ.

36

პოლი ვერ გაბედავდა წამლის კოლოფების ხალიჩის ქვეშ შენახვას, თუმცა ქალის დაბრუნებამდე ამისთვის დრო საკმაოდ ჰქონდა. პატარა კოლოფები იყო, მაგრამ ამობურცული ხალიჩა თვალშისაცემი იქნებოდა. გაიგო თუ არა, რომ ქალი სააბაზანოში შევიდა, პოლმა კოლოფები უკან, შარვალში ჩაიდო და დუნდულების ღარში მოაქცია.

ენი შემოვიდა. ცალ ხელში ძველებური, თუნუქის ღამის ჭურჭელი ეჭირა, ხოლო მეორეში - „ნოვრილის“ ორი კაფსულა და წყალი.

„კიდევ ორი კაფსულა თუ დაამატე ნახევარი საათის წინ მიღებულ დოზას, კომაში ჩავარდები და მოკვდები“, - გააფრთხილა შინაგანმა ხმამ. - „ძალიანაც კარგი“, - შეედავა პირველ ხმას მეორე.

პოლმა კაფსულები გამოართვა და წყალთან ერთად გადაყლაპა. მერე ენიმ ღამის ჭურჭელი მიაწოდა და ჰკითხა:

- დახმარება ხომ არ გინდა?

- არა, - მიუგო კაცმა.

ქალი შეტრიალდა, როდესაც კაცმა პენისი ღამის ჭურჭელში ჩაჰყო და მოშარდა. პოლმა შემთხვევით ქალისკენ გაიხედა და დაინახა, მოშარდვის ხმის გაგონებაზე, ენის გაეღიმა.

- დაამთავრე? - ჰკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ.

- კი, - კაცს მოშარდვა მართლაც ძალიან ნდომებია, მაგრამ ამ ორომტრიალში სულ გადაავიწყდა.

ქალმა ღამის ჭურჭელი გამოართვა და იატაკზე ფრთხილად დადო.

- ახლა ისევ საწოლში უნდა ჩაგაწვინო, - უთხრა ქალმა. - ძალიან დაღლილი ჩანხარ... ფეხები კი ალბათ დიდებულ საოპერო არიას ასრულებენ.

კაცმა თავი დაუქნია, თუმცა სიმართლე ითქვას, ფეხებს საერთოდ ვერ გრძნობდა. ამ ბოლო ორმა კაფსულამ ერთიანად მო-

თენთა. ოთახში ყველაფერს გამჭვირვალე, ნაცრისფერი ფარდის მიღმა ხედავდა. თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა, საწოლში ჩასაწვენად რომ ამწევს, ბრმა ხომ არ არის, ვერ შეამჩნიოს, შარვალში ჩატენილი წამლის კოლოფებიო.

ქალმა პოლი საწოლის კიდესთან მიაგორა.

- ცოტა ხანი კიდევ და, საწოლში დაიძინებ, პოლ, - უთხრა ქალმა.

- ხუთი წუთი მაცალე, ენი, - უთხრა კაცმა.

ქალი პოლს მიაშტერდა და თვალები ნელნელა დაუვიწროვდა.

- მეგონა, ძალიან გტკიოდა.

- ჰო, ძალიან მტკივა, - მიუგო კაცმა. - მუხლი განსაკუთრებით... ის მუხლი, შენ რომ... შენ რომ მაშინ გაცხარდი და... ხუთი წუთი ...

პოლმა იცოდა, რა უნდა ეთქვა, მაგრამ სათქმელი თითქოს წვეთწვეთად გამოეცალა. კაცმა ენის უმწეოდ შეხედა. იცოდა, რომ ქალი სულ ერთია, მაინც ჩაავლებდა.

- ვაცალოთ წამალს, როდის იმოქმედებს? - ჰკითხა ენიმ. კაცმა მადლიერებით თავი დაუქნია.

- კეთილი, რაღაცებს მივალაგებ და მალე დავბრუნდები.

როგორც კი ქალი გავიდა, პოლმა წამლის კოლოფები ამოიღო და ლეიბის დაბლა დაფენილი დოლბანდის ქვეშ ერთმანეთის მიყოლებით შეყარა.

„რაც შეიძლება ქვევით ჩასწიე“, - ურჩევდა პოლი თავის თავს. „თუ თეთრეულს გამოცვლის, იქ ვერ ნახავს. დაბლა, დაბლა ჩასწიე, რომ...

პოლმა ბოლო კოლოფიც შეჩურთა, ეტლის ზურგს მიაწვა და ჭერს ახედა, სადაც ერთმანეთზე გადახლართული ბზარები მთვრალებივით ცეკვავდნენ.

„აფრიკა“, - გაიფიქრა კაცმა. „ახლა შეიძლება ჩაყვინთვა... შარში ვარ... კვალი... დავტოვე სადმე კვალი?

პოლს გონება ნელნელა დაებინდა. თოთხმეტი საათის შემდეგ, როდესაც გაეღვიძა, გარეთ ისევ თოვდა.

II ნაწილი

მიზერი ნაწარმოები ტანჯვას არ იწვევს, ის ტანჯვით იბადება. მიშელ დე მონტენი

1

მიზერის დაბრუნება
პოლ შელდონი
ეძღვნება ენი უილკსს

I თავი

თუმცა იან ქარმაიქლი პატარა დანთორფს დედოფლის მთელი ძვირფასეულობის ფასადაც კი არ გაცვლიდა სხვა რომელიმე ადგილზე, იმას მაინც აღიარებდა, რომ მთელ ინგლისში ყველაზე ძლიერი წვიმა ქორნუოლში იცოდა.

შესასვლელში იანს საკიდზე პირსახოცი ჰქონდა ხოლმე ჩამოკიდებული და როდესაც პალტოს გაიხდიდა, რომლიდანაც წყალი წვეთწვეთად ჩამოდიოდა და ფეხსაცმელებს გამოიცვლიდა, პირსახოცს იღებდა, რომ ქერა თმა გაემშრალებინა.

სასტუმრო ოთახიდან შოპენის მშვენიერი მუსიკის ჰანგები იღვრებოდა. იანი პირსახოცით ხელში გარინდული იდგა და უსმენდა. ცრემლები ლოყებზე ჩამოუგორდა.

ჯეფრის სიტყვები გაახსენდა, „ქალის თვალწინ არ უნდა იტირო, ჩემო მეგობარო, ეს არასოდეს ჩაიდინო!“

ჯეფრი მართალი იყო. ის იშვიათად ცდებოდა. მაგრამ ზოგჯერ, როდესაც იანი მარტო იყო, ცრემლი მოერეოდა, რადგან თვალწინ წარმოუდგებოდა, როგორ წავიდა მიზერი გრიმ რიპერიდან,

მაგრამ მერე ქალი იძულებული გახდა შინ, იანთან დაბრუნებულიყო. იანს მიზერი სიგიჟემდე უყვარდა. მის გარეშე მოკვდებოდა. მიზერის გარეშე სიცოცხლეს ფასი არ ჰქონდა.

მიზერის ხანგრძლივი და მძიმე მშობიარობა ჰქონდა, თუმცა სხვა მშობიარე ქალებისაგან დიდად არ განსხვავდებაო, განაცხადა მეანმა ქალმა. მაგრამ ნაშუაღამევს, როდესაც ჯეფრი საშინელ ქარბუქში ექიმის მოსაყვანად ერთი საათის წასული იყო, მეანი შეფიქრიანდა, რადგან მიზერის სისხლდენა დაეწყო.

- კეთილი, ჯეფრი, - ჩაილაპარაკა იანმა, როდესაც ვეებერთელა, თბილ სამზარეულოში შეაბიჯა.

- თქვით რამე ბატონო? - ჰკითხა მისის რამაჟმა ქარმაიქლების ახირებულ, მაგრამ საყვარელ მოხუც მნეს. რამაჟი საკუჭნაოდან შემოვიდა. ჩვეულებრივ, თავზე ჩაჩი გვერდულად ჰქონდა ჩამოფხატული და ჩუმად ყნოსავდა ბურნუთს, რაც წლების მანძილზე მისი საიდუმლო იყო და თითქოს ვერავინ ამჩნევდა.

- ჩემთვის რაღაც ვთქვი, მისის რამაჟ, - უპასუხა იანმა.

- თქვენი ხმისა და პალტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც შემოსასვლელში ჰკიდია და წყალი გასდის, ფარდულსა და სახლს შორის გზაზე კარგად გალუმპულხართ.

- დიახ, ასეა, - უპასუხა იანმა და თავისთვის გაიფიქრა: ჯეფრის და ექიმს ათი წუთი რომ დაეგვიანათ, მიზერი ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო. იანი ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა. რა საჭირო იყო. მაგრამ მიზერის გარეშე როგორ უნდა ეცხოვრა, ამაზე ფიქრი ზოგჯერ გონებაში ძალაუნებურად შემოეპარებოდა და უკვირდა, ამ საშინელებისათვის როგორ უნდა გაეძლო.

ნაღვლიანი ფიქრები ბავშვის ტირილის ხმამ შეაწყვეტინა. პაწიამ გაიღვიძა და საჭმელს ითხოვდა. შორიდან იანის ყურთასმენას ენი უილკსის ხმა მისწვდა. ქალი პატარა თომასის ძიძა იყო. ის ბიჭს ამშვიდებდა და საფენს უცვლიდა.

- პაწია დღეს უფრო ენერგიულად ყვირის, - თქვა მისის რამაჟმა. იანმა ისის იყო, გაიფიქრა, რა საოცარია, ვაჟიშვილის მამა ვარო, რომ მისი მეუღლე დერეფანში გამოჩნდა.

- სალამი ძვირფასო, - თქვა მან.

იანმა თავის ძვირფას მეუღლეს, თავის მიზერის შეხედა. ქალი მშვიდად იდგა დერეფანში. სქელი, წაბლისფერი თმა, რომელიც ალაგალაგ წითლად უბრწყინავდა, მხრებზე ეფინა. ფერმკრთალი იყო, მაგრამ იანმა შეამჩნია, რომ მიზერის ლოყებს ფერი მალე დაუბრუნდებოდა. ქალს მუქი, ღრმა თვალები ჰქონდა და სამზარეულოს ლამპების შუქზე ისე უბრწყინავდა, თითქოს მის თვალებში შავი ალმასები ელვარებდა.

- ო, ჩემო ძვირფასო, - წამოიძახა იანმა და სასწრაფოდ მიზერისაკენ გაიქცა, როგორც იმ დღეს ლივერპულში, როდესაც ქალი მეკობრეებმა გაიტაცეს, რასაც გიჟი ჯეკ უიკერშამი წინასწარ იქადნებოდა.

მისის რამაჟს გაახსენდა, რომ სასტუმრო ოთახში რაღაც ჰქონდა გასაკეთებელი, ცოლქმარი მარტო დატოვა და იქითკენ ღიმილით გასწია. როგორც იანს, მისის რამაჟსაც ხშირად უფიქრია, რა უაზრო იქნებოდა აქ ცხოვრება, ჯეფრისა და ექიმს ორი თვის წინ იმ ქარიშხლიან ღამეს ერთი საათით რომ დაეგვიანათ ან სისხლი, რომელიც ახალგაზრდა ბატონმა მიზერისათვის გაიღო, ქალის ორგანიზმს არ მიეღო.

- კარგი, გეყოფა, - გაიფიქრა მისის რამაჟმა, როდესაც სასტუმრო ოთახისაკენ აიღო გეზი. - ამაზე ნუ ფიქრობ, - ურჩია საკუთარ თავს. მაგრამ ორივე, როგორც იანი, ასევე მისის რამაჟი, ხვდებოდა, რომ კარგი რჩევის სხვისთვის მიცემა უფრო ადვილი იყო, ვიდრე რჩევის მიღება და შესრულება.

სამზარეულოში იანმა მიზერი გულში ჩაიკრა. ქალის თბილი სხეულის ტკბილი სურნელი იგრძნო. კაცმა სული დალია, გაინაბა და მერე ისევ გაცოცხლდა.

იანმა ქალს მკერდზე ხელი მიადო და მის გულისცემას მიაყურადა.

- შენ რომ მომკვდარიყავი, თავს არ ვიცოცხლებდი, - წასჩურჩულა მან.

ქალმა იანს კისერზე ხელი მოხვია და კაცს მკერდით უფრო ძლიერად მიეკრა.

- ჩუუ, საყვარელო, - უპასუხა მიზერიმ. - ნუ სულელობ. მე აქ ვარ... აქ, შენს წინ... მაკოცე! რომ მოვმკვდარიყავი, მაშინაც ამას ვინატრებდი.

იანმა ქალს ტუჩებში აკოცა. ხელები დიდებულ, წაბლისფერ თმაში შეუცურა და მათ რამდენიმე წუთით ყველაფერი დაივიწყეს დედამიწის ზურგზე.

2

ენიმ სამი დაბეჭდილი ფურცელი საწოლის გვერდით მაგიდაზე დადო. პოლი დაელოდა, ქალი რას იტყოდა. არა, კი არ ღელავდა, უბრალოდ, ქალის შეფასება აინტერესებდა. გაოცებული იყო, რა იოლად გადავბარგდი ისევ მიზერის სამყაროშიო. სამყაროში, სადაც მელოდრამა უხვად იყო. მაგრამ პოლისთვის ის ძველებურად უსიამოვნო განცდას ბადებდა. ამავე დროს, საკმაოდ დამამშვიდებლადაც მოქმედებდა. ძველ ფოსტლებში ფეხის წაყოფასავით კომფორტული გახდა. კაცს პირი ღია დარჩა და გულწრფელად გაოცდა, როდესაც ენიმ უთხრა:

- სიმართლე არ არის.

- არ მოგწონს? ეს როგორ? - არ სჯეროდა პოლს. მიზერიზე დაწერილი ყველა სხვა წიგნი მოსწონდა და ეს არ მოეწონა? ეს ხომ იგივე სტილია, სავსე კარიკატურული სურათებით: მოხუცი მისის რამაჟი საკუჭნაოში ჩუმად ბურნუთს ყნოსავს. ერთმანეთს ჩახვეული იანი და მიზერი, რომლებიც პარასკევ საღამოს სასკოლო ცეკვებიდან შინმობრუნებულ აღგზნებულ, ახალგაზრდა წყვილს ჰგავს და კიდევ...

ენი შეცბუნებული გამოიყურებოდა.

- რა თქმა უნდა, მომწონს, კარგია, - თქვა მან, - როდესაც იანმა მიზერი გულში ჩაიკრა, თავი ვერ შევიკავე და ცრემლი მომერია.

ქალს მართლაც ჰქონდა თვალები ცოტა ჩაწითლებული.

- პაწია თომასის ძიძისთვის ჩემი სახელი დაგირქმევია... ესეც ძალიან გულის ამაჩუყებელია.

კეთილი, მაშ, მოსწონს. ყოველ შემთხვევაში, იმედია, რომ მოსწონს. სხვათა შორის, ჩვილისთვის შონი უნდა დამერქვა, მაგრამ გადავიფიქრე. ძალიან ბევრჯერ მომიწევდა ასო „ნ“-ს ხელით ჩაწერა, გაიფიქრა კაცმა.

- მაშინ რა ხდება? რა არ მოგწონს? - ჰკითხა პოლმა.

- არ მომწონსმეთქი, არ მითქვამს. მე ვთქვი, მართალი არ არისმეთქი. სიცრუეა. უნდა შეცვალო.

პოლ, მეგობარო, განა ენი ერთ დროს ბეჯითი მკითხველი არ გეგონა? ღმერთო დიდებულო, რა მწარედ შეცდი. ეს ბეჯითი მკითხველი ახლა შეუბრალებელ რედაქტორად გექცა.

პოლს სახეზე თავისდა უნებურად ყურადღებიანი გამომეტყველება გამოესახა. რედაქტორებს ის ასეთი გამომეტყველებით უსმენდა ხოლმე. პოლის ფიქრით, ამ გამომეტყველებას ასე ერქვა: „რით შემიძლია გემსახუროთ, ქალბატონო?“ ეს იმიტომ, რომ უმეტესად რედაქტორები იმ ქალებს ჰგავდნენ, რომლებსაც მანქანა შესაკეთებლად სახელოსნოში მიჰყავთ ხოლმე და მექანიკოსს ეუბნებიან: „რაღაც ხმაურობს მანქანის ძარაში“ ან „რაღაც ყანყალებს მართვის დაფაზე და რაც შეიძლება მალე შეაკეთეთო“. ყურადღებიანი გამომეტყველება მომგებიანი იყო, რადგან ეს რედაქტორებს სიამოვნებდათ, ხოლო ნასიამოვნები რედაქტორები ზოგჯერ აღარ სთხოვდნენ პოლს თავიანთი გიჟური იდეების შესრულებას.

- სად არის სიცრუე? - ჰკითხა პოლმა.

- ჯეფრი ექიმის მოსაყვანად წავიდა. ეს მართალია, - მიუგო ქალმა, - ეს „მიზერის ბავშვის“ ოცდამეთვრამეტე თავში მოხდა. მაგრამ შენც კარგად იცი, რომ ექიმი არ მოსულა, რადგან ჯეფრის ცხენი იმ დამპალი მისტერ ქრანთორფის ღობეზე გადახტომისას, ღობის თავს წამოედო. ვფიქრობ, „მიზერის დაბრუნებაში“ იმ საძაგელ კაცს დასჯი. მე ასე მოვიქცეოდი. ასე რომ, ჯეფრი ცხენიდან გადმოვარდა და მხრის ძვალი და რამდენიმე ნეკნი გაიტეხა. მთელი ღამე იქ ეგდო წვიმაში, ვიდრე ალიონზე მეცხვარის ბიჭმა არ იპოვა. ექიმი არ მოსულა. ხომ ასეა?

- მართალია, - უპასუხა პოლმა. კაცი მოულოდნელად მიხვდა, რომ ქალის სახეს თვალს ვერ წყვეტდა.

პოლმა წარმოიდგინა, რომ ქალი ცდილობდა, რედაქტორის ან თანაავტორის როლი მოერგო და აპირებდა, პოლისთვის ეკარნახა, რა და როგორ დაეწერა. მაგრამ სინამდვილეში მთლად ასეც არ იყო. მაგალითად, ქალი ფიქრობდა, რომ მისტერ ქრანთორფს საკადრისად მიეზღვებოდა, მაგრამ უსათუოდ დასაჯეო, ეს არ მოუთხოვია. ქალი ხვდებოდა, რომ ამბების შეთხზვა მისი საქმე არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ პოლი ხელში ჰყავდა მომწყვდეული, რაღაცებს თავის ნებაზე მაინც ვერ გააკეთებინებდა. მხატვრული შემოქმედება ასეთ ჩარევას ვერ იტანდა. ეს ისეთივე სისულელე იქნებოდა, როგორც დეკლარაცია გრავიტაციის კანონის გაუქმების შესახებ ან მაგიდის ჩოგბურთის თამაში აგურით. ქალი ნამდვილად გულმოდგინე მკითხველი იყო, მაგრამ გულმოდგინე მკითხველი სულელს სულაც არ ნიშნავდა.

ენი კაცს მიზერის მოკვლის ნაბას არ დართავდა... მაგრამ არც იმის უფლებას მისცემდა, რომ მიზერის დაბრუნება ყალბი ყოფილიყო.

„მაგრამ, ღმერთო, მე ხომ მოვკალი მიზერი“, - ფიქრობდა დაღლილი პოლი. „ახლა რა ვქნა?“

- პატარა რომ ვიყავი, - დაიწყო ამბის მოყოლა ენიმ, - კინოთეატრებში სერიალებს უშვებდნენ. კვირაში თითო ეპიზოდს აჩვენებდნენ. სერიალები სხვადასხვა თემაზე იყო: ნიღბიან შურისმაძიებელსა თუ ფლეშ გორდონზე. ფრენკ ბაკზეც იყო ერთი სერიალი. ადამიანზე, რომელიც აფრიკაში წავიდა ველური ცხოველების დასაჭერად და რომელსაც მხეცების დამორჩილება დაჟინებული მზერით შეეძლო. გახსოვს ეს სერიალები?

- მახსოვს, როგორ არა, მიუგო პოლმა. - მაგრამ, წესით, არ უნდა გახსოვდეს, ენი, რადგან არც ისე დიდი ხარ. ვფიქრობ, მოგვიანებით ტელევიზორში ნახავდი. შეიძლება უფროსი ძმა ან და გყავდა, რომლებმაც გიამბეს ამ სერიალების შინაარსი.

ქალს ტუჩის კუთხეებში დუჟი მოერია, მაგრამ მალევე გაუქრა.

- რა სისულელეა, - მიუგო ქალმა. - თუმცა უფროსი ძმა მართლაც მყავდა. ყოველ შაბათს, ნაშუადღევს კინოში მივდიოდით. ეს ბეიკერფილდში, კალიფორნიაში ხდებოდა, სადაც გავიზარდე. მაშინ ძალიან მომწონდა კინოჟურნალები და ფერადი მულტფილმები, მაგრამ ყველაზე მეტად სერიალებს ველოდებოდი. მთელი კვირა, თუ კლასში ჯდომა მოსაბეზრებელი იყო, მომდევნო სერიაზე ვფიქრობდი. როცა მისის კრენმიტზის ოთხ ტუტუც ბავშვს ვმწყემსავდი, სერიალი სულ თვალწინ მედგა. ო, როგორ ვერ ვიტანდი იმ ბავშვებს.

ენი კედლის კუთხეს მიაჩერდა და გაირინდა. ამ ბოლო დროს ეს მისი პირველი გარინდება იყო. ნუთუ ქალი წარსულის გახსენებას აპირებდა? პოლი მალულად ადევნებდა თვალ ყურს.

ბოლოს, როგორც იქნა, ენის ცნობიერება დაუბრუნდა. ოდნავ გაოცებული ჩანდა, თითქოს არ ელოდა, სამყარო ისევ ძველებურად, თავის ადგილზე თუ დახვდებოდა.

- „რეაქტიული კაცი“ ძალიან მიყვარდა. მეექვსე ეპიზოდში, რომლის სათაურია „სიკვდილი ცაში“, აღწერილი იყო თვითმფრინავის ჩამოვარდნის ისტორია. მეცხრე ნაწილის სათაური კი „ცეცხლოვანი სამსჯავრო“ იყო. მთავარი გმირი ალმოდებულ საწყობში სკამზეა მიბმული. ის ყოველთვის რაღაც ხიფათში ეხვევა: მანქანაში ზის, რომელსაც მუხრუჭები არ უვარგა, მომწამლავი აირით იხუთება ან დენი არტყამს.

ენი ამას დიდი სიყვარულით ყვებოდა და საოცრად გულწრფელი იყო.

- ამ გმირებს ბეწვის ხიდზე მოსიარულეებს ეძახდნენ, - ჩაურთო სიტყვა პოლმა.

ენის შუბლი შეეკრა.

- მისტერ ჭკვიანო ბიჭო, ეს მეც ვიცი, თუმცა შენ შეიძლება სულელად მთვლი.

- არა, ენი, რას ამბობ.

ქალმა მოუთმენლად ხელი გააქნია. პოლი მიხვდა, აჯობებდა, არ შეეწყვეტინებინა.

- მართლაც საინტერესო იყო იმაზე ფიქრი, მოქმედი გმირი განსაცდელს თავს როგორ დააღწევდა. ზოგჯერ გამოსავალს ვპოულობდი, ზოგჯერ - ვერა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, რადგან ის ხალხი, ვინც ამ ისტორიებს თხზავდა, სიუჟეტს რეალისტურად აგებდა. ჰოდა, მეც კმაყოფილი ვიყავი.

ენიმ კაცს გამომცდელად შეხედა, მისმენს თუ არაო. პოლმა გაიფიქრა, ენი უილკსს ვერაფერს გამოაპარებო.

- დასაღუპად განწირული კაცი უგონოდაა თვითმფრინავში, მაგრამ მერე გონზე მოდის და სკამის ქვეშ პარაშუტს აღმოაჩენს. ის თვითმფრინავიდან ხტება. ეს ყოველივე საკმაოდ დამაჯერებელია, - თქვა ენიმ.

„ათასობით მასწავლებელი, რომელიც თხზულების წერის ტექნიკას ასწავლის, არ დაგეთანხმება, ძვირფასო, - გაიფიქრა კაცმა. - შენ რასაც ამბობ, ამას ხომ „დეუს ექს მახინა“ ჰქვია, რომელიც ბერძნული ფრაზაა და ნიშნავს - მანქანიდან გადმოსული ღმერთი. ეს არის დრამატურგიული ხერხი, რომელსაც ძველ ბერძნულ თეატრში იყენებდნენ. როდესაც მოქმედება ჩიხში შედის, მაღლიდან ეშვება სკამი, რომელიც ყვავილებითაა მორთული, მთავარი გმირი ჯდება ამ სკამზე და განერიდება შექმნილ მდგომარეობას. შტერი სოფლელი ბიჭიც კი მიხვდება, რომ ეს არის სიმბოლიზმი - მთავარი გმირი ღმერთმა იხსნა. ზოგჯერ „დეუს ექს მახინას“ სხვა სიტყვებით ცვლიან: „ძველი პარაშუტი თვითმფრინავის სკამქვეშ“. მაგრამ ეს ხერხი დაახლოებით 1700იანი წლებიდან უარყვეს ანუ მოდაში აღარ არის. მხოლოდ „რეაქტიული კაცის“ სერიალს ამშვენებს და ნენსი დრუს წიგნებში გვხვდება. ვფიქრობ, ეს ამბავი გამოგეპარა, ენი“.

ერთი წუთით, რომელსაც შეიძლება საშინელი წუთი ეწოდოს, პოლმა გაიფიქრა, მეცინებაო. მაგრამ კარგად იცოდა, რადაც და-

უჯდებოდა ეს სიცილი. სასწრაფოდ ხელი ასწია და ღიმილის დასამალად პირზე აიფარა, ვითომ ახველებდა.

ენიმ ზურგში ჩაარტყა და საკმაოდ ატკინა.

- უკეთესად ხარ? - ჰკითხა ქალმა.

- კი... მადლობა.

- გავაგრძელო, პოლ, თუ ცხვირის დაცემინების შემოტევა გაქვს. იქნებ გულის რევის შეგრძნება გაწუხებს და ვედრო მოვიტანო?

- არა, ენი, გააგრძელე. რასაც ამბობ, ძალიან საინტერესოა.

ქალი ოდნავ მოეშვა.

- როდესაც სერიალის გმირი სკამის ქვეშ პარაშუტს პოულობს, შეიძლება მთლად რეალისტური არ იყოს, მაგრამ დამაჯერებელია.

კაცი შეკრთა. გამჭრიახობა, რომელსაც ქალი შიგადაშიგ ავლენდა ხოლმე, პოლს აოცებდა. „ენი მართალია“, - გაიფიქრა მან. - „დამაჯერებელი და რეალისტური შესაძლოა სინონიმები იყოს საუკეთესო შემთხვევაში, მაგრამ ეს საუკეთესო შემთხვევა არ გახლავთ“.

- ავიღოთ მეორე ეპიზოდი, - თქვა ქალმა. - ეს ეპიზოდი იმას ჰგავს, რაც შენ გუშინ დაწერე. პოლ, მისმენ?

- ყურადღებით გისმენ.

ენიმ კაცს ეჭვიანად შეხედა, ხომ არ დამცინისო. პოლს ფერმკრთალი, სერიოზული სახე ჰქონდა და კეთილსინდისიერ სტუდენტს ჰგავდა. კაცს სიცილის ხალისი მაშინ დაეკარგა, როდესაც მიხვდა, რომენიმ, სახელწოდების გარდა, შეიძლება ყველაფერი იცოდა „დეუს ექს მახინას“ შესახებ.

- კეთილი, - თქვა ქალმა. - ამ ეპიზოდს ერქვა „მანქანა მუხრუჭების გარეშე“. ცუდმა ბიჭებმა რეაქტიული კაცი, რომლის ნამდვილი ვინაობა არ იცოდნენ, ისეთ მანქანაში ჩასვეს, რომელსაც მუხრუჭები არ ჰქონდა. კარის გაღებაც შეუძლებელი იყო. მანქა-

ნა მთის მიხვეულმოხვეულ გზაზე დაეშვა. იმ დღეს კინოთეატრში აღელვებული, სკამის კიდეზე ვიჯექი და განვიცდიდი, რა მოხდებოდა.

ენი საწოლის კიდეზე იჯდა და წარსულს იხსენებდა, ხოლო პოლი მოპირდაპირე მხარეს ეტლში იყო მისვენებული. მას შემდეგ, რაც სააბაზანო და სასტუმრო ოთახში იმოგზაურა, ხუთი დღე გავიდა. კაცმა ძალები სწრაფად აღიდგინა. თან არც არაფერი გამოაშკარავებულა, რაც მის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებდა.

ქალმა კალენდარს უაზროდ შეხედა. მომღიმარი ბიჭი ციგით მისრიალებდა ამ უსასრულო თებერვლის თვის გვერდზე.

- საბრალო კაცი მანქანაში ზის. არც ზურგჩანთა აქვს და არც ჩაფხუტი ახურავს. საჭეს ატრიალებს. მანქანის გაჩერებას და კარის გაღებას ლამობს. ყველაფერი ერთდროულად ხდება. ცალხელა შპალერის გამკვრელზე უფრო მოუცლელია.

პოლსაც თვალწინ წარმოუდგა ეს სურათი და ინსტინქტურად მიხვდა, ასეთი სულელური და მელოდრამული სცენა მაყურებელში წუხილსა და მღელვარებას როგორ იწვევდა. დაღმართზე გზაზე მანქანა დიდი სისწრაფით ეშვება. კაცი პედალს ფეხს აჭერს, მაგრამ მანქანის სამუხრუჭე პედალი იღუნება და ტყდება (პოლმა ცხადად დაინახა კაცის ფეხსაცმელი, რომელიც 1940იან წლებში ეცვათ). შემდეგ კადრი იცვლება. ახლა კაცი მანქანის კარს მხრით აწვება და გაღებას ცდილობს. მერე მირჩილულ კარს გარედან აჩვენებენ. გაღება შეუძლებელია. სისულელეა... აქ მაღალ ხელოვნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ მაყურებელი მოქმედ გმირთან ერთად განიცდის. გულისცემა უჩქარდება. ეს ეპიზოდი ძვირფას შოტლანდიურ ვისკის კი არ ჰგავს, არამედ უფრო კუსტარულად დამზადებულ იაფფასიან ალკოჰოლურ სასმელს მოგაგონებს.

- გზა ციცაბო კლდისკენ მიდის, - განაგრძო ენიმ. - მაყურებელი გრძნობს, რომ თუ რეაქტიულმა კაცმა სასწრაფოდ რამე არ იღონა, დაიღუპება. ოჰ, ღმერთო, მანქანა კლდისკენ მიექანება. კაცი ფეხით ისევ მუხრუჭს აწვება, ხელით კარის გაღებას ცდილობს და... მანქანა კლდიდან ჰაერში მიფრინავს, კლდის შუა ნაწილს ენარცხება და ცეცხლი უჩნდება. ალმოდებული მანქანა შემდეგ ოკეანეში ვარდება. მერე ეკრანზე ასეთი წარწერა ჩნდება: მომავალ კვირას ნაჩვენები იქნება მეთერთმეტე ეპიზოდი სახელწოდებით „მფრინავი ურჩხული“.

ქალი პოლის საწოლზე იჯდა, ხელები მტკიცედ ჰქონდა ერთმანეთზე გადაჭდობილი და დიდი მკერდი აჩქარებით აუდჩაუდიოდა.

- ამის შემდეგ კინოში იშვიათად დავდიოდი, - თქვა ენიმ. ქალს პოლისთვის არ შეუხედავს, მხოლოდ კედელს უყურებდა. - არც რეაქტიულ კაცზე მიფიქრია, თუ არ ჩავთვლით მომდევნო კვირას, როდესაც მე მასზე გამუდმებით ვფიქრობდი. თავში ერთი კითხვა მიტრიალებდა, როგორ მოახერხებდა ის მანქანიდან გადმოსვლას. მე ვერაფერი მომეფიქრებინა. შაბათს თორმეტ საათზე უკვე კინოთეატრის წინ ვიდექი, თუმცა სალარო მხოლოდ ორის თხუთმეტ წუთზე გახსნეს. კინო ორ საათზე დაიწყო. მაგრამ, პოლ, რაც მოხდა, ამას ვერასოდეს წარმოიდგენ.

პოლს არაფერი უთქვამს. მიხვდა, როგორ შეიძლებოდა ენის სცოდნოდა, რომ არ იყო სიმართლე და მაინც მოსწონებოდა, ის რაც პოლმა პირველ თავში დაწერა. ქალს ზოგიერთი რადაქტორივით აბსურდული იდეები კი არ გადმოუფრქვევია, არამედ, როგორც ერთგულმა მკითხველმა, პირდაპირ და გარკვევით უთხრა თავისი სათქმელი. პოლს შერცხვა, რადგან ქალი მართალი იყო.

- ახალი ეპიზოდი ყოველთვის წინას დასასრულიდან გრძელდებოდა, - თქვა ქალმა. - აჩვენეს მანქანა, რომელიც დიდი სისწრაფით ეშვება ფერდობზე. მომდევნო კადრში კლდე ჩანს. მერე

კაცი, რომელიც მანქანის კარს ეჯაჯგურება. სანამ მანქანა ციცა-ბო კლდის თავზე მოექცევა, უცებ კარი იღება და კაცი მანქანიდან გზაზე ვარდება. მანქანა კი კლდიდან მიფრინავს. ყველა ბავშვი ტაშს უკრავდა, რადგან რეაქტიული კაცი გადარჩა. მე ტაში არ დამიკრავს, პოლ. გაგიჟებული ვკიოდი, ეს ის არ არის, რაც წინა კვირას მოხდა. ასე არ ყოფილამეთქი.

ენი ფეხზე წამოხტა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. თავი დაბლა ჰქონდა დახრილი. თმა წინ, სახეზე ჩამოეყარა. ცალ მუშტს მეორე ხელის გაშლილ ხელისგულს გამეტებით ურტყამდა და თვალები უელავდა.

- ჩემმა ძმამ სცადა გავეჩერებინე და რადგან არ გავჩუმდი, პირზე ხელი ამაფარა. მე ხელზე ვუკბინე და ყვირილი განვაგრძე: ასე არ ყოფილა. თქვენ რა, ყველა გასულელდით და მეხსიერება დაკარგეთ? ყველას ამნეზია დაგემართათმეთქი? გიჟი ხარო, მითხრა ჩემმა ძმამ. მაგრამ ვიცოდი, გიჟი კი არა, მართალი ვიყა-ვი. მერე კინოთეატრის დირექტორი მოვიდა და მითხრა, თუ არ მოკეტავ, აქედან გაგაგდებო. მე თვითონ მივდივარ, რადგან ეს ბინძური ტყუილია. ასე არ მომხდარა წინა კვირასმეთქი,ვუთხა-რი.

ქალმა პოლს შეხედა. პოლმა მის თვალებში მკვლელი დაინა-ხა. - ის კაცი იმ დაწყევლილი მანქანიდან არ გადმოსულა. ის

მანქანაში იყო. გაიგე? - ჰკითხა ქალმა პოლს.

- კი, - უპასუხა პოლმა.

- გაიგე?

ქალი უცებ მოქნილი ველური მხეცის მოძრაობით პოლის წინ გაჩნდა. პოლი დარწმუნებული იყო, ქალი რაღაცას ატკენდა, რო-გორც ეს ამას წინათ მოხდა, რადგან ქალის ხელი იმ დამპალ სცე-ნარისტს ვერ მისწვდებოდა, რომელმაც ასე მოატყუა. პოლი არ განძრეულა. ენის ამჟამინდელი არასტაბილური მდგომარეობის მიზეზს ქალის წარსულ ცხოვრებაში ხედავდა. შიშით გული შე-

ეკუმშა. მართალია, ენი კინოთეატრში ბავშვურად მოიქცა, მაგრამ მისი გაგიჟების მიზეზი სიყალბე და უსამართლობა იყო.

ქალს პოლისთვის არ დაურტყამს. მხოლოდ კაცის ხალათს მისწვდა და თავისკენ მოქაჩა, ვიდრე სახეებით ერთმანეთს თითქმის არ შეეხნენ.

- გაი გე? - გაუმეორა ქალმა დამარცვლით.

- გავიგე, ენი.

ქალი პოლს გაცოფებული მიაშტერდა, ალბათ გულწრფელობა ამოიკითხა პოლის სახეზე, რადგან ზიზღით ჰკრა ხელი, კაცი ეტლის საზურგეს მიენარცხა, სახე ტკივილით დაემანჭა, მაგრამ ცოტა ხანში ტკივილმა გადაუარა.

- მაშ, იცი, სად არის სიცრუე? - ჰკითხა ენიმ.

- კი, ვიცი, - მიუგო კაცმა და გაიფიქრა, როგორ მოვიქცეო.

წამსვე შინაგანმა ხმამ უპასუხა: პოლ, ჩემო მეგობარო, არ ვიცი, ღმერთმა დაგწყევლა, თუ გადაგარჩინა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ მიზერის დამაჯერებლად არ გააცოცხლებ, მაშინ შენი საქმე წასულია, მოგკლავს, იცოდე.

- ჰოდა, საქმეს მიხედე, - თქვა მოკლედ ქალმა და ოთახი დატოვა.

3

პოლმა თვალი შეავლო იქვე მდგარ საბეჭდ მანქანას, რომელსაც ასო „ნ“ აკლდა და გაიფიქრა, ნეტავ საშუალოდ რამდენი „ნ“ იქნება ერთ დაბეჭდილ ხაზზეო.

მეგონა, ნიჭიერი მწერალი იყავი, ჩაესმა პოლს საბეჭდი მანქანის დამცინავი ხმა. მაგრამ არა, არც ისეთი ნიჭიერი ყოფილხარ. შენი ნაწერი ერთ მსუქან, შერეკილ, ყოფილ მედდასაც კი არ მოეწონა. ეგებ ავარიაში წერის ნიჭი საერთოდ დაკარგე?

პოლი ეტლის ზურგს მიაწვა და თვალები დახუჭა. წერის ნიჭის დაქვეითება ტკივილისათვის რომ დაებრალებინა, უფრო ადვილი ასატანი იქნებოდა, სინამდვილეში ტკივილი ისე ძალიან აღარ აწუხებდა.

მოპარული აბები ლეიბის ქვეშ ისევ ხელუხლებლად ეწყო. იცოდა, სხვა ადგილი უნდა მოეძებნა, რადგან ქალს ლეიბის გადაბრუნება რომ მოპრიანებოდა, აბებს აუცილებლად იპოვიდა, ჰოდა, პოლს თადარიგი უნდა დაეჭირა.

საბეჭდი ქაღალდის გამო ინციდენტის შემდეგ ქალსა და კაცს შორის სიმშვიდემ დაისადგურა. ენი წამალს დროულად აძლევდა. პოლი კი სვამდა. კაცს აინტერესებდა, გრძნობდა თუ არა ენი, რომ პოლი თანდათან წამალზე დამოკიდებული ხდებოდა.

კარგი, პოლ, ზედმეტად მუქ ფერებში ხომ არ ხედავ ყველაფერს?

არა, ეს ასე არ იყო. სამი დღის წინ, ღამით, როდესაც პოლი დარწმუნებული იყო, რომ ენი ზედა სართულზე იმყოფებოდა, ერთერთი კოლოფი გამოიღო და წაიკითხა ყველაფერი, რაც ანოტაციაში ეწერა, თუმცა „ნოვრილის“ ძირითადი ინგრედიენტის სახელი ადრეც იცოდა. ეს იყო კოდეინი.

პოლ, მეგობარო, მოტეხილობა თანდათან გიხორცდება. მართალია, ფეხები მუხლსქვემოთ ოთხი წლის ბავშვის ნახატს მიგი-

გავს, სადაც კიდურები მარტივად გავლებული ხაზია, მაგრამ, შენც კარგად ხედავ, ფეხები გიშუშდება. ასპირინითა და თუნდაც ემპირინით იოლად გახვალ. „ნოვრილი“ აღარ გჭირდება. ამ წამლით შენში ჩასახლებული ცხოველი საზრდოობს.

დოზა უნდა შეემცირებინა, თუ არადა, ქალი ყოველთვის „ნოვრილის“ ტყვეობაში ამყოფებდა. იქნებოდა ეტლზე მიჯაჭვული და წამალზე დამოკიდებული.

კარგი, ორი კაფსულიდან, რომელსაც ყოველ ჯერზე მაძლევს, ერთს ენის ქვეშ დავმალავ და არ გადავყლაპავ. როდესაც წყლის ჭიქას გამომართმევს და ოთახიდან გავა, წამალს სასწრაფოდ ლეიბის ქვეშ შევინახავ. ოღონდ დღეს არა, დღეს მზად არ ვარ. ხვალიდან დავიწყებ.

„დავალაგეთ გუშინ და ვაპირებთ, დავალაგოთ ხვალ, მაგრამ არასოდეს ვალაგებთ დღეს“, - ჩაესმა პოლს წითელი დედოფლის სიტყვები წიგნიდან „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“.

ოჰო, ნამდვილად ახირებული ვინმე ხარ, პოლ, - გაიგო პოლმა საბეჭდი მანქანის მოკაკანე ხმა.

ჩვენ, ოხუნჯ ჩიტუნებს, კარგი ხუმრობა არასოდეს გამოგვდის, მაგრამ მაინც ვცდილობთ. ეს ჩვენი ბუნებაა, - წაილუღლუღა პოლმა.

პოლ, ნარკოტიკის დოზაზე იფიქრე. სერიოზულად იფიქრე.

პოლს უცებ აზრი მოუვიდა, რომ შეეძლო წამლის დოზა შეემცირებინა, თუ პირველ თავს ისე დაწერდა, რომ ენის მოეწონებოდა და ისევ სიცრუედ არ ჩათვლიდა.

ამ აზრს მეორე აზრი დაუპირისპირდა: ეს ქალი გიჟია, წინასწარ ვინ იცის, რა მოეწონება და რა არა. მეგობარო, რაც არ უნდა სცადო, ყველაფერი ამაოა.

შედარებით ჭკვიანი ხმა წინას არ დაეთანხმა: ის სისულელე, რაც ენის წასაკითხად გუშინ საღამოს მიეცი, ნაგავი იყო. სამი დღე მოუნდი ამ სისულელის შექმნას და არარაობა გამოგივიდა.

ნუთუ არ იცოდა პოლმა, რომ თავიდან ბოლომდე სიყალბე დაწერა? მას ხომ ასე ზედაპირულად და ზერელედ საქმის კეთება არ სჩვეოდა. თვალწინ ნახევრადშევსებული ბოლო გვერდის ბოლო ხაზი წარმოუდგა: „მიზერი იანს მიუბრუნდა. ქალს თვალები უელავდა და ტუჩებით ჯადოსნურ სიტყვებს ჩურჩულებდა“, შე, უტვინო, ეს ხომ სისულელეა, უვარგისი სისულელე! - გაიფიქრა პოლმა. აშკარა სიყალბეა და ეს შენც კარგად იცი.

ახლა რას აპირებ? - ჰკითხა საბეჭდმა მანქანამ.

არ იცოდა, რა ექნა. მაგრამ რაღაც სასწრაფოდ რომ უნდა მოეფიქრებინა, ეს ნამდვილად იცოდა. მადლობა ღმერთს, დილით ენიმ კაცს ფეხები ბეისბოლის ჯოხით ხელახლა რომ არ მოამტვრია. მჟავა, ფრჩხილის ლაქი ან მსგავსი რამ არ დაალევინა და უკმაყოფილება ამით არ გამოხატა. ენის საყვარელი წიგნი ხომ პოლმა ასე უხეიროდ დაიწყო, ქალის კრიტიკული შენიშვნები ამ შემთხვევაში ნამდვილად ასატანი იყო. რადგან ცოცხალი გადავრჩი, ფიქრობდა პოლი, ქრისტოფერ ჰეილისათვის ბარათის გაგზავნაც შეიძლებაო. ჰეილი კრიტიკოსი იყო და გაზეთ „ნიუიორკ თაიმსში“ წიგნებზე რეცენზიებს წერდა. პოლი ბარათს ასე შეადგენდა: „როდესაც ჩემმა რედაქტორმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემი ერთერთი წიგნის მიმოხილვას აპირებდი, მუხლები მომეკვეთა, მართალია, ბევრი კარგი რეცენზია მახსოვს შენგან, ქრის, მეგობარო, მაგრამ კვანტიც არაერთხელ დაგიდია ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში, მინდა გითხრა, გამაკრიტიკე, რაც შეგიძლია, რადგან აქ კრიტიკის ახალი მეთოდი აღმოვაჩინე. ამ მეთოდს კოლორადოს ბარბეკიუ ან იატაკის საწმენდი ვედრო შეიძლებაეწოდოს. ეს ისეთი საშიშია, როგორც ცენტრალური პარკის კარუსელზე ჯდომა“.

ეს ძალიან სასაცილოა, პოლ. სატრფიალო წერილივით დაწერილი კრიტიკული რეცენზია კარგი გასართობია, მაგრამ თავის გადარჩენაზე იფიქრე, ასე ჯობია.

ჰო, მართალი ხარ.

პოლს საბეჭდი მანქანა თითქოს თავდაჯერებული ღიმილით შესცქეროდა.

ვერ გიტან, - უთხრა პოლმა დაღვრემილი სახით და ფანჯარაში გაიხედა.

4

პოლის სააბაზანო ოთახში შესვლიდან მეორე დღეს დაწყებული ქარბუქი ორი დღე გაგრძელდა. სულ ცოტა, თვრამეტი დუიმი მაინც დაემატა ადრინდელ თოვლს. მიყრილი თოვლისგან ენის მანქანა უცნაურ გორად გადაიქცა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოიდარა და მზემ ღრუბლებში გამოიჭყიტა. პოლი ეტლში, ფანჯარასთან იჯდა. ცა თანდათან მოიწმინდა და კაშკაშა მზის სხივებმა პოლს სახე და ხელები გაუთბო. ბოსლის თავზე ყინულის ლოლოებმაც დნობა დაიწყო. პოლს ერთი წამით თოვლში დამარხული თავისი მანქანა გაახსენდა. მერე ქაღალდის ფურცელი აიღო და საბეჭდ მანქანაში ჩადო. მიზერის დაბრუნება დააწერა ფურცელს სათაურად, ხოლო მარჯვენა ზედა კუთხეში გვერდის დასანომრად ციფრი ერთი დასვა. მერე ბერკეტი ოთხჯერ თუ ხუთჯერ გადაატრიალა და ფურცელზე, შუა ადგილას დაბეჭდა: პირველი თავი. მანქანის კლავიშებს საჭიროზე მეტად ურტყამდა თითებს, რომ ენის გაეგო და ეფიქრა, რაღაცას ბეჭდავსო.

პოლს ფურცლიდან თეთრი სივრცე შემოსცქეროდა. სივრცე, რომელიც თოვლის ნამქერს ჰგავდა და რომელშიც პოლი შეიძლება ჩავარდნილიყო და ყინვისგან სუნთქვაშეკრული მომკვდარიყო.

აფრიკა.

რადგან ისინი დამაჯერებლად თამაშობდნენ.

ჩიტი აფრიკიდან...

პარაშუტი მისი სკამის ქვეშ...

აფრიკა...

ახლა უნდა გამოვრეცხო...

პოლს თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა. ქალი რომ შემოსულიყო, ალბათ გაგიჟდებოდა, რადგან პოლს, მუშაობის ნაცვლად, დრო უქმად გაჰყავდა. მაგრამ, სულ ერთია, პოლი მაინც

თავისებურად გააგრძელებდა. ხომ არ თვლემდა. ფიქრობდა და ეძებდა.

რას ეძებ, პოლ?

ეს ისედაც ცხადი იყო. თვითმფრინავი ვარდებოდა და პოლი სკამის ქვეშ პარაშუტს ეძებდა. დამაჯერებელია?

საკმაოდ! თუ ის სკამის ქვეშ პარაშუტს იპოვის, დამაჯერებელია. შეიძლება მთლად რეალისტური არ იყოს, მაგრამ დამაჯერებელია.

ბავშვობაში პოლმა ორი ზაფხული მალდენის საზაფხულო ბანაკში გაატარა. მას დღის ბანაკს ეძახდნენ. იქ ბავშვები ყოველ დილით მიდიოდნენ, საღამოს კი შინ ბრუნდებოდნენ. ბევრ სხვასთან ერთად, ბანაკში წრეში ისხდნენ და ერთი ისეთი თამაშით ერთობოდნენ, რომელიც ძალიან ჰგავდა ენი უილკსის სერიალებს. პოლი თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა... რა ერქვა იმ თამაშს?

პოლმა გონების თვალით დაინახა თხუთმეტიოცი ბავშვი. გოგო ბიჭები მოედნის ჩრდილიან მხარეს წრეში ისხდნენ. ყველას მალდენის საზაფხულო ბანაკის მაისური ეცვა. ისინი ყურადღებით უსმენდნენ კონსულტანტის ახსნას. ამ თამაშს ერქვა - შეგიძლია?.. მართლა ასე ერქვა?

მგონი, კი.

კონსულტანტი ამბის მოყოლას იწყებდა: დავუშვათ, უდარდელი კორიგანი სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში დაიკარგა. უცებ მან ირგვლივ მიმოიხედა და რას ხედავს, კორიგანი ლომებითაა გარშემორტყმული. ისინი ნელნელა უახლოვდებიან. წრე თანდათან ვიწროვდება. დღის ხუთი საათია. ვახშამი კი რვაზეა, მაგრამ სამხრეთამერიკელ ლომებს ეს სულაც არ აწუხებთ. უდარდელი კორიგანის შესახრამუნებლად მზად არიან.

კონსულტანტს ხელში წამმზომი უჭირავს. პოლ შელდონის მთვლემარე გონებამ საოცარი სიცხადით დაინახა ვერცხლის მძიმე წამმზომი, თუმცა მას შემდეგ, რაც წამმზომი ხელში ეჭირა,

ოცდაათი წელი გავიდა. კარგად ახსოვდა წამმზომის ციფერბლატი და პაწაწინა ისარი, რომელიც წამების მეათედებს აღრიცხავდა. ციფერბლატზე პატარა ასოებით ბრენდის სახელი - „ანექსი“ ეწერა.

კონსულტანტი წრეში ბავშვებს თვალს მოავლებდა და ერთერთს ამოარჩევდა. მაგალითად: „დანიელ“, ეტყოდა მას. „შეგიძლია?“ როგორც კი ეს სიტყვა მის ბაგეს მოსწყდებოდა, იმ წუთშივე წამმზომს რთავდა.

დანიელს ათი წამი ჰქონდა, რომ ამბავი გაეგრძელებინა. თუ ათ წამში თხრობას ვერ დაიწყებდა, წრე უნდა დაეტოვებინა. მაგრამ თუ ამბავს გააგრძელებდა და კორიგანს ლომების თავდასხმისაგან იხსნიდა, კონსულტანტი ბავშვებს ისევ თვალს მოავლებდა და ახალ კითხვას სვამდა: შეძლო?

ეს კითხვა ენი უილკსისათვის ზედგამოჭრილი იყო. ამბავი რეალისტური შეიძლება არა, მაგრამ დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, დანიელს შეეძლო ეთქვა: „საბედნიეროდ, უდარდელ კორიგანს თავისი ვინჩესტერი თან ჰქონდა. ასე რომ, სამი ლომი მოკლა, დანარჩენები კი გაიქცნენ“. ამ შემთხვევაში დანიელმა ეს შეძლო. წამმზომი მას გადაეცემოდა და ახლა ის აგრძელებდა ამბის გამოგონებას: კორიგანს ან მცოცავი ქვიშა უპირებდა ჩათრევას, ან რაღაც სხვა ხიფათი ემუქრებოდა. მერე დანიელი მოულოდნელად თხრობას წყვეტდა და რომელიმე ბავშვს ჰკითხავდა: შეგიძლია? და წამმზომს რთავდა.

ათი წამი დიდი დრო არ იყო. ადვილად შეიძლებოდა დამარცხებულიყავი... ამიტომ ტყუილს ამბობდი. მომდევნო მოთამაშეს შეეძლო ეთქვა: „უზარმაზარი ფასკუნჯი ციდან დაეშვა. კორიგანი მას კისერზე მოეჭიდა და მცოცავ ქვიშას თავი დააღწია“.

კონსულტანტის კითხვაზე, ამა და ამ მოთამაშემ შეძლო? თუ მიიჩნევდი, რომ ფასკუნჯის ამბავი დამაჯერებელი იყო, ხელს

მაღლა ასწევდი, თუ არადა, არა. მოთამაშე წრეს ტოვებდა, თამაშიდან ვარდებოდა.

პოლ, შეგიძლია?

კი. მხოლოდ ასე თუ გადავრჩები ცოცხალი. ჩემს სახლებს ნიუიორკსა და ლოსანჯელესში მხოლოდ ასე შევინარჩუნებ. შემიძლია მეთქი, ამას თამამად ვამბობ. ბევრი მწერალი ვიცი, ჩემზე უკეთ რომ წერს. ისინი უკეთ გრძნობენ, ხალხს რა მოსწონს და რა - არა. მაგრამ როდესაც კონსულტანტი კითხვას დასვამს: „მათ შეძლეს?“ შეიძლება რამდენიმემ ასწიოს ხელი. ჩემთვის კი ყველა ხელს ასწევს... ან მიზერისთვის... ვფიქრობ, ეს ერთი და იგივეა. შემიძლია? - კი. სანაძლეოს დავდებ, რომ შემიძლია. ამ ქვეყნად მილიონობით რამე არ შემიძლია. მაგალითად: ბურთზე ჯოხის დარტყმა. არც ადრე, სკოლაში შემეძლო. ვერც ონკანს შევაკეთებ, საიდანაც წყალი ჟონავს. არც ციგურებზე სრიალი შემიძლია და არც გიტარაზე აკორდების აღება. ორჯერ დავქორწინდი და ორჯერვე მარცხით დამთავრდა. მაგრამ თუ სხვა სამყაროში გადაყვანა, შიშის ჟრჟოლის მოჰგვარა, სიცილი ან ტირილი გნებავთ, ეს შემიძლია.

პოლს საბეჭდი მანქანის უტიფარი, მოკაკანე ხმა ჩაესმა: ჩვენ, მეგობრებო, აქ ორი რამ გვაქვს: გაუთავებელი საუბარი და თეთრი სივრცე.

პოლ, შეგიძლია?

დიახ, დიახ!

პოლმა შეძლო?

არა, იცრუა! ექიმი არ მოსულა. პოლ, შენ შეიძლება დაგავიწყდა, მაგრამ ქვის კერპს არაფერი ავიწყდება. პოლმა წრე უნდა დატოვოს, თამაშიდან უნდა გავიდეს. ახლა კი, ბოდიში, უნდა გამოვრეცხო. ახლა უნდა...

5

„...გამოვრეცხო“, - წაიჩურჩულა პოლმა და მარჯვნივ გაჩოჩდა. ამ მოძრაობამ მარცხენა მუხლში ტკივილი გაუღვიძა. ტკივილმა მისი ფიქრებში წასული გონება წამსვე გამოაფხიზლა. ენი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა. ქალი ჩვეულებრივად ღიღინებდა ხოლმე, როდესაც სახლში საქმიანობდა, მაგრამ დღეს რატომღაც ჩუმად იყო. მხოლოდ თეფშებისა და წყლის ჩხრიალის ხმა ისმოდა. პოლს ეს ცუდად ენიშნა. ამინდის ბიურო შელდონის საგრაფოს მცხოვრებლებს ატყობინებდა, რომ დღეს, ხუთ საათამდე ქარიშხალი იყო მოსალოდნელი. ვიმეორებ, მოსალოდნელია ქარიშხალი...

დროა, თამაში შეწყდეს და საქმეს მივხედო, - გაიფიქრა პოლმა. - ენის სურს, რომ მიზერი მკვდრეთით აღვადგინო.

მაგრამ ყველაფერი დამაჯერებლად უნდა გაკეთდეს. სავალდებულო არ არის, რეალისტური იყოს, მთავარია, დამაჯერებლად გამოვიდეს.

თუ საქმეს დილიდანვე შეუდგებოდა, ძირშივე მოსპობდა დეპრესიას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა.

პოლმა ფანჯარაში გაიხედა. ნიკაპი ხელისგულზე ჰქონდა დაყრდნობილი. ფხიზელი გონებით გულმოდგინედ ფიქრობდა, მაგრამ საიდან დაეწყო, ვერაფრით მოესაზრებინა. შიგადაშიგ ისეთ რამეებზეც ფიქრობდა, რაც მის ძირითად საფიქრალს არც კი უკავშირდებოდა. მაგალითად: ბოლოს შამპუნით როდის დაიბანა თავი, ენი წამალს დროზე მოუტანდა თუ არა. მერე ფიქრი საერთოდ გაექცა და შებოლილი ხორცი გაახსენდა. ტვინში თითქოს მგრძნობიარე სენსორები ჰქონდა ჩადგმული. მაგრამ მაინც ვერ ხედავდა, რაც უნდა დაენახა. არ ესმოდა, რაც უნდა გაეგო.

ამ დროს მისი გონების მეორე ნაწილი იდეებს გამწარებით ეძებდა. აზრებს ერთმანეთს უკავშირებდა, მაგრამ მერე არ მოს-

წონდა და ისევ ხელახლა იწყებდა. ცდილობდა, იდეისათვის მიეგნო. იდეის ძებნა და მისი პოვნა ერთი და იგივე სულაც არ იყო. როდესაც რაიმეთი ხარ შთაგონებული და წამოიძახებ: ევრიკა! მუზა მეწვია! - სწორედ ეს ნიშნავს იდეის პოვნას.

პოლს „სწრაფი მანქანების“ იდეა ერთ მშვენიერ დღეს ნიუ იორკში დაებადა. სახლიდან ვიდეომაგნიტოფონის საყიდლად გამოვიდა. ავტოსადგომზე ვიღაც ტიპი დაინახა, რომელიც ქურდულად ცდილობდა მანქანის გაღებას. სულ ეს იყო. იმ კაცის საქციელი კანონიერი იყო თუ უკანონო, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. არც აინტერესებდა. ის კაცი შემდეგში ტონი ბონასარო გახდა. სახელი ტელეფონების წიგნიდან ამოიღო. ადრე პოლის გონებაში ბუნდოვანი და ჩამოუყალიბებელი აზრი არსებობდა, ხოლო ავტოსადგომზე მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ყველაფერი თავთავის ადგილზე სწრაფად დალაგდა. პოლი ბედნიერი და ხალისიანი იყო. სიხარულით მთვრალს ჰგავდა. მოულოდნელად ეწვია მუზა. სახლიდან ვიდეომაგნიტოფონის საყიდლად გამოვიდა და უფრო მნიშვნელოვანი რამ შეიძინა. ეს წიგნის იდეა გახლდათ. პოლის აზრით, იდეის ძებნა ამაღელვებელი სულაც არ იყო. ცოტა იდუმალი და, ამავე დროს, აუცილებელი პროცესი გახლდათ. რადგან როდესაც რომანს წერ, დაბრკოლება სადღაც აუცილებლად შეგხვდება. წერის გაგრძელებას აზრი არ აქვს, ვიდრე იდეას, ანუ გამოსავალს არ იპოვი.

პოლისთვის ამ დროს ჩვეულებრივი პროცედურა პალტოს ჩაცმა და ქუჩაში სასეირნოდ გასვლა იყო. თუკი მისი მიზანი იდეის პოვნა არ იყო, თან წიგნი მიჰქონდა. პოლს მიაჩნდა, რომ სეირნობა კარგი ვარჯიში იყო, მაგრამ, ამავე დროს, მოსაწყენიც, თუ თანამგზავრი არ გყავდა. წიგნი კი ასეთ შემთხვევაში თანამგზავრის ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ თუ იდეას ეძებდი, მოწყენილობა წიგნის გასაგრძელებლად შეიძლება ისევე სასარგებ-

ლო ყოფილიყო, როგორც ქიმიოთერაპიაა კიბოიანი ავადმყოფებისათვის.

„სწრაფი მანქანების“ წერისას პოლს დაბრკოლება შეექმნა. ტონი ბონასარომ ლეიტენანტი გრეი მოკლა, როდესაც ლეიტენანტმა ხელბორკილის დადება დაუპირა. ეს თაიმს სკვერის კინოთეატრში მოხდა. პოლს უნდოდა, მკვლელობა ტონის ცოტა ხნით შერჩენოდა, რადგან წიგნის მესამე ნაწილში ჰქონდა გათვალისწინებული მისი ციხეში ჩასმა. ტონი კინოთეატრში სკამზე მჯდარსა და მარცხენა იღლიაში ტარამდე დანაგაყრილს გრეის ვერ დატოვებდა, რადგან, სულ ცოტა, სამმა ადამიანმა მაინც იცოდა, რომ გრეი ტონისთან შესახვედრად წავიდა.

ტონის კინოთეატრიდან გრეის გვამი უნდა გამოეტანა, მაგრამ როგორ? პოლმა არ იცოდა, პრობლემა როგორ გადაეჭრა. ეს დაბრკოლება წიგნის გაგრძელებას ხელს უშლიდა. პოლს ბავშვობისდროინდელი თამაში გაახსენდა: უდარდელმა კორიგანმა კაცი მოკლა. ახლა გვამი მანქანამდე უნდა მიეტანა ისე, რომ ვინმეს არ ეკითხა: „ჰეი, მეგობარო, ეს კაცი მართლა მკვდარია, თუ ეპილეფსიის შეტევა, ან რაღაც ამის მსგავსი სჭირსო?“ თუ გვამს მანქანაში ჩადებდა, მერე იცოდა, სად წაეღო. ქვინსში მიტოვებული შენობა ეგულებოდა და იქ დატოვებდა... პოლ, შეგიძლია?

აზრის გასაგრძელებლად, რა თქმა უნდა, წამებს არავინ უთვლიდა. ხელშეკრულებაში წიგნის ჩაბარების ზუსტი დრო მითითებული არ იყო. მაგრამ ზოგადად, გარკვეული ვადა ყოველთვის არსებობს, რომლის გასვლის შემდეგ წრე უნდა დატოვო. მწერლებმა ეს იციან. თუ წიგნი დიდხანს დევს და მწერალი წერას ვერ აგრძელებს, წიგნი ლპობას იწყებს და იშლება.

ამიტომაც პოლი სასეირნოდ გამოვიდა. არაფერზე არ ფიქრობდა. მიდიოდა და ელოდა. შეიძლება რაღაცმომხდარიყო. როდესაც სამი მილი გაიარა, უცებ გონება გაუნათდა. პოლს თავში დაჰკრა: იქნებ ტონიმ ცეცხლი გააჩინოს კინოთეატრში?

კარგი აზრი იყო, გამოდგებოდა. პოლს აღმაფრენა არ სწვევია. თითქოს დურგალი იყო, რომელიც ხის ნაჭრს დაჰყურებდა, იქნებ რაღაცაში გამომადგესო.

ტონის შეეძლო ცეცხლი წაეკიდებინა გრეის გვერდით რბილი ეტლისათვის. მაგრამ როგორ? იმ კინოთეატრში რბილი ავეჯი ხომ ერთთავად დაგლეჯილი იყო. თანაც კვამლი დადგებოდა. მაგრამ კვამლი კარგია. ტონი, რამდენადაც შესაძლებელია, შეყოვნდებოდა და მერე შეეძლო გრეი გარეთ გამოეთრია, როგორც კვამლისგან გაგუდული. აბა, როგორი აზრია? - გაიფიქრა პოლმა.

არა უშავდა, კარგი აზრი იყო. ბრწყინვალე არა, მაგრამ აზრს ნამდვილად არა უშავდა. ბევრი დეტალი დასაზუსტებელი ჰქონდა, მაგრამ პოლმა, რაც მთავარია, იდეას მიაგნო. წიგნის გაგრძელება უკვე შეიძლებოდა.

პოლს წერის დასაწყებად იდეა ყოველთვის ჰქონდა. თუ არ ჰქონდა, აუცილებლად პოულობდა.

ახლა ის მშვიდად იჯდა ეტლში. ნიკაპი ხელისგულზე დაეყრდნო და ფანჯარაში იყურებოდა. სიარული რომ შეძლებოდა, მინდორში გავიდოდა. მაგრამ, რადგან არ შეეძლო, სხვა გზა არ ჰქონდა, იჯდა, თვლემდა და თავის თავში აზრის მომწიფებას ელოდა. ათმა წუთმა გაიარა... თხუთმეტმა... ენიმ სასტუმრო ოთახში მტვერსასრუტი ჩართო (ქალის სიმღერა ისევ არ ისმოდა.). პოლი მტვერსასრუტის ხმას ყურადღებას არ აქცევდა. ზუზუნი ერთ ყურში შესდიოდა და მეორედან გამოსდიოდა, ისე როგორც წყალი ხელოვნურ არხში.

ბოლოს და ბოლოს, პოლის გონებაში რაღაც აზრი თანდათან მომწიფდა. მის ტვინში პაწაწინა კაცუნები გამალებით მუშაობდნენ, რომ იდეა გამოეცხოთ. პოლი ამ იდეას ისე დასწვდა, როგორც კარის ჭრილში შემოცურებულ წერილს. გადახედგადმოხედა და არ ვარგაო, თქვა გულში. პოლს კაცუნების გმინვა ხომ არ

შემოესმა, რადგან გაიფიქრა, ალბათ იდეის ნაწილს მაინც გამოვიყენებო. პოლის გონებაში აზრის შემდეგი გაელვება უფრო კაშკაშა გამოდგა. კაცი ფანჯრის რაფაზე შეუსვენებლად მოჰყვა თითების კაკუნს.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც პოლმა ბეჭდვა დაიწყო. პირველად საქმე ნელა მიდიოდა. თითოეული სიტყვის დაბეჭდვის შემდეგ თხუთმეტწამიანი სიჩუმის ინტერვალი ჩამოვარდებოდა ხოლმე. მოსასმენად ეს ზემოდან გადაღებული, ზღვის სილურჯეში გაბნეული, არქიპელაგის კუნძულებივით აღიქმებოდა.

შემდეგ ინტერვალი თანდათან შემცირდა და პოლმა გამალებით დაიწყო ბეჭდვა. რა მშვენიერი ჟღერადობა ექნებოდა პოლის ელექტრო საბეჭდ მანქანას, მასზე რომ ემუშავა. ამ ძველი საბეჭდი მანქანის კაკანი კი ყურისმომჭრელად მოქმედებდა. მაგრამ პოლს მისი ხმა არც კი ესმოდა. საქმე თანდათან ხურდებოდა და წერის ეშხში შედიოდა.

ენიმ მტვერსასრუტი გამორთო. ოთახის კართან მოვიდა და იქიდან უყურებდა. პოლს ენის მზერა არ უგრძვნია. ის ბოლოს და ბოლოს შემოქმედებით სამყაროში გადაბარგდა. პატარა დანთორფის ეკლესიის ეზოში იყო. ღამის ნოტიო ჰაერს სუნთქავდა. მიწისა და ხავსის სურნელს შეიგრძნობდა. პრესვიტერიანული ეკლესიის კოშკზე საათმა ორჯერ დარეკა. პოლს არაფერი გამორჩენია. ყველაფერი ფურცელზე გადაიტანა. გრძნობდა, კარგად გამოსდიოდა. როდესაც სამუშაო კარგად გამოსდიოდა, ამას ყოველთვის გრძნობდა.

ენიმ ღიმილის გარეშე, სერიოზული სახით დიდხანს უყურა პოლს და მერე კარს მძიმე ნაბიჯებით მოსცილდა. კაცს არც მისი ნაბიჯების ხმა გაუგია.

პოლმა შუადღის სამ საათამდე იმუშავა. საღამოს რვაზე ენის სთხოვა, დამეხმარე, რომ ისევ ეტლში ჩავჯდეო. კიდევ სამი საათი იმუშავა. ათი საათისათვის ტკივილი გაუმწვავდა. თერთმეთ-

ტზე ენი შემოვიდა. პოლმა სთხოვა, კიდევ თხუთმეტი წუთი მაცალეო.

- არა, პოლ, საკმარისია. მატკალივით ხარ გათეთრებული.

ენიმ კაცი საწოლში ჩააწვინა. პოლს სამ წუთში ჩაეძინა. პირველად ამ ხნის მანძილზე მთელი ღამე გადაბმულად ეძინა და არაფერი დასიზმრებია.

6

მიზერის დაბრუნება

პოლ შელდონი

ეძღვნება ენი უილკსს

I თავი

ჯეფრი ალიბარტონმა კართან მდგარი მოხუცი კაცი ვერ იცნო. იმიტომ კი არა, რომ კარზე ზარის ხმამ ღრმა ძილისაგან, ესესაა, გამოაფხიზლა, დამნაშავე სოფლური ყოფაცხოვრება იყო - სოფელში სრულიად უცნობი ადამიანები არ ცხოვრობენ, მაგრამ არის ხალხი, ვისაც უცებ ვერ იცნობ. ყველას ჰქონია შემთხვევა, როდესაც ამაოდ ცდილობ თანამოსაუბრის სახელის გახსენებას. უფრო დამაბნეველია, როცა თანამოსაუბრეს ვიღაცას ამსგავსებ, მაგრამ ვერ გარკვეულხარ, ვინ არის.

- სერ, ხომ არ შეგაწუხეთ? - ჰკითხა ახლად მოსულმა.

უცნობი იაფფასიანი ქსოვილისაგან შეკერილ ქუდს გრეხდა და აწვალებდა. იმ ლამპის შუქზე, რომელიც ჯეფრის ხელში ეჭირა, დანაოჭებული, გაყვითლებული და საშინლად შეწუხებული, თითქმის შეშინებული სახე უჩანდა.

- დოქტორ ბუკინგსთან წასვლა არ მინდოდა, - თქვა უცნობმა, - ვერც ბატონს შევაწუხებდი, ვიდრე თქვენ არ დაგელაპარაკებოდით. რა თქმა უნდა, თუ ჩემს მოსმენას ინებებთ.

ჯეფრიმ მოულოდნელად იცნო გვიანი სტუმარი, როდესაც მან დოქტორი ბუკინგსი, ეკლესიის მღვდელი, ახსენა. სამი დღის წინ დოქტორმა ბუკინგსმა ეკლესიის ეზოში, მიზერის საფლავზე სამგლოვიარი რიტუალი ჩაატარა, რომლის დროსაც ეს კაცი მორიდებით, მოფარებულად იდგა, რომ ხალხს ნაკლებად შეემჩნია. მისი სახელი კოლტერი იყო. ეკლესიის ერთერთი დარაჯი, უფრო სწორად, მესაფლავე.

- კოლტერ, - ჰკითხა ჯეფრიმ, - რით შემიძლია გემსახურო?

- სერ, ეკლესიის ეზოში ხმაურია, - თქვა ყოყმანით კოლტერმა. - ქალბატონი ვერ ისვენებს, სერ. დიახ, ასეა. მეშინია... მე...

ჯეფრის თითქოს ზურგში მაგრად ჩასცხესო. სული შეეხუთა. გვერდებში, სადაც გატეხილი ნეკნები მჭიდროდ ჰქონდა გადახვეული, თითქოს ცხელი შანთები ატაკესო. ექიმი შაინბოუნი ეჭვობდა, რომ წვიმასა და სიცივეში მთელი ღამე თხრილში გდების შემდეგ ჯეფრის შესაძლოა ფილტვების ანთება დამართნოდა. მაგრამ სამი დღე გავიდა და არც სიცხე ჰქონია და არც ხველას შეუწუხებია. ჯეფრიმ იცოდა, ფილტვების ანთება არ დაემართებოდა. დამნაშავეს ღმერთი ასე იოლად არ შეიწყალებდა. მას უნდა ეცოცხლა, რომ ძვირფასი ადამიანის ხსოვნა დიდხანს შეენახა.

- სერ, კარგად ხართ? - ჰკითხა კოლტერმა. - გავიგე, ღამით საშინლად დაშავებულხართ, - რამდენიმეწამიანი სიჩუმის შემდეგ კოლტერმა განაგრძო: - იმ საბედისწერო ღამეს, როდესაც ქალბატონი გარდაიცვალა.

- კარგად ვარ, - თქვა ჯეფრიმ წყნარად. - კოლტერ, ხმები მესმისო, რომ ამბობ, ეს შენს წარმოსახვაში ხდება?

- წარმოსახვაში? - იკითხა მან. - სერ, მერე ალბათ იმასაც მეტყვით, ღვთის და საუკუნო სასუფევლის არსებობა არ გწამსო! დუნკან ფრომსლეიმ არ ნახა მოხუცი პატერსონის თეთრი აჩრდილი მისი დაკრძალვიდან ორი დღის შემდეგ? (ალბათ ნახა, - გაიფიქრა ჯეფრიმ. მაგრამ ფრომსლეი გალეშილი მთვრალი იქნებოდა). ნახევარმა ქალაქმა არ დაინახა, კათოლიკე ბერი რიჯჰიტის სასახლის ქონგურებზე როგორ დადიოდა? ლონდონიდან ორი მედიუმიც ხომ გაგზავნეს, რათა გაეგოთ, რა ხდებოდა.

კოლტერს მედიუმი კი არა, შერეკილი, კუდიანი დედაბრები უნდა ეთქვაო, გაიფიქრა ჯეფრიმ.

- სერ, მიცვალებულის ლანდი ისევე რეალურია, როგორც ჩვენ, თქვენ და მე ვართ, - თქვა კოლტერმა სერიოზულად. წარმოსახვა არაფერ შუაშია.

მაგრამ ეს ხმები ისე მაშინებს, ეკლესიის ეზოს ახლოს ჩავლაც კი მზარავს. ხვალ როიდმანების ბავშვის საფლავის გაჭრაა საჭირო. არ ვიცი, რა ვქნა.

ჯეფრიმ გულში ლოცვა დაიწყო და ღმერთს სიმშვიდე და გამძლეობა სთხოვა. ამ საბრალო ეკლესიის დარაჯის ღნავილს ვეღარ უძლებდა. ჯეფრი ბუხრის წინ იჯდა, კალთაში წიგნი ედო და მშვიდად ეძინა, როდესაც კოლტერი მოვიდა და გააღვიძა... მისი საუბრით გულში ნაღველი ყოველ წამს უფრო და უფრო ემატებოდა, რადგან იცოდა, რომ მისი უძვირფასესი ადამიანი ამქვეყნად უკვე აღარ იყო. სამი დღე გავიდა, რაც ის საფლავში იწვა. მალე კვირა შესრულდებოდა... თვე... წელი... ათი წელი... დარდი კაცის გულში ოკეანის კლდოვანი ნაპირივით იყო. როდესაც ეძინა, თითქოს წყლის მოქცევა ფარავდა და შვებას გრძნობდა. როდესაც იღვიძებდა, წყალი უკან იხევდა და ოკეანის მიქცევა იწყებოდა. მალე კლდე მასზე შერჩენილი წყალმცენარეებითა და კიბორჩხალებით კვლავ გამოჩნდებოდა. ეს ასე იქნებოდა, სანამ ღმერთი არ ინებებდა და ტკივილი თანდათან არ დაუამდებოდა.

„ეს სულელი კოლტერი კი აქ მოსვლას ბედავს და უცნაური აჩრდილების შესახებ ბოდავს“, - გაიფიქრა ჯეფრიმ.

მაგრამ კოლტერს ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, ჯეფრიმ საყვედურისაგან თავი შეიკავა.

- მის მიზერი ყველას უყვარდა, - თქვა ჯეფრიმ წყნარად.

- დიახ, სერ, - დაეთანხმა სასწრაფოდ კოლტერი. ქუდი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, მარჯვენა ხელით ჯიბიდან დიდი, წითელი ცხვირსახოცი ამოიღო, სახეზე აიფარა და თვალებიდან ცრემლები წასკდა.

- ყველა განვიცდით მის დაკარგვას, - თქვა ჯეფრიმ და მიტკლით მაგრად შეხვეულ გვერდზე ხელი გადაისვა.

- დიახ, სერ. დიახ, - გაიმეორა ცხვირსახოცში სახეჩარგულმა კოლტერმა. ჯეფრი ხედავდა, როგორ გულწრფელად განიცდიდა კოლტერი და სიბრაზე სიბრალულით შეეცვალა.

- კარგი ქალი იყო, - თქვა კოლტერმა. - დიდებული ქალბატონი!

- ასეა, - დაეთანხმა ჯეფრი. კაცმა იგრძნო, რომ ატირებას აღარაფერი უკლდა. - როდესაც ვინმე, განსაკუთრებულად ძვირფასი ადამიანი მიდის ჩვენგან, სიკვდილისათვის არ გვემეტება და წარმოვიდგენთ, რომ ის ადამიანი ისევ ჩვენ შორისაა. არ მეთანხმები, კოლტერ?

- დიახ, სერ, - თქვა კოლტერმა. - მაგრამ ის ხმები... ნეტავ მოგასმენინათ, სერ.

- ასეთი რა ხმებია? - ჰკითხა მშვიდად ჯეფრიმ.

კაცმა გაიფიქრა, კოლტერი ქარის ან ნაკადულის ხმაზე დაიწყებს საუბარსო. მაგრამ მან შეშინებული ხმით წაილუღლუღა:

- ფხაჭნაკაწვრის ხმებია, სერ. თითქოს ქალბატონი იქ, ქვევით, ცოცხალია და ზევით ამოსვლას ლამობსო.

II თავი

თხუთმეტი წუთის შემდეგ მარტო დარჩენილი ჯეფრი სასადილო ოთახში განჯინას მიუახლოვდა. ქარიშხლის დროს გემბანზე დარჩენილი ადამიანივით კედელს აქეთიქით აწყდებოდა. მართლაც ქარიშხალი დაატყდა თავს. ციებცხელება, რომლის შესახებაც ექიმმა შაინბოუნმა გააფრთხილა, ეგონა მართლაც დაემართა. მაგრამ ეს ციებცხელება არ იყო. ლოყები შეუწითლდა, შუბლი კი სანთელივით გაუყვითლდა. ხელები ისე უკანკალებდა, რომ არყის გრაფინი კინაღამ გაუვარდა.

აზრი, რომელიც კოლტერმა ჩააწვეთა, თუ სიმართლე იყო, წასვლა აღარ უნდა დაეყოვნებინა. მაგრამ წასვლამდე რომ არ დაელია, ალბათ წაიქცეოდა.

ჯეფრი ადრე ასე არასოდეს მოქცეულა, გრაფინი მიიყუდა და არაყი პირდაპირ იქიდან დალია.

მერე განჯინას მოსცილდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- აბა, ვნახოთ... ღმერთია მოწყალე! მაგრამ თუ მესაფლავის ნათქვამი მისი ფანტაზიაა და სხვა არაფერი, ვერ გადამირჩება. ვერაფერი იხსნის, მიზერისადმი პატივისცემა და სიყვარულიც კი.

III თავი

ჯეფრიმ ორთვალა გამოიყვანა, რომელშიც პონი ჰყავდა შებმული. არც ისე ბნელი ღამე იყო. დროდადრო მთვარე ღრუბლებში იმალებოდა. გარეთ გამოსვლამდე კაცი ქვედა სართულზე, კარადასთან წამით შეყოვნდა. რაც პირველად ხელში მოხვდა, მუქი ყავისფერი სმოკინგის ქურთუკი საჩქაროდ

შემოიცვა და გარეთ გავიდა. ჯეფრიმ ცხენს მათრახი გადაუჭირა. ფაშატს არ მოეწონა, რომ პატრონმა ააჩქარა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, წინ გაიჭრა და კუდი ჰაერში აუფრიალდა. არც ჯეფრის მოსწონდა, რომ მხარსა და გვერდში ტკივილი უფრო და უფრო უძლიერდებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა.

„ფხაჭნაკაწვრის ხმებია, სერ. თითქოს ქალბატონი იქ, ქვევით, ცოცხალია და ზევით ამოსვლას ლამობსო“, - გაახსენდა ჯეფრის მესაფლავის სიტყვები.

კოლტერის ნათქვამს ჯეფრი არ შეუშინებია, მისმა ნათქვამმა იანის სიტყვები გაახსენა, რომელსაც მიზერის გარდაცვალების

მეორე დღეს ქალთორფის მამულში შეხვდა. იანმა გაღიმება სცადა, თუმცა თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

- ამ ამბავს უფრო ადვილად გადავიტანდი, - თქვა იანმა, - მიზერი უფრო... მკვდარს უფრო რომ დამსგავსებოდა, მაგრამ ის ცოცხალივით...

- მეკუბოვემ ალბათ მთელი თავისი ნიჭი და უნარი გამოიყენა, - მიუგო ჯეფრიმ.

- მეკუბოვემ? - ხმას აუწია და თითქმის ყვირილზე გადავიდა იანი. ჯეფრი მიხვდა, რომ მისი მეგობარი ნერვული აშლილობის ზღვარზე იმყოფებოდა. - ის თაღლითი მეკუბოვე არ მოსულა. არც მითხოვია, რომ მოსულიყო. რისთვის უნდა მოსულიყო. მიზერი თოჯინასავით რომ შეეღება და ლოყებზე წითელი ფერი გადაესვა?!

- მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, - უთხრა ჯეფრიმ. მას იანის მხარზე თანაგრძნობის ნიშნად ხელის დაკვრა უნდოდა, მაგრამ გადაეხვია. ისინი ერთმანეთის მხრებში თავჩარგულები პატარა, დაღლილი ბავშვებივით აქვითინდნენ. მეორე ოთახში პაწიამ გაიღვიძა და იმანაც ტირილი მორთო. მისის რამაჟმა ბავშვის დამშვიდება სცადა და ცრემლიანი, გაბზარული ხმით იავნანა წამოიწყო.

იმ დღეს ჯეფრი ძლიერ შეაშფოთა იანის ფსიქიკურმა მდგომარეობამ, მისმა გამომეტყველებამ და მისი სიტყვების შინაარსისათვის ყურადღება დიდად არ მიუქცევია. მხოლოდ ახლა, როდესაც მერის მათრახი გადაჰკრა და პატარა დანთორფისაკენ გაქუსლა, რომ კოლტერის ნათქვამის სისწორეში დარწმუნებულიყო, გაახსენდა იანის სიტყვები: მკვდარს უფრო მეტად რომ დამსგავსებოდა, ქალი მკვდარს უფრო რომ დამსგავსებოდა...

მაგრამ სულ ეს როდი იყო. იმ ნაშუადღევს, როდესაც სოფლის მცხოვრებლები ქალთორფის გორაკისაკენ გაეშურნენ, რათა დამწუხრებული ლორდი იანისათვის თავიანთი თანაგრძნობა გა-

მოეხატათ, ექიმი შაინბოუნი ქალთორფის მამულში სწორედ იმ დროს მოვიდა. ექიმი დაღლილი ჩანდა და მთლად კარგად ვერ გამოიყურებოდა, რაც ფრიად გასაკვირი იყო, რადგან ბუნებით ხალისიანი ხშირად აღტაცებით საუბრობდა, რკინის ჰერცოგ ველინგტონს ბავშვობაში როგორ ჩამოართვა ხელი. ველინგტონის ამბავი ჯეფრის გაზვიადებული ეჩვენებოდა. ჯეფრიმ და იანმა პატარაობისას ექიმს მოხუცი შინი შეარქვეს. ბიჭებს ექიმი მაშინ დიდი ეჩვენებოდათ, რადგან ბავშვის თვალით ოცდახუთი წლის ზემოთ ადამიანი უკვე ხანშიშესულად ითვლებოდა. ახლა კი, ჯეფრის გამოთვლით, შინი სამოცდათხუთმეტის მაინც იქნებოდა.

ექიმი მოხუცი იყო... ბოლო ოცდაოთხი საათი საოცრად დატვირთული ჰქონდა... მოხუცი რომ არ ყოფილიყო და თან დაღლილი, დაუშვებდა ასეთ შეცდომას?

საშინელ, გაუგონარ შეცდომას?

ასეთი ფიქრები დასტრიალებდა თავს ჯეფრის იმ ცივ, ქარიან ღამეს, როდესაც მთვარე ღრუბლებიდან მხოლოდ დროდადრო გამოიხედავდა.

შეიძლებოდა მოხუცს ასეთი შეცდომა დაეშვა? არა, შეუძლებელია ექიმს რამე შეშლოდა. კითხვაზე პასუხს ასე სცემდა ჯეფრის გონების მხდალი და სულმოკლე ნაწილი, რომლისთვისაც უმჯობესი იყო, მიზერი სამუდამოდ დაეკარგა, ვიდრე შეცდომის გარდაუვალი შედეგისათვის თვალი გაესწორებინა. მაგრამ როდესაც შინი მოვიდა...

ჯეფრი იანის გვერდით იჯდა. ჯეფრი იხსენებდა, მან და იანმა როგორ იხსნეს მიზერი გადარეული, ფრანგი ვისკონტი ლერუს ტყვეობიდან და როგორ გამოიქცნენ თივით დატვირთული ფურგონიანი ეტლით. როგორ გამოყო თავისი უმშვენიერესი ფეხი თივიდან მიზერიმ და ნაზად დაუქნია ვისკონტის ერთერთ გუშაგს, რათა დაებნია ის და გამოეშტერებინა. ისინი მწუხარებით იხსენებდნენ ამ თავგადასავალს და ექიმი ძლივს შეამჩნიეს.

შინი უცნაურად თავშეკავებული იყო, ეს მხოლოდ დაღლილობის თუ კიდევ სხვა რამის გამოც ხდებოდა?.. ეჭვი ხომ არ გაუჩნდა?

ალბათ არა, ეჭვი როგორ უნდა გასჩენოდა? ჯეფრის ურთიერთგამომრიცხავი ფიქრები მოსდიოდა თავში. ორთვალა ქალთორფის მამულს უახლოვდებოდა. სასახლე ჩაბნელებული ჩანდა, სინათლე მხოლოდ მისის რამაჟის კოტეჯიდან გამოდიოდა.

- მიდი, მერი, მიდი, ჩემო გოგო, - ცხენს მათრახი გადაჰკრა ჯეფრიმ. - ბევრი აღარ დაგრჩა. მერე ცოტას დაისვენებ.

იმ დღეს ექიმმა ჯეფრი, რომელსაც გატეხილი ნეკნები და ამოვარდნილი მხარი ჰქონდა, რატომღაც უყურადღებოდ გასინჯა. მერე იანს ძლივს ერთიორი სიტყვა უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ კაცი ღრმა მწუხარებაში იყო და დარდიან გულზე გაუგებრად ლუღლუღებდა. ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა იკითხა:

- სად არის?..

- სასტუმრო ოთახში წევს, - ძლივს წარმოთქვა იანმა. - ჩემი საბრალო, ძვირფასი მეუღლე სასტუმრო ოთახშია. შინი, აკოცე ჩემს მაგივრად და უთხარი, მასთან მეც მალე მივალ!

იანს ტირილი წასკდა. რამდენიმე თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვის შემდეგ შინი სასტუმრო ოთახში შევიდა. ჯეფრიმ ახლა მოისაზრა, რომ ექიმი მაშინ სასტუმრო ოთახში საკმაოდ დიდხანს დარჩა, თუმცა შეიძლება ასე სულაც არ იყო. მაგრამ როდესაც ექიმი იქიდან გამოვიდა, ჯეფრის უფრო ხალისიანი ეჩვენა. ამაში კი დარწმუნებული იყო. ექიმის გამომეტყველება სრულებით არ შეეფერებოდა იმ ტკივილიან და სევდიან განწყობილებას, რაც ოთახში სუფევდა, სადაც მისის რამაჟი შავ ფარდებს ჰკიდებდა და სახლს დაკრძალვისათვის ამზადებდა.

ჯეფრი ექიმს გარეთ გამოჰყვა და სამზარეულოში დაელაპარაკა.

- იანს დასაძინებელი ფხვნილი უნდა გამოვუწერო, - თქვა ექიმმა, - ვატყობ, ცუდადაა.

ექიმის გონება, ჩანდა, სულ სხვაგან იყო. - მის ეველინჰაიდის შემთხვევას ეს სრულებით არ ჰგავს, - თქვა ექიმმა. - ამაში დარწმუნებული ვარ.

ამ სიტყვებით ექიმი თავის კარეტაში ჩაჯდა. ჯეფრი შემობრუნდა. ექიმის უცნაური სიტყვები და ქცევა მისი სიბერითა და დაღლილობით ახსნა. ჯეფრიმ გადაწყვიტა, სანამ დასაძინებელ ფხვნილს მოუტანდნენ, იანისთვის ვისკი დაესხა.

ჯეფრის ამ დრომდე დავიწყებული ჰქონდა ექიმის სიტყვები: „მის ეველინჰაიდის შემთხვევას ეს სრულებით არ ჰგავს. ამაში დარწმუნებული ვარ“.

რაში იყო დარწმუნებული?

ჯეფრიმ ეს არ იცოდა. მაგრამ აუცილებლად გაარკვევდა, რადაც უნდა დაჯდომოდა.

IV თავი

მისის რამაჟი ჯერ ისევ ფეხზე იყო, როდესაც ჯეფრიმ მისი კოტეჯის კარზე დააკაკუნა. თუმცა ქალი დასაძინებლად, ჩვეულებრივ, ორი საათით ადრე წვებოდა, მაგრამ მიზერის გარდაცვალების შემდეგ სულ უფრო და უფრო გვიან იძინებდა. თუ ქალი შფოთვასა და ფორიაქს ვერაფერს უშველიდა, გვიან წვებოდა, რომ მოუსვენრობა მცირე ხნით მაინც გადაევადებინა.

თუმცა მისის რამაჟი გაწონასწორებული ქალი იყო, მოულოდნელმა კაკუნმა მაინც შეაკრთო და ხმადაბლა წამოიკივლა. ცხელი რძე, რომელსაც ფინჯანში ისხამდა, ხელზე გადაევლო. ქალი ბოლო დროს სულ გაღიზიანებული იყო და წამოკივლება ჩვევად

ექცა. ეს მწუხარების ბრალი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქალი დარდს ერთიანად წაელეკა. ეს მაინც რაღაც უცნაური, ავისმომასწავებელი განცდის ბრალი იყო. მსგავსი გრძნობა ადრე არასოდეს ჰქონია. ქალი ზოგჯერ თავისთვის ამბობდა, უმჯობესია, შავბნელ ფიქრებს ყურადღება არ მივაქციოო.

- ვინ არის ასე გვიან? ათი საათი გახდა, - იკითხა ქალმა, - ვინც არ უნდა იყო, შენ გამო ხელი დავიწვი.

- ჯეფრი ვარ, მისის რამაჟ, ჯეფრი ალიბარტონი, ღვთის გულისათვის, გამიღეთ კარი!

მისის რამაჟს ყბა ჩამოუვარდა. გაოგნებული კარისკენ გაემართა, მაგრამ გაახსენდა, ღამის პერანგი ეცვა და ჩაჩი ეხურა. ჯეფრის ხმა ისე უცნაურად ჟღერდა, ყურებს არ დაუჯერა. მთელს ინგლისში ჯეფრივით მამაცი გულის ადამიანი მეორე ძნელად თუ მოიძებნებოდა, მაგრამ ახლა მისი ხმა ისტერიკაში ჩავარდნილი ქალისას ჰგავდა.

- ერთი წუთით, მისტერ ჯეფრი, - უთხრა მისის რამაჟმა, - დაწოლას ვაპირებდი და ნახევრად გახდილი ვარ.

- ეგ ჩემთვის სულ ერთია, მისის რამაჟ, - დაუძახა ჯეფრიმ, - გააღეთ, ღვთის გულისათვის!

მისის რამაჟი ერთი წამით შეყოვნდა და მერე კარისკენ გაეშურა. ურდული გასწია და კარი გააღო. ჯეფრის გამომეტყველებამ ქალს თავზარი დასცა. გონებაში ისევ ის შავი, ავისმომასწავებელი ფიქრები ამოუტივტივდა. ჯეფრი ზღურბლზე წელში მოხრილი იდგა, თითქოს ზურგზე მძიმე ტომარა ადევსო. მარჯვენა ხელი მარცხენა მკლავის ქვეშ, იღლიასთან ჰქონდა მიჭერილი. თმაგაბურდულს ფერმკრთალ სახეზე მუქი თაფლისფერი თვალები უელავდა. ჯეფრი ალიბარტონი ყოველთვის კოპწიად ჩაცმული დადიოდა, მაგრამ მის ახლანდელ ჩაცმულობაზე ამას ვერ იტყოდი. სმოკინგის ძველი ქურთუკი, ყელმოღეღილი თეთრი პერანგი და უხეში ქსოვილისგან შეკერილი შარვალი ეცვა. ასეთი შარვალი

მებაღეს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე პატარა დანთორფის უმდიდრეს მკვიდრს, ჯეფრი ალიბარტონს. ფეხები ძველ ფოსტლებში ჰქონდა წაყოფილი.

მისის რამაჟს გრძელი, თეთრი ღამის პერანგი ეცვა და ქვაბურა ჩაჩი ეხურა, რომლის გახსნილი ზონრები სახის ირგვლივ აბაჟურის ფოჩებივით ეკიდა.

ჯეფრიმ გატეხილი ნეკნები გზაში ალბათ ხელახლა დაიზიანა. მაგრამ თვალები ფერმკრთალ სახეზე ტკივილის გამო კი არ უელავდა, არამედ მათში შიში და ძრწოლა ჩაბუდებოდა.

- მისტერ ჯეფრი, რა...

- არაფერი მკითხოთ, - გააწყვეტინა ჯეფრიმ ჩახლეჩილი ხმით. - ერთ კითხვაზე თავად უნდა მიპასუხოთ.

- რა კითხვაზე? - შეეშინდა მისის რამაჟს. მან მომუშტული მარცხენა ხელი გულთან მიიდო.

- სახელი მის ეველინჰაიდი რამეს გეუბნებათ?

მისის რამაჟი უეცრად შფოთვის მიზეზს მიხვდა. ეს შიში შაბათი ღამის შემდეგ მოსვენებას არ აძლევდა. სადღაც გულის კუნჭულში საზარელი ფიქრები ჯეფრის მოსვლამდეც ჰქონდა, მაგრამ ამ ფიქრებს გასაქანს არ აძლევდა. მხოლოდ საბრალო მის შარლოტა ეველინჰაიდის ხსენებაზე, რომელიც პატარა დანთორფის დასავლეთით მდებარე სოფელში ცხოვრობდა, მისის რამაჟს ცრემლი წასკდა და მოთქმაგოდებას მოჰყვა:

- ო, ყოვლისშემძლე ღმერთო და წმინდანებო, ნუთუ ცოცხალი დამარხეს? ნუთუ ცოცხალი იყო? ჩემი ძვირფასი ქალბატონი, ჩემი მიზერი, ნუთუ ცოცხალი დამარხეს?

ვიდრე ჯეფრი რამეს ეტყოდა, მისის რამაჟს გული წაუვიდა. ქალს გული არც მანამდე და არც ამის შემდეგ არასოდეს წასვლია.

V თავი

ჯეფრის საყნოსი მარილის ძებნის დრო არ ჰქონდა. თან ეჭვობდა, ისეთ მამაც ქალს, როგორიც მისის რამაჟია, ასეთი რამ საერთოდ ჰქონოდა. მაგრამ სამზარეულოში ჭურჭლის სარეცხი ნიჟარის ქვეშ ჩვარი იპოვა, რომელსაც ნიშადურის სპირტის სუნი ჰქონდა. ჯეფრიმ ჩვარი მისის რამაჟს ცხვირთან ახლოს მიუტანა და მერე ნესტოების ქვემოთ პირზე მიადო.

ქალი შეტოკდა, წამოიყვირა და თვალები გაახილა. ჯეფრის რამდენიმე წამი გაოცებული უყურებდა, მერე წამოჯდა.

- არა, - თქვა მან, - არა, მისტერ ჯეფრი, თქვით, რომ ტყუილია.

- არ ვიცი, ტყუილია თუ მართალი, - მიუგო ჯეფრიმ, - მაგრამ, მისის რამაჟ, დაუყოვნებლივ უნდა გავარკვიოთ, დაუყოვნებლივ. მე მარტო ვერ ამოვთხრი.

მისის რამაჟი ჯეფრის შეშინებული მიაშტერდა. ხელები პირზე ისე მაგრად ჰქონდა მიჭერილი, რომ ფრჩხილები გათეთრებოდა.

- მისის რამაჟ, შეძლებთ ჩემს დახმარებას?.. სხვა არავინაა, რომ ვთხოვო.

- ღმერთო ჩემო, მისტერ იანი...

- იანმა არაფერი არ უნდა გაიგოს, სანამ რამეს არ გავარკვევთ, - გააწყვეტინა ჯეფრიმ. - უმჯობესია, საერთოდ არაფერი იცოდეს.

იმედი, რომელიც ჯეფრის გულში ბჟუტავდა, შიშზე არანაკლებ საზარელი იყო. მისის რამაჟს ამას ნამდვილად ვერ გაუმხელდა. თუ ამაღამდელი მცდელობა კეთილად ჩაივლიდა, იანის მეუღლე, იანის ერთადერთი

სიყვარული ლაზარესავით მკვდრეთით სასწაულებრივად აღდგებოდა.

- საშინელებაა... ნამდვილად საშიშია, - თქვა მისის რამაჟმა სუსტი, მთრთოლვარე ხმით. ქალი მაგიდას მოეჭიდა და წამოდ-

გა. მისის რამაჟი ფეხზე მყარად ვერ იდგა, ქანაობდა. ქუდის ქვეშ ჩამოშლილი თმა უჩანდა.

- როგორ ხართ, მისის რამაჟ, - ჰკითხა ჯეფრიმ. - თუ კარგად არ ხართ, მაშინ საქმეს მარტომ უნდა მივხედო.

ქალმა ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა. მერე რწევარწევით საკუჭნაოსკენ წავიდა.

- გარეთ, ფარდულისუკან ორი ნიჩაბი და წერაქვი დევს, - თქვა ქალმა. - თქვენს ორთვალაზე შეყარეთ. საკუჭნაოში ნახევარი ბოთლი ჯინი მაქვს. ბილის გარდაცვალების შემდეგ, ხუთი წელია, ხელუხლებლად მიდევს. ცოტას გადავკრავ და შემოგიერთდებით.

- გაბედული ქალი ხართ, მისის რამაჟ, - უთხრა ჯეფრიმ. - არ დაიგვიანოთ.

- არ დავიგვიანებ, - მიუგო მან და ჯინის ბოთლი აიღო. ხელი ოდნავ უკანკალებდა. ბოთლზე მტვერი არ იდო. მისის რამაჟს საკუჭნაოშიც ყველაფერი დასუფთავებული ჰქონდა. ბოთლის სიძველეზე მხოლოდ გაყვითლებული იარლიყი მიუთითებდა. - თქვენც იჩქარეთ, - დაადევნა სიტყვა მისის რამაჟმა ჯეფრის.

ქალს სძულდა სპირტიანი სასმელები, მოუნდა საძაგელი სუნისა და გემოს მქონე ჯინი უკანვე ამოერწყია. მაგრამ თავი შეიკავა. ეს თავშეკავება ამაღამ გამოადგებოდა.

VI თავი

შავი ღრუბლები ცაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიცურავდნენ. მთვარე შორს, ჰორიზონტზე ეკიდა. ორთვალა კი ეკლესიისაკენ მიჰქროდა. ცხენს ახლა მისის რამაჟი მიერეკებოდა, რომელიც გაოგნებულ მერის მათრახს ხშირხშირად ურტყამდა.

ლაპარაკი რომ შესძლებოდა, საწყალი ცხენი ალბათ იტყოდა, არასწორად მექცევით, წესით, ამ დროს თბილ თავლაში უნდა მეძინოსო. ორთვალაზე ნიჩბები და წერაქვი თითქოს ამეტყველდნენ. მისის რამაჟმა გაიფიქრა, ჩარლზ დიკენსის წიგნის მიხედვით მკვდრეთით აღმდგარ კაცებს ჰგვანან, უფრო სწორად, კაცებს კი არა, კაცს, რომელიც ორთვალაზე წამოწოლილა, ცხენს კი მოჩვენება მიერეკებაო. ქალი თავიდან ბოლომდე თეთრ სამოსში იყო გამოწყობილი. მოსასხამის ასაღებადაც კი არ შეჩერებულა. თეთრი პერანგის კალთები უფრიალებდა და მსხვილი კოჭები უჩანდა. ჩაჩის კუდი და ზონრები კი უკან, ზურგზე ფაფარივით გაშლოდა.

მალე ეკლესიაც გამოჩნდა. მისის რამაჟმა მერი ეკლესიის გვერდით ბილიკზე გადაიყვანა. ქარს აჩრდილთა ხმები მოჰქონდა, რის გამოც ცხენი შიშით კანკალებდა. ქალმა გაიფიქრა, ნეტავ ეკლესიასავით წმინდა ადგილი დაღამების შემდეგ ასეთი საშიში რატომ ხდებაო. მაგრამ აქ, ეკლესიასთან, სასაფლაოც ხომ იყო...

გონზე მოსვლისთანავე მისის რამაჟმა ჯეფრის უთხრა, რომ მისტერ იანი ვალდებული იყო, მათ დახმარებოდა. „ჩემმა ბატონმა ჭირსა თუ ლხინში მხარში დგომა იცის“, - თქვა ქალმა, - „განა საქმისთვის ოდესმე თავი აურიდებია?“ მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ არასწორად მსჯელობდა. იანი ამ ამბავში არ უნდა გაერიათ, თუ უნდოდათ, რომ კაცს საღი აზრი შერჩენოდა. მის ეველინჰაიდის სახელის ხსენებამ თავგზა სულ ამირიაო, გაიფიქრა ქალმა.

მისის რამაჟს გაახსენდა, რომ ეს ამბავი დაახლოებით ნახევარი წლის წინ, გაზაფხულზე მოხდა. მაშინ არც მისტერ ჯეფრი და არც მისი ბატონი პატარა დანთორფში არ იმყოფებოდნენ. მიზერი ორსულობის მეოთხე თვეში იყო. მუცელი თანდათან ეზრდებოდა. დილაობით შეუძლოდ ყოფნა და გულისრევა უკან დარჩა,

მაგრამ ორსულობის თანმდევი დისკომფორტი ჯერ ისევ წინ ელოდა. მიზერიმ თავისი ქმარი და ჯეფრი გნოლებზე სანადიროდ, ბანქოსა და ფეხბურთის სათამაშოდ და გასართობად დონკასტერში გაუშვა. ჩემს ბატონს წასვლა არ უნდოდა, მაგრამ მიზერიმ დაარწმუნა, რომ კარგად იქნებოდა და ქმარი თითქმის ძალით გააგდო. მეგობრებმა, ჯეფრიმ და იანმა, დონკასტერისაკენ გეზი აიღეს თუ არა, მიზერი მღელვარებამ შეიპყრო. ღმერთმა ნუ ქნას, ერთერთი ან ორივე ფეხებგაჭიმული ორთვალათი მოიყვანონო, თქვა მიზერიმ.

დონკასტერში ოუკ ჰოლი ჯეფრისა და იანის სკოლის მეგობარს ალბერტ ფოსინგტონს მემკვიდრეობით ერგო. მისის რამაჟი მიიჩნევდა, რომ ბერტი ფოსინგტონი გიჟი იყო. სამი წლის წინ, როდესაც მისმა საყვარელმა პონიმ ორი ფეხი მოიტეხა, ბერტი ფოსინგტონმა არც აცია, არც აცხელა, დაკლა ცხენი და შეჭამა. ეს სიყვარულის გამოხატულება იყოო, თქვა მან. კეიპთაუნში ფუზი-ვუზის ტომის ხალხმა მასწავლა, კაცს რაც უყვარს, ის უნდა ჭამოსო, იცინოდა ბერტი.

მიუხედავად ასეთი სიგიჟისა, მისტერ ჯეფრისა და ჩემს ბატონს თავიანთი მეგობარი ბერტი ფოსინგტონი ძალიან უყვართ, ამბობდა მისის რამაჟი. მაგრამ მინდა ვიცოდე, თუ ბერტი მოკვდა, მეგობრებმა ის უნდა შეჭამონ? ერთხელ იმ გიჟს თურმე კატით კროკეტიც უთამაშია და საცოდავ კატას თავი სულ დალეწია.

ოუკ ჰოლში მეგობრებმა ათი დღე გაატარეს. მათი წასვლიდან ერთიორი დღის შემდეგ მის შარლოტა ეველინჰაიდი თავისი სახლის უკან მდელოზე მკვდარი იპოვეს. გაშლილი მკლავის ახლოს მიწაზე ახლადდაკრეფილი ყვავილების თაიგული ეგდო. სოფლის ექიმი, სახელად ბილფორდი, ყოველმხრივ ნიჭიერი ადამიანი იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მოხუცი ექიმი შაინბოუნი კუნსულტაციისათვის მაინც მოიწვია. ექიმი ბილფორდის დიაგნოზით სიკვდილი გულის შეტევამ გამოიწვია. თუმცა გოგონა მხო-

ლოდ თვრამეტი წლისა და ჯანღონით სავსე იყო. ბილფორდი საგონებელში ჩავარდა. გრძნობდა, რაღაც ისე არ იყო...

მოხუცი შინიც აშკარად შეფიქრიანდა, მაგრამ საბოლოოდ ბილფორდის დასმულ დიაგნოზს დაეთანხმა. სოფელშიც თითქმის ყველა მსგავსად ფიქრობდა. ალბათ გოგონას გულს რაღაც დეფექტი მაინცჰქონდა. ასეთი შემთხვევა იშვიათად ხდება, მაგრამ ერთიორი სამწუხარო ფაქტი ყველას გაგვიგიაო. აზრთა ამ საყოველთაო დამთხვევამ ექიმი ბილფორდი და მისი საექიმო პრაქტიკა საშინელი დასასრულისაგან იხსნა. თუმცა გოგონას სიკვდილი მაინც გამოცანად რჩებოდა. თავში აზრად არავის მოსვლია, რომ იქნებ ეს სიკვდილი სულაც არ იყო.

მის ეველინჰაიდის დასაფლავებიდან მეოთხე დღეს ხანშიშესული ქალი მისის სოუმსი, რომელსაც მისის რამაჟი შორიდან იცნობდა, სასაფლაოზე წავიდა, რომ წინა ზამთარს გარდაცვლილი ქმრის საფლავზე ყვავილები დაეწყო. ქალმა მის ეველინჰაიდის საფლავზე რაღაც თეთრი შენიშნა. ის თეთრი რაღაც ყვავილის ფურცელზე გაცილებით დიდი იყო. ქალმა იფიქრა, ალბათ რომელიღაც ჯიშის მკვდარი ჩიტიაო. მაგრამ რაც უფრო ახლოს მიდიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ის რაღაც მიწაზე კი არ იდო, არამედ მიწიდან იყო ამოსული. ქალმა კიდევ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და აშკარად დაინახა, რომ საფლავიდან ხელი იყო ამოშვერილი. გაშეშებულ თითებს სისხლი ზოლებად ეტყობოდა. ყველა თითის წვერი, გარდა ცერისა, ხორცგადაგლეჯილი და ძვალგამოჩრილი იყო.

მისის სოუმსი სასაფლაოდან კივილით გამოიქცა. სოფლამდე დაახლოებით მილზე მეტი შეუსვენებლად ირბინა და დალაქს, რომელიც, ამავე დროს, სოფლის პოლიციელიც იყო, ყველაფერი უამბო. მერე კი გული წაუვიდა. როდესაც მოგვიანებით საწოლში ჩააწვინეს, ქალი საწოლიდან ერთი თვე არ ამდგარა. მაგრამ ამის გამო საყვედური არავის წამოსცდენია.

რასაკვირველია, საბრალო მის ეველინჰაიდის გვამს ექსჰუმაცია გაუკეთეს. შედეგი შემაძრწუნებელი აღმოჩნდა: კატალეფსია ანუ გაშეშება - ასეთი იყო საბოლოო დიაგნოზი. საბრალო გოგონა ალბათ სიკვდილის მსგავს ტრანსში ჩავარდა, რასაც ინდოელი ფაკირები მიმართავენ ხოლმე, რომლებსაც შეუძლიათ მსგავსი გაშეშება ნებაყოფლობით გამოიწვიონ.

მის ეველინჰაიდი შესაძლოა ტრანსში ორმოცდარვა ან სამოცი საათი იმყოფებოდა. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დიდხანს, მერე გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ მდელოზე კი არ იყო, სადაც ყვავილებს კრეფდა, არამედ ცოცხლად დამარხული საფლავში იწვა.

გოგონამ სიცოცხლისათვის თავგანწირული ბრძოლა დაიწყო. მის ეველინჰაიდი დანიშნული იყო და მარცხენა ხელზე, იმ ხელზე არა, რომელიც მიწიდან ჰქონდა ამოყოფილი, არამედ მეორეზე ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა. ბეჭდით კუბოს ატლასის სარჩული გაჭრა და ვინ იცის, რამდენი საათი წვალობდა, რომ კუბოს ხის სახურავი ცოტა მაინც აეწია. კუბოში გოგონას ჰაერი ალბათ თანდათან ელეოდა, მაგრამ ბეჭდიანი ხელით მიწას მაინც ჩორკნიდა, ხოლო მეორე ხელს გასათხრელად ხმარობდა. თუმცა ზევით ამოსასვლელად ეს საკმარისი არ იყო. გოგონას დაზაფრულ სახეზე იისფერი ედო, ხოლო ჩასისხლიანებულ თვალებში დიდი შიში და ძრწოლა ეხატა.

მისის რამაჟი და ჯეფრი სასაფლაოს ჭიშკარში შევიდნენ. თხელი ნისლი იქაურობას უფრო საზარელს ხდიდა. ეკლესიის კოშკზე საათმა თორმეტჯერ დაჰკრა. მისის რამაჟს გაახსენდა, რომ ოდესღაც დედამ უთხრა, ამ დროს სიკვდილსიცოცხლეს შორის კარი ოდნავ იღება და გარდაცვლილი ადამიანის სულს შეუძლია სააქაოში დაბრუნებაო.

ქალი გულშემზარავი კივილისაგან თავს ძლივს იკავებდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე პანიკური შიში სულ უფრო უძლიერ-

დებოდა. მისის რამაჟმა იცოდა, თუ გაიქცეოდა, ალბათ იქამდე ირბენდა, სანამ უგრძნობლად არ დაეცემოდა.

სულელო, მშიშარა ქალო! ლანძღავდა ის თავის თავს. სულელო, მშიშარა, ეგოისტო ქალო! შეასწორა თავისი ნათქვამი მისის რამაჟმა. ახლა მისტერ იანზე უნდა ფიქრობდე და არა შენს შიშზე! ჩემი ბატონი... და თუ ერთი შანსი მაინც არის, რომ ჩემი ქალბატონი...

მაგრამ არა, სიგიჟეა ამაზე ფიქრი. ძალიან დავიგვიანეთ. უკვე ძალიან გვიანაა, ძალიან გვიან.

ჯეფრი მისის რამაჟს მიზერის საფლავისაკენ წაუძღვა. ორივე მონუსხულივით მიაჩერდა საფლავის ქვას, რომელზეც დაბადებაგარდაცვალების წლების გარდა, იყო კიდევ ერთი წარწერა: ქალი, რომელიც ბევრს უყვარდა.

მისის რამაჟი თითქოს ღრმა ძილისგან გამოერკვაო, ჯეფრის შეხედა და ჰკითხა:

- იარაღები არ წამოგიღიათ?

- ჯერ არა, - უპასუხა ჯეფრიმ, საფლავზე დაწვა და ყური მიწას დაადო. საფლავზე აქაიქ უკვე ბალახი ამოწვერილიყო.

ჯეფრის სახეზე მისის რამაჟთან მისვლიდან ამ წუთამდე მხოლოდ დიდი შიში იკითხებოდა. მაგრამ ახლა გამომეტყველება თანდათან შეეცვალა. მის სახეზე შიშში არეული იმედიც გაჩნდა. მან მისის რამაჟს ახედა და წაიჩურჩულა:

- მისის რამაჟ, დარწმუნებული ვარ, ცოცხალია.

ჯეფრი მოულოდნელად მიწას გაეკრა და საფლავში ჩასძახა: „მიზერი! მიზერი! ჩვენ აქ ვართ! ძვირფასო, ცოტა კიდევ გაუძელი!“ სხვა დროს, სხვა შემთხვევაში ეს სურათი ალბათ კომიკური უფრო იქნებოდა.

ჯეფრი ფეხზე წამოიჭრა და იარაღების მოსატანად გავარდა. მიწაზე დაფენილი ნისლი კაცის ფოსტლებმა აამღვრია.

მისის რამაჟი დაიხარა და მიწას მარჯვენა ყური დაადო. ქალს რამდენჯერმე უნახავს რკინიგზის რელსებზე ყურდადებული ბავშვები, რომლებიც მატარებლის ხმას უსმენდნენ. მისის რამაჟმა საფლავიდან ხეზე ფხაჭნის სუსტი ხმა გაიგო. ქალმა ერთი ღრმად ჩაისუნთქა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მიზერის ჩასძახა: „მოვდივართ, ჩემო ქალბატონო! მოვდივართ! ღმერთო მაღალო, ყოვლისშემძლე იესო, მადლობა, რომ აქ ვართ!“

მისის რამაჟმა ათრთოლებული ხელებით თხრა დაიწყო და თუმცა ჯეფრი ძალიან მალე მოვიდა, ქალს რვა დუიმი სიღრმის ორმო უკვე გათხრილი ჰქონდა.

7

პოლი მეშვიდე თავის მეცხრე გვერდზე მუშაობდა.

ჯეფრიმ და მისის რამაჟმა მოახერხეს მიზერის საფლავიდან დროულად ამოყვანა. მაგრამ ქალმა ისინი ვერ იცნო. საერთოდ არაფერი ახსოვდა. არც ის იცოდა, თვითონ ვინ იყო. პოლი ამ ამ-ბავს თხზავდა, როდესაც ენი ოთახში შემოვიდა. ამჯერად პოლმა მისი შემოსვლის ხმა გაიგო. კაცმა ბეჭდვა შეწყვიტა. გულდაწყვე-ტილი იყო, რადგან ისევ რეალურ სამყაროში მოუხდა დაბრუნე-ბა.

ენიმ პირველი ექვსი თავი წასაკითხად წაიღო. ადრე პირველი თავის წაკითხვას დაახლოებით ოცი წუთი მოანდომა. ახლა კი სა-ათზე მეტია, რაც ოცდაერთ გვერდს კითხულობდა. როგორც იქ-ნა, შემოვიდა. პოლმა ქალს მშვიდად შეხედა და შეამჩნია, რომ ენი უილკსი ცოტა ფერმკრთალი იყო.

- აბა, მითხარი, დამაჯერებელია? - ჰკითხა კაცმა.

- კი. - მიუგო ენიმ დაბნეულად. - დამაჯერებელია და კარგია. აღტაცებული ვარ. მაგრამ, ამავე დროს, საშინლად შიშისმომ-გვრელია. მიზერიზე დაწერილ სხვა წიგნებს არ ჰგავს. საბრალო, თითის წვერებზე ხორცგადაგლეჯილი

გოგო... - ენიმ ხალი გააქნია და გაიმეორა: - არა, მიზერიზე და-წერილ არც ერთ წიგნს არ ჰგავს.

„კაცი, რომელმაც ეს გვერდები დაწერა, თავადაც საშინელ გუ-ნებაზე იყო“, - გაიფიქრა პოლმა.

- წერა გავაგრძელო? - ჰკითხა პოლმა.

- მოგკლავ, თუ არ გააგრძელებ, - მიუგო ღიმილით ენიმ. პოლს საპასუხოდ არ გაუღიმია. ენის პასუხთან დაკავშირებით ერთი გაცვეთილი გამოთქმა გაახსენდა, რომელიც ამ შემთხვე-ვაში გაცვეთილი და ბანალური სულაც არ იყო: „ისეთი კარგი ხარ, უნდა ჩაგყლაპო“.

პოლს მოეწონა, რომ ენი ზღურბლზე იდგა და კაცს იქიდან უყურებდა. თითქოს ახლოს მოსვლა ეშინოდა. თითქოს პოლის არსებაში ჩაბუდებული არსება ქალს დაწვით ემუქრებოდა. პოლს ესმოდა, რომ ამ მოწიწების მიზეზი ის სიუჟეტი კი არ იყო, რომელიც უდროოდ დასაფლავებას აღწერდა, არამედ ის განსხვავება, რომელიც პირველ ცდასა და მომდევნოს შორის არსებობდა. ადრე დაწერილი პირველი თავი მერვეკლასელი ბავშვის თემას: „როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები“ უფრო ჰგავდა. ახალი სულ სხვა იყო. თითქოს მასში ცეცხლი გიზგიზებდა. იმიტომ კი არა, რომ პოლმა განსაკუთრებით კარგად დაწერა, არა, თვითონ ამბავი იყო მწვავე. თუმცა მოქმედი პირები სტერეოტიპულები იყვნენ, ხოლო მათი ქმედება ადვილად გამოსაცნობი. მაგრამ პოლმა მაინც შეძლო მასში ენერგიის ჩადება. თითქოს სტრიქონებს შორის სიმხურვალე იგრძნობოდა.

პოლი კმაყოფილი იყო. „ენიმ ალბათ იგრძნო ეს სიმხურვალე და ახლოს მოსვლის ეშინია, არ დავიწვაო,“ - გაიფიქრა ხალისით პოლმა.

- რატომ უნდა მომკლა, ენი, მეც მინდა გავაგრძელო, - უთხრა პოლმა მშვიდად.

- კეთილი, - თქვა ქალმა და წაკითხული გვერდები წინ, ფიცარზე დაუწყო. მერე უკან გადადგა ნაბიჯი.

- გინდა, გზადაგზა წაიკითხო, რასაც დავწერ? - ჰკითხა პოლმა.

- კი, მინდა, - გაიღიმა ენიმ. - სერიალივით იქნება, როგორც ბავშვობაში.

- ვერ დაგპირდები, რომ ყოველი თავის ბოლოს ცნობისმოყვარეობა შეგიპყრობს. ეს ასე არ იქნება, - მიუგო პოლმა.

- სულ ერთია, მე მაინც დავინტერესდები, - თქვა ენიმ აღტაცებით. - მაგალითად, მეჩვიდმეტე თავში მიზერი, იანი და ჯეფრი აივანზე, სავარძლებში რომ ისხდნენ და გაზეთს კითხულობდნენ და მეტი არაფერი ხდებოდეს, მეთვრამეტე თავი მაინც დამაინტერე-

სებს. მწყურია იმის გაგება, მერე რა მოხდება. გთხოვ, უარი არ მითხრა.

- საერთოდ, ჩემს სამუშაოს დამთავრებამდე არავის ვაჩვენებ ხოლმე, - გაუღიმა პოლმა ქალს. - მაგრამ რადგან ეს განსაკუთრებული სიტუაციაა, ბედნიერი ვიქნები, თუ ნაწილნაწილ წაიკითხავ.

„ამრიგად, პოლ შელდონის „ათას ერთი ღამე“ იწყება“, - გაიფიქრა პოლმა.

- მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს, - უთხრა კაცმა.

- რა თხოვნა?

- გამოტოვებულ ადგილებში ჩაამატე ხოლმე ეს წყეული „ნ“.

- კარგი, ამ სამუშაოს შესრულება დიდი პატივი იქნება ჩემთვის, - ღიმილმა სახე გაუნათა ენის. - აბა, ახლა წავედი.

ქალი კარისკენ გაემართა. მაგრამ ოთახიდან გასვლამდე შეყოყმანდა, მობრუნდა და პოლს გაუბედავად შესთავაზა თავისი აზრი:

- რას იტყვი, ფუტკარი რომ გამოიყენო.

პოლი საბეჭდ მანქანაში ჩადებულ ფურცელს მიშტერებოდა. უნდოდა, მიზერი მისის რამაჟის კოტეჯში მანამ მიეყვანა, სანამ ძილი მოერეოდა. მან ენის გახედა და მოჩვენებითი ინტერესით ჰკითხა:

- ბოდიში, რა თქვი?

- ფუტკარი, - გაიმეორა ენიმ და წამოწითლდა. - ათიდან ერთ ადამიანს ფუტკრის ნაკბენზე ალერგია აქვს. ადრე ბევრი შემთხვევა მინახავს, სანამ ექთნად ვმუშაობდი. ალერგია მრავალნაირად ვლინდება. ზოგჯერ ფუტკრის ნაკბენი კომატოზურ მდგომარეობას იწვევს... ისეთივეს, რასაც ხალხი... ჰო... კატალეფსიას ეძახის, - თქვა ყურებამდე გაწითლებულმა ენიმ.

პოლმა ეს აზრი თავში აწონდაწონა და არ მოეწონა. ფუტკრის ნაკბენს შეიძლებოდა მის ეველინჰაიდის უბედური შემთხვევა გა-

მოეწვია, რადგან გაზაფხული იყო და გოგონა მინდორში ყვავილებს კრეფდა. მაგრამ მიზერი თავის საწოლში გარდაიცვალა. ეს ამბავი გვიან შემოდგომაზე მოხდა. ჰოდა, ფუტკრების სეზონიც აღარ იდგა, მაგრამ ეს მაინცადამაინც დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. პრობლემა ის იყო, ყურადღებიანი მკითხველი ვერ დაიჯერებდა, რომ მეზობელ სოფლებში მცხოვრები ორი ქალი, ექვსი თვის ინტერვალით, ცოცხლად დამარხეს ფუტკრის ნაკბენით გამოწვეული კატალეფსიური მდგომარეობის გამო.

პოლი თავის აზრს ენის ვერ ეტყოდა. იმიტომ კი არა, რომ ეს ენის გააბრაზებდა. არამედ იმიტომ, რომ შეიძლება ენის გული ტკენოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალმა პოლს ბევრი ტკივილი მიაყენა, კაცს მაინც არ შეეძლო ენისთვის ამ გზით ეწყენინებინა, რადგან ამგვარი წყენა თვითონაც განეცადა. ამის გამო მან სათქმელი შეარბილა:

- შეიძლება კარგი აზრია, ენი, მაგრამ ამჯერად მე სხვა რამ მაქვს მოფიქრებული.

- კეთილი, შენ უკეთ იცი. მწერალი შენა ხარ და არა მე. დაივიწყე, რაც გითხარი. ბოდიში.

- ბოდიში არ არის...

მაგრამ ენი ოთახში აღარ იყო. სასტუმრო ოთახისაკენ თითქმის სირბილით მიდიოდა. პოლმა კარისკენ გაიხედა და თვალები გაუფართოვდა. იატაკიდან დაახლოებით რვა დუიმის სიმაღლეზე კარის ჩარჩოს მარჯვენა და მარცხენა გვერდზე შავი ლაქები ჩანდა, - ეტლის მაშინდელი გახახუნების კვალი. სასწაული იყო, თითქმის ერთი კვირა გავიდა და ენის ჯერ ვერაფერი შეემჩნია, მაგრამ ხვალ ან შეიძლება დღეს საღამოს, როდესაც ოთახის დასალაგებლად მტვერსასრუტს ჩართავდა, აუცილებლად შენიშნავდა.

აღელვებულმა პოლმა იმ დღეს ბევრი ვერაფერი დაწერა.

8

მეორე დღეს დილით პოლი საწოლში იჯდა, ბალიშებსმიყრდნობილი ყავას სვამდა და კარის ჩარჩოს ორივე გვერდზე დარჩენილ შავ ლაქებს დამნაშავის თვალით დაჰყურებდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მკვლელს, რომელიც ესესაა წააწყდა სისხლიან ტანსაცმელს, რომლის თავიდან მოშორება დაავიწყდა. უცებ ოთახში თვალებგადმოკარკლული ენი შემოიჭრა. ცალ ხელში მტვრის გადასაწმენდი ჩვარი ეჭირა, მეორეში კი, დაუჯერებელი იყო, ხელბორკილი.

- რა... - სხვა ვერაფრის თქმა მოასწრო პოლმა. ქალმა პოლს ზურგში ხელი ჰკრა. ბალიშებსმიყრდნობილი კაცი წინ გადაქანდა. მოულოდნელი მოძრაობის გამო ტკივილი ფეხებში მთელი ძალით ეძგერა და პოლმა წამოიყვირა. ყავის ფინჯანი ხელიდან გაუვარდა, იატაკზე დაეცა და გატყდა. „აქ რაღაცები ისევ ტყდება“, - გაიფიქრა პოლმა. - „ალბათ შავი ლაქები კარგა ხანია შეამჩნია“, - მას ქალის უცნაური ქცევა მხოლოდ ასე შეეძლო აეხსნა. ენიმ ალბათ ლაქები დაინახა და ახლა ახალი მეთოდით სჯიდა.

- მოკეტე, სულელო, - კბილებში გამოსცრა ქალმა. პოლს ხელები უკან გადაუგრიხა და ხელბორკილი დაადო. კაცმა ხელბორკილის ჩხაკუნთან ერთად მანქანის ხმაც გაიგო. მანქანამ სახლისკენ გადმოუხვია.

პოლმა რაღაცის სათქმელად ან შეიძლება საყვირლად პირი გააღო, მაგრამ ქალმა ჩვარი მაშინვე პირში ჩასჩარა. ჩვარს ავეჯის საწმენდი სითხის საზიზღარი გემო ჰქონდა.

- ხმა არ ამოიღო, - უთხრა ენიმ და პოლისკენ დაიხარა. ქალის თმამ პოლს შუბლსა და ლოყებზე შეუღიტინა. - გაფრთხილებ, იცოდე, პოლ, თუ ვინმე რამეს გაიგებს, ან მე გავიგებ და ვიფიქრებ, რომ ხმას აქ მოსულიც გაიგებდა, ჯერ მას მოვკლავ, მერე შენ და თავსაც მოვიკლავ.

ქალი წელში გაიმართა. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. სახეზე ოფლი გამოსვლოდა და ტუჩებზე კვერცხის გული ჰქონდა შერჩენილი.

- გახსოვდეს, პოლ, - დაუბარა ქალმა. პოლმა თავი დაუქნია, მაგრამ ენის არ დაუნახავს - ოთახიდან შურდულივით გავარდა.

ძველი, მაგრამ კარგად შენახული „შევროლე“ ენის მანქანის უკან გაჩერდა. პოლმა გაიგო, სასტუმრო ოთახში კარი როგორ გაიღო და მერე ჭრიალით მიიხურა. კაცი მიხვდა, კარადის კარის ხმა იქნებოდა. ენის ალბათ გარეთ გასასვლელი ტანსაცმელი იქ ჰქონდა ჩამოკიდებული.

კაცი, რომელიც მანქანიდან გადმოვიდა, საკმაოდ მოხუცი, მაგრამ თავის მანქანასავით კარგად შენახული იყო. ტიპური კოლორადოელის შესახედაობა ჰქონდა. სამოცდახუთი წლისას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში შეიძლება ოთხმოცისაც იყო. შესაძლოა, იურიდიულ ფირმაში მაღალი თანამდებობა ეკავა ან სამშენებლო კომპანიის კონსულტანტი იყო. მაგრამ უფრო რანჩოს მეპატრონეს ან უძრავი ქონების აგენტს ჰგავდა. შეიძლება რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო, რომელსაც კარგი ცხოვრება უნდა ჰყვარებოდა. შეიძლება ქალაქში თანამდებობის პირი იყო, რომელიც რაღაც საქმეზე მოვიდა, რადგან მხოლოდ თანამდებობის პირი შეიძლება მოსულიყო ისეთ განდეგილ ქალთან, როგორიც ენი უილკსია.

პოლი ფანჯრიდან უყურებდა, როგორი აჩქარებული ნაბიჯით მიეშურებოდა ენი სტუმრისაკენ. შესაგებებლად კი არ მიდიოდა, არამედ მის შესაკავებლად. პოლმა გაიფიქრა, ნამდვილად ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება და არა პოლიციელიო. მისმა აქ მოსვლამ შეიძლება სიცოცხლე შემიმოკლოსო.

„შემოიპატიჟე, ენი, რატომ არ ეპატიჟები?“ - გაიფიქრა პოლმა და შეეცადა, პირში ჩაჩრილ ჩვარს არ დაეხრჩო. „შემოიპატიჟე და შენი აფრიკული ჩიტი აჩვენე“.

ენი მისტერ ბიზნესმენს სახლში შემოუძღვებოდა, როგორ არა, პოლს კი სტეპლტონის საერთაშორისო აეროპორტში წაიყვანდა და ნიუიორკში გასამგზავრებელ პირველი კლასის ბილეთს ხელში ჩაუდებდა, სწორედ ამ ჭკუაზე იყო.

სანამ მიუახლოვდებოდა, ენიმ მოსულს შორიდან დაუწყო ლაპარაკი. ორთქლი, რომელიც ქალს პირიდან გამოსდიოდა, პოლის წარმოსახვით, კარიკატურულ ესკიზებზე პერსონაჟების პირთან მიხატულ ღრუბელს ჰგავდა. მაგრამ ღრუბელში სიტყვები არ ეწერა. სტუმარმა ენის შავი ტყავის ხელთათმანიანი ხელი გაუწოდა. ქალმა ზიზღით დახედა და კაცის სახესთან თითის ქნევას მოჰყვა. პირიდან კი უფრო მეტ ცარიელ თეთრ ღრუბლებს უშვებდა. მერე პალტოს შესაკრავად „ელვას“ დაუწყო ჯაჯგური და, როგორც იქნა, შეიკრა.

კაცმა გარეთა ჯიბეში ჩაიყო ხელი, რაღაც ქაღალდი ამოიღო და ენის ისე გაუწოდა, თითქოს ბოდიშს უხდიდა. პოლმა თუმცა არ იცოდა, რა ეწერა იმ ქაღალდზე, მაგრამ დარწმუნებული იყო, ენი იტყოდა, ოხრობაააო.

ენიმ სტუმარი ნელნელა მანქანისაკენ წაიყვანა. ისინი ჯერ ისევ საუბრობდნენ, მალე თვალს მიეფარნენ. პოლი თოვლზე მათ ჩრდილებს ხედავდა მხოლოდ. ეს ენიმ განგებ გააკეთა. თუ პოლი მათ ვერ დაინახავდა, ვერც სტუმარი შემოიხედავდა პოლის ფანჯარაში.

ჩრდილები დაახლოებით ხუთ წუთს ჩანდნენ დნობაშეპარულ, თოვლიან ბილიკზე. პოლმა ერთხელ კიდევ გაიგო ენის ყვირილის ხმა. ის ხუთი წუთი პოლს საუკუნედ მოეჩვენა. მხრები ასტკივდა. საწოლის თავზე ხელბორკილით იყო მიბმული და განძრევა არ შეეძლო. მაგრამ პირშიჩაჩრილი ჩვარი უარესი იყო. ავეჯის საპრიალებელი სითხის სუნმა თავი აატკივა. გული ერეოდა, მაგრამ ღებინებისგან თავს იკავებდა, რომ არ დამხრჩვალიყო. ენი კი თანამდებობის პირთან ჩხუბს აგრძელებდა.

პოლს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. მერე ისინი ისევ დაინახა. ახლა ენის ეჭირა ქაღალდის ფურცელი. ის კაცს უკან მიყვებოდა და თითს უქნევდა. პირიდან ისევ ცარიელი, უსიტყვო ღრუბლები გამოსდიოდა. კაცს უკან არ მოუხედავს. აუღელვებელი სახე ჰქონდა. ტუჩები ისე მაგრად მოეკუმა, რომ ზოლივით უჩანდა. ალბათ შინაგანად დუღდა. გაბრაზებული იქნებოდა? არა, უფრო ქალის ზიზღი და სიძულვილი ექნებოდა გულში დაგუბებული. ჰო, ალბათ ასე იყო.

სერ, თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ქალი გიჟია. შესაძლოა მეგობრებმა კენჭი ჰყარეთ, ვის მოეტანა ქაღალდის ფურცელი, რადგან არავის უყვარს გიჟთან ცუდი ამბის მიტანა. მაგრამ მისტერ დიდებული რანჩოს მეპატრონევ, რომ იცოდეთ, ქალი სინამდვილეში როგორი გიჟია,ზურგს არავითარ შემთხვევაში არ შეაქცევდით.

კაცი მანქანაში ჩაჯდა და კარი მიიხურა. ენი მანქანასთან იდგა და ფანჯრის აწეულ შუშას თითს უქნევდა. პოლმა ქალის ხმა ყრუდ, შორიდან გაიგო: „...თავი ძალიან ჭკვიანი გგონიათ!“

„შევროლე“ უკუსვლით ნელნელა გზისკენ დაეშვა. მისტერ დიდებული რანჩოს მეპატრონე მოჩვენებით გულგრილობას იჩენდა. მას ენისკენ, რომელსაც სიბრაზისაგან კბილები დაეკრიჭა, ერთხელაც არ გაუხედავს.

ქალის ხმა უფრო ხმამაღლა გაისმა: „შენ გგონია, დიდი ვინმე ხარ!“

ენიმ მანქანის წინა ბამპერს წიხლი ისე ენერგიულად ჰკრა, რომ ბორბლების ზევით, მანქანის კორპუსზე შერჩენილი თოვლი ძირს ჩამოიყარა.

ამ დროს კაცი მარჯვენა მხრიდან უკანა გზას უყურებდა. ის შეკრთა და პირველად ამ ხნის მანძილზე მოთმინებადაკარგულმა ენის თვალი შეავლო.

- იცი, რას გეტყვი, ჩათლახო, დრო მოვა და თქვენც დაგერხევათ! არა? ჰა?

მაგრამ კაცმა სახეზე ისევ გულგრილობის ნიღაბი ჩამოიფარა და ქალი შეხედვის ღირსადაც არ მიიჩნია. მანქანა მალე თვალს მიეფარა.

მომუშტული ხელებით დოინჯშემოყრილი ენი რამდენიმე ხანს გარეთ იდგა, მერე სახლისკენ წამოვიდა. პოლმა გაიგო, სამზარეულოს კარი გაიღო და ბრახუნით დაიხურა.

„აი, წავიდა მისტერ დიდებული რანჩოს მეპატრონე. მე კი ჯერ ისევ აქა ვარ“, - გაიფიქრა პოლმა.

9

ენის ამჯერად ჯავრი პოლზე არ ამოუყრია. ქალი ოთახში შემოვიდა. პალტო ჯერ ისევ ეცვა, მხოლოდ ელვაშესაკრავი გაეხსნა. ქალი ოთახში ბოლთას სცემდა, პოლისკენ არც იყურებოდა. ქაღალდი ისევ ხელში ეჭირა. ცხვირწინ ისე იფრიალებდა, თითქოს თვითდასჯის რიტუალს ასრულებდა.

თქვა, ათი პროცენტით გაიზარდა გადასახადებიო, დავალიანება და გირაო, ადვოკატებიო, კვარტლური გადასახადები და დაგვიანებაო. ჯანდაბა მაგათ თავს!

პოლმა რაღაც ბგერები ყრუდ წამოისროლა, მაგრამ ენი მას ყურადღებას არ აქცევდა. საკუთარი თავის გარდა, არავინ ახსოვდა. ბოლთას სცემდა და ოთახში ჰაერს თავისი დიდი ტანით შუაზე აპობდა. პოლმა გაიფიქრა, ალბათ ქაღალდის ფურცელს ნაკუწებად აქცევსო, მაგრამ ქალმა ქაღალდის დახევა ვერ გაბედა.

- ხუთას ექვსი დოლარი, - წამოიყვირა ქალმა და ფურცელი პოლს ცხვირთან ხმალივით აუქნია. მერე ჩვარს ხელი გაუაზრებლად დაავლო, კაცს პირიდან ამოაცალა და იატაკზე დააგდო. პოლმა თავი ცალ მხარეს ჩაჰკიდა და ხველა აუტყდა. მკლავები ისე ჰქონდა დაჭიმული, ლამის მოწყვეტოდა.

- ხუთას ექვსი დოლარი და ჩვიდმეტი ცენტი! მე მათ ვუთხარი, აქ არავინ ვნახო მეთქი. არ ვუთხარი? აი, შეხედე! შეხედე!

პოლმა ისევ დაახველა და სასოწარკვეთილმა ამოაბოყინა.

- თუ ამოაღებინებ, ნარწყევში წოლა მოგიწევს. შენთვის არ მცალია. რაო, რა თქვა? ქონების დაყადაღებაო? ეს რას ნიშნავს?

- ხელბორკილი... - დაგუდულად, ყელში თქვა პოლმა.

- ჰო, კარგი, კარგი, - მიუგო მოთმინებადაკარგულმა ქალმა. - ზოგჯერ პატარა ბავშვივით სულსწრაფი ხარ. მან ჯიბიდან გასაღები ამოიღო და პოლს ზურგში საკმაოდ ძლიერად უბიძგა. საბრალო პოლი წინ გადაიხარა და ცხვირით ზეწარს შეეხო. ტკივილი-

საგან ყვირილი აღმოხდა, მაგრამ ენის ყურადღება არ მიუქცევია. გაისმა ჩხაკუნი, ტკაცუნი და პოლს ხელები გაუთავისუფლდა. კაცი გაიმართა, მძიმედ სუნთქავდა და დაღლილი ბალიშებს მიესვენა. მერე ფეხები ფრთხილად წინ გასწია, ნელნელა ბალიშებიდან ქვევით ჩაცურდა და დაწვა. პოლის გამხდარსა და წვრილ მაჯებზე ხელბორკილს ღია ფერის კვალი დაეტოვებინა, რომელიც მალე გაწითლდა.

ენიმ ხელბორკილი ისე ჩაიდო ჯიბეში, თითქოს ამ საგანს ყველა წესიერ ოჯახში ნახავდი, თითქოს ხელბორკილი კი არა, ერთჯერადი ცხვირსახოცების კოლოფი ან პალტოს საკიდი იყო.

- დაყადაღება რას ნიშნავს? - იკითხა ქალმა. - ანუ შეუძლიათ, ჩემი სახლი მიისაკუთრონ? დაყადაღება ამას ნიშნავს?

- არა, - უთხრა პოლმა. - დაყადაღება ნიშნავს... - კაცმა ყელი ჩაიწმინდა. მტვრის ნაწილაკები კვლავ ყელში ჰქონდა ჩარჩენილი და აწუხებდა. მერე დაახველა. ენი იდგა და მოთმინებადაკარგული ელოდებოდა პოლის ხმის ამოღებას.

- დაყადაღება იმას ნიშნავს, რომ სახლს უბრალოდ ვერ გაყიდი, - თქვა ცოტა ხნის შემდეგ კაცმა.

- უბრალოდ? უბრალოდ? რა ადვილად ამბობთ, მისტერ პოლ შელდონ. მაგრამ ჩემისთანა ხელმოკლე ქვრივის წუხილი თქვენისთანა მდიდარი და ჭკვიანი ბატონისათვის არაფერს ნიშნავს.

- პირიქით. შენი წუხილი ჩემი წუხილია, ენი. მხოლოდ იმის თქმა

მინდოდა, რომ ქონების დაყადაღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რასაც ადამიანს უპირებენ, თუ ვალები აქვს. გაქვს ვალები, ენი?

- ვალები? გადასახადების დავალიანება?

- ჰო.

- არაფრისმქონე, ზარმაცი ირლანდიელი კი არ ვარ, - ზედა ტუჩი აიბზუა და კბილები გამოაჩინა ენიმ. - გადასახადებს ვიხდი. ესესაა... ამჯერად...

„ამჯერად დაგავიწყდა, არა?“ - გაიფიქრა პოლმა. „ისევე დაგავიწყდა, როგორც ამ წყეული კალენდრის თებერვლის გვერდის გადაფურცვლა. მაგრამ კვარტლური გადასახადის გადაუხდელობა და დავიწყება გაცილებით სერიოზული საქმეა, ვიდრე კალენდრის გვერდის შეცვლა. ახლა აღელვებული ხარ, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი რამ პირველად დაგავიწყდა. ეს იმას ნიშნავს, ენი, რომ შენი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ასე არ არის? ფსიქიურად დაავადებულ ადამიანს შეიძლება კონფლიქტი მოუვიდეს საზოგადოებასთან და ზოგჯერ, ვფიქრობ, ეს შენც იცი, შესაძლოა წყლიდან მშრალი ამოვიდეს კიდეც, მაგრამ მართვადსა და უმართავ ფსიქოზს შორის ზღვარი არსებობს. ვფიქრობ, შენ ამ ზღვარს თანდათან უახლოვდები... ეს ალბათ შენც გაქვს გაცნობიერებული“.

- ჯერ, უბრალოდ, ამისთვის ვერ მოვიცალე, - თქვა ენიმ პირქუშად. - შენ გამო ისეთი მოუცლელი ვარ, ციბრუტივით ტრიალი მიწევს.

პოლს თავში მშვენიერი აზრი მოუვიდა, რომელიც უსაზღვრო შესაძლებლობებს აძლევდა.

- ვიცი, - აღიარა პოლმა გულახდილად. - შენგან დავალებული ვარ. მესმის, მძიმე ტვირთად გაწევარ. ოთხასი დოლარი მიდევს საფულეში. აიღე და ვალი იმ ფულით გადაიხადე.

- ო, პოლ, - წამოიძახა ენიმ. დაბნეული და ნასიამოვნები მიაჩერდა პოლს. - არ შემიძლია შენი ფულის აღება.

- ის ჩემი ფული არ არის, -გაუღიმა პოლმა თავისი მომხიბლავი ღიმილით. თავისთვის კი გაიფიქრა: იცი, ენი, ყველაზე მეტად მინდა გარინდება გეწვიოს და გაითიშო. მე კი ამ დროს შენს ერთერთ დანას დაგარჭობ. მგონი, მეყოფა ამის ძალა და სანამ შენ

გონს მოხვალ, ჯოჯოხეთში იქნები უკვე, კუპრში ჩახარშული. - ის ფული შენია. ჩათვალე, რომ გაწეული სამსახურისათვის გადახდილი გასამრჯელოა, - პოლი ცოტა ხანს გაჩუმდა. მერე კარგად გათვლილი სვლა გააკეთა: - შენ რომ არა, მკვდარი ვიქნებოდი. გგონია, არ მესმის?

- პოლ... არ ვიცი...

- სერიოზულად გეუბნები, - უთხრა პოლმა გულწრფელი ღიმილით (ყოველ შემთხვევაში, იმედოვნებდა, რომ გულწრფელობა დამაჯერებელი იქნებოდა). - შენ არა მარტო ჩემი სიცოცხლე გადაარჩინე, არამედ ერთბაშად ორი სიცოცხლე იხსენი. შენ რომ არა, ალბათ მიზერი ისევ საფლავში იწვებოდა.

ქალს თვალები გაუბრწყინდა. ხელში შერჩენილი ქაღალდი სულ გადაავიწყდა.

- შენ დამანახე ჩემი შეცდომები და ჭეშმარიტების გზაზე დამაყენე, - განაგრძო პოლმა. - ოთხას დოლარზე გაცილებით მეტი მმართებს და თუ ამ ფულს არ აიღებ, ცუდად გავხდები.

- კეთილი, მე... კარგი. მე... მადლობა. - მადლობა მე უნდა გადაგიხადო. შეიძლება ვნახო ეგ ფურცელი?

ენიმ უპრობლემოდ გაუწოდა. დაგვიანებული გადასახადის შესახებ შეტყობინება აღმოჩნდა, გადაუხდელობის შემთხვევაში ოფიციალურად იტყობინებოდნენ ქონების დაყადაღების შესახებ. პოლმა ყურადღებით გადაიკითხა და უკან დაუბრუნა.

- ენი, ბანკში ფული გაქვს? - ჰკითხა პოლმა.

ქალმა პოლს თვალი აარიდა.

- პატარა დანაზოგი მაქვს, მაგრამ ბანკში არა. ბანკებს არ ვენდობი.

- ფურცელში წერია, რომ მათ შეუძლიათ, შენს ქონებას ყადაღა დაადონ თუ 25 მარტამდე არ გადაიხდი გადასახადს. რა რიცხვია დღეს?

შუბლშეკრულმა ქალმა კალენდარს შეხედა.

- ღმერთო, ეს სწორი არ არის, - თქვა ენიმ.

მან კალენდარი ჩამოხსნა და ციგიანი ბიჭი გაუჩინარდა. პოლს ცოტა გული დაწყდა. კალენდრის მომდევნო გვერდზე დათოვლილ ნაპირებს შორის მორაკრაკე ნაკადული იყო აღბეჭდილი. ქალი ახლომხედველი ადამიანის თვალით მიაჩერდა კალენდარს და თქვა:

- დღეს 25 მარტია.

„ღმერთო, რა დრო გასულა, რა დრო გასულა“, - გაიფიქრა პოლმა.

- ის კაცი ამიტომაც მოვიდა, - უთხრა პოლმა. თავისთვის კი გაიფიქრა: „ენი, მას ხომ არ უთქვამს, შენს ქონებას ყადაღა ადევსო. მან თქვა, თუ ვალს ქალაქში დაწესებულებების დაკეტვამდე არ გადაიხდი, ქონებას დაგიყადაღებთო. თუ ხვდები, იმ კაცმა გაგაფრთხილა და სიკეთე გაგიკეთა“. - მაგრამ თუ იმ ხუთას ექვს დოლარს...

- და ჩვიდმეტ ცენტს, - შეაწყვეტინა გაბრაზებულმა ქალმა. - არ დაგავიწყდეს ეს ოხერი ჩვიდმეტი ცენტი.

- კარგი, ხუთას ექვს დოლარსა და ჩვიდმეტ ცენტს თუ დღეს დაწესებულებების დაკეტვამდე გადაიხდი, არავითარი ყადაღა არ გელოდება. თუ ქალაქში ხალხი შენ მიმართ ისეა განწყობილი, როგორც შენ ამბობ...

- მათ მე ვძულვართ. ყველა ჩემს წინააღმდეგ არის, პოლ!

- მაშინ გადასახადების გადაუხდელობა მათთვის ერთერთი საშუალებაა, რომ აქედან გაგასახლონ. ძალიან უცნაურია, ადამიანს, რომელსაც კვარტლური გადასახადი არ აქვს გადახდილი, ქონება დაუყადაღონ. ამ ამბავს ცუდი სუნი უდის. თუ ორჯერ ზედიზედ არ გადაიხდი კვარტლურ გადასახადს, შეუძლიათ სახლი წაგართვან და აუქციონზე გაიტანონ გასაყიდად. სულელური აზრია, მაგრამ ვფიქრობ, ეს მათი უფლებაა, კანონი იმათ მხარეზეა.

ენიმ ყეფის მსგავსი სიცილით გაიცინა.

- ერთი ვინმემ გამიბედოს, - თქვა ქალმა, - ნაწლავებს დავაყრევინებ. ჰო, ზუსტად ასე მოვიქცევი!

- საბოლოოდ ნაწლავებს შენ დაგაყრევინებენ, ენი, - უთხრა პოლმა მშვიდად. - მაგრამ საქმე ეს არ არის.

- აბა, რა არის?

- ენი, საიდუინდერში ალბათ არის ხალხი, ვისაც ორი სამი წელია გადასახადები არ გადაუხდია. მათ გამოსახლებას და მათი სახლების აუქციონზე გატანას არავინ აპირებს. დიდი, დიდი, შეიძლება ურჩ გადამხდელებს წყალი გადაუკეტონ. ავიღოთ როიდმანები, მაგალითად, - პოლმა გამჭოლი მზერა მიაპყრო ქალს. - დარწმუნებული ხარ, რომ ისინი გადასახადებს დროულად იხდიან?

- ის დამპლები? - თითქმის იყვირა ქალმა.

- მგონი, მათ შენი აქედან გასახლება უნდათ, - უთხრა პოლმა. კაცი სინამდვილეშიც ასე ფიქრობდა.

- არსადაც არ წავალ, - თქვა ქალმა. - მაგათ ჯიბრზე არ წავალ. აქ დავრჩები და როიდმანებს ყელში ძვალივით გავეჩხირები.

- გაქვს ას ექვსი დოლარი, ჩემი საფულედან ამოღებულ ოთხას დოლარს რომ დაუმატო? - ჰკითხა პოლმა.

- კი, მაქვს, - მიუგო ქალმა.

- ჰოდა, ძალიანაც კარგი. დღესვე გადაიხადე ეგ ოხერი გადასახადი, - უთხრა პოლმა. გულში კი გაიფიქრა: „სანამ წასული იქნები, შეიძლება რამე მოვუხერხო ამ წყეულ ლაქებს. მერე კი იმაზე ვიფიქრებ, როგორ დავაღწიო აქაურობას თავი. შენმა სტუმართმოყვარეობამ, ცოტა არ იყოს, დამღალა, ენი“.

პოლმა გაღიმებაც კი მოახერხა.

- მგონი, მაგიდის უჯრაში ჩვიდმეტი ცენტი უნდა იდოს, - უთხრა პოლმა.

10

ენი უილკსს წესიერება თავისებურად ესმოდა. ქალს თავისი კანონები ჰქონდა: შეეძლო, პოლი იძულებული გაეხადა, იატაკის საწმენდი ვედროდან ჭუჭყიანი წყალი დაელია. შეეძლო, პოლისთვის წამალი არ მიეცა, როდესაც კაცი ტკივილისაგან იტანჯებოდა. პოლს „სწრაფი მანქანების“ ერთადერთი ეგზემპლარი დააწვევინა. ხელებზე ბორკილი დაადო. პირში მტვრიანი ჩვარი ჩასჩარა. მაგრამ პოლის საფულედან ფულს არავითარ შემთხვევაში არ აიღებდა. ენიმ ძველი ტყავის საფულე, რომელიც პოლს კოლეჯში სწავლის დროიდან ჰქონდა შემორჩენილი, მოუტანა და ხელში ჩაუდო.

საფულეში პოლის პირადობის მოწმობა არ იყო. ამის გამო ქალს სინდისის ქენჯნა არ უგრძვნია. არც პოლს უკითხავს რამე, რადგან ახლა კითხვების დასმა არ იქნებოდა ჭკვიანური.

პირადობის მოწმობა დაიკარგა, მაგრამ ფული ადგილზე იყო - ახალი და ტკიცინა, ძირითადად, ორმოცდაათდოლარიანი ბანკნოტები. პოლმა გასაოცარი და, ამავე დროს, შიშისმომგვრელი სიცხადით დაინახა, როგორ მიუახლოვდა მისი „კამარო“ ბოულდერის ბანკის შენობას. ეს „სწრაფი მანქანების“ დასრულების წინა დღეს მოხდა. პოლმა მოლარეს ოთხას ორმოცდაათი დოლარის ხელმოწერილი ჩეკი გაუწოდა. მაშინდელი პოლ შელდონი თავისუფალი და ჯანმრთელი კაცი იყო. თავს კარგად გრძნობდა. მაგრამ ჭკუა არ ჰქონდა, რომ ყოველივე ეს დაეფასებინა. კაცმა მოლარეს თვალი შეავლო. მაღალ, ქერა ქალს იისფერი კაბა ეცვა, რომელიც ლამაზ, მრგვალ ფორმებს კარგად უჩენდა. ქალმაც საპასუხო მზერა შეაგება პოლს...

ახლა რომ შეხვედროდა ქალი ამ პოლ შელდონს, ნეტავ რას იფიქრებდა? კაცს, რომელიც ადრინდელზე ორმოცი ფუნტით გამ-

ხდარი, ათი წლით დაბერებული და საშინლად ფეხებმოკაკვული იყო.

- პოლ? - დაუძახა ენიმ.

პოლმა ქალს ახედა. ცალ ხელში ფული ეჭირა. საფულეში სულ ოთხას ოცი დოლარი იდო. ქალი პოლს დედობრივი და ნაზი გამომეტყველებით უყურებდა. პოლი ამ გამომეტყველებამ დააბნია, რადგან მის მიღმა პირღია, შავი უფსკრული ჩანდა.

- პოლ, ტირი? პოლმა ხელი ლოყაზე მოისვა და სისველე იგრძნო. ქალს ფული მიაწოდა და გაუღიმა.

- ჰო, ვტირი, - მიუგო კაცმა. - ვფიქრობდი, რა სიკეთეს იჩენ ჩემ მიმართ. მგონი, ბევრი ვერ გამიგებს... მაგრამ მე ხომ ვიცი.

ქალს თვალები აუციმციმდა, დაიხარა და კაცს ტუჩებზე ნაზად აკოცა. პოლმა ქალის სუნთქვაში მჟავე სუნი იგრძნო, მყრალი თევზის სუნს მიამსგავსა. ათასჯერ უფრო საშინელი იყო, ვიდრე პირშიჩაჩრილი ჩვრის სუნი და გემო. ამ მჟავე სუნმა გაახსენა (ისუნთქე, ღმერთმა შეგაჩვენოს, ისუნთქე!), როგორ გადადიოდა კაცის ყელში ჯოჯოხეთიდან მონაბერი ბინძური ქარი. კაცს მუცელი მტკივნეულად შეეკუმშა, მაგრამ მაინც გაუღიმა ენის.

- მიყვარხარ, ძვირფასო, - თქვა ქალმა.

- თუ შეიძლება, ეტლში ჩამსვი. მინდა, ვიმუშაო.

- რა თქმა უნდა, - უთხრა ქალმა და ხელი მოხვია. - რა თქმა უნდა, ძვირფასო.

11

ნაზი გრძნობების მიუხედავად, პოლის ოთახი ენიმ მაინც ჩაკეტა, მაგრამ ეს პრობლემას აღარ წარმოადგენდა. კაცს ტკივილი უკვე ძველებურად აღარ ტანჯავდა და ორგანიზმიც წამალს გაგიჟებით აღარ სთხოვდა. მან ბეჯითი ციყვივით, რომელიც ზამთრისთვის თხილს აგროვებს, სხვადასხვა დროს ქალის ოთხი ცალი თმის სარჭი იპოვა და ლეიბის ქვეშ, აბების გვერდით შეინახა.

პოლმა თავისი ეტლი საწოლისაკენ გააგორა, როდესაც დარწმუნდა, რომ ენი ნამდვილად წავიდა და სადმე სახლში ჩასაფრებული არ იყო, რომ კაცი „ცელქაობაში“ გამოეჭირა („ცელქაობა“ ახალი უილკსიზმი იყო ენის ლექსიკონიდან), პოლმა თმის სარჭები გამოიღო. წყლის დოქი და კლინექსის ფირმის ერთჯერადი ცხვირსახოცების კოლოფი მოიმარჯვა, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო. ეტლის ტარება საბეჭდ მანქანასთან ერთად, რომელიც წინ ფიცარზე ედო, არც ისე ძნელი იყო, რადგან კაცს მკლავებში ადრინდელზე გაცილებით მეტი ძალა ჰქონდა. ენი უილკსი გაოცდებოდა, რომ გაეგო, პოლს ახლა რამდენად ძლიერი მკლავები ჰქონდა. კაცი იმედოვნებდა, რომ ის დღეც დადგებოდა, როდესაც ქალი ამას გაიგებდა.

„როიალი“ ცუდი საბეჭდი მანქანა იყო, მაგრამ ძალიან კარგი სავარჯიშო ხელსაწყო გახლდათ. პოლმა ვარჯიში საბეჭდი მანქანის აწევით დაიწყო, როდესაც ეტლში იჯდა და წერდა, ხოლო ენი ოთახში არ იყო. პირველ ხანებში საბეჭდ მანქანას დაახლოებით ექვსი დუიმის სიმაღლეზე მხოლოდ ხუთჯერ, ახლა კი შეუსვენებლად თვრამეტჯერ ან ოცჯერ სწევდა. ცუდი შედეგი ნამდვილად არ იყო, მაშინ როდესაც ამ ოხერი საბეჭდი მანქანის წონა სულ ცოტა ორმოცდაათი ფუნტი მაინც იქნებოდა.

პოლმა საკეტს ჩხიკინი ერთი თმის სარჭით დაუწყო, დანარჩენი ორი კი ტუჩებით ეჭირა, როგორც ზოგჯერ მკერავ ქალს კაბის

მიზომების დროს ქინძისთავები უჭირავს ხოლმე. პოლს ეგონა, რომ ადრე საკეტში ჩარჩენილი თმის სარჭის ნატეხი ხელს შეუშლიდა, მაგრამ საკეტის ენა ადვილად გასწია. „ქალმა კარი გარედან ურდულით ხომ არ ჩაკეტაო“, - გაიფიქრა პოლმა. კაცი, როგორც შეეძლო, ცდილობდა, რომ ენის ის უფრო სუსტი და ავადმყოფი ჰგონებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. „მაგრამ პარანოიით შეპყრობილ ადამიანს რას გაუგებ, მას ხომ უსაზღვრო ეჭვიანობა ახასიათებს“, - ფიქრობდა პოლი. ამასობაში კარიც გაიღო.

პოლი ნერვიულობდა, უნდოდა ლაქები სწრაფად გაეწმინდა. მიაყურადა, „ბებერი ბესის“ ხმა ხომ არ ისმისო, თუმცა მხოლოდ ქალის გასვლიდან ორმოცდახუთი წუთი იქნებოდა გასული. პოლმა ხელსახოცი წყლით დაასველა, მერე მოუხერხებლად დაიხარა, კბილზე კბილის დაჭერით ტკივილი მოითმინა და კარის მარჯვენა მხარეს შავი ლაქის წმენდას შეუდგა.

ლაქა თანდათან გაუფერულდა და პოლმა შვებით ამოისუნთქა. თურმე სერიოზული არაფერი ყოფილა, კარის ჩარჩო ოდნავ იყო დასვრილი.

პოლმა ცოტა უკან დაიხია, ეტლი მოაბრუნა და ახლა კარის მარცხენა მხარეს, მეორე ლაქის წმენდას შეუდგა. კაცს ძალღონე არ დაუზოგავს, ყველაფერი გააკეთა, მერე ისევ უკან დაიხია და კარს შეხედა. ცდილობდა, ლაქებისათვის ენის ყურადღებიანი და ეჭვიანი თვალით შეეხედა. ლაქები კარის ჩარჩოს მკრთალად მაინც ეტყობოდა, მაგრამ უფერული და თითქმის შეუმჩნეველი იყო. ყველაფერი რიგზეა, - გაიფიქრა პოლმა. ყოველ შემთხვევაში, იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

„ტორნადო ახლოვდება“, - თქვა მან, ტუჩები გაილოკა და მშრალად ჩაიცინა. „მეგობრებო, მეზობლებო, თავშესაფრისკენ გასწით“.

პოლმა ღია კარიდან დერეფანში გაიხედა, მაგრამ გაწმენდილი ლაქების შემდეგ დერეფანში გასვლა აღარ გარისკა. დღეს არ ღირდა. სხვა დროისთვის გადადო. პოლი აუცილებლად იგრძნობდა იმ დღის დადგომას.

ახლა კი მხოლოდ და მხოლოდ წერა უნდოდა.

მან კარი დაკეტა. მოეჩვენა, რომ საკეტმა საკმაოდ ხმამაღლა გაიჩხაკუნა.

აფრიკა.

ის აფრიკული ჩიტი.

იმ ჩიტის გამო ნუ იტირებ, პოლ, რადგან მას საერთოდ დაავიწყდა, რა სურნელება აქვს აფრიკულ უდაბნოს ნაშუადღევს, პაპანაქება სიცხეში. როგორი ხმა ისმის, როდესაც ანტილოპები გუბეებიდან წყალს ხვრეპენ და ტყეში, დიდი გზის ჩრდილოეთ მხარეს, იეკაიეკას ხეები როგორ მომჟავო სუნს გამოსცემენ. მას ისიც დაავიწყდა, როგორ ჩადის ღია ალუბლისფერი მზე კილიმანჯაროს მთის მიღმა. ცოტა ხანში მხოლოდ ბოსტონის ნაცრისფერი ცა ეცოდინება და არც მოუნდება, სხვა რამის გახსენება. არც უკან დაბრუნება ენდომება. თუ ვინმე მას უკან, სამშობლოში, წაიყვანს და თავისუფლად გაუშვებს, ის, შეშინებული, გატანჯული და ნოსტალგიის გრძნობით შეპყრობილი, არსად გაფრინდება. იჯდება საცოდავად ერთ ადგილზე, სანამ ვინმე არ მოვა და არ მოკლავს.

„ოჰ, აფრიკა, აფრიკა“, - თქვა პოლმა მთრთოლვარე ხმით.

კაცი კარს მოცილდა და სანაგვე ყუთისკენ გაგორდა. სველი ხელსახოცები გადაყრილ ქაღალდებში შეჩურთა და ფანჯარასთან, თავის ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა. მერე ქაღალდი აიღო და საბეჭდ მანქანაში ჩადო.

როგორ ფიქრობ, პოლ, შენი მანქანის ბამპერი თოვლიდან აღარ გამოჩნდებოდა? იქნებ მზეზე ბრწყინავს და გამვლელს

ელოდება, რომ შეამჩნიონ. შენ კი ზიხარ აქ და შენს ბოლო შანსს ხელიდან უშვებ.

კაცმა ეჭვით შეხედა საბეჭდ მანქანაში ჩადებულ ქაღალდის ფურცელს.

დღეს ვერაფერს დავწერ, ხასიათი გამიფუჭდა, - გაიფიქრა მან.

დღევანდელ დღემდე მისთვის შემოქმედებითი განწყობილება არაფერს გაუფუჭებია. მაგრამ მისი გაფუჭება შესაძლებელი იყო, ეს პოლმა კარგად იცოდა. ამბობდნენ, ის ნაზი და მყიფეაო, მაგრამ პოლი შემოქმედებით განწყობილებას ადვილად არ კარგავდა. შემოქმედება მისთვის იყო ოცნებების თავანკარა წყარო და არც სასმელს, არც ნარკოტიკს და არც ტკივილს მისი დაბინძურება არ შეეძლო. პოლი ისე დაეწაფა ამ წყაროს, რომელიც ქაღალდის ფურცელზე ჩქეფდა, როგორც მწყურვალი ცხოველი, რომელიც საღამოს ბინდბუნდში წყლის გუბეს იპოვის და დასალევად დაეწაფება.

ენი ექვსს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა მაშინ დაბრუნდა. პოლს ამ დროისათვის ხუთი გვერდი ჰქონდა უკვე დაწერილი.

12

მომდევნო სამი კვირის მანძილზე პოლ შელდონი გრძნობდა, რაღაც უცნაური მშვიდი ენერგიით იყო გარშემორტყმული. პირი უშრებოდა და ხმები ხმამაღლა ესმოდა. იყო დღეები, როდესაც ფიქრობდა, რომ შეეძლო, კოვზები მზერით გაეღუნა. სხვა დღეებში მხოლოდ ისტერიული ქვითინი უნდოდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეხორცების პროცესის გამო ფეხების ქავილს სიგიჟემდე მიჰყავდა, პოლი მუშაობას მაინც განაგრძობდა. საბეჭდი მანქანის გვერდით, მარჯვენა მხარეს ერთმანეთზე დაწყობილი დაბეჭდილი ქაღალდის ფურცლები სიმაღლეში იზრდებოდა და იზრდებოდა. ადრე პოლს დღეში მაქსიმუმ ოთხი გვერდის დაწერა შეეძლო. როდესაც „სწრაფ მანქანებზე“ მუშაობდა, დღეში სამ გვერდს წერდა. ბოლოს კი, როდესაც წიგნს ასრულებდა, კარგა ხნის მანძილზე მხოლოდ ორი გვერდი იყო მისი დღიური ნორმა. ენერგიით დამუხტული სამი კვირის განმავლობაში, რომელიც თხუთმეტ აპრილს დამთავრდა და ძლიერი, კოკისპირული წვიმაც წამოვიდა, პოლი დღეში საშუალოდ თორმეტ გვერდს წერდა - შვიდ გვერდს დილით და ხუთს - საღამოს. წინა ცხოვრებაში (ავარიამდელ პერიოდს პოლი ფიქრებში ასე მოიხსენიებდა ხოლმე) ვინმეს რომ ეთქვა, ამ ტემპით შეგიძლია მუშაობაო, კაცს ალბათ გაეცინებოდა. როდესაც წვიმა დაიწყო, პოლს ორას სამოცდაშვიდი გვერდი ჰქონდა დაწერილი. მართალია ეს „შავი“ ვარიანტი იყო, მაგრამ პოლმა გადაიკითხა და მოეწონა. არც ისე „შავია“, კარგადაა გამართულიო, გაიფიქრა მან.

ნაწილობრივ ასეთი ნაყოფიერების მიზეზი ის იყო, რომ საოცრად სწორად ცხოვრობდა. არავითარი ღამის ცხოვრება და ბარებში სიარული. გაუთავებელი ცეკვა გართობა, რომელსაც არანაკლებ უწესრიგო და აწეწილი დღეები მოსდევდა: ყავის და ფორთოხლის წვენის სმა, ვიტამინ ბ-ს ყლაპვა (ასეთ დროს საბეჭ-

დი მანქანისაკენ არც იყურებოდა), არც წინა ღამით გაცნობილ ქერა ან წითურთმიან ქალთან გაღვიძება, რომელიც ღამით დედოფალივით გამოიყურებოდა, ხოლო დილით ეშმაკს ჰგავდა. არც სიგარეტი, თუმცა ერთხელ ენის მორიდებულად თხოვა, მოვწევო, მაგრამ ქალმა ისეთი თვალით შეხედა, რომ პოლმა მაშინვე უთხრა, დაივიწყე, რაც გითხარიო. ნამდვილი მისტერ წმინდანი იყო. არავითარი მავნე ჩვევები, ყველაფერი წარსულში დარჩა. მის ცხოვრებაში მაცდუნებლების დრო დამთავრდა (ერთადერთი კოდეინის ყლაპვას ვერაფერი მოვუხერხეთ, არა, პოლ?). მე მსოფლიოში ერთადერთი ნარკომანი ბერი ვარო, გაიფიქრა მან ერთხელ. დილის შვიდ საათზე იღვიძებდა ხოლმე. დღე ორი კაფსულა „ნოვრილითა“ და წვენით იწყებოდა. რვა საათზე საწოლში საუზმობდა. სამჯერ კვირაში ერთი ცალი მოხარშული ან შემწვარი კვერცხი ჰქონდა, დანარჩენ ოთხ დღეს - წყალწყალა ბურღულის ფაფა. მერე ინვალიდის ეტლში ფანჯარასთან იჯდა და ფურცლებზე გაჭრილი გვირაბით მეცხრამეტე საუკუნეში გადადიოდა, როდესაც კაცები კაცები იყვნენ, ხოლო ქალებს კი ფაშფაშა ქვედაბოლოები ეცვათ. შემდეგ სადილი და თვალის მოტყუება ნასადილევს. მერე ისევ ადგომა და დილით დაწერილი ტექსტის რედაქტირება ან უბრალოდ რამის წაკითხვა. ენის ყველაფერი ჰქონდა, რაც სომერსეტ მოემს ოდესმე დაეწერა (პოლს უნდოდა ეკითხა, შემთხვევით თაროზე ჯონ ფაულზის პირველი რომანიც ხომ არ გიდევსო, მაგრამ მერე გადაიფიქრა). კაცი მოემის ოცტომეულის კითხვას შეუდგა. მოხიბლული იყო ამბის გადმოცემის მოემისეული ოსტატობით. წლებთან ერთად პოლი შეეგუა იმ აზრს, რომ მას წიგნების კითხვა უკვე ისე არ აღაფრთოვანებდა, როგორც ბავშვობაში. თავად მწერალს გონება გამუდმებული ანალიზით ჰქონდა დაკავებული. მაგრამ მოემმა ისევ ბავშვად აქცია და ეს უმშვენიერესი გრძნობა გახლდათ. საღამოს ხუთ საათზე ენის მსუბუქი ვახშამი მოჰქონდა, ხოლო შვიდზე შავთეთრი ტე-

ლევიზორისაკენ გაგორდებოდა და ისინი ტელე გადაცემას ერთად უყურებდნენ. გადაცემის დამთავრების შემდეგ პოლი ისევ წერას აგრძელებდა. მერე კი ნელა საწოლისაკენ მიგორავდა (უფრო სწრაფადაც შეეძლო, მაგრამ ეს ენის არ უნდა სცოდნოდა, ამიტომ განგებ ნელა მიდიოდა). ენი ეტლის გადაადგილების ხმას გაიგებდა თუ არა, შემოდიოდა და პოლს დაწოლაში ეხმარებოდა. მერე წამლის საღამოს დოზას იღებდა და დალევისთანავე ითიშებოდა, როგორც გამორთვისთანავე ჩამქრალი ნათურა. ზუსტად იმავე თანმიმდევრობით მიდიოდა მომდევნო დღეებიც.

ასეთი დინჯი და გამოზომილი ცხოვრება პოლის ნაყოფიერების მთავარი მიზეზი იყო. მაგრამ უფრო დიდი მიზეზი თავად ენი გახლდათ. სწორედ მან შესთავაზა მორიდებით ფუტკრის ნაკბენის იდეა, რომელმაც წიგნის სიუჟეტის განვითარებას დაუდო საფუძველი მაშინ, როდესაც პოლი ჩიხში იყო მომწყვდეული.

პოლი თავდაპირველად ერთ რამეში ღრმად იყო დარწმუნებული: „მიზერის დაბრუნებას“ არ დაწერდა. წიგნის დაწერა მის გეგმაში არ შედიოდა. კაცი მხოლოდ იმაზე იყო კონცენტრირებული, როგორმე ის ძუკნა საფლავიდან ამოეყვანა, თანაც რაც შეიძლება დამაჯერებლად, დანარჩენი წვრილმანები მოიცდიდა.

ენის საგადასახადო განყოფილებაში წასვლიდან მომდევნო ორი დღის განმავლობაში პოლი ცდილობდა, დაევიწყებინა ის ამბავი, რომ აქედან გაღწევის შანსი ხელიდან გაუშვა. ამის ნაცვლად პოლს იმაზე უნდა ეფიქრა, როგორ მიეყვანა მიზერი მისის რამაჟის კოტეჯში. ჯეფრი თავის სახლში მიზერის ვერ წაიყვანდა, რადგანჯეფრის მოსამსახურეები, განსაკუთრებით კი ყბედი მსახურთუხუცესი ტაილერი დაინახავდა, ლაქლაქს გააბამდა და ჭორები გავრცელდებოდა. გარდა ამისა, პოლს მიზერის ამნეზია მისი ცოცხლად დამარხვით უნდა აეხსნა. ამნეზია? ჯანდაბა, ქალი რაღაცას გაურკვევლად ლუღლუღებდა. ეს პოლისთვის გულის

მოსაფხანი ამბავი იყო, რადგან, როგორც წესი, მიზერის ბევრი ლაპარაკი უყვარდა.

მერე სიუჟეტი როგორ უნდა განვითარებულიყო? ძუკნა საფლავიდან ამოიყვანეს. ახლა საჭირო იყო ამბავი, სად იყო ეგ ოხერი ამბავი? მისის რამაჟსა და ჯეფრის უნდა ეთქვათ იანისათვის, რომ მიზერი ცოცხალი იყო? პოლი ფიქრობდა, რომ არ უნდა ეთქვათ, მაგრამ დარწმუნებული არ იყო. დაურწმუნებლობა მწერალს, რომელმაც არ იცის, საით წაიყვანოს მოქმედება, კარგ სამსახურს ვერ გაუწევდა.

„არა, იანს არა“, - გაიფიქრა პოლმა და ფანჯრიდან ბოსელს გახედა. - „ჯერ ექიმმა, მოხუცმა შაინბოუნმა უნდა ნახოს. ექიმზე ფიქრმა პოლს ენის ნათქვამი გაახსენა, რომელიც ფუტკრის ნაკბენით გამოწვეულ ალერგიას ეხებოდა. პოლს ეს აზრი ადრეც რამდენჯერმე მოაგონდა. ათიდან ერთ ადამიანს შეიძლება ასეთი ალერგია დაემართოსო, - უთხრა ენიმ.

მაგრამ ორ ქალს, რომლებიც ერთმანეთის ნათესავები არ იყვნენ და მეზობელ სოფლებში ცხოვრობდნენ, შეიძლებოდა ფუტკრის ნაკბენზე ერთნაირი ალერგია დამართნოდა?

სამი დღე გავიდა ენის გრანდიოზული საგადასახადო მოგზაურობის შემდეგ. ნაშუადღევი იყო. პოლი საწოლში იწვა და თვლემდა. ტვინში პაწია კაცუნები კი გამალებით მუშაობდნენ. იდეას ეძებდნენ და მიაგნეს კიდეც. პოლის გონებაში ახალი აზრი უბრალოდ კი არ გაკრთა, არამედ ეს დიდი აფეთქების ტოლფასი აალება იყო.

პოლი წამსვე საწოლზე წამოჯდა. სწრაფი მოძრაობის გამო ფეხებში ტკივილი მკვეთრად ეძგერა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- ენი, - დაიღრიალა მან, - აქ მოდი, ჩქარა!

პოლმა გაიგო, თითო საფეხურის გამოტოვებით ენიმ კიბეზე როგორ ჩამოირბინა და დერეფნიდან თვალებგაფართოებული და გულგახეთქილი ოთახში შემოვარდა.

- პოლ, რა მოხდა? კრუნჩხვები ხომ არ დაგემართა, ჰა?

- არა, - მიუგო პოლმა. თუმცა ტვინში სპაზმი ნამდვილად ჰქონდა. - არა, ენი, ბოდიში, თუ შეგაშინე. მაგრამ ეტლში მინდა გადასვლა და დამეხმარე, თუ შეიძლება. მგონი, ჩავავლე იმ ძაღლისშვილს! - წამოცდა პოლს, მაგრამ ამჯერად ენის ყურადღება არ მიუქცევია, მის თვალებში პატივისცემა და რიდი იკითხებოდა.

- რა თქმა უნდა, პოლ.

ქალმა ის ეტლში გადაიყვანა და ფანჯრისკენ გაგორება მოუნდომა, მაგრამ პოლმა თავი გააქნია.

- დიდი დრო არ დამჭირდება, მაგრამ ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

- ეს წიგნს ეხება?

- ეს წიგნია თავად. ჩუმად, ნუ დამელაპარაკები.

პოლი ჩანაწერებისათვის საბეჭდ მანქანას არასოდეს იყენებდა. მან ხელი სტაცა კალამს და ფურცელი ხელნაწერით ააჭრელა, რომლის წაკითხვა

მხოლოდ მას შეეძლო.

ისინი ნათესავები იყვნენ, ამიტომ იმოქმედა მათზე ფუტკრის ნაკბენმა ერთნაირად. მიზერი ობოლია. მერე? მის ეველინჰაიდი მიზერის და იყო, ან შესაძლოა - ნახევარდა. ვფიქრობ, ეს უკეთესია. პირველად ამას ვინ ხვდება? შინი? არა. შინი ჩერჩეტია. მისის რამაჟი. ის მიდის შარლოტა ეველინჰაიდის დედასთან და...

იდეა ისეთი შთამბეჭდავი იყო, ყოველ შემთხვევაში, წიგნის სიუჟეტის თვალსაზრისით, რომ პირღია და თვალებგაფართოებულმა პოლმა მაღლა აიხედა.

- პოლ? - შეეხმიანა ენი აღელვებით. - მან იცოდა, - წაიჩურჩულა პოლმა. - რა თქმა უნდა, იცოდა. ყოველ შემთხვევაში, დიდი

ეჭვი ჰქონდა. მაგრამ... პოლი დაიხარა და ჩანაწერებს დაუბრუნდა.

მისის რ. მაშინვე ხვდება, რომ მის ე ჰის დედას უნდა სცოდნოდა, რომ მიზერი მისი ქალიშვილის ახლო ნათესავია. ერთნაირი თმა, ან რაღაც ამის მსგავსი. გახსოვდეს, ე ჰის დედა წიგნის მთავარი პერსონაჟი ხდება. მოგიწევს ამ გმირზე მუშაობა. მისის რ. თანდათან ხვდება, რომ მის ე-ჰ-ის დედამ იცის, რომ მიზერი ცოცხლად დამარხეს. აი, მესმის! ბრწყინვალეა! ქალმა იცის, რომ მიზერი მისი ადრინდელი თავგადასავლის ნაყოფია.

პოლმა კალამი დადო და ფურცელს დახედა. მერე ისევ აიღო და კიდევ რამდენიმე ხაზი დაწერა.

სამი მნიშვნელოვანი პუნქტი:

1. როგორ რეაგირებს მის ეჰის დედა მისის რის ეჭვებზე? ან გამძვინვარებული უნდა იყოს ან ძალიან შეშინებული. მირჩევნია, შეშინებული იყოს, მაგრამ ენი უილკსს ალბათ ურჩევნია, გამძვინვარებული იყოს. კარგი, იყოს ასე.

2. იანი როგორ შეხვდება ამ ამბავს?

3. მიზერის ამნეზია?

და კიდევ ერთი საკითხი: მიზერი გაიგებს, რომ დედამისი ცხოვრებას აგრძელებდა, როდესაც მისი ერთი კი არა, მეორე ქალიშვილიც ცოცხლად დამარხეს და არაფერს ამბობდა?

ალბათ გაიგებს, რატომაც არა?

პოლმა კალამი დადო.

- ენი, ახლა თუ შეიძლება, საწოლზე გადასვლაში დამეხმარე, - უთხრა პოლმა. - მაპატიე, გიჟივით ვიყვირე, აღელვებული ვიყავი.

- არა, არა უშავს, ყველაფერი რიგზეა, პოლ, - მიუგო ჯერ კიდევ შეშინებულმა ენიმ.

იმ დღიდან მოყოლებული, საქმე შეუფერხებლად წავიდა წინ. ენი მართალი იყო, ბოლო წიგნი, მიზერიზე დაწერილ სხვა წიგ-

ნებზე უფრო შიშისმომგვრელი გამოდიოდა. პირველ თავს კი პროლოგის ფუნქცია ჰქონდა. მიზერიზე დაწერილი პირველი წიგნის გარდა, ეს ბოლო რომანი შინაარსობრივად ყველაზე დატვირთული იყო. ამ რომანში უფრო ცოცხალი მოქმედი გმირები იყვნენ. სხვა წიგნები კი, ძირითადად, სათავგადასავლო ჟანრის რომანები იყო, სადაც ქალბატონების გულის მოსაგებად პიკანტური სცენები მრავლად იყო ჩართული. ახალი წიგნი კი უფრო გოთიკური სტილის რომანი იქნებოდა, სადაც მთავარი ყურადღება სიუჟეტის განვითარებას დაეთმობოდა და არა ცალკეული სიტუაციების აღწერას. წინააღმდეგობები მუდამ იყო გადასალახი. კითხვა - „შეგიძლია“ არა მარტო წიგნის დასაწყისში დაისვა, არამედ მასზე პოლს ყოველდღე უწევდა პასუხის გაცემა...

და ის გრძნობდა, რომ შეეძლო.

შემდეგ წვიმა წამოვიდა და ყველაფერი შეიცვალა.

13

რვიდან თოთხმეტ აპრილამდე მშვენიერი ამინდი იდგა. მზე უღრუბლო ციდან დედამიწას სხივებს ჰფენდა და სითბო, ფარენგეიტის სკალით, ზოგჯერ სამოცდახუთ გრადუსამდე ადიოდა. ენის კოხტა, წითელი ბოსლის იქით, თავლიან მინდორზე მიწა აქაიქ ყავისფრად დაკერებულივით გამოჩნდა. სამუშაოში თავჩარგული პოლი ცდილობდა, არ ეფიქრა თავის მანქანაზე, რომელიც კარგა ხნის ნაპოვნი უნდა ყოფილიყო. პოლს მუშაობა იოლად გამოსდიოდა, მაგრამ გუნება-განწყობილება კი ტანჯავდა. რაც დრო გადიოდა, დღითიდღე გრძნობდა, რომ ღრუბლებით სავსე კამერაში ცხოვრობდა და მძიმე, ელექტროობით გაჯერებულ ჰაერს სუნთქავდა.

როგორც კი მანქანაზე ფიქრი შემოიპარებოდა კაცის გონებაში, აღელვებული პოლი წამსვე პოლიციას უხმობდა, რომელიც ხელბორკილდადებულ და ფეხებში ჯაჭვებგაყრილ დამნაშავეს გონებიდან მიერეკებოდა. მაგრამ იმ საძაგელმა უკან დასაბრუნებელი გზაც კარგად იცოდა.

პოლს ერთხელ ღამით მისტერ დიდებული რანჩოს მეპატრონე დაესიზმრა. ის თავისი კარგად შენახული „შევროლედან“ გადმოვიდა, ცალ ხელში „კამაროს“ ბამპერი ეჭირა, მეორეში კი მანქანის საჭე. „ესენი თქვენია?“ - ჰკითხა მან ენის.

პოლს უხასიათოდ გამოეღვიძა. სამაგიეროდ, მთელი ამ ადრეული გაზაფხულის მზიანი კვირის მანძილზე ენი გადასარევ ხასიათზე იყო. ის სახლს ალაგებდა, განსაკუთრებულ სადილებს ამზადებდა (თუმცა ყველაფერს ერთნაირი გემო ჰქონდა. თითქოს წლების მანძილზე საავადმყოფოს კაფეტერიაში ჭამამ ყოველგვარი კულინარული ტალანტი, რომელიც შესაძლოა ქალს ერთ დროს ჰქონოდა, ხელიდან გამოაცალაო). ყოველ ნაშუადღევს ქალი ეტლში მჯდარ პოლს ცისფერ, დალიანდაგებულ სა-

ბანს აფარებდა, მონადირის კეპს ახურავდა და სახლის უკანა აივანზე გაჰყავდა.

პოლს ამ დროს თან მოემის რომელიმე წიგნი მიჰქონდა. მაგრამ იშვიათად კითხულობდა. ჰაერზე ყოფნა ისეთი დიდებული რამ იყო, რომ კითხვაზე ყურადღებას ვერ გადაიტანდა. ძირითადად, იჯდა და საწოლი ოთახის დახუთულ ჰაერს კი არა, სუფთა, გრილსა და სასიამოვნო ჰაერს სუნთქავდა. ყურს უგდებდა ყინულის ლოლოების დნობის ხმას და თვალყურს ადევნებდა მინდორში დნობაშეპარულ თოვლზე ღრუბლის ჩრდილების ნელ გადაადგილებას. პოლი გარემოთი ტკბებოდა.

ენი კი არაჩვეულებრივად ხალისიანი იყო და მღეროდა, მაგრამ მისი ხმა უსიამოვნოდ ჟღერდა. ქალი სატელევიზიო შოუს ხუმრობებზე ბავშვივით ხითხითებდა. ხოლო პოლის დავალებას მთელი სერიოზულობით, გულმოდგინედ ასრულებდა. დაბეჭდილ ტექსტში „ნ“-ებს სვამდა.

თხუთმეტ აპრილს დილიდან ქარი და ღრუბლიანი ამინდი იყო. ენი შეიცვალა. „ალბათ ამინდის შეცვლამ იმოქმედა“, - გაიფიქრა პოლმა. ეს ხომ ნებისმიერ ადამიანზე მოქმედებდა.

ქალი დილის ცხრა საათამდე არ მოსულა. პოლს წამალი ისე უნდოდა, რომ ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, ჩემს მარაგს ხომ არ მივაკითხოო. ენის საუზმე არ მოუტანია, მხოლოდ აბები მოიტანა. ქალს ვარდისფერი, დალიანდაგებული ხალათი ეცვა. პოლმა შენიშნა, ქალს ლოყებსა და მკლავებზე წითელი ლაქები ეტყობოდა, რამაც ძალიან შეაშინა. რაღაც ბლანტი სითხის შხეფები ხალათსაც ემჩნეოდა. ფლოსტი მხოლოდ ცალ ფეხზე ეცვა და ტყაპუნფხაკუნით მოდიოდა: ტყაპფხაკ, ტყაპ ფხაკ, ტყაპფხაკ... თმა სახეზე ჩამოშლოდა, ბურუსით მოცული, გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა.

- აიღე, - ესროლა მან აბები პოლს. სხვადასხვა ფერის წებოვანი ნივთიერებით ხელებიც აჭრელებული ჰქონდა. პოლმა არ

იცოდა და არც უნდოდა, გაეგო, რა იყო ეს. აბები კაცს კალთაში ჩაუგორდა. ქალი წასასვლელად შეტრიალდა: ტყაპფხაკ, ტყაპ-ფხაკ, ტყაპფხაკ...

- ენი! - დაუძახა პოლმა.

ქალი გაჩერდა, მაგრამ არ მობრუნებულა. ზურგიდან გაცილებით მსუქანი იყო. ვარდისფერ ხალათში მომრგვალებული, ვეებერთელა მხრები უჩანდა. თმა კი გატყაპნილი ცომის მასასავით ედო თავზე. გამოქვაბულში მცხოვრებ პირველყოფილ ადამიანს ჰგავდა.

- ენი, კარგად ხარ?

- არა, - მიუგო ქალმა გულგრილად და მობრუნდა. ქალს სახეზე გონებაჩლუნგი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. მან მარჯვენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით ქვედა ტუჩი გადმოიბრუნა და შიგნით იჩქმიტა. სისხლი ჯერ ღრძილებს მოედო, მერე გადმობრუნებული ტუჩიდან ნიკაპზე გადმოვიდა. ქალი შეტრიალდა და უსიტყვოდ გავიდა. სანამ განცვიფრებული პოლი ფიქრობდა, ეს ნამდვილად მოხდა, თუ მომეჩვენაო, ენიმ კარი დახურა და გასაღებით ჩაკეტა. პოლმა გაიგო, როგორ წატყაპუნდა ქალი დერეფანში. მერე პოლს სასტუმრო ოთახიდან სკამის ჭრიალის ხმა შემოესმა. ენი თავის საყვარელ სკამზე დაჯდა და სიჩუმემ დაისადგურა. ქალს არც ტელევიზორი ჩაურთავს და არც სიმღერა დაუწყია. სიჩუმეს არც თეფშებისა და ვერცხლის დანა ჩანგლის წკრიალის ხმა არღვევდა. ენი გარინდული იჯდა. სხვა არაფერი ისმოდა.

მერე პოლმა რაღაც მკვეთრი ხმა გაიგო. ის ხმა აღარ განმეორებულა.

დარტყმის ხმა იყო. სილის გაწვნის ხმას ჰგავდა. პოლი დაკეტილი კარის აქეთა მხარეს იყო, ქალი კი იქით, სასტუმრო ოთახში იჯდა, მაგრამ დიდი შერლოკ ჰოლმსობა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ენიმ სილა გამეტებით თავის თავს გააწნა.

პოლს თვალწინ წარმოუდგა, როგორგადმოიბრუნა ქალმა ქვედა ტუჩი და მოკლე ფრჩხილებით როგორ იჩქმიტა ვარდისფერ, მგრძნობიარე ხორცზე.

უცებ გაახსენდა ის ჩანაწერები, რომელსაც „მიზერის“ პირველი წიგნისათვის აკეთებდა. წიგნში მოქმედება უმეტესად ლონდონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხდება (მიზერი იქ ეჭვიანობისაგან გაგიჟებულმა არამზადამ გამოკეტა). პოლის ჩანაწერებში ასეთი რამ ეწერა: როდესაც მანიაკალურდეპრესიული ფსიქოზის მქონე ავადმყოფებს ღრმა დეპრესიის პერიოდი აქვთ, თვითგვემას მიმართავენ: თავიანთ თავს ურტყამენ მუშტებითა თუ გაშლილი ხელისგულებით, ჩქმეტენ, სიგარეტით იწვავენ თავს და ასე შემდეგ.

პოლს უცებ ძალიან, ძალიან შეეშინდა.

14

პოლს ედმუნდ უილსონის ერთიერთი სტატია გაახსენდა, სადაც უილსონი მისთვის დამახასიათებელი ბუზღუნა მანერით წერს, რომ ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი უილიამ უორდსუორთი კარგ პოეტურ ნაწარმოებს სიმშვიდის დროს მაშინ ქმნიდა, როდესაც ადრე გადატანილ მძაფრ განცდებსა და ემოციებს იხსენებდა. ასეთი მიდგომა არა მარტო პოეზიისთვის, არამედ ბელეტრისტიკისათვისაც გამოდგებაო, წერდა უილსონი. შესაძლოა მართალიც იყო. პოლი ბევრ ისეთ მწერალს იცნობდა, რომელიც უმნიშვნელო ოჯახური კამათისა თუ კინკლაობის შემდეგ სიტყვასაც კი ვერ დაწერდა. წერა არც აღელვებულ პოლს შეეძლო. მაგრამ ზოგჯერ გამონაკლისებიც არსებობდა. ამ შემთხვევაში პოლი სამუშაოს ასრულებდა არა მარტო იმიტომ, რომ ეს აუცილებელი იყო, არამედ ეს პროცესი იმისგან თავის დაღწევის ერთერთი საშუალება იყო, რაც აწუხებდა და აღელვებდა.

ახლაც სწორედ ასეთი შემთხვევა იყო. როდესაც ენი თერთმეტ საათამდე არ შემოვიდა, რომ პოლი ეტლში გადაეყვანა, პოლმა გადაწყვიტა, თავად გადასულიყო. საბეჭდი მანქანა ბუხრის თავზე იდო. პოლი საბეჭდ მანქანას იქიდან, რასაკვირველია, ვერ ჩამოიღებდა, მაგრამ წერა ხელითაც შეეძლო. პოლი დარწმუნებული იყო, ეტლში გადაბობღებას შეძლებდა. იქნებ ეს ცუდი აზრი იყო. ენი გაიგებდა, რომ ეტლში გადასვლა შეეძლო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, დაწოლილს წერა არ შეეძლო.

ის საწოლის კიდისკენ გაჩოჩდა. მოსინჯა და დარწმუნდა, რომ ეტლის ბორბლებს მუხრუჭი იჭერდა და თავისუფლად არ გაგორდებოდა. მერე ეტლის სახელურებს მოეჭიდა და ნელა გადაჯდა. ერთადერთი პრობლემა ფეხების გადატანა იყო, მაგრამ ესიც შეძლო. მერე ფანჯრისკენ გაგორდა და ხელნაწერი აიღო.

კარის საკეტში გასაღები გადატრიალდა. ოთახში ენიმ შემოიხედა. ქალის თვალები შავი ხვრელებივით ჩანდა. მარჯვენა ლოყა გასიებული ჰქონდა. პირი და ნიკაპი კი წითლად მოსვრილი. ერთი შეხედვით, პოლმა იფიქრა, ალბათ გადმობრუნებული ტუჩიდან კიდევ გადმოუვიდა სისხლიო, მაგრამ მერე შეამჩნია, რომ ტუჩები ჟოლოს მურაბით ჰქონდა მოთხუპნული. ქალი პოლს უყურებდა, პოლი - ქალს. სიტყვა არც ერთს არ დაუძრავს. გარეთ წვიმის პირველი წვეთები ფანჯარაზე ახმაურდნენ.

- თუ ეტლში გადასვლა შენით შეძელი, პოლ, - თქვა ენიმ ბოლოს, - ვფიქრობ, იმ ოხრობა „ნ“-ებსაც თვითონ ჩასვამ.

მერე კარი დახურა და ისევ გასაღებით ჩაკეტა. პოლი კარს გულმოდგინედ დიდხანს, დიდხანს მიშტერებოდა, თითქოს რაღაც ახალს ხედავდა. კაცი ისეთი გაოცებული იყო, რომ სხვა რამის კეთება აღარ შეეძლო.

პოლს ქალი საღამომდე აღარ უნახავს. მისი მოსვლის შემდეგ კი ამაოდ ცდილობდა წერის დაწყებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ პოლმა წერა შეწყვიტა. მუშაობა შეუძლებელი იყო. კაცმა უკან დაიხია. ისევ დაწოლა გადაწყვიტა, მაგრამ საწოლში გადაბარგების დროს ხელი გაუცურდა და კინაღამ ძირს დაეცა. მარცხენა ფეხი იატაკზე დაადგა. ფეხმა ტანის სიმძიმეს გაუძლო და პოლი დაცემისაგან იხსნა, მაგრამ ტკივილი ისე ეძგერა, თითქოს ფეხში უამრავი ჭანჭიკი ერთბაშად მოუჭირესო. პოლმა იკივლა, საწოლის თავს ჩაეჭიდა და, როგორც იქნა, საწოლზე გადაბობღდა. მარცხენა ფეხი კი, რომელიც ტკივილისაგან უფეთქავდა, ჩამოკიდებული დარჩა.

„ჩემი კივილის ხმაზე ალბათ შემოვა“, - გაიფიქრა პოლმა, რომელსაც თავში უთავბოლო აზრები უტრიალებდა. „ალბათ დაინტერესდება, შელდონი მართლაც გადაიქცა ლუჩანო პავაროტად, თუ ეს „გარდასახვა“ უბრალოდ მოეჩვენა“.

მაგრამ ენი არსად ჩანდა. სხვა გზა არ იყო, კაცს მარცხენა ფეხის აუტანელი ტკივილისათვის როგორმე უნდა გაეძლო. პოლი გადაბრუნდა და მოუხერხებლად დაწვა მუცელზე, მერე ხელი ლეიბის ქვეშ შეყო და „ნოვრილის“ კოლოფი გამოიღო. ორი კაფსულა წყლის გარეშე გადაყლაპა და მალე ჩათვლიმა.

როდესაც თვალი გაახილა, ჯერ თავი ისევ სიზმარში ეგონა. სურათი ისეთი სიურეალისტური იყო, როგორც იმ ღამით, როდესაც ქალმა გრილი შემოაგორა ოთახში. ენი საწოლზე ეჯდა. ქალმა „ნოვრილის“ კაფსულებით სავსე ჭიქა მაგიდაზე დადო. ქალს მეორე ხელში ხაფანგი ეჭირა, რომელშიც ვირთხა იყო. დიდი, რუხი ვირთხა ხაფანგში ზურგგაჭეჭყილი ეგდო. ფეხები განზე, ხაფანგის გარეთ ჰქონდა ჩამოკიდებული. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ტოკავდა. პირსა და ულვაშებზე სისხლის წვეთები ეტყობოდა.

არა, ეს არ იყო სიზმარი. ეს ენის მორიგი სიურპრიზი იყო. ის დამპალი საჭმლის სუნს გამოსცემდა.

- ენი? - წამოიწია პოლმა. ხან ქალს უყურებდა, ხან ვირთხას. ღამდებოდა. წვიმის წვეთები ფანჯრის შუშას გამეტებით აწყდებოდა, ძლიერი ქარი კი სახლს ეხეთქებოდა და აჭრიალებდა.

ენი საღამოს გაცილებით უარესად გამოიყურებოდა. პოლი მიხვდა, რომ ენის ნამდვილ სახეს ყოველგვარი ნიღბის გარეშე ხედავდა. ასეთი იყო ის შინაგანად. სახის კუნთები ცომივით ეკიდა. თვალები გამოცარიელებული ჰქონდა. ხალათი გამოეცვალა, მაგრამ ქვედაკაბა უკუღმა ეცვა. კანი დილის მდგომარეობასთან შედარებით უფრო აჭრელებული, ხოლო ტანსაცმელი საჭმლით უფრო დალაქავებული ჰქონდა. სხვადასხვანაირ სუნებს აფრქვევდა. ჯემპრის თითქმის მთელი სახელო ნახევრად შემშრალი სითხით ჰქონდა დასვრილი, რომელსაც საწებლის სუნი ასდიოდა.

ქალმა სათაგური ასწია.

- წვიმის დროს სარდაფში შემოდიან, - თქვა ქალმა. ვირთხა საცოდავად წრიპინებდა და ჰაერს ყლაპავდა. მისი შავი თვალები, რომელსაც განწირულად ამოძრავებდა, ქალის თვალებზე უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა. - მახის დაგება მიწევს, - განაგრძო ქალმა. - მახეს ღორის ქონს ვუსვამ. რვა, ცხრა ვირთხას ვიჭერ ხოლმე. ზოგჯერ ვპოულობ...

ქალი გაირინდა. მთელი სამი წუთით გათიშულს ხელში ისევ მაღლა აწეული ხაფანგი ეჭირა. კატატონიის კლასიკური შემთხვევა იყო. პოლი ჯერ ქალს უყურებდა, მერე ვირთხას, რომელიც წრიპინებდა და იბრძოდა. კაცმა გაიფიქრა, ამაზე უარესი რა უნდა მოხდესო, მაგრამ, ვაი, რომ ცდებოდა.

ბოლოს როდესაც პოლმა გაიფიქრა, ქალს ალბათ ყველა და ყველაფერი დაავიწყდაო, სწორედ მაშინ დაუშვა დაბლა ენიმ სა-

თაგური და გაწყვეტილი წინადადება ისე განაგრძო, თითქოს არც გაეწყვიტოს.

- ...კუთხეებში დამხრჩვალ თაგვებს. საცოდავები.

მან ვირთხას დახედა და ქალის ცრემლი მის რუხბეწვიან ზურგს დაეცა.

- საბრალოები, - გაიმეორა ენიმ.

ქალი ერთი ხელით ვირთხას დასწვდა, მეორეთი კი დამჭერი გადასწია. ქალმა ვირთხა ასწია. ის კი თავს აქეთიქით ატრიალებდა და საკბენად იწევდა. სუსტად, მაგრამ საშინლად წრიპინებდა. პოლმა ხელის გული აცახცახებულ ტუჩებზე მიიჭირა.

- გული როგორ უცემს და გასაქცევად როგორ იწევს, - თქვა ქალმა, - როგორც ჩვენ, პოლ, როგორც ჩვენ. ჩვენ გვგონია, ბევრი რამ ვიცით. მაგრამ, სინამდვილეში, ხაფანგში გაბმულ ვირთხაზე მეტი არაფერი ვიცით, ზურგგაჭეჭყილ ვირთხაზე მეტი, რომელსაც სიცოცხლე მაინც სწყურია.

ქალმა ხელი, რომლითაც ვირთხა ეჭირა, თანდათან მომუშტა. თვალებში ისევ ის შავი სიცარიელე ედგა. პოლს განზე გახედვა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ქალს მკლავის შიდა მხარეს მყესები დაეჭიმა. ვირთხას პირიდან სისხლი გადმოუვიდა. პოლს ვირთხის ძვლების მტვრევის ხმა შემოესმა. მერე ქალმა ვირთხას თავისი მსხვილი თითები ჩააჭირა. ვირთხის პირიდან გადმოსული სისხლის წვეთები იატაკზე დაეცა და მღრღნელს დაბინდული თვალები წინ წამოეზნიქა.

ქალმა მკვდარი ვირთხა კუთხეში მიაგდო და სისხლიანი ხელი ზეწრით გაიწმინდა, რომელზეც გრძელი, წითელი ლაქა დარჩა.

- ახლა დაწყნარდება, - მხრები აიჩეჩა და გაიცინაქალმა. მერე პოლს მიმართა:

- პოლ, თოფს მოვიტან, მოვიტანო? შეიძლება ის სამყარო უკეთესია ადამიანებისთვისაც და ვირთხებისთვისაც. მათ შორის დიდი განსხვავება მაინც არ არის.

- არა, ჯერ წიგნი არ დამიმთავრებია, - თქვა პოლმა. ყოველი სიტყვა გამოკვეთილად უნდოდა წარმოეთქვა, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი იყო, რადგან მთელი პირი თითქოს ნოვოკაინით ჰქონდა გაბუჟებული. პოლს ქალი მძიმე მდგომარეობაში ადრეც უნახავს, მაგრამ ასეთ დღეში ენი არასოდეს ყოფილა. ეს ის მდგომარეობა იყო, როდესაც დეპრესიაში მყოფი ადამიანი ოჯახის ყველა წევრს კლავს და ბოლოს თავსაც იკლავს. იგივე ითქმის სასოწარკვეთილი, ფსიქიკურად შეშლილი დედის შესახებ, რომელიც საუკეთესო ტანსაცმელში გამოაწყობს შვილებს და ისინი თითქოსდა ნაყინის საჭმელად მიჰყავს. უახლოეს ხიდზე შეჩერდება. ბავშვებს იღლიაში აქეთიქით ამოიჩრის და წყალში ხტება. დეპრესიაში მყოფი ადამიანი თავს იკლავს. ფსიქიკურად შეშლილ ადამიანს თავისივე ეგო ანადგურებს. მას, თავისი ჭკუით, სურს სხვასაც უშველოს, ამ ცოდვილ ქვეყანას მოაშოროს და თან გაიყოლოს.

„ასე ახლოს სიკვდილთან არასოდეს ვყოფილვარ“, - გაიფიქრა პოლმა.

- სიტყვა „მიზერი“ ტანჯვას ნიშნავს? - იკითხა ქალმა, თითქოს ეს სიტყვა ადრე არასოდეს გაეგოს. მერე წამიერად თვალები გაუნათდა. „ნუთუ მართლა გაუნათდა?“ - გაიფიქრა პოლმა.

- ჰო, მიზერი, - თქვა პოლმა და სასოწარკვეთილი ჩაფიქრდა, მერე რა ვთქვა, როგორ გავაგრძელოო. ნებისმიერი წინადადება შეიძლება სახიფათო ყოფილიყო. - გეთანხმები, ეს სამყარო უმეტესად აუტანელია, განსაკუთრებით... განსაკუთრებით როდესაც წვიმს, - დაამატა პოლმა ბოლოს, უაზროდ.

„იდიოტო, შეწყვიტე ლაყბობა!“ - უსაყვედურა მან თავის თავს.

- იმას ვგულისხმობ, რომ ბოლო კვირების მანძილზე ბევრი ტკივილი გადავიტანე და...

- ტკივილი? - ქალმა მას ზიზღით შეავლო თვალი. - შენ არ იცი, რა არის ტკივილი. ოდნავი წარმოდგენაც კი არა გაქვს, პოლ.

- შეიძლება არ ვიცი... შენთან შედარებით ალბათ ასეა.

- რა თქმა უნდა, ასეა.

- მაგრამ მინდა, წიგნი დავამთავრო. მინდა ვნახო, საბოლოოდ როგორი გამოვა, - მერე ცოტა შეყოვნდა და დაამატა. - მინდა, რომ შენც ნახო. მწერალი წიგნს ვერ დაწერს, თუ გვერდით არ ჰყავს ადამიანი, რომელიც მას წაიკითხავს. გესმის ჩემი?

პოლი იწვა და გაქვავებულ, საზარელ სახეს შესცქეროდა.

- ენი, გესმის ჩემი? - გაუმეორა მან.

- ჰო... - ღრმად ამოისუნთქა ქალმა. - მეც მინდა ვნახო, როგორი გამოვა. ვფიქრობ, ეს ერთადერთი რამაა, რაც მინდა. - თქვა ქალმა. მერე თითებზე შერჩენილ ვირთხის სისხლს გაუცნობიერებლად დაუწყო ლოკვა. პოლმა კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა. „არ აღებინო, არ აღებინო, არა, არა..“ - მკაცრად აფრთხილებდა თავის თავს. - ისეა, როგორც ბავშვობაში. ელოდები, როგორ დამთავრდება სერიალი, - უთხრა პოლმა.

ვირთხის სისხლი ქალს ტუჩებზე პომადასავით წაეცხო. მოულოდნელად მან ირგვლივ მიმოიხედა.

- კიდევ ერთხელ გთავაზობ, პოლ. თოფს მოვიტან. მოდი, მოვრჩეთ ყველაფერს. შენ სულელი არა ხარ. კარგად იცი, ამქვეყნიდან წასვლა და შენი დატოვება არ შემიძლია. ვფიქრობ, ამას მიხვდი, არა?

„არ შედრკე და თვალი არ აარიდო, თუ შიშს შეგატყობს, ახლავე, აქვე მოგკლავს“, - გაიფიქრა პოლმა.

- ჰო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ მთავრდება, ასე არ არის? ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნიდან ხომ ყველა წავალთ.

ქალს ტუჩებზე ღიმილის აჩრდილმა გადაურბინა. ის პოლის სახეს სიყვარულით, აჩქარებით შეეხო.

- მგონი, როგორც ვირთხა ხაფანგიდან, შენც გაქცევაზე ფიქრობ, მაგრამ ვერ გაიქცევი. გაიქცეოდი, მოქმედება შენს ერ-

თერთ რომანში რომ ხდებოდეს, მაგრამ რომანში არა ვართ... აქ ვერ დაგტოვებ... ამ ქვეყნიდან შენთან ერთად წავალ.

მოულოდნელად პოლმა დააპირა ეთქვა: „კარგი, ენი, მიდი, ნება შენია“. მაგრამ კაცმა იგრძნო, სიცოცხლის წყურვილი ჯერ არ განელებოდა. მან წუთიერი სისუსტე დაძლია. სისუსტე იყო, აბა, სხვა რა სახელს დაარქმევდი: სისუსტე და სიმხდალე. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, პოლი სულით ავადმყოფი არ იყო, ამიტომ ცხოვრებაზე ხელს არ ჩაიქნევდა.

- დიდი მადლობა, - თქვა მან, - მაგრამ მინდა, დავასრულო, რაც დავიწყე.

ენიმ ამოიოხრა და ფეხზე წამოდგა.

- კარგი. შენს აზრს უნდა მივმხვდარიყავი. ალბათ უნდა მცოდნოდა, რომ ასე გადაწყვეტდი. აი, აბები მომიტანია, თუმცა არაფერი მახსოვს, - ჩაიხითხითა ენიმ. - უნდა წავიდე. თუ არ წავედი, ისეთ რამეს ჩავიდენ, ყველაფერს აზრი დაეკარგება. როდესაც ასე ვარ, მთაში ერთ ადგილას მივდივარ. წაკითხული გაქვს „ბიძია რიმასის ზღაპრები“, პოლ?

პოლმა თავი დაუქნია.

- გახსოვს, ბაჭია მელას როგორ უყვება თავისი სიცილის ადგილის შესახებ?

- მახსოვს.

- ჩემს ადგილს მეც ასე ვეძახი. გახსოვს, გითხარი, როდესაც გიპოვე, საიდუინდერიდან ვბრუნდებოდი მეთქი?

პოლმა ისევ დაუქნია თავი.

- მოგატყუე, რადგან მაშინ კარგად არ გიცნობდი. სინამდვილეში ჩემი სიცილის ადგილიდან ვბრუნდებოდი. იქ წარწერაც მაქვს: „ენის სიცილის ადგილი“. იქ ზოგჯერ მართლაც ვიცინი, მაგრამ უმეტესად ვკივი და ვტირი.

- რამდენი ხნით მიდიხარ, ენი?

- არ ვიცი, - თქვა ქალმა და კარისკენ გასწია. - აბები ხომ მოგიტანე, კარგად იქნები. ყოველ ექვს საათში ორი აბი დალიე ან ექვსი - ყოველ ოთხ საათში. თუ გინდა, ყველა ერთად ჩაიყარე პირში.

რა ვჭამოო, უნდოდა ეკითხა პოლს, მაგრამ არ ჰკითხა. არ უნდოდა, რომ ქალს ყურადღება ისევ პოლზე გადაეტანა. კაცს მისი წასვლა ეჩქარებოდა. ენისთან ერთ ოთახში ყოფნა, სიკვდილის ანგელოზთან ყოფნას ჰგავდა.

პოლი დიდხანს გაშეშებული იწვა და ენის ნაბიჯებს უსმენდა. ქალი ჯერ ზედა სართულზე დადიოდა, მერე კიბეზე ჩამოვიდა, სამზარეულოში შეყოვნდა. პოლი სულ ელოდა, რომ ქალი აზრს შეიცვლიდა და თოფით ხელში დაბრუნდებოდა. ვერც მაშინ მოისვენა, როდესაც გარეთ გასასვლელი კარის გაღებისა და მერე ჩაკეტვის ხმა გაიგო. ქალი ტყაპატყუპით გაემართა მანქანისაკენ. იქნებ თოფი მანქანაში უდევს, გაიფიქრა პოლმა.

„ბებერი ბესის“ ძრავა ამუშავდა. ენიმ მანქანა სწრაფად გააქანა. წინა მაშუქებმა წვიმის ვერცხლისფერი ფარდა გაანათა. სინათლე გზატკეცილისაკენ წავიდა. ენი გზას ქვევით საიდუინდერისაკენ კი არ დაუყვა, არამედ ზევით, მთისკენ წავიდა.

- ეწვევა თავის სიცილის ადგილს, - ყრუდ ჩაილაპარაკა პოლმა და სიცილი აუტყდა. - ენის თავისი სიცილის ადგილი აქვს, მე - ჩემი. მაგრამ კაცის მხიარულება წამსვე ჩაცხრა, როდესაც კუთხეში მკვდარ ვირთხას მოჰკრა თვალი.

- ვინ თქვა, საჭმელი არაფერი დაუტოვებიაო? - იკითხა პოლმა და უფრო ხმამაღლა გაიცინა. ცარიელ სახლში მისი სიცილი პალატაში გამომწყვდეული გიჟის სიცილივით გაისმა.

16

ორი საათის შემდეგ პოლმა საძინებელი ოთახის კარი გააღო და ვიწრო გასასვლელში ეტლით მეორედ და, იმედოვნებდა, უკანასკნელად გაიარა. კალთაში ორი გადასაფარებელი ედო. „ნოვრილის კოლოფები, რომელიც ლეიბის ქვეშ ჰქონდა შენახული, ერთჯერად ხელსახოცში გაახვია და საცვალში ჩაიჩურთა. წვიმდა თუ არა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, პოლს ამ სახლიდან უნდა გაეღწია. ეს მისი შანსი იყო და ეცდებოდა, როგორმე ეს შანსი ხელიდან არ გაეშვა. ქალაქი საიდუინდერი დაბლა მდებარეობდა. თავქვე უნდა დაშვებულიყო. წვიმაში გზა სრიალა იქნებოდა და ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. მაგრამ პოლს ყველა ღონე უნდა ეხმარა. მას გმირის ან წმინდანის ცხოვრებით არ უცხოვრია, მაგრამ ზოოპარკის გალიაში გამომწყვდეული ეგზოტიკური ჩიტივით სიკვდილს არ აპირებდა.

პოლს ბუნდოვნად ახსოვდა ის საღამო, რომელიც ერთ პირქუშ დრამატურგთან ბერნსტაინთან გაატარა. ისინი გრინვიჩ ვილიჯის ბარში ისხდნენ, რომელსაც სახელად „ლომის თავი“ ერქვა და შოტლანდიურ ვისკის სვამდნენ (თუ ვილიჯის ნახვა ცოცხალს ისევ მეღირსა, რაც არ უნდა მტკიოდეს, მუხლებზე დავეცემი და ქრისტეფორეს ქუჩის ტროტუარს ვაკოცებო, - ფიქრობდა პოლი.). იმ საღამოს საუბარი როგორღაც ებრაელებს შეეხო, რომლებმაც გერმანიაში მძიმე ოთხი, ხუთი წელი გაატარეს, ვიდრე ვერმახტი პოლონეთში შეიჭრებოდა, რასაც სერიოზული პროცესები მოჰყვა. ბერნსტაინმა თქვა, ჰოლოკოსტის დროს ბაბუა და დეიდა დამეღუპაო. პოლს გაახსენდა, ბერნსტაინს ჰკითხა, ებრაელები გერმანიიდან და მთელი ევროპიდან, განსაკუთრებით კი გერმანიიდან რატომ არ გაიქცნენ, სანამ დრო ჰქონდათო. საკმაოდ ჭკვიანი ხალხია, ნუთუ ვერ მიხვდნენ, რა ელოდათო.

პასუხი ისეთი ქარაფშუტული და გაუგებარი იყო, რომ პოლი გაოგნდა. ბერნსტაინმა თქვა, რომ ებრაელთა უმეტესობას ოჯახში პიანინო ჰქონდა. ებრაელებს ძალიან გვიყვარს პიანინო და როდესაც ოჯახში ეს ნივთი დგას, სხვაგან წასვლაზე ფიქრი ძალიან ძნელიაო.

ბერნსტაინის ნათქვამი ახლა გასაგები იყო. თავიდან პოლს მოტეხილი ფეხები და დაზიანებული მენჯი აფერხებდა, მერე, ღვთის წყალობით, წიგნზე მუშაობამ გაიტაცა, რაც, შეიძლება სიგიჟეა, მაგრამ ერთგვარ სიამოვნებასაც ანიჭებდა. მისი უმოქმედობის ახსნა ნებისმიერი რამით შეიძლებოდა, მაგალითად: დამტვრეული ძვლებით ან ნარკოტიკით, მაგრამ ყველაზე დიდი „დამნაშავე“ მაინც წიგნი იყო. ერთფეროვანი დღეები და გახანგრძლივებული ავადმყოფობის პროცესიც ჩამონათვალში შედიოდა. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ეს ოხერი წიგნი იყო, როგორც ებრაელისთვის პიანინო. როდესაც ენი დაბრუნდებოდა და პოლს ვერ ნახავდა, რას იზამდა? დაწვავდა ხელნაწერს?

- ერთი მაგისიც, - ჩაილაპარაკა პოლმა. თუ იცოცხლებდა, სხვა წიგნს დაწერდა ან ამ წიგნს აღადგენდა. მკვდარი ადამიანი კი ვერც წიგნს დაწერს და ვერც ახალ პიანინოს იყიდის.

პოლი სასტუმრო ოთახში გავიდა. ადრე ეს ოთახი დალაგებული იყო. ახლა კი ყველგან ჭუჭყიანი თეფშები იყო მიმოფანტული, თითქოს ენის, რაც სახლში თეფშები ჰქონდა, ყველა აქ მოეტანა. დეპრესიაში მყოფი ქალი არა მარტო ჩქმეტდა და ცემდა თავის თავს, არამედ უაზროდაც ჭამდა და თეფშებს არ რეცხავდა. პოლს ბუნდოვნად გაახსენდა, რა მყრალი სუნი ჰქონდა ენის პირში, როდესაც ქალმა მას ჰაერი ჩაბერა. ამის გახსენებაზე კაცს გულმუცელში რაღაცამ მოუჭირა, ალბათ სპაზმი დაემართა. უმეტესად ტკბილეულის ნარჩენები ეყარა ყველგან. ჯამებსა და თეფშებზე დამდნარი ნაყინი, ნამცხვრის ნაფხვენები და ღვეზელის ნარჩენები იყო მიმოფანტული. ტელევიზორის თავზე კრემიანი ჟელე, ხო-

ლო მის გვერდით ორლიტრიანი პეპსი და საწებელი იდო. პეპსის ბოთლი ისეთი უშველებელი ჩანდა, რაკეტის კონუსივით ცხვირს მოგაგონებდა. ალბათ ენი პირდაპირ ბოთლიდან სვამდა, რადგან ბოთლი გარედან ბინძური და გათხუპნული იყო. ქალს ალბათ ნაყინში ან საწებელში ამოსვრილი თითები ჰქონდა. პოლს საძინებელ ოთახში ვერცხლის დანა ჩანგლის წკრიალის ხმა არ გაუგია. ეს გასაკვირი არც იყო, რადგან ამ ოთახში მხოლოდ თეფშებსა და ჯამებს ხედავდა. ოთახში ყველაფერი, ხალიჩა იყო თუ ტახტი, დასვრილი და გატკბილული ჩანდა.

ენის ხალათზეც ალბათ იგივე ლაქები იყო, - გაიფიქრა პოლმა. - შესაბამის სუნებსაც ამიტომ აფრქვევდა. პოლმა თვალნათლივ დაინახა, როგორ იჯდა ენი აქ და ნაყინს და წიწილას პირში იტენიდა, თან პეპსის ან საწებელს აყოლებდა. ღრმა დეპრესიაში მყოფი უაზროდ ჭამდა და სვამდა.

ყინულზე წამოსკუპებული სათამაშო პინგვინი ისევ მაგიდაზე იდო. მაგრამ კერამიკის სხვა სათამაშოები ენის კუთხეში მიეყარა სხვადასხვა ნარჩენსა და ნამტვრევთან ერთად.

პოლს თვალწინ წარმოუდგა, როგორ ჩააჭირა ენიმ ვირთხას თითები და სისხლში დასვრილი ხელი ზეწრით როგორ გაიწმინდა, მერე თითებს დაუწყო ლოკვა. ამას ისე გონებაგაფანტულად აკეთებდა, როგორ უაზროდაც ჭამდა. ეს სურათი ამაზრზენი იყო და ამავე დროს, საუკეთესო საბაბი, რომ აქედან თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო.

ლარნაკი, სადაც ენის გამხმარი ყვავილები ჰქონდა ჩაწყობილი, ახლა მაგიდისქვეშ ეგდო. იქვე ახლოს, იატაკზე თეფში იდო, ხოლო თეფშზე პუდინგის გამხმარი ნარჩენები ეყარა. თეფშის გვერდით პოლმა თვალი მოკრა დიდ ალბომს, რომლის სათაური „ხსოვნის ბილიკი“ იყო. „ხსოვნის ბილიკით სიარული, როდესაც დეპრესიაში ხარ, კარგი აზრი არ არის, ენი“. - გაუელვა თავში პოლს. - „მაგრამ, ვფიქრობ, ეს უჩემოდაც კარგად იცი“.

პოლმა ოთახი გადაჭრა. პირდაპირ სამზარეულო იყო. მარჯვნივ მოკლე, განიერი დერეფანი წინა კარისაკენ მიდიოდა. დერეფანში კიბე იყო, რომელიც მეორე სართულზე ადიოდა. პოლმა კიბეს მხოლოდ წამით შეავლო თვალი. კიბის საფეხურებზე დაფენილ ხალიჩაზეც ნაყინი ესხა, ხოლო მოაჯირი გათხუპნული იყო. პოლი კარისკენ წავიდა. კაცმა გაიფიქრა, ეტლზე მიჯაჭვული ამ სახლიდან გაღწევას მხოლოდ სამზარეულოს კარით მოვახერხებო. ენი ბოსელში სამზარეულოს კარით გადიოდა. როდესაც დიდებული რანჩოს მეპატრონე მოვიდა, ქალი მაშინაც ამ კარიდან გავარდა მასთან შესახვედრად. „იქნებ ბედმა მეც გამიღიმოს და გასვლა შევძლოო“, - გაიფირა კაცმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბედმა არ გაუღიმა.

პოლმა იცოდა, რომ აივნიდან ჩასასვლელი კიბე ძირს თითქმის შვეულად ეშვებოდა. კიბეზე ინვალიდის ეტლისათვის ჩასასვლელი გათვალისწინებულიც რომ ყოფილიყო (მაგრამ ამ შესაძლებლობას ვერც ბავშვობისდროინდელ თამაშში - „შეგიძლია?“ წარმოიდგენდა) პოლი მაინც ვერ ისარგებლებდა იმ კიბით, რადგან კარს სამი კლიტე ედო. კაცს შესაძლოა ურდული გაეღო, მაგრამ დანარჩენი ორი - „კრეიგის“ ფირმის საკეტის გახსნა შეუძლებელი იყო. პოლის მეგობრის, ყოფილი პოლიციელის ტომ ტუიფორდის თქმით, ეს ფირმა მსოფლიოში საუკეთესო საკეტებს უშვებდა. იქნებ გასაღები მოეძებნა. სად არის გასაღები? აა... ენის სიცილის ადგილისაკენ ხომ არ მიიჩქარის? დიიახ, სერ... მიეცით ამ კაცს სიგარა და სარჩილავი, სიგარის ასანთებად!

პოლი წინკარს მოცილდა და უკან მოტრიალდა. პანიკაში რომ არ ჩავარდნილიყო, თავს ინუგეშებდა, წინკარიდან გასვლის იმედი მაინცდამაინც არ მქონდაო. ახლა გეზი პირდაპირ სამზარეულოსაკენ აიღო. ძველმოდური სამზარეულო აღმოჩნდა, რომელსაც იატაკი ღია ფერის, ჭერი კი თუნუქის ჰქონდა. მაცივარიც ძველი იყო, მაგრამ არ ხმაურობდა. სამი თუ ოთხი მაგნიტის ფიგურა

იყო მაცივრის კარზე მიკრული. რასაკვირველია, ყველა მათგანს სასუსნავის ფორმა ჰქონდა: შოკოლადის ფილა, ფუნთუშა თუ საღეჭი რეზინა. ერთერთი კარადის კარი ღია იყო. პოლმა დაინახა, რომ თაროებზე მუშამბა კოხტად და ფაქიზად იყო დაფარებული. ჭურჭლის სარეცხი ნიჟარის თავზე კედელში დიდი ფანჯარა ჩაესვათ, საიდანაც სამზარეულოში ალბათ ღრუბლიან ამინდშიც კი დღის შუქი უხვად შემოდიოდა და სამზარეულო ნათელი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე არ იყო. იატაკზე თავღია ნაგვის ყუთი ეგდო, საიდანაც გაფუჭებული საჭმლის მყრალი სუნი ამოდიოდა, თუმცა უარესი სუნიც არსებობდა, რომელიც მხოლოდ პოლის წარმოსახვაში იყო და კაცს იმაზე უსიამოვნოდ განაწყობდა, ვიდრე მთელი ეს სიმყრალე. ამ სუნს „პარფიუმ დე უილკსი“ - გიჟის სურნელი ერქვა.

სამზარეულოში სამი კარი იყო, ორი - მარცხნივ, ხოლო ერთი - მაცივარსა და ბუფეტს შორის. პოლი პირველად მარცხნივ წავიდა. ორიდან ერთი კარადის კარი აღმოჩნდა. სანამ ენის პალტოებს, ქუდებს, შარფებსა და ფეხსაცმელებს დაინახავდა, ამას კარის ნაცნობ ჭრიალზე მიხვდა. მეორე კარით ენი ალბათ გარეთ გადიოდა. მაგრამ ეს კარიც ურდულითა და „კრეიგის“ საკეტით იყო ჩაკეტილი. როიდმანებო, ვერ შემოხვალთ. პოლ, შენ კი ვერ გახვალ. ჰა ჰა ჰა...

კაცს ენის სიცილის ხმა ჩაესმა.

- უუჰ, შენი დედაც... შე, ძუკნა! - პოლმა კარს მუშტები დაუშინა. ხელი ეტკინა, მერე ნატკენი ხელი პირთან მიიტანა. კაცს ტირილი მოაწვა. პოლი ვერ იტანდა, როდესაც თვალებზე ცრემლი მოადგებოდა და მზერა უორდებოდა, მაგრამ რა ექნა, ცრემლს ვერ იკავებდა. პოლის გონება პანიკამ მოიცვა. „რა ვქნა, ღმერთო, მიშველე, რა ვქნა. შეიძლება ეს ჩემი ბოლო შანსი იყოს“, - სასოწარკვეთილი ფიქრობდა პოლი. „რა ჰქენი და მშვიდად გაიაზრე

შექმნილი მდგომარეობა“, - მკაცრად გააფრთხილა მან თავისი თავი. - „იფიქრე, რისი გაკეთება შეიძლება“.

პოლმა თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა. ტირილი ამ მდგომარეობიდან ვერ იხსნიდა. კაცმა კარის თავზე დატანებულ ფანჯარას ახედა. ფანჯრის ჩარჩოში მთლიანი შუშა კი არა, შუშის თექვსმეტი პატარა ნაჭერი იყო ჩასმული. კარგი, თექვსმეტივე შუშას ჩაამტვრევდა. მაგრამ ჩარჩოები მყარი ჩანდა. ხელით მათ დამტვრევას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხერხი იყო საჭირო. მაგრამ ბოლოს რა მოხდებოდა? ისკუპებდა და თავგანწირული ნახტომით უკანა აივანზე ჩავარდებოდა? დიდებული აზრია. ჰოდა, კისერსაც მოიტეხდა. მაგრამ მოტეხილი კისერი ფეხების ტკივილს ცოტა ხნით გადაავიწყებდა. იქ წვიმაში დიდხანს წოლა არ მოუწევდა. მალე მოეღებოდა ბოლო და მთელი ეს დამპალი საქმე ასე დასრულდებოდა.

„არავითარ შემთხვევაში, მაგის დედაც“... - გაიფიქრა პოლმა.- „შეიძლება ფარხმალი მართლა დავყარო, მაგრამ ვფიცავ, ამას არ ჩავიდენ, ვიდრე ჩემს უდიდეს თაყვანისმცემელს არ ვუჩვენებ, რა სიამოვნებით გავშიფრე ის. ეს უბრალო დაპირება არ არის, ეს წმინდა ფიცია.

კაცი დამშვიდდა. უფრო იმ აზრმა დააწყნარა, რომ სამაგიეროს გადაუხდიდა ენის, ვიდრე თავისი თავის გაკიცხვამ. დაკეტილი კარის გვერდით ჩამრთველს ხელი არხეინად დაჰკრა და შუქი აანთო. აივანი განათდა. სახლთან მისასვლელი გზა წვიმას დაეტბორა. ეზო ატალახებული იყო და ადგილადგილ გამდნარი თოვლის გუბეები იდგა. პოლმა გზა პირველად დაინახა, მაგრამ დიდი სიხარული არ უგრძვნია. ორი შავი ზოლი სელაპივით გაწოლილიყო, ხოლო გზის შუა ნაწილში ჭუჭყიანი თოვლი ისევ იდო.

„შეიძლება ენი კარებს იმიტომ კეტავს, რომ როიდმანებისაგან დაიცვას თავი. მაგრამ რა საჭიროა, ჩემი შინ გამოკეტვა. ამ ეტ-

ლით სად უნდა გავიქცე. ხუთ წამში სადმე ჩავეფლობი. შენ არსად წამსვლელი არა ხარ, პოლ. არც ამ ღამეს და არც მომდევნო კვირების განმავლობაში. ერთ თვეში შეიძლება, როდესაც ბეისბოლის სეზონი დადგება და მიწაც სათანადოდ გაშრება, რომ ეტლით გზაზე გასვლა შეძლო. შენ გინდა, ფანჯარა გატეხო და ხოხვით დაადგე გზას“.

არა, პოლს ეს არ უნდოდა. ადვილი წარმოსადგენია, ათ, თხუთმეტ წუთში რა მოუვიდოდა მის დამსხვრეულ ძვლებს. მომაკვდავ თავკომბალასავით იფართხალებდა გუბეებში. დავუშვათ, მთავარ გზამდე მაინც ფორთხვით წასულიყო, გამოივლიდა კი რამე მანქანა, „ბებერი ბესის“ გარდა, აქ მხოლოდ ორჯერ გაიგო მანქანის ხმა. ერთი დიდებული რანჩოს მეპატრონეს „შევროლე“ იყო, ხოლო მეორე, საძინებლიდან პოლის პირველი გამობრძანების დროს გზაზე ჩავლილი მანქანის ხმა, რომელმაც კაცს შიშით გული გაუხეთქა.

პოლმა აივანზე შუქი გამორთო და მაცივარსა და ბუფეტს შორის კარისკენ წავიდა. ეს კარიც სამი საკეტით იყო ჩაკეტილი, თუმცა გარეთ არ გადიოდა, ყოველ შემთხვევაში, ამ კარიდან პირდაპირ გარეთ ვერ მოხვდებოდი. კარის გვერდით კიდევ ერთი ჩამრთველი იყო. პოლმა შუქი ჩართო და კარის თავზე დატანებული ფანჯრიდან ქარის მხარეს, სახლზე მოშენებული სუფთა ფარდული დაინახა, რომლის ერთ ბოლოში შეშა, ნაჯახი და დაჩეხილი მორები ეწყო. მეორე ბოლოში კი სამუშაო მაგიდა იდგა. საკიდზე, რომელიც მაგიდის გვერდით კედელზე იყო დამაგრებული, სამუშაო იარაღები ეკიდა. იქ კიდევ ერთი კარი იყო. თუმცა ფარდულს ნათურა კაშკაშა შუქით არ ანათებდა, პოლმა მაინც გაარჩია, რომ ის კარიც სამი საკეტით იყო ჩარაზული.

„როიდმანები... ყველა... ყველა ჩემ წინააღმდეგაა“...

- იმათი ამბავი არ ვიცი, - თქვა პოლმა ხმამაღლა ცარიელ სამზარეულოში, - მაგრამ მე კი ვარ წინააღმდეგი.

პოლმა თავი დაანება თითოეული კარის სინჯვაშემოწმებას და ბუფეტისკენ წავიდა, რომ თაროებზე რამე საჭმელი ეპოვა. სანამ რამეს იპოვიდა, ასანთის ორ კოლოფს მოჰკრა თვალი.

ცეცხლი ხომ არ გავაჩინო, - ერთ წამს გაუელვა თავში, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყო. მერე კი ისეთი რამ დაინახა, ცეცხლის წაკიდებაზე ხელახლა დაიწყო ფიქრი. იქვე კიდევ ერთი კარი აღმოჩნდა, რომელიც ჩაკეტილი არ იყო.

პოლმა კარი გააღო. დაკიდებული და თან საკმაოდ მორყეული კიბე სარდაფში ეშვებოდა. სიბნელიდან გაფუჭებული და დამპალი ბოსტნეულის სუნი ამოვარდა. პოლმა ხმადაბალი წრიპინიც გაიგო. კაცს ენის ნათქვამი მოაგონდა: „წვიმაში სარდაფში შემოდიან. ხაფანგის დაგება მიწევს“.

პოლმა სასწრაფოდ დახურა კარი. შუბლიდან ჩამოსულმა ოფლის წვეთებმა კაცს თვალები აუწვა. პოლმა თვალები მომუშტული ხელის ზურგით მოიწმინდა.

„კარზე საკეტი არ არის. მართლაც გავაჩენ ცეცხლს და სარდაფში დავიმალები“, - გაიფიქრა პოლმა. მაგრამ, ჯერ ერთი, კიბე იყო ძალიან დამრეცი და მორყეული, მეორეც, შეიძლებოდა საიდუინდერის სახანძრო რაზმის მოსვლამდე იქ დამხრჩვალიყო და კიდევ ვირთხები... მათი ხმის ატანა არ შეეძლო. ეს ყველაზე უარესი იყო.

„გული როგორ უცემს! თავის დაღწევას როგორ ცდილობს! როგორც ჩვენ, პოლ, როგორც ჩვენ“.

- აფრიკა, - თქვა პოლმა, მაგრამ თავისი ნათქვამი არ გაუგია. კაცი ბუფეტში კონსერვებისა და ქილების ძებნას შეუდგა არჩევდა, რომელი წაეღო, რომ ენის ვერაფერი შეემჩნია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კაცის გონების ერთმა ნაწილმა გაქცევაზე ფიქრი შეწყვიტა.

„მხოლოდ დროებით“, - პროტესტი გამოხატა კაცის აღელვებულმა გონებამ.

„არა, სამუდამოდ, პოლ, სამუდამოდ“, - გასცა პასუხი შეუბრალებელმა ხმამ.

„არასოდეს დავნებდები“, - წაიჩურჩულა პოლმა. - „გესმის, არასოდეს“.

„არასოდეს?“ - გესლიანად მიუგო ირონიულმა ხმამ. - „ამასაც ვნახავთ“.

„ვნახავთ“.

17

ენის საკუჭნაო თავშესაფარში მოწყობილ სურსათის საწყობს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბრალო, საოჯახო საკუჭნაოს. პოლი მიხვდა, ეს მარაგი არსებული რეალობის გამო შეიქმნა. ენი მარტოხელა ქალი იყო, რომელიც მთაში ცხოვრობდა, სადაც ადამიანი გარკვეული დროით, ერთი ან ორი დღით, ზოგჯერ ერთი ან ორი კვირითაც კი გარესამყაროდან მოწყვეტილი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაძლოა იმ ოხერ როიდმანებსაც ისეთი საკუჭნაო ჰქონდათ, ქვეყნის სხვა ნაწილში მცხოვრებ ადამიანს გაკვირვებისაგან წარბები აეზიდა... მაგრამ პოლი ეჭვობდა, რომ როიდმანებს ან სხვა ოჯახს აქ, მთაში ისეთი საკუჭნაო ჰქონოდა, რომელიც ოდნავ მაინც მიუახლოვდებოდა იმას, რასაც ახლა ხედავდა. ეს საკუჭნაო კი არა, ეშმაკმა დალახვროს, სუპერმარკეტი იყო. პოლმა გაიფიქრა, ამაში რაღაც გარკვეული სიმბოლიზმი დევსო. ამ საკუჭნაოში თვალნათლივ ხედავ, სად არის საზღვარი რეალიზმის სუვერენულ სახელმწიფოსა და პარანოიის სახალხო რესპუბლიკას შორის. მაგრამ ამ სიტუაციაში არ ღირდა ამ თემის დაწვრილებით განხილვა. ჯანდაბას სიმბოლიზმი. წადი, საჭმელი მოიპოვე! - შეუძახა პოლმა თავის თავს.

ოღონდ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. მთავარი ის კი არ იყო, პროდუქტი ისე აეღო, რომ ენის არ შეემჩნია. მთავარი ის იყო, იმდენი აეღო, რომ შენახვა შესაძლებელი ყოფილიყო, თუ ვინიცობაა ენი მოულოდნელად დაბრუნდებოდა. მაგრამ საკითხავია, როგორ ჩამობრძანდებოდა ქალბატონი. სამწუხაროდ, სახლში ტელეფონი არ მუშაობდა. საეჭვოა, ჩამოსვლა დეპეშით შეეტყობინებინა ან ყვავილები გამოეგზავნა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქალი რომელი პროდუქტების სიმცირეს შეამჩნევდა აქ და რას იპოვიდა პოლის ოთახში, ბოლოს და ბოლოს ჭამა ხომ პოლსაც უნდოდა.

სარდინები. თაროზე უამრავი დაკონსერვებული სარდინის მართკუთხა ქილა იდო, რომელსაც თავისივე გასახსნელი ჰქონდა. ძალიანაც კარგი. პოლმა რამდენიმე ქილა აიღო. თაროზე დაკონსერვებული ლორიც იყო, რომლის ქილას გასახსნელი არ ჰქონდა, მაგრამ სამზარეულოში გახსნიდა და პირველად ლორს შეჭამდა, ცარიელ ქილებს კი თავღია ნაგვის ყუთში ჩააგდებდა. პოლმა გახსნილ ფუთასაც მოჰკრა თვალი. ფუთაში პატარპატარა კოლოფებში დაფასოებული ქიშმიში იყო. გახეული ცელოფნის შეფუთვაზე ეწერა: „მინი საუზმე“. პოლმა კალთაში შეგროვილ ქილებს ოთხი „მინი საუზმე“ და ხორბლის ბურბუშელა დაუმატა. კაცმა შეამჩნია, რომ ტკბილი ბურბუშელა თაროზე არ იდო. ალბათ ენიმ ბოლო ქეიფის დროს მოუღო ბოლო, თუკი ასეთი ბურბუშელა საერთოდ ჰქონდა.

ზედა თაროზე შებოლილი ძეხვი - „სლიმ ჯიმსი“ იწონებდა თავს. პოლმა ოთხი ცალი ფრთხილად აიღო ისე, რომ ძეხვების პირამიდა არ დაერღვია. ერთი იქვე შეჭამა. ძეხვს მარილისა და ცხიმის გემო ჰქონდა. ქაღალდი, რომელშიც ძეხვი იყო შეფუთული, დაჭმუჭნა და შარვალში ჩაიჩურთა, მერე გადავაგდებო.

პოლმა ფეხების ტკივილი იგრძნო. თუ გაქცევას ან სახლის გადაწვას არ აპირებდა, თავის ოთახში უნდა დაბრუნებულიყო. რასაკვირველია, დამარცხდა, მაგრამ უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. ახლა აბებს მიიღებდა და სანამ რული მოერეოდა, წერას გააგრძელებდა. მერე კი დაიძინებდა. საეჭვოა, ენი ღამით დაბრუნებულიყო. ქარი ჩადგომას არ აპირებდა, უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პოლს ხიბლავდა ის აზრი, რომ მშვიდად შეეძლო წერა, მერე კი ცარიელ სახლში ასევე მშვიდად დაიძინებდა, ხოლო ენი თავისი გიჟური იდეებითა და უფრო გიჟური მოთხოვნებით ოთახში ვერ შემოეჭრებოდა.

პოლი საკუჭნაოდან გამოვიდა. შუქი გამორთო. ცდილობდა, კვალი არ დაეტოვებინა. თუ ქალის დაბრუნებამდე საჭმელი გა-

უთავდებოდა, ყოველთვის შეეძლო უკან დაბრუნება (როგორც მშიერი ვირთხა, არა, პოლ?).

მაგრამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. საძინებელი ოთახიდან ყოველი გამოსვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ამის დავიწყება არაფრით შეიძლებოდა.

პოლი სასტუმრო ოთახში გავიდა, სადაც მისი ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო მაგიდის ქვეშ მიგდებულმა ალბომმა, რომელსაც „ხსოვნის ბილიკი“ ერქვა და შექსპირის ნაწარმოებების კრებულივით დიდი და საოჯახო ბიბლიასავით სქელი იყო.

ცნობისმოყვარე პოლმა ალბომი აიღო და გადაშალა.

პირველ გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი ფურცელი დაეკრათ, ერთ სვეტად დაბეჭდილ ტექსტს ეს სათაური ჰქონდა: „უილკსისა და ბერიმანის ქორწილი“. იქვე სურათიც იყო ჩაწებებული, რომელზეც ფერმკრთალი, ვიწროსახიანი ჯენტლმენი და შავთვალება, დიდპირა ქალი იყვნენ გამოსახული. პოლმა მზერა გაზეთში დაბეჭდილი ფოტოდან ბუხრის თავზე ჩამოკიდებულ სურათზე გადაიტანა. გაზეთში ნახსენები და ფოტოზე აღბეჭდილი კრისილდა ბერიმანი ნამდვილად ენის დედა იყო (პოლმა გაიფიქრა, ეს სახელი მიზერის შესახებ დაწერილ მთელ რომანს უდრისო). გაზეთის ფურცლის ქვემოთ შავი მელნით აკურატულად ეწერა: „ბეიკერსფილდ ჯორნალი“, 1938 წლის 30 მაისი.

ალბომის მეორე გვერდზე დაკრული იყო განცხადება: პოლ ემერი უილკსი, დაიბადა ბეიკერსფილდის საავადმყოფოში 1939 წლის 12 მაისს. მამა - კარლ უილკსი, დედა - კრისილდა უილკსი. ენის უფროსი ძმის სახელმა პოლი შეაშინა. ალბათ სწორედ მასთან ერთად დადიოდა ენი კინოში და სერიალებს უყურებდა. ენის ძმასაც პოლი ერქვა.

მესამე გვერდზე ენი მარია უილკსის დაბადების შესახებ იყო განცხადება. ენი დაიბადა 1943 წლის 1 აპრილს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ენი ცოტა ხნის წინ გამხდარიყო ორმოცდაოთხი წლის. პოლს არ გამოპარვია ის ფაქტი, რომ ენი პირველ აპრილს დაიბადა.

მოულოდნელად გარეთ ქარმა უფრო მძლავრად დაუბერა. წვიმა კი სახლს გამეტებით ეხეთქებოდა. პოლმა ალბომი მომდევნო გვერდზე გადაშალა. გაოგნებულს, ტკივილი ცოტა ხნით გადაავიწყდა.

შემდეგი ამონარიდიც „ბეიკერსფილდ ჯორნალიდან“ იყო. საგაზეთო ფოტოზე, შენობის ერთერთი ფანჯრიდან გამოვარდნილი ცეცხლის ფონზე, კიბეზე მდგარი მეხანძრე იყო გამოსახული.

საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს

ხუთი ადამიანი ემსხვერპლა

ოთხშაბათს გამთენიისას უოჩ ჰილის გამზირზე მდებარე ერთერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის დროს 5 ადამიანი დაიღუპა. გარდაცვლილებიდან ოთხი კრენმიცების ოჯახიდან იყო. სამი მათგანი მცირეწლოვანი გახლდათ - 8 წლის პოლ კრენმიცი, 6 წლის ფრედერიკ კრენმიცი და 3 წლის ელისონ კრენმიცი. ოჯახის მეოთხე გარდაცვლილი წევრი ბავშვების მამა 41 წლის ადრიან კრენმიცია. მისტერ კრენმიცმა ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრის 18 თვის ლორინ კრენმიცის ალმოდებული შენობიდან გამოყვანა და გადარჩენა მოახერხა. მისის ჯესიკა კრენმიცის თქმით, მეუღლემ პატარა ლორინი მას გადასცა და უთხრა: „ახლავე დავბრუნდები დანარჩენ ბავშვებთან ერთადო“. „მას შემდეგ ის აღარ მინახავს“, - განაცხადა მისის კრენმიცმა.

მეხუთე გარდაცვლილი 58 წლის ირვინგ თალმანი მარტო ცხოვრობდა შენობის ბოლო სართულზე. ხანძრის დროს მესამე სართულზე მდებარე ბინა ცარიელი იყო. კარლ უილკსის ოჯახი, რომელიც ამ ბინაში ცხოვრობდა, თავდაპირველად დაკარგულად გამოაცხადეს, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ოჯახმა სამშაბათს ღამით დატოვა შენობა იმის გამო, რომ მათ სამზარეულოში წყალი ჟონავდა.

„ვიზიარებ მისის კრენმიცის მწუხარებას“, - განუცხადა კრისილდა უილკსმა „ბეიკერსფილდ ჯორნალის“ რეპორტიორს, -

„მაგრამ ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩემი მეუღლე და ჩვენი ორი შვილი დაიფარა უბედურებისაგან“.

ქალაქ ცენტრალიას სახანძრო სამსახურის უფროსი მაიკლ ო’ვუნი აცხადებს, რომ ცეცხლი შენობის სარდაფში გაჩნდა. კითხვაზე, არსებობს თუ არა ეჭვი, რომ ვინმემ განზრახ გააჩინა ცეცხლი, მან ასე უპასუხა: „სავარაუდოდ, ვიღაც ლოთი შეძვრა სარდაფში, ერთიორი ყლუპი დალია, სიგარეტი გააბოლა და შემთხვევით გააჩინა ცეცხლი. მერე კი, იმის ნაცვლად, რომ ცეცხლი ჩაექრო, გაიქცა და შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. იმედია, დამნაშავეს დავაკავებთ“. კვალთან დაკავშირებით, ო’ვუნმა განაცხადა: „დანამდვილებით გეუბნებით, რომ პოლიცია რამდენიმე ვერსიას აქტიურად განიხილავს“.

გაზეთის ფურცლის ქვემოთ ისევ შავი მელნით აკურატულად ეწერა - 1954 წლის 28 ოქტომბერი. პოლმა თავი ასწია. გაოგნებული იყო. პულსაციას ყელში გრძნობდა. შიგნეულობა მოდუნებული და გახურებული ჰქონდა.

პატარა ონავრები.

გარდაცვლილებიდან სამი ბავშვი იყო.

მისის კრენმიცის ოთხი ონავარი.

ო, არა. ღმერთო ჩემო, არა.

ვერ ვიტანდი იმ პატარა ონავრებს.

მაშინ თავადაც ბავშვი იყო!

თვითონ სახლში არ იყო!

თერთმეტი წლის იყო. ალბათ საკმარისად დიდი და ჭკვიანი, რომ ნავთი მოესხა იაფფასიანი ალკოჰოლის ბოთლის გარშემო, აენთო სანთელი და ნავთით დასვრილ იატაკზე დაედო. იქნებ ეგონა, არაფერი გამოუვიდოდა. იქნებ ეგონა, ნავთი მანამ აორთქლდებოდა, სანამ სანთელი ბოლომდე დაიწვებოდა. იქნებ ეგონა, ცოცხლები გამოაღწევდნენ შენობიდან... უბრალოდ მათი

შეშინება უნდოდა. მაგრამ მან ეს გააკეთა, პოლ. მაგის დედაც... მან ეს გააკეთა. კარგად იცი, რომ გააკეთა.

პოლი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც წარმოიდგინა. ბავშვზე ეჭვს ვინ მიიტანდა?

პოლმა ალბომი გადაფურცლა.

კიდევ ერთი ამონარიდი „ბეიკერსფილდ ჯორნალიდან“ 1957 წლის 19 ივლისით იყო დათარიღებული. გაზეთიდან ამონარიდს ერთვოდა კარლ უილკსის ფოტო, რომელზეც ის ასაკოვანი ჩანდა. ერთი რამ ნათელი იყო: ამ ფოტოზე გამოსახული მისტერ უილკსი მეტად აღარ დაბერებულა, რადგან ამონარიდი მისტერ უილკსის ნეკროლოგი იყო.

ბეიკერსფილდელი ბუღალტერი

უბედური შემთხვევის დროს გარდაიცვალა

ბეიკერსფილდელი კარლ უილკსი ჰერნანდესის სახელობის მთავარ საავადმყოფოში მიყვანიდან მცირე ხანში გარდაიცვალა. როგორც ჩანს, ის მაშინ დაგორდა კიბეზე, როდესაც იქვე დაყრილ ტანსაცმელზე წაბორძიკდა. საავადმყოფოს მორიგე ექიმმა დოქტორ ფრენკ კენლიმ განაცხადა, რომ უილკსი თავის ქალის მრავლობითი დაზიანებითა და კისრის მოტეხილობით გარდაიცვალა. მისტერ უილკსი 44 წლის იყო.

უილკსს დარჩა მეუღლე კრისილდა, 18 წლის ვაჟი პოლი და 14 წლის ქალიშვილი ენი.

როცა პოლმა ალბომი მომდევნო გვერდზე გადაშალა, კაცს ეჭვი შეეპარა, მამის ნეკროლოგი ენიმ მეორეჯერ ხომ არ ჩააკრა ან იქნებ სენტიმენტალური გრძნობები მოერია ან შემთხვევით მოუვიდაო (კაცის აზრით, შემთხვევითობა უფრო სავარაუდო იყო). მაგრამ ამ ნეკროლოგში სხვა უბედურ შემთხვევაზე იყო საუბარი. ორი შემთხვევის მსგავსება იმით აიხსნებოდა, რომ არც ერთი იყო უბედური შემთხვევა და არც მეორე.

პოლი გაშეშდა და შიშმა შეიპყრო.

გაზეთის ფურცლის ქვემოთ ისევ აკურატულად ეწერა „ლოსანჯელეს

ქოლი“, 1962 წლის 29 იანვარი.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტი უბედური შემთხვევის დროს დაიღუპა ანდრეა სენტ ჯეიმსი, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტი - მომავალი მედდა ჩრდილო ლოსანჯელესის მერსის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. გოგონა უცნაური უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

მის სენტ ჯეიმსი უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ თანაკურსელ ბეიკერსფილდელ ენი უილკსთან ერთად დელორმის ქუჩაზე მდებარე ბინას ქირაობდა. საღამოს 11 საათი ხდებოდა, როდესაც მის უილკსმა კივილისა და „ბრაგვანის საშინელი ხმა“ გაიგო. ამ დროს მის უილკსი მეცადინეობდა. უცნაური ხმის გაგონებისას ის მესამე სართულის კიბის ზედა ბაქანზე გამოვარდა და დაინახა მის სენტ ჯეიმსი, რომელიც ქვემოთ „ძალიან არაბუნებრივ მდგომარეობაში გაშხლართულიყო“.

მის უილკსმა განაცხადა, რომ სცადა მას დახმარებოდა, მაგრამ თავადაც კინაღამ დაეცა. „ჩვენ კატა გვყავდა სახელად პიტერ გუნი“, - თქვა მის უილკსმა. - „ის რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოჩენილა. ვიფიქრეთ, რომ წაიყვანეს, რადგან ყოველთვის გვავიწყდებოდა მისთვის საყელურის ყიდვა. კატა მკვდარი იწვა კიბეზე. ანდრეა კატაზე წაბორძიკდა. ანდრეას ჩემი სვიტერი გადავაფარე და საავადმყოფოში დავრეკე. ვიცოდი, რომ უკვე მკვდარი იყო, მაგრამ არ ვიცოდი, სხვაგან სად დამერეკა“.

მის სენტ ჯეიმსი 21 წლის იყო.

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“ - იმეორებდა პოლი. ხელები საშინლად უკანკალებდა. შემდეგ გვერდზე „ქოლიდან“ ამონარი-

დი იყო ჩაკრული, სადაც ნათქვამი იყო, რომ უპატრონო კატა, რომელიც სტუდენტმა მედდებმა შეიფარეს, მოიწამლა.

„პიტერ გუნი. კარგი სახელია კატისთვის“, - გაიფიქრა პოლმა.

იმ სახლს, სადაც გოგონები ბინას ქირაობდნენ, სარდაფი ჰქონდა, რომელიც ვირთხებით იყო სავსე. ამის გამო მდგმურები ჩიოდნენ. უბედურ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე სახელმწიფო ზედამხედველებმა შენობის მეპატრონე გააფრთხილეს. ამის გამო ქალაქის საბჭოს სხდომაზე სახლის პატრონმა ერთი ამბავი ატეხა. გაზეთებში გაშუქდა ქალაქის საბჭოს სხდომა ამ და სხვა საკითხის დაძაბულად განხილვის გამო. ენის ეს ყველაფერი ეცოდინებოდა. საბჭოს წევრებმა სახლის პატრონს, რომელმაც მათ უშვერი სიტყვებით მიმართა, დიდი ჯარიმა დააკისრეს. ის იძულებული გახდა, სარდაფში საწამლავი დაეყარა. კატამ შეჭამა საწამლავი, სარდაფში ორი დღე იტანჯა, მერე რამდენადაც შეეძლო ახლოს მოვიდა თავის პატრონებთან და კიბეზე მოკვდა. მისმა სიკვდილმა კი ერთერთი პატრონიც შეიწირა.

ბედის ირონიაც ამას ჰქვია. სწორედ რომ პოლ ჰარვის საკადრისი ირონიაა, გაიფიქრა პოლ შელდონმა და გიჟივით გაიცინა. თავს დავდებ, ეს ამბავი ჰარვის ყოველდღიურ რადიოგადაცემაშიც მოხვდა.

მოხერხებული საქციელია. ძალიან მოხერხებული.

ენიმ ალბათ თავად ამოიტანა საწამლავი სარდაფიდან და კატას ხელით აჭამა. პიტერ გუნს ალბათ ჭამა არ უნდოდა, მაგრამ ენი საწამლავს საყლაპავში ჯოხით ჩრიდა. როცა კატა მოკვდა, ენიმ კიბეზე დადო იმ იმედით, რომ მისი გეგმა გაამართლებდა. ალბათ ფიქრობდა, რომ მისი მეზობელი ცოტა ნასვამი მოვიდოდა სახლში. რა გასაკვირია, ასეთი გეგმები დაეწყო. მკვდარი კატა, ტანსაცმლის გროვა. იგივე ხერხია. მაგრამ რატომ, ენი? ამ სტატიებში ყველა კითხვაზე არის პასუხი, გარდა ერთისა - რატომ?

ბოლო კვირის განმავლობაში პოლის წარმოსახვაში კაცის გონების ერთმა ნაწილმა, რომელიც თითქოს ენის დაემსგავსა, მის მსგავსად აზროვნებდა, მშრალად და კატეგორიულად გასცა კითხვას პასუხი. ნათქვამი სრული სიგიჟე, მაგრამ, ამავე დროს, სავსებით გასაგები იყო.

მოვკალი, რადგან რადიოს გვიანობამდე უსმენდა.

მოვკალი, რადგან სულელური სახელი დაარქვა კატას.

მოვკალი, რადგან დავიღალე იმის ყურებით, როგორ კოცნიდა თავის ბოიფრენდს დივანზე, ის კი რა ღრმად უყოფდა ხელს კაბის ქვეშ, თითქოს ოქროს ეძებდა.

მოვკალი, რადგან გამოვიჭირე ტყუილში.

მოვკალი, რადგან მე გამომიჭირა ტყუილში.

კონკრეტულ მიზეზს განა მნიშვნელობა აქვს? მოვკალი, რადგან ტუტუცი გოგო იყო და ეს საკმარისი მიზეზია.

„ან იქნებ იმიტომ, რომ ჭკვიანი გოგო იყო“, - წაიჩურჩულა პოლმა. მერე თავი უკან გადააქნია და შეშინებულმა გიჟივით გადაიხარხარა. „ესე იგი, ეს ენის ხსოვნის ხეივანია? ო, რა უცნაური და შხამიანი ყვავილები იზრდება თურმე შენს ძველ, უჩვეულო ხეივანში, ენი!“

ნუთუ არავის არასოდეს დაუკავშირებია ეს ორი უბედური შემთხვევა ერთმანეთთან? ჯერ მამამისი, მერე მისი მეზობელი. დაუჯერებელია, მაგრამ სიმართლეა.

ეს შემთხვევები ორ სხვადასხვა ქალაქში, ხუთი წლის ინტერვალით მოხდა. მათ შესახებ სხვადასხვა გაზეთი იუწყებოდა. იმ შტატში, სადაც ეს ამბები მოხდა, უამრავი ხალხი ცხოვრობს და ადამიანები ალბათ ხშირად გორდებიან კიბეზე და კისერს იტეხენ.

ის კი ძალიან, ძალიან ჭკვიანი იყო.

თითქმის ისეთივე ჭკვიანი, როგორც სატანა. თუმცა ქალი ამ თვისებას ნელნელა კარგავდა და თუ ენის, ბოლოს და ბოლოს,

პოლის მკვლელობისათვის დაიჭერდნენ, ეს პოლისთვის ვერაფერი ნუგეში იქნებოდა.

პოლმა ალბომი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც „ბეიკერსფილდ ჯორნალიდან“ ბოლო ამონარიდი იყო ჩაკრული. „მის უილკსმა მედდების სასწავლებელი დაამთავრა“ - იუწყებოდა სტატიის სათაური. ბეიკერსფილდელი გოგოს წარმატება. 1966 წლის 17 მაისი. ფოტოზე გამოსახული იყო ახალგაზრდა, გასაოცრად ლამაზი და მომღიმარი ენი უილკსი მედდის ფორმასა და ქუდში. რა თქმა უნდა, ფოტო სასწავლებლის დამთავრების დღეს იყო გადაღებული. ენიმ სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა. „უბრალოდ, ამისთვის მეზობლის მოკვლა დასჭირდა“, - გაიფიქრა პოლმა და შეშინებულმა, ნერვიულად გადაიხარხარა. პასუხად ქარმა დაუბერა და კედელზე ჩამოკიდებული ენის დედის სურათი ოდნავ შეარხია.

ალბომის მომდევნო გვერდზე გაზეთ „იუნიონლიდერიდან“ ამოჭრილი ფურცელი იყო ჩაკრული. გაზეთი ნიუ ჰემპშირის შტატში მდებარე ქალაქ მანჩესტერში იბეჭდებოდა. ეს უბრალო ნეკროლოგი 1969 წლის 2 მარტით იყო დათარიღებული და, ერთი შეხედვით, ენი უილკსთან საერთო არაფერი ჰქონდა. 79 წლის ერნესტ გონიარი სენტ ჯოზეფის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ნეკროლოგში სიკვდილის ზუსტი მიზეზი არ იყო მითითებული. „ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ“, - ეწერა ნეკროლოგში. გარდაცვლილს თორმეტი შვილი და ოთხასამდე შვილიშვილი და შვილთაშვილი დარჩა.

„აი, მესმის შთამომავლობა, შთამბეჭდავი ციფრია“, - ისევ ნერვიულად გაეცინა პოლს. „საბრალო ერნის ენიმ მოუღო ბოლო. აბა, მის ნეკროლოგს ამ წიგნში რა უნდა? ეს ხომ ენის მიცვალებულთა ალბომია“.

„რატომ, ენი, რატომ? მითხარი, ღვთის გულისათვის“. ენი უილკსის შემთხვევაში ამ კითხვაზე კეთილგონიერი პასუხის მიღება შეუძლებელი იყო. ეს პოლმაც კარგად იცოდა.

პოლმა ალბომი კვლავ გადაფურცლა. მომდევნო გვერდზე ისევ „იუნიონლიდერიდან“ ამოჭრილი ნეკროლოგი იყო მოთავსებული, რომელიც 1969 წლის 19 მარტით თარიღდებოდა. ქალი, სახელად ჰესტერ „ქვინი“ ბოლიფანტი, ოთხმოცდაოთხი წლის იყო. ისიც, როგორც ერნი, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სენტ ჯოზეფის საავადმყოფოში გარდაიცვალა. პანაშვიდები გაიმართება ოც მარტს ორ და ექვს საათზე ფოსტერის დამკრძალავ ბიუროში, იუწყებოდა გაზეთი. დაკრძალვა ოცდაერთ მარტს ოთხ საათზე მერი ქირის სასაფლაოზე.

- მორმონთა გუნდმა ალბათ იგალობა: „ენი, ჩვენთან მოდი, ჩვენთან“, - გაიფიქრა პოლმა და ისევ ნერვიული სიცილი აუტყდა.

ალბომის მომდევნო გვერდებზე გაზეთ „იუნიონლიდერიდან“ ამოჭრილი კიდევ სამი ნეკროლოგი იყო ჩაწებებული. ორი მოხუცი კაცი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ხოლო მესამე - ორმოცდაექვსი წლის ქალი, რომელსაც სახელად პოლეტ სიმო ერქვა, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. „ქალი შესაძლოა მოულოდნელად, კორონარული თრომბოზით გარდაიცვალა“, - გაიფიქრა პოლმა. სამივე შემთხვევა სენტ ჯოზეფის საავადმყოფოში მომხდარა.

„საინტერესოა, 1969 წლის მარტის თვის მედდების მორიგეობის გრაფიკს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ იქ ენი უილკსის სახელსა და გვარს?.. რასაკვირველია, აღმოვაჩენთ“. - მსჯელობდა თავისთვის პოლი.

„ღმერთო დიდებულო, საკმარისია. აღარ მინდა აღარაფრის წაკითხვა ამ უშველებელ წიგნში. ისევ იმ ადგილას დავდებ, საიდანაც ავიღე და ჩემს ოთახში წავალ. ვფიქრობ, დღეს ვერაფერს დავწერ. კოშმარები რომ არ დამესიზმროს, დამატებით ერთ აბ-

საც მივიღებ და მერე დავიძინებ. ენის „ხსოვნის ბილიკის“ კითხვა აღარ შემიძლია“.

მაგრამ პოლის ხელები თავის ნებაზე მოქმედებდა. თითები ალბომს კიდევ და კიდევ ფურცლავდა.

ორი მოკლე ცნობა გარდაცვალებისშესახებ ისევ „იუნიონ ლიდერიდან“. ერთი დათარიღებული იყო 1969 წლის სექტემბრის, ხოლო მეორე - იმავე წლის ოქტომბრის თვით.

1970 წლის 19 მარტი. პენსილვანიის შტატი, ქალაქი ჰარისბურგი. სტატია ამოჭრილი იყო გაზეთ „ჰერალდის“ ბოლო გვერდიდან: საავადმყოფოს ახალი თანამშრომლები.

სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ახალ ხელმძღვანელთან ერთად რივერვიუს საავადმყოფოს ოცი ახალი თანამშრომელი დაემატა: ორი ექიმი, რვა მედდა, სასადილოს მომსახურე პერსონალი, სანიტრები და შვეიცარი. სტატიას თან ახლდა მელოტი და სათვალიანი კაცის სურათი. ის ალბათ საავადმყოფოს ახალი დირექტორი იყო, რომელმაც პოლზე ფარული ნარკომანის შთაბეჭდილება დატოვა. მედდების ჩამონათვალში ენი უილკსიც იყო.

„ალბომის მიმდევნო გვერდებზე ალბათ ვნახავ რივერვიუს საავადმყოფოს ხანშიშესულ პაციენტთა გარდაცვალების ცნობებსო“, - გაიფიქრა პოლმა და არც შემცდარა. ერთი მოხუცი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალაო, იუწყებოდა გაზეთი. ერთი ხანშიშესული კაცი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოკვდაო. შემდეგ იყო ცნობა სამი წლის ბავშვის შესახებ, რომელიც ჭაში ჩავარდნილიყო და თავის ქალის დაზიანებებით რივერვიუს საავადმყოფოში კომატოზურ მდგომარეობაში მიეყვანათ.

პოლი გაშეშებული განაგრძობდა ალბომის ფურცვლას. გარეთ კი ქარი და წვიმა სახლს გამეტებით ეხეთქებოდა. ენი უილკსს ასეთი მეთოდი ჰქონდა: მოეწყობოდა სამსახურში, ხოცავდა ხალხს და ახალ ადგილზე გადადიოდა.

მოულოდნელად პოლს თვალწინ ადრე ნანახი და უკვე დავიწყებული სიზმარი წარმოუდგა. კაცს დეჟავიუს განცდა დაეუფლა. პოლის სიზმარში ენი უილკსს გრძელი კაბა ეცვა, წინსაფარი ეკეთა და თავზე სამედიცინო ქუდი ეხურა. ქალი ლონდონის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მედდა იყო. იდაყვში მოხრილი მკლავი კალათის სახელურში ჰქონდა გაყრილი. დროდადრო ქალი კალათიდან სილას მუჭით იღებდა და ავადმყოფებს სახეში აყრიდა. ეს სილა დამამშვიდებელი კი არა, მომწამვლელი იყო. როგორც კი ავადმყოფს სახეზე შეეხებოდა, სახე თეთრდებოდა, მონიტორზეც სწორი ხაზი იხატებოდა და ადამიანი კვდებოდა.

„შეიძლება ბავშვები იმიტომ მოკლა, რომ ონავრები იყვნენ“, - გაიფიქრა პოლმა. „მეზობელიც... და ვინ იცის, მამაც ამავე მიზეზით გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ სხვა ადამიანები?“

პოლმა იცოდა. კაცის გონების იმ ნაწილმა, რომელიც ენივით აზროვნებდა, ყველაფერი მშვენივრად იცოდა. დანარჩენები მოხუცები და ავადმყოფები იყვნენ. მისის სიმოსა და სამი წლის ჭაში ჩავარდნილი ბავშვის გარდა. მაგრამ ისინი საავადმყოფოში უიმედო მდგომარეობაში მოიყვანეს. ენიმ ისინი დახოცა იმიტომ, რომ...

„იმიტომ, რომ ხაფანგში გაბმული ვირთხებივით იყვნენ“, - წაიჩურჩულა პოლმა.

საბრალო, საცოდავი არსებები.

ენის წარმოდგენით, ხალხი სამ ჯგუფად იყოფოდა: ონავრები, საცოდავი არსებები... და ენი.

ის დასავლეთის მიმართულებით შეუფერხებლად გადაადგილდებოდა: ჰარისბურგიდან პიტსბურგში, მერე იყო დულუსი, შემდეგ - ფარგო. 1978 წელს ენი უკვე დენვერშია. ყოველ ახალ ქალაქში, ახალ ადგილას სამსახურის დაწყების წინ, ალბომში, როგორც წესი, გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა ჩნდება, სადაც საავადმყოფოს ახალ თანამშრომელთა ჩამონათვალში ენის გვა-

რიცაა მითითებული (მხოლოდ მანჩესტერში მუშაობის დაწყების წინ ასეთი ცნობა ალბომში არ ჩაუკრავს, რადგან, პოლის ფიქრით, არ იცოდა, ადგილობრივი გაზეთები ასეთ ცნობას ბეჭდავდნენ თუ არა), მერე ორი, სამი არაფრით გამორჩეული სიკვდილი, მერე ახალი სამსახური და ისევ ყველაფერი თავიდან. ასე გრძელდებოდა ქალაქ დენვერამდე.

დასაწყისში ყველაფერი ისე იყო, როგორც სხვა ქალაქებში. ოღონდ ამჯერად სტატია ახალი თანამშრომლების შესახებ დენვერის საავადმყოფოს მცირეტირაჟიანი გაზეთიდან იყო ამოჭრილი. გაზეთის სახელწოდება - „საკაცე“ ენის თავისი ფაქიზი ხელით ჩაეწერა. „დიდებული სახელწოდებაა საავადმყოფოს გაზეთისათვის“, - ჩაილაპარაკა პოლმა ცარიელ ოთახში. - „გასაკვირია, რატომ არავის მოუვიდა აზრად გაზეთისათვის „ტაბურეტი“ დაერქმია“. - ყროყინის მსგავსი სიცილით გადაიხარხარა პოლმა. მერე განაგრძო ალბომის გადაშლა და აი, პირველი ნეკროლოგიც, რომელიც გაზეთ „როქი მაუნთინ ნიუსიდან“ იყო ამოჭრილი: 1978 წლის 21 სექტემბერს დენვერის საავადმყოფოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლორა როსბერგი. ამის შემდეგ ჩვეულებრივი თანმიმდევრობა ირღვეოდა.

მომდევნო გვერდზე განცხადება არა დაკრძალვის, არამედ ქორწინების შესახებ იუწყებოდა. ენი თეთრ, მაქმანებით მორთულ საქორწილო კაბაში იყო გამოწყობილი. გვერდით მამაკაცი ედგა, რომლის სახელი რალფ დუგანი იყო, თერაპევტი დუგანი.

დუგანუილკსის ქორწილი, იუწყებოდა გაზეთ „როქი მაუნთინ ნიუსის“ სტატია. თარიღი: 1979 წლის 2 იანვარი.

რალფ დუგანი ჩვეულებრივი გარეგნობის კაცი იყო. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ენის მამას საოცრად ჰგავდა. დუგანს გაფშეკილი ულვაშები რომ გაეპარსა, თაფლობის თვის შემდეგ ალბათ გააპარსინებდა კიდეც ენი ქმარს ულვაშებს, კაცი ზედგამოჭრილი ენის მამა იქნებოდა.

პოლმა ალბომის დარჩენილი ნაწილი შეათვალიერა. დასასრულამდე ჯერ შორს იყო. „სანამ ენის ხელს სთხოვდა, რალფ დუგანს თავისი ჰოროსკოპი უნდა შეემოწმებინაო“, - გაიფიქრა პოლმა.

„დარწმუნებული ვარ, რომელიმე მომდევნო გვერდზე აუცილებლად ვიპოვი პატარა ცნობასშენს შესახებ. ალბათ შენც არ აგცდება კიბეზე დახვავებული თეთრეული ან მკვდარი კატა, რომელსაც მშვენიერი სახელი აქვს“.

მაგრამ პოლი შეცდა. ალბომის მომდევნო გვერდზე გაზეთი „ნიდერლანდი“ აქვეყნებდა ცნობას სათაურით: ახალი თანამშრომლები. ნიდერლანდი ბოულდერის დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქი იყო, ამ ადგილიდან არც ისე შორს. თავიდან პოლმა ჩამონათვალში ენის სახელი და გვარი ვერ იპოვა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ არასწორად ეძებდა. სიაში ენი ქმართან ერთად იყო: მისტერ და მისის რალფ დუგანები, ეწერა ჩამონათვალში.

პოლმა უცებ თავი ასწია და ყური მიუგდო, მანქანა ხომ არ მოდისო. არა, ქარის ხმა იყო. პოლი ისევ წიგნს მიუბრუნდა.

როგორც ჩანს, რალფ დუგანი თავის ძველ სამსახურში - საგრაფო არაფაჰოს საავადმყოფოში დაბრუნდა, რათა ხეიბრებისა და ბრმებისათვის ემკურნალა. შესაბამისად, ენიც მედდის პატივსაცემ სამუშაოს დაუბრუნდა, რომ დასახიჩრებული და ტრავმირებული ხალხისთვის მიეხედა.

„ახლა წავა სერიული მკვლელობები“, - გაიფიქრა პოლმა. - „საინტერესოა, რალფ, შენი რიგი თავში იქნება, შუაში თუ ბოლოში?“

მაგრამ პოლი კვლავ შეცდა. მომდევნო გვერდზე ნეკროლოგის ნაცვლად უძრავი ქონებით მოვაჭრე ფირმის სარეკლამო ფურცლის ქსეროასლი იყო ჩაკრული. მარცხენა ზედა კუთხეში სახლის ფოტოსურათი იყო მოთავსებული. პოლმა სახლი ბოს-

ლით იცნო, რადგან თვითონ სახლი გარედან არასოდეს ენახა. ქვევით ენის, ფაქიზი და გარკვეული ხელით, მითითებული ჰქონდა სოლიდური თანხა და გადახდის თარიღი: 1979 წლის 3 მარტი. დოკუმენტი გაფორმდა 1979 წლის 18 მარტს.

თადარიგი ხომ არ დაიჭირეს და სახლი საპენსიო ასაკისთვის იყიდეს? პოლს ამაში ეჭვი ეპარებოდა. იქნებ ზაფხულის თვეების გასატარებლად? არა, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ მისცემდნენ. მაშ, რისთვის?

მოდი, წარმოსახვა ჩავრთოთ: იქნებ ენის რალფ დუგანი მართლა უყვარს. წელიწადმა გაიარა, მაგრამ ენი ჯერ ისევ მშვიდადაა. გათხოვების შემდეგ არც ერთი ნეკროლოგი არ არის ალბომში ჩაკრული. პოლმა გვერდები უკან გადაფურცლა. ბოლო 1978 წლის სექტემბერში ლორა როსბერგის ნეკროლოგი იყო. ენიმ მკვლელობები მას შემდეგ შეწყვიტა, რაც რალფს შეხვდა. მაგრამ ეს მაშინ იყო, ერთი წლის წინ. ახლა?.. ახლა ადამიანის მოკვლის მძაფრი სურვილი კვლავ ძალას იკრებს. დეპრესია უკან უბრუნდება. ენი მოხუცებს ათვალიერებს და საკბილოს - უიმედო ავადმყოფებს ეძებს...

ფიქრობს, რა საცოდავები არიან ისინი. შეიძლება იმასაც ფიქრობს, რომ გარემო თრგუნავს. საავადმყოფოს გრძელი დერეფნები, სპეციფიკური სუნი, ბრტყელლანჩიანი ფეხსაცმელების წრიპინის ხმა იატაკზე და ადამიანთა კვნესა. თუ ამ გარემოს გაეცლება, კარგად იქნება. ამიტომ რალფი და ენი ქალაქგარეთ გადადიან საცხოვრებლად.

პოლმა კიდევ ერთი გვერდი გადაშალა და გაშრა. გვერდის ბოლოს ასეთი მინაწერი იყო: 43 აგვისტო. 1880. წადი, შენი..!

ქაღალდი სქელი იყო, მაგრამ რამდენიმე ადგილას გამძვინვარებულ ხელს კალმით გაეგლიჯა. იმავე გვერდზე გაზეთ „ნიდერლანდიდან“ ამოჭრილი განქორწინებათა სვეტი თავუკუღმა იყო ჩაწებებული. პოლმა ალბომი მოატრიალა. რალფი და ენი

დუგანები ამ ჩამონათვალში შედიოდნენ. განქორწინების საფუძველი: სისასტიკისადმი მიდრეკილება.

„განქორწინება ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ“, - წაიჩურჩულა პოლმა და თავი ასწია. მოეჩვენა, მანქანა სახლს უახლოვდებოდა. მაგრამ ქარის ხმა იყო... მხოლოდ ქარი უბერავდა. აჯობებდა, თავის ოთახში შესულიყო. იმიტომ კი არა, რომ ფეხების ტკივილი მეტად აწუხებდა, არამედ ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა.

მაგრამ ისევ ალბომს ჩააცქერდა. ხელში საბედისწერო წიგნი ეჭირა და კარგი იქნებოდა, თუ კითხვას თავს დაანებებდა, მაგრამ ამაზრზენი რომანივით იყო, რომელსაც ვერ მოწყდები, სანამ არ დაამთავრებ. ენის ქორწინება კანონიერად დასრულდა. ამას პოლი ნაკლებად წარმოიდგენდა. შეიძლება ითქვას, განქორწინების საკითხი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დადგა. ოჯახური იდილიის წელიწადნახევარი არც თუ დიდი დრო იყო.

მათ მარტში სახლი შეიძინეს. თუ ადამიანი გრძნობს, რომ ოჯახი ენგრევა, სახლს არ ყიდულობს. მაშ, რა მოხდა? პოლი ვერაფერს ხვდებოდა. მხოლოდ ვარაუდი შეეძლო. მან განქორწინებათა სვეტს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და საინტერესო რამ აღმოაჩინა: ანჯელა ფორდი ჯონ ფორდის წინააღმდეგ. კირსტენ ფროლი სტენლი ფროლის წინააღმდეგ. დანა მაკლარენი ლი მაკლარენის წინააღმდეგ და...

რალფ დუგანი ენი დუგანის წინააღმდეგ.

საინტერესო ამერიკული წესია, არა? ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ეს წესი თავისთავად არსებობს. კაცი ქალს მთვარის შუქზე ცოლობას სთხოვს, ხოლო ქალს განქორწინებაზე სასამართლოში სარჩელი შეაქვს. ყოველთვის ასე არ ხდება, მაგრამ, ძირითადად, ასეა. ანჯელა ჯონს ეუბნება: „ჯონ, თავი დამანებე!“ კირსტენი ამბობს: „სხვა მოძებნე, სტენ!“ დანას სიტყვები იქნება: „გასაღები მომეცი, ლი!“ ნეტავ რალფმა, ამ სიაში ერთა-

დერთმა მამაკაცმა, რომელიც განქორწინების ინიციატორია, რა უთხრა ენის? იქნებ ეს: „გამიშვი, აქედან უნდა წავიდე!“

„ალბათ კიბეზე მკვდარი კატა იპოვა“, - გაიფიქრა პოლმა.

შემდეგი გვერდი. კოლორადოს შტატი, ქალაქი ბოულდერი. გაზეთი „კამერა“. ბოულდერის საავადმყოფოს ახალ თანამშრომელთა სია და ფოტოსურათი. ენი სურათზე მეორე რიგში დგას, გაფითრებული, უმეტყველო სახით. თავზე ახურავს თეთრი ქუდი, რომელსაც შავი ლენტი აქვს შემოვლებული. მაშ, ახალი სერია იწყება. გვერდის ბოლოს თარიღია მითითებული: 9 მარტი 1981 წელი. ენიმ თავისი ქალიშვილობის გვარი დაიბრუნა.

ენი უილკსი ბოულდერში სულ მთლად გაგიჟდა. პოლი გვერდებს სწრაფად ფურცლავდა და თავში გამუდმებით უტრიალებდა ორი კითხვა: ღვთის გულისათვის, საავადმყოფოში რატომ ვერაფერს მიხვდნენ და როგორ მოახერხა ენიმ ყველასთვის თვალების ახვევა?

10 მაისი 1981 წელი - ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. 14 მაისი 1981 წელი - ხანგრძლივი ავადმყოფობა. 23 მაისი - ხანგრძლივი ავადმყოფობა. 9 ივნისი - ხანმოკლე ავადმყოფობა. 15 ივნისი - ხანმოკლე. 16 ივნისი - ხანგრძლივი.

ხანმოკლე, ხანგრძლივი, ხანგრძლივი. ხანმოკლე, ხანგრძლივი, ხანგრძლივი. ხანმოკლე. პოლი ალბომის ფურცლებს შლიდა და გამომშრალი ქაღალდის სუნს გრძნობდა.

„ღმერთო, რამდენი ადამიანი მოკლა?“

თუ ნეკროლოგებს მკვლელობად ჩავთვლიდით, 1981 წლის ბოლოსთვის ოცდაათ ადამიანზე მეტი ჰყავდა მოკლული. საავადმყოფოს ხელმძღვანელობას პაწაწინა ეჭვიც კი არ გასჩენია. რა თქმა უნდა, მსხვერპლთა უმეტესობა მოხუცი და მძიმე ავადმყოფი იყო, დანარჩენები უიმედოდ დაშავებულნი, მაგრამ... ხელმძღვანელობა უნდა დაფიქრებულიყო.

1982 წელს ენი ბოლოს და ბოლოს წაბორძიკდა.

14 იანვარს გაზეთმა „კამერამ“ ენის ფოტოსურათი დაბეჭდა, სადაც ქალს არაფრისმთქმელი გამომეტყველება და გაქვავებული სახე ჰქონდა. სურათის ქვევით ასეთი წარწერა იყო:

სამშობიარო განყოფილებას ახალი უფროსი მედდა ჰყავს.

29 იანვრიდან სამშობიარო განყოფილებაში ჩვილთა სიკვდილიანობა დაიწყო.

ენი კვლავ თავის ნაცად გზას ადგას.

„თუ დაგიჭირეს და რაც ამ წიგნში წერია, საჯარო გახდა, ენი, ცხოვრების დარჩენილ ნაწილს ციხეში ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარებ“, - გაიფიქრა პოლმა.

ახალდაბადებულთა სიკვდილის პირველ ორ შემთხვევას ეჭვი არ გამოუწვევია. მით უმეტეს, რომ ერთერთ ჩვილს მძიმე სამშობიარო ტრავმა ჰქონდა. მაგრამ ბავშვები, დეფექტებით თუ დეფექტების გარეშე, მოხუცები ხომ არ იყვნენ, რომლებიც თირკმლის უკმარისობით კვდებოდნენ ან ავტოავარიაში მოხვედრილი ხალხი, რომელიც საავადმყოფოში ცოცხალმკვდარი მოჰყავდათ. ახლა ენი არა მხოლოდ უდღეურ და სუსტ ბავშვებს ხოცავდა, არამედ ჯანმრთელებსაც დაერია. პოლის ფიქრით, გამწვავებული ფსიქოზის გამო ქალი ამ ბავშვებს საცოდავ ქმნილებებად აღიქვამდა.

1982 წლის მარტის თვის შუა რიცხვებში ბოულდერის სამშობიარო განყოფილებაში ხუთი ახალდაბადებული ბავშვი გარდაიცვალა. დაიწყო სრულფასოვანი გამოძიება. 24 მარტს გაზეთმა „კამერამ“, სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, შესაძლო „დამნაშავედ“ ბავშვის გაფუჭებული საკვები დაასახელა. „სარწმუნო წყარო თავად ენი უილკსი ხომ არ არისო“, - გაიფიქრა პოლმა.

აპრილში კიდევ ერთი ახალშობილი გარდაიცვალა. ორი - მაისში.

ალბომის მომდევნო ფურცელზე გაზეთ „დენვერ პოსტის“ 1 ივნისის მოწინავე სტატია იყო ჩაკრული:

უფროსი მედდა დაიკითხება ახალშობილთა სიკვდილიანობის თაობაზე

„შერიფის წარმომადგენლის თქმით, ჯერ ბრალი არავისთვის წაუყენებიათ“

მაიკლ ლეითი

ენი უილკსი, ოცდაცხრამეტი წლის. ბოულდერის საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების უფროსი მედდა დღეს დაიკითხება რვა ახალშობილის სიკვდილის თაობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო თვეების განმავლობაში. ყველა შემთხვევა მის უილკსის მორიგეობის დროს მოხდა.

კითხვაზე, იყო თუ არა მის უილკსი ნასამართლევი, შერიფის წარმომადგენელმა თამარა კინსოლვინგმა უპასუხა, რომ მის უილკსი ნასამართლევი არ ყოფილა.

კითხვაზე, მის უილკსი თავისი ნებით გამოცხადდა თუ არა ჩვენების მისაცემად აღნიშნული შემთხვევის თაობაზე, მის კინსოლვინგმა უპასუხა: მოგახსენებთ, რომ ეს შემთხვევა არ გახლავთ, საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე უბრალო შემთხვევა.

კითხვაზე, წაუყენეს თუ არა ბრალი მის უილკსს, შერიფის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ.

სტატიის დანარჩენი ნაწილი მოიცავდა ენის კარიერის აღწერას. აღნიშნავდნენ, რომ მან ბევრი ადგილი გამოიცვალა, მაგრამ გადაკრულადაც კი არ იყო ნათქვამი, რომ არა მარტო ბოულდერის საავადმყოფოში, არამედ ყველგან, სადაც ენი მუშაობდა, მის გვერდით ხალხი ბუზებივით იხოცებოდა.

პოლმა სტატიის თანმხლებ ფოტოს შეხედა.

მადლობა ღმერთს, დაჭერილია. ღმერთო დიდებულო, დაიჭირეს. კერპი ჯერ ძირს არ დანარცხებულა, მაგრამ ავბედითად ტორტმანებს... ტორტმანებს...

სურათზე ენი კიბეზე დგას, გვერდზე ზორბა პოლიციელი ქალი უდგას. უემოციო სახე აქვს. ექთნის ხალათი და თეთრი ფეხსაცმელები აცვია.

მომდევნო გვერდი: დაკითხვების შემდეგ უილკსი თავისუფალია.

როგორღაც მოახერხა და ენი მათ ხელიდან დაუსხლტა. ახლა კი დროა, სხვაგან ეძებოს სამსახური - აიდაჰოში, იუტაში ან კალიფორნიაში. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სადღაც შორსდასავლეთით წავიდეს, ის ძველ სამსახურს უბრუნდება.

1982 წლის 2 ივლისს გაზეთი „როქი მაუნთინ ნიუსი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს სტატიას სათაურით:

საშინელება გრძელდება:

კიდევ სამი ახალშობილის სიკვდილი

ბოულდერის საავადმყოფოში

ორი დღის შემდეგ პოლიციამ პუერტო რიკოელი სანიტარი დააკავა. ცხრა საათის შემდეგ ის უდანაშაულოდ ცნეს და გაანთავისუფლეს. 19 ივლისს გაზეთებმა: „დენვერ პოსტმა“ და „როქი მაუნთინ ნიუსმა“ ენი უილკსის დაპატიმრების ცნობა გამოაქვეყნეს. აგვისტოს დასაწყისში წინასწარი მოსმენა გაიმართა. 9 სექტემბერს ენი სასამართლოს წინაშე წარდგა ერთი დღის გოგონას - კრისტოფერის მკვლელობის ბრალდებით. მოკლულთა სიაში ასევე შვიდი ახალშობილი იყო. სტატია იუწყებოდა, რომ ენი უილკსის ზოგიერთი მსხვერპლისათვის მშობლებმა სახელის დარქმევაც კი ვერ მოასწრეს.

სასამართლო სხდომების ანგარიშის გარდა ალბომში ჩაკრული იყო დენვერისა და ბოულდერის გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, საერთო სათაურით: „წერილი რედაქტორს“. პოლი მიხვდა, რომ ენის ყველაზე მტრული წერილები შეერჩია. ყველა წერილი გამსჭვალული იყო ერთი სულისკვეთებით: ენი უილკსისათვის ჩამოხრჩობაც ცოტაა.

ერთერთი კორესპონდენტი მას ურჩხულს ადარებდა და სასამართლო პროცესის დასრულებამდე ენის გაზეთებში „ქალბატონი ურჩხულის“ სახელით მოიხსენიებდნენ.

- „ქალბატონ ურჩხულს“ გახურებული შანთებით უნდა გაუსწორდნენო, - წერდნენ კორესპონდენტები. - ჩვენ კი ამ განაჩენის აღსრულებაში სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობასო.

ერთერთი ასეთი წერილის გვერდით ენის აკანკალებული ხელით, რაც უჩვეულო იყო მისი მტკიცე ხელწერის შემდეგ, ცოტა არ იყოს პათეტიკური სიტყვები მიეწერა: „შეიძლება ქვებით ძვლები დამიმტვრიონ, მაგრამ სიტყვებით ვერაფერს დამიშავებენ“.

ენის უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ არ გაჩერდა, როდესაც ხალხი მიხვდა, რომ სამშობიაროში რაღაც ხდებოდა. მძიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ არა საბედისწერო. კერპი მხოლოდ შეტორტმანდა. გაზეთებიდან ჩანდა, რომ წინასწარი მოკვლევის საფუძველზე ენის წინააღმდეგ არასაკმარისი სამხილები გააჩნდათ. საოლქო პროკურორის მიერ დასახელებული სამხილი გოგონა კრისტოფერის სახესა და ყელზე ხელის ანაბეჭდი იყო. ენის ხელი ზომით ანაბეჭდს ემთხვეოდა, თან მარჯვენა ხელის მეოთხე თითზე ქალს ამეთვისტოსთვლიანი ბეჭედი ეკეთა, რაც ანაბეჭდზეც ჩანდა. საოლქო პროკურატურამ სამშობიარო განყოფილებაში თანამშრომელთა შესვლა გამოსვლის ჟურნალიც წარმოადგინა. ახალშობილთა სიკვდილიანობა ენის განყოფილებაში შესვლას მეტნაკლებად ემთხვეოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ენი სამშობიარო განყოფილების უფროსი მედდა იყო. ყოველთვის შეეძლო განყოფილებაში შესვლა და გამოსვლა, თან დაცვის მხარე ათობით შემთხვევას ასახელებდა, როდესაც ენი განყოფილებაში იყო და არაფერიც არ მომხდარა. „ეს იმას ჰგავს, რომ ამტკიცო, დედამიწაზე მეტეორები არ ცვივა, რადგან ხუთი

დღეა ფერმერი ჯონის მინდორში არაფერი ჩამოვარდნილაო“, - გაიფიქრა პოლმა.

ბრალდების მხარე ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ ბეჭდიანი თითის ანაბეჭდი არასაკმარისი სამხილი იყო, მარტო ამ სამხილის საფუძველზე ბრალდების მხარეს გაუჭირდებოდა ენისთვის ბრალის წაყენება. თუმცა კოლორადოს შტატის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სასამართლო პროცესი მაინც დაეწყო და ენი სასამართლოს წინაშე გამოეყვანა. პოლმა იფიქრა, ალბათ გამოძიების დროს ჩატარებული პირველადი დაკითხვისას ქალმა ისეთი რამეები თქვა, რაც გამოძიებისათვის მეტად დამაფიქრებელი და ბრალდების წაყენების საფუძველი გახდაო. ენის პირველადი დაკითხვის ჩანაწერი სასამართლოს ოქმში არ შეუტანიათ, რაც ალბათ ენის ადვოკატის დამსახურება იყო.

საქმის წინასწარი მოსმენის დროს ენიმ უგუნური გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენება მისცა. ამ ჩვენების დამალვა ენის ადვოკატმა უკვე ვეღარ შეძლო (თუმცა კი ძალიან ცდილობდა) და, მიუხედავად იმისა, რომ ენის არასოდეს არაფერი უღიარებია პირდაპირ, პოლის აზრით, ჩვენების მიცემის დროს მან, ფაქტობრივად, ყველაფერი აღიარა.

ზოგიერთი ამონარიდი ჩვენებიდან ნამდვილი შედევრი იყო:

ბავშვები სევდას იწვევდნენ ჩემში? რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინებთ, როგორ სამყაროში ვცხოვრობთ. სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია. მე არასოდეს მრცხვენია. ჩემი გადაწყვეტილებები საბოლოოა, უკან არასოდეს ვიხედები.

დავესწარი თუ არა რომელიმე მათგანის დაკრძალვას? არა, რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, დაკრძალვა პირქუში და დეპრესიული პროცესია. თანაც, არ მწამს, რომ ახალშობილებს სული აქვთ.

არა, არასოდეს მიტირია.

ვნანობდი თუ არა? ვფიქრობ, ეს ფილოსოფიური კით
ხვაა, არა?
კითხვა გავიგე, რა თქმა უნდა. თქვენი ყველა კითხვა
გასაგებია ჩემთვის. ვიცი, რომ ყველა ჩემ წინააღმდეგ
ხართ განწყობილი.

პოლის აზრით, ენის სასამართლოზე ასეთი ჩვენება რომ მიეცა, ადვოკატი ალბათ მოკლავდა.

საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველად 1982 წლის 13 დეკემბერს გადაეცა. გაზეთ „როქი მაუნთინ ნიუსში“ შოკისმომგვრელი ფოტო დაიბეჭდა. ფოტოზე გამოსახული იყო ენი, რომელიც სასამართლო პროცესზე თეჯირს მიღმა გისოსებიან საკანში მშვიდად იჯდა და „მიზერის ძებნას“ კითხულობდა. ფოტოს ქვევით კი ასეთი წერწერა იყო: „იტანჯება? არა, ეს განცდა უცხოა ქალბატონი ურჩხულისათვის“. ვერდიქტისმოლოდინში ენი წიგნს მშვიდად კითხულობდა.

16 დეკემბრის სტატიის სათაური: ქალბატონი ურჩხული უდანაშაულოდ ცნეს.

სტატიაში დაბეჭდილი იყო ერთერთი ნაფიცი მსაჯულის სიტყვები: „მის უდანაშაულობაში ეჭვი მეპარება, ისევე როგორც მის ბრალეულობაში. იმედი მაქვს, ის კიდევ ერთხელ წარდგება სასამართლოს წინაშე სხვა საქმესთან დაკავშირებით. იქნებ მაშინ მაინც შეძლოს ბრალდებამ უფრო ხელჩასაჭიდი სამხილების წარმოდგენა“.

„ყველამ იცოდა, რომ დამნაშავე იყო, მაგრამ ვერავინ დაამტკიცა. ენი ხელიდან დაუსხლტათ,“ - გაიფიქრა პოლმა.

საქმე მომდევნო სამოთხ გვერდზე განიხილებოდა. სამხარეო პროკურორმა განაცხადა, რომ ენის აუცილებლად გაასამართლებდნენ სხვა საქმეზე. სამი კვირის შემდეგ კი იმავე პროკურორმა განაცხადა, რომ ასეთი რამ არასოდეს უთქვამს.

1983 წლის თებერვლის დასაწყისში სამხარეო პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბოულდერის საავადმყოფოში ახალშობილების მკვლელობების საქმეები კვლავ ღია იყო, მაგრამ საქმე ენი უილკსის წინააღმდეგ დაიხურა.

„ხელიდან დაუსხლტა.

ქმარს ჩვენება არასოდეს მიუცია. ნეტავ რატომ?“ - გაიფიქრა პოლმა.

ალბომში კიდევ იყო ფურცლები, მაგრამ ის ფურცლები ისეთი თანმიმდევრობით იყო დაწყობილი, რომ პოლი მიხვდა, ენის ისტორიის კითხვას თითქმის მორჩა. მადლობა ღმერთს!

შემდეგ გვერდზე ჩაწებებული იყო ამონარიდი გაზეთ „საიდუინდერ გაზეტიდან“, რომელიც 1984 წლის 19 ნოემბრით თარიღდებოდა. გრაიდერის ნაკრძალში ტურისტებმა დასახიჩრებული და სანახევროდ დანაწევრებული ახალგაზრდა მამაკაცის სხეული იპოვეს, წერდა გაზეთი. შემდეგი კვირის ნომერში ახალგაზრდა მამაკაცის ვინაობა იყო გამოქვეყნებული. აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილი, 23 წლის ენდრიუ პომეროი, ნიუიორკის შტატის ქოლდ სტრიმ ჰარბორის მცხოვრები იყო.

პომეროიმ ნიუიორკი გასული წლის სექტემბერში დატოვა და ავტოსტოპით ლოსანჯელესისაკენ გაემგზავრა. ის მშობლებს ბოლოს ჯულსბურგიდან 15 ოქტომბერს დაუკავშირდა. პომეროის სხეული დამშრალი ნაკადულის კალაპოტში იპოვეს. პოლიციის აზრით, პომეროი მე9 გზატკეცილის ახლოს მოკლეს და გაზაფხულის წვიმების დროს წყალმა ნაკრძალის ტერიტორიაზე ჩაიტანა. გამომძიებლის თქმით, ჭრილობები ნაჯახით ჰქონდა მიყენებული.

„გრაიდერის ნაკრძალი აქედან ნეტავ რა მანძილზეა“, - გაიფიქრა პოლმა.

თან მომდევნო გვერდზე უკანასკნელ ამონარიდს დახედა და უცებ სუნთქვა შეეკრა. საშინელი ნეკროლოგების კითხვის შემდეგ, უეცრად თავის ნეკროლოგს წააწყდა. მთლად ნეკროლოგი არ იყო, მაგრამ...

„მაგრამ საკმარისი მასალაა გამოძიებისათვის“, - თქვა მან დაბალი, ხრინწიანი ხმით.

ამონარიდი გაზეთ „ნიუსუიკიდან“ იყო. ახალი ამბების სვეტში სატელევიზიო მსახიობის განქორწინების ამბავსა და ფოლადის მაგნატის გარდაცვალების ამბავს შორის ასეთი რამ ეწერა:

დაიკარგა 42 წლის მამაკაცი სახელად პოლ შელდონი - მწერალი, რომელიც ცნობილია ვნებიან და თავქარიან მიზერი ჩასტეინზე შექმნილი რომანების სერიით. შელდონის დაკარგვის შესახებ მისმა აგენტმა ბრაის ბელმა განაცხადა და თან შემდეგი სიტყვები დაურთო: „ვფიქრობ, კარგად არის. იმედი მაქვს, დამიკავშირდება და გულს დამიმშვიდებს. მისი ყოფილი ცოლებიც მოუთმენლად ელიან მის გამოჩენას, რადგან ხელი არ მიუწვდებათ მის საბანკო ანგარიშზე“. შელდონი ბოლოს შვიდი კვირის წინ კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერში ნახეს, სადაც თავისი ახალი რომანის დასამთავრებლად იყო ჩასული.

ინფორმაცია ორი კვირის წინანდელი იყო.

„დაიკარგაო, სულ ეს არის“, - გაიფიქრა პოლმა. - „მხოლოდ დაიკარგაო. არ მოვმკვდარვარ. დაკარგვა სიკვდილს არ ნიშნავს“.

მაგრამ სინამდვილეში ერთი და იგივე იყო. მოულოდნელად წამლის დალევა მოუნდა. მხოლოდ ფეხები კი არა, ყველაფერი სტკიოდა. ფრთხილად დადო ალბომი თავის ადგილას და ეტლი თავისი ოთახისაკენ გააგორა.

ქარმა ძლიერად დაუბერა, უფრო ძლიერად, ვიდრე აქამდე. წვიმის წვეთები ფანჯარას გამეტებით აწყდებოდა. პოლი ფანჯარას მოცილდა, უკან დაიხია. კვნესოდა და თან რაც ძალა და ღო-

ნე ჰქონდა, ცდილობდა, თავი ხელში აეყვანა, რომ არ ატირებულიყო.

19

ერთი საათის შემდეგ ნარკოტიკით გაბრუებული პოლი თავის ოთახში თვლემდა. ქარის საშინელი ხმა დამამშვიდებლად მოქმედებდა.

აქედან ვერ გავიქცევი, გაიფიქრა მან. ეს შეუძლებელია. „უჩინარ ჯუდში“ როგორ ამბობს თომას ჰარდი? - ვინმე უნდა მოსულიყო და შეემსუბუქებინა ბიჭის მდგომარეობა, მაგრამ არავინ მოსულა... რადგან არავინ მოდის ხოლმე ასეთ დროს.

შენი გემი ვერასდროს მივა ნავსაყუდელთან, რადგან გემი არ არსებობს... მარტოხელა რეინჯერი ბურღულეულის რეკლამირებითაა გართული. სუპერმენი კი იაფფასიან ფილმში თამაშითაა დაკავებული. მარტო ხარ, პოლ, სულ მარტო. მაგრამ არა უშავს. შენ იცი ამ სიტუაციიდან გამოსავალი. ასე არ არის? - რა თქმა უნდა, ასეა.

აქედან თავის დასაღწევად ენი უნდა მოეკლა. დიახ, ეს არის გამოსავალი, ერთადერთი გამოსავალი. თავში ისევ ბავშვობისდროინდელი თამაშიდან ამოუტივტივდა კითხვა: - შეგიძლია, პოლ? პასუხი უყოყმანოდ გასცა: - დიახ, შემიძლია. მერე თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

20

ქარიშხალი მეორე დღესაც გაგრძელდა. ღამით კი ღრუბლები გაიფანტა და ტემპერატურა სამოცი გრადუსიდან ოცდახუთ გრა-

დუსამდე დაეცა. ყინვამ ისევ მოუჭირა და ყველაფერი თავის მარწუხებში მოიქცია. პოლი მთელი მეორე დღე საძინებელი ოთახის ფანჯარასთან იჯდა და გარეთ გაყინულ არემარეს გაჰყურებდა. ბოსელში ღორი - მიზერი თავგამოდებით ჭყვიტინებდა და ერთერთი ძროხა ბღავილით იკლებდა იქაურობას.

პოლს ცხოველების ხმა ადრეც ხშირად გაუგია. სასტუმრო ოთახში საათის რეკვა და საქონლის ხმა მის აქაურ ყოფას ფონად გასდევდა. მაგრამ ღორის ასეთი თავგამოდებული ჭყვიტინი ჯერ არ მოუსმენია. ძროხის გულსაკლავი ბღავილი კი ერთხელ მოისმინა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ენი პირველად წავიდა სახლიდან და კაცი წამლის გარეშე დატოვა. პოლი ბოსტონის გარეუბანში გაიზარდა და ცხოვრების უმეტესი ნაწილი ნიუიორკში გაატარა, მაგრამ კარგად იცოდა, ძროხა ასე როდის ბღაოდა: ეს მაშინ ხდება, როცა რძე აწუხებს და მოსაწველია. მეორე ძროხა კი ალბათ არ იყო მოსაწველი. ენის უთავბოლო მოწველამ ალბათ რძე გაუშრო. მაგრამ ღორს რაღა აჭყვიტინებდა? შიმშილი იყო მისი გამწარების მიზეზი.

დღეს პირუტყვს არაფერი ეშველებოდა. სურვილიც რომ ჰქონოდა, საეჭვო იყო ენის დღეს დაბრუნება. ქვეყნის ეს ნაწილი ერთ დიდ საციგურაო მოედნად იყო ქცეული. პოლს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, როდესაც გულის სიღრმეში ცხოველებისადმი თანაგრძნობა იგრძნო. კაცი ენიზე გაბრაზდა, რადგან დროდადრო ასე უგულოდ ექცეოდა მათ, უჭმელუსმელი გამოკეტილი ჰყავდა და ტანჯავდა.

„შენს ცხოველებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ, ენი, იტყოდნენ ალბათ, ეს ნაბიჭვარი ვინ არის“. - გაიფიქრა პოლმა.

თავად პოლი საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა თავს. კონსერვებს ჭამდა, წყალს ახალი დოქიდან სვამდა, წამალს რეგულარულად იღებდა და ყოველ ნაშუადღევს იძინებდა. მიზერის, მისი ამნეზიისა და ჯერ ისევ გაურკვეველი ნათესაური ურთიერ-

თობის ამბავი აფრიკაში გადაიტანა, სადაც წიგნის მეორე ნაწილში მოქმედება უნდა განვითარებულიყო. სასაცილო ის იყო, რომ წიგნი, რომლის დაწერა თავად არ უნდოდა და ენიმ აიძულა, მიზერიზე დაწერილ ყველა წიგნზე უკეთესი გამოდიოდა. იანი და ჯეფრი საუტჰემპტონში წავიდნენ, რათა შხუნასათვის, რომელსაც სახელად „ლორელეი“ ერქვა, აღჭურვილობა შეეძინათ. შავ კონტინენტზე მიზერი დროდადრო, ყველაზე არახელსაყრელ მომენტში კატალეფსიურ ტრანსში ვარდებოდა (ფუტკარს მისთვის კიდევ ერთხელ რომ ეკბინა, ქალი მაშინვე მოკვდებოდა.). ასე რომ, მიზერი აფრიკაში ან განიკურნებოდა, ან მოკვდებოდა. ლოუსთაუნიდან, რომელიც პატარა ინგლისურჰოლანდიური დასახლება იყო, ჩრდილოეთით, ას ორმოცდაათი მილის მოშორებით, ბარბარისის სანაპიროზე ბურკები ცხოვრობდნენ. ეს აფრიკულო ტომი ადგილობრივ ტომთა შორის ყველაზე საშიში იყო. ბურკებს ზოგჯერ ფუტკრის თაყვანისმცემელ ხალხსაც ეძახდნენ. თეთრკანიანებიდან ცოტა თუ ბედავდა ბურკების ადგილსამყოფელში შესვლას, რადგან იქ შემსვლელთაგან ცოცხალი ბევრი ვერ ბრუნდებოდა. მაგრამ ვინც ბრუნდებოდა, ზღაპრულ და დაუჯერებელ ამბავს ჰყვებოდა: ბურკებს თურმე ქვაში ნაკვეთი კერპი ჰყავდათ, რომელსაც ქალის სახე ჰქონდა. კერპს შეუბრალებელი გამოხედვა და ნაპრალივით პირი ჰქონდა. შუბლზე უზარმაზარი ლალის ქვა ჰქონდა ჩასმული. თეთრკანიანი მოგზაურები საოცარი თავდაჯერებულობით სხვა ამბავსაც ჰყვებოდნენ: თითქოს ლალის ქვის მიღმა ალბინოსი ფუტკრების უზარმაზარი სკა ცხოვრობდა. ფუტკრები გარს ეხვეოდნენ თავიანთ დედოფალს, დედა ფუტკარს, ურჩხულს, რომელსაც უზომოდ ბევრი შხამი და დიდი ძალა ჰქონდა.

პოლი დღის განმავლობაში ისტორიების შეთხზვით ირთობდა თავს, საღამოს კი წყნარად იჯდა, ღორის ჭყვიტინს უგდებდა ყურს

და იმაზე ფიქრობდა, ენი - ქალბატონი ურჩხული, როგორც მას გაზეთებში უწოდებდნენ, როგორ მოეკლა.

პოლი მიხვდა, რომ რეალურ ცხოვრებაში „შეგიძლიას“ თამაში გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ბავშვობაში, როდესაც ფეხმორთხმული წრეში იჯდა და სხვადასხვა ამბავს იგონებდა, ან თუნდაც დიდობაში, როდესაც საბეჭდი მანქანის წინ სიუჟეტს თხზავდა. ამ შემთხვევაშიც თამაშობდა, თუმცა ამაში ფულს უხდიდნენ. შეეძლო მოეფიქრებინა გიჟური ამბავი და დამაჯერებელი გაეხადა. მაგალითად: მიზერისა და მის შარლოტა ეველინ-ჰაიდის ნათესაური კავშირი (ისინი დედის მხრიდან დები იყვნენ. მიზერი მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ მამამისი აფრიკაში ბურკებთან, ფუტკრის თაყვანისმცემელ ხალხთან ცხოვრობს). ხოლო რეალურ ცხოვრებაში წარმოსახვა თავის მაგიურ ძალას კარგავდა.

მაგრამ პოლი მაინც ცდილობდა. სააბაზანოში, კარადის თაროზე უამრავი წამალი იდო. ნუთუ არ შეიძლებოდა მათი გამოყენება, რომ ენი თავიდან მოეცილებინა? ან კარგა ხნით უუნარო გაეხადა? მაგალითად: ნოვრილის საკმაო დოზა და, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ქალი თვითონვე გაემგზავრებოდა მოუსავლეთში.

„ძალიან კარგი აზრია, პოლ, გეტყვი, რა უნდა გააკეთო. აიღე ერთი მუჭა ეგ წამალი და ნაყინში ჩაუყარე. თხილიანი ნაყინი ეგონება და ინდაურივით შესანსლავს“.

არა, ეს გეგმა არ გამოდგებოდა და არც მეორე: ნოვრილის კაფსულები რომ გაეხსნა და ფხვნილი წინასწარ გათხელებულ ნაყინში ჩაეყარა. წამალი ისეთი მწარე იყო, ქალი იმწამსვე მიხვდებოდა და მერე, ვაი შენს პოლს, კაცმა არ იცის, თავზე რა რისხვას დაატეხდა.

ამ მშვენიერი იდეის რეალურ ცხოვრებაში განხორციელება შეუძლებელი იყო. თეთრ ფხვნილს გემო საერთოდაც რომ არ

ჰქონოდა, მაშინაც კი პოლი დარწმუნებული არ იყო, ეს გეგმა გაამართლებდა თუ არა. ეს ხომ თამაში არ იყო. ეს მისი ცხოვრება იყო.

პოლს გონებაში სხვა აზრმაც გაუელვა, მაგრამ მაშინვე უარყო. მაგალითად: რაღაც (უცებ საბეჭდი მანქანა გაახსენდა) კარის თავზე რომ ჩამოეკიდა, გააღებდა თუ არა ენი კარს, ის რაღაც თავზე დაეცემოდა და მოკვდებოდა ან გაითიშებოდა. მერე კიბეზე თოკის დადება მოაფიქრდა. მაგრამ, ისევე როგორც ნოვრილის შემთხვევაში, არც ერთი გეგმა საიმედო არ იყო. პოლმა ზუსტად არ იცოდა, რა მოუვიდოდა, ენის მოკვლა რომ ეცადა და მიზნისთვის ვერ მიეღწია.

დაღამდა. მიზერის ჭყვიტინი ისე მონოტონურად ისმოდა, როგორც ქარის დროს ღია კარის გაღება დახურვის ჭრიალი. მაგრამ ძროხა მიჩუმდა, აღარ ბღაოდა. პოლმა გაიფიქრა, ალბათ საბრალო პირუტყვს ცური გაუსკდა და მოკვდაო. ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ იწვა მკვდარი ძროხა რძესა და სისხლში. შემდეგ ეს აზრი თავიდან მოიშორა, ძროხები ასე არ კვდებიანო. მერე შინაგანი ხმა ჩაესმა: შენ რა იცი, ძროხები როგორ კვდებიან და, საერთოდ, ეს შენი პრობლემა არ არისო.

ყველა შენი ფანტაზია, რასაც გეგმას ეძახი, ერთად იყრის თავს და იმაზე მიუთითებს, რომ ენის მოკვლა გინდა, ოღონდ დისტანციურად. ქალის სისხლით ხელის გასვრა არ გსურს. შენ ისეთი კაცი ხარ, რომელსაც ძროხის ხორცი საჭმელად უყვარს, მაგრამ სასაკლაოზე ერთ საათსაც ვერ გაძლებს. ასე არ არის?

- ასეა, - უპასუხა პოლმა თავის შინაგან ხმას.

პოლი ისევ სამზარეულოში გავიდა და უჯრების ქექვა დაიწყო, ვიდრე დანები არ იპოვა. ყველაზე გრძელი, მეყასბის დანა ამოარჩია და თავის ოთახში დაბრუნდა. კართან შეჩერდა და შავი ლაქების წმენდას შეუდგა. მაგრამ ლაქები მთლად ვერ წაშალა.

„არა უშავს“, - გაიფიქრა პოლმა. „ერთხელ ხომ გამოეპარა და ვერ შეამჩნია, ახლაც ვერ შეამჩნევს“.

კაცმა დანა მაგიდაზე დადო. საწოლზე ახოხდა და დანა ლეიბის ქვეშ შეაცურა. როდესაც ენი დაბრუნდებოდა, პოლი ერთ ჭიქა ცივ წყალს სთხოვდა. ქალი ჭიქით ხელში დაიხრებოდა და პოლი სწორედ მაშინ გაუყრიდა ყელში დანას.

ნამდვილად რეალური გეგმა იყო.

პოლმა თვალები დახუჭა და ჩაეძინა. როდესაც დილის ოთხ საათზე ენის მანქანა ჩამქრალი მაშუქებით, ნელა მიუახლოვდა სახლს, პოლი არც განძრეულა, ეძინა. მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როდესაც იგრძნო, რომ მკლავზე რაღაცამ უჩხვლიტა. პოლმა თვალი გაახილა და დახრილი ენის სახე დაინახა. კაცი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ენი დაბრუნდა.

21

პოლს თავიდან ეგონა წიგნში განვითარებული ამბავი ესიზმრებოდა. ოთახის სიბნელე ბურკების ქალღმერთის უზარმაზარი ქვის კერპის უკან მდებარე გამოქვაბულის სიბნელედ წარმოედგინა. თითქოს ხელზე ფუტკარმა უკბინა...

- პოლ?

პოლმა გაუგებრად რაღაც წაილუღლუღა: - მომშორდი, სიზმარო, თავი დამანებე.

- პოლ, - ეს სიზმრიდან მოსული ხმა არ იყო. ეს ენის ხმა იყო.

პოლმა ძლივს გაახილა თვალი. თავზე ენი ედგა. კაცი უეცრად პანიკამ მოიცვა. მერე შიში სადღაც გაიძურწა. ისე გაიპარა, როგორც წყალი გატეხილი ჭურჭლიდან. რა ჯანდაბაა?..

პოლი მთლად დაიბნა. ენი ოთახის სიბნელეში ისე იდგა, თითქოს არსადაც არ წასულიყო. თავისი ერთერთი შალის ქვედაკაბა და ძველმოდური სვიტერი ეცვა. ხელში შპრიცი ეჭირა. პოლი მიხვდა, რომ ხელზე ფუტკარს კი არ უკბენია, ენიმ ნემსი გაუკეთა. თუმცა სულ ერთია, ორივე შემთხვევაში, სიზმარშიც და ცხადშიც, კერპის ტყვეობაში იყო. მაგრამ ენიმ რა ჯანდაბა...

პოლის გონება პანიკამ კინაღამ ისევ მოიცვა, მაგრამ შიშმა უკან დაიხია. ახლა ის მხოლოდ გაოცებას გრძნობდა. აინტერესებდა, ენი საიდან დაბრუნდა და ამ დროს რატომ მოვიდა. კაცმა ხელების მაღლა აწევა სცადა, მაგრამ მხოლოდ ოდნავ წამოწევა მოახერხა. თითქოს მკლავებზე უხილავი ტვირთი ეკიდა. ყრუ ხმაურით პოლს მკლავები ისევ ზეწარზე დაუცვივდა.

„რა მნიშვნელობა აქვს, რა ნემსი გამიკეთა. ჩემს ამ მდგომარეობას შეეფერება სიტყვა - „დასასრული“, რომელსაც წიგნის ბოლო გვერდზე ვწერ ხოლმე“.

ამ ფიქრს პოლი აღარ შეუშინებია, მხოლოდ მშვიდ ნეტარებას გრძნობდა.

„ყოველ შემთხვევაში, შემიმსუბუქა“...

- აი, გაიღვიძე, ბოლოს და ბოლოს, - უთხრა ენიმ კეკლუცად. - ვხედავ გახელილ შენს ცისფერ თვალებს. არასოდეს მითქვამს, რა ლამაზი ცისფერი თვალები გაქვს? ვფიქრობ, სხვა ქალები გეუბნებოდნენ, რომლებიც ჩემზე ლამაზები და გაცილებით გაბედულები არიან.

„დაბრუნდა“, - გაიფიქრა პოლმა. - „ჩუმად შემოვიდა ღამით სახლში და მომკლა. რა მნიშვნელობა აქვს, ნემსი მომიღებს ბოლოს თუ ფუტკრის ნაკბენი. მომკლა, რადგან დანა მოვიპარე და ლეიბის ქვეშ დავმალე. მე ვარ მისი ბოლო მსხვერპლი“. - ფიქრობდა პოლი. როდესაც წამალმა მოქმედება დაიწყო და ერთგვარი სიმსუბუქე იგრძნო, გულში გაიღიმა. - „რა მშვენიერი შეჰერაზადა გამოვიდა ჩემგან!“ - უსაყვედურა თავის თავს.

„ახლა უკანასკნელად ჩამეძინებაო“, - გაიფიქრა პოლმა. მაგრამ ძილი რატომღაც არ ეკარებოდა. პოლმა დაინახა, როგორ ჩაიდო ენიმ ქვედაკაბის ჯიბეში შპრიცი და საწოლზე ჩამოჯდა, მაგრამ არა იქ, სადაც, ჩვეულებრივ, ჯდებოდა ხოლმე, არამედ საწოლის ფეხთან მოთავსდა. რამდენიმე წამის განმავლობაში პოლი მის მკვრივ ზურგს ხედავდა, რადგან ენი დაიხარა, თითქოს რაღაცას ამოწმებდა. პოლმა ჩხაკუნის ხმა გაიგო. ეს ხმა ადრეც გაუგია, მაგრამ როდის? მერე უცებ მიხვდა, შესაძლოა, ასანთის ჩხაკუნის ხმა იყო. კაცს ენის სიტყვები მოაგონდა: „აიღე ასანთი, პოლ“.

პოლმა არ იცოდა, კიდევ რა საგანი ჰქონდა ენის საწოლის ფეხთან. ერთი კი ცხადია, იქ ასანთი ნამდვილად იყო.

ენი მოტრიალდა და კვლავ გაუღიმა. ჩანდა, მის დეპრესიულ მდგომარეობას ჩაევლო. ქალმა თმა ყურის უკან გადაიწია, როგორც პატარა გოგონებმა იციან ხოლმე. პოლმა ქალის ეს კოპწია მოძრაობა უადგილოდ ჩათვალა, რადგან თმა უსუფთაოდ, მუქად უჩანდა.

„მუქია თუ რა არის, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო ბიჭუნი, არ დაგავიწყდეს, რომ ქვის კერპი ვარ. ყველაფერი, რაც ადრე იყო, მხოლოდ პროლოგად ჩათვალე. დღეს რა გელის, იმაზე იფიქრე. აი, ახლა ეს არის მთავარი“. - ასეთი ფიქრები უტრიალებდა პოლს თავში.

- პოლ, პირველად კარგი ამბავი გითხრა თუ ცუდი? - ჰკითხა ენიმ.

- კარგი ამბავი, - მიუგო პოლმა და სულელურად გაიღიმა. - ვხვდები, ცუდი ამბავი რაც იქნება. ალბათ წიგნი არ მოგწონს, ძალიან ცუდია, ჰო?.. მაგრამ მე ვეცადე. ჯერ ხომ არ დამიმთავრებია. სიუჟეტის განვითარებაზე ვმუშაობ.

ენიმ საყვედურით შეხედა:

- პოლ, ხომ გითხარი, რომ წიგნი მომწონს. ტყუილს არასოდეს ვამბობ. ისე ძალიან მომწონს, რომ არ მინდა გზადაგზა ვიკითხო. მაპატიე, რომ „ნ“-ების ჩასმა თვითონ გიწევს. მაგრამ... მე რომ ჩავსვა, ეს იგივე იქნება, გასაღების ჭუჭრუტანაში შევიჭყიტო.

პოლს სულელური ღიმილისაგან ტუჩის კუთხეები განზე გაეწია. კაცმა წარმოიდგინა, მალე ტუჩის კუთხეები უკან, კეფამდე გაიჭიმებაო. იქ მაგრად გადაენასკვებიან ერთმანეთს. მერე ჩემი საცოდავი თავის ზედა ნაწილი მომწყდება და აქვე საწოლთან დაეცემაო. მაგრამ ტვინის ღრმა ხვეულებში, სადაც ნარკოტიკის ზემოქმედება ვერ აღწევდა და გონება საღად აზროვნებდა, განგაშის ზარებმა შემოჰკრა. მაშ, ენის წიგნი მოსწონს. რაც იმას ნიშნავს, რომ არ აპირებს პოლის მოკვლას. მაგრამ ფრთხილად, პოლ, რაღაც უარესი აქვს ჩაფიქრებული.

პოლს მოეჩვენა, რომ ოთახი არაჩვეულებრივი და არაბუნებრივი შუქით იყო განათებული. მან წარმოსახვას ფრთა შეასხა: მთაში, ტყვიისფერ ნისლში ტბასთან ცალ ფეხზე მდგარი წეროები წარმოიდგინა. გაზაფხულზე ფერდობებზე ახლადამოსული ბა-

ლახიდან გამომზირალი მთის ქანების ათინათი დაინახა. ცვრიან ბალახზე მორიალე ელფებს მოჰკრა თვალი...

„ჰეი, პოლ, გონს მოდი“, - შესძახა თავის თავს და ჩაიცინა.

ენიმ საპასუხოდ გაუღიმა.

- კარგი ამბავი ის არის, რომ შენი მანქანა ავარიის ადგილას აღარ არის, - უთხრა ქალმა. - მანქანის ამბავი ძალიან მაფიქრებდა, პოლ. ვიცოდი, ძლიერ ქარიშხალს შეეძლო ადგილიდან დაეძრა და დაეცურებინა მანქანა, მაგრამ ახლანდელი ქარიშხლის სიძლიერეში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი. გაზაფხულის წარღვნამ ის დამპალი პომეროი ხომ ჩაიტანა დაბლა, მაგრამ მანქანა ადამიანზე მძიმეა, არა?იმ დამპალ ნეხვის ტომარაზე მძიმეა, მაგრამ გაზაფხულის ნიაღვარმა კარგი სამსახური გამიწია. პოლ, შენი მანქანა იქ აღარ არის. ეს არის კარგი ამბავი.

- რა თქვი? - ჰკითხა პოლმა და კაცის ტვინში განგაშის ზარებმა უფრო გულისწამღებად დაიწყო რეკვა. პომეროი... საიდანღაც ახსოვდა ეს გვარი, მაგრამ საიდან? მერე მოაგონდა, ენდრიუ პომეროი, ოცდასამი წლის, ნიუიორკის შტატის ქოლდ სტრიმ ჰარბორის მოქალაქე, რომლის დასახიჩრებული გვამი გრაიდერის ნაკრძალში იპოვეს.

- აბა, პოლ, - თქვა ქალმა კეკლუცად. პოლმა მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიკეკლუცე. - არ არის საჭირო თავის მოჩვენება, ვითომ არ ვიციო, - განაგრძო ქალმა. - ძალიან კარგად იცი, ვინ იყო ენდი პომეროი. ისიც ვიცი, ჩემი ალბომი წაიკითხე. ვიმედოვნებდი, წაიკითხავდი. აბა, რიღასთვის დავტოვე თვალსაჩინო ადგილას? მაგრამ მინდოდა, დავრწმუნებულიყავი. მინდა, ყველაფერში დარწმუნებული ვიყო და დავრწმუნდი კიდეც, რადგან ძაფი გაწყვეტილი დამხვდა.

- ძაფი? - იკითხა პოლმა მისუსტებული ხმით.

- ჰო, ძაფი, - მიუგო ქალმა. - წაკითხული მაქვს, როგორ უნდა გამოიცნო, შენს უჯრებში ვინმე ძვრება თუ არა. უჯრაზე ძალიან

წმინდა ძაფი უნდა დააკრა. თუ ძაფი გაწყვეტილი დაგხვდა, ესე იგი ვიღაცას უჯრა გაუღია. ხედავ, რა ადვილია?

- ჰო, - პოლი უსმენდა, მაგრამ სინამდვილეში ამ უჩვეულო შუქით განათებული ხაფანგიდან თავის დაღწევა უნდოდა.

ქალი საწოლის ფეხისკენ კვლავ დაიხარა. პოლმა ისევ გაიგო უცნაური ჟღარუნჩხაკუნის ხმა. მერე ქალი გაიმართა და ისევ თმაზე გადაისვა ხელი.

- რაც შეეხება ალბომს, მეც ასევე მოვიქეცი, - თქვა ქალმა. - ოღონდ ძაფი კი არა ჩემი თმა გამოვიყენე, თან სამ ადგილას გადავაწებე. ამ დილით, როდესაც თაგუნიასავით ჩუმად შემოვიპარე სახლში, რომ არ გამეღვიძებინე, ვნახე, თმის სამივე ღერი გაწყვეტილი იყო. ასე რომ, წაგიკითხავს ჩემი ალბომი, - ენიმ ლაპარაკი შეწყვიტა. მას არასასიამოვნო და თან გამარჯვებულის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. პოლი ვერ მიმხვდარიყო, რა ედო ქალს გუნებაში. - არა, არ გამკვირვებია, რადგან დიდი ხანია ვიცი, რომ ოთახიდან გამოხვედი, - უთხრა ქალმა. - აი, ესეც შენი ცუდი ამბავი, პოლ.

ერთი მხრივ, პოლი სიბრაზესა და შეშფოთებას გრძნობდა, რადგან ენის თავიდანვე ყველაფერი სცოდნია, მაგრამ, მეორე მხრივ, თანდათან ეიფორული უდარდელობაც ეუფლებოდა და რასაც ქალი ამბობდა, არც ისე მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რადგან ოთახში დღის შუქი ნელნელა შემოდიოდა.

- მაგრამ შენს მანქანაზე ვსაუბრობდით, პოლ, - უთხრა ქალმა. - იქ ჩემთან მთაში მანქანის საბურავებისათვის ჯაჭვები მაქვს. გუშინ ნაშუადღევს უკეთესად ვიგრძენი თავი. რაც წავედი, მთელი იმ დროის მანძილზე მუხლმოყრილი ვლოცულობდი და, როგორც ყოველთვის, პასუხიც მომივიდა. მარტივი და გასაგები, როგორც ყოველთვის. რაც ღმერთთან ლოცვით მიგაქვს, პოლ, ის ათასგზის გიბრუნებს. ასე რომ, საბურავებს ჯაჭვები შემოვახვიე და ნელნელა წამოვედი. მაგრამ, გითხრა სიმართლე, ადვი-

ლი არ იყო. შეიძლება ავარია მომსვლოდა. პატარა ავარია ამ მიხვეულმოხვეულ გზებზე იშვიათად ხდება ხოლმე. მაგრამ გულდამშვიდებული ვიყავი. ვიცოდი, ღმერთი დამიფარავდა.

- ძალიან ამაღელვებლად ყვები, ენი, - უთხრა პოლმა.

ქალმა პოლს გაკვირვებითა და ერთგვარი ეჭვით შეხედა. მერე მოდუნდა და გაიღიმა. - შენთვის საჩუქარი მაქვს, პოლ, - უთხრა ენიმ ნაზად. ვიდრე პოლი ჰკითხავდა, რა საჩუქარიო, ქალმა ლაპარაკი განაგრძო. კაცი დარწმუნებული არ იყო, უნდოდა თუ არა ქალისგან რამე საჩუქარი.

- გზა საშინლად მოყინული იყო, - თქვა ქალმა. - ორჯერ კინაღამ გადავიჩეხე. მეორეჯერ, როდესაც ფერდობზე მოვცურდი, - მხიარულად გაიცინა ენიმ, - თოვლის ნამქერში მოვხვდი. დაახლოებით შუაღამე იქნებოდა. მაგრამ იუსტაისის მუშათა დეპარტამენტის მანქანამ, რომელიც გზაზე ქვიშას ყრიდა, შემამჩნია და ნამქერიდან ამომიყვანა.

- ყოჩაღ იუსტაისის მუშათა დეპარტამენტს! - თქვა პოლმა.

- მთავარი გზიდან ორ მილში ბოლო სახიფათო მონაკვეთია. შენც ხომ იცი, გზატკეცილი ნომერი ცხრა, სადაც ავარია მოგვიდა. მუშებს იქ ქვიშა კარგად დაეყარათ და მანქანა გავაჩერე. შენს მანქანას ვეძებდი. ვიცოდი, რა უნდა მექნა, თუ მანქანას დავინახავდი. რადგან ვგრძნობდი, ადრე თუ გვიან დაკითხვები დაიწყებოდა და პირველად მე მომადგებოდნენ. მიზეზს ალბათ ხვდები.

„მე წინ გაგისწარი, ენი, და ეს სცენარი სამი კვირის წინ გავაანალიზე“. - გაიფიქრა პოლმა.

- ერთერთი მიზეზი, რისთვისაც სახლში წამოგიყვანე, ის იყო, რომ დამთხვევად ჩავთვალე... უფრო ბედისწერად.

- რა ბედისწერაზე ლაპარაკობ, ენი? - ჰკითხა პოლმა.

- შენ დაახლოებით იმ ადგილას მოგვიდა ავარია, სადაც მე ის უდღეურიპომეროი მოვიშორე თავიდან. კაცი, რომელმაც მითხრა მხატვარი ვარო, - ენიმ ხელის თითები ზიზღით გაატკაცუნა

და ფეხი მოინაცვლა. პოლმა ისევ გაიგო რაღაც საგნის იატაკზე გახახუნების ხმა.

- ესტეს პარკიდან ვბრუნდებოდი. იქ ჩემი საყვარელი კერამიკული ფიგურების გამოფენაზე ვიყავი.

- მივხვდი, - თქვა პოლმა ყრუდ და ჩაიცინა. საღად მოაზროვნე გონების ნაწილი, რომელიც ნარკოტიკისგან გაბრუებული არ იყო, ცდილობდა, გაეფრთხილებინა: პოლ, მოკეტე, ნუ ყბედობო. მაგრამ გაჩუმებას რა აზრი ჰქონდა, ქალმა მაინც ყველაფერი იცოდა. ბურკების ფუტკართა ქალღმერთმა ყველაფერი იცოდა. - განსაკუთრებით ყინულის ლოდზე მდგარი პინგვინი მომეწონა, - უთხრა პოლმა.

- გმადლობთ, პოლ... მართლაც საყვარელია, არა?.. პომეროის ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული და ავტოსტოპით მოგზაურობდა. მითხრა, მხატვარი ვარო. მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ ერთი ნარკომანი ჰიპი იყო, რომელიც ესტეს პარკის რესტორანში ბოლო ორი თვის მანძილზე ჭურჭელს რეცხავდა. როდესაც ვუთხარი, საიდუინდერში სახლი მაქვსმეთქი, მითხრა, რა მშვენიერი დამთხვევაა, მეც საიდუინდერში მივდივარო. ნიუიორკის ერთერთი ჟურნალის დაკვეთას ვასრულებ, ძველი სასტუმროს ნანგრევები უნდა დავხატოო. ჟურნალში სასტუმროზე სტატიას ჩემი ესკიზები უნდა დაურთონო. საიდუინდერში მართლაც დიდებული სასტუმრო იყო, რომელსაც „ოვერლუქი“ ერქვა და რომელიც ათი წლის წინ სასტუმროს ერთმა გიჟმა დარაჯმა გადაწვა. გიჟიო, ყველა ასე ამბობდა, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. დარაჯი მკვდარია.

- პომეროი აქ ცხოვრობდა. ჩვენ საყვარლები ვიყავით, - ენიმ შავი, ანთებული თვალებით შეხედა პოლს.

„თუ ენდრიუ პომეროიმ შენთან სიახლოვე მოინდომა, ენი, სასტუმროს დარაჯზე არანაკლებ გიჟი ყოფილა“, - გაიფიქრა კაცმა.

- მერე აღმოვაჩინე, რომ არავითარი შეკვეთა არ ჰქონია. პომეროი სურათებს თავისთვის ხატავდა, მათი გაყიდვა უნდოდა. დარწმუნებულიც კი არ იყო, ჟურნალს სასტუმროს შესახებ მართლა უნდოდა სტატიის დაბეჭდვა თუ არა. ეს ყველაფერი ძალიან მალე გავიგე. მერე ჩუმად მისი ბლოკნოტი გადავფურცლე და ესკიზები დავათვალიერე. ვფიქრობ, ამის უფლება მქონდა, რადგან ჩემს სახლში ცხოვრობდა და ჩემს პურს ჭამდა. რვა თუ ცხრა საშინელი ესკიზი იყო, - ენის სახე ისე დაემანჭა, თითქოს კვლავ ღორის ღრუტუნს აჯავრებსო.

- მე უკეთეს სურათებს დავხატავდი. ამ დროს შემომისწრო და გაგიჟდა. სხვის საქმეში ცხვირს ყოფო. ჩემს სახლში ვარ და ამ საქციელს ცხვირის ჩაყოფად არ ვთვლი მეთქი. მერე მივახალე, შენ თუ მხატვარი ხარ, მაშინ მე მადამ კიური ვყოფილვარმეთქი. სიცილი აუტყდა. დამცინოდა. მე... მე...

- შენ კი მოკალი, - უთხრა პოლმა. კაცს მისუსტებული ხმა ჰქონდა, თითქოს შორიდან ისმისო.

ქალმა უხერხულად ჩაიცინა და კედლისკენ გაიხედა. - ჰო, მგონი ასე იყო. კარგად არ მახსოვს. მაგრამ მკვდარი მახსოვს. მახსოვს, აბაზანაში ჩავაწვინე და დავბანე.

პოლი ქალს მიაჩერდა. შიშმა აიტანა და თავი ცუდად იგრძნო. თვალები დახუჭა და თვალწინ წარმოუდგა აბაზანაში პომეროის შიშველი სხეული. თავი აბაზანის კიდეზე აქვს ჩამოდებული, ტანი კი წყალში ცომივით უჩანს. პოლმა სასწრაფოდ თვალები გაახილა და ჭერს ახედა.

- მომიხდა ამის გაკეთება, - ტუჩები მოკუმა ქალმა. - შენ იქნებ არ იცი, პოლიცია რას იზამს, თუ მის ხელში აღმოჩნდება პაწაწინა ძაფი, ფრჩხილის ჭუჭყი ან გარდაცვლილის თმის მტვერი. შენ არ იცი, მაგრამ მე ვიცი, რადგან მთელი ცხოვრება საავადმყოფოში ვმუშაობდი. ვიცი, სასამართლოზე რას ილაპარაკებდნენ.

ენი უილკსისთვის დამახასიათებელი გააფთრება ქალში თანდათან ძალას იკრებდა. პოლი ხვდებოდა, რომ ენი დროებით მაინც უნდა დაეშოშმინებინა, მაგრამ კაცი თითქოს დამუნჯდა, ტუჩებს ვერ იმორჩილებდა.

- ყველა ჩემ წინააღმდეგაა განწყობილი, ყველა! როგორ ფიქრობ, მომისმენდნენ, რომ მეთქვა, საქმე როგორც იყო? მომისმენდნენ? ჰა, მითხარი. არა, რა თქმა უნდა! სისულელეს იტყოდნენ. მაგალითად: თითქოს პომეროის ავეკიდე, მერე მან დამცინა და მე მოვკალი. ალბათ ასეთ რამეს იტყოდნენ.

„იცი, რას გეტყვი, ენი? ეს სიმართლესთან ძალიან ახლოსაა“, - გაიფიქრა კაცმა.

- ეს დამპლები ყველაფერს იტყოდნენ და ყველანაირად ეცდებოდნენ, უბედურება მოეტანათ ჩემთვის ან ჩემი სახელისათვის ჩირქი მოეცხოთ.

ქალი მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხანს შეჩერდა, რომ სული მოეთქვა. მერე პოლს გამომწვევად მიაჩერდა, თითქოს ეუბნებოდა, აბა, გაბედე და რამე საწინააღმდეგო თქვი. აბა, გაბედეო!

შემდეგ თავი ხელში აიყვანა და მშვიდად განაგრძო:

- დავბანე... ყოველ შემთხვევაში, რაც მისგან დარჩა... ტანსაცმელიც გავრეცხე. ვიცოდი, რა უნდა მექნა. გარეთ ბარაქიანად თოვდა. სინოპტიკოსების აზრით, დილისთვის ერთი ფუტი სიმაღლის თოვლი იქნებოდა. ტანსაცმელი ცელოფანის პარკში ჩავდე, სხეული ზეწარში გავახვიე და დაბნელდა თუ არა, მეცხრეგზატკეცილისკენ წავედი. ის ადგილი გავიარე, საიდანაც შენი მანქანა ნამქერმა წაიღო. კიდევ ერთი მილი ვიარე და ტყეს მივუახლოვდი. ტყეში ყველაფერი ძირს დავყარე. გგონია, გვამი გადავმალე? არა, ვიცოდი თოვლი დაფარავდა, ხოლო გაზაფხულზე გამდნარი თოვლის ნიაღვარი წაიღებდა. ასეც მოხდა, მაგრამ ასე შორს თუ წაიღებდა, არ მეგონა. გვამი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ იპოვეს, ტყიდან ოცდაშვიდი მილით დაბლა, გრაიდერის ნაკ-

რძალში. უკეთესი იქნებოდა, ნიაღვარს ასე შორს არ წაეღო და სადმე ახლოს შეეჩურთა. გრაიდერის ნაკრძალში ყოველთვის ბევრი ტურისტი და ჩიტების მოყვარული ხალხი ირევა. აქაური ტყეები გაცილებით უკაცრიელია. ენის გაეღიმა.

- პოლ, შენი მანქანა ალბათ ახლა სადღაც მეცხრე გზატკეცილსა და გრაიდერის ნაკრძალს შორის ტყეშია გაჩხერილი. გვარიანად შორს იქნება. იმიტომ, რომ გზიდან არ ჩანს. მანქანაში საკმაოდ ძლიერი პროჟექტორი მიდევს. მაგრამ გზატკეცილიდან ტყემდე ვერაფერი დავინახე. წვიმიანი დღეები რომ ჩაივლის, ფეხით წავალ და კიდევ მოვძებნი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მანქანა სადღაც ალბათ უვნებლად დგას. ორი, ხუთი ან შვიდი წლის შემდეგ ვინმე მონადირე უკვე დაჟანგულ შენს მანქანას გადააწყდება, ხოლო მანქანის სალონში ციყვებს ბუდე ექნებათ გაკეთებული. ამ დროისათვის შენც დაამთავრებ წიგნის წერას და ნიუიორკში ან ლოსანჯელესში წახვალ, წახვალ სადაც გინდა. მე კი აქ დავრჩები და მშვიდად გავაგრძელებ ცხოვრებას. შეიძლება ზოგჯერ წერილებიც მივწეროთ ერთმანეთს.

ენის სახეზე ოცნებაში წასული ადამიანის ღიმილი გამოეხატა, თითქოს ცაში ლამაზი კოშკი დაინახაო. მაგრამ ღიმილი მალევე მოიშორა და კვლავ საქმიანი ტონით განაგრძო:

- აქეთ რომ მოვდიოდი, დაძაბული ვფიქრობდი, რომ შენი მანქანა რადგან ნიაღვარმა წაიღო, ეს იმას ნიშნავდა, რომ შენ ახლა ნამდვილად დარჩებოდი და ჩემს წიგნს დაასრულებდი. იცი, ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა, რომ შეძლებდი, თუმცა არასოდეს მითქვამს, რადგან შენი აღელვება არ მინდოდა. აღელვებული კარგად ვერ იმუშავებდი. მაგრამ ეს მშრალი სიტყვები ისე ვერ გამოხატავს იმას, რასაც ნამდვილად ვგრძნობდი. იცი, თავიდან შენში მწერალი მიყვარდა. მწერალი, რომელიც შესანიშნავ ისტორიებს თხზავდა. როგორც ადამიანს, არ გიცნობდი. ჩემთვის ვფიქრობდი, იქნებ როგორც ადამიანი არასასიამოვნო პიროვნე-

ბაა მეთქი. სულელი არა ვარ, რაღაც მეც გამეგება. წამიკითხავს ზოგიერთი ეგრეთ წოდებული „ცნობილი ავტორის“ შესახებ და ვიცი, რომ საკმაოდ ხშირად ისინი ცხოვრებაში არასასიამოვნო პიროვნებები არიან. მაგალითად: ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი და კიდევ ის წითელკისერა ყმაწვილი მისისიპის შტატიდან, ფოლკნერი, თუ ვინც არის. მათ შეიძლება მიიღონ პულიცერის პრემია, მაგრამ ცხოვრებაში ხელიდან წასული ლოთები არიან. მათ არც სხვები ჩამორჩებიან. როდესაც თავიანთ მშვენიერ ნაწარმოებებს არ ქმნიან, ლოთობენ, ნარკომანობენ, ბოზობენ და კიდევ, ღმერთმა იცის, რას არ სჩადიან.

- მაგრამ შენ მათ არ ჰგავხარ. შენ კარგი ხარ, ამას თანდათან მივხვდი. იმედია, წინააღმდეგი არ იქნები, თუ გეტყვი, რომ შენში მწერალიცა და პიროვნებაც, ორივე მიყვარს.

- მადლობა, ენი, - უთხრა პოლმა, კაცს უკვე ოქროსფრად ელვარე ტალღა არწევდა. „შენ შეიძლება არასწორად შემიცანი, ენი“, - გაიფიქრა პოლმა. - „კაცს ცდუნებისაკენ სიტუაცია უბიძგებს. აქ მე ამას მოკლებული ვარ. რა თქმა უნდა, ბარში საგრიალოდ მოტეხილი ფეხებით ვერ წახვალ, ხოლო რაც შეეხება ნარკოტიკს, ბურკების ფუტკართა ქალღმერთი ამ „სიკეთეს“ ნამდვილად არ მაკლებს“.

- მაგრამ საკითხავია, მოისურვებ თუ არა დარჩენას? - განაგრძო ენიმ. - ეს კითხვა მაწვალებდა და თავი რაც არ უნდა მომეტყუებინა, პასუხი ვიცოდი. სანამ კარის ჩარჩოზე ლაქებს შევამჩნევდი, პასუხი იქამდე ვიცოდი.

„თავს დავდებ, ყველაფერს მაშინვე მიხვდა“, - გაიფიქრა პოლმა. - „თავის მოტყუება? არა, ენი, თავის მოტყუება შენ არ გჩვევია. ეს მე ვიტყუებდი თავს“.

- გახსოვს, პირველად რომ წავედი? - ჰკითხა ქალმა. - ქაღალდის გამო ის სულელური ჩხუბი რომ მოგვივიდა?

- მახსოვს, - მიუგო კაცმა.

- მაშინ პირველად გამოხვედი ოთახიდან, არა?

- ჰო, - უპასუხა პოლმა. უარის თქმას აზრი აღარ ჰქონდა.

- აბები გინდოდა. უნდა მცოდნოდა, აბების გამო ყველაფერს იზამდი. მაგრამ როცა ტვინი მეკეტება... კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ. - ქალმა ნერვიულად ჩაიცინა. საპასუხოდ პოლს არ გაუცინია, არც ოდნავი ღიმილი დასტყობია ტუჩებზე. ჯერ ისევ ცოცხლად ახსოვდა, მაშინდელი მომქანცველი და მტკივნეული გაბრძოლება, რომელსაც ფონად სპორტული კომენტატორის ხმა ახლდა.

„ვიცი, კარგად ვიცი, როგორი ხდები, როცა ტვინი გეკეტება“, - გაიფიქრა პოლმა.

- პირველად მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ოთახიდან გამოხვედი, - დაიწყო ქალმა. - როდესაც სასტუმრო ოთახში, პატარა მაგიდაზე ფიგურები არეული დამხვდა, ვიფიქრე, ალბათ შემთხვევით მე გადავაადგილე მეთქი. ზოგჯერ რაღაცრაღაცები მავიწყდება ხოლმე. ერთი კი გამკრა გონებაში, იქნებ პოლი გამოვიდა ოთახიდან? არა, შეუძლებელია. ის ისე ცუდადაა და თან კარი ხომ დაკეტილი დავტოვე მეთქი. გასაღები ისევ ჯიბეში მედო. მერე გამახსენდა, რომ ეტლში იჯექი, ჰოდა, იქნებ...

- როცა ათი წელი მედდად მუშაობ, ერთ რამეს ნამდვილად სწავლობ, ეს ფაქტების გადამოწმებაა. ამრიგად, გადასამოწმებლად სააბაზანო ოთახში შევიხედე, სადაც კარადის თაროზე წამლების ნიმუშები მიდევს. როდესაც საავადმყოფოში ვმუშაობდი, მაშინდელი მოტანილი წამლებია. რომ იცოდე, საავადმყოფოებში რა წამლები არ არის, პოლ. ასე რომ, რაღაც რაღაცები დროდადრო მომქონდა... და არა მარტო მე. მაგრამ მორფის შემცველ წამალს ხელი არ უნდა ახლო. ეს წამლები დათვლილი და ჩაკეტილია. მათზე სპეციალური ჩანაწერი კეთდება. თუ ეჭვი გაუჩნდათ, რომ მედდა მორფს იპარავს, ჯერ მედდას აკვირდებიან, უთვალთვალებენ და როდესაც დარწმუნდებიან... ცაპ! - ქალმა

ხელი მუხლზე დაირტყა. - მედდას სამსახურს დაატოვებინებენ, საბრალოს თეთრი ქუდის დახურვაც აღარასოდეს ეღირსება.

- მაგრამ მე უფრო ჭკვიანი ვიყავი.

- წამლის კოლოფებიც კერამიკის ფიგურებივით არეული დამხვდა. ერთი კოლოფი, რომელიც ქვედა თაროზე მედო, ზედა თაროზე დავინახე. მაგრამ მაინც ეჭვი მეპარებოდა. ისევ ვიფიქრე, თვითონ გადავაადგილებდი, როდესაც... როდესაც აფორიაქებული ვიყავი მეთქი.

- გავიდა ორი დღე და გადავწყვიტე, ამ ამბებზე აღარ მეფიქრა. ნაშუადღევს წამლის დასალევინებლად შემოვედი. შენ გეძინა. კარის სახელური გადავატრიალე, მაგრამ ვერ გავაღე, თითქოს გასაღებით იყო ჩაკეტილი. რამდენიმე წამის შემდეგ კარი გაიღო და კლიტეში რაღაცამ გაიჩხაკუნა. მერე შენ საწოლში აწრიალდი და მე, როგორც ყოველთვის, წამალი დაგალევინე. ისე ვიქცეოდი, თითქოს ეჭვი არც გამჩენია. თავის მოჩვენება კარგად მეხერხება, პოლ. მერე დაგეხმარე, რომ ეტლში ჩამჯდარიყავი და წიგნზე გემუშავა. უცებ თვალები ამეხილა. შევამჩნიე, სახეზე ფერი მოგსვლოდა და ფეხებსაც ამოძრავებდი, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ამოძრავებდი. მკლავებში კი ძალა მოგმატებოდა.

- ვხედავდი, თითქმის გამოჯანმრთელებული იყავი. სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ შეიძლებოდა პრობლემები შემქმნოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ეჭვი ჩემს მიმართ არავის გასჩენია. გიყურებდი და ვგრძნობდი, რომ თავის მოჩვენება შენც შეგეძლო. იმ ღამით უფრო ძლიერმოქმედი წამალი დაგალევინე და როდესაც დავრწმუნდი, ისე ღრმად გეძინა, რომ ყურთან ზარბაზანის გასროლის ხმაც ვერ გაგაღვიძებდა, სარდაფიდან ინსტრუმენტები ამოვიტანე, საკეტი მოვხსენი და ნახე, რა ვიპოვე!

ენიმ ჯიბიდან პატარა და შავი რაღაც ამოიღო და პოლს გაშეშებულ ხელში ჩაუდო. პოლმა ხელი თვალებთან მიიტანა. თმის სამაგრის მოღუნული და დაგრეხილი ნატეხი აღმოჩნდა.

პოლმა თავი ვერ შეიკავა და სიცილი აუტყდა.

- რა გაცინებს, პოლ?

- გადასახადების გადასახდელად რომ წახვედი, კარი მაშინაც გავაღე. ეტლი ცოტა დიდია და კარის ჩარჩოზე შავი ლაქები დატოვა. მინდოდა, გამეწმინდა.

- მე რომ არ შემემჩნია, არა?

- ჰო, მაგრამ შენ ხომ მაინც შეამჩნიე.

- რა გგონია, მხოლოდ ჩემი თმის სამაგრის ნახვის შემდეგ? - გაეღიმა ქალს. - არა, ლაქები მანამდეც შევამჩნიე.

პოლმა თავი დაუქნია და უფრო ხმამაღლა გაიცინა. სიცილისაგან თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. ამდენი შრომა... წუხილი... გულის ხეთქვა... ყველაფერი ხომ სულ ტყუილად გადაიტანა. პოლი იცინოდა და იცინოდა.

- ვწუხდი. მეგონა, ეგ თმის სამაგრი ხათაბალაში გამხვევდა, - თქვა პოლმა ბოლოს. - მაგრამ, არა, უსიამოვნება არ მოუტანია. საკეტში მისი ჩხაკუნის ხმაც კი არ გამიგია. თუმცა როგორ გავიგებდი, ბუდიდან ამოგიღია. ესე იგი, გიყვარს ადამიანების გასულელება, ენი, არა?

- ჰო, მიყვარს, - თქვა ქალმა და ფეხი გაანძრია. იატაკზე კვლავ რაღაცამ გაიხრიგინა.

- ოთახიდან სულ რამდენჯერ გამოხვედი?

„დანა, ღმერთო, დანა“, - გაუელვა პოლს გონებაში.

- ორჯერ. არა, დაიცა. გუშინაც გავედი დაახლოებით ხუთზე, ნაშუადღევს. მინდოდა, დოქი წყლით ამევსო.

ეს მართალი იყო. პოლმა დოქი წყლით აავსო. მაგრამ ნამდვილი მიზეზი, რისთვისაც სამზარეულოში გავიდა, არ გაუმხელია. გასვლის მიზეზი ახლა ლეიბის ქვეშ იდო. პრინცესა ცერცვის მარცვალზე. პოლი მეყასბის დანაზე.

- სამჯერ, წყალზე გასვლაც რომ მივათვალო.

- მართალი მითხარი, პოლ.

- სამჯერ, გეფიცები. მხოლოდ სამჯერ. ღმერთის სახელს ვფიცავ, გაქცევა ფიქრშიაც კი არ გამივლია. აქ წიგნს ვწერ, ხომ არ დაგავიწყდა?

- ღმერთის სახელს ტყუილზე ნუ იფიცებ, პოლ.

- როდესაც პირველად ოთახიდან გავედი, ფეხები მუხლებიდან ქვევით ჯოჯოხეთურად მტკიოდა. სხვათა შორის, ეს შენი ბრალია, ენი, წამალი არ დამიტოვე.

- მოკეტე, პოლ!

- მეორეჯერ საჭმლისთვის გავედი და ცოტა მარაგიც მინდოდა, თუ კიდევ სახლიდან დიდი ხნით წახვიდოდი, - განაგრძო პოლმა. ყურადღება არ მიუქცევია ენის სიტყვებისათვის. - მერე მომწყურდა. სულ ესაა. დასამალი რა მაქვს.

- ისეთი კარგი ბიჭი ხარ, ტელეფონისკენ არც გაგიხედავს და კარებზე საკეტებიც არ დაგითვალიერებია.

- ტელეფონიც გავსინჯე და საკეტებიც... მაგრამ ამ თავსხმასა და ლაფში შორს ვერ წავიდოდი, შენი სახლის კარი ფართოდ გაღებულიც რომ ყოფილიყო, - მიუგო პოლმა. მის ორგანიზმში ნარკოტიკის მოქმედება თანდათან ძლიერდებოდა. კაცს მარტო ის

უნდოდა, რომ ენი გაჩუმებულიყო და ოთახიდან გასულიყო. ნარკოტიკის საკმაო დოზა ხომ გაუკეთა, რათა კაცს სიმართლე ეთქვა. პოლმა იცოდა, ამ სიმართლეს ენი ერთ დღესაც ცხვირში ამოადენდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ძილი უნდოდა.

- რამდენჯერ გახვედი ოთახიდან? - ჰკითხა ისევ ქალმა.

- უკვე გითხარი.

- რამდენჯერ? - ქალი ხმას თანდათან უწევდა. - სიმართლე თქვი!

- სამჯერ.

- რამდენჯერ? დასწყევლოს ღმერთმა.

ახლა უკვე შეეშინდა პოლს, მიუხედავად იმისა, რომ ცხენის დოზა ნარკოტიკი ჰქონდა გაკეთებული.

„რაც არ უნდა მიქნას, ძალიან არ მეტკინება“, - გაიფიქრა კაცმა. - „ალბათ არ მომკლავს... უნდა, რომ წიგნი დავამთავრო... ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა“.

- გგონია, მასულელებ? - ჰკითხა ქალმა. პოლმა შეამჩნია, რომ ქალს სახე ისე უბრწყინავდა, თითქოს ცელოფანი ჰქონდა გადაკრული, ერთი უბრალო ჩაღრმავებაც კი არ უჩანდა.

- ენი, გეფიცები...

- მატყუარებს შეუძლიათ დაფიცება! მატყუარებს უყვართ დაფიცება! კარგი, მიდი, გამასულელე, თუ გინდა. მშვენიერია, ყოჩაღ! გაასულელე ქალი, რომელიც სულელი არ არის და რომელიც ყოველთვის გჯობნის. მისმინე, პოლ, ამ სახლში ჩემი თმის ღერები ყველგან გავაბი და როდესაც შევამოწმე, ან გაწყვეტილი დამხვდა ან საერთოდ გამქრალი... მარტო ალბომში კი არ ჩავაწებე, დერეფანშიც გავაბი და ზედა სართულზე უჯრებზეც გადავაწებე... ფარდულიც არ დამვიწყებია.

„ენი, ფარდულში როგორ შევიდოდი, როდესაც სამზარეულოს კარს სამმაგი საკეტი ადევს“, - უნდოდა ეთქვა პოლს, მაგრამ ქალმა არ დააცადა.

- აბა, მისტერ ჭკვიანო ბიჭო, თქვი, რომ სამჯერ გახვედი ოთახიდან და მე გეტყვი, ვინ არის სულელი.

ნარკოტიკით მთვრალი და, ამავე დროს, შეშინებული პოლი ქალს მიაჩერდა. არ იცოდა, რა ეთქვა... რა სიგიჟე იყო... რა პარანოია...

„ღმერთო ჩემო“, - გაიფიქრა პოლმა. ფარდული სულ გადაავიწყდა, უცებ ზედა სართული გაახსენდა. „ზედა სართულიო, ასე თქვა?“

- ღვთის გულისათვის, ენი, ზედა სართულზე როგორ ავიდოდი?

- ახვიდოდი, - იკივლა ქალმა. - რამდენიმე დღის წინ დაგინახე, საწოლიდან როგორ გადაჯექი ეტლში. თუ ეს შეძელი, მაღლა ასვლასაც შეძლებდი, ახოხდებოდი.

- ჰო, აბა რა, დამტვრეული ფეხებითა და დალეწილი მუხლებით.

მდელოზე შავმა ნაპრალმა კვლავ გახსნა პირი. ენი გაირინდა და გაუჩინარდა, სამაგიეროდ, ბურკების ფუტკართა ქალღმერთი არსად წასულა, აქ იყო.

- ისევ ჯიუტად იმეორებ შენსას, პოლ, არ გინდა, ჭკვიანურად მოიქცე, - თქვა ქალმა ჩუმად.

- იცი რა, ენი, ერთერთი ჩვენგანი მაინც უნდა ეცადოს, რომ კეთილგონიერება გამოიჩინოს. შენ კი არ ცდილობ. წარმოიდგინე, როგორ ავხოხ...

- რამდენჯერ?

- სამჯერ.

- პირველად წამლისთვის.

- დიახ, ნოვრილის კაფსულებისთვის.

- მეორედ საჭმლისთვის.

- ჰო, ასეა.

- მესამედ წყლით დოქის ასავსებად.

- ჰო, ენი, ჰო. თავბრუ მეხვევა.

- დოქი წყლით სააბაზანოში აავსე?

- კი.

- ესე იგი, ერთხელ წამლისთვის, ერთხელ საჭმლისთვის, ერთხელ წყლისთვის.

- ჰო მეთქი, გითხარი, - პოლმა ყვირილი სცადა, მაგრამ ყელიდან ხრინწიანი ხავილი ამოუვიდა მხოლოდ.

ქალმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და დანა ამოიღო. დანის პირი დილის სინათლეზე აციმციმდა. უცებ ენი მარცხნივ შებრუნდა და საკმაოდ ოსტატურად დანა კედლისკენ ისროლა. კედელზე ტრიუმფალური თაღის სურათი ეკიდა და დანა სწორედ იმ სურათის ქვეშ ჩაერჭო.

- შენი ლეიბი შევამოწმე, სანამ საოპერაციოდ მოგამზადებდი და ნემსს გაგიკეთებდი, - უთხრა ქალმა. - მეგონა, იქ კაფსულების გარდა არაფერი იქნებოდა, მაგრამ დანის დანახვამ ძალიან გამაკვირვა. კინაღამ ხელიც გავიჭერი. მაგრამ ლეიბის ქვეშ დანა შენ არ დაგიდია, ასე არ არის?

პოლმა არაფერი უპასუხა. ფიქრები კაცის თავში საოცარი სისწრაფით ირეოდა. საოპერაციოდ მომზადებაო? მართლა ასე თქვა? საოპერაციოდო? პოლს უცებ აზრმა გაუელვა:„ქალი კედლიდან დანას ამოაძრობს და იმ დანით კასტრაციას ჩამიტარებსო“.

- დანა ლეიბის ქვეშ შენ არ შეგინახავს. ოთახიდან პირველად წამლისთვის გახვედი, მერე საჭმლისთვის, მერე კი წყლისთვის. ხოლო დანა თავისით მოცურდა და ლეიბის ქვეშ შეგისრიალდა. ალბათ ზუსტად ასე იყო, არა? - ენიმ დამცინავად გადაიხარხარა.

საოპერაციოდ მომზადებაო? პოლს გონებიდან არ სცილდებოდა ეს სიტყვები.

- ღმერთმა შეგაჩვენოს! რამდენჯერ?

- კარგი, კარგი! წყლისთვის რომ გავედი, დანაც წამოვიღე. ვაღიარებ. თუ ფიქრობ, რომ ოთახიდან კიდევ რამდენჯერმე გავედი, მაშინ შენ დათვალე, ეს რამდენჯერ იყო. თუ იტყვი, ხუთჯერო, იყოს ხუთჯერ. თუ იტყვი, ოცჯერ, ორმოცდაათჯერ, ასჯერ, შენი ნებაა, იყოს რამდენჯერაც გინდა. მე ყველაფერზე დაგეთანხმები.

ნარკოტიკით გაბრუებულსა და გაბრაზებულ პოლს წამით სრულიად გადაავიწყდა შემაშფოთებელი სიტყვები: საოპერაციოდ მომზადება. კაცს ენისთვის ბევრი რამის ახსნა უნდოდა, თუმცა იცოდა, რომ პარანოიდული მდგომარეობის გამო ქალს ვერაფერში დაარწმუნებდა. პოლს უნდოდა ეთქვა, რომ წებოვანი ზონარი დაწებებული ადგილიდან ახლა ადვილად ძვრება, რადგან ჰაერში ამჟამად დიდი სინოტივეა. ასე რომ, ბევრ ადგილას მის მიერ დაგებული მახეები აძვრა და შემთხვევით შემოჭრილმა ორპირმა ქარმა სადღაც გაფანტა. რაც შეეხება ვირთხებს, სარდაფში ალბათ წყალია, არც სახლის პატრონი იყო სახლში და ვირთხებიც ყველგან თავისუფლად დაძვრებოდნენ. ჰოდა, ძაფებიც მათი დაწყვეტილია. მაგრამ ენის ამას დააჯერებ? მისი აზრით, პოლი იმდენად გამოჯანმრთელდა, რომ უკვე მზადაა, ნიუიორკის მარათონში მიიღოს მონაწილეობა.

- ენი... ენი, რას გულისხმობდი, როდესაც მითხარი, ოპერაციისათვის მოგამზადეო?

მაგრამ ენის პასუხი არ გაუცია. ქალის გონებაში სულ სხვა აზრები ტრიალებდა. - მე ვფიქრობ, შვიდჯერ, - თქვა მან წყნარად. - სულ ცოტა, შვიდჯერ, ასეა?

- თუ ამბობ, შვიდჯერო, იყოს შვიდჯერ, - მიუგო პოლმა. - რას გულისხმობდი...

- ვხედავ, ჯიუტობას არ იშლი, - უთხრა ქალმა. - ვიცი, შენ და შენისთანები რაღაცების გამოგონებას ისე ხართ შეჩვეულნი, ცხოვრებაშიც იმავეს აგრძელებთ. მაგრამ არა უშავს, პოლ, არაფერი იცვლება, შვიდჯერ გახვედი ოთახიდან, სამოცდაათჯერ თუ

სამოცდაათგზის შვიდჯერ. პრინციპი უცვლელია და არც შედეგი იცვლება.

პოლი დინებას გაჰყვა. გაცურდა... წავიდა. თვალები დახუჭა. როგორც ღრუბლიდან გადმოსული ზებუნებრივი ხმა, ქალის ხმაც შორიდან ჩაესმოდა. ქალღმერთი, - გაიფიქრა კაცმა.

- პოლ, წაგიკითხავს, როგორ მუშაობდნენ ადრე კიმბერლის ალმასის მაღაროებში? - ჰკითხა ქალმა.

- ამაზე წიგნი დავწერე, - მიუგო პოლმა და გაიცინა. ვერ იტყოდა, ეს რატომ თქვა.

(ოპერაციისათვის მომზადება? ოპერაციისათვის მომზადება?)

- ზოგჯერ ადგილობრივი მუშები ალმასებს იპარავდნენ. ისინი ამ ალმასებს ფოთლებში ახვევდნენ და სწორ ნაწლავში იჩურთავდნენ. თუ მაღაროდან ისე გამოვიდოდნენ, რომ ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. ზოგი ახერხებდა მდინარეზე გადასვლას და ბურების ქვეყანაში გაქცევას. მაგრამ ვისაც დაიჭერდნენ, იცი, რას უშვრებოდნენ?

- ალბათ კლავდნენ, - უპასუხა პოლმა. კაცს თვალი არ გაუხელია.

- არა, რას ამბობ. ეს იგივეა, გაწყვეტილი ზამბარის გამო ძვირფასი მანქანა გადააგდო. თუ გაქცეულს დაიჭერდნენ, სამუშაოზე აბრუნებდნენ,

მაგრამ დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ მუშა აღარ გაიქცეოდა. ადამიანს გაქცევაში რა უშლის ხელს? კოჭლობა. ჰოდა, სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებ, პოლ. ჩემი უსაფრთხოებისთვის... და შენი უსაფრთხოებისთვისაც. დამიჯერე, შენივე თავისგან უნდა დაგიცვა. ცოტა გეტკინება, მაგრამ მალე ყველაფერი დამთავრდება. ამაზე იფიქრე.

პოლს შიში სუსხიანი ქარივით ეკვეთა. საჩქაროდ გამოფხიზლდა და თვალები გაახილა. ქალი წამოდგა, პოლს საბანი გადა-

აძრო და მისი დაგრეხილი ფეხები და შიშველი ტერფები გამოაჩინა.

- არა, - უთხრა პოლმა. - ენი... არა... არ ვიცი, რა გაქვს განზრახული, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ... გემუდარები...

ენი დაიხარა და როდესაც გაიმართა, ცალ ხელში ფარდულიდან მოტანილი ნაჯახი ეჭირა, მეორეში კი - სარჩილავი. ნაჯახის პირი სინათლეზე ელვარებდა. სარჩილავი კი თავისივე ქილაზე იყო დამაგრებული, ხოლო ქილას ეწერა: „ბერნზ-ო-მატიჩ“. ქალი ისევ დაიხარა და როდესაც გაიმართა, ხელში მუქი ფერის ბოთლი და ასანთი ეჭირა. ბოთლსაც ჰქონდა წარწერა: „ბეტადინე“.

პოლს არასოდეს დავიწყებია ეს სიტყვები, ეს სახელები.

- არა, ენი! - დაიყვირა პოლმა. - გაძლევ პირობას, არსად წავალ. საწოლიდანაც კი არ ავდგები. გემუდარები, ოჰ, ღმერთო, ნუ დამჭრი, გეხვეწები!

- ყველაფერი რიგზე იქნება, - თქვა ქალმა. სახეზე მოდუნებული და უაზრო გამომეტყველება ჰქონდა. თითქოს შეცბუნებული და გათიშული იყო. ვიდრე პოლის გონებას პანიკური შიში ერთიანად მოიცავდა, კაცმა გაიფიქრა, როდესაც ეს ყველაფერი ჩაივლის, ენის მხოლოდ ბუნდოვნად ემახსოვრება, რაცჩაიდინა. როგორც ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ბავშვები, მოხუცები და უიმედო ავადმყოფები დახოცა, რომ ენდრიუ პომეროი მოკლა. ბოლოს და ბოლოს, ეს ის ქალი იყო, რომელმაც მედდის დიპლომი 1966 წელს მიიღო, ხოლო რამდენიმე წუთის წინ თქვა, მედდად მუშაობის მხოლოდ ათი წლის სტაჟი მაქვსო.

„ვიცი, ამ ნაჯახით მოკლა პომეროი“, - გაიფიქრა პოლმა.

კაცი გულსაკლავად ყვიროდა და ქალს ემუდარებოდა, მაგრამ მისი სიტყვები ერთ გაბმულ ზმუილად ისმოდა. პოლი ცდილობდა, გადაბრუნებულიყო. გაწევა უნდოდა. თითქოს ფეხებიც

აუტირდა. უნდოდა, ისინი სადმე გადაემალა, რომ სამიზნე არ გამხდარიყო. მუხლიც აუკივლდა, მიშველეთო.

- ერთი წუთი მოითმინე, პოლ, - უთხრა ქალმა. „ბეტადინის“ ბოთლს თავი მოხსნა და პოლს მარცხენა კოჭზე მოყავისფრო მიწითალო სითხე დაასხა. - ერთ წუთში ყველაფერი დამთავრდება, - თქვა ქალმა. მან ნაჯახი ბრტყლად დაიჭირა. პოლი ხედავდა, ქალს მარჯვენა ხელის მაჯასთან მყესები დაჭიმული ჰქონდა, ამეთვისტოსთვლიანი ბეჭედი ისევ თითზე ეკეთა. ქალმა „ბეტადინი“ ნაჯახის პირზეც დაასხა. ოთახში საექიმო კაბინეტისთვის დამახასიათებელი სუნი დადგა. ეს სუნი იმას ნიშნავდა, რომ აქ ოპერაცია გაკეთდებოდა.

- ცოტა გეტკინება, პოლ, ძალიან არა, - უთხრა ქალმა და ნაჯახი მეორე მხარეს გადაატრიალა. ქალი სანამ სითხეს დაასხამდა, პოლმა დაინახა, რომ ნაჯახის პირს აქაიქ ჟანგი მოსდებოდა.

- ენი, ენი, ოჰ, ენი, გეხვეწები, გემუდარები. არ გინდა. გეფიცები, კარგად მოვიქცევი. ღმერთს ვფიცავ, კარგად მოვიქცევი. შანსი მომეცი, რომ გამოვსწორდე. ოჰ, ენი, გემუდარები, კარგად მოვიქცევი.

- პატარა ტკივილს უნდა გაუძლო, პოლ, და ეს საშინელი საქმეც დამთავრდება.

ენიმ თავმოხდილი „ბეტადინის“ ბოთლი მხარსზემოთ მოისროლა. ქალს ცარიელი, უმეტყველო და ქვასავით სახე ჰქონდა. მან მარჯვენა ხელი ნაჯახის ტარზე ნაჯახის პირისკენ ჩააცურა. მარცხენა კი უფრო ზემოთ ჰქონდა ტარზე მოკიდებული. ქალმა შეშის მჩეხავივით ფეხები განზე გადგა.

- ენი, გემუდარები, ენი, ნუ მატკენ! ქალს აუღელვებელი და გონებაგაფანტული გამოხედვა ჰქონდა. - ნუ გეშინია, გამოცდილი მედდა ვარ, - უთხრა მან.

ნაჯახი მარცხენა კოჭის ზევით შხუილით დაეშვა. პოლს მთელს ტანში საშინელმა ტკივილმა დაუარა. მუქიწითელი ფერის

სისხლმა იფეთქა და კაცს სახეზე შეეშხეფა. მეომარი ინდიელივით სახე წითლად შეეღება. სისხლი კედლებსაც შეესხა. პოლმა ძვლის ღრჭიალი გაიგო, როდესაც ქალმა ნაჯახი

ამოსწია. პოლმა ფეხს დახედა. ზეწარი წითლად იყო შეღებილი. ფეხის თითები კი უცნაურად იკრუნჩხებოდა. ქალმა ნაჯახი, რომლიდანაც სისხლი წვეთავდა, ისევ მაღლა ასწია. თმის სამაგრებიდან ჩამოშლილი თმა სახის ირგვლივ ჰქონდა ჩამოყრილი.

გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, პოლმა ფეხის გაწევა სცადა. წვივის ოდნავ ამოძრავება შეძლო, მაგრამ ტერფი უმოძრაოდ იდო. ჭრილობამ პირი კიდევ უფრო დააღო. პოლმა დაინახა, რომ ტერფი და წვივი ერთმანეთთან მხოლოდ პატარა ხორცის ნაჭრით იყო გადაბმული. ამასობაში ქალმა მეორედ დაჰკრა ნაჯახი და ტერფი და წვივი საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს. ნაჯახმა ხორცთან ერთად ლეიბიც ჩაჭრა და საწოლის ზამბარები ააჭრიალა.

ენიმ ნაჯახი ამოიღო და გვერდზე მიაგდო. რამდენიმე წამს მოკვეთილ ტერფს უაზროდ დაჰყურებდა. მერე ასანთის კოლოფი აიღო და ერთი ღერი აანთო. შემდეგ სარჩილავი ასწია და სარქველი გახსნა, საიდანაც გამომავალი გაზი ასისინდა. პოლის გადაჭრილი ფეხიდან სისხლი შადრევანივით ასხამდა. ენიმ სარჩილავის ცხვირთან ანთებული ასანთი მიიტანა. გაისმა „ბუუჰ“ და გრძელი, ყვითელი ალი გაჩნდა. მერე ალი დაარეგულირა და სარჩილავის ცხვირს მუქი ცისფერი ალი მოედო.

- ნაკერებს ვერ დავადებ, - თქვა ქალმა. - დრო არ ითმენს. არც კომპრესი და შეხვევა შეიძლება. უნდა მოიწვას.

ენი დაიხარა. პოლმა საზარელ ხმაზე იკივლა, როდესაც ალი ღია ჭრილობას შეეხო. კვამლი მაღლა აიჭრა და ოთახში ტკბილი სუნი დატრიალდა. პოლმა პირველ ცოლთან თაფლობის თვე მაუიზე გაატარა, რომელიც ჰავაის კუნძულებიდან ერთერთია. იქ ლუაუ გაიმართა, რაც გოჭის ორმოში შეწვას ნიშნავს. გოჭი ჯოხ-

ზეა წამოცმული და ორმოში მთელი დღის მანძილზე ნელნელა იწვება. როდესაც ამოიღებენ, გარედან ერთიანად გაშავებულია და ნაწილებად იშლება. ამ სუნმა პოლს ორმოში შემწვარი გოჭის სუნი მოაგონა.

ტკივილი აუტანელი იყო. პოლი კიოდა.

- თითქმის დამთავრდა, - თქვა ქალმა და სარჩილავი გამორთო. ჭრილობიდან სისხლი აღარ მოდიოდა, მაგრამ ახლა ზეწარი იწვოდა. ჭრილობა გოჭის კანივით იყო გაშავებული.

მაუიზე როდესაც გოჭი ორმოდან ამოიღეს ეილინმა გვერდზე გაიხედა, ხოლო სანახაობით მოხიბლული პოლი თვალყურს ადევნებდა, როგორ ადვილად ეცლებოდა გოჭს კანი. ისე ადვილად, როგორც ფეხბურთის თამაშის შემდეგ მაისურს იხდი ხოლმე.

- თითქმის დამთავრდა, - გაიმეორა ქალმა.

ზეწარს პოლის ფეხის გარშემო ცეცხლი ეკიდა. მოჭრილი ტერფი კი მოშორებით იდო. ენი კვლავ დაიხარა და როდესაც გაიმართა, პოლმა მისი ძველი ნაცნობი, ყვითელი, იატაკის საწმენდი ვედრო დაინახა. ქალმა ცეცხლმოკიდებულ საწოლზე წყალი დაასხა.

პოლი კიოდა, კიოდა. ტკივილი! ქალღმერთი! ტკივილი! ო, აფრიკა!

ქალი იდგა და უაზროდ დაჰყურებდა პოლს, რომელიც გაშავებულსა და სისხლით გაჟღენთილ საწოლში იწვა. ქალს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რადიოში მოისმინა ცნობა მიწისძვრის შესახებ, რომელმაც პაკისტანსა თუ თურქეთში ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

- კარგად იქნები, პოლ, - თქვა ქალმა, მაგრამ ხმაში შიში შეეპარა. მან იქაურობას დაბნეულად მოავლო თვალი, როგორც მაშინ, „სწრაფი მანქანების“ ხელნაწერის დაწვისას, როდესაც კი-

ნაღამ ცეცხლი გააჩინა. მერე მზერა პოლის ტერფზე შეაჩერა და შვებით წარმოთქვა:

- ნაგავს გადავყრი, - და პოლის ტერფს დასწვდა. ტერფზე თითები ჯერ ისევ იკრუნჩხებოდა. ქალმა ის კარისკენ წაიღო. კართან თითების მოძრაობა შეწყდა. პოლმა მოჭრილი ტერფის გულზე ნაჭრილობევი დაინახა და გაახსენდა, ბავშვობაში ბოთლის ნატეხზე როგორ დაადგა ფეხი. ეს რივიას სანაპიროზე მოხდა? ჰო, ალბათ იქ. პოლი ატირდა. მამამ უთხრა, პატარა ჭრილობა გაქვს. შენ კი ისე ტირი, თითქოს მთელი ტერფი მოგაჭრესო.

ენი კართან შედგა და პოლისკენ გაიხედა. კაცი ტკივილისაგან კიოდა და წრიალებდა. სახე მიტკალივით ჰქონდა გათეთრებული.

- ახლა დაკოჭლდები, - უთხრა ქალმა. - მაგრამ მე ნუ მისაყვედურებ. შენ თავს დააბრალე, - ენი ოთახიდან გავიდა.

პოლს გული წაუვიდა.

23

პოლი შავ ღრუბლებში ჩაიძირა. სულაც არ ენაღვლებოდა, რომ შავი ღრუბლები გულისწასვლის კი არა, სიკვდილის მაუწყებელი შეიძლება ყოფილიყო. იმედოვნებდა კიდეც, რომ ასე იქნებოდა. ოღონდ ტკივილი გამქრალიყო... აღარც მოგონებები, აღარც ტკივილი, აღარც შიში და აღარც ენი უილკსი უნდოდა.

პოლი ღრუბლებში ირწეოდა. საკუთარი კივილის ხმა ბუნდოვნად ჩაესმოდა და დამწვარი ხორცის სუნს გრძნობდა. მერე ყველა აზრი გაიფანტა, გარდა ერთისა: ქალღმერთო, ბოლოს მოგიღებ! მოგკლავ, ქალღმერთო!

მერე სიცარიელემ დაისადგურა.

III ნაწილი

პოლი

აზრი არა აქვს, ბოლო ნახევარი საათია, დაძინებას ვცდილობ და ვერ ვახერხებ. წერა ჩემთვის ნარკოტიკივითაა. ეს ერთადერთი რამაა, რასაც სიამოვნებით ვაკეთებ. დღეს, ნაშუადღევს წავიკითხე, რაც ადრე დავწერე... მომეჩვენა, რომ ყველაფერი ცოცხალ ფერებში მაქვს აღწერილი. ყველა დეტალში ჩემი ფანტაზიაა ჩაქსოვილი, რაც გარეშე ადამიანისათვის გაუგებარია. ვგრძნობ, ყოველივე ამაოა, მაგრამ, ამავე დროს, ჯადოსნური... ამ რეალობაში ვერ ვიცხოვრებ, ალბათ გავგიჟდები. ჯონ ფაულზი „კოლექციონერი“

1

32-ე თავი

- ოჰ, ღმერთო, - ამოიკვნესა იანმა და წასასვლელად გაიწია. ჯეფრიმ მეგობარს მხარში წაავლო ხელი. დოლებზე მონოტონური ბრახუნი სიკვდილის მაუწყებელ ხმად ისმოდა. ფუტკრები მათ გარშემო დაფრინავდნენ. ერთი ფუტკარი ჩამორჩა, სხვები კი მინდორში გაფრინდნენ, თითქოს რაღაცამ მაგნიტივით მიიზიდაო. ჯეფრის კი ეგონა, ფუტკრებს თვითონ...

2

პოლმა საბეჭდი მანქანა ასწია და შეანჯღრია. მეტალის პატარა ნაწილი ეტლის სახელურებს შორის გადებულ ფიცარზე დაეცა. პოლმა აიღო. ასო „თ“ აღმოჩნდა. საბეჭდმა მანქანამ კიდევ ერთი ასო დაკარგა.

„ხელმძღვანელობას უნდა ვუსაყვედურო“, - გაიფიქრა პოლმა. „ახალ საბეჭდ მანქანას კი არ ვთხოვ, არამედ მოვითხოვ. ვიცი, ფული აქვს. ალბათ ქილაში უდევს, რომელიც ბოსელში ექნება სადმე შენახული, ან მისი სიცილის ადგილას ქოხის კედელში შეჩურთული. დარწმუნებული ვარ, რომ ფული აქვს. „თ“ კი ინგლისურ ენაში ძალიან მნიშვნელოვანი ასოა.

მაგრამ პოლი, რა თქმა უნდა, ქალს არაფერს თხოვდა, მით უმეტეს არაფერს მოითხოვდა. ერთ დროს აქ ცხოვრობდა კაცი, რომელსაც თხოვნა შეეძლო. კაცი, რომელმაც საშინელი ტკივილი გადაიტანა და რომლისთვისაც ცხოვრებამ აზრი დაკარგა და ამ დამპალმა წიგნმაც. იმ კაცს თხოვნა შეეძლო და მიუხედავად ტკივილისა, იმდენი ძალა კი შესწევდა, რომ ეცადა მაინც, ენი უილკსს წინ აღდგომოდა.

ის კაცი პოლი იყო, რომელიც ახლა საოცრად დაბეჩავებული გახლდათ. „მართლაც, რა სირცხვილია“, - გაიფიქრა მან. მაგრამ იმ კაცს, ადრინდელ პოლ შელდონს ორი დიდი უპირატესობა - ორი ტერფი და ორი ცერა თითი ჰქონდა.

პოლი ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე ბოლო სტრიქონი გადაიკითხა და გამოტოვებული ასოები გონებით ჩასვა.

ასე ჯობია.

სჯობს, არაფერი ვთხოვო.

სჯობს, არ გავაღიზიანო.

გარეთ ფუტკრები ბზუოდნენ.

ზაფხულის პირველი დღე იყო.

3

...ისინი იზიდავდნენ.

- გამიშვი, - შეუბღვირა იანმა ჯეფრის. მარჯვენა ხელი მუშტად შეკრა და მეგობარს მოუღერა. თვალები ბრაზისაგან გიჟივით გადმოეკარკლა. ვერ გაეგო, რატომ უღობავდნენ გზას უძვირფასესი ადამიანისაკენ. სიბრაზისაგან ვეღარავის ცნობდა. ჯეფრი მიხვდა, როდესაც ეზეკიამ ბუჩქები გადაწია, იქ ნანახმა სურათმა კინაღამ ჭკუიდან შეშალა იანი. ის კლდის ნაპირას მდგომ ადამიანს ჰგავდა, რომელსაც სულ მცირე ბიძგი სჭირდებოდა და უფსკრულში გადაიჩეხებოდა და თუ ეს ასე მოხდებოდა, ის მიზერისაც თან გაიყოლებდა.

- იან, - გააფრთხილა ჯეფრიმ.

- გამიშვი, გეუბნები! - უთხრა გაბრაზებულმა იანმა და ჯეფრის ხელი ჰკრა.

- არა, ბატონო, ფუტკრები გაგიჟდებიან და ქალბატონს უკბენენ, - შიშით ამოილუღლუღა ეზეკიამ.

იანმა ეზეკიას სიტყვები ალბათ ვერ გაიგო. მას შეშლილის თვალები და უაზრო გამოხედვა ჰქონდა. მოულოდნელად იანმა ჯეფრის ყბაში მუშტი უთავაზა. მას თვალებიდან შავი ნაპერწკლები გადმოცვივდა.

ამის მიუხედავად, ჯეფრიმ მაინც დაინახა, რომ ეზეკიას ტყავის ზონრით ეჭირა და ჰაერში აქნევდა გოშას - ქვიშიან მომცრო ტომარას - სასიკვდილო იარაღს, რომელსაც ბურკები ახლო მანძილზე ბრძოლის დროს იყენებდნენ.

- მაგას მე მივხედავ, - წასჩურჩულა ჯეფრიმ ეზეკიას.

ეზეკიამ უხალისოდ, ნელნელა დაბლა დაუშვა ტომარა. ამასობაში ჯეფრის კიდევ ერთი მუშტი მოხვდა სახეში. ტუჩები კბილებს შორის მოექცა. პირში თბილი სისხლის მარილიანი, მოტკბო გემო იგრძნო. ჯეფრის იანის მზისგან გახუნებული და უკვე ბევრ ად-

გილას გაცრეცილი პერანგი ჰქონდა ჩაბღუჯული. ქსოვილი ნელ-ნელა იხეოდა. ცოტაც და, იანი ჯეფრის მარწუხებიდან გათავი-სუფლდებოდა. ჯეფრის მოაგონდა, რომ იანს სწორედ ეს პერანგი ეცვა სამი დღის წინ ბარონთან და ბარონესასთან გამართულ სა-დილზე. იმ დღის შემდეგ არც ერთს არ ჰქონია ტანსაცმლის გა-მოცვლის საშუალება. ჯერ მხოლოდ სამი დღე გავიდა, მაგრამ პე-რანგს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს იანს ის სამი წელი გაუხდელად ეცვა. ჯეფრის ეჩვენებოდა, რომ იმ საზეიმო სადი-ლის შემდეგ სამასი წელი გავიდა, „არადა, მხოლოდ სამი დღეა გასული“, - გაიფიქრა გაოცებულმა ჯეფრიმ. ამ დროს იანმა სახე-ში ისევ დაარტყა.

- გამიშვი, ღმერთმა შეგაჩვენოს! - იანი სისხლიან მუშტს ისევ ურტყამდა მეგობარს სახეში. საღ გონებაზე რომ ყოფილიყო, ამის გამო ალბათ უყოყმანოდ მოკვდებოდა.

- გინდა, მიზერის სიყვარული მისი მოკვლით დაამტკიცო? - ჰკითხა ჯეფრიმ წყნარად. - თუ ეს გაქვს განზრახული, მაშინ მიდი, იმდენი მირტყი, სანამ არ გავითიშები.

იანს მუშტი ჰაერში გაუშეშდა. გიჟის თვალებში აზრმა გაიელ-ვა.

- მასთან უნდა წავიდე, - ამოილუღლუღა იანმა ისე, თითქოს სიზმარში იყო. - მაპატიე, ჯეფრი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მართლა ძალიან ვწუხვარ, რომ დაგარტყი. მაგრამ ვიცი, გამი-გებ. მე უნდა... ხედავ, რა დღეშია... - იანმა მინდვრისკენ კვლავ გაიხედა, თითქოს უნდოდა ნათქვამის სისწორეში დარწმუნებუ-ლიყო. კაცმა ისევ წასასვლელად გაიწია. მიზერი მინდორში ერ-თადერთ ევკალიპტის ხესთან იდგა. ხელები მაღლა ჰქონდა აწეული. ბარონ ჰეიდზისს მაჯებზე უჟანგავი ფოლადის ხელბორ-კილი უბრწყინავდა, რომლითაც ევკალიპტის დაბალ ტოტზე იყო მიბმული. ბურკები ხელბორკილით ძალიან დაინტერესდნენ, სა-

ნამ ბარონ ჰეიდზისს კერპის პირისკენ მიმავალ გზას გაუყენებ-დნენ, სადაც კაცს უცილობელი სიკვდილი ელოდა.

ამჯერად იანი ეზეკიამ დაიჭირა. ბუჩქები შრიალით გადაიზნიქა და ჯეფრიმ მინდორში გაიხედა. კაცს სუნთქვა შეეკრა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ხელში სწრაფად აქროლადი ასაფეთქებელი ნივთიერება ეჭირა და კლდეზე უნდა ასულიყო. „ერთი კბენა“, - გაიფიქრა მან, - „მხოლოდ ერთი კბენა და ყველაფერი დამთავრდება“.

- არა, ბატონო, არ შეიძლება, - შიშითა და მოთმინებით უხსნიდა ეზეკია. - ბატონი მართალი გითხრა. თუ აქედან ჩვენი გასვლა, ფუტკრებს დღის ძილისგან გაღვიძება და თუ ისინი გაღვიძება, მნიშვნელობა არ აქვს, ქალბატონს ერთი კბენა თუ ათასი. თუ დღის ძილისგან ისინი გაღვიძება, ჩვენ ყველა მოვკვდებით და ქალბატონი პირველად. ეს ყველაზე საშინელი.

იანი ნელნელა გონზე მოვიდა. მის დარწმუნებას ორი კაცი ცდილობდა, რომელთაგან ერთი შავკანიანი იყო, მეორე კი თეთრი. იანმა მინდვრისკენ უხალისოდ გაიხედა, თითქოს გახედვა არ უნდა და თავს ძალას ატანსო.

- მაშინ რა გავაკეთოთ? - იკითხა სასოწარკვეთილმა იანმა. - რა ვქნათ ჩემი უძვირფასესი მეუღლისათვის?

არ ვიცი, კინაღამ წამოცდა ჯეფრის, რომელიც თავადაც საოცრად წუხდა. ჯეფრიმ კიდევ ერთხელ გააცნობიერა, რომ ქალი, რომელიც მას უყვარდა (თუმცა საიდუმლოდ), იანს ეკუთვნოდა. ეს კი იანს ეგოიზმისა და ქალური ისტერიკის უფლებას აძლევდა, ხოლო ჯეფრის თავისი გრძნობების საჯაროდ გამოხატვა არ შეეძლო. ბოლოს და ბოლოს, ყველას თვალში ის მიზერის უახლოესი მეგობარი იყოდა სხვა არაფერი.

„დიახ, უახლოესი მეგობარი“, - გაიფიქრა მან ირონიულად და მინდვრისკენ გაიხედა, სადაც მისი უახლოესი მეგობარი იმყოფებოდა.

მიზერის ტანსაცმელი არ ეცვა, მაგრამ სოფლის ვერც ერთი ყბედი, რომელიც კვირაში სამჯერ დადის ეკლესიაში, ქალს უწესობაში ვერ დაადანაშაულებდა. მიზერის დანახვაზე ალბათ მას პრანჭია შინაბერები წივილკივილით გაშორდებოდნენ და მათი კივილის მიზეზი შიში და ელდა უფრო იქნებოდა, ვიდრე უხამსობის ხილვა. მიზერის არაფერი ეცვა, მაგრამ ვერავინ იტყოდა, შიშველიაო.

მას ფუტკრების კაბა ეცვა. ფეხის თითებიდან წაბლისფერ თმამდე ფუტკრებით იყო დაფარული. თითქოს მონაზვნის უცნაურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ტანსაცმელი უცნაური იმიტომ ჩანდა, რომ მკერდთან და თეძოებთან ტალღასავით მოძრაობდა და ბიბინებდა, თუმცა მინდორში ოდნავი სიოც კი არ ქროდა. თავზეც თითქოს მაჰმადიანური ჩადრი ეხურა. ფუტკრების ნიღაბიდან მხოლოდ ცისფერი თვალები მოუჩანდა. ფუტკრები ქალის სახეზე ნელნელა დაცოცავდნენ. პირსა და ცხვირში უძვრებოდნენ, ნიკაპსა და წარბებში დაფუთფუთებდნენ. ყავისფერი, დიდი, აფრიკული ფუტკრები, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე შხამიანები და აგრესიულები არიან, ბარონის სამაჯურზე დაძვრებოდნენ და მიზერის ხელებზე ცოცხალ ხელთათმნად ეხვეოდნენ.

ჯეფრი ხედავდა, რომ ფუტკრები ყოველი მხრიდან მოფრინავდნენ. განსაკუთრებით კი დასავლეთიდან მოდიოდნენ, სადაც დიდი, შავი, ქვის კერპი იდგა.

დოლებზე ბრახუნის ხმა ისევ ისმოდა, რაც ფუტკრებზე ძილისმომგვრელი ნარკოტიკივით მოქმედებდა. მაგრამ ჯეფრიმ კარგად იცოდა, ფუტკრების ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. კაცმა დაინახა, რაც ბარონესას დაემართა. მადლობა ღმერთს, ამ დროს იანი მათთან არ იყო... ფუტკრების წყნარი ბზუილი უეცრად გაშმაგებულ ხმად იქცა, რომელმაც შთანთქა აგონიაში მყოფ ბარონესას მტანჯველი კივილი. ის ქედმაღალი, სულელი და საშიში ადამიანი იყო. ბარონესამ ისინი კინაღამ შე-

იწირა, როდესაც ბუჩქების მბრძანებელი გაათავისუფლა. მაგრამ არც ერთი ადამიანი, კაცი თუ ქალი, ჭკვიანი თუ სულელი, საშიში თუ უწყინარი, ასეთ სიკვდილს არ იმსახურებდა.

ჯეფრის გონებაში იანის შეკითხვა ზარივით რეკავდა: რა ვქნათ? რით ვუშველოთ ჩვენს ძვირფას, საბრალო ქალს?

- ახლა ვერაფერი ვიზამთ, ბატონო, - თქვა ეზეკიამ. - ქალბატონი არა საშიშროება. სანამ დოლები ბრახუნი, ფუტკრები ძინავთ და ქალბატონსაც.

მიზერი ფუტკრების სქელ, მოძრავ საბანში იყო გახვეული. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ აღარ უჩანდა, რადგან ფუტკრები თვალების ირგვლივ სქლად შემოხვეოდნენ.

- თუ დოლების ბრახუნი შეწყდა, მაშინ? - იკითხა ჯეფრიმ ხმადაბლა. ამის თქმა იყო და დოლების ხმა მართლაც შეწყდა.

მყისვ მა გაიგო ა ...

4

პოლი თვალებს არ უჯერებდა. ბოლო წინადადებას დახედა. მერე საბეჭდი მანქანა ასწია. როდესაც ენი ოთახში არ იყო, ასე ხშირად იქცეოდა, ღმერთმა იცის, ამას რატომ აკეთებდა. საბეჭდ მანქანაში რაღაცამ გაიჩხაკუნა და ახლა სხვა, ახალი ნაწილი გადმოვარდა ფიცარზე, რომელიც პოლს საწერი მაგიდის მაგივრობას უწევდა.

გარედან გაზონის საკრეჭი მანქანის ხმა შემოდიოდა. ენი გულმოდგინედ მუშაობდა. ცდილობდა, კოხტად გაეკრიჭა ბალახი, რომ დამპალ როიდმანებს საჭორაო არაფერი ჰქონოდათ.

პოლმა საბეჭდი მანქანა ფიცარზე დადგა, მერე ააყირავა და ფანჯარაში შემომავალ მზის შუქზე დაათვალიერა. გაოცებულმა შენიშნა, რომ ახლა ასო - „ე“ გამოსულიყო მწყობრიდან.

ყველა სიკეთესთან ერთად, ძველმა „როიალმა“ ინგლისურ ენაში ყველაზე მნიშვნელოვანი ასო დაკარგა. პოლმა კალენდარს შეხედა. კალენდრის ფურცელზე აყვავებული მდელოს სურათი ჩანდა და მაისის თვე იდგა. მაგრამ პოლს თავისი კალენდარი ჰქონდა. ფურცელზე დღეების აღრიცხვას თვითონ აწარმოებდა. მისი გამოთვლით 21 ივნისი იყო.

„მიდის ზაფხულის ეს ზანტი, დახუთული და გიჟური დღეები“, - გაიფიქრა პოლმა მწარედ და საბეჭდი მანქანის კლავიში ნაგვის კალათისკენ ისროლა.

„ახლა რა ვქნა?“ - გაიფიქრა მან, მაგრამ, რასაკვირველია, იცოდა, რა უნდა ექნა. წერა ხელით უნდა გაეგრძელებინა. აი, ეს უნდა ექნა.

მაგრამ ახლა არა. თუმცა წუთის წინ ალმოდებულ სახლში გამომწყვდეული ადამიანივით აქეთიქით აწყდებოდა და დაუდგრომლად ცდილობდა ბურკების ალყაში მოქცეული იანი, ჯეფრი და ის სასაცილო ეზეკია როგორმე კერპის უკან გამოქვაბულში

გადაეყვანა, რათა ფინალური ეპიზოდები აღეწერა, მაგრამ უეცრად დაღლა იგრძნო. ხვრელი, რომლითაც წარმოსახვით სამყაროში გადადიოდა ბრახუნით დაიკეტა.

ხვალ, ხვალ გააგრძელებდა და ხელით უნდა ეწერა.

მოუკვდეს პატრონი ხელით წერას. უჩივლე ხელმძღვანელობას, პოლ.

მაგრამ პოლი ამას, რასაკვირველია, ვერ გაბედავდა. ენი ბოლო დროს ძალიან უცნაური გახდა.

პოლმა ბალახის საკრეჭი მანქანის მოგუგუნე ხმას ყური მიუგდო და გარეთ ქალის ჩრდილსაც მოჰკრა თვალი. როგორც კი გაიფიქრებდა, ენი უცნაური გახდაო, მყისვე გაახსენდებოდა, ქალმა როგორ ასწია და დაარტყა ნაჯახი. თვალწინ წარმოუდგებოდა მისი საშინელი, გაყინული, ულმობელი და სისხლიანი სახე. ქალის ყოველი სიტყვა, კაცის კივილი, ძვალში ჩასული ნაჯახის ღრჭიალი თუ სისხლით მოსვრილი კედლები, ყველაფერი საოცარი სიცხადით ახსოვდა. პოლი ცდილობდა ამ მოგონებებს წინ აღდგომოდა და შეეჩერებინა, მაგრამ ყოველთვის წამით აგვიანებდა.

„სწრაფ მანქანებში“ მნიშვნელოვანი მომენტი მაშინ დგება, როდესაც ტონი ბონასარო პოლიციისგან თავის დაღწევას გამწარებით ცდილობს და ეს მცდელობა მისთვის ლამის ფატალურად მთავრდება (შემდეგ ეპიზოდში გარდაცვლილი ლეიტენანტ გრეის მეწყვილე ტონი ბონასაროს საავადმყოფოს პალატაში დაკითხვას უტარებს). თავად პოლი მრავალჯერ გასაუბრებია ავარიაში მოხვედრილ და გადარჩენილ ადამიანებს, რომ ეს ეპიზოდი აღეწერა. ყველა, თუმცა სხვადასხვა ფრაზით, მაგრამ ერთი შინაარსის პასუხს იძლეოდა: მახსოვს, როგორ ჩავჯექი მანქანაში და როგორ გავიღვიძე აქ, საავადმყოფოში. სხვა არაფერი მახსოვსო.

რატომ პოლსაც ასე არ დაემართა?

იმიტომ, რომ მწერლებს ყველაფერი ახსოვთ, პოლ. განსაკუთრებით ნაიარევები. თუ ჰკითხავ, მწერალი თავის პატარა ნაიარევზე პატარა ნოველას მოგიყვება. დიდ ნაჭრილობევზე შეიძლება რომანიც კი გამოაცხოს. თუ მწერალი გინდა გახდე და წერის ნიჭი გაქვს, ძალიან კარგია, მაგრამ მწერლისთვის თითოეული დეტალის, თითოეული ნაიარევის დამახსოვრება ძალზე მნიშვნელოვანია.

კარგი ნაწარმოების დასაწერად კარგი მეხსიერებაა საჭირო.

ეს ვინ თქვა? ტომას სასმა? უილიამ ფოლკნერმა? სინდი ლოპერმა?

ამ მდგომარეობაში პოლს ბოლო სახელმა მტკივნეული და სევდიანი განწყობილება შეუქმნა. მას თითქმის ყურში ჩაესმა სინდი ლოპერის თავისებური, მხიარული ხმა, როდესაც ის ასრულებდა სიმღერას - „გოგონებს გართობა სურთ“.

უცებ პოლს როკენროლის მოსმენა ისე ძალიან მოუნდა, რომ სიგარეტის მოწევის სურვილი ამ სურვილთან რა მოსატანი იყო. არ იყო სავალდებულო, მაინცდამაინც სინდი ლოპერი ყოფილიყო, ნებისმიერი მომღერალი გამოდგებოდა. მაგალითად: თედ ნიუჯენთი შესანიშნავი იქნებოდა.

ნაჯახი შხუილით აპობს ჰაერს.

ნუ ფიქრობ ამაზე.

სისულელეა, რამდენჯერ უთქვამს თავისი თავისთვის, არ იფიქროო, მაგრამ ეს ფიქრი ყელში გაჩხერილი ძვალივით სულ თან დასდევდა. რას იზამ, პოლ, ძვალს ყელში დაიტოვებ თუ კაცურად მოიქცევი და გადმოაგდებ?

ახლა სულ სხვა რამ გაახსენდა. ეტყობა, დღეს პოლ შელდონს ძველი ამბების გახსენების დღე ჰქონდა. ამჯერად ოლივერ რიდი, დევიდ კრონენბერგის ფილმ „ჯოგის“ პერსონაჟი წარმოუდგა თვალწინ. რიდი, ცოტა არ იყოს, შერეკილი მეცნიერი იყო, მაგრამ მას შესწევდა უნარი, თავისი პაციენტები ფსიქოპლაზმატიკის

ინსტიტუტში (პოლს ეს სახელი ყოველთვის სასაცილოდ ეჩვენებოდა) დაერწმუნებინა იმაში, რომ საჭიროა ადამიანმა ერთხელ განცდილი, თავიდან ბოლომდე, ხელახლა განიცადოს, რომ პრობლემის არსს ჩაწვდეს.

„შესაძლოა ეს ზოგჯერ კარგიცაა“, - გაიფიქრა პოლმა. - „მაგრამ მე საშინელება ერთხელ გადავიტანე და საკმარისია“. „არა, სისულელეა“, - შეუსწორა პოლმა თავის თავს. საკმარისი რომ იყოს, მწერალი კი არ იქნებოდა, მამამისივით მტვერსასრუტებს გაყიდდა. შეუძლებელია, რამე გადაიტანო ცხოვრებაში და მერე აღარასოდეს იფიქრო მასზე.

მაშ, ხელახლა განიცადე, პოლ. ყველაფერი ხელახლა განიცადე. დაიწყე მიზერით.

არა.

კი.

ჯანდაბას შენი თავი.

პოლი ეტლის საზურგეს მიაწვა, თვალებზე ხელები აიფარა და მოგონებებში ჩაიძირა.

5

პოლი არ მომკვდარა და არც ეძინა. გარკვეული დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ენიმ ტერფი მოაჭრა. ტკივილი გაქრა. თითქოს კაცი თავისი სხეულიდან გამოცურდა და ფიქრებადქცეული მაღლა ცაში აფრინდა, როგორც საჰაერო ბუშტი.

რატომ წუხხარ, პოლ? ქალმა თავისას მიაღწია. ტკივილი და კაეშანი გღრღნის. დროდადრო სულელურ მელოდრამაზე მუშაობ, რომ ტანჯვა და ტკივილი გაიქარვო. უაზრობაა ეს ყველაფერი.

შესაძლოა, მაგრამ არა, უაზრობა არ არის. ეს დედააზრია, პოლ. ვერ ხედავ ძაფს, რომელიც ყველაფერში გადის და ყველაფერს აკავშირებს?

რა თქმა უნდა, მიზერი არის ის ძაფი, რომელიც ყველაფერში გადის და ყველაფერს აკავშირებს, მაგრამ საკითხავია, რამდენად ჭეშმარიტია ის.

მიზერი, როგორც არსებითი სახელი, ტანჯვასა და უბედურებას ნიშნავს. პოლისთვის ტანჯვა და ტკივილი კი უაზროდ გაიჭიმა. მიზერი, როგორც საკუთარი სახელი, პერსონაჟს ჰქვია და წიგნის შინაარსსაც გულისხმობს, რაც ასევე უაზროდ გაიჭიმა, მაგრამ არა უშავს, ახლა მალე დამთავრდება. ოთხი თვე, შეიძლება ხუთიც, პოლის ცხოვრება მიზერით იყო გაჯერებული. რასაკვირველია, მიზერი მარტივი და ბანალური...

ოჰ, არა, პოლ. მიზერი ბანალური არ არის. თან მისგან სიცოცხლითა ხარ დავალებული. ბოლოს და ბოლოს, შეჰერაზადად მის გამო იქეცი, ასე არა არის?

პოლმა სცადა, ამ ფიქრებისათვის ზურგი ექცია, მაგრამ ვერ შეძლო. გონება ჯიუტად მუშაობდა. მოულოდნელად ახალი იდეა დაებადა. ახალი იდეა, რომელმაც ფიქრთა ახალი ნაკადი წარმოშვა.

პასუხისათვის ვერ მიგიგნია, იმიტომ რომ მარტივია და თვალწინ გიდევს. შეჰერაზადად შენივე თავისთვის იქეცი.

პოლმა თვალები აახამხამა, ხელები ჩამოუშვა და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ ზაფხულის ნათელი დღე იდგა. ზაფხულის, რომელზეც ფიქრობდა, რომ ვერასდროს მოესწრებოდა. ენის ჩრდილი გამოჩნდა და კვლავ გაუჩინარდა.

„ნუთუ მართალია? შეჰერაზადად ჩემი თავისთვის ვიქეცი?“ - გაიფიქრა პოლმა. თუ ეს ასეა, მაშინ იდიოტურ სიტუაციაში აღმოჩენილა და ეგ არის: გადარჩა და ცოცხალია იმის გამო, რომ სურს დაასრულოს წიგნი, რომლის დაწერაც ენიმ აიძულა. წესით, უნდა მომკვდარიყო, მაგრამ არ მომკვდარა და არც მოკვდება, სანამ არ გაიგებს, ყველაფერი როგორ დამთავრდება.

გაგიჟებულხარ, პოლ.

დარწმუნებული ხარ?

არა, არ იყო დარწმუნებული. ახლა აღარაფერში იყო დარწმუნებული. გარდა ერთისა: მისი სიცოცხლე მიზერიზე იყო დამოკიდებული.

მოგონებები გაცოცხლდა.

„ღრუბლები, ღრუბლებით დაიწყე“, - გაიფიქრა მან.

6

ამჯერად ღრუბლები უფრო შავი, უფრო სქელი და გლუვი იყო. პოლს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კი არ მიცურავდა, მისრიალებდა. დროდადრო გონზე მოდიოდა და საშინელ ტკივილს გრძნობდა. ზოგჯერ ბუნდოვნად ჩაესმოდა ენის ხმა, რომელიც ისე ჟღერდა, როგორც მაშინ, როდესაც გრილზე ხელნაწერის დაწვისას კინაღამ მთელ სახლში ცეცხლი გააჩინა.

- ეს დალიე, პოლ, - ეუბნებოდა ქალი. - ეს შენ გჭირდება.

დაცურდება?

არა მგონია.

ეს სიტყვა აზრს ზუსტად ვერ გამოხატავდა. ზუსტი სიტყვა - ჩაძირვა იქნებოდა. ერთხელ კოლეჯში სწავლისას ღამის სამ საათზე დაურეკეს. ნახევრად მძინარე მეოთხე სართულის მორიგემ პოლს ოთახის კარზე დაუბრახუნა: „გამოდი და ამ ოხერ ტელეფონს უპასუხეო“. დედა ურეკავდა: „სასწრაფოდ წამოდი სახლში, პოლ, მამაშენს დამბლა დაეცა და მგონი ვკარგავთ, იძირებაო“.

პოლმა თავისი ჯაბახანა მანქანა, ძველი „ფორდი“ დაქოქა და სამოცდაათი კილომეტრ საათში სიჩქარით გაქანდა სახლისაკენ, თუმცა ორმოცდაათ კილომეტრ საათში სიჩქარეს თუ გადააჭარბებდა, მანქანა ერთიანად ყანყალებდა და ინჯღრეოდა. მაგრამ მამას მაინც ვერ მიუსწრო. სახლში რომ მივიდა, მამამისი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

იმ ნაჯახიან ღამეს, როდესაც პოლი იძირებოდა, ფსკერს რამდენად მიუახლოვდა, ეს ნამდვილად არ იცოდა. მაგრამ ტერფის ამპუტაციის შემდეგ, მთელი მომდევნო კვირის მანძილზე, რადგან ტკივილს ვერ გრძნობდა და ქალსაც შეშფოთებული ხმა ჰქონდა, იმის მაუწყებელი იყო, რომ საკმაოდ მიუახლოვდა.

პოლი ნახევრად კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძლივს სუნთქავდა, რაც ტკივილგამაყუჩებელი წამლის გვერდითი მოქმედების ბრალი იყო. პოლის ორგანიზმი გლუკოზას წვეთოვანი გადასხმით იღებდა. კაცი კომატოზური მდგომარეობიდან დოლებზე ბრახუნის ხმამ და ფუტკრების ბზუილმა გამოიყვანა.

ბურკების დოლები.

ბურკების ფუტკრები.

სიზმრები ბურკებზე.

უფერული პეიზაჟი ნელნელა ივსებოდა ფერებით, ხოლო აფრიკული ტომი, რომელიც მხოლოდ ხელნაწერის ფურცლებზე არსებობდა, პოლის გონებაში თანდათან კვლავ გაცოცხლდა.

სიზმარი ქალღმერთზე. დაღარული და ალაგალაგ ამოჭმული ქვის ქალღმერთის შავი, უმოძრაო ჩრდილი მწვანე ჯუნგლებს ეფინებოდა. შავი ქალღმერთი, შავი კონტინენტი. ფუტკრებით სავსე ქვის კერპი კაცის გონებაში თანდათან უფრო აშკარად იკვეთებოდა (თითქოს პოლი ღრუბელზე იწვა, რომელსაც გიგანტური კერპის ანარეკლი აჩნდა.). დაბლა მინდორში კი ერთი ბებერი ევკალიპტის ხე იდგა. ხის დაბალ ტოტზე ძველებური, ფოლადის ხელბორკილი ეკიდა. ფუტკრები ხელბორკილზე დაცოცავდნენ. მიზერი სად არის? გაიქცა? კი, გაიქცა. ეს ამბავი ასე არ გრძელდება? ჰო, მაგრამ ახლა ამაში მთლად დარწმუნებული აღარ იყო. შეიძლება გაიქცა, რადგან ხელბორკილი ხეზე ეკიდა. თუ კერპისთვის შესაწირად წაიყვანეს? ან იქნებ დედა ფუტკარს, ბურკების დიდებულ მბრძანებელს მიართვეს?

პოლ, შენ თავად ხარ შენივე თავის შეჰერაზადა.

ვისთვის ყვები ამ ამბავს, პოლ? ვის უყვები, ენის?

არა, რა თქმა უნდა. ქაღალდის ფურცელზე გაკეთებულ ხვრელში იმისთვის კი არ იყურებოდა, რომ ენი დაენახა ან მისთვის ესიამოვნებინა, არამედ ქალისგან თავი დაეღწია.

მერე ფეხის ტკივილი და ქავილი კვლავ იგრძნო. ღრუბელი გაფერმკრთალდა და გაიფანტა. ოთახი გამოჩნდა. ცუდია. ენი დაინახა, ეს კიდევ უარესი. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, პოლმა გადაწყვიტა ეცოცხლა. მას სიკვდილი არ შეეძლო, სანამ არ გაიგებდა, მერე რა მოხდებოდა: იანისა და ჯეფრის დახმარებით მიზერი გაიქცეოდა თუ კერპს შესწირავდნენ? სასაცილო იყო, მაგრამ ამ სულელურ კითხვას პასუხი სჭირდებოდა.

7

ქალს არ უნდოდა, რომ პოლი სამუშაოს ასე ადრიანად დაბრუნებოდა. კაცი ხედავდა, რომ ენი საკმაოდ შეშინებული იყო. ის პოლის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ფეხზე სახვევს ყოველ რვა საათში ერთხელ უცვლიდა (თავიდან ყოველ ოთხ საათში ერთხელ გიცვლიდიო, უთხრა ქალმა ისეთი სახით, თითქოს აცხადებდა, ამისთვის მედალი მეკუთვნის, მაგრამ, ვიცი, არავინ მომცემსო.). კაცს ღრუბლით უწმენდდა ტანს და სპირტით უზელდა, თითქოს ასეთი ზრუნვით ჩადენილი საქციელის გაბათილებას ცდილობდა. „ჯერ ადრეა, პოლ“, - ეუბნებოდა ქალი. „მუშაობა გაწყენს და დაგასუსტებს. ამას არ გეტყოდი, ასე რომ არ იყოს. შენ იცი, მოვლენები წიგნში როგორ განვითარდება. მე კი ვკვდები, ისე მინდა გავიგო, მერე რა მოხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშაობის დაწყებას არ გირჩევ“. სანამ კაცი უკანასკნელ დღეში იყო, როგორც ჩანს, ქალმა ყველაფერი წაიკითხა, რაც პოლმა ტერფის მოკვეთამდე დაწერა. სამასი გვერდიდან დაახლოებით ბოლო ორმოც გვერდზე პოლს „ნ“-ები ჩასმული არ ჰქონდა. ენიმ ეს სამუშაო თვითონ შეასრულა. ერთგვარი სიამაყით უჩვენა პოლს კოხტა „ნ“-ები, რომელიც კაცის კუზიან, ნაჯღაბნ „ნ“-ებს საერთოდ არ ჰგავდა.

მართალია, ენის არაფერი უთქვამს, მაგრამ პოლი დარწმუნებული იყო, ქალი ამით ან თავის მზრუნველობას გამოხატავდა (თითქოს ეუბნებოდა, როგორ შეგიძლია, პოლ, ულმობლობაში დამადანაშაულო, როდესაც ამდენი ლამაზი „ნ“-ები ჩავსვი სიტყვებშიო), ან ცდილობდა, ჩადენილი საქციელი მოენანიებინა, ან რაღაც მისტიურ რიტუალს ასრულებდა: გამოუცვალე სახვევები ფეხზე, დაბანე, ჩასვი „ნ“-ები სიტყვებში და პოლი იცოცხლებს. ამრიგად, ბურკების ფუტკართა ქალღმერთი დიდებულ ჯადოქრობას ჩაატარებდა და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

თავიდან ყველაფერი ისე იყო, როგორც პოლმა გაიფიქრა. მერე დადგა „უნდას“ დრო. პოლმა მშვენივრად იცოდა „უნდას“ ყველა სიმპტომი. როდესაც ენიმ თქვა, რომ კვდებოდა, ისე უნდოდა გაეგო, რა მოხდებოდა შემდეგ, ქალი არ აზვიადებდა.

შენც ხომ იმისთვის ცოცხლობ, გინდა გაიგო, რა იქნება მერე, განა ასე არ თქვი? ყოველივე ეს სისულელე და უაზრობა, მაგრამ სიმართლე იყო.

მიზერიზე დაწერილ წიგნებში პოლს შეეძლო აღმაფრენა ლამის ხელოვნურად გამოეწვია, ხოლო სხვა სერიოზულ ნაწარმოებებში ეს თავისთავად უნდა მოსულიყო, თუ საერთოდ მოვიდოდა. არ იცოდი, სად უნდა გეძებნა. მაგრამ თუკი აღმაფრენა გეწვეოდა, რადიაციის საზომი გეიგერის ხელსაწყოსავით ამას ზუსტად იგრძნობდი: ნაბახუსევი საბეჭდი მანქანის წინ იჯექი და ყავის ჭიქას ჭიქაზე ცლიდი, თუ სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდი (პოლმა იცოდა, სიგარეტის მოწევისათვის თავი უნდა დაენებებინა, ყოველ შემთხვევაში, დილაობით მაინც არ უნდა მოეწია, მაგრამ ვერ ახერხებდა). ან, დავუშვათ, გადაღლილი აცნობიერებდი, რომ წიგნის დამთავრებამდე თვეები გავიდოდა, ხოლო მის დაბეჭდვამდე სინათლის წლები, მაგრამ იმ მომენტს, როდესაც აღმაფრენა დაგეუფლებოდა, უმალ იგრძნობდი. პოლს, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა, რომ მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ის მუშაობაში ეხმარებოდა.

ღმერთო ჩემო, დღეები გადიოდა და ქაღალდის ფურცლებზე გაჩენილი ხვრელი სულ უფრო ვიწროვდებოდა, სინათლე ბუნდოვანი ხდებოდა, ხოლო პერსონაჟებს შორის გამართული დიალოგები - სულელური. შენ კი ჭაპანს მაინც ეწეოდი, რადგან სხვა არაფრის კეთება არ შეგეძლო. კონფუცი ამბობს, თუ გინდა ერთი მწკრივი ხორბალი მოიყვანო, წინასწარ ნიადაგი ერთი ტონა ნაკელით უნდა გაანოყიეროო. ერთ დღესაც ხვრელი კინოთეატრის ეკრანივით გაფართოვდებოდა. სინათლე კი მზესავით გაკაშკაშ-

დებოდა და შენ გრძნობდი, რომ აღმაფრენა გეწვია, „უნდას“ დრო მოვიდა. უნდა გაიგო, მერე რა მოხდება.

- ძვირფასო, თხუთმეტოც წუთს კიდევ დავრჩები, უნდა გავიგო, წიგნის მომდევნო თავი როგორ დამთავრდება, - ეუბნება ახალგაზრდა კაცი ცოლს. თუმცა დამღლელი დღე გაატარა სამსახურში და ერთი სული აქვს, სანამ სახლში მივა და დაწვება. ცოლი ალბათ კარგა ხნის ჩაძინებული იქნება, როდესაც ის საძინებელი ოთახის კარს შეაღებს. მაგრამ რა ქნას, კვდება, ისე უნდა გაიგოს, რა მოხდება შემდეგ.

- ქმარი გამიგიჟდება, - ფიქრობს ქალი, - თუ ვახშამს არ დავახვედრებ, მაგრამ ვკვდები, ისე მინდა გავიგო, ეს ეპიზოდი როგორ დამთავრდება.

ერთი სული მაქვს გავიგო, იცოცხლებს ის თუ არა.

მინდა გავიგო, დაიჭერენ იმ ნაბიჭვარს, ვინც მამა მოუკლა, თუ არა.

მინდა გავიგო, ქალი მიხვდება თუ არა, რომ თავის ქმარს თავისივე საუკეთესო მეგობარი ეკურკურება.

მინდა გავიგო...

საზიზღრობაა ბინძურ ბარში მასტურბაცია. გადასარევი გრძნობაა მაღალი კლასის მეძავთან ღამის გატარება. ღმერთო, რა ცუდი იყო. ღმერთო, რა კარგია. მნიშვნელობა არა აქვს, ყველაფერი ბოლოს რამდენად უხეშად ან ტლანქად დამთავრდება. მთავარია, როგორც ჯექსონები იმ სიმღერაში მღერიან, ვერ გაჩერდები, სანამ არ გაიგებ, არ აღმოაჩენ და არ მიიღებ იმას, რაც გინდა.

8

შენ შენივე თავის შეჰერაზადა გახდი, პოლ.

ამ აზრის გამოთქმა ან თუნდაც გაცნობიერება მაშინ, როდესაც ტკივილი ტანჯავდა, არ შეეძლო, მაგრამ ნუთუ არ იცოდა, რომ ეს ასე იყო?

შენ შეიძლება არ იცოდი, მაგრამ შენს ტვინში მოკალათებულმა კაცუნებმა ხომ იცოდნენ.

ჰო, ალბათ იცოდნენ.

ბალახის საკრეჭი მანქანის ხმა გაძლიერდა. ჰორიზონტზე ენი გამოჩნდა. მან ფანჯარაში შემოიხედა, დაინახა, რომ პოლი უყურებდა და ხელი აუწია. პოლმაც პასუხად ის ხელი აუწია, რომელზეც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ება ცერა თითი. ენი თვალს მიეფარა. კარგია.

პოლმა ქალი, როგორც იქნა, დაარწმუნა, რომ მუშაობა კი არ აწყენდა, პირიქით, უკეთესი იქნებოდა. პოლს ხშირად სტუმრობდნენ და გარს ეხვეოდნენ მის მიერ შექმნილი სახეები, რომლებმაც კაცი შავი ღრუბლებიდან გამოიყვანეს. ჰოდა, ეს აჩრდილები მასთან სტუმრად იქამდე მოვიდოდნენ, სანამ პოლი ქაღალდის ფურცელზე თითოეულს საკუთარ ადგილს არ მიუჩენდა.

ქალი პოლის აზრს არ იზიარებდა, მაგრამ სამუშაოს დაწყების ნება იმიტომ კი არ დართო, რომ პოლმა დაარწმუნა, არამედ უნდოდა გაეგო, წიგნში მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

თავიდან პოლს საბეჭდი მანქანის წინ ჯდომა მხოლოდ თხუთმეტი წუთით ან, დიდი დიდი, ნახევარი საათით შეეძლო, თუკი ეს ამბის გადმოსაცემად იყო საჭირო. ამ მცირე დროის მონაკვეთშიც აუტანელ ტკივილს განიცდიდა. მდგომარეობის შეცვლისას მოკვეთილ ფეხზე ტკივილი ცეცხლივით ისე მოედებოდა, როგორც ჩამქრალ კუნძს ნიავის დაბერვაზე ალი მოედება ხოლმე. სანამ იჯდა და მუშაობდა, ფეხი საშინლად სტკიოდა. მაგრამ ეს

კიდევ არაფერი, მომდევნო ერთი ან ორი საათი უფრო აუტანელი იყო, როდესაც შეხორცებისკენ წასული ჭრილობა სიგიჟემდე ექავებოდა, თითქოს ფეხზე ფუტკრების მთელი არმია ესეოდა და ფუთფუთებდა.

პოლი მართალი იყო, ქალი კი ცდებოდა. კაცი კარგად არ გამხდარა. ალბათ ამ სიტუაციაში ვერც გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ძალები ნაწილობრივ აღიდგინა. მართალია, პოლის ინტერესების ჰორიზონტი დავიწროვდა, გაქცევაზე ფიქრს სამუდამოდ გამოემშვიდობა, მაგრამ ეს იყო გადარჩენის შანსი, მისი გადარჩენა კი სასწაული იქნებოდა.

პოლი საბეჭდი მანქანის წინ იჯდა, რომელიც კლავიშებს თანდათან კარგავდა. ის წარსულს იხსენებდა, რომელიც სამუშაოთი უფრო იყო სავსე, ვიდრე ღირსშესანიშნავი მოვლენებით. კაცმა თავი დააქნია. მართალია, ის თავად გახდა თავისი თავის შეჰერაზადა და საოცნებო ქალი. ფსიქიატრის კონსულტაციის გარეშეც ხვდებოდა, რომ იყო რაღაც საერთო წერასა და ეროტიკას შორის. საბეჭდი მანქანის კლავიშებს ეხები, საკუთარი სხეულის მოფერებისა და თვითდაკმაყოფილების ნაცვლად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში ფანტაზია, სწრაფი ხელები და გამომგონებლობაა საჭირო.

მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა თუ არა საქმე თუნდაც ძალიან მშრალ სქესობრივ აქტთან? ენი მუშაობის დროს პოლს ხელს არასდროს უშლიდა, მაგრამ როგორც კი პოლი წერას დაამთავრებდა, ქალს ხელნაწერი მაშინვე მიჰქონდა, ვითომ გამოტოვებული ასოების ჩასასმელად, მაგრამ სინამდვილეში თავისი ჟინის, ინტერესის დაკმაყოფილება სურდა.

სერიალი? დიახ. წარსული დაბრუნდა.

ბოლო თვეების მანძილზე არა მხოლოდ შაბათობით, არამედ ყოველდღე ენი სერიალს უყურებდა. პოლს, რომელიც მისი პირადი მწერალი იყო, ქალი ირეალურ სამყაროში გადაჰყავდა.

ტკივილმა თანდათან უკან დაიხია. პოლს საბეჭდ მანქანასთან ჯდომა უფრო დიდხანს შეეძლო. ძალაც ნელნელა უბრუნდებოდა, მაგრამ ისე სწრაფად მაინც ვერ წერდა, რომ ენის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

ინტერესი ორივეს აცოცხლებდა. ინტერესი რომ არა, ენი ალბათ კარგა ხნის წინ მოკლავდა და თავსაც მოიკლავდა. ცერი დაკარგა. საშინელებაა, მაგრამ, ამავე დროს, ცოტა არ იყოს, სასაცილოც. პოლ, ირონიით შეხედე ამ ყველაფერს. სიცილი სისხლის მიმოქცევას გაგიუმჯობესებს. იმაზე იფიქრე, რომ უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგალითად, შეიძლებოდა პენისი დაგეკარგა.

- მართალია, თან პენისი ერთი მაქვს, - თქვა პოლმა და ცარიელ ოთახში, კბილებჩაცვენილი საბეჭდი მანქანის წინ გიჟური სიცილი აუტყდა. მანამ იცინოდა, სანამ მუცელი და ფეხი ერთად არ ასტკივდა. მერე სიცილი ქვითინში გადაეზარდა და გონებაში ის მოკვეთილი ცერა თითი ასტკივდა, რომელიც აღარ ჰქონდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო გაჩერება.

- ნეტავ გაგიჟებამდე ბევრი მიკლია? - ჰკითხა თავის თავს.

- ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, - თავის ფიქრს პასუხი გასცა პოლმა.

ცერის მოკვეთამდე ცოტა ხნით, შესაძლოა, ერთი კვირით ადრე ენი პოლის ოთახში შემოვიდა. ორი ვეებერთელა თეფშით ვანილის ნაყინი, ერთი ქილა შოკოლადის სიროფი, კრემიანი ქილა და ალუბლით სავსე მინის ქილა შემოიტანა. სისხლივით წითელი ალუბალი მინის ქილაში ისე ჩანდა, როგორც სპირტში ჩადებული ბიოლოგიური ნიმუში.

- ვიფიქრე, ნაყინი ალუბლითა და შოკოლადის კრემით ხომ არ გვეჭამა მეთქი, - უთხრა ენიმ. ქალის მხიარულ ხმას სიყალბე ეტყობოდა. პოლს ქალის არც ხმა და არც მისი დაძაბული გამოხედვა მოეწონა. ენი თითქოს გამომეტყველებით ამბობდა, ცუღლუტი გოგო ვარო. „აბა, ახლა ყურადღებით იყავი“, - უთხრა პოლმა თავის თავს. ენის ალბათ ზუსტად ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, როდესაც წლების წინ კიბეზე ტანსაცმელი დაყარა ან მკვდარი კატა დადო.

- მადლობა, ენი, - უთხრა პოლმა. თან უყურებდა, როგორ დაასხა ქალმა შოკოლადის სიროფი ნაყინიან თეფშებზე და მერე კრემის ღრუბელი დაამატა. ყველაფერს გამოცდილი კონდიტერივით აკეთებდა.

- მადლობა საჭირო არ არის, - უპასუხა ენიმ. - შენ ეს დაიმსახურე. მუყაითად მუშაობდი.

ქალმა პოლს თეფში მიაწოდა. სამი კოვზის შემდეგ პოლს ტკბილეული მოყირჭდა, მაგრამ ჭამას მაინც აგრძელებდა. ასე უფრო ჭკვიანური იყო. გადარჩენის ოქროს წესის თანახმად, როდესაც ენი რამეს სთავაზობდა, უკეთესი იყო ეჭამა.

რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ენიმ კოვზი დადო. შოკოლადის სიროფისა და გამდნარი ნაყინის წვეთები ტუჩებსა და ნიკაპზე ხელის ზურგით მოიწმინდა და პოლს მხიარულად უთხრა:

- აბა, მიამბე.

- უკაცრავად? - ჰკითხა პოლმა და თავისი კოვზი თვითონაც დადო თეფშზე.

- მომიყევი მერე რა ხდება. ერთი სული მაქვს, გავიგო.

პოლმა განა არ იცოდა, რომ ენი ამბის მოსმენას მოინდომებდა? რა თქმა უნდა, იცოდა. ვინმეს ენისთვის „რეაქტიული კაცის“ ოცი სერია ერთად რომ მიეცა, ქალი კვირაში ან თუნდაც დღეში თითო სერიას უყურებდა?

პოლმა ენის თეფშზე ნახევრად დანგრეულ პირამიდას შეავლო თვალი. კრემში დამარხული ერთი ალუბალი ძლივს ჩანდა, მეორე კი შოკოლადის სიროფში ტივტივებდა. პოლს ის დღე გაახსენდა, როდესაც მთელ სახლში გაურეცხავი, გატკბილული თეფშები იყო მიმოფანტული.

არა, ენი ვერ მოითმენდა. ოცივე სერიას ერთბაშად, ერთ ღამეში უყურებდა, თუნდაც თვალები და თავი საშინლად ატკიებოდა. ქალს ტკბილეული უყვარდა და რაც უყვარდა, იმაზე თავს არ იკავებდა.

- არ შემიძლია, - უთხრა პოლმა.

ქალს სახე მოექუფრა. მაგრამ შვების აჩრდილმაც გადაუარა.

- რატომ? - ჰკითხა მან პოლს.

„იმიტომ რომ მერე პატივს აღარ მცემ“, - უნდოდა ეთქვა პოლს, მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭირა.

- იმიტომ, რომ ცუდი მთხრობელი ვარ, - მიუგო პოლმა.

ქალმა კოვზის ხუთი ამოსმით ნაყინი სულ დაამთავრა. პოლს ასე რომ ექნა, ყელზე შიგნიდან ალბათ ყინულის ფენა გადაეკვრებოდა. ენიმ კოვზი თეფშზე დადო და პოლს გაბრაზებულმა შეხედა, თითქოს კაცი დიდი პოლ შელდონი კი არა, ვიღაც იყო, ვინც დიდი პოლ შელდონის გაკრიტიკება გაბედა.

- თუკი ცუდი მთხრობელი ხარ, მაშ, ბესტსელერები როგორღა გამოგდის და მილიონობით მკითხველს რატომ უყვარს შენი წიგნები?

- არ მითქვამს, რომ ცუდად ვწერ. ამ საქმეში საკმაოდ კარგი ვარ, მაგრამ მთხრობელად არ ვვარგივარ.

- ეგ სულელური თავის მართლებაა, - უთხრა ქალმა და სახე მოეღუშა. უხეში ქსოვილისგან შეკერილ ქვედაკაბაზე დაწყობილი ხელები მბზინავ მუშტებად შეეკრა. ქარიშხალი „ენი“ ოთახში შემოიჭრა. ყველაფერი, რაც ქარიშხალს ახლდა, უკან დაბრუნდა. მაგრამ თითქოს რაღაც მაინც შეიცვალა. პოლს ქალის ისევ ისე ეშინოდა, როგორც ადრე. მაგრამ მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ ქალს მუშტში მაგრად მომწყვდეული უკვე აღარ ჰყავდა. პოლს სიცოცხლე დიდად აღარ ენაღვლებოდა, არც „უნდას“ ჰქონდა მაინცადამაინც დიდი მნიშვნელობა. მხოლოდ იმის ეშინოდა, რომ ენი რაღაცას ატკენდა.

- არა, თავის გამართლება არ არის, - მიუგო პოლმა. - წერა და ამბის მოყოლა ორი სხვადასხვა რამაა, ენი. ისევე როგორც ვაშლი და ფორთოხალი. ხალხი, ვინც ამბებს კარგად ყვება, წერაში მოიკოჭლებს. თუ გგონია, რომ ადამიანი, რომელიც კარგად წერს, კარგი მთხრობელიცაა, მაშინ სატელევიზიო შოუები არ გინახავს, სადაც ზოგიერთი მწერალი ბლუკუნით ლაპარაკობს და სიტყვებს ჯიბეში ეძებს.

- მე კი ლოდინი არ მინდა, - გაჯავრდა ენი. - გემრიელი დესერტი შემოგიტანე, სანაცვლოდ ცოტა რამე მაინც მითხარი. მთელი წიგნის მოყოლას არ გთხოვ... ბარონმა ქალთორფი მოკლა? - ენის თვალები აუციმციმდა. - ეს ძალიან მაინტერესებს. და თუკი მოკლა, გვამი როგორ მოიცილა თავიდან? დაანაწევრა და თავისი ცოლის ჩემოდანში ჩააწყო? ალბათ ასე მოიქცა.

პოლმა თავი გააქნია, იმის ნიშნად კი არა, რომ ენი შეცდა, არამედ იმის ნიშნად, რომ არ ეტყოდა.

ენის სიბრაზისაგან სახე უფრო ჩაუმუქდა და ხმაც გაუმკაცრდა.

- ძალიან მაბრაზებ, პოლ. ამას გრძნობ?

- კი, ვგრძნობ, მაგრამ არ შემიძლია.

- შეგაძლებინებ. გათქმევინებ, - დაექადნა ქალი, მაგრამ იმედგაცრუებული ჩანდა. თითქოს იცოდა, რომ ვერ ათქმევინებდა.

- გახსოვს, ენი, ერთხელ რა მითხარი? რას ეუბნება ბავშვი დედას, როდესაც დედა შეამჩნევს, რომ მისი შვილი იმ ბოთლით თამაშობს, რომელშიც გასაწმენდი სითხეა ჩასხმული და ბოთლს გამოართმევს? „დედა, რა ცუდი ხარ!“ ამბობს პატარა. შენც იმავეს არ ამბობ ახლა? „პოლ, რა ცუდი ხარ!“

- თუ ჭკუიდან გადამიყვან, ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ, იცოდე, - უთხრა ქალმა. მაგრამ პოლი მიხვდა, რომ კრიზისმა ჩაიარა.

- ვფიქრობ იგივე შემთხვევაა, - უთხრა პოლმა. - მეც ხომ იმ დედას ვგავარ. „არას“ იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ცუდი ვარ ან შენი წყენინება მინდა, მინდა, რომ წიგნი მოგეწონოს... თუ წინასწარ გეტყვი, მერე რა მოხდება, ვიცი, წაკითხვისას აღარ მოგეწონება, - თქვა პოლმა. გულში კი გაიფიქრა: „მოგიყვები და მერე მე რა მომივა, ენი?“

- ის მაინც მითხარი, იმ შავკანიანმა ეზეკიამ ნამდვილად იცის, სად არის მიზერის მამა?

- შენ რომანი გაინტერესებს, თუ კითხვარი გინდა შევავსო?

- სარკასტულ ტონს მოეშვი, როდესაც მელაპარაკები!

- მაშინ თავს ნუ იკატუნებ, ვითომ არ გესმოდეს, რას გეუბნები, - უყვირა პოლმა. გაოცებულმა და შეწუხებულმა ქალმა უკან დაიხია. მოქუფრული სახე გადაეწმინდა და მხოლოდ დამნაშავე, ცუღლუტი გოგოს გამომეტყველება შერჩა. - შენ ოქროს ბატის გაფატვრა გინდა, - უთხრა პოლმა. - მერედა, რა მიიღო ფერმერმა,

როდესაც ეს ჩაიდინა? ხელში მხოლოდ მკვდარი ბატი და უსარგებლო შიგნეული შერჩა.

- კარგი, პოლ, დესერტის ჭამა დაამთავრე?

- ჰო, მეტი აღარ მინდა.

- მაპატიე, ტყუილად აგაფორიაქე. მართალი ხარ, არ უნდა მეთხოვა. - უთხრა მშვიდად ქალმა. პოლი გააფთრების ახალ ტალღას ელოდა, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. მათ ძველებურად განაგრძეს ცხოვრება. პოლი წერდა. ენი კი ყოველი დღის ბოლოს ნაწერს კითხულობდა. რადგან საკმაო დრო გავიდა იმდღევანდელი კამათიდან ცერის წაჭრამდე, პოლმა თავიდან ეს ორი ფაქტი ერთმანეთს ვერ დაუკავშირა.

„ერთხელ საბეჭდ მანქანაზე დავიჩივლე“, - გაიფიქრა პოლმა და საბეჭდ მანქანას შეხედა, თან ბალახის საკრეჭი მანქანის გუგუნს უგდებდა ყურს. გუგუნი უფრო და უფრო შორიდან ესმოდა. იმიტომ კი არა, რომ ენი ფანჯარას კარგა მანძილით მოშორდა, არამედ პოლს თანდათან რული ეკიდებოდა. ახლა ეტლში ხშირად თვლემდა, როგორც მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრები ბებერი კუანა.

მხოლოდ ერთხელ დავიჩივლე. მაგრამ ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, ასე არ არის? ნამდვილად ასეა. იმ სულელური დესერტის მოტანიდან ერთი კვირის თავზე მოხდა? ჰო, დაახლოებით. ერთი კვირა და ერთი ჩივილი. იმაზე დავიჩივლე, თუ როგორ გამოვყავდი მოთმინებიდან საბეჭდი მანქანის მომძვრალ კლავიშებს. ენისთვის ის კი არ მითქვამს, სხვა, ნახმარი საბეჭდი მანქანა, რომელსაც ყველა კლავიში ადგილზე აქვს, იყიდე მეთქი ნენსი ბოზმონგერისაგან, თუ როგორც ჰქვია იმ ქალს. მხოლოდ დავიჩივლე, ჭკუიდან გადავყავარ ამ უვარგის კლავიშებსმეთქი. დიდი დრო არ გასულა და „პრესტო ჩანგო“ - ბიჭოს, რა სწრაფად! მარცხენა ცერი იყო და არა იყო რა. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ უკმაყოფილება საბეჭდ მანქანაზე გამოვთქვი? არა, სინამდვილეში

ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ მოყოლაზე უარი ვუთხარი და ისიც იძულებული გახდა, ამ ამბავს შეგუებოდა. ეს გააფთრების შედეგად მოხდა. გააფთრება გაცნობიერებამ გამოიწვია. რის გაცნობიერებამ? რომ ყველა კარტი მის ხელთ არ იყო და რაღაც უპირატესობა მეც გამაჩნდა. ასეთია „უნდას“ ძალა ანუ ინტერესის სადავე, რომელიც მე მეკუთვნოდა. მაშ, საკმაოდ კარგი შეჰერაზადა ვყოფილვარ.

სიგიჟეა, თან სასაცილოც, მაგრამ სიმართლეა. მილიონობით ადამიანმა შეიძლება მასხრად ამიგდოს, რადგან ვერ წარმოუდგენიათ, ხელოვნებას რა ძალა აქვს, მდარე ხარისხის პოპხელოვნებასაც კი. დიასახლისებს თავიანთი განრიგი ნაშუადღევის საპნის ოპერების მიხედვით აქვთ აწყობილი. თუ ისევ სამუშაოზე მოუწევთ გასვლა, პირველი, რასაც იყიდიან, ვიდეოჩამწერი იქნება, რომ საპნის ოპერები კასეტაზე ჩაიწერონ და ღამით უყურონ.

როდესაც არტურ კონან დოილმა შერლოკ ჰოლმსი რეიხენბახის ჩანჩქერთან მოკლა, მთელი ვიქტორიანული ეპოქის ინგლისი ფეხზე დადგა და მისი დაბრუნება მოითხოვა. მკითხველები, როგორც ენი, პროტესტს გამოთქვამდნენ. მათ ხმაში საყვარელი გმირის დაკარგვით გამოწვეული სინანული კი არა, გაბრაზება იგრძნობოდა. როდესაც კონან დოილმა თავისი განზრახვა შერლოკ ჰოლმსის შესახებ დედას წერილით შეატყობინა, დედამ სასტიკი საყვედურით სავსე წერილი გამოუგზავნა: „ყველასთვის საყვარელი მისტერ ჰოლმსი უნდა მოკლა? სისულელეა, არც გაბედო“, - აფრთხილებდა ის.

პოლს მეორე შემთხვევა გაახსენდა. კაცი ერთხელ თავისი მეგობრის გერი რუდმანის, რომელიც ბოულდერის ბიბლიოთეკაში მუშაობდა, სახლში მივიდა. კარზე სამგლოვიარო, შავი კრეპის ნაჭერი დახვდა გაკრული. შეწუხებული პოლი კარზე დიდხანს აკაკუნებდა. ბოლოს გერის ხმა გაიგო: „კარს ვერ გაგიღებ, წადი.

დღეს დეპრესიაში ვარ. ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანი დაიღუპა“. როდესაც პოლმა ჰკითხა, ვინ მოკვდაო, გერიმ დაღლილი ხმით უპასუხა: - ვან დერ ვალკი. მერე გერი კარს მოსცილდა და ოთახში შევიდა. პოლმა კვლავ დაუკაკუნა, მაგრამ გერი ოთახიდან აღარ გამოსულა. ვან დერ ვალკი დეტექტიური რომანის მთავარი გმირი აღმოჩნდა. ეს სახე მწერალმა ნიკოლას ფრილინგმა შექმნა და მანვე მოუღო ბოლო.

პოლს სჯეროდა, რომ გერის ასეთი რეაქცია არაბუნებრივი და ზედმეტად ხელოვნური იყო. მოკლედ, უბრალოდ, პოზა იყო და სხვა არაფერი. მაგრამ პოლმა ეს აზრი 1983 წელს შეიცვალა, როდესაც ხელში ჩაუვარდა წიგნი - „მსოფლიო გარპის თვალით“. კაცმა შეცდომა დაუშვა და გარპის უმცროსი ვაჟის სიკვდილის სცენა ძილის წინ წაიკითხა. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე საათი ვეღარ დაიძინა. სიკვდილის სცენა თავიდან არ ამოსდიოდა. საწოლში წრიალებდა. იცოდა, რომ გამოგონილ პერსონაჟზე დარდი აბსურდული იყო, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებდა. სწორედ მაშინ გაახსენდა გერი რუდმანი, რომელიც ლიტერატურული პერსონაჟის - ვან დერ ვალკის სიკვდილის გამო ღრმა მწუხარებას განიცდიდა. ახლა მისი ნამდვილად მესმის, - გაიფიქრა მაშინ პოლმა.

მეორე შემთხვევაც ახსოვს: როდესაც თორმეტი წლის იყო, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს უილიამ გოლდინგის წიგნის „ბუზთა მატონის“კითხვა დაამთავრა. რადგან ცხელოდა, ცივი ლიმონათის დასალევად მაცივრისკენ წავიდა. მოულოდნელად მიმართულება შეცვალა, ტუალეტში შევარდა და გული აერია.

პოლს ამ უცნაური მანიის სხვა მაგალითებიც გაახსენდა: წინათ, ყოველ თვეს, ბალტიმორის პორტის მისადგომებთან ხალხი გროვდებოდა. ისინი პორტში საფოსტო გემის შემოსვლას ელოდნენ. გემს ჩარლზ დიკენსის წიგნების „პატარა დორითის“ ან „ოლივერ ტვისტის“ ახალი თავი უნდა ჩამოეტანა. შეკრებილი

ადამიანებიდან ზოგი წყალში ვარდებოდა და იხრჩობოდა, მაგრამ ამის გამო სხვები უკან არ იხევდნენ და გულმოდგინედ ცდილობდნენ წიგნის ახალი თავი ჩაეგდოთ ხელში.

ას ხუთი წლის მოხუცმა ქალმა განაცხადა, იქამდე ვიცოცხლებ, სანამ მისტერ გოლზუორთი „ფორსაიტების საგას“ არ დაასრულებსო. მართლაც, მას შემდეგ, რაც წიგნის ბოლო გვერდი წაუკითხეს, დაახლოებით ერთ საათში ქალმა სული განუტევა.

ახალგაზრდა მთამსვლელი უმძიმეს მდგომარეობაში, სხეულის ჰიპოთერმიის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს. მისი მეგობრები შეუჩერებლად უკითხავდნენ „ბეჭდების მბრძანებელს“, ვიდრე ალპინისტი კომატოზური მდგომარეობიდან არ გამოვიდა. ასე რომ, წიგნის მაგიურ ძალაზე ასობით მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ბესტსელერის ავტორებისათვის რომ გეკითხათ, ზოგიერთი მკითხველი მათი წიგნებით ზედმეტად, შეიძლება ითქვას, ავადმყოფურადაც კი იყო გატაცებული. ამ გიჟური გატაცების ერთ ან რამდენიმე შემთხვევას მწერლები აუცილებლად მოგიყვებოდნენ... ალბათ ეს არის შეჰერაზადას კომპლექსი, - გაიფიქრა მთვლემარე პოლმა.

ბალახის საკრეჭი მანქანის ხმა უფრო და უფრო შორიდან ჩაესმოდა. გაახსენდა, ადრე ორი წერილი მიიღო, რომელშიც მიზერის წიგნების მიხედვით თემატური პარკის შექმნას სთავაზობდნენ. ერთერთ წერილს თან პარკის ნახაზიც ახლდა. მაგრამ პოლის ყველაზე გულმხურვალე მკითხველი (ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ პოლის ცხოვრებაში ენი უილკსი გამოჩნდებოდა) მისის რომან დ. სენდპაიპერ მესამე იყო, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ ინქ ბიჩში ცხოვრობდა. მისის რომან დ. სენდპაიპერმა, რომელსაც სახელად ვირჯინია ერქვა, თავისი სახლის მეორე სართულზე ერთი ოთახი „მიზერის მისაღებად“ გადაქცია და ამ ოთახის სურათები პოლს გამოუგზავნა. სურათებზე

აღბეჭდილი იყო: მიზერის ძაფის სართავი ჯარა, მიზერის საწერი მაგიდა, რომელზეც მისტერ ფეევერეისადმი მიწერილი დაუმთავრებელი ბარათი იდო. ბარათში ეწერა, რომ 20 ნოემბერს მიზერი სკოლაში საჯარო კითხვას დაესწრებოდა. ბარათის ხელწერა, პოლის აზრით, მიზერის ხელწერის ცუდი იმიტაცია იყო. სურათებზე ასევე მიზერის ტახტი და მისი ნაქარგები იყო აღბეჭდილი. ნაქარგებზე სხვადასხვა წარწერა იკითხებოდა. მაგალითად: „დაე, სიყვარული იყოს შენი წარმმართველი“, „ნუ წარმართავ სიყვარულს“ და ასე შემდეგ. მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერი წერილში პოლს სწერდა, რომ ავეჯი, რომლითაც მიზერის მისაღები ოთახი იყო მორთული, ნამდვილი იყო. პოლმა იფიქრა, ქალი ალბათ სიმართლეს ამბობსო, თუმცა, ფოტოების მიხედვით, ეს დანამდვილებით არ ჩანდა. მაგრამ ქალი თუ სიმართლეს ამბობდა, გამოგონილი სამყაროს გაცოცხლება მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერს ათასობით დოლარი დაუჯდებოდა. ქალი წერილში პოლს არწმუნებდა, თქვენს პერსონაჟს ფულის გასაკეთებლად სულაც არ ვიყენებ და არც მომავალში გამოვიყენებო. მას, უბრალოდ, სურდა, პოლს მიზერის მისაღები ოთახის სურათები ენახა და ეთქვა, რა გააკეთა ქალმა არასწორად (რასაც მისის სენდპაიპერის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა). მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერს ისიც აინტერესებდა, რას ფიქრობდა პოლი მიზერის მისაღებ ოთახზე. გამოგზავნილმა ფოტოებმა პოლი უცნაურად ააფორიაქა. თითქოს მისი წარმოსახვა ამ ფოტოებს მიეყინა. პოლი მიხვდა, ამიერიდან თუკი ეცდებოდა, მიზერის მისაღები ოთახი წარმოედგინა, მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერის პოლაროიდის სურათები დაუდგებოდა თვალწინ და წარმოსახვის უნარს დაუჩლუნგებდა. პოლს უნდა ეთქვა, რა გააკეთა ქალმა არასწორად? ეს ხომ სიგიჟე იყო.

პასუხად პოლმა მოკლე ბარათი მისწერა ქალს, სადაც აღტაცებას გამოხატავდა. პოლს წერილში არც ერთი კითხვა არ დაუს-

ვამს, რომელზეც მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერის პასუ-ხი აინტერესებდა. მაგალითად: თქვენ შემთხვევით შერეკილი ხომ არ ბრძანდებითო, უნდოდა ეკითხა პოლს.

პასუხად მისის სენდპაიპერმა პოლს ახალი წერილი გამოუგ-ზავნა, რომელსაც პოლაროიდის სურათების ახალი დასტა მოჰ-ყვა. თუ პირველი წერილი ორგვერდიანი იყო და პოლაროიდის შვიდი ფოტო ახლდა, მეორე ათგვერდიანი, პოლაროიდის ორ-მოცი ფოტოთი. მეორე წერილში დეტალურად (და, შესაბამისად, მომქანცველად) იყო აღწერილი, სად იპოვა მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერმა მიზერის მისაღები ოთახისათვის თი-თოეული ნივთი, რამდენი გადაიხადა და ნივთებს რა სარესტავ-რაციო სამუშაოები ჩაუტარდა. მისის რომან დ. (ვირჯინია) სენ-დპაიპერი პოლს ატყობინებდა, რომ იპოვა კაცი სახელად მაქკი-ბონი, რომელსაც ძველი სანადირო თოფი ჰქონდა და ამ თოფით მიზერის მისაღებში სკამთან, კედელზე ნახვრეტი გააკეთებინა. ქალი დარწმუნებით ვერ ამბობდა, იარაღი მიზერის ეპოქას ეკუთ-ვნოდა თუ არა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ კალიბრი იგივე იყო. ფოტოებზე ობიექტები, ძირითადად, ძალიან ახლო-დან იყო გადაღებული. ფოტოების უკანა მხარეს მინაწერები რომ არა, მათი გამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა. სურათები სათა-ურით: „რისი სურათია ეს?“ თავისუფლად შეიძლებოდა გამოქ-ვეყნებულიყო ჟურნალში, სადაც თავსატეხები იბეჭდებოდა. პოლს მეორე წერილზე პასუხი არ გაუცია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისის რომან დ. (ვირჯინია) სენდპაიპერისათვის, კიდევ ხუთი წერილი დაეწერა (პირველ ოთხ წერილს პოლაროიდის ახალი ფოტოები ახლდა). ამის შემდეგ ქალს პოლისთვის აღარა-ფერი მოუწერია. პოლის სიჩუმემ ალბათ საგონებელში ჩააგდო. შესაძლოა, ცოტა ეწყინა კიდეც.

ბოლო წერილზე ქალი ხელს შემდეგნაირად აწერდა: მისის რომან დ. სენდპაიპერი. სახელი ვირჯინია ხელმოწერიდან ამოღებული იყო.

ქალი მიზერით იყო შეპყრობილი, მაგრამ ისე ძალიან არა, როგორც ენი. პოლი მიხვდა, რომ ორივე შემთხვევაში შეჰერაზადას კომპლექსთან ჰქონდა საქმე - „უნდას“ ღრმა და სტიქიურ ძალასთან.

პოლი თანდათან ძილბურანში გაეხვია და ჩაეძინა.

10

პოლი მოხუცი კაცივით ხშირად თვლემდა. ძილი უცაბედად და ზოგჯერ შეუფერებელ დროს მოერეოდა ხოლმე. მაგრამ მოხუცივით ფხიზლად ეძინა. ბალახის საჭრელი მანქანის შორეული ხმა ძილშიაც ჩაესმოდა. ეს ხმა თანდათან ელექტრო დანის ხმადაბალ ხრიალს დაემსგავსა.

პოლმა საბეჭდ მანქანაზე უკმაყოფილების გამოსათქმელად კარგი დრო ვერ შეარჩია. „არას“ სათქმელად კი კარგი დრო საერთოდ არ არსებობდა. ენი, სულ ერთია, პოლს მაინც დასჯიდა, მაგრამ შეიძლება ეს სხვა დროს მომხდარიყო.

„კარგი, თუ ეს ასე ძალიან გაწუხებს, ისეთ რამეს გიზამ, მაგ „ნ“-ს საერთოდ დაგავიწყებ“, - გაიგო პოლმა ენის ხმა სამზარეულოდან. ქალი რაღაცას ეძებდა და თავისებურად ილანძღებოდა. ათი წუთის შემდეგ ენი შპრიცით, „ბეტადინის“ ბოთლითა და ელექტრო დანით ხელში შემოვიდა. დაინახა თუ არა ქალი, პოლი მაშინვე აკივლდა. კაცი პავლოვის ძაღლივით იყო. ზარის დარეკვაზე პავლოვის ძაღლს ნერწყვი მოსდიოდა. ხოლო როდესაც ენი საძინებელში შპრიცით, „ბეტადინის“ ბოთლითა და ბასრი, საჭრელი საგნით შემოვიდოდა, პოლი მაშინვე აკივლდებოდა. ენიმ ელექტრო დანა შტეფსელს შეუერთა. ამის დანახვაზე პოლი უფრო აკივლდა. ქალს ემუდარებოდა და ჰპირდებოდა, კარგად მოვიქცევიო. მერე სცადა, ნემსი არ გაეკეთებინებინა.

ქალმა უთხრა, მოსახდენი მაინც მოხდება. ჰოდა, წყნარად იჯექი, თუ არადა, უანესთეზიოდ მოგიწევს ტკივილის ატანაო. კაცი მაინც ცდილობდა, ნემსი თავიდან აეცილებინა. სლუკუნებდა და იხვეწებოდა. „თუ ტკივილის ასე ძალიან გეშინია, ბარემ დანას ყელში გამოგისვამ და ყველაფერი დამთავრდებაო“, - უთხრა ქალმა.

ამ მუქარის შემდეგ პოლი ქალს დაემორჩილა. ენიმ ნემსი გაუკეთა. მერე „ბეტადინი“ მარცხენა ცერზე და ელექტრო დანის პირზე დაასხა. როდესაც ენიმ ელექტრო დანა ჩართო, „ბეტადინის“ მოყავისფრო შხეფები ჰაერში გაიბნა. ენის ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მასზე არც ხვეწნა მუდარამ გაჭრა და არც კაცის კივილმა. ქალი გაბედულად ასრულებდა იმას, რაც მიზნად დაისახა.

ზუზუნითა და ვიბრაციით დანის პირმა საჩვენებელ თითსა და ცერს შორის რბილი ხორცი ჩაჭრა. ენი პოლს თითს აჭრიდა და თან დედობრივი ხმით ეუბნებოდა, პოლ, მიყვარხარო, ისე როგორც დედა ეტყვის შვილს: შენ არ გტკივა, დედას ტკივა, დედა გენაცვალოსო.

შემდეგ ის ღამე...

შენ არ გძინავს, პოლ. ფიქრობ. ფიქრობ იმაზე, რაზეც ცხადში ფიქრს ვერ გაბედავ. ასე რომ, გაიღვიძე, ღვთის გულისათვის, გაიღვიძე!

მაგრამ პოლმა ვერ გაიღვიძა.

ენიმ ცერი დილით მოაჭრა, საღამოს კი მხიარულად შეუდგა ოთახის დალაგებას. პოლი ეტლში წამლისგან და ტკივილისგან გაბრუებული იჯდა. შეხვეული მარცხენა ხელი მკერდზე ჰქონდა მისვენებული. ქალმა ნამცხვარი შემოიტანა და დაბადების დღის მოსალოცი სიმღერა თავისი უსმენო ხმით დასჭექა. თუმცა იმ დღეს პოლის დაბადების დღე სულაც არ ყოფილა. ნამცხვარი სანთლებით იყო სავსე. ნამცხვრის ცენტრში ჩარჭობილი იყო განსაკუთრებული სანთელი - პოლის ნაცრისფერი ცერი, რომელსაც უსწორმასწორო ფრჩხილი ჰქონდა, რადგან პოლი წერის დროს, როდესაც სიტყვას ეძებდა, ფრჩხილს იკვნეტდა ხოლმე.

ენიმ უთხრა, თუ კარგად მოიქცევი, ნამცხვრის ნაჭერს მიიღებ და განსაკუთრებული სანთლის ჭამა არ მოგიწევსო.

პოლი დაჰპირდა, კარგად მოვიქცევიო, რადგან არ უნდოდა, განსაკუთრებული სანთელი ეჭამა. იმიტომ, რომ უმეტესად... იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა... იმიტომ, რომ ენი დიდებულია. კარგი ენი. მოდი, მადლობა ვუთხრათ იმისათვის, რომ გვაპურებს და არ გვაიძულებს, ვჭამოთ... გოგოებს გართობა უნდათ... ენი ზოგჯერ ავია. ენი, ნუ შემაჭმევ ჩემს ცერს. ენი, დედიკო ენი, ქალღმერთო ენი. ენის გვერდით გულწრფელი უნდა იყო, რადგან მან ყველაფერი იცის. იცის, როდის გძინავს და როდის გღვიძავს, როდის იქცევი კარგად ან ცუდად. ასე რომ, ქალღმერთის გამო, კარგად მოიქეცი. სჯობს, არ იყვირო. არ იყვირო და არ გაიბუტო. რაც მთავარია, სჯობს, არ იკივლო. არ იკივლო. არ იკივლო, არ იკივლო, არ...

პოლს უეცრად გაეღვიძა, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო. ტკივილმა მთელ ტანში დაუარა. კაცმა ძლივს გააცნობიერა, რომ კივილის შესაკავებლად ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული, თუმცა ცერის მოკვეთა ერთი თვის წინ მოხდა.

პოლის მთელი გონება ერთ ფიქრს მოეცვა, როგორმე კივილისაგან თავი შეეკავებინა. ამის გამო ვერ შეამჩნია, გზაზე რა ხდებოდა და როდესაც შეამჩნია, ეგონა მირაჟიაო.

გზაზე კოლორადოს შტატის პოლიციის მანქანა მოდიოდა.

11

ცერის ამპუტაციის შემდეგ პოლს ნაღვლიანი და ბინდითმოცული ცხოვრება ჰქონდა. მისი ძირითადი საქმიანობა, წიგნის წერასთან ერთად, დღეების თვლაც იყო, რაც მანიაში გადაეზარდა. ზოგჯერ მთელი ხუთი წუთი იმას ფიქრობდა და ანგარიშობდა, დღე ხომ არ გამომრჩა ან სათვალავი ხომ არ ამერიაო.

„მალე მეც ენივით ვიქნები“, - გაიფიქრა პოლმა.

მერე რა, დიდი ამბავი, მიუგო გადაღლილმა გონებამ.

ტერფის ამპუტაციის შემდეგ პოლი წიგნზე კარგად მუშაობდა. ენიმ პრანჭვით უთხრა, მორჩენის გზაზე დგახარო. კარგად, თავმდაბლად ნათქვამი სიტყვაა. კარგად კი არა, ძალიან კარგად მუშაობდა იმ კაცის კვალობაზე, რომლისთვისაც წერა შეუძლებელი იყო, თუ სიგარეტი არ ჰქონდა, ზურგი ან თავი ოდნავ მაინც თუ სტკიოდა. ასეთ მდგომარეობაში წიგნზე მუშაობა გმირობის ტოლფასი იყო. მაგრამ წერა არსებული რეალობიდან გაქცევაში ეხმარებოდა. პოლს საშინელი ტკივილი აწუხებდა. მაგრამ ყველაზე საშინელი შეხორცების პროცესი იყო, როცა ის ტერფი ექავებოდა, რომელიც აღარ ჰქონდა. მოჩვენებითმა ქავილმა ერთიანად გააწამა. ღამღამობით ეღვიძებოდა ხოლმე და მარჯვენა ტერფის დიდი თითით იქ, სადაც ადრე მარცხენა ტერფი ჰქონდა, ჰაერს იქავებდა.

მიუხედავად ყველაფრისა, წიგნზე მუშაობას მაინც განაგრძობდა. ეს იყო ცერის წაჭრამდე და იმ საშინელი დაბადების დღის ნამცხვრამდე. მერე კი ნაგვის კალათა ივსებოდა და ივსებოდა დაჭმუჭნილი ქაღალდის ფურცლებით. ტერფი დაკარგა, კინაღამ მოკვდა და წერას მაინც აგრძელებდა. ცერი მოაჭრეს და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. პირიქით არ უნდა ყოფილიყო? სასოწარკვეთილება ტერფის დაკარგვას არ უნდა მოჰყოლოდა?

მერე ციებცხელება შეხვდა. ერთი კვირა საწოლში გაატარა, მაგრამ ეს არაფერი. ტემპერატურა ოცდათვრამეტ გრადუსზე მაღლა არ ასვლია. სიცხე ალბათ კაცის ორგანიზმის საერთო სისუსტემ გამოიწვია და არა რამე ინფექციამ. ამ სულელური ციებცხელებისათვის არც ენის მიუქცევია დიდად ყურადღება. ის პოლს კეფლექსსა და ამპიცილინს აძლევდა და კაციც გამოკეთდა იმდენად, რამდენადაც მის მდგომარეობაში ეს შესაძლებელი იყო. მაგრამ მაინც რაღაც რიგზე არ იყო. ჩანდა, პოლმა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო კომპონენტი დაკარგა და შედეგად შემოქმედებით კრიზისში ჩავარდა. კაცმა სცადა, ეს ყველაფერი საბეჭდი მანქანის ამოვარდნილი „ნ“-სთვის დაებრალებინა. მაგრამ ეს პრობლემა ადრეც ხომ იყო ან დაკარგული „ნ“ რა მოსატანია მის დაკარგულ ტერფთან, რომელსაც ცერიც დაემატა.

მიზეზს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ქაღალდის ფურცლებზე გაჭრილი ხვრელი, რომლითაც წარმოსახვით სამყაროში გადადიოდა, დაპატარავდა და შევიწროვდა. შეეძლო დაეფიცა, რომ ერთ დროს ეს ხვრელი ლინკოლნის გვირაბივით ვრცელი იყო. ახლა კი სამშენებლო მოედანსშემოვლებული ღობის ხვრელივით დაპატარავებულიყო. წელში მოხრილს უნდა შეგეჭვრიტა, რომ გაგეგო, შიგნით რა ხდებოდა. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ყველაზე საინტერესო მხედველობის მიღმა რჩებოდა... გასაკვირი არცაა, მხედველობის არე ძალზე პატარა იყო.

ყველაფერი ცერის მოკვეთამ, მერე კი ციებცხელებით ავად გახდომამ გამოიწვია. პოლი გრძნობდა, რომ წიგნის ენა ზედმეტად მაღალფარდოვანი და გაპრანჭული გამოსდიოდა. მთლად თვითპაროდია არ იყო, მაგრამ აღარაფერი აკლდა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ვერ ჩერდებოდა და იმგვარადვე აგრძელებდა. შეცდომებიც უნებურად ეპარებოდა, ისე როგორც თაგვები იპარებიან სარდაფის კუთხეებში. მაგალითად: თავში, სადაც მიზერის ძებნა იყო აღწერილი, ბარონი ვისკონტად გადააქცია და

მთელი ოცდაათი გვერდი ასე გააგრძელა. მერე უკან დაბრუნება და გასწორება მოუხდა.

„არაფერია, პოლ“, - ეუბნებოდა თავის თავს, ვიდრე „როიალმა“ პირველად „თ“ და მერე „ე“ არ დაკარგა. „არაფერია, მთავარი საქმე გაკეთებულია“. ასეც იყო. წიგნზე მუშაობა ტანჯავდა, მისი დასრულება კი - სიცოცხლის დასასრული იქნებოდა. უკანასკნელი უფრო მომხიბლავად რომ ეჩვენებოდა, ეს იმაზე მიუთითებდა, რა სავალალო დღეში ჰქონდა სხეული, გონება და სული. მიუხედავად ყველაფრისა, წიგნის საქმე წინ მიიწევდა. გაუთავებელი პრობლემები მხოლოდ უმნიშვნელოდ აღიზიანებდა. სიუჟეტის დამაჯერებლად გადმოცემა ახლა უფრო ეძნელებოდა, ვიდრე ადრე. თამაში „შეგიძლია?“ რთულ სამუშაოდ გადაექცა, რომელსაც მხიარულებისა და გართობის ელემენტები მოაკლდა. მაგრამ წიგნი მაინც იწერებოდა და, ეშმაკმა დალახვროს, მიზერიზე დაწერილ რომანებს შორის ეს ბოლო წიგნი ყველაზე კარგი გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ენიმ ამდენი საშინელება დაატეხა თავს. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი სისხლი დაკარგა, ტერფი და ცერი აღარ ჰქონდა, მაინც წერდა. წიგნს კარგად აგებული მელოდრამატული სიუჟეტი ჰქონდა და საინტერესოდ იკითხებოდა. თუ ამ წიგნს ოდესმე წესიერად დაბეჭდვა და მზის შუქი ეღირსა (ენი უილკსის გამოცემა მკაცრად შეზღუდული იყო და მხოლოდ ერთი ეგზემპლარის დაბეჭდვას გულისხმობდა), ალბათ ბესტსელერი გახდება, ოღონდ ამ ოხერ მანქანას არ უნდა ეღალატა.

„გამძლე უნდა ყოფილიყავი“, - გაიფიქრა ერთხელ პოლმა საბეჭდ მანქანაზე, როდესაც მორიგი ვარჯიშის დროს მანქანა მაღლა ასწია. კაცს გამხდარი ხელები აუკანკალდა, წაჭრილი ცერის ადგილიასტკივდა და შუბლი ოფლით დაეცვარა. „ისეთი გამძლე და მაგარი უნდა ყოფილიყავი, რომ კბილებჩაცვენილი შერიფი დაგემარცხებინა, ხომ ასეა? მაგრამ ერთი კლავიში აღარ გაქვს.

დანარჩენებიც საკმაოდ მოფამფალებულია. ხან ხაზს ზევით წერ, ხან ხაზს ქვევით. ჩემო ძმაო, მგონი, ბებერი შერიფი დაგამარ-ცხებს და ბოლოს მოგიღებს... ძუკნამ ეს ყველაფერი იცოდა და ამიტომაც მომაჭრა ცერი. ძველი ანდაზა ამბობს: გიჟია, მაგრამ სულელი არ გეგონოსო.

პოლი დაღლილი თვალებით მიაჩერდა საბეჭდ მანქანას.

„მიდი, გატყდი, გატყდი, თუ გინდა. სულ ერთია, წერას მაინც დავამთავრებ. თუ სხვა საბეჭდ მანქანას მომიტანს, მადლობას ვეტყვი. თუ არადა, წიგნს მაინც დავამთავრებ. თითები ჯერ კიდევ მაქვს.

ყვირილით კი, არ უნდა ვიყვირო.

არ ვიყვირებ.

არა.

არ ვიყვირებ!

პოლი სრულიად გამოფხიზლებული ფანჯარასთან იჯდა და ცხადად ხედავდა, რომ სახლისკენ პოლიციის მანქანა მოდიოდა. ეს ისეთი რეალური იყო, როგორც ერთ დროს მისი მარცხენა ტერფი.

დაიყვირე! ღმერთმა შეგაჩვენოს, დაიყვირე!

პოლს ყვირილი უნდოდა, მაგრამ აკრძალვა ისეთი მკაცრი იყო, დაყვირება ვერ შეძლო. პირიც კი ვერ გააღო. სცადა, მაგრამ დაინახა ელექტრო დანის პირზე დასხმული „ბეტადინის“ მოყავისფრო სითხე შხეფებად როგორ გაიბნა ჰაერში. ყვირილი სცადა და ძვალში ჩასული ნაჯახის ღრჭიალი და სარჩილავის თავზე მოდებული ალის წყნარი შიშინის ხმა გაიგო.

პირის გაღება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

ხელის აწევა უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო.

მხოლოდ კვნესა მოახერხა, რომელიც მოკუმულ ტუჩებს ვერ გასცდა. ხელები კი უღონოდ დაუცვივდა ეტლის სახელურებს შორის გადებულ ფიცარზე „როიალის“ ორივე მხარეს. მარტო ამის გაკეთება შეძლო. ასეთი უღონობა არასოდეს უგრძვნია, გარდა იმ ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც მარცხენა ფეხი გვერდზე გააჩოჩა, ტერფი კი ადგილზე უმოძრაოდ დარჩა. ეს უმოძრაობა ჯოჯოხეთივით საშინელი იყო. უღონო მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ხუთიათი წამი, მაგრამ პოლ შელდონის გონებაში წლებმა გაიარა.

გადარჩენის ერთადერთი გზა ფანჯრის გატეხვა და იმ კლიტის მოცილება იყო, რომელიც ენიმ ენაზე დაადო. „მიშველეთ, მიშველეთ. მიხსენით ენისგან! მიხსენით ქალღმერთისაგან!“ - უნდოდა ეყვირა პოლს.

ამ დროს პოლის არსებაში სხვა, მეორე ხმა გაჰკიოდა: კარგად მოვიქცევი, ენი! არ ვიყვირებ! კარგად მოვიქცევი, ქალღმერთის გულისათვის! გპირდები, არ ვიყვირებ. გემუდარები, კიდევ რამე არ მომაჭრა, ენი!

ნეტავ აქამდე იცოდა პოლმა, ენიმ ასე რომ დააშინა და სულიერად გატეხა? კაცს ესმოდა, რომ მუდმივ შიშში ცხოვრობდა, მაგრამ აცნობიერებდა კი, მისი ერთ დროს ძლიერი ხასიათი როგორი გაცამტვერებული იყო ახლა?

ერთი რამ დანამდვილებით იცოდა: საქმე ის კი არ იყო, რომ ენა დაება, ან წიგნში შეცდომები ეპარებოდა, ციებცხელებით გახდა ავად, მორალურად გატყდა და გამბედაობა დაკარგა. არა, სინამდვილე საოცრად მარტივი იყო, შემაძრწუნებლად მარტივი. კვდებოდა, მაგრამ ეს ისეთი საშინელი არ ყოფილა, როგორც ეგონა. საშინელება ის იყო, რომ გონებრივად თანდათან ჩლუნგდებოდა.

არ იყვირო! გააფრთხილა პოლი შეშფოთებულმა შინაგანმა ხმამ, როდესაც პოლიციელმა მანქანის კარი გააღო და გადმოვიდა. ახალგაზრდა იყო, ალბათ ოცდაორი, ოცდასამი წლის იქნებოდა. ნავთობივით მბზინავი, შავი, მზის სათვალე ეკეთა. ეზოში შეყოვნდა, რათა ხაკისფერი შარვლის ნაკეცები გაესწორებინა. მისგან დაახლოებით ოცდაათ იარდში მოხუცი კაცი, რომელსაც თეთრი სახე, ცისფერი თვალები და ბაკენბარდები ჰქონდა, ოთახში ფანჯარასთან იჯდა და ყმაწვილს მიშტერებოდა. ტუჩებმოკუმულმა

კაცმა დაიკვნესა და ხელები წინ ფიცარზე ააფათურა.

არ იყვირო.

(იყვირე).

იყვირე და დამთავრდება ყველაფერი.

(არაფერიც არ დამთავრდება, სანამ არ მოვკვდები. ეს ბიჭი ქალღმერთს ვერ გაუმკლავდება).

პოლ, ოჰ, ღმერთო, უკვე მკვდარი ხარ? იყვირე, შენი დედაც... იყვირე ნაბიჭვარო!

პოლმა პირი გააღო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და თვალები დახუჭა. არ სჯეროდა, ამოსუნთქულ ჰაერს ხმა მართლა ამოყვებოდა თუ არა, მაგრამ ამოჰყვა.

- აფრიკა! - დაიყვირა პოლმა. აკანკალებული ხელები თავთან შემკრთალი ჩიტებივით ააფართხალა, თითქოს გამსკდარი თავიდან გადმოღვრილი ტვინის დაჭერა უნდაო.

- აფრიკა! აფრიკა! მიშველე! მიშველე! აფრიკა!

13

პოლმა თვალები აახამხამა. პოლიციელი სახლისკენ იყურებოდა. პოლი მისი თვალების გამომეტყველებას ვერ ხედავდა, რადგან პოლიციელს მზის სათვალე ეკეთა. მაგრამ პოლიციელის გვერდზეგადახრილი თავი მიუთითებდა, რომ ყმაწვილი, ცოტა არ იყოს, დაბნეული იყო. მან სახლისკენ ნაბიჯი გადმოდგა და გაჩერდა. პოლმა ფიცარს დახედა. საბეჭდი მანქანის მარცხნივ მძიმე, კერამიკის საფერფლე იდო. ერთ დროს ეს საფერფლე ალბათ სიგარეტის ნამწვავებით იყო სავსე. ახლა კი მასში მხოლოდ საშლელი და ქაღალდის სამაგრები ეყარა. პოლი საფერფლეს დასწვდა და ფანჯარას ესროლა. შუშა ჩაიმსხვრა და ნამსხვრევები გარეთ გაცვივდა. პოლს შუშის მსხვრევის ხმა თავისუფლების სანუკვარ ხმასავით ჩაესმა. „იმსხვრევა ციხის კედლები“, - გაიფიქრა აღფრთოვანებულმა პოლმა.

- აქეთ, მიშველე! ფრთხილად! ქალი გიჟია, - დაიყვირა პოლმა.

პოლიციელმა პოლს შეხედა და გაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა. მერე გულისჯიბიდან რაღაც, ალბათ სურათი, ამოიღო, დახედა და მხოლოდ ხუთი სიტყვა თქვა:

- ოჰ, ჯანდაბა, ეს თქვენ ხართ! მერე კი იყო გაუგებარი და გაურკვეველი ბგერები, სხვა პოლს მისგან არაფერი გაუგია.

პოლის ყურადღება პოლიციელისკენ იყო მიპყრობილი და ენი არ დაუნახავს. როდესაც დაინახა, უკვე გვიან იყო. კაცს შიშისაგან თავზარი დაეცა. ქალღმერთი ენი ბალახის საკრეჭ მანქანაზე ამხედრებულიყო და კენტავრს ჰგავდა. თავზე კეპი აღარ ეხურა. სახე მძვინვარებით ჰქონდა დამანჭული. ცალ ხელში ხის ჯვარი ეჭირა. ეს ჯვარი ალბათ ბოსის საფლავიდან მოგლიჯა. პოლმა არ იცოდა, ზამთარში რომელი ძროხა მოკვდა - ბოსი ნომერი1 თუ ბოსი ნომერი 2.

გაზაფხულზე, როდესაც ზამთრის ყინვისგან გაქვავებული მიწა თანდათან დალბა და დარბილდა, ენი საფლავის გაჭრას შეუდგა. მიწას მთელი დღე თხრიდა. პოლი, ხან შიშით შემკრთალი და ხანაც ირონიულად, თვალყურს ადევნებდა, როგორ გამოათრია ენიმ ბოსლის უკან მიგდებული და საკმაოდ დარბილებული ბოსი. ჯაჭვის ერთი ბოლო ძროხას შუაში შემოახვია, ხოლო მეორე ბოლო მანქანას გამოაბა და საცოდავი ბოსი საფლავისკენ წაათრია. პოლმა გონებაში სანაძლეო დადო, გზაში ძროხა შუაზე გასკდებაო, მაგრამ არა, სანაძლეო წააგო. ენიმ ძროხა მიწაში ჩააგდო და ორმოს ამოვსებას შეუდგა, რასაც დაღამებამდე ვერ მორჩა. მერე ამოვსებული ორმოს თავზე ხის ჯვარი ჩაასო და მთვარის შუქზე ბოსის ბიბლიიდან ლოცვები წაუკითხა.

ახლა ეს ჯვარი შუბივით შემართული მოჰქონდა. ქალმა ხის დასვრილი, მიწიანი ბოლო პოლიციელს ზურგში ჩასცა.

- უკანაა, ფრთხილად! - იყვირა პოლმა, მაგრამ იცოდა, რომ დააგვიანა.

- ააააჰ, - აღმოხდა პოლიციელს და წინ, მდელოზე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. სახეზე ისეთი ტკივილი გამოეხატა, თირკმელში კენჭის გავლის დროს რომ აქვს ხოლმე ადამიანს ან როდესაც მუცელში გაზები უტევს. ზურგშიჩარჩენილი ჯვრის მეორე ბოლო დაბლა, მიწისკენ წავიდა, როდესაც პოლიციელი ფანჯარას მიუახლოვდა, საიდანაც პოლის ნაცრისფერი, ავადმყოფური სახე ფანჯრის ჩარჩოზე ალაგალაგ შერჩენილ, კბილანებადქცეულ შუშებში მოჩანდა. ვაჟმა გამწარებული სახით ორივე ხელი ასწია და მხრებს უკან გადაიტანა, თითქოს ზურგი ექავებოდა, მაგრამ იმ ადგილს ვერაფრით სწვდებოდა.

ენი ბალახის საკრეჭი მანქანიდან ჩამოვიდა და გაირინდა. ორივე ხელისგული მკერდზე მიედო. მერე უცებ ადგილს მოსწყდა, ჯვარს ხელი სტაცა და პოლიციელს ზურგიდან ამოგლიჯა.

პოლიციელი მისკენ მიბრუნდა და პისტოლეტის ამოღება სცადა, მაგრამ ენიმ დაასწრო და ჯვარი ახლა მუცელში ატაკა.

- ااااჰ, - ისევ იყვირა პოლიციელმა, მუცელზე იტაცა ხელი და მუხლებზე დაეცა. როდესაც ჩაიკეცა, პოლმა მის ზურგში ჩარტყმული წვეტიანი ძელის ნაკვალევი დაინახა.

ენიმ ჯვარი პოლიციელს ახლა მუცლიდან გამოგლიჯა. ჯვრის წაწვეტებული ბოლო წატეხილიყო. ენიმ ამჯერად ბეჭებს შორის ჩასცხო. ისე ურტყამდა, თითქოს ვამპირს კლავსო. პირველი ორი ჩარტყმა არც ისე ძლიერი გამოუვიდა, მესამედ კი ხორცი სამ დუიმზე ჩაგლიჯა. მუხლებზე მდგარი პოლიციელი პირქვე დაეცა.

- აჰა, ესეც შენ! - დაიყვირა ენიმ და პოლიციელს ბოსის მემორიალი ისევ ჩასცა ზურგში. - აჰა, როგორია, ბინძურო ნაბიჭვარო?

- ენი, გაჩერდი! - დაიყვირა პოლმა.

ენიმ პოლს ახედა. შავი თვალები უბზინავდა, თმა სახის ირგვლივ ჩამოშლოდა, ხოლო ტუჩის კუთხეები ღიმილისგან ჰქონდა აპრეხილი, როგორც გიჟს, რომლისთვისაც თავშეკავება უცხო ხილია. ენიმ ისევ პოლიციელს დახედა და „ესეც შენ!“ - ამ სიტყვებით კისერში, ზურგში, დუნდულებზე და ბარძაყებზე ერთი ექვსჯერ მაინც ჩაარტყა. მერე ჯვარი გატყდა.

- მორჩა, - თქვა ქალმა და იმ მიმართულებით წავიდა, საიდანაც მოვიდა. სანამ თვალს მიეფარებოდა, სისხლიანი ჯვარი გვერდზე მიაგდო. მის თვალში ჯვარმა თავისი ფუნქცია შეასრულა.

14

პოლმა ხელები ეტლის ბორბლებზე დააწყო. არ იცოდა, საით წასულიყო და რისთვის. იქნებ სამზარეულოში შესულიყო და დანა აეღო? არა, ქალის მოსაკლავად კი არა. ენი პოლის ხელში დანას დაინახავდა თუ არა, მაშინვე ფარდულიდან შაშხანას ამოიტანდა. არა, დანა ქალის მოსაკლავად კი არ უნდოდა, ვენებს გადაიჭრიდა, რომ ენის შურისძიებისაგან თავი დაეცვა. პოლი ვერ აცნობიერებდა, ეს კარგი აზრი იყო თუ არა. შესაფერისი დროა, რომ სცენა დავტოვოო. პოლი დაიღალა ქალის ყოველ გაცოფებაზე სხეულის ნაწილების დაკარგვით.

მერე პოლმა ისეთი რამ დაინახა, ადგილს მიეჯაჭვა.

პოლიციელი.

პოლიციელი ჯერ ისევ ცოცხალი იყო.

ვაჟმა თავი ასწია. სათვალე ჩამოვარდნოდა. პოლმა პოლიციელის თვალები დაინახა. კაცი ხედავდა, რა ახალგაზრდა, ცემისგან დაბეგვილი და შეშინებული იყო. სახეზე სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა. მან ხელებსა და მუხლებზე წამოწევა შეძლო, მაგრამ ისევ პირქვე დაეცა. მერე კვლავ წამოიწია და მანქანისკენ ფორთხვით წავიდა. აღმართზე ნახევარი გზა აიარა და ზურგზე გადაბრუნდა. წუთით გაჩერდა. მოხრილი მუხლები ზევით ჰქონდა აშვერილი. ისეთი უმწეო იყო, როგორც თავისი ჯავშნით აყირავებული კუ. მერე წვალებით ისევ გვერდზე გადაბრუნდა და მუხლებზე ხოხვით მანქანისკენ გზა განაგრძო. პოლი ხედავდა, რომ ვაჟის პერანგსა და შარვალზე სისხლის მომცრო ლაქები თანდათან დიდდებოდა.

უცებ ბალახის საკრეჭი მანქანის ხმა მკაფიოდ გაისმა.

- ფრთხილად! - იყვირა პოლმა. - ფრთხილად, მოდის.

პოლიციელმა თავი მოაბრუნა. ვაჟს სახეზე შიშმა გადაუარა. ხელი იარაღისკენ წაიღო. დიდი, შავი პისტოლეტი ამოიღო, რო-

მელსაც ხის, ყავისფერი ტარი ჰქონდა. ამასობაში ენიც გამოჩნდა, ბალახის საკრეჭ მანქანაზე, როგორც უნაგირზე გადამჯდარიყო და მოაგელვებდა.

- ესროლე, - უყვირა პოლმა. ვაჟს უღონო ხელი აუთამაშდა და იარაღი დაუვარდა. მან იარაღის ასაღებად ხელი გასწია. სწორედ ამ დროს ქალმა მანქანით ვაჟის მკლავს გადაუარა. ბალახის საკრეჭი დანის კბილანებიდან სისხლმა შადრევანივით იფეთქა. პოლიციელის ფორმაში ჩაცმულმა ბიჭმა სიმწრისგან იკივლა. რკინა აწკრიალდა, როდესაც პისტოლეტს დანის კბილანები შეეხო. ენიმ მანქანა მოაბრუნა და ერთი წამით პოლისკენ გამოიხედა. პოლმა ქალის თვალებში ამოიკითხა: ჯერ ამას მოვუღებ ბოლოს, მერე შენც ზედ მიგაყოლებო.

ბიჭი გვერდზე იწვა. როდესაც დაინახა, რომ მანქანა ისევ მისკენ მოდიოდა, ზურგზე გადაბრუნდა და ქუსლების დახმარებით შეეცადა თავისი მანქანის ქვეშ შემძვრალიყო.

მაგრამ მანქანასთან მიახლოებაც კი ვერ მოასწრო. ქალმა მანქანა გამოაქანა და პირდაპირ ბიჭის თავზე გადაატარა.

პოლმა უკანასკნელად მოჰკრა თვალი ბიჭის თაფლისფერ თვალებს და დაგლეჯილი ფორმიდან გამოყოფილ მკლავს, რომელიც თავდასაცავად უღონოდ წამოსწია. მერე ბიჭის თავი მანქანამ ჩაყლაპა. პოლმა გვერდზე გაიხედა, აღარაფრის დანახვა აღარ შეეძლო.

კაცს მანქანის ძრავის ხრიალი ისევ ესმოდა. მან ეტლიდან გვერდზე თავი გადაჰკიდა და გული აერია.

15

პოლმა თვალები მაშინ გაახილა, როდესაც სამზარეულოს კარის საკეტის გადატრიალების ხმა შემოესმა. მისი ოთახის კარი ღია იყო. პოლმა დაინახა, ენი დერეფანში მოდიოდა. ფეხზე ყავისფერი, კოვბოური ფეხსაცმელი ეცვა. ჯინსის შარვლის ქამარზე გასაღებების აცმა ეკიდა, წელს ზევით მამაკაცის მაისური ეცვა, რომელიც სისხლით ჰქონდა მოსვრილი. შიშისაგან მოკუნტულ პოლს უნდოდა ეთქვა: „თუკი კიდევ რამეს მომაჭრი, ენი, მოვკვდები. ვერ გავუძლებ კიდევ ახალი ამპუტაციისაგან მიღებულ შოკს. ეს ბოლოს მომიღებს“. მაგრამ ვერაფერი თქვა. შეშინებულმა რაღაც წაილუღლუღა, რაღაც გაურკვეველი ბგერები, რამაც საკუთარი თავისადმი ზიზღი აგრძნობინა.

თუმცა სალაპარაკოდ არც ენი გაჩერებულა.

- შენ მერე მოგხედავ, - უთხრა ქალმა და კარი ჩაუკეტა. გასაღებების აცმიდან ერთერთი გასაღები „კრეიგი“ ახალ საკეტში გადაატრიალა. მერე დერეფანს გაუყვა. კოვბოური ჩექმების ბრაგაბრუგის ხმა უფრო და უფრო შორიდან ისმოდა.

პოლმა ფანჯარაში უაზროდ გაიხედა. კაცი პოლიციელის გვამის ნაწილს ხედავდა. ბიჭის თავი ისევ ბალახის საკრეჭი მანქანის ქვეშ იყო, რომელიც პოლიციელის მანქანასთან გვერდულად იდგა. ბალახის საკრეჭი მანქანა პატარა ტრაქტორს ჰგავდა, რომელიც მოზრდილი მინდვრის გასაკრეჭად გამოიყენებოდა, ქვიან და კუნძებიან ზედაპირზე წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა, მით უმეტეს, თუ წინ პოლიციელის თავი დახვდებოდა. პოლიციელის მანქანა იქ რომ არ ყოფილიყო გაჩერებული და პოლიციელიც იმ ადგილას არ მდგარიყო, საკრეჭი მანქანა აუცილებლად გადაყირავდებოდა და ენი ძირს გადმოვარდებოდა. ქალს შესაძლოა არაფერი მოსვლოდა, მაგრამ შესაძლოა კარგადაც დაშავებულიყო.

„სატანასავით უმართლებს“, - გაიფიქრა პოლმა ნაღვლიანად. ქალმა საკრეჭი მანქანის ძრავა ნეიტრალურ რეჟიმში გადაიყვანა და მანქანას უკან დაახევინა. ენის მანქანამ პოლიციელის მანქანას გვერდი გაჰკრა. გახახუნების ადგილას პოლიციელის მანქანას საღებავი გადაეცალა.

პოლს მკვდარი პოლიციელის შეხედვა არ გასჭირვებია. ის ცუდად მოვლილ დიდ თოჯინას ჰგავდა. პოლი ახალგაზრდა კაცს საშინლად თანაუგრძნობდა, მაგრამ მის მიმართ სხვა გრძნობასაც განიცდიდა. ეს შური იყო. პოლიციელი სახლში თავის ცოლშვილთან, თუკი საერთოდ ჰყავდა, ვერასოდეს მივიდოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ენი უილკსისაგან ხანგრძლივი წამება თავიდან ხომ აიცილა.

ქალმა პოლიციელს სისხლიანი ხელი დაავლო და ნახევრად გაღებული ბოსლის კარისკენ წაათრია. შიგნით შეიყვანა და ბოსლიდან გამოსულმა კარი ფართოდ გააღო. მერე პოლიციელის მანქანასთან უშფოთველად დაბრუნდა და მანქანაც ბოსელში დააბინავა. იქიდან გამოსულმა კარი ოდნავ ღიად დატოვა, რომ ადვილად შემძვრალგამომძვრალიყო. მერე დოინჯშემოყრილმა სახლთან მისასვლელი გზა დაათვალიერა. სახეზე ისვე უშფოთველი გამომეტყველება ჰქონდა.

ბალახის საკრეჭი მანქანის ძირი სისხლით იყო მოსვრილი. განსაკუთრებით დანის კბილანები, საიდანაც სისხლი ჯერ ისევ წვეთავდა.

პოლიციელის ტანსაცმლის ნაკუწები ახლადმოჭრილ ბალახზე აქაიქ ეყარა. ყველგან სისხლის შხეფები იყო. დანის კბილანებით დაკაწრული იარაღიც იქვე ეგდო. ოთხკუთხედი თეთრი ფერის ქაღალდი კაქტუსის ეკლებზე იყო შერჩენილი. ეს კაქტუსი ენიმ მაისში დარგო. ბოსის ჯვარი კი გზაზე ეგდო, როგორც ამ საშინელი საქმის ნივთმტკიცება.

ენი კვლავ სამზარეულოსაკენ გამოემართა. როდესაც შემოვიდა, პოლმა მისი სიმღერის ხმა გაიგო. „ქალი ექვს თეთრ ცხენზე ამხედრებული მოვა! ექვს თეთრ ცხენზე ამხედრებული მოვა! ექვს თეთრ ცხენზე... ექვს თეთრ ცხენზე ამხედრებული მოვა!“

როდესაც პოლმა ენი ისევ დაინახა, ქალს დიდი, მწვანე ნაგვის პარკი ეჭირა ხელში და სამი თუ ოთხიც ჯინსის უკანა ჯიბეებიდან მოუჩანდა. მაისურზე, იღლიების ქვეშ და კისერთან ოფლის დიდი ლაქები ეტყობოდა. როდესაც ქალი ზურგით მობრუნდა, წელიდან კისრისკენ მაისურზე ოფლის ხე ეხატა.

„ტანსაცმლის რამდენიმე ნაკუწისათვის ამდენი პარკი მეტისმეტად ბევრია“, - გაიფიქრა პოლმა. - „მაგრამ პარკებში ჩასადებს ენი უილკსი ალბათ გამოძებნის“.

ქალმა ტანსაცმლის ნაფლეთები შეაგროვა. მერე ჯვარი აიღო, ორად გატეხა და ნაგვის პარკში ჩააგდო. შემდეგ დაიხარა და პისტოლეტი აიღო. ცილინდრი დაატრიალა, ტყვიები გადმოყარა და შარვლის ჯიბეში ჩაიწყო. მერე მტკიცე ხელით ცილინდრი ისევ თავის ადგილზე ჩასვა და პისტოლეტი შარვლის ქამარში გაირჭო. კაქტუსს ოთხკუთხა ქაღალდი მოაშორა, დაფიქრებულმა დახედა და შარვლის მეორე ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ნაგვის პარკები ბოსელში წაიღო, შიგნით შეყარა და სახლისკენ წამოვიდა.

პოლის ფანჯრის ქვეშ ქალის ყურადღება რაღაცამ მიიპყრო. დაიხარა, საფერფლე აიღო და გატეხილ ფანჯარაში პოლს თავაზიანად მიაწოდა.

- აიღე, პოლ, - უთხრა ენიმ.

გაშეშებულმა პოლმა საფერფლე გამოართვა.

- ქაღალდის სამაგრებს მერე მოვძებნი, - ისე თქვა ენიმ, თითქოს პოლს ქაღალდის სამაგრებზე ეკითხოს რამე. კაცმა წუთით გაიფიქრა: „ჩავარტყამ ამ საფერფლეს თავში და ავადმყოფ ტვინს გავასხმევინებო“, მაგრამ მერე დაფიქრდა: „მე რა დამემართება,

თუ მხოლოდ ვატკინე და ვერ მოვკალიო“. კაცმა აკანკალებული ხელით საფერფლე თავის ადგილზე დადო.

ქალმა პოლს ახედა.

- პოლიციელი მე არ მომიკლავს, - თქვა მან.

- ენი...

- შენ მოკალი. ხმა რომ არ ამოგეღო, მე მას უპრობლემოდ გავისტუმრებდი აქედან და ახლა ცოცხალი იქნებოდა. ამ არეულობისა და უწესრიგობის დალაგებადასუფთავებაც არ მომიწევდა.

- ჰო, - თქვა პოლმა. - წავიდოდა ალბათ თავის გზაზე. მაგრამ მე რა მომივიდოდა, ენი?

- არ ვიცი, რას გულისხმობ, - მიუგო ენიმ. ქალმა ფარდულიდან სარწყავი მილი გამოიტანა და მკლავზე დაიხვია.

- როგორ არა, იცი, - უთხრა პოლმა. ძლიერმა შოკმა კაცს სიმშვიდე მოჰგვარა. - მას ჩემი სურათი ჰქონდა. ახლა ის სურათი ჯიბეში გიდევს. ასე არ არის?

- ნურაფერს მკითხავ და მეც არ მოგატყუებ, - უპასუხა ენიმ. სახლის გვერდზე წყალსადენის ონკანი იყო. ქალმა სარწყავი მილი ონკანს მიამაგრა.

- თუ პოლიციელს ჩემი სურათი ჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ ჩემი მანქანა იპოვა. ჩვენ ორივემ ვიცით, ვიღაც აუცილებლად იპოვიდა. მხოლოდ ის მიკვირს, ამდენ ხანს რომ ვერ იპოვეს. წიგნში მანქანა შეიძლება გაქრეს. მკითხველს ამას აუცილებლად დავაჯერებდი. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი ქრება. მხოლოდ ჩვენ ვიტყუებდით თავს - შენ წიგნის გამო, მე კი გასაცოდავებული სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

- არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ, - თქვა ქალმა და ონკანისაკენ შებრუნდა. - მხოლოდ ერთი რამ ვიცი ზუსტად, პოლიციელი შენ მოკალი, როდესაც საფერფლე ფანჯარას ესროლე. კარგად დაინახე, რა მოუვიდა მას და, იმედია, წარმოდგენილი გაქვს, შენ რა შეიძლება დაგემართოს, - ქალმა პოლს გაუღიმა. ამ ღიმილში სი-

გიჟე გამოსჭვიოდა, მაგრამ იყო კიდევ სხვა რამ, რის დანახვამაც პოლი შეაძრწუნა. ქალის თვალებში სატანა და დემონი ჩანდა.

- შე, ძუკნა, - ჩაილაპარაკა პოლმა.

- გიჟი ძუკნა, არა? - ჰკითხა ქალმა, რომელიც ჯერ ისევ იღიმებოდა.

- ჰო, გიჟი ხარ. - ამაზე ვილაპარაკებთ, როცა მოვიცლი. ბევრს ვილაპარაკებთ. მაგრამ ახლა, როგორც ხედავ, საქმე მაქვს.

ქალმა ონკანი გახსნა. თითქმის ნახევარი საათი სისხლის კვალის გადარეცხვას მოუნდა. მზის შუქზე წყლის ჭავლში ცისარტყელები გამოკრთა. ბოლოს ქალმა ონკანი დაკეტა და სარწყავი მილის დახვევა დაიწყო. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. ჩამავალი მზე ქალის ჩრდილს მიწაზე გრძლად აფენდა.

ქალმა ფარდულის კარი გააღო და დახვეული მილი იქ შეიტანა. შემდეგ კარი დახურა და ურდულით გადარაზა. მერე იდგა და გადარეცხილ ასფალტსა და ცვრიან ბალახს ათვალიერებდა.

ბოლოს ენი ბალახის საკრეჭ მანქანასთან მივიდა, ძრავა ჩართო და მანქანა სახლისკენ წამოიყვანა. პოლს ჩაეცინა. ქალი სატანასავით იღბლიანი, კრიტიკულ მომენტში თითქმის მასავით გამჭრიახი იყო. თითქმის - ამ სიტყვას ხაზი უნდა გაესვას. სწორედ რომ, თითქმის იყო გამჭრიახი. ქალაქ ბოულდერში ქალს ფეხი დაუცდა, მაგრამ, იღბლის წყალობით, სიტუაციიდან გამოძვრა. ახლაც შეცდომა დაუშვა. პოლმა ეს დაინახა. ქალმა მანქანა ზემოდან გარეცხა, მაგრამ ქვეშ, დანის კბილანები დაავიწყდა. შესაძლოა, მერე გახსენებოდა, მაგრამ პოლი ამაში დარწმუნებული არ იყო. ენის წარსულში მომხდარი ფაქტები და მოვლენები ადვილად ავიწყდებოდა. ქალის გონება ბალახის საკრეჭ მანქანას ჰგავდა. გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მანქანის ქვეშ თუ შეიხედავდი, ბასრ, სისხლისმსმელ დანის კბილანებს აღმოაჩენდი.

ენი სახლში ისევ სამზარეულოს კარიდან შემოვიდა და ზედა სართულზე ავიდა. იქ ცოტა ხანს რაღაცაში იქექებოდა. მერე ნელა ქვევით ჩამოვიდა. რაღაც მძიმესა და რბილს მოათრევდა. პოლი ეტლით კარისკენ გაგორდა და კარს ყური მიადო იმის გასაგებად, თუ რას აპირებდა ენი.

ნაბიჯების ხმა უფრო და უფრო შორიდან ისმოდა. იმ რბილსა და მძიმე ნივთს კვლავ მიათრევდა.

„ფარდული! ფარდულში მიდის ნაჯახისთვის! ისევ ნაჯახი!“ - გაიფიქრა პოლმა და სახე შიშით წამოუწითლდა.

მაგრამ შიში მალევე უკუაგდო. ქალი ფარდულში არ შესულა. სარდაფში ჩავიდა და ის მძიმე ნივთიც იქ ჩაათრია.

პოლმა გაიგო, ქალი სარდაფიდან როგორ ამოვიდა. კაცი კვლავ ფანჯარასთან დაბრუნდა, რადგან ენი მისი ოთახისკენ მოდიოდა. როდესაც გასაღები საკეტში შესრიალდა, პოლმა გაიფიქრა: „ჩემს მოსაკლავად მოვიდაო“ და საოცარი შვება იგრძნო.

კარი გაიღო. ზღურბლზე ენი იდგა. ქალმა პოლს გამჭოლი მზერა ესროლა. ენის ტანსაცმელი გამოეცვალა. თეთრი მაისური და ტილოს შარვალი ეცვა. მხარზე ხაკის ჩანთა ეკიდა, რომელიც საფულეზე გაცილებით დიდი და ზურგჩანთაზე პატარა იყო.

როდესაც ქალი შემოვიდა, პოლს ეყო გამბედაობა და, თავისდა გასაკვირად, ღირსეულად უთხრა:

- თუ ჩემი მოკვლა გინდა, ენი, მიდი, მომკალი. ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, სწრაფად ქენი და ნუღარაფერს მომაჭრი.

- შენს მოკვლას არ ვაპირებ, პოლ, - მიუგო ენიმ და ჩაფიქრდა. - არ მოგკლავ, თუ ოდნავ მაინც გამიმართლებს. წესით, უნდა მოგკლა, მაგრამ მე ხომ გიჟი ვარ. გიჟებს რას გაუგებ, არა?

ქალი პოლის ეტლისკენ წავიდა, კაცს ზურგსუკან დაუდგა და ოთახიდან დერეფანში გაიყვანა. პოლს ქალის თეძოზე ჩანთის ტყაპატყუპის ხმა ესმოდა. ენის ადრე ასეთი ჩანთა არასოდეს დაუჭერია. თუ ქალაქში მიდიოდა და კაბა ეცვა, ხელში დიდი, სადა საფულე ეჭირა, როგორიც შინაბერა ქალებს ეკლესიის საქველმოქმედო ბაზრობებზე დააქვთ ხოლმე. თუ შარვალი ეცვა, საფულე კაცივით შარვლის ჯიბეში ედო.

სამზარეულო მზის ოქროსფერი სხივებით იყო სავსე. მაგიდის ფეხების ჩრდილი ლინოლეუმს ჰორიზონტალურ ზოლებად ეფინებოდა, რამაც პოლს ციხის საკნის ფანჯარაზე აკრული გისოსები მოაგონა. სამზარეულოს საათზე შვიდის თხუთმეტი წუთი იყო. საათი ალბათ სწორი იყო. პოლს ეგონა, რომ ენი საათს ისევე დაუდევრად ეპყრობოდა, როგორც კალენდარს, მაგრამ შეცდა. საათი სწორ დროს აჩვენებდა (კალენდარზე კი ისევ მაისის თვე იდგა). სამზარეულოს ფანჯარაში მინდვრიდან ჭრიჭინების ხმა შემოდიოდა. პოლმა გაიფიქრა, პირველად ეს ხმა ბავშვობაში გავი-

გე, მაშინ პატარა, ჯანმრთელი ბიჭი ვიყავიო. ამის გაფიქრებაზე კაცი კინაღამ აქვითინდა.

ქალმა პოლი საკუჭნაოში შეიყვანა, საიდანაც სარდაფში შეიძლებოდა ჩასვლა. სარდაფის კარი ღია იყო. ყვითელი შუქი სარდაფში ჩასასვლელი კიბის საფეხურებს და სარდაფის იატაკს ეფინებოდა. ნესტის სუნი, რომელიც ზამთრის ბოლოს ქარიშხლიანი წვიმით დატბორვის შემდეგ დარჩა, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო.

„ობობები, თაგვები, ვირთხები, ყველაფერი იქაა, - გაიფიქრა პოლმა.

- წამიყვანე აქედან, - სთხოვა პოლმა ქალს.

ენიმ კაცს მოთმინებადაკარგული ადამიანის გამომეტყველებით შეავლო თვალი. პოლმა გააცნობიერა, რომ პოლიციელის მკვლელობის შემდეგ ქალისთვის სიგიჟის ნიშნები თითქმის არ შეუმჩნევია. ენის სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც საქმიან დიასახლისს, რომელიც დიდ, საზეიმო სადილს აწყობს.

- ქვემოთ უნდა ჩახვიდე, - უთხრა ენიმ, - მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს, ზურგზემოკიდებული ჩაგიყვანო, თუ კიბეზე შენით ჩახოხდები. გადასაწყვეტად ხუთ წამს გაძლევ.

- ზურგზემოკიდებული, - უპასუხა პოლმა მაშინვე.

- ძალიან ჭკვიანურია, - თქვა ენიმ და ზურგით დაუდგა ისე, რომ პოლს შეძლებოდა კისერზე მკლავები მოეხვია. - ოღონდ სისულელეების გარეშე, პოლ. - გააფრთხილა ქალმა. - არც კი სცადო ჩემი დახრჩობა. ჰარისბურგში კარატე შევისწავლე. კარგადაც გამომდიოდა. ასე რომ, არ დაგინდობ და ძირს ჩამოგაგდებ. აქ იატაკი ჭუჭყიანი და მაგარია. კისერს მოიტეხ.

ქალმა პოლი ზურგზე ადვილად მოიკიდა. კაცს მოღუნულ ფეხებზე სახვევები აღარ ედო. მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მთელი ოთხი დუიმით მოკლე ჰქონდა. პოლი ადრე მარჯვენა ფეხზე დად-

გომას შეეცადა და ცოტა ხნით შეძლო კიდეც, მაგრამ ყრუ ტკივილი იგრძნო, რომელიც საათები გაგრძელდა და ვერც წამალმა გაუყუჩა.

ქალმა პოლი სარდაფში ჩაიყვანა, სადაც ქვის, ხის, ნესტისა და დამპალი ბოსტნეულის სუნი ერთმანეთში იყო არეული და გაცილებით მძაფრად იგრძნობოდა. სარდაფს სამი ნათურა ანათებდა. სინათლეზე ძველისძველი აბლაბუდები ჰამაკივით ეკიდა. ქვის კედლები ცუდად იყო გალესილი და რაღაცით ბავშვის ნახატს ჰგავდა. სარდაფში არასასიამოვნოდ გრილოდა.

პოლი ქალთან ისე ახლოს ადრე არასოდეს ყოფილა, როგორც იმ წუთებში, როდესაც ენის ის დაკიდებულ კიბეზე ჩაჰყავდა. უსიამოვნო შეგრძნება იყო. კაცმა ოფლის სუნი იგრძნო.

ზოგადად, პოლს ახლადგამოსული ოფლის სუნი არ ეზიზღებოდა. ეს სუნი ფიზიკურ მუშაობასთან ასოცირდებოდა, რასაც პატივს სცემდა. მაგრამ ქალის ოფლის სუნს ძველი ზეწრებისა და ჭუჭყის სუნი ერთვოდა, რაც გულისამრევი იყო. „ენის ალბათ შხაპის მიღება კალენდრის გადაფურცვლასავით ავიწყდება“, - გაიფიქრა პოლმა. კაცმა ენის ყურში მუქი, ყავისფერი გოგირდი შეამჩნია. „ყური ისე აქვს დაცობილი, ნეტავ საერთოდ როგორ ესმის“, - გაუკვირდა პოლს.

ქვის კედელთან ლეიბი იდო, რომელიც ენიმ რამდენიმე წუთის წინ სარდაფში ჩაიტანა, ლეიბის გვერდით გატეხილი მაგიდა, რომელზეც რამდენიმე თუნუქის ქილა და ბოთლი ეწყო. ენი ლეიბს მიუახლოვდა. ზურგით ლეიბისკენ მობრუნდა და ჩაცუცქდა.

- აბა, გადადი, პოლ. - უთხრა ქალმა.

პოლმა ქალს ფრთხილად გაუშვა ხელი და ლეიბზე დაწვა. მერე გამომცდელად ახედა ქალს, რომელმაც ხაკის ჩანთაში ხელი ჩაყო.

- არა, - თქვა იმწამსვე პოლმა, როგორც კი სარდაფის მკრთალ, მოყვითალო შუქზე შპრიცი დაინახა. - არა, არა, - გაიმეორა კაცმა.

- ღმერთო ჩემო, - თქვა ქალმა. - ალბათ ფიქრობ, რომ დღეს ცუდ ხასიათზე ვარ. მინდა, რომ მოდუნდე, პოლ. - ენიმ შპრიცი მაგიდაზე დადო. - ეს წამალი სკოპოლამინია, რომელიც მორფინზეა დამზადებული. ბედი გქონია, რომ მორფინი საერთოდ მაქვს. მგონი გითხარი, რა მკაცრ აღრიცხვაზეა ეს წამალი საავადმყოფოს აფთიაქებში. გიტოვებ ამ წამლიან შპრიცს, რადგან აქ ნესტია, ჩემ დაბრუნებამდე ფეხები შეიძლება ძალიან აგტკივდეს.

- მაგრამ, იცი რა, - განაგრძო ენიმ საუბარი და პოლს თვალი ისე ჩაუკრა, თითქოს შეთქმულების მონაწილენი ყოფილიყვნენ. - ის საფერფლე ფანჯარას რომ ესროლე, ამით ყელამდე საქმე გამიჩინე. დაიცა, ახლავე დავბრუნდები.

ქალი მაღლა ავიდა და მალე დაბრუნდა. თან სასტუმრო ოთახში დივანზე დაწყობილი ბალიშები და პოლის საბანი ჩამოიტანა. ენიმ ბალიშები პოლს ზურგს უკან ჩაუწყო, რომ უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო. მაგრამ ქვის კედლიდან წამოსული სიცივე ბალიშებშიც ატანდა და კაცის გაყინვას ლამობდა.

მაგიდაზე სამი ბოთლი პეპსი იდგა. ქალმა გასახსნელით, რომელიც გასაღებების აცმაზე ეკიდა, ორი ბოთლი გახსნა. ერთი პოლს მიაწოდა, მეორე კი პირზე მიიყუდა და შუამდე ჩაიყვანა. მერე მოკრძალებით, ქალურად პირზეხელაფარებულმა დააბოყინა.

- ჩვენ სალაპარაკო გვაქვს, - თქვა მან. - უფრო სწორად, მე მაქვს სალაპარაკო. შენ კი უნდა მომისმინო.

- ენი, როდესაც გითხარი გიჟი ხარმეთქი...

- ჩუუ, არაფერი თქვა. ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. არ ვაპირებ, აზრი შეგაცვლევინო. მისტერ ჭკვიანო ბიჭო, როგორც გინდა, ისე იფიქრე. შენ ხომ შენი ფანტაზიით მოიპოვებ პურს შენი

არსობისა. მე იმას ვამბობ, რომ დამტვრეული მანქანიდან გადმოგიყვანე, სადაც გაყინვით სიკვდილი გემუქრებოდა. მერე მოტეხილ ფეხებზე არტაშანი დაგადე, წამალს გასმევდი, რომ ტკივილს ნაკლებად დაეტანჯე. დაგარწმუნე, რომ უვარგისი წიგნი თავიდან მოგეშორებინა და საუკეთესო რომანი შეგექმნა. თუ ესაა სიგიჟე, მაშინ წამიყვანონ საგიჟეში.

„ოჰ, ენი, ნეტავ მართლა ვინმე წაგიყვანდეს“, - გაიფიქრა პოლმა. ხმამაღლა კი ეს წამოცდა: - ამის დედა ვატირე, ეს ოხერი ფეხი ხომ მომაჭერი! - პოლმა თავი გვერდზე მიაბრუნა და გადააფურთხა.

- ჩემი თანდასწრებით ბინძურ სიტყვებს ნუ ამბობ, - ხელი აუქნია ენიმ. - შენთან შედარებით, მე უკეთესად ვარ აღზრდი

ლი. მადლობა თქვი, რომ შენი „მამაკაცური ღირსება“ არ მოგა

ჭერი. იცი, ამაზე ვფიქრობდი.

პოლმა ქალს შეხედა. კაცს თითქოს შიგნეულობა გაეყინა.

- ვიცი, ენი, - უთხრა პოლმა მშვიდად. ქალს თვალები გაუფართოვდა. გაოგნებულმა ენიმ თავი დამნაშავედ იგრძნო.

- მისმინე, პოლ, ყურადღებით მომისმინე, - დაიწყო ქალმა. - ყველაფერი კარგად ჩაივლის, თუ დაღამებამდე არავინ მოვა. საათნახევარში დაბნელდება. თუ მანამდე ვინმე მოვიდა...

ქალმა ხაკის ჩანთაში ხელი ჩაყო და პოლიციელის იარაღი ამოიღო. პისტოლეტზე დანის კბილანების ზიგზაგური კვალი სარდაფის სინათლეზეც კარგად გამოჩნდა.

- თუ ვინმე მოვიდა, - გააგრძელა ქალმა, - ჯერ ის მოკვდება, მერე შენ და ბოლოს მე.

დაბნელდებოდა თუ არა, ენი პოლიციელის მანქანას მაღლა მთაში, თავისი სიცილის ადგილას წაიყვანდა. იქ ქოხის გვერდით ფარდული იყო, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა უსაფრთხოდ, უცხო თვალისგან მოფარებულად მანქანის დაყენება. ქალი ფიქრობდა, რომ ყველაზე სახიფათო მეცხრე გზატკეცილი იყო. იქ შეიძლებოდა შეემჩნიათ. მაგრამ არც ისე სარისკო საქმეაო, თქვა ენიმ. გზატკეცილზე სულ რაღაც ოთხი მილი უნდა გაევლო, მერე კი გრუნტის გზა მაღლა, მთებში ადიოდა, სადაც მანქანები თითქმის არ მოძრაობდნენ. იმ ადგილებში საქონელსაც აღარავინ აძოვებდა. ზოგიერთ მონაკვეთზე გზა ჯერ ისევ ჭიშკრით იყო გადაღობილი. როდესაც ენიმ და რალფმა მთაში მიწა შეიძინეს, მათ ჭიშკრის გასაღებებიც მისცეს. თხოვნა არც დასჭირვებიათ. მიწის მეპატრონეებმა გზატკეცილიდან მათ ქოხამდე, თავიანთი ჭიშკრების გასაღები უსიტყვოდ მისცეს. აი, მესმის მეზობლობაო, თქვა ენიმ და ნათქვამში ეჭვი, ზიზღი და დაცინვა გაურია.

- შენც წაგიყვანდი და თვალყურს გადევნებდი, მაგრამ არ გამოვა, -

უთხრა ენიმ. - არასანდო ადამიანად წარმოაჩინე თავი. პოლიციელის მანქანაში უკანა სკამზე დაგსვამდი. მაგრამ შენი უკან წამოყვანა გაძნელდებოდა. უკან რალფის მოტოციკლით უნდა დავბრუნდე. გზაში იქნებ მოტოციკლიდან გადმოვარდე და კისერი მოვიტეხო!

ქალმა ხუმრობაზე მხიარულად გაიცინა, მაგრამ პოლს არ გაღიმებია.

- მართლა ასე რომ მოხდეს, ენი, მე რა მომივა?

- ნუ გეშინია, კარგად იქნები, - უთხრა ქალმა მშვიდად. - ღმერთო, რა ფეთიანი ხარ! ქალი სარდაფის ერთერთ ფანჯარასთან მივიდა, რათა გარეთ გაეხედა, ხომ არ დაღამდაო. პოლი ქალს

დაღვრემილი ადევნებდა თვალს. ენი ქმრის მოტოციკლიდან რომ გადმოვარდნილიყო ან მთის მოუკირწყლავი გზიდან რომ გადაჩეხილიყო, პოლი კარგად როგორღა იქნებოდა? ამ სარდაფში ძაღლივით ამოხდებოდა სული. ვირთხებს კი გაახარებდა, რომლებიც ალბათ ჩუმად კბილებს ილესავდნენ აქ ჩამოსულ ორფეხა ცხოველებზე, რომლებიც მათ სამფლობელოში შემოიჭრნენ. საკუჭნაოს კარს „კრეიგის“ საკეტი ედო და მაჯისსიმსხო ურდული ჰქონდა გაყრილი, ხოლო სარდაფის ფანჯრები ძალზე ვიწრო იყო. ისინი თითქოს ენის პარანოიას ირეკლავდა (ამაში უცნაური არაფერია, გაიფიქრა პოლმა. განა ცნობილი ფაქტი არ არის, რომ სახლები გარკვეული დროის შემდეგ მათში მცხოვრებ ადამიანთა პიროვნულ თვისებებს ირეკლავენ ხოლმე?). სარდაფის ჭუჭყიანი, ოცი დუიმი სიმაღლისა და თოთხმეტი დუიმი სიგანის ფანჯრები სათოფურებს ჰგავდა. პოლი ჯანმრთელადაც რომ ყოფილიყო, ასეთ ფანჯარაში ვერაფრით მოახერხებდა გაძრომას. ერთადერთი, ფანჯრის გატეხვა შეეძლო და დაძახება, მიშველეთო, თუკი ვინმე იქამდე მოვიდოდა, ვიდრე შიმშილით სული ამოხდებოდა. მაგრამ მაინცადამაინც არც ეს აზრი ამშვიდებდა.

ტკივილის პირველი შემოტევა ფეხებს მოწამლული წყლის ტალღასავით მოაწვა. ორგანიზმმა ნოვრილი მოითხოვა. ეს რა არის - „უნდა“? რასაკვირველია, ის არის.

ენი მაგიდასთან მოივიდა და მესამე ბოთლი პეპსი აიღო.

- წასვლამდე კიდევ მოგიტან, - თქვა მან. - ახლა კი შაქარი მჭირდება, ეს უნდა დავლიო. წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

- არა, რა თქმა უნდა. ჩემი პეპსი შენი პეპსია.

ქალმა ბოთლს საცობი მოხსნა და სითხე თითქმის ბოლომდე გამოცალა. პოლს გონებაში ამოუტივტივდა: „ჩაგა ლაგ, ჩაგა ლაგ. გინდა იყვირო ჰაი დე ჰუ“. ვინ მღერის ამას? როჯერ მილერი? ჰო, როჯერ მილერი. რა უცნაურობები არ გაგიელვებს კაცს თავში.

სასაცილოა.

- პოლიციელს თავის მანქანაში ჩავდებ და ჩემი სიცილის ადგილას წავიყვან, - თქვა ენიმ. - პარკებსაც მანქანაში ჩავაწყობ. მანქანას იქ ფარდულში დავაყენებ, პოლიციელს კი თავისი ტანსაცმლის ნაკუწებიანად ტყეში დავმარხავ.

პოლს არაფერი უთქვამს. კაცი ბოსიზე ფიქრობდა. საბრალო ბოსი, ბღაოდა და ბღაოდა, სანამ ცოცხალი იყო. მერე აღარ ბღაოდა, რადგან მოკვდა. მკვდარი ძროხები აღარ ბღავიან - ეს აქაური ცხოვრებისეული აქსიომაა.

- გზის გადასაღობი ჯაჭვი მაქვს, - თქვა ქალმა. - იმ ჯაჭვს გამოვიყენებ. თუ პოლიციელები მოვლენ, ეჭვი გაუჩნდებათ. მაგრამ მირჩევნია, ეჭვი გაუჩნდეთ, ვიდრე სახლთან მოვიდნენ და შენ გნახონ, შენ კი ამასობაში ალიაქოთი ატეხო. ვიფიქრე, პირი ხომ არ ავუკრა მეთქი, მაგრამ პირის აკვრა სახიფათოა, განსაკუთრებით, როდესაც ისეთ წამალს იღებ, რომელიც სუნთქვაზე მოქმედებს. შეიძლება გაღებინოს ან სასუნთქი გზები დაგეხშოს, რადგან აქაურობა ძალიან ნესტიანია. თუ ცხვირით ვერ ისუნთქებ და პირიც აკრული გექნა, მაშინ...

ქალმა განზე გაიხედა და გაირინდა. ისეთი უტყვი გახდა, როგორც ამ სარდაფის კედლის ქვები და ისეთი ცარიელი, როგორც პეპსის პირველი ბოთლი, რომელიც ქალმა დალია. „გინდა იყვირო ჰაიდეჰუ“. იყვირა ენიმ ჰაიდეჰუ დღეს? ნამდვილად იყვირა, ძმებო. იმდენი იყვირა, სანამ მთელს ეზოში საშინელება არ დაატრიალა?! პოლს გაეცინა. ენის მისი სიცილი არ გაუგია.

ქალს ცნობიერება თანდათან დაუბრუნდა. მიმოიხედა და თვალები აახამხამა.

- ღობეზე ბარათს დავტოვებ, - თქვა მან. ეტყობოდა, აზრებს ნელნელა იკრებდა. - აქედან დაახლოებით ოცდათხუთმეტი მილის დაშორებით არის ერთი ქალაქი სახელად სთიმბოუთ ჰევენი (გემი ზეცაში). ქალაქისთვის სასაცილო სახელია, არა? ამ კვირა-

ში იქ დიდი ბაზრობა იმართება. ადგილობრივები ამ ბაზრობას მსოფლიოში ყველაზე დიდ ბაზრობას ეძახიან. ეს ზაფხულობით ხდება. იქ კერამიკული ნაწარმის უამრავი გამყიდველი იყრის თავს. ბარათში ჩავწერ, რომ სთიმბოუთ ჰევენში კერამიკული ფიგურების საყიდლად ბაზრობაზე წავედი და გადაწყვეტილი მაქვს, ღამე იქ დავრჩე. მოგვიანებით თუ მკითხავენ, სად დარჩიო, რომ სასტუმროს ჟურნალში ჩანაწერი შეამოწმონ, ვიტყვი, რომ ბაზრობაზე კარგი ფიგურები არ იყო და უკან გამოვბრუნდი, რადგან ძალიან დაღლილი ვიყავი, თვალის მოსატყუებლად მანქანა გადავაყენე, შემეშინდა, საჭესთან არ ჩამძინებოდა. ვიტყვი, რომ ცოტა ხნით მინდოდა ჩამეთვლიმა, მაგრამ ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ მთელი ღამე მეძინა მეთქი.

პოლი თავზარდაცემული უსმენდა. უცებ გააცნობიერა, რომ ენი ზუსტად იმას აკეთებდა, რაც თვითონ ვერ შეძლო. ქალი თამაშს - „შეგიძლია?“ რეალურ ცხოვრებაში თამაშობდა. პოლმა გაიფიქრა, შეიძლება ენი წიგნებს ამიტომაც არ წერს. ეს მას არ სჭირდებაო.

- დავბრუნდები, როგორც კი შევძლებ, - თქვა ქალმა. - აქ პოლიციელები მოვლენ, - განაგრძო ენიმ მშვიდად. მის უცნაურ სიმშვიდეს ვერაფერი არღვევდა. თუმცა პოლი ვერ იჯერებდა, რომ ქალი გულის კუნჭულში არ ღელავდა და არ გრძნობდა, თამაშის დასასრულთან რა ახლოსაც იყვნენ. - არა მგონია, ამაღამ მოვიდნენ, - თქვა ქალმა. - შეიძლება, უბრალოდ, ახლომახლოს ჩაიარონ. მაგრამ მერე აუცილებლად მოვლენ, როგორც კი დარწმუნებით ეცოდინებათ, რომ პოლიციელი გაუჩინარდა. მის მარშრუტს გამოყვებიან და ძებნას დაუწყებენ. ეცდებიან, გაარკვიონ, სად გაჩერდა. შენ როგორ გგონია, პოლ, ასეა?

- ჰო.

- მათ მოსვლამდე უნდა დავბრუნდე. თუ გამთენიისას წამოვედი, ნაშუადღევამდე მოვალ. მათ დავასწრებ მოსვლას, რადგან

თუ პოლიციელი საიდუინდერიდან წამოვიდა, აქ მოსვლამდე ბევრ ადგილას შეჩერდებოდა.

- მათი მოსვლისთვის შენს ოთახში უნდა იყო, გასუსული უნდა იჯდე, როგორც ბაღლინჯო ხალიჩაში. შენს გაკოჭვას არ ვაპირებ, არც პირს აგიკრავ და არც არაფერი. შეგიძლია, მალულად გამოიხედო კიდეც, როდესაც მათთან სალაპარაკოდ ეზოში გავალ. ალბათ ორი პოლიციელი მოვა. როგორ ფიქრობ, ასე არ იქნება?

პოლი დაეთანხმა.

კმაყოფილმა ქალმა თავი დაუქნია. თუ დამჭირდა, ორს შემიძლია გავუმკლავდე. ქალმა ხაკის ჩანთას ხელი გადაუსვა. - მინდა, პოლიციელის იარაღი სულ გახსოვდეს, პოლ, სანამ ოთახიდან თვალს გვადევნებ. მინდა გახსოვდეს, რომ იარაღი ჩანთაში მიდევს. ჩანთა „ელვა“ შესაკრავით შეკრული არ მექნება. შენ თუ მათ დაინახავ, ეს არაფერი. მაგრამ თუ ისინი შემთხვევით დაგინახავენ ან ხვალ ისეთ რამეს ჩაიდენ, რაც დღეს გააკეთე, იცოდე, იარაღს ამოვიღებ და პოლიციელებს ვესვრი. იმ ბიჭის სისხლი შენს კისერზეა, ხომ გახსოვს?

- სისულელეა, - თქვა პოლმა. იცოდა, ამის თქმისთვის ქალი რაღაცას ატკენდა, მაგრამ ეს აღარ ედარდებოდა.

თუმცა ამ სიტყვისთვის არც ქალს მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ დედობრივად, წყნარად გაუღიმა.

- იცი რა, - თქვა მან, - არა მგონია, პოლიციელის სიკვდილი გენაღვლებოდეს. არც ის მგონია, რომ კიდევ ორი ადამიანის სიკვდილი შეგაწუხებს, თუ შენ ამით რამე გეშველება... მაგრამ არ გეშველება, პოლ, იმიტომ, რომ სადაც ორი, იქაც ოთხი. ოთხსაც გავუმკლავდები. ისინი... და ჩვენ. მაგრამ, იცი რა? მე მგონი, შენ მხოლოდ შენი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობ.

- არა, ცდები. - მიუგო კაცმა. - სიმართლეს გეტყვი, ენი, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად მინდა, ჩემი ტყავიდან გამოვძვრე.

ქალმა გაიცინა და უთხრა:

- ასეთი რამ ადრეც მსმენია, მაგრამ აბა, ერთი ხელი ცხვირ-პირზე დააფარე ამის მთქმელს და დახრჩობა დაუპირე, მაშინვე სხვაგვარად აჭიკჭიკდება. ტუტუცი ბავშვივით ტირილსა და კი-ვილს მორთავს.

„ამ მოთქმა ტირილს შენ არასოდეს შეუჩერებიხარ, არა, ენი?“ - გაიფიქრა პოლმა.

- მოკლედ, - თქვა ქალმა. - მინდოდა გცოდნოდა, რა მდგომა-რეობაა. თუ

არაფერი გენაღვლება, იყვირე, როდესაც მოვლენ. ახლა ყვე-ლაფერი შენზეა დამოკიდებული.

პოლმა არაფერი უპასუხა.

- როდესაც მოვლენ, სახლთან გზაზე გავალ და დაველაპარა-კები. ვეტყვი, რომ პოლიციელი სწორედ მაშინ მოვიდა, როდესაც სთიმბოუთ ჰევენში კერამიკის ფიგურების საყიდლად მივდიოდი. ვეტყვი, რომ პოლიციელმა შენი სურათი მაჩვენა. მაგრამ მე ვუ-პასუხე, არ მინახავსმეთქი. მერე ერთერთი მათგანი ალბათ მკითხავს: „მის უილკს, ეს გასულ ზამთარს მოხდა, როგორ ხართ ასეთი დარწმუნებულიო?“ მე კი ვუპასუხებ:„ელვის პრესლი ცოც-ხალი რომ ყოფილიყო და გასულ ზამთარს გენახათ, არ გემახ-სოვრებოდათმეთქი?“ ის მეტყვის: „როგორ არა, ალბათ მემახ-სოვრებოდაო. მაგრამ ვერ ვხვდები, ეს რა შუაშიაო“. მე ვეტყვი: „პოლ შელდონი ჩემი საყვარელი მწერალია. მისი სურათი არა-ერთხელ მინახავსმეთქი“. ზუსტად ასე ვეტყვი, პოლ.

კაცი ენის ცბიერებით გაოცებული იყო. ფიქრობდა, აღარაფე-რი გამაკვირვებსო, მაგრამ უკვირდა. კაცს ენის სურათი და სურა-თის ქვეშ წარწერა გაახსენდა. ენი სურათზე სასამართლო დარ-ბაზში გისოსებიან გადაღობილში იჯდა. მოსმენა დასრულებული იყო და ნაფიცი მსაჯულები განაჩენის გამოსატანად იყვნენ გასუ-ლი. ენი იჯდა და ვერდიქტის მოლოდინში მშვიდად კითხულობ-და. სურათის ქვეშ კი ეწერა: „იტანჯება? არა, ეს განცდა უცხოა

ქალბატონი ურჩხულისათვის.“ ეს წარწერა პოლს სიტყვა სიტ-ყვით გაახსენდა.

- მერე, - განაგრძო ენიმ, - მოსულებს ვეტყვი, რომ პოლიციელმა ყველაფერი ჩაიწერა. შემდეგ მადლობა გადამიხადა, მე კი ყავა შევთავაზე, მიუხედავად იმისა, რომ მეჩქარებოდა. მერე პოლიციელები მკითხავენ, ყავა რატომ შესთავაზეთო. მე მათ ავუხსნი, რომ პოლიციელმა შეიძლება იცოდა ჩემი წარსული უსიამოვნებანი და მინდოდა დამერწმუნებინა, რომ სახლში ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ მან ყავაზე უარი თქვა, უნდა წავიდეო. მაშინ რადგან ცხელი დღე იყო, მე შევთავაზე, ცივ პეპსის ხომ არ გაიყოლებმეთქი. კარგი იქნებოდაო, მიპასუხა მან.

ქალმა მეორე ბოთლი პეპსი ბოლომდე გამოცალა და ბოთლი ისე დაიჭირა, რომ პოლი ბოთლიდან ქალის გიგანტურ, ციკლოპის თვალს ხედავდა. ბოთლი ქალის თავსაც ადიდებდა და დეფორმირებულად აჩენდა.

- ამ ბოთლს აქედან ორი მილის იქით თხრილში გადავაგდებ, ოღონდ ჯერ პოლიციელის თითები უნდა შეეხოს ბოთლს, - მშრალად გაუღიმა ქალმა პოლს.

- ბოთლს პოლიციელის თითის ანაბეჭდები უნდა ეტყობოდეს, - გაიმეორა ქალმა. - მაშინ დაიჯერებენ, რომ პოლიციელმა ჩემს სახლთან აიარა. მერე გზას აღმა აუყვებიან, მაგრამ თავად პოლიციელს ვერ იპოვიან. გაქრა კაცი შარშანდელი თოვლივით. ვიცი, ისინი მალე უკან დაბრუნდებიან, თუ ბოთლის გარდა, სხვა კვალს ვერ იპოვიან. გადაწყვეტენ, რომ სჯობს, უფრო გულმოდგინედ დაფიქრდნენ ჩემზე. ბოლოს და ბოლოს მე ხომ გიჟი ვარ, არა? ყველა გაზეთი წერდა, შერეკილიაო. ვინ იცის, თავში რა მომივიდოდა.

- მაგრამ თავიდან ჩემს ნათქვამს დაიჯერებენ. პირველად მოსვლისას სახლში გასაჩხრეკად არ შემოვლენ. არა, პირველად

არა. კვალს სხვაგან დაუწყებენ ძებნას. ჩვენ დრო გვაქვს, პოლ. შეიძლება ერთი კვირაც გვაქვს.

ენიმ ძალიან მშვიდად შეხედა პოლს და უთხრა:

- ჰოდა, მოგიწევს უფრო ჩქარა წერო, პოლ.

19

დაღამდა. პოლიციელები არ გამოჩენილან. ენის მთელი საღამო, დაბნელებამდე პოლთან არ გაუტარებია. ქალს პოლის ოთახში შუშა უნდოდა ჩაესვა და ეზოში, ფანჯრის ქვეშ ქაღალდის სამაგრები და შუშის ნამსხვრევები აეკრიფა.

- ხვალ, როდესაც პოლიციელები მოვლენ თავიანთი დაკარგული ბატკნის მოსაძებნად, - უთხრა ქალმა პოლს, - აქ უწესრიგობა არ უნდა შეამჩნიონ, არა, პოლ?

„აბა, ბალახის საკრეჭი მანქანის ქვეშ შეიხედონ, უწესრიგობას იქ აღმოაჩენენ“. - გაიფიქრა პოლმა.

პოლი ყველანაირად ცდილობდა, რეალურად წარმოედგინა

პოლიციელების და ბალახის საკრეჭი მანქანის სცენა, მაგრამ ვერაფრით მოახერხა.

- პოლ, იცი, რატომ გითხარი ეს ყველაფერი? - ჰკითხა ქალმა, სანამ პოლის ოთახში ავიდოდა, რათა ფანჯრისთვის რამე მოეხერხებინა. - გაინტერესებს, ასე დეტალურად რატომ გაგაცანი ჩემი გეგმები?

- არა, - მიუგო პოლმა მოწყენილად.

- ნაწილობრივ იმიტომ, რომ გცოდნოდა, რა რისკი არსებობს და რა უნდა გააკეთო, რომ ცოცხალი გადარჩე, - უთხრა ქალმა. - ყველაფერს ახლავე დავუსვამდი წერტილს, წიგნი რომ არა. წიგნზე ჯერ ისევ ვწუხვარ, - გაიღიმა ქალმა. მის ღიმილში უცნაური ნაღველიც გამოსჭვიოდა. - ეს ბოლო წიგნი მიზერიზე დაწერილ ყველა წიგნს ჯობია. ძალიან მინდა გავიგო, როგორ დამთავრდება.

- მეც მინდა, ენი, - თქვა პოლმა.

გაოცებულმა ქალმა პოლს შეხედა.

- შენ ხომ იცი, არ იცი?

- როდესაც წიგნის წერას ვიწყებ, მეჩვენება, რომ ვიცი, როგორ განვითარდება წიგნში მოქმედება, მაგრამ დასასრული არასოდეს გამომსვლია ისე, როგორც წინასწარ მაქვს ჩაფიქრებული. თუ დაუკვირდები, ეს გასაკვირი არც არის. წიგნის წერა ცოტათი საკონტინენტთაშორისო რაკეტის გაშვებას ჰგავს... ოღონდ აქ საქმე არა სივრცეში, არამედ დროში მოგზაურობასთან გაქვს: წიგნის პერსონაჟები გამოგონილ სამყაროში თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ, ხოლო მწერალი მათ ცხოვრებას რეალურ დროში აღწერს. ვფიქრობ, წიგნის დასასრულის წინასწარ ცოდნა იგივეა, ერთი კონტინენტიდან მეორეზე გაუშვა რაკეტა და გამოთვალო, რომ ის ზუსტად კალათბურთის იმ კალათში ჩავარდება, რომელიც წინასწარ ივარაუდე. მაგრამ არსებობენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც პირდაპირ სახეში შემოგხედავენ და გეტყვიან, რომ ამის გაკეთება საკმაოდ ადვილია, თუმცა სინამდვილეში ძალიან ძნელია, წიგნი ისე დაასრულო, როგორც დაგეგმე.

- გასაგებია, თქვა ქალმა.

- ამჟამად წიგნის ორნაირი დასასრული მაქვს. ერთი ძალიან ნაღვლიანია. მეორე კი, თუმცა ჰოლივუდური „ჰეფი ენდი“ არ არის, მაგრამ იმედიანად მთავრდება.

ენი საავდრო ღრუბელივით მოიქუფრა.

- ხელმეორედ ხომ არ აპირებ მის მოკვლას, პოლ?

პოლმა გაიღიმა.

- რომ მოვკლა, რას იზამ, ენი? მომკლავ? ეს სულაც არ მაღელვებს. შეიძლება არც მე ვიცი, მიზერის რა მოუვა, მაგრამ მე რა მომივა, ეს ზუსტად ვიცი. წიგნს დავასრულებ და წერტილს დავსვამ. მერე შენ წაიკითხავ და საბოლოო წერტილს შენც დასვამ. ეს იქნება დასასრული ჩვენთვის, ორივესთვის. ასე არ არის? რა თქმა უნდა, ასეა, ამის მისახვედრად დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო.

მოქმედების განვითარებას, წიგნისგან განსხვავებით, ცხოვრებაში ადვილად ხვდები.

- მაგრამ...

- მგონი, ვიცი, წიგნი როგორ დამთავრდება. ოთხმოცი პროცენტით დარწმუნებული ვარ. თუ ისე დამთავრდა, როგორც ვფიქრობ, ვიცი, მოგეწონება. მაგრამ თუ სხვანაირად დამთავრდება, წინასწარ ვერც ერთი ჩვენგანი დასასრულს ვერ გამოვიცნობთ, სანამ ბოლომდე არ დაიწერება. ასე არ არის?

- ალბათ ასე.

- გახსოვს ავტობუსების კომპანია „გრეიჰაუნდ ბასის“ რეკლამა: „მოგზაურობა დანიშნულების ადგილზე მისვლაზე არანაკლებ სასიამოვნოა“.

- მაგრამ წიგნი ხომ თითქმის დამთავრებულია?

- კი, - უთხრა პოლმა. - თითქმის დამთავრებულია.

20

სანამ წავიდოდა, ენიმ პოლს ერთი ბოთლი პეპსი, კრეკერების კოლოფი, სარდინის კონსერვები, ყველი... და ღამის ქოთანი მოუტანა.

- თუ ჩემს ხელნაწერს მომიტან და ერთერთ ყვითელ ბლოკნოტს, წერას ხელით გავაგრძელებ, - უთხრა პოლმა. - დრო მალე გავა.

ქალი დაფიქრდა, მერე თავი სინანულით გააქნია.

- ნეტავ მართლა შეიძლებოდეს, პოლ. - უთხრა ენიმ. - მაგრამ მაშინ ერთი ნათურა მაინც უნდა დავტოვო ანთებული. სამწუხაროდ, ვერ გავრისკავ.

პოლმა გაიფიქრა, რომ სარდაფში, სიბნელეში, მარტო უწევდა დარჩენა და კვლავ პანიკურმა შიშმა შეიპყრო. თითქოს ცხელი ტალღა გადაევლო, რამდენიმე წამით წამოწითლდა კიდეც, მაგრამ მერე შეამცივნა და კანზე ბუსუსები წამოეშალა. ვირთხები გაახსენდა, რომლებიც ალბათ ქვის კედლებზე დაცოცავდნენ ან სოროებში იმალებოდნენ. სარდაფში სინათლე ჩაქრებოდა თუ არა, აუცილებლად გამოვიდოდნენ, იგრძნობდნენ კაცის უმწეობას.

- სიბნელეში ნუ დამტოვებ, ენი, - შეევედრა პოლი. - ამას ნუ იზამ.

- სხვა გზა არა მაქვს. ვინმემ სარდაფში სინათლე რომ შეამჩნიოს, ალბათ აქაურობის დათვალიერებას მოინდომებს. ვერც გზის გადასაღობი ჯაჭვი და ვერც ბარათი შეაჩერებს. ფარანი რომ დაგიტოვო, შეიძლება ფარნით ნიშანი მისცე. სანთელი რომ მოგცე, ალბათ სახლს გადაწვავ. ხედავ, რა კარგად გიცნობ?

პოლი ვერ ბედავდა, ქალთან იმ დღეების გახსენებას, როდესაც თავისი ოთახიდან გამოვიდა, რადგან ეს ამბავი ენის ყოველ-

თვის აცოფებდა, მაგრამ ახლა იმის შიშმა, რომ სარდაფში, სიბნელეში უნდა დარჩენილიყო, გააბედინა ეთქვა:

- სახლის დაწვა რომ მდომოდა, ენი, ამას დიდი ხნის წინ გავაკეთებდი.

- მაშინ სხვა სიტუაცია იყო, - მოუჭრა ქალმა. - ვწუხვარ, რომ სიბნელეში დარჩენა გიწევს, მაგრამ შენი ბრალია. ჰოდა, მორჩი წუწუნს. უნდა წავიდე. თუ იგრძნობ, რომ ნემსი გჭირდება, ფეხში გაიკეთე.

ქალმა პოლს თვალი შეავლო.

- ანდა უკან, დუნდულებზე იჩხვლიტე.

ქალი კიბეს აუყვა.

- მაშინ ფანჯრებს ზეწარი ჩამოაფარე, - დაუძახა სასოწარკვეთილმა კაცმა. - ან ფანჯრები შავად გადაღებე. ღვთის გულისათვის, ენი, ვირთხები, ვირთხები!

ქალი მესამე საფეხურზე გაჩერდა და პოლს მტვრიანი მონეტის მსგავსი მოშავომონაცრისფრო თვალებით გამოხედა.

- მაგ საქმეებისთვის დრო არ მაქვს, - უთხრა ქალმა. - ვირთხების ნუ გეშინია, პოლ, შეიძლება თავისიანად ჩაგთვალონ და თავიანთ რიგებში მიგიღონ.

ენიმ გაიცინა. მერე სიცილით აჰყვა კიბეს. იცინოდა და იცინოდა. გაისმა ტკაცუნის ხმა და სინათლე ჩაქრა. ენი კი ისევ იცინოდა. პოლმა თავის თავს სიტყვა მისცა, რომ არ იყვირებდა და ქალს ხვეწნას არ დაუწყებდა, მაგრამ ისე დაზაფრა სიბნელემ და ქალის სიცილის ხმამ, რომ გულგამგმირავად იყვირა, ამას ნუ იზამ, ასე ნუ დამტოვებო. მაგრამ ქალს ყურადღება არ მიუქცევია, ისევ იცინოდა. მერე კარი დაიხურა და საკეტში გასაღების გადატრიალების ხმა გაისმა. ახლა ქალი დაკეტილი კარის მიღმა იცინოდა. მერე გასაღები გარეთა კარის საკეტშიც გადატრიალდა. ქალის სიცილის ხმა უკვე შორიდან ისმოდა. პოლმა გაიფიქრა, ალბათ ქალი მაშინაც კი იცინოდა, როდესაც პოლიციელის მან-

ქანა გზაზე გაიყვანა, მერე გაჩერდა, მანქანიდან გადმოვიდა, უკან მობრუნდა, გზის გადასაღობი ჯაჭვი დადგა, მერე ისევ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. პოლს ქალის სიცილის ხმა თითქოს ისევ ყურში ჩაესმოდა. ენი იცინოდა, იცინოდა და იცინოდა.

21

სარდაფის შუაში ღუმელი, რომელიც უფრო რვაფეხას ჰგავდა, მკრთალად მოჩანდა. პოლი ფიქრობდა, სასტუმრო ოთახიდან საათის ხმას გავიგებდი, ღამე შედარებით წყნარი რომ იყოსო. მაგრამ ძლიერი ქარი ღამღამობით ბოლო დროს ხშირად უბერავდა. კაცს უსაშველოდ გაწელილი დრო თავზესაყრელად ჰქონდა. როდესაც ქარი ცოტა მიწყნარდა, პოლმა გარედან ჭრიჭინების ხმა გაიგო. მის ყურთასმენას ვირთხების ფხაჭუნის ხმაც მისწვდა.

მაგრამ ეს არ იყო ვირთხები, რაც პოლს ძალიან აშინებდა. ეს პოლიციელი იყო. კაცს თავისი წარმოსახვის იშვიათად შეშინებია. მაგრამ თუკი შეშინებია, ღმერთმა დაიფაროს, უმძიმესი შიში განუცდია. ეს მაშინ მომხდარა, როდესაც მისი წარმოსახვა გამძაფრებული იყო. ახლა კი წარმოსახვის უნარი ასმაგად ჰქონდა გამძაფრებული და ფიქრობდა, თუმცა მისი ფიქრი სრული უაზრობა იყო. სიბნელეში ხომ გონივრულობა სისულელედ ჩანს, ლოგიკა კი - ბოდვად. ის არა გონებით, არამედ კანით ფიქრობდა. ხედავდა, რომ პოლიციელს სიცოცხლე დაუბრუნდა და წამოჯდა. თივა, რომელიც ენიმ მას ზემოდან წააყარა, წამოჯდომისას კალთაში ჩაებნა. დანის კბილანებს პოლიციელის სახე ისე დაემახინჯებინა, რომ მთელი სახე ერთ დიდ სისხლის ლაქად ჰქონდა ქცეული. პოლმა დაინახა, რომ პოლიციელი ბოსლიდან გამოვიდა და ფარდულისკენ ფორთხვით წავიდა. ტანზე დაგლეჯილი ტანსაცმელი ეცვა. ფარდულში მისი სხეული სასწაულებრივად დაიშალა და დადნა. აქ სარდაფში კი მისი სხეულის ნაწილები ხელახლა შეერთდა. პოლი ხედავდა, პოლიციელი როგორ მოხოხავდა ჭუჭყიან იატაკზე. ხმაური, რომელიც პოლს ესმოდა, ვირთხების ხმა სულაც არ იყო, პოლიციელი მოხოხავდა მისკენ. ბიჭის გაყინული, მკვდარი ტვინი ერთადერთი ფიქრით იყო გაჟღენ-

თილი: „შენ მე მომკალი, პირი გააღე და მომკალი. საფერფლე ისროლე და მომკალი, შე, ნაბიჭვარო“.

უცებ პოლმა ლოყაზე პოლიციელის თითების შეხება იგრძნო და ხმამაღლა დაიყვირა. ფეხები მკვეთრად გაიქნია, რამაც უეცარი ტკივილი აგრძნობინა. გაგიჟებულმა ლოყაზე მოისვა ხელი და პოლიციელის თითები კი არა, ხელში უშველებელი ობობა შერჩა.

პოლს შფოთვა ფეხების ტკივილით შეეცვალა და ორგანიზმმა წამალი მოითხოვა. მაგრამ, ამავე დროს, კაცმა შიში ცოტა დაძლია. მხედველობაც სიბნელეს შეეჩვია და უკეთესად ხედავდა, რაც, რა თქმა უნდა, ერთგვარი შეღავათი იყო. ირგვლივ მიმოიხედა. დასათვალიერებელი ბევრი არაფერი იყო: ღუმელი, ნახშირის გროვა, მაგიდა, რომელზეც კონსერვის ქილები და სხვადასხვა ხელსაწყოიარაღი ეწყო... და მარჯვნივ, ნეტავ ეს რა არის? თაროებთან რაღაც იდო. პოლს საგნის ფორმა ეცნო და ცუდი ასოციაცია აღუძრა. საგანი სამ ფეხზე იდგა, მომრგვალებული თავი უჩანდა. სიკვდილის მანქანას ჰგავდა ჰერბერტ უელსის წიგნიდან „სამყაროთა ომი“. ოღონდ საგანს შედარებით შემცირებული ზომა ჰქონდა. დაბნეულმა პოლმა თვალები დახუჭა, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაახილა და გაიფიქრა: „ჰო, მივხვდი, რასაკვირველია, თავიდანვე უნდა მეცნო. ეს სიკვდილის მანქანაა და დედამიწაზე თუკი ვინმე ერთი მარსელი მაინც დადის, ეს ძუკნა ენი უილკსია. საგანი კი მისი გრილია. ეს მისი კრემატორიუმია, რომელშიც ჩემი წიგნი „სწრაფი მანქანები“ დამაწვევინა.

პოლს განძრევისთანავე კვნესა აღმოხდა. ფეხები, განსაკუთრებით კი მარცხენა, წაჭრილი ფეხი ასტკივდა. მენჯის ტკივილიც იგრძნო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ცუდი ღამე ექნებოდა. მენჯი ბოლო ორი თვე არ ატკიებია.

პოლმა შპრიცი აიღო, მაგრამ ისევ დადო. ქალმა უთხრა, წამლის მსუბუქი დოზააო. თუ ასეა, ნემსის გაკეთება იმ დროისთვის ხომ არ გადაედო, როდესაც სხეული უფრო ასტკივდებოდა?

პოლს ფხაჭუნის ხმა შემოესმა და სწრაფად კუთხისკენ გაიხედა. ელოდებოდა, რომ მისკენ ხოხვით მომავალ პოლიციელს დაინახავდა, რომელიც სახეზე ცალად დარჩენილ წაბლისფერ თვალს გაუსწორებდა და ეტყოდა: „შენ რომ არა, ახლა სახლში ვიქნებოდი. ტელევიზორს ვუყურებდი და ხელი ცოლის მუხლზე მექნებოდა დადებულიო“.

არა, პოლიციელი კი არა, ვირთხა იყო. პოლს ცოტა მოდუნება უნდოდა. ოჰ, რა გრძელი ღამე იყო წინ!

22

პოლმა ჩათვლიმა და მთვრალი კაცივით თავჩაკიდებულს გაეღვიძა. კაცი შეინძრა და ფეხები ტკივილისაგან დაეგრიხა. მოსაშარდად ღამის ქოთანი აიღო. ტკივილმა მიახვედრა, რომ მის ორგანიზმში ახალი ინფექცია აპირებდა ფეხის მოკიდებას. როგორი დასუსტებული იყო, ღმერთმა დასწყევლოს, ყველაფერი რა ადვილად ერეოდა. პოლმა ღამის ქოთანი გვერდზე გადადო და შპრიცი აიღო.

სკოპოლამინის მსუბუქი დოზაო, უთხრა ქალმა. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ არც ის იყო გამორიცხული, რომ სხვა წამალი ყოფილიყო, რომელიც ერნი გონიარის ან „ქვინი“ ბოლიფანტის მოსაკლავად გამოიყენა.

კაცს გაეღიმა. განა სიკვდილი ცუდი იქნებოდა? არა, რა თქმა უნდა. ხიმინჯები სამუდამოდ გაუჩინარდებოდა და არც წყლის მოქცევა მიქცევა იარსებებდა.

პოლმა მარცხენა ბარძაყზე ვენა ადვილად იპოვა და მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავისთვის ნემსი არასოდეს გაუკეთებია, მოხერხებულად და ერთგვარი ენთუზიაზმითაც კი გაიკეთა.

23

პოლი არ მომკვდარა და არც ეძინა. ტკივილი დაუყუჩდა და ძილბურანში გახვეული საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა. თითქოს ფიქრების ბუშტი იყო, რომელსაც გრძელი ზონარი ჰქონდა გამობმული და ჰაერში ფარფატებდა.

„პოლ, შენ შენივე თავის შეჰერაზადა იყავი“, - უთხრა კაცმა თავის თავს და გრილი შეათვალიერა. მარსელთა სასიკვდილო სხივები გაახსენდა, რითაც უცხოპლანეტელებმა მთელი ლონდონი გადაწვეს.

მერე უეცრად ჯგუფ „ტრამპსის“ სიმღერა გაახსენდა: „დაწვი, პატარავ, დაწვი. დაწვი დედიკო..“.

თავში რაღაც აზრმა გაუელვა.

„დაწვი, დედიკო..“.

პოლ შელდონს ეძინა.

როდესაც პოლს გაეღვიძა, სარდაფი სავსე იყო განთიადის მონაცრისფრო შუქით. ერთი დიდი ვირთხა მაგიდაზე ყველს ციცქნიდა. კუდი კი გვერდზე კოხტად მოეგდო.

პოლი შიშისგან შეკრთა და შეჰყვირა, მერე ისევ იყვირა, რადგან მკვეთრმა მოძრაობამ ფეხებში ტკივილი განუახლა. ვირთხა გაიქცა.

ენიმ კაფსულები დაუტოვა. იცოდა, რომ ამგვარი ტკივილის დროს ნოვრილი დიდად ვერ დაეხმარებოდა, მაგრამ სულ არაფერს, მაინც სჯობდა.

მაგრამ, პოლ, ფეხები გტკივა, თუ არა, ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს, დილა გათენდა და დილის საზრუნავს უნდა მიხედო, არა, პოლ?

კაცმა ორი კაფსულა გადაყლაპა და პეპსი მიაყოლა. მერე უკან გადაწვა. თირკმელებში პულსაციას ბუნდოვნად გრძნობდა, თითქოს იქ რაღაც ეზრდებოდა. ძალიანაც კარგი!

„მარსელები“, - გაიფიქრა პოლმა. - „მარსელთა სიკვდილის მანქანა“.

კაცმა გრილს გახედა. ეგონა, დილის შუქზე ჩვეულებრივ საოჯახო ნივთს დაინახავდა, მაგრამ გაოცებულმა გრილი ისევ ჰერბერტ უელსის სამ ფეხზე მოსიარულე, დამანგრეველ მანქანას მიამსგავსა.

წუხელ რაღაც აზრი დაგებადა, პოლ. გაიხსენე, რა აზრი იყო?

ისევ ჯგუფ „ტრამპსის“ სიმღერა ჩაესმა.

„დაწვი, პატარავ, დაწვი. დაწვი დედიკო!“

მართლა? რომელ დედიკოზეა საუბარი? მან უბრალო სანთელიც კი არ დაგიტოვა.

ამ დროს ტვინში მომუშავე პატარა კაცუნებმა იდეა მიაწოდეს:

„აქ და ახლა არაფრის დაწვა არ არის საჭირო“.

„ჰეი, ბიჭებო, რა ჯანდაბაზე ლაპარაკობთ? აბა, გამარკვიეთ..“.

და გენიალური აზრი გაჩნდა. გაჩნდა მოულოდნელად, ისე, როგორც ყველა ღირებული და სრულყოფილი აზრი იბადება ხოლმე.

„დაწვი დედიკო..“.

პოლმა გრილს შეხედა. შეეცადა, ერთი მხრივ, ის ტკივილი გაეხსენებინა, რაც მისგან იწვნია და, მეორე მხრივ, რაც ქალმა მიაყენა. მართალია, წყენა და ტკივილი განუახლდა, მაგრამ ამჯერად მას სიმძაფრე აკლდა. ახლა თირკმლები უფრო სტკიოდა. რა უთხრა გუშინ ენიმ?

„მე მხოლოდ დაგარწმუნე, ცუდი წიგნი გაგენადგურებინა და საუკეთესო დაგეწერაო“. შეიძლება ამაში სიმართლის მარცვალი იყო. იქნებ „სწრაფ მანქანებს“ გადაჭარბებულად აფასებდა.

„ეს შენი გონების მცდელობაა, რომ ტკივილი მოგიშუშდეს, პოლ“, - წაიჩურჩულა მისი გონების ერთმა ნაწილმა. „თუ ოდესმე აქედან თავის დაღწევა გეღირსა, ალბათ ასევე ეცდები, დაარწმუნო შენი თავი: მარცხენა ტერფი არც იყო საჭიროო. ახლა ხუთით ნაკლები ფრჩხილის დაჭრა მიწევსო. თან დღეს ისეთ შესანიშნავ პროთეზებს აკეთებენო. არა პოლ, წიგნიც ძალიან კარგი იყო და ტერფიც. მოდი, თავს ნუ გავისულელებთ“.

პოლი გულის სიღრმეში ეჭვობდა, რომ ასეთი მსჯელობა თავის მოტყუება იყო.

„არა, პოლ, თავის მოტყუება არ არის. თქვი ეს ოხერი სიმართლე. როდესაც ამბებს თხზავ, სხვები შენ მიერ გამოგონილ სამყაროში შეგყავს ანუ სხვებს ატყუებ, მაგრამ შენს თავს ხომ ვერ მოატყუებ. სასაცილოა, მაგრამ სიმართლეა. თუ შენი თავის მოტყუება დაიწყე, მაშინ მწერლობა შენი საქმე არ ყოფილა. ბროკერობა შეისწავლე ან სხვა რამეს მოჰკიდე ხელი.

აბა, სიმართლე რაღაა?

სიმართლე ის იყო, რომ კრიტიკოსები პრესაში პოლს „პოპულარულ მწერლად“ მოიხსენიებდნენ, რაც კაცს გულს ტკენდა. როგორც პოლი ხვდებოდა, ეს შეფასება ბულვარული ნაწარმოებების მწერალზე ერთი ნაბიჯით, ერთი პაწია ნაბიჯით წინ დგომას ნიშნავდა, თუმცა კაცის წარმოდგენას თავის თავზე სრულებით არ შეესაბამებოდა. პოლი თავს სერიოზულ მწერლად მიიჩნევდა, რომელიც დროდადრო რაინდულსასიყვარულო რომანებს წერდა, რათა ფული გაეკეთებინა, რომ მერე სერიოზულ წიგნებზე ემუშავა. საკითხავია, პოლს მიზერი სძულდა? ნამდვილად სძულდა? თუ ასეა, რატომ იყო ასეთი ადვილი მიზერის სამყაროში გადასვლა? არამარტო ადვილი, არამედ სასიამოვნოც, როგორც თბილ აბაზანაში ჩაწოლა, როდესაც ცალ ხელში კარგი წიგნი გიჭირავს, მეორეში კი - ცივი ლუდი. შესაძლოა, პოლს მიზერი იმიტომ სძულდა, რომ წიგნის ყდაზე ქალის სახე უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა, ვიდრე ავტორის ფოტო. კრიტიკოსები ვერ ამჩნევდნენ, რომ საქმე სერიოზულ მწერალთან ჰქონდათ. ამის გამო პოლის „სერიოზული პროზა“ თვითდამკვიდრებისთვის განწირულ კივილად იქცა: „შემომხედეთ, შემომხედეთ, რა მშვენივრადაა დაწერილი. ჰეი, ბიჭებო, ნახეთ, რა ჰორიზონტია, აქ კი რა ინტერლუდიაა. ნაბიჭვრებო, ეს ჩემი სერიოზული ნამუშევარია. არ გაბედოთ, ზურგი მაქციოთ! არ გაბედოთ, ზურგი აქციოთ ჩემს სერიოზულ ნამუშევარს! არ გაბედოთ, თორემ“...

თორემ რა? რას იზამდა? მათ ტერფებს წააჭრიდა? ცერებს გადაუხერხავდა?

პოლს გააჟრჟოლა. კაცს მოშარდვა მოუნდა. ღამის ქოთანი აიღო. კვნესით მოშარდა. წინანდელზე უფრო მეტად სტკიოდა. კვნესა მოშარდვის შემდეგაც არ შეუწყვეტია.

ბოლოს და ბოლოს, ნოვრილმა მოქმედება დაიწყო, ტკივილი ცოტა დაუყუჩდა და კაცს რული მოეკიდა. ქუთუთოებდამძიმებულმა პოლმა ბარბეკიუს გრილს შეხედა.

„თავს როგორ იგრძნობდი, ენიმ „მიზერის დაბრუნება“ რომ დაგაწვევინოს?“ - ჩასძახა შინაგანმა ხმამ. პოლი შეკრთა. კაცი მიხვდა, რომ ეს კითხვა გულს ტკენდა, ისე საშინლად ტკენდა, როგორც „სწრაფი მანქანების“ დაწვისას, ინფექციის გამო თირკმლების მდგომარეობის გამწვავებისას ან ქალის მიერ სხეულზე ნაჯახის დარტყმისას.

კაცი მიხვდა, რომ ეს არ იყო ის შეკითხვა, რომელიც უნდა დასმულიყო.

საქმე ის იყო, ამ შემთხვევაში ენი რას იგრძნობდა.

ბარბეკიუს გრილის ახლოს მაგიდა იდგა, სადაც კონსერვის ქილები ელაგა. პოლმა მაგიდაზე ასევე თვალი მოჰკრა ქილას, რომელშიც აალებადი სითხე ესხა.

დიდი ამბავი, თუ ენი ტკივილისაგან დაიკივლებს, არ გაინტერესებს, მისი კივილის ხმა როგორ გაისმება? საერთოდ არ გაინტერესებს? არსებობს ასეთი ანდაზა: „შურისძიება ისეთი კერძია, რომელიც უმჯობესია ცივად მიირთვაო“. მაგრამ ეს ანდაზა აალებადი სითხის გამოგონებამდე გაჩნდა.

„დაწვი დედიკო“, - გაიფიქრა პოლმა და ჩაეძინა. კაცს ფერმიხდილ სახეზე ოდნავი ღიმილი დასთამაშებდა.

25

ნაშუადღევს, სამს რომ თხუთმეტი აკლდა, ენი დაბრუნდა. ქალის ბუნებრივად ხვეული თმა ჩაფხუტისაგან ჩხირებივით გასწორებულიყო. მისი სიჩუმე დაღლილობით აიხსნებოდა და არა დეპრესიული მდგომარეობით. როდესაც პოლმა ჰკითხა, ყველაფერი რიგზეაო, ქალმა თავი დაუქნია.

- კი, მე მგონი, - თქვა ქალმა. - ცოტა პრობლემები მოტოციკლეტის ამუშავების დროს შემექმნა. ასე რომ არ ყოფილიყო, ერთი საათით ადრე დავბრუნდებოდი. პოლ, ფეხები როგორ გაქვს? გინდა, ნემსი გაგიკეთო, სანამ ზევით აგიყვან?

დაახლოებით ოცი საათი სინესტეში ყოფნის შემდეგ, პოლს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხებში ჟანგიანი ლურსმნები გაუყარესო. ნემსის გაკეთება მართლაც კარგი იქნებოდა, ოღონდ აქ არა.

- კარგად ვარ, - მიუგო პოლმა.

ქალი ზურგით მობრუნდა და ჩაიცუცქა.

- კარგი, აბა, მომეჭიდე, - უთხრა ენიმ. - ოღონდ გახსოვდეს, დახრჩობა გაგუდვის შესახებ გაფრთხილებული მყავხარ. დაღლილი ვარ და შეიძლება ხუმრობა სწორად ვერ გავიგო.

- ხუმრობები მარაგში აღარც მე შემომრჩა.

- ჰოდა, კარგი.

ქალი წამოდგა. პოლმა ტუჩზე იკბინა, რომ ტკივილით გამოწვეული ყვირილი შეეკავებინა. ენი კიბისკენ წავიდა. ქალმა მაგიდისკენ თავი ოდნავ მიაბრუნა. პოლს ეგონა, ენი თვალით აალებადი სითხის ქილას ეძებდა. კაცმა გაიფიქრა, მაგიდაზე დაწყობილ საგნებს დიდხანს აკვირდებაო, თუმცა ქალმა იმ მხარეს შემთხვევით გაიხედა. პოლი დარწმუნებული იყო, ენიმ შეამჩნია, რომ ქილა მაგიდაზე აღარ იდო. ის პოლს უკან, შარვალში ჰქონდა ჩაჩურთული. პირველი ქურდობიდან რამდენიმე თვის შემდეგ

პოლმა რაღაცის მოპარვა ისევ გაბედა. ქალს კიბეზე ასვლისას ხელი პოლის თეძოებისკენ რომ ასცურებოდა, გაძვალტყავებული უკანალის გარდა, კიდევ რაღაც მოხვდებოდა ხელში.

ქალმა, როგორც იქნა, თავი მოაბრუნა. ენის სახეზე გამომეტყველება ოდნავადაც არ შეცვლია. პოლმა ისეთი შვება იგრძნო, რომ კიბეზე ასვლის ტკივილიც კი ასატანი გახდა. ქალს შეეძლო არაფერი შეემჩნია, როცა ეს სჭირდებოდა. მაგრამ პოლი ფიქრობდა და იმედოვნებდა, რომ ქალი გაასულელა და მოატყუა.

ამჯერად კაცმა ენი მართლა მოატყუა.

- ვფიქრობ, ნემსი მაინც დამჭირდება, ენი, - უთხრა პოლმა, როდესაც ქალმა საწოლში ჩააწვინა.

ქალი პოლის ფერმიხდილ, ოფლით დაცვარულ სახეს დააკვირდა, მერე თავი დაუქნია და ოთახიდან გავიდა.

პოლმა ბრტყელი ქილა შარვლის უკანა მხრიდან მაშინვე ამოიღო და ლეიბის ქვეშ შეაცურა. დანის დამალვის შემდეგ იქ პოლს აღარაფერი შეუნახავს. არც ახლა აპირებდა ქილა ლეიბის ქვეშ დიდხანს დაეტოვებინა, მაგრამ დღეს სხვა გამოსავალი არ იყო, იქ უნდა ჰქონოდა. ღამით კი სადმე უფრო უსაფრთხო ადგილს მოუძებნიდა.

ენი შემოვიდა და ნემსი გაუკეთა. შემდეგ ბლოკნოტი და წვერწათლილი ფანქრები ფანჯრის რაფაზე დააწყო. მერე ინვალიდის ეტლი პოლს საწოლთან მიუგორა.

- აბა, - თქვა ქალმა. - წავალ დავიძინებ. თუ მანქანა მოვიდა, გავიგებ და გავიღვიძებ. თუ არა და, ხვალ დილამდე ვიძინებ. თუ ადგომა და მუშაობა მოგინდება, შენი ეტლი საწოლთან დგას. ხელნაწერი კი იატაკზე დევს. მე თუ მკითხავ, გულწრფელად გეუბნები, მუშაობა არ ღირს, სანამ ფეხებში სისხლი კარგად არ ამოძრავდება.

- ახლა ნამდვილად ვერ ავდგები, მაგრამ მოგვიანებით, ღამით მუშაობას შევუდგები. მესმის, რომ დრო ცოტა დარჩა.

- მიხარია, რომ გესმის, პოლ. მაინც რამდენი ხანი დაგჭირდება?

- ჩვეულებრივ პირობებში ალბათ - თვე, თუ ისე ვიმუშავე, როგორც ადრე, ალბათ - ორი კვირა, თუკი თავი მოვიკალი, ალბათ ხუთ დღეში ან ერთ კვირაში დავამთავრებ. შავი ვარიანტი იქნება, მაგრამ წიგნი დასრულებული მექნება.

ქალმა ამოიოხრა და ხელებზე დაიხედა.

- დარწმუნებული ვარ, ორ კვირაზე ნაკლები დაგჭირდება.

- ოღონდ ერთი პირობა უნდა მომცე.

ენი არ გაბრაზებულა და არც ეჭვი გამოუხატავს.

- რა პირობა? - ჰკითხა ქალმა სუსტი ცნობისმოყვარეობით.

- არ წაიკითხავ, ვიდრე არ დავამთავრებ... ვიდრე არ მომიწევს... ხომ იცი...

- შეწყვეტა?

- ჰო, ვიდრე შეწყვეტა არ მომიწევს. დასასრულს ფრაგმენტულად კი არა, მთლიანობაში აღიქვამ. ვფიქრობ, ასე აჯობებს.

- ხომ კარგი იქნება, პოლ?

- კი, - გაიღიმა პოლმა. - ძალიან კარგი იქნება.

იმ საღამოს დაახლოებით რვა საათზე პოლი ადგა და ეტლში ფრთხილად გადახოხდა. კაცმა ყური მიუგდო, მაგრამ ზედა სართულიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. იმ დროიდან, როდესაც ნაშუადღევის ოთხ საათზე ქალი დაწვა და საწოლის ზამბარებმა დაიჭრიალა, სიჩუმე აღარაფერს დაურღვევია. ენი ალბათ მართლაც ძალიან დაღლილი იყო.

პოლმა აალებადი სითხის ქილა ლეიბის ქვეშიდან გამოიღო და ფანჯრისკენ გაგორდა, სადაც მისი „სამუშაო კაბინეტი“ იყო. ფანჯრის რაფაზე საბეჭდი მანქანა იდგა, რომელსაც სამი ამოვარდნილი კლავიში ჰქონდა და უსიამოვნოდ იკრიჭებოდა. აქვე იყო ნაგვის კალათა, ფანქრები, ბლოკნოტები, საბეჭდი ქაღალდი და ფურცლებზე დაწერილი შავი მასალა, რომლის ნაწილს პოლი წიგნში გამოიყენებდა, ნაწილი კი ნაგვის კალათაში აღმოჩნდებოდა ან შეიძლება აქამდეც უნდა აღმოჩენილიყო.

სხვა სამყაროში გადასასვლელი უხილავი კარიც აქვე იყო. აქ იყო მისი ლანდიც, რომელიც იმ ფიგურას ჰგავდა, რომლის სხვადასხვა, მცირედ განსხვავებული პოზის ჩანახატები არსებობს და რომლის სწრაფად გადაფურცვლის დროს მოძრაობის ილუზია იქმნება.

დიდი ხნის ვარჯიშის წყალობით პოლმა ადვილად გაიკვლია გზა საბეჭდი ქაღალდის გროვასა და ერთმანეთზე დაწყობილ ბლოკნოტებს შორის. კაცი კედელთან გაჩერდა და ისევ მიაყურადა, მერე დაიხარა და ფიცრის ნაჭერი, რომლის სიგრძე დაახლოებით ცხრა დუიმი იქნებოდა, კედლის პლინთუსიდან გამოიღო. პოლმა ერთი თვის წინ აღმოაჩინა, რომ ფიცრის ეს ნაჭერი კედელს ადვილად სცილდებოდა. მტვრის თხელი ფენა, რომელიც ფიცარზე იდო, მიუთითებდა, რომ ენიმ ეს ამბავი არ იცოდა (ამის შემდეგ შენ დაიწყებ თმის ღერების გადაწებებას, რათა

დარწმუნდე, რომ ენიმ სამალავის შესახებ არაფერი იცის, - გაიფიქრა პოლმა). ფიცრის უკან მტვრითა და თაგვის ცურცლით სავსე ცარიელი ადგილი იყო. პოლმა ქილა იქ ჩადო და ფიცარი ისევ თავის ადგილას ჩასვა. თავიდან შეეშინდა, ვაითუ, ფიცარი კარგად ვერ ჩაჯდესო (ღმერთო დამიფარე! ენის სატანასავით მახვილი მზერა ჰქონდა!), მაგრამ მერე ფიცარი თავის ადგილას კოხტად ჩაჯდა. პოლი რამდენიმე წამს შესრულებულ სამუშაოს ყურადღებით ათვალიერებდა, ფანქარი აიღო, ბლოკნოტი გაშალა და ფურცელში გაჭრილი ხვრელით წიგნის სამყაროში გადაბარგდა.

ოთხი საათი წერდა, არაფერს შეუწუხებია. იქამდე წერდა, სანამ სამივე ფანქრის წათლილი წვერი არ ჩაილია. მერე საწოლთან მიგორდა, ჩაწვა და კმაყოფილს ადვილად ჩაეძინა.

37-ე თავი

ჯეფრის მკლავები თანდათან ტყვიასავით დაუმძიმდა. ის ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში ქოხის გარეთ ჩრდილში იდგა. ქოხი „ლამაზ“ მ’ჩიბის ეკუთვნოდა. ის ცირკის გოლიათს ჰგავდა, ოღონდ უფრო გამხდარი იყო.

სწორედ მაშინ, როდესაც ჯეფრი მიხვდა, რომ ეზეკიას მ’ჩიბისათვის რაც არ უნდა ეთქვა, გარეთ ვერ გამოიყვანდა, კაცს რაღაც მოძრაობის ხმა შემოესმა. ჯეფრი იქით მიტრიალდა, საიდანაც ხმაური ისმოდა. კაცს მკლავებზე კუნთები დაეჭიმა და საშინლად ასტკივდა. წინამძღოლი „ლამაზი“ მ’ჩიბი ცეცხლის მცველი იყო. მას ქოხში ასზე მეტი ჩირაღდანი ჰქონდა. ჩირაღდნებს თავზე სქელი, წებოვანი ფისი ესვა, რომელიც მინდორში დაბალი ხეებიდან მოწვეთავდა. ბურკები ამ ნივთიერებას „ცეცხლის საცხს“ ან „ცეცხლისა და სისხლის საცხს“ ეძახდნენ. ზოგიერთი სახელწოდება ბურკების ენაში, ისევე როგორც სხვა უბრალო და მარტივ ენებში, უცნაური, ორაზროვანი მნიშვნელობით იხმარებოდა. ნივთიერებას რა განმარტებაც არ უნდა ჰქონოდა, ერთი რამ ცხადი იყო: ქოხში მთელი სოფლის გადასაწვავად საკმარისი ჩირაღდნები იყო.

„ისე ჩაიფერფლება, როგორც გაი ფოქსის ფიტული, თუ მ’ჩიბი გზიდან ჩამოვიცილეთო“. - გაიფიქრა ჯეფრიმ.

- ბატონო, მისი შიში არა, - უთხრა ეზეკიამ. - პირველი მ’ჩიბი გასვლა ქოხიდან. მეორე ეზეკია. არა დაყოვნება! ამ ძაღლიშვილს თავი გაუტეხე. ოღონდ სიჩქარე!

მაგრამ როდესაც ჯეფრიმ გაიგო, რომ ისინი მოდიოდნენ, ცოტა შეყოყმანდა. გაიფიქრა, ამჯერად...

29

პოლს მოახლოებული მანქანის ხმაზე ხელი გაუშეშდა. კაცი გაოცდა, რადგან სიმშვიდე არ დაუკარგავს. მხოლოდ ცოტა გაღიზიანდა, რადგან იძულებული გახდა, წერა მაშინ შეეწყვიტა, როდესაც აზრი მისკენ პეპელასავით ფარფატით მოფრინავდა და ფუტკრის ნესტარივით იჩხვლიტებოდა. ენის ნაბიჯების ხმა დერეფანში გაისმა. ის პოლის ოთახში შემოვიდა.

- მოსცილდი ფანჯარას, - უთხრა ქალმა, რომელსაც დაძაბული და მკაცრი სახე ჰქონდა. გახსნილი ხაკის ჩანთა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. - გაიწიე...

ქალი გაჩუმდა, რადგან დაინახა, რომ პოლმა ეტლი უკან გააგორა. ენიმ ფანჯრის რაფას თვალი მოავლო, რათა დარწმუნებულიყო, რომ პოლის ნივთები იქ აღარ ეწყო. მერე კაცს თავი დაუქნია.

- პოლიცია მოდის, - თქვა მან. ენი, მართალია, დაძაბული იყო, მაგრამ თავს აკონტროლებდა. საჭიროების შემთხვევაში მხარზეგადაკიდებულ ჩანთაში მარჯვენა ხელს სწრაფად და იოლად ჩაყოფდა. - ჭკვიანად მოიქცევი, პოლ?

- კი, - თქვა პოლმა.

ქალი პოლს სახეზე დააკვირდა.

- კარგი, გენდობი, - უთხრა ენიმ ბოლოს და ოთახიდან გავიდა. კარი დახურა, მაგრამ არ ჩაუკეტავს.

მანქანამ დინჯი და ხმადაბალი გუგუნით, როგორიც „პლიმუთ 442“ ძრავისთვისაა დამახასიათებელი, სახლისკენ გადმოუხვია. როდესაც პოლმა სამზარეულოდან გარეთ გასასვლელი კარის დახურვის ხმა გაიგო, ეტლი ფანჯრის კუთხისკენ მისწია და ჩრდილში ისე გააჩერა, რომ გარეთ გახედვა შესაძლებელი ყოფილიყო. მანქანამ ენის წინ დაამუხრუჭა. მძღოლი მანქანიდან დახლოებით იმ ადგილას გადმოვიდა, სადაც ახალგაზრდა პო-

ლიციელი იდგა, როდესაც უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა... მათ შორის მსგავსება ამით დამთავრდა. მაღალსა და გამხდარ ახალბედა პოლიციელს, რომელიც თინეიჯერობის ასაკიდან ცოტა ხნის წინ გამოსულიყო, საძნელო საქმე დაავალეს: ვიღაც მწერლის თითქმის წაშლილ კვალს უნდა გაჰყოლოდა. იმ ოხერ მწერალს ავარია მოსვლოდა და მანქანა დაემტვრია. თვითონ შესაძლოა, ტყეში თავქვე გადაჩეხილიყო და მომკვდარიყო ან გამვლელი მანქანა გაეჩერებინა და გაჰყოლოდა.

ხოლო ეს მხარბეჭიანი პოლიციელი, რომელიც ახლახან მანქანის საჭესთან იჯდა, დაახლოებით ორმოცი წლის იქნებოდა. ოთხკუთხა გრანიტის სახე ჰქონდა, რომელზეც თვალებთან და ტუჩის კუთხეებთან რამდენიმე ვიწრო ნაოჭი აჩნდა. ენი ზორბა ქალი იყო, მაგრამ ამ პოლიციელის გვერდით მინიატურულად ჩანდა.

სხვა განსხვავებაც იყო. ის პოლიციელი, რომელიც ენიმ მოკლა, მარტო მოვიდა. ამ პოლიციელს კი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, ქერა, მხრებჩამოყრილი, ჩია კაცი ახლდა. „ღმერთო, დავითი და გოლიათი“, - გაიფიქრა პოლმა.

სამოქალაქო ტანსაცმლიანი კაცი ბევრს არ მოძრაობდა. დაღლილი სახე ჰქონდა და თითქოს ნახევრად ეძინა. მაგრამ მისი ცისფერი, ცოცხალი თვალები ყველაფერს ერთბაშად წვდებოდა და აღიქვამდა. „ალბათ ეს ადამიანი საკმაოდ სხარტი იქნება“, - გაიფიქრა პოლმა.

პოლიციელები ისე დადგნენ, რომ ენი მათ შორის მოექცა. ქალი მათ ესაუბრებოდა. ხან გოლიათს ქვემოდან ზემოთ შეჰყურებდა, ხან დავითს - ზემოდან ქვემოთ და კითხვაზე პასუხს სცემდა. პოლს აინტერესებდა, რა მოხდებოდა, თუ ისევ გატეხავდა ფანჯარას და პოლიციელებს საშველად მოუხმობდა. კაცი ფიქრობდა, ალბათ ათი შესაძლებლობიდან რვა ენის დაპატიმრებით დამთავრდებაო. ენი სწრაფი იყო, მაგრამ ზორბა პოლიციელი,

მიუხედავად მისი ტანისა, უფრო სხარტი იქნებოდა. ის ისეთი ძლიერი ჩანდა, რომ საშუალო ზომის ხეს შიშველი ხელებით მიწიდან ძირფესვიანად ამოგლეჯდა. ხოლო სამოქალაქო ტანსაცმლიანის მორიდებული მიხრა მოხრა ისეთივე მაცდუნებელი იყო, როგორც მისი მძინარე გამომეტყველება. პოლი ფიქრობდა, რომ პოლიციელები ენის დააკავებდნენ... მაგრამ შექმნილი მდგომარეობისათვის ისინი მზად არ იყვნენ, ქალი კი მზად იყო და სწორედ ეს ანიჭებდა უპირატესობას.

სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ პოლიციელს ქურთუკი, სიცხის მიუხედავად, გულდაგულ შეკრული ჰქონდა. თუ ქალი პირველად გოლიათს ესროდა, სანამ დავითი ამ ოხერ ქურთუკს გაიხსნიდა და იარაღს ამოიღებდა, ენი მეორე ტყვიას მას სახეში დაახლიდა. ენი მართალი იყო, პოლს ყველაზე მეტად ეს შეკრული ქურთუკი მიანიშნებდა, რომ პოლიციელები ჯერჯერობით აქაურობის დასათვალიერებლად იყვნენ მოსული.

ოღონდ ჯერჯერობით.

„ხომ იცი, მე არ მომიკლავს. შენ მოკალი. პირი რომ არ გაგეღო და არ გეყვირა, მშვიდობიანად გავისტუმრებდი და ახლა ცოცხალი იქნებოდა“...

ნუთუ პოლს ამის სჯეროდა? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ დანაშაულის მტკივნეული გრძნობა მაინც გულს უსერავდა. აპირებდა, პირი გაეღო და ეყვირა, რადგან ათი შესაძლებლობიდან მხოლოდ ორი იხრებოდა ქალის მხარეს.

კაცს გულში დანაშაულის გრძნობა ისევ გაუჩნდა, მაგრამ ამ გრძნობისაგან მალევე გათავისუფლდა. არა, ყვირილს არ აპირებდა. კარგი იქნებოდა ეფიქრა, კეთილშობილური მიზნები მამოძრავებსო. მაგრამ ეს ასე არ იყო. სურდა, ენი უილკსზე ჯავრი თავად ეყარა. „პოლიციელებს შეუძლიათ ციხეში ჩასვან, მაგრამ მხოლოდ მე ვიცი, ამ ძუკნას ტკივილი როგორ მივაყენო“, - გაიფიქრაპოლმა.

რა თქმა უნდა არსებობდა შესაძლებლობა, რომ პოლიციელებს რაღაც ეყნოსათ. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მათი სამუშაოს ნაწილი იყო და ალბათ ექნებოდათ ინფორმაცია ენის წარსულის შესახებაც. პოლიციელები თუ რამეს მიხვდებოდნენ, დაე, მიმხვდარიყვნენ... თუმცა პოლი ფიქრობდა, რომ ენი დღეს უკანასკნელად, მაგრამ თავს მაინც დაიძვრენდა.

პოლმა შექმნილი მდგომარეობის შესახებ ბევრი რამ იცოდა. ენი გაღვიძების შემდეგ რადიოს გამუდმებით უსმენდა. ახალ ამბებში მთავარი „ნიუსი“ პოლიციელის გაუჩინარება იყო, რომლის სახელი დუეინ კუშნერი იყო. რადიოში ამბობდნენ, რომ პოლიციელი პოლ შელდონის საქმეს იძიებდა. მაგრამ მის გაუჩინარებას პოლ შელდონის გაუჩინარებასთან არავინ აკავშირებდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

გაზაფხულის წყალდიდობამ პოლის „კამარო“ ხუთი მილით დაბლა ჩაიტანა. უბრალო დამთხვევა რომ არ მომხდარიყო, მანქანა ტყეში შეიძლება კიდევ ერთი თვე ან ერთი წელი ვერავის ენახა. მოხდა ისე, რომ ნაციონალური გვარდიის ორი ოფიცერი ადგილობრივ ფერმებში ნარკოტიკების აღმოსაჩენად გაგზავნეს. ოფიცრებმა შენიშნეს, შორს ტყეში მანქანის საქარე მინა მზის სხივებს ირეკლავდა და დასათვალიერებლად ახლოს მივიდნენ. ავარიის დროს „კამარომ“ რა დაზიანება მიიღო, ამის გამოცნობა ძნელი იყო, რადგან წყალდიდობის დროს, როდესაც მანქანა დაბლა ტყეში დაცურდა, ის კიდევ უფრო დაიმტვრა. რადიოში არაფერი უთქვამთ ექსპერტიზის დროს მანქანის სალონში აღმოჩენილი სისხლის შესახებ (თუკი ექსპერტიზა საერთოდ ჩატარდა). პოლის აზრით, მანქანის საფუძვლიანი დათვალიერების დროსაც კი ძალიან ძნელი იქნებოდა სალონში სისხლის მცირედი კვალის აღმოჩენა, რადგან გაზაფხულზე თოვლის დნობისა და

წყალდიდობის დროს მანქანა მთლიანად გადაირეცხებოდა და ყოველგვარი კვალი წაიშლებოდა. კოლორადოში მთელი ყურადღება დუეინ კუშნერის გაუჩინარებაზე იყო გადატანილი, რასაც, პოლის აზრით, ამ ორი პოლიციელის ვიზიტიც მოწმობდა. ამბობდნენ, რომ ყველა ვარაუდი ჯერჯერობით თავს იყრიდა სამი უკანონობის გარშემო: სპირტიანი სასმელების არალეგალური გამოხდა, მარიხუანა და კოკაინი. სავარაუდოა, რომ კუშნერი იმ აზიზი მწერლის ძებნის დროს სამი უკანონობიდან ერთერთ მათგანს შემთხვევით გადააწყდა. მაშინ როდესაც კუშნერის ცოცხლად პოვნის იმედი თანდათან ამოიწურა, კითხვა - რატომ პატრულირებდა კუშნერი მარტო, სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა.

პოლი ეჭვობდა, კოლორადოს შტატის ბიუჯეტში იმდენი თანხა ყოფილიყო, რომ პოლიციელების წყვილად პატრულირება მუდმივად დაეფინანსებინათ. კუშნერის საძებრად კი კოლეგები წყვილად წამოსულიყვნენ, რათა რისკი მინიმუმამდე დაეყვანათ.

ენის გოლიათმა სახლზე ანიშნა. ენიმ მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია. დავითმაც რაღაც თქვა. რამდენიმე წამის შემდეგ ქალმა თავი დაუქნია და პოლიციელებს სახლისკენ წაუძღვა. პოლმა კარის ანჯამების ჭრიალის ხმა გაიგო. ისინი სამზარეულოში შემოვიდნენ. რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმის ერთად გაგონება პოლისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო იყო და შეკრთა.

- რა დროს მოვიდა? - ეს ალბათ გოლიათის ხმა იყო. მას ცენტრალური შტატებისათვის დამახასიათებელი აქცენტი და სიგარეტისგან დაბოხებული ხმა ჰქონდა.

- ალბათ ოთხი საათი იქნებოდა, - მიუგო ენიმ. - ეზოში ბალახის კრეჭა ისის იყო, დამთავრებული მქონდა. საათი არ მეკეთა. თუმცა ჯოჯოხეთური სიცხე რომ იყო, ეს კარგად მახსოვს.

- რამდენი ხანი დარჩა, მისის უილკს? - ჰკითხა დავითმა.

- მე მის უილკსი ვარ, - თქვა ქალმა.

- ბოდიში.

რამდენ ხანს დარჩა პოლიციელი, ზუსტად არ ახსოვდა.

- ალბათ ხუთი წუთი - უპასუხა ენიმ.

- სურათი გაჩვენათ?

დიახო, უპასუხა ენიმ, ამიტომაც მოვიდაო. პოლი გაოცებული იყო ქალის მშვიდი და სასიამოვნო ხმით. - მიხვდით, სურათზე ვინ იყო?

რასაკვირველიაო, მიუგო ენიმ. პოლ შელდონი იყო, მაშინვე ვიცანიო.

- მე მისი ყველა წიგნი მაქვსმეთქი, ვუთხარი და ყველა ძალიან მომწონსმეთქი. ამან რატომღაც ოფიცერი კუშნერი დაანაღვლიანა. სახეზე იმედგაცრუება ეწერა და თან სიცხე ძალიან აწუხებდა, - თქვა ქალმა.

- ჰო, იმ დღეს საშინლად ცხელოდა, - მიუგო გოლიათმა. მისი ხმა სულ ახლოს გაისმა. „ნუთუ სასტუმრო ოთახში შემოვიდა?“ - გაიფიქრა აღელვებულმა პოლმა. ნამდვილად სასტუმრო ოთახში იყო. პოლიციელი, შესაძლოა ტანით გოლიათი, ფოცხვერივით ფეხაკრეფით დადიოდა. როდესაც პასუხი გასცა, ენის ხმაც ახლოს გაისმა. პოლიციელები ალბათ სასტუმრო ოთახში შემოვიდნენ და ენიც მათ შემოჰყვა. ქალს ისინი არ შემოუპატიჟებია, პოლიციელები დასათვალიერებლად თავად შემოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ენის პირადი მწერალი დაახლოებით ოცდათხუთმეტი ფუტის მოშორებით იმყოფებოდა, ქალი ადრინდელივით მშვიდად საუბრობდა. მან თქვა, ცივი ყავა შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრაო. მაშინ ერთი ბოთლი ცივი...

- ეგ არ გამიტეხოთ, - ქალს ხმა დაეძაბა. - ჩემი კერამიკის ფიგურებია, მიყვარს, ზოგი ძალიან მყიფეა.

- ბოდიში, ქალბატონო, - ეს ალბათ დავითის ხმა იყო. მან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, მოკრძალებით და ცოტა შემკრთალმა უპასუხა. სხვა დროს, სხვა ვითარებაში პოლიციელის

ამგვარი ხმა ალბათ სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ახლა სხვა ვითარება არ იყო და არც პოლი იყო გართობის ხასიათზე. ის გაშეშებული იჯდა. კაცმა გაიგო, როგორ ფრთხილად დადეს რაღაც თავის ადგილზე (ალბათ პინგვინი დაუბრუნდა ყინულის ლოდს). პოლმა ხელები ეტლის სახელურს მაგრად მოუჭირა და წარმოიდგინა, როგორ ჩაჰყოფდა ენი ჩანთაში ხელს, მერე ერთერთი პოლიციელი, შესაძლოა გოლიათი, ჰკითხავდა: რა ჯანდაბა გაქვთ იქ, მის უილკს? და შემდეგ ატყდებოდა სროლა.

- რას ამბობდით? - ჰკითხა დავითმა ქალს.

- ჰო, პოლიციელს ვკითხე, ცივ პეპსის ხომ არ წაიღებთმეთქი, რადგან იმ დღეს ძალიან ცხელოდა, - მიუგო ენიმ. - საყინულეს კართან ბოთლების ჩასაწყობში მაქვს ხოლმე შენახული. ასე რომ, სითხე ბოთლებში ძალიან ცივდება, მაგრამ არ იყინება. მან მიპასუხა, კარგი იქნებოდაო. ძალიან ზრდილობიანი ბიჭი იყო. ასეთი ახალგაზრდა პატრულირებაზე მარტო რატომ გაუშვეს, ხომ არ იცით?

- აქვე დალია? - ჰკითხა დავითმა, შეკითხვისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მას მშვიდი ხმა ჰქონდა. პოლმა თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორ ათვალიერებდა დავითი მოკლე დერეფანს, რომლის ერთ მხარეს სააბაზანო, ბოლოში კი პოლის ოთახი იყო დახურული კარით. კაცი დაჭიმული და წელგამართული იჯდა. გული გამალებით უცემდა.

პულსაციას ძაფივით გაწვრილებულ კისერშიც გრძნობდა.

- არა, - მშვიდად მიუგო ენიმ. - ბოთლი თან წაიღო. თქვა, მეჩქარება, გზა უნდა განვაგრძოო.

- იქ რა არის? - იკითხა გოლიათმა. ნაბიჯების ხმა უფრო მკვეთრად გაისმა, რადგან სასტუმრო ოთახში დაფენილი ხალიჩიდან ისინი დერეფნის იატაკზე გადავიდნენ.

- სააბაზანო და სათადარიგო საძინებელი, - მიუგო ქალმა. - ზოგჯერ, როცა ძალიან ცხელა, იმ ოთახში მძინავს ხოლმე. თუ

გნებავთ, შეიხედეთ, მაგრამ გარწმუნებთ, იქ თქვენი პოლიციელი საწოლზე მიბმული არ მყავს.

- არა, არ არის საჭირო. გვჯერა, - უთხრა დავითმა. მათი ფეხის ხმა და ლაპარაკი უფრო შორიდან გაისმა. ალბათ სამზარეულოსკენ წავიდნენ. - მისთვის აღელვება ხომ არ შეგიმჩნევიათ? - იკითხა ისევ დავითმა.

- არა, - მიუგო ენიმ. - უბრალოდ, სიცხე აწუხებდა და იმედგაცრუებული იყო.

პოლი ცოტა მოდუნდა და შვებით ამოისუნთქა.

- მის თვალებში რამე განსაკუთრებული აზრი ხომ არ იკითხებოდა?

- არა, არაფერი შემიმჩნევია.

- თქვა, საით აპირებდა წასვლას?

შეიძლება პოლიციელებს გამოეპარათ, მაგრამ პოლის გავარჯიშებულმა ყურმა იგრძნო, რომ ქალი წუთით შეყოყმანდა. შესაძლოა მახე აქ, ამ კითხვაში იყო დაგებული და ხაფანგი ახლა ან მოგვიანებით ამოქმედდებოდა.

- არა, - თქვა ბოლოს ქალმა. - თუმცა დავინახე, დასავლეთით წავიდა. ვფიქრობ, სპრინგერის გზისკენ გასწია. იმ მხარეს რამდენიმე ფერმაა.

- გმადლობთ, მემ, თანამშრომლობისათვის, - თქვა დავითმა. - შეიძლება უკან მობრუნება დაგვჭირდეს.

- კეთილი, - მიუგო ქალმა, - თქვენი ნებაა. ბოლო დროს საზოგადოებით დიდად განებივრებული არა ვარ.

- წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თქვენს ბოსელში რომ შევიხედოთ? - იკითხა მოულოდნელად გოლიათმა.

- არა, რა თქმა უნდა, - მიუგო ქალმა, - ოღონდ როდესაც შეხვალთ, მისალმება არ დაგავიწყდეთ.

- ვის უნდა მივესალმოთ, მემ? - ჰკითხა დავითმა.

- მიზერის, ჩემს ღორს, - მიუგო ენიმ.

ენი ზღურბლზე იდგა და პოლს დაჟინებით უმზერდა, ისე დაჟინებით, რომ პოლმა იგრძნო, როგორ გაუხურდა თანდათან ლოყები და როგორ აელეწა სახე. პოლიციელები თხუთმეტი წუთის წასულები იყვნენ.

- რამე რიგზე არ არის? - ჰკითხა პოლმა ბოლოს.

- რატომ არ დაიყვირე? - კითხვაზე კითხვით უპასუხა ენიმ. პოლიციელებმა, როდესაც მანქანაში სხდებოდნენ, გამოსამშვიდობებლად ქუდთან მიიტანეს ხელი. არც ერთს არ გაუღიმია და პოლმა, რომელიც ფანჯრის კუთხიდან ადევნებდა მათ თვალს, პოლიციელების სახის გამომეტყველებაში ამოიცნო, რომ მათ ენიზე ყველაფერი იცოდნენ. - ველოდი, დაიყვირებდი, - თქვა ქალმა. - და პოლიციელები თავს ზვავივით დამატყდებოდნენ.

- ან დაგატყდებოდნენ, ან არა.

- და მაინც, რატომ არ დაიყვირე?

- ენი, თუ მთელი სიცოცხლე იმაზე იფიქრე, რომ რაღაც ცუდი უნდა მოხდეს, ზოგჯერ შეიძლება არც მოხდეს და შენი ფიქრი არც გამართლდეს.

- შენი ენამოსწრებული პასუხი არ მჭირდება, - უთხრა ენიმ. პოლი მიხვდა, ქალი მოჩვენებითი სიმშვიდით დაბნეულობას ნიღბავდა. პოლი თავისი თვინიერი სიჩუმით ვერ თავსდებოდა ქალის წარმოდგენებში ცხოვრების შესახებ. ენის მიაჩნდა, რომ მთელი სამყარო მის წინააღმდეგ იყო. ალალმართალ ენის უშნო და მახინჯი ნაბიჭვრები უპირისპირდებოდნენ.

- ენამოსწრებულობა რა შუაშია? გითხარი, ხმას არ ამოვიღებმეთქი და სიტყვა შევასრულე. მინდა, წიგნი მშვიდად დავასრულო. მინდა, შენთვის დავასრულო.

ენიმ კაცს ეჭვით შეხედა. უნდოდა, კაცის ნათქვამი დაეჯერებინა, მაგრამ დაჯერების ეშინოდა... ბოლოს მაინც დაუჯერა და ასეც უნდა მომხდარიყო,

რადგან პოლი სიმართლეს ამბობდა.

- თუ ასეა, საქმეს მიხედე, - უთხრა ქალმა ხმადაბლა. - საქმეს ახლავე შეუდექი. ხომ დაინახე, როგორ მიყურებდნენ.

32

მომდევნო ორი დღის განმავლობაში ცხოვრება იმ კალაპოტში ჩადგა, რომელშიც დუეინ კუშნერის მოსვლამდე იყო. თითქოს დუეინ კუშნერი არც არასოდეს მოსულიყო. პოლი მთელი დღე მუშაობდა. საბეჭდ მანქანაზე აღარ ბეჭდავდა. ენიმ ის ბუხრის თავზე, ტრიუმფალური თაღის სურათის ქვეშ შემოდო. პოლმა ორ დღეში სამი ბლოკნოტი გაავსო. ერთიღა დარჩა. როდესაც იმ ბლოკნოტსაც შეავსებდა, მერე ზამბარიან ბლოკნოტში გააგრძელებდა წერას. ენი ფანქრებს წვერს უთლიდა. პოლი წერდა, სანამ ფანქარს წვერი არ დაუბლაგვდებოდა. მერე ენი ფანქარს წვერს ისევ უთლიდა და ფანქარიც თვალსა და ხელს შუა ილეოდა. პოლი ფანჯარასთან, მზეში იჯდა და თავდახრილი მუშაობდა. ზოგჯერ მარჯვენა ტერფის დიდი თითით ჰაერში მოჭრილი მარცხენა ტერფის ადგილს იქავებდა. თან ქაღალდის ფურცელზე გაჭრილ ხვრელში იყურებოდა, რომელიც საკმაოდ ფართო იყო და წიგნიც კულმინაციისაკენ, როგორც ყველა კარგი წიგნი, საოცარი სისწრაფით მიქროდა. პოლი ყველაფერს ნათლად ხედავდა: კერპის შუბლსუკან სათოფურებიან გასასვლელში მიზერისათვის თავგამოდებით იბრძოდა სამი გუნდი. ორ გუნდს მისი მოკვლა უნდოდა. მესამე კი, რომელიც იანის, ჯეფრისა და ეზეკიასაგან შედგებოდა, მიზერის გადარჩენას ცდილობდა. ამასობაში დაბლა ბურკების სოფელი ცეცხლმა შთანთქა. გადარჩენილები კერპის მარცხენა ყურთან შეგროვდნენ, რომ დაეხოცათ ყველა, ვინც იქიდან გამოსვლას დააპირებდა.

ამ ამბის აღწერის დროს პოლის ჰიპნოზური მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, შეჯანჯღარდა, როდესაც გოლიათისა და დავითის სტუმრობის მესამე დღეს ფორდის მარკის კრემისფერი, ფურგონიანი მანქანა ენის სახლთან გაჩერდა. მანქანას გვერდზე ადგი-

ლობრივი ტელევიზიის ემბლემა ჰქონდა, ხოლო ფურგონი სავსე იყო ვიდეოგადაღებისათვის საჭირო აღჭურვილობით.

- ოჰ ღმერთო! - წამოიძახა პოლმა, რომელიც უცებ ხუმრობის ხასიათზე დადგა, მაგრამ, ამავდროულად, გაოცებასა და შიშსაც განიცდიდა. - ეს რაღა ჯანდაბაა?

მანქანა კარგად გაჩერებული არც იყო, როდესაც უკანა კარი გაიღო და ჯარისკაცის შარვალსა და მაისურში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი გადმოხტა. მას ხელში დიდი, შავი პისტოლეტის მსგავსი რაღაც ეჭირა. პოლმა გაიფიქრა, ცრემლსადენი გაზი ხომ არ არისო. მერე ახალგაზრდამ ის რაღაც ასწია, მხართან მიიტანა და სახლს მიუშვირა. პოლი მიხვდა, ვაჟს ხელში მინი კამერა ეჭირა. მანქანის წინა კარიდან ახალგაზრდა, ლამაზი ქალი გადმოვიდა. სანამ ოპერატორთან მივიდოდა, მან თმა და მაკიაჟი მანქანის გარეთა სარკეში შეისწორა.

ასე რომ, საზოგადოების თვალი, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ქალბატონ ურჩხულს ვერ ამჩნევდა და მის არსებობას უგულვებელყოფდა, შურის საძიებლად კვლავ მისკენ მობრუნდა.

პოლი იმედოვნებდა, რომ ეტლი დროზე გასწია უკან და გარედან არ შეუმჩნევიათ.

„თუ გინდა დარწმუნდე, შეგამჩნიეს თუ არა, ახალი ამბების ექვსსაათიან გამოშვებას მოუსმინე“, - ურჩია კაცმა საკუთარ თავს და პირზე ხელი აიფარა, რომ სიცილი პეშვში ჩაეხშო.

გარეთ გასასვლელი კარი გაიღო და ხმაურით მიიხურა.

- წადით აქედან, - დაუყვირა მათ ენიმ. - გაეთრიეთ ჩემი საკუთრებიდან.

ყრუ ხმა:

- მის უილკს, ნება მომეცით, რამდენიმე...

- აქვე აგაფეთქებთ, თუ არ წაეთრევით, - იკივლა ენიმ.

- მის უილკს, მე გლენა რობერტსი ვარ ტელევიზიიდან.

- თუ გინდა მარსიდან იყავი, მაგას არ დავეძებ. წაეთრიეთ, თუ არადა, მოგკლავთ, იცოდეთ.

- მაგრამ...

თოფმა დაიჭექა.

„ღმერთო ძლიერო, ნუთუ ენიმ ეს გამოშტერებულები მოკლა“, - გაიფიქრა პოლმა და ეტლი ფანჯრისკენ მისწია. სხვა გზა არ ჰქონდა, გარეთ უნდა გაეხედა. მალე გულს მოეფონა. ენის ჰაერში უსვრია. გასროლამ შედეგი გამოიღო. გლენა რობერტსი პირველი შევარდა მანქანაში. ოპერატორმა ენის კამერა მიუშვირა. ენიმ პასუხად თოფი დაუმიზნა. ოპერატორმა იფიქრა, სჯობს ცოცხალი დავრჩე და „გრეითფულ დედ“ის კონცერტს კიდევ დავესწრო, ვიდრე ქალბატონი ურჩხული ფირზე აღვბეჭდო და სული გამაფრთხობინოსო და სასწრაფოდ მანქანის უკანა კარში შევარდა. კარი კარგად არც კი ჰქონდა დახურული, რომ ფურგონი უკუსვლით დაიძრა.

ენი იდგა, ცალ ხელში თოფი ეჭირა და მიმავალ მანქანას შეჰყურებდა. მერე ნელა წამოვიდა სახლისკენ. პოლმა თოფის მაგიდაზე დადების ხმა გაიგო. მერე ენი პოლის ოთახში შევიდა. ქალი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ქანცგამოცლილი, გაფითრებული სახე ჰქონდა და თვალები აქეთიქით დაურბოდა.

- დაბრუნდნენ, - თქვა მან ჩურჩულით.

- დაწყნარდი.

- ვიცოდი, ეგ ნაბიჭვრები დაბრუნდებოდნენ და დაბრუნდნენ კიდეც.

- წავიდნენ, ენი. ხომ გაყარე.

- ისინი არასოდეს მიდიან. გაიგეს, რომ პოლიციელი, სანამ გაუჩინარდებოდა, ქალბატონ ურჩხულთან იყო და, აჰა, მოვიდნენ კიდეც.

- ენი...

- ხომ არ იცი, რა უნდათ? - ჰკითხა ქალმა.

- რა თქმა უნდა, ვიცი,- მიუგო პოლმა. - ჟურნალისტებთან ბევრჯერ მქონია საქმე. მათ, როგორც ყოველთვის, ორი რამ უნდათ: კამერის წინ ჩაფლავდე და შენს მარცხზე მაგარი სიუჟეტი გააკეთონ. მერე კი ისინი ვინმემ სასმელზე დაპატიჟოს. მაგრამ ენი, შენ უნდა დაწყნარ...

- აი, რა უნდათ, - თქვა ქალმა და მოხრილი ხელი შუბლზე მაგრად ჩამოისვა. ნაკაწრებიდან სისხლმა იფეთქა და წარბები და ლოყები წითლად შეეღება.

- ენი, გაჩერდი!

- აი, ეს უნდათ, - თქვა ქალმა და გაშლილი მარცხენა ხელისგული მარცხენა ლოყაში ისე მაგრად ითხლიშა, რომ სახეზე დარტყმის კვალი დაეტყო. - და ეს! - ახლა მარჯვენა ლოყაზე შემოიკრა მაგრად ხელი, რის გამოც ფრჩხილებიდან სისხლის წვეთები ჰაერში გაიბნა.

- გაჩერდი! - იყვირა პოლმა.

- ეს უნდათ, - იკივლა ენიმაც. მან ხელები ასწია და და კაწრულ შუბლზე მიიჭირა. სისხლითმოსვრილი ხელისგულები პოლს დაანახა და ნელა გავიდა ოთახიდან.

კარგა ხნის შემდეგ პოლი მუშაობას ისევ შეუდგა. თავიდან საქმე ნელა მიდიოდა. ენის დაკაწრული კანი გონებიდან არ სცილდებოდა. „არაფერი გამოდის, მოდი, წერას ხვალ გავაგრძელებ“, - გაიფიქრა კაცმა. მაგრამ მერე ქაღალდის ფურცელში გაჭრილმა ხვრელმა ჩაითრია და მუშაობას მიუბრუნდა. კაცმა მალე შვება იგრძნო, როგორც ყოველთვის, წერისას, ემართებოდა ხოლმე.

მეორე დღეს უფრო მეტი პოლიციელი მოვიდა. ამჯერად ადგილობრივი პოლიციელები იყვნენ. მათ ერთი გამხდარი კაცი ახლდათ, რომელსაც ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა, სადაც ალბათ სტენოგრაფის ხელსაწყო იდო. ენი მათ გზაზე შეხვდა. რამდენიმე ხანი გარეთ იდგნენ. ქალი მათ არაფრისმთქმელი სახით უსმენდა, შემდეგ სახლისკენ წამოუძღვა და სამზარეულოში შემოიყვანა.

პოლი მშვიდად იჯდა, კალთაში ზამბარიანი ბლოკნოტი ედო და ენის უსმენდა, რომელმაც ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც ოთხი დღის წინ დავითსა და გოლიათს უთხრა. „ეს სხვა არაფერია, თუ არა ზეწოლა“, - გაიფიქრა პოლმა. კაცს ენი, ცოტა არ იყოს, შეეცოდა. ამ გრძნობამ პოლი გაართო და, ამავე დროს, შეაძრწუნა კიდეც.

საიდუინდერელმა პოლიციელმა დაკითხვა იმით დაიწყო, რომ ენის უთხრა, ადვოკატის მოთხოვნის უფლება გაქვთო. ენიმ უარი განუცხადა და ამბავი ხელახლა მოჰყვა. პოლმა ქალის წინა და ახლანდელ მონაყოლში ვერავითარი განსხვავება ვერ აღმოაჩინა.

მათ სამზარეულოში ნახევარი საათი დაჰყვეს. ბოლოს ერთერთმა პოლიციელმა ენის იმ საშინელი ნაკაწრების შესახებ ჰკითხა, რომელიც ქალს შუბლზე ჰქონდა.

- ეს ღამით დამემართა, - მიუგო ენიმ. - ცუდი სიზმარი ვნახე.

- რა დაგესიზმრათ? - ჰკითხა პოლიციელმა.

- დამესიზმრა, რომ ამდენი ხნის შემდეგ ხალხს კვლავ გავახსენდი და აქ მოსვლა განიზრახა, - მიუგო ენიმ.

როდესაც პოლიციელები წავიდნენ, ენი პოლის ოთახში შევიდა. ქალს ფერმკრთალი და ავადმყოფური სახე ჰქონდა. - სახლი „გრანდ სენტრალის“ სადგურს დაემსგავსა, - იხუმრა პოლმა.

ენის არ გაუღიმია.

- წიგნის დამთავრებამდე რამდენი დარჩა? - იკითხა მან.

პოლი შეყოყმანდა. დაბეჭდილი ფურცლების თავზე დაწყობილ ხელნაწერ გვერდებს თვალი შეავლო და უთხრა: - ორი დღე, შეიძლება სამი. - ახლა უკვე პოლიციელები ჩხრეკის ორდერით მოვლენ, - თქვა ქალმა და პასუხისათვის არ დაუცდია, ისე გავიდა ოთახიდან.

თორმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ენი პოლის ოთახში შევიდა.

- ერთი საათის წინ დასაძინებლად უნდა დაწოლილიყავი, პოლ, - უთხრა ქალმა.

პოლი შეკრთა და თავი ასწია. ენიმ ის წარმოსახვით სამყაროს მოწყვიტა, სადაც ჯეფრი მთავარი პერსონაჟი იყო. ის საზარელ დედა ფუტკარს პირისპირ შეხვდა და მასთან მიზერის გადასარჩენად, ისის იყო, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში აპირებდა ჩაბმას.

- არა უშავს, - მიუგო პოლმა. - წიგნი მალე დასრულდება. ზოგჯერ გიწევს, რაღაცრაღაცები ჩაიწერო, რომ არ დაგავიწყდეს. პოლმა ატკივებული ხელი გაიქნია. საჩვენებელი თითის შიდა მხარეს, სადაც ფანქარი აჭერდა, კოჟრის თუ ბებერას მსგავსი რაღაც გამოსვლოდა და დაწყლულებული ადგილი უფეთქავდა. ტკივილგამაყუჩებელ აბებს დალევდა და თითის ტკივილი გაუყუჩდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აბები გონებასაც უბინდავდა.

- როგორ გგონია, კარგი გამოდის? - ჰკითხა ენიმ ჩუმად - მართლაც კარგი იქნება? მხოლოდ ჩემთვის ხომ არ წერ ამ წიგნს?

- ოჰ, არა, - თქვა პოლმა. კაცს კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა: „რასაკვირველია, შენთვის არა“, - უნდოდა ეთქვა. - „არც მათთვის, ვინც წერილზე ხელს ასე აწერს - თქვენი უდიდესი თაყვანისმცემელი. როდესაც წიგნზე მუშაობას იწყებ, ყველა ადამიანი სამყაროს მეორე ბოლოში ინაცვლებს, თუ რაღაც ამის მსგავსი ხდება. წიგნი არც ჩემი ყოფილი ცოლებისთვის, არც დედაჩემისა თუ მამაჩემისთვის დამიწერია. იცი, ენი, მწერალი თითქმის ყოველთვის აწერს წიგნს, რომ ეძღვნება ამა თუ იმ ადამიანს. ეს იმიტომ, რომ თავისი უსაზღვრო ეგოიზმისა ეშინია“.

კაცს უნდოდა ეს ყველაფერი ეთქვა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. იფიქრა, არ ღირსო.

პოლი განთიადამდე მუშაობდა. მერე საწოლში ჩაწვა და ოთხი საათი ეძინა. არეულდარეული და არასასიამოვნო სიზმრები ნახა. ერთერთ სიზმარში ენის მამა კიბეზე ამოდიოდა და კალათა მოჰქონდა, რომელიც სავსე იყო გაზეთებიდან ამოჭრილი ფურცლებით. პოლს უნდოდა, დაეყვირა და გაეფრთხილებინა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც პირს გააღებდა, გაფრთხილების ნაცვლად პირიდან სხვადასხვა პარაგრაფი ამოსდიოდა და ყველა მათგანი ასე იწყებოდა: „ერთხელ, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ“... მერე ენი უილკსი კივილითა და წინგამოწვდილი ხელებით მორბოდა, რომ მამამისისთვის ხელი ეკრა და მოეკლა. შემდეგ ქალის კივილი თანდათან ფუტკრის უცნაურ ბზუილად იქცეოდა, ხოლო სხეული ტანსაცმლის ქვეშ იღუნებოდა და ფორმას იცვლიდა. ენი უილკსი ფუტკარი ხდებოდა.

მეორე დღეს სახელმწიფო მოხელეები აღარ გამოჩენილან. მაგრამ არაოფიციალური პირები კი, იცოცხლე, მრავლად მოვიდნენ. იყვნენ აცვენილი ახალგაზრდები. ერთერთი მანქანა სავსე იყო თინეიჯერებით. ისინი სახლისკენ მომავალ გზაზე უკუსვლით შემოცვივდნენ. ენი ახალგაზრდებს

გამოენთო და უკივლა:

- აქედან მოშორდით, სანამ ძაღლებივით არ დაგხოცავთ.

- შენი დედაც... ურჩხულო ქალო! - დაუძახა ერთერთმა.

- სად დამარხე პოლიციელი? - დაიყვირა მეორემ, როდესაც მანქანა აბოლებულ მტვერში წინ გაიჭრა.

მესამემ ლუდის ბოთლი ისროლა. პოლმა მანქანის უკანა ბამპერზე მიკრული სტიკერი დაინახა, რომელზეც ეწერა: „მხარი დაუჭირეთ საიდუინდერის ლურჯ ეშმაკებს“.

ერთი საათის შემდეგ პოლმა დაინახა, რომ ენიმ ფანჯარასთან ჩაიარა, ხელზე სამუშაო ხელთათმანებს იცვამდა და ბოსლისკენ მიდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ ბოსლიდან გზის გადასაღობი ჯაჭვი გამოიტანა. ჯაჭვის მოზრდილ რგოლებში ეკლიანი მავთული იყო ჩახლართული. ენიმ სახლისკენ მომავალი გზა ამ ჯაჭვით გადაღობა. მერე გულის ჯიბიდან წითელი ნაჭრები ამოიღო და ჯაჭვის რგოლებს აქაიქ გამოაბა, რომ გადაღობილი გზა უფრო შესამჩნევი ყოფილიყო.

- პოლიციას ეს ვერ დააკავებს, - უთხრა მან პოლს, როდესაც ბოლოს და ბოლოს მის ოთახში შევიდა, - მაგრამ იმ ნაბიჭვრებს კი შეაჩერებს.

- მართალია.

- ხელი... გაგსიებია, - უთხრა ქალმა.

- ჰო.

- არ მინდა თავი მოგაბეზრო, მაგრამ...

- ხვალ, - უთხრა პოლმა.

- ხვალ? მართლა? - თვალები გაუბრწყინდა ენის.

- ჰო, ასე მგონია. დაახლოებით ექვსი საათისთვის.

- შესანიშნავია, პოლ. შეიძლება ახლა დავიწყო კითხვა, თუ...

- მირჩევნია, ცოტა მოიცადო.

- კარგი, მოვიცდი. - უთხრა ენიმ. ქალს თვალებში სინაზე ჩაეღვარა. პოლს ყველაზე მეტად ქალის ეს გამოხედვა სძულდა. - მიყვარხარ, პოლ. ხომ იცი, რომ მიყვარხარ?

- კი, ვიცი. - მიუგო პოლმა და ისევ ბლოკნოტს მიუბრუნდა.

იმ საღამოს ქალმა პოლს კეფლექსის აბი მოუტანა. საშარდე გზების ინფექცია კაცს თანდათან, თუმცა ძალიან ნელა უცხრებოდა. ენიმ ყინულიანი ვედრო და კოხტად დაკეცილი პირსახოცი პოლს გვერდით დაუდო და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა.

პოლმა ფანქარი გვერდზე გადადო. მარცხენა ხელის თითებით ძლივს მოახერხა მარჯვენა ხელის მოხრილი თითების გაშლა. პოლმა ხელი ყინულიან ვედროში ჩაყო და მანამდე გააჩერა, სანამ თითები მთლად არ გაუცივდა. როდესაც ხელი ვედროდან ამოიღო, გასიება ოდნავ დამცხრალი ჰქონდა. ხელზე პირსახოცი შემოიხვია და ფანჯარაში სიბნელეს გახედა. ჩუმად იჯდა. მერე თითებში ჩხვლეტა იგრძნო და პირსახოცი მოიცილა. თითები რამდენჯერმე მოხარა და გაშალა. თავიდან ტკივილისაგან სახე დაემანჭა, მაგრამ მერე ხელი უფრო მოქნილი გაუხდა და ისევ წერას შეუდგა.

განთიადისას საწოლთან ნელა მიგორდა, დაწვა და იმწამსვე ჩაეძინა. ესიზმრა, რომ თოვლსა და ქარბუქში დაიკარგა. მაგრამ ციდან თოვლი კი არა, ქაღალდის ფურცლები ცვიოდა და კაცს გზას უბნევდა. ფურცლებზე სიტყვები იყო დაბეჭდილი, სიტყვებს კი ასოები: „ნ“, „თ“ და „ე“ აკლდა. პოლმა სიზმარში გაიფიქრა, ამ ქარბუქს თუ გადავურჩი და სიტყვები გავარჩიე, ჩემი ხელით მომიწევს ასოების ჩაწერაო.

37

პოლს მეორე დღეს დაახლოებით თერთმეტ საათზე გაეღვიძა. როგორც კი ქალს პოლის ოთახიდან ხმაური შემოესმა, მაშინვე შემოვიდა. ენიმ ფორთოხლის წვენი, აბები და ჯამით ქათმის წვნიანი შემოუტანა. ენი სიხარულისგან ბრწყინავდა.

- დღეს განსაკუთრებული დღეა, არა, პოლ?

- ასე მგონია, - მიუგო პოლმა და მარჯვენა ხელით კოვზის აღება მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო. ხელი გასიებული და გაწითლებული ჰქონდა.

კანი გასიებისგან წითლად უპრიალებდა. როდესაც თითების მოხრა მოინდომა, იგრძნო, თითქოს ხელში მეტალის ჩხირები ერჭობოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ავტოგრაფებს არიგებდა და ამ კოშმარს დასასრული არ უჩანდა.

- საცოდავი შენი ხელი! - წამოიძახა ენიმ. - წავალ და კიდევ მოგიტან ტკივილგამაყუჩებელ აბს.

- არა, არ არის საჭირო. მინდა, ნათელი გონებით ვიმუშაო.

- მაგრამ ამ ხელით ხომ ვერ დაწერ?

- მართალია, - მიუგო პოლმა. - ხელი საშინლად მტკივა. მაგრამ წიგნს ალბათ ისე დავამთავრებ, როგორც დავიწყე. ბოლო რვაათ გვერდს „როიალზე“ დავბეჭდავ. ვფიქრობ, „ნ“-ს, „თ“-სა და „ე“-ს თავს გავართმევ.

- უკეთესი საბეჭდი მანქანა უნდა მეყიდა შენთვის, - უთხრა ენიმ. ქალს სახეზე გულწრფელი სინანული ეხატა და თვალებში ცრემლი უბრწყინავდა. ასეთი წუთები, რომელიც იშვიათად დგებოდა, კაცისთვის ყველაზე შემზარავი იყო, რადგან ამ დროს პოლი ხედავდა, სწორი აღზრდის შემთხვევაში ქალი როგორი შეიძლება ყოფილიყო ან როგორი იქნებოდა, ჯირკვლებს მისი ორგანიზმი შხამით რომ არ მოეწამლა.

- სულელურად მოვიქეცი, - უთხრა ქალმა, - ჩემთვის ამის აღიარება, საკმაოდ ძნელია, მაგრამ სიმართლეა. არ მინდოდა, მეღიარებინა, რომ იმ ოხერმა დარტმონგერმა ჭკუით მაჯობა. ბოდიში, პოლ. შენი საბრალო ხელი!

ქალმა პოლის ხელი აიღო და ნაზად აკოცა.

- ყველაფერი რიგზეა, - მიუგო პოლმა. - ჩვენ მოვახერხებთ, დაკი დედლზი და მე. ვერ ვიტან მას, მაგრამ, მგონი, ვერც ის მიტანს. ასე რომ, ბარი ბარში ვართ.

- ვისზე ლაპარაკობ, პოლ? - ჰკითხა ქალმა.

- „როიალზე“. მას მეტსახელად მულტფილმის გმირის სახელი შევარქვი.

- აა, - თქვა ქალმა და გაირინდა. პოლი მოთმინებით დაელოდა, როდის დაუბრუნდებოდა ქალს ცნობიერება. კაცს მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუა თითით მოუხერხებლად ეჭირა კოვზი და ქათმის წვნიანს ნელნელა ყლაპავდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ქალი გამოფხიზლდა, პოლს შეხედა და სახეგაბრწყინებულმა გაუღიმა. მისი ღიმილი იმ ქალის ღიმილს ჰგავდა, რომელმაც, ესესაა, გაიღვიძა და გააცნობიერა, რომ მშვენიერი დღე იქნებოდა.

- წვნიანის ჭამა დაამთავრე? - ჰკითხა ენიმ, - თუ დაამთავრე, განსაკუთრებული რაღაც მაქვს შენთვის.

პოლმა ქალს ცარიელი ჯამი აჩვენა, სადაც რამდენიმე მაკარონი დარჩენილიყო.

- ნახე, ენი, რა გამგონი ბიჭი ვარ, - უთხრა პოლმა ისე, რომ ტუჩებზე ოდნავი ღიმილიც არ დატყობია.

- ჰო, ამ ქვეყანაზე შენ ყველაზე გამგონი ბიჭი ხარ, პოლ. შენ ოქროს ვარსკვლავებს იმსახურებ. დაიცადე ერთი წუთით! ვნახოთ, ეს როგორ მოგეწონება.

ქალი გავიდა. პოლმა ირგვლივ მიმოიხედა. ჯერ კალენდარს შეხედა, მერე ტრიუმფალური თაღის სურათს, შემდეგ ჭერზე ბზა-

რები შეათვალიერა, მერე საბეჭდი მანქანისაკენ გაიხედა და ბოლოს ხელნაწერების უშველებელ გროვას შეავლო თვალი. „მშვიდობით“, - გუნებაში პოლი ამ ყველაფერს გამოემშვიდობა. ამასობაში ენიც შემოვიდა, რომელსაც ხელში სხვა სინი ეჭირა.

სინზე ოთხი თეფში იდო. ერთ თეფშზე ლიმონის ნაჭრები ეწყო, მეორეზე მოხარშული და გაფცქვნილი კვერცხი, მესამეზე ტოსტები ელაგა, ხოლო შუაში დიდი თეფში იდო, სადაც ვეებერთელა ხიზილალას გროვა იყო დახვავებული.

- არ ვიცი, ასეთი რაღაცრაღაცები მოგწონს თუ არა, - თქვა მორცხვად ქალმა. - თვითონაც არ ვიცი, მე მომწონს თუ არა, რადგან არასოდეს გამისინჯავს.

პოლს სიცილი აუტყდა. სიცილმა გულმუცელი აატკივა. ფეხები და ხელიც კი ასტკივდა. ალბათ მალე უფრო ასტკივდებოდა, რადგან პარანოიდული ბუნება ქალს აიძულებდა, ეფიქრა: „თუკი ვინმე იცინის, აუცილებლად მე დამცინისო“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოლი ვერ ჩერდებოდა. იცინოდა, სანამ ხველა არ აუტყდა და ლოყები არ გაუწითლდა. ცრემლები თვალის კუთხეებიდან ღაპაღუპით მოსდიოდა. ამ ქალმა ტერფი ნაჯახით მოაჭრა, ცერი ელექტრო დანით მოახერხა და ახლა იმდენი ხიზილალა მოუტანა, რომ გარეულ ტახსაც კი გულზე დაადგებოდა და დაახრჩობდა. საოცარია, კაცი ელოდა, მაგრამ ენის სახეზე შავი ნაპრალი აღარ გამოჩენილა. ამის ნაცვლად, ის პოლს სიცილში აჰყვა.

ხიზილალა ისეთი რამეა, ან გიყვარს, ან ვერ იტან. პოლი ხიზილალაზე არც გიჟდებოდა და არც სძულდა. კაცი თუ სადმე პირველი კლასით მიფრინავდა და ბორტგამცილებელი წინ ხიზილალიან თეფშს დაუდგამდა, შეჭამდა და ხიზილალის არსებობა მომდევნო ფრენამდე ავიწყდებოდა. მაგრამ ამჯერად ხიზილალის ჭამას გულმოდგინედ შეუდგა. თითქოს პირველად გააცნობიერა, რომ ჭამას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ენი ხიზილალის მიმართ გულგრილი იყო. ქალმა ხიზილალა ჩაის კოვზით აიღო და გახუხულ პურზე გადაუსვა. ჩაკბიჩა თუ არა, სახე ზიზღით დაემანჭა და ხიზილალიანი პური ცივად დადო. ამასობაში პოლი შეუნელებელი ენთუზიაზმით ჭამდა. თხუთმეტ წუთში გორაკის ნახევარი გადასანსლა. მერე პირზე ხელი აიფარა, დააბოყინა და ენის დამნაშავის გამომეტყველებით გახედა. ქალს გაეცინა.

„შენს მოკვლას ვაპირებ, ენი“, - გაიფიქრა კაცმა და ქალს თბილად გაუღიმა. „ნამდვილად ასეა. შენთან ერთად შეიძლება მეც მოვკვდე, მაგრამ თუ მოვკვდები, ხიზილალით მაძღარი ხომ მაინც ვიქნები. რა მოხდა მერე, ამაზე უარესი სიკვდილიც არსებობს“.

- ძალიან კარგი იყო, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, - უთხრა პოლმა.

- კარგი, ნუღარ შეჭამ, გული არ აგერიოს, - მიუგო ქალმა. - ხიზილალა ძალიან კალორიულია. მე კიდევ ერთი სიურპრიზი მაქვს. შამპანური ვიყიდე. მაგრამ მოგვიანებით... როდესაც წიგნს დაამთავრებ. შამპანურს „დომ პერინიონი“ ჰქვია. ერთი ბოთლი სამოცდათხუთმეტი დოლარი ღირს. ჩაკი იოდერმა, სასმელების მაღაზიის გამყიდველმა, მითხრა, ეს საუკეთესო შამპანურიაო.

- ჩაკი იოდერი მართალია, - მიუგო პოლმა. „ამ ჯოჯოხეთში ძირითადად მაგ სასმელის გამო მოვხვდი“, - გაიფიქრა გულში. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- ერთ რამეს გთხოვ, - დაარღვია სიჩუმე პოლმა.

- რა არის? - ჰკითხა ქალმა.

- ერთხელ მითხარი, რომ ჩემი რაღაცრაღაცები შენახული გაქვს.

- კი, ასეა.

- ჩემს ჩემოდანში სიგარეტის კოლოფი იდო. წერას რომ დავამთავრებ, მინდა, ერთი ღერი მოვწიო.

ქალს სახეზე ღიმილი ნელნელა გაუქრა. - პოლ, ხომ იცი, ასეთი რაღაცები ორგანიზმისთვის მავნებელია. კიბოს იწვევს.

- ენი, როგორ გგონია, ახლა კიბოზე ფიქრის დროა?

ქალმა არაფერი უპასუხა.

- მხოლოდ ერთი ღერი მინდა, - უთხრა პოლმა. - როდესაც წიგნს ვამთავრებდი, საზურგეზე მიყრდნობილი ერთ ღერ სიგარეტს გავაბოლებდი ხოლმე. დამიჯერე, იმ ერთ ღერს განსაკუთრებული გემო აქვს. საუკეთესო სადილსაც კი ჯობია. ყოველ შემთხვევაში, წინათ ასე იყო. ამჯერად შეიძლება თავბრუ დამეხვეს და გულისრევა ვიგრძნო, მაგრამ მაინც მინდა, წარსული გავიხსენო. აბა, რას იტყვი, ენი?

- კარგი, - უთხრა ენიმ, - მაგრამ შამპანურის დალევამდე მოწიე. არ მინდა, სამოცდათხუთმეტ დოლარიანი შუშხუნა სასმელი სიგარეტის მომწამლავ კვამლში ვსვა.

- კეთილი, თუ სიგარეტს შუადღისას მომიტან, ფანჯრის რაფაზე დავდებ და ხანდახან თვალს შევავლებ ხოლმე. როდესაც წერას დავამთავრებ და სიტყვებში ასოებს ჩავსვამ, სიგარეტს ამის შემდეგ მოვწევ. როცა ვიგრძნობ, რომ თავბრუ მეხვევა და გონებას ვკარგავ, ჩავაქრობ და დაგიძახებ.

- კარგი, - უთხრა ენიმ. - მაგრამ იცოდე, უკმაყოფილო ვარ. თუნდაც ერთმა ღერმა სიგარეტმა ფილტვის კიბო არ გაგიჩინოს, მაინც უკმაყოფილი ვარ. იცი, რატომ?

- არა, არ ვიცი.

- იმიტომ, რომ სიგარეტს ურჩი ბიჭები ეწევიან, - თქვა ქალმა და ჭურჭლის ალაგებას შეუდგა.

- ბატონო, ბოს იან, მიზერი..? - კითხვის დასმა უნდოდა ეზეკიას.

- შშშშ, - ჩააჩუმა ის იანმა და ეზეკიამაც ხმა გაკმინდა. ჯეფრი გრძნობდა, რომ გული გამალებით უცემდა. გარედან თოკების რიტმული ჭრიალისა და ნიავის ყოველ დაბერვაზე აფრების სუსტი ტლაშუნის ხმა შემოდიოდა. ამ ხმას დროდადრო ჩიტების ჟივ-ჟივიც ერთვოდა. გემბანიდან ყრუდ ისმოდა მეზღვაურთა არც თუ ხმაშეწყობილი სიმღერა. ხოლო აქ, კაიუტაში სიჩუმეს დაესადგურებინა. სამი კაცი, ორი თეთრი და ერთი შავკანიანი, გაფაციცებით ელოდა, მიზერი იცოცხლებდა თუ...

იანმა ჩახლეჩილი ხმით ამოიგმინა. ეზეკიამ მკლავზე მოჰკიდა ხელი. ისედაც დაძაბული და დაჭიმული ჯეფრი კიდევ უფრო დაიძაბა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ გადაიტანეს, ნუთუ ღმერთი ისეთი ულმობელი იქნებოდა, რომ მიზერის სიკვდილს დაუშვებდა? იყო დრო, როდესაც ჯეფრიმ თავდაჯერებულად, უფრო იუმორით, ვიდრე აღშფოთებით, ეს აზრი უარყო. იმაზე ფიქრი, რომ ღმერთი შესაძლოა ულმობელი ყოფილიყო, იმხანად არაგონივრულად ეჩვენებოდა.

მაგრამ აფრიკაში მისი წარმოდგენა ღმერთზე, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეზე, სრულიად შეიცვალა. ჯეფრიმ აფრიკაში აღმოაჩინა, რომ არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი ღმერთი არსებობდა და ზოგიერთი მათგანი ულმობელი კი არა, ულმობელზე უარესი, შეშლილი იყო. ეს ყველაფერს ცვლიდა, რადგან ულმობლობა, ბოლოს და ბოლოს, გასაგებია, რაც არის, ხოლო სიგიჟეს ადამიანი ვერაფერს გაუგებს.

თუ მისი საყვარელი მიზერი ცოცხალი აღარ იყო, რაც ჯეფრის განსაკუთრებით აშინებდა, მაშინ კაცს სხვა რა დარჩენოდა, თუ არა გემბანზე გასვლა და წყალში გადავარდნა. ჯეფრიმ იცოდა და

შეგუებული იყო იმ აზრს, რომ ღმერთები მკაცრები იყვნენ, მაგრამ შეშლილ ღმერთებს ვერაფრით აიტანდა.

ჯეფრი პირქუში ფიქრებისაგან ეზეკიას მკვეთრმა ხმამ გამოაფხიზლა:

- ბატონ, ბოს იან! ბატონ, ბოს ჯეფრი! შეხედვა! ქალბატონის თვალები! მისი თვალები!

მიზერიმ ულამაზესი, ნაზი და ღიღილოსფერი თვალები გაახილა. ქალმა ჯერ იანს შეხედა, მერე ჯეფრის, შემდეგ ისევ იანს. წამით მიზერის თვალებში მხოლოდ დაბნეულობა ჩანდა, მაგრამ შემდეგ იქ მყოფები იცნო. ჯეფრის სიხარულისაგან სული აუმღერდა.

- სად ვარ? - იკითხა ქალმა მთქნარებით და გაიზმორა. - იან, ჯეფრი, გემზე ვართ? ასე ძალიან რატომ მშია?

ტირილნარევი სიცილით იანი დაიხარა და მიზერი გულში ჩაიკრა. ის ქალის სახელს წამდაუწუმ იმეორებდა.

დაბნეული, მაგრამ კმაყოფილი მიზერი იანს ჩაეხუტა. ჯეფრი მიხვდა, რადგან მიზერი კარგად იყო, კაცს შეეძლო მიზერისა და იანის სიყვარულს შეგუებოდა. ჯეფრი მარტო იცხოვრებდა. რასაკვირველია, შეძლებდა მარტო, მშვიდად ცხოვრებას.

თურმე ყველა ღმერთი შეშლილი არ ყოფილა.

ჯეფრიმ ეზეკიას მხარზე მოჰკიდა ხელი.

- ვფიქრობ, აჯობებს, მარტო დავტოვოთ, არა, მეგობარო? - უთხრა ჯეფრიმ ეზეკიას.

- მართალი არის, ბატონ, ბოს ჯეფრი, - მიუგო ეზეკიამ, გაიღიმა და შვიდივე ოქროს კბილი გამოაჩინა.

ჯეფრიმ მიზერისაკენ ქურდულად კიდევ ერთხელ გააპარა თვალი. ქალის ღიღილოსფერმა თვალებმა აანთო და სითბოთი აავსო.

- მიყვარხარ, ჩემო საყვარელო, გესმის ჩემი? - გაიფიქრა ჯეფრიმ.

შესაძლოა პასუხი, რომელიც კაცს ჩაესმა, თავისივე გონების გამოძახილი იყო, მაგრამ არა, ეს მიზერის ხმას უფრო ჰგავდა.

- მესმის... და მეც მიყვარხარ.

ჯეფრიმ კაიუტის კარი გამოიხურა და გემბანზე ავიდა. წყალში გადავარდნის ნაცვლად, ჩიბუხი გააწყო და ნებანება გააბოლა. მზე ჩადიოდა. ხოლო ჰორიზონტზე აფრიკის ნაპირი შორეული ღრუბელივით ჩანდა.

შემდეგ, რადგან სხვანაირად არ შეეძლო, პოლ შელდონმა საბეჭდი მანქანიდან ბოლო ფურცელი ამოიღო და მწერლისთვის ყველაზე საყვარელი და საძულველი სიტყვა ფურცელზე ხელით დაწერა:

დასასრული

პოლს გასიებული ხელით სიტყვებში გამოტოვებული ასოების ჩასმა გაუჭირდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა. თუ ხელს ამ საქმეს ვერ აიძულებდა, მაშინ ამ ხელით საქმეს ბოლომდე როგორღა მიიყვანდა?

როდესაც სიტყვებში ასოები ჩაწერა, კალამი გადადო და თავის ნამუშევარს შეხედა. ისეთივე გრძნობა დაეუფლა, როგორიც წიგნის დასრულების შემდეგ ეუფლებოდა ხოლმე - უცნაური სიცარიელე იგრძნო. მიხვდა, რომ ყველა პატარა წარმატება დიდი ძალისხმევის ფასად მოვიდა.

ყოველთვის ასე იყო. ყოველთვის ერთი და იგივე - თითქოს თვეების განმავლობაში მთის გაუვალი ბილიკებით ნელნელა მაღლა ადიოდა და ჯოჯოხეთური გარჯის შემდეგ მწვერვალზე ასული საინტერესოს ვერაფერს ხედავდა, გარდა ჩქაროსნული ავტოსტრადისა რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურითა და, უკეთეს შემთხვევაში, ბოულინგის ერთიორი სათამაშო მოედნისა.

მაგრამ, სულ ერთია, მაინც კარგი იყო. საქმის დასრულება ყოველთვის სასიამოვნოა. სასიამოვნოა, როდესაც რაღაცას ქმნი, როდესაც შეგიძლია, ამა თუ იმ პერსონაჟს სული შთაბერო. პოლმა უნებურად გააცნობიერა, რომ მისი სამუშაო გამბედაობას მოითხოვდა. საუცხოოა, ხორცი შეასხა და გააცოცხლო ის, ვისაც არასოდეს უარსებია. პოლი მიხვდა, რომ ეს, ცოტა არ იყოს, სულელური ოინი იყო, მაგრამ რა ექნა, მან ხომ მხოლოდ ეს იცოდა და თუ მოუხერხებლად გამოსდიოდა, ყველაფერს ხომ სიყვარულით აკეთებდა. პოლმა ხელნაწერს ხელი დაადო და გაიღიმა.

კაცს მარცხენა ხელი ჯერ ისევ ხელნაწერზე ედო, როდესაც ფანჯრის რაფისკენ ფრთხილად გაგორდა, სადაც ენიმ ერთი ღერი „მალბორო“, დაუტოვა. სიგარეტის გვერდით საფერფლე

იდო, რომელსაც ნავის ფორმა ჰქონდა. საფერფლის ფსკერზე წრიულად ეწერა: ჰანიბალის სუვენირი. მისურის შტატი - ამერიკელ მწერალთა სამშობლო.

საფერფლეში ასანთის კოლოფი იდო, სადაც მხოლოდ ერთი ღერი ასანთი იყო. მაგრამ ერთიც საკმარისი იქნებოდა.

პოლს ქალის ფეხის ხმა ზედა სართულიდან ესმოდა. ძალიანაც კარგი, მოსამზადებლად დრო ჰქონდა და თუ ენი ქვევით ჩამოსვლას დროზე ადრე დააპირებდა, პოლი ხმას ადვილად გაიგებდა.

„ნამდვილი ოინი ახლა იქნება, ენი“, - გაიფიქრა პოლმა. „ვნახოთ თუ გამომივა. აბა, ვნახოთ“.

პოლს ფეხების ტკივილისათვის ყურადღება არ მიუქცევია, დაიხარა და პლინთუსის ნაჭერი გამოიღო.

ხუთი წუთის შემდეგ პოლმა ენის დაუძახა. კაცმა კიბეზე ენის მძიმე და მოუქნელი ნაბიჯების ხმას ყური მიუგდო. პოლს ეგონა, ბოლო წუთს შიში შეიპყრობდა, მაგრამ შვება იგრძნო, როდესაც გააცნობიერა, რომ მშვიდად იყო. ოთახში აალებადი სითხის მძაფრი სუნი იგრძნობოდა. ეტლის სახელურებს შორის გადებულ ფიცარზე ცარიელი ქილა იდო, საიდანაც აალებადი სითხე იატაკზე წვეთწვეთად გადმოდიოდა.

- პოლ, წერა მართლა დაამთავრე? - დაუძახა ენიმ დერეფნიდან.

პოლმა აალებადი სითხით გაჟღენთილი ქაღალდის ფურცლების მთას დახედა, რომელიც ფიცარზე საძულველი საბეჭდი მანქანის გვერდით იდო.

- ჰო, ენი, - გასძახა მან, - ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო.

- რა კარგია, არც კი მჯერა! რამდენი ხანია, ამ წუთს ველოდები! დაიცადე, შამპანურს მოვიტან!

- კარგი.

პოლმა გაიგო, როგორ გადაიარა ენიმ სამზარეულოს ლინოლიუმის იატაკი. მას იატაკის ყოველი გაჭრაჭუნება კარგად ჰქონდა შესწავლილი. „ამ ხმას უკანასკნელად ვისმენ“, - გაიფიქრა და სიმშვიდე კვერცხის ნაჭუჭივით შემოემტვრა. ხელში კი შიში შერჩა და კიდევ რაღაც, რაც, სავარაუდოდ, აფრიკის შორეული სანაპირო იყო.

ქალმა მაცივრის კარი გააღო და ხმაურით მიხურა. აი, სამზარეულო გამოიარა და აქეთ მოდის.

პოლს სიგარეტი, რასაკვირველია, არ მოუწევია. ის ისევ ფანჯრის რაფაზე იდო. კაცს ასანთი სჭირდებოდა, ასანთის ის ერთადერთი ღერი.

ვაითუ, არ აინთო?

ეს ვარაუდი და ჭოჭმანი ახლა უკვე გვიან იყო. პოლმა საფერ-ფლეში ჩადებული ასანთის კოლოფიდან ის ერთადერთი ღერი ამოიღო. ენი უკვე დერეფანში მოდიოდა. პოლმა ასანთი გაჰკრა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არ აინთო.

დამშვიდდი და ყველაფერი გამოვა!

მეორედ გაჰკრა. კვლავ არაფერი.

დამშვიდდი... დამშვიდდი...

პოლმა კოლოფის მუქყავისფერ ზოლს მესამედ გაჰკრა ასან-თი და ღია ყვითელი ალი, როგორც იქნა, ასანთის თავს წაეკიდა.

- იმედი მაქვს...

ენი შედგა, სიტყვა ყელში გაეჩხირა. პოლი, ქაღალდის ფურცლების გორასა და საბეჭდი მანქანის უკან, ეტლში იჯდა. კაცმა ზედა ფურცელი ისე მოაბრუნა, რომ ენის მისი წაკითხვა შეძლებოდა:

მიზერის დაბრუნება

პოლ შელდონი

პოლს აალებადი სითხით გაჟღენთილი ქაღალდის ფურცლების თავზე გასიებული მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითით ანთებული ერთადერთი ასანთის ღერი ეჭირა.

მოულოდნელობისაგან პირდაღებული ენი დერეფანში იდგა. ხელში ხელსახოცშემოხვეული შამპანურის ბოთლი ეჭირა.

- პოლ, - გამოერკვა ქალი, - რას აკეთებ?

- წიგნი დასრულებულია, - უთხრა პოლმა. - კარგი გამოვიდა, ენი. მართალი იყავი, მიზერიზე დაწერილ წიგნებს შორის ეს საუკეთესოა. შეიძლება რაც ოდესმე დამიწერია, იმ წიგნებს შორისაც საუკეთესო იყოს. ახლა კი ერთი ოინის ჩატარებას ვაპირებ. კარგი ოინია. შენგან ვისწავლე.

- პოლ, არა! - დაიკივლა ქალმა. მის ხმაში ტანჯვა და მიხვედრილობა გამოსჭვიოდა. ქალმა ხელები წინ გაიშვირა. შამპანურის ბოთლი შემოხვეული ხელსახოციდან ქვევით ჩასრიალდა, იატაკს დაენარცხა და ნაღმივით გასკდა. ქაფმა იქაურობა მოსვარა. - არა, არა! არ ქნა! - იყვირა ქალმა.

- სამწუხაროა, რომ ვერასოდეს წაიკითხავ, - უთხრა პოლმა და გაიღიმა. პირველად თვეების შემდეგ ხალასმა, გულიდან წამოსულმა ღიმილმა გაუნათა სახე. - თავმდაბლობა საჭირო არ არის. დიდებული წიგნი დავწერე, ენი.

ასანთის ღერი თანდათან იწვოდა. მისმა სიმხურვალემ პოლის თითებამდე მიაღწია. კაცმა ასანთის ღერს ხელი გაუშვა. საზარელი წამი დადგა. კაცმა გაიფიქრა, ვაითუ ჩაქრაო, მაგრამ ძალიან მალე ღია ცისფერი ალი თავფურცელზე აბრიალდა. ცოტა ხანში ალი ქვედა ფურცლების კიდეებსაც მოედო.

- ოჰ, ღმერთო, არა! - იკივლა ისევ ქალმა. - ოღონდ მიზერი არა! ოღონდ ის არა!

ცეცხლის შუქზე ქალს სახე აულაპლაპდა.

- ენი, გინდა, სურვილი ჩაიფიქრო? - დაუძახა პოლმა. - გინდა? შენი დედაც, შე ძუკნა!

- ოჰ, ღმერთო, პოლ, რას აკეთებ? - წინგამოწვდილი ხელებით ქალი აგიზგიზებული ფურცლებისაკენ გაქანდა. საბეჭდი მანქანის ნაცრისფერი გვერდები თანდათან გაშავდა, რადგან აალებადი სითხე მანქანის ქვეშაც დაგუბებულიყო და ახლა ღია ცისფერი ალი კლავიშებს შორის ამოდიოდა. პოლმა სახეზე ცეცხლის მცხუნვარება იგრძნო.

- მიზერის ვერ დაწვავ, - დაიღრიალა ქალმა. - მიზერის ვერ დაწვავ, შე ნაბიჭვარო!

ენიმ ზუსტად ის გააკეთა, რაც პოლმა ივარაუდა. ის მოგიზგიზე ქაღალდების გროვას დასწვდა და სააბაზანო ოთახისაკენ გაქანდა, რათა ქაღალდები აბაზანაში ჩაეყარა და ცეცხლი ჩაექრო.

პოლმა ხელი საბეჭდ მანქანას დაავლო. მანქანის გახურებულმა გვერდებმა კაცს ხელები დასწვა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. საბეჭდი მანქანა მაღლა, თავს ზემოთ ასწია. მანქანიდან აალებადი სითხის ცეცხლწაკიდებული წვეთები ჩამოცვივდა. პოლს ზურგში რაღაც დაეჭიმა და ასტკივდა, მაგრამ არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება. კაცს სახე არაადამიანურად დაემანჭა. ის წინ გადაქანდა და საბეჭდი მანქანა ისროლა, რომელიც ქალს ზურგში მოხვდა.

ქალი იატაკზე გაიშხლართა და ცეცხლმოკიდებულ ფურცლებს ზედ დააწვა.

დაფაზე, რომელიც პოლისთვის საწერი მაგიდის ფუნქციას ასრულებდა, ცეცხლის პატარპატარა, მოცისფრო ენები იკლაკნებოდა და კაცს სულს უხუთავდა, თითქოს ყოველ ჩასუნთქვაზე გამდნარი რკინა ეღვრებოდა ყელში. პოლმა ხელი ჰკრა და დაფა გადააგდო. მერე ბარბაცით წამოიწია და მარჯვენა ფეხზე დადგა. ენი ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა და გმინავდა. ცეცხლის ენამ ქალის მარცხენა ხელსა და გვერდს შორის ამოჰყო თავი. ენიმ დაიკივლა. პოლს დამწვარი კანისა და ხორცის სუნი ეცა.

ქალმა წამოწევა მოახერხა და ოთხზე დადგა. იატაკი ფურცლებით იყო მოფენილი. ზოგი ფურცელი ჯერ ისევ იწვოდა, ზოგიც შიშინით ქრებოდა შამპანურის გუბეში, ხოლო რამდენიმე ცეცხლწაკიდებული ფურცელი ენის ისევ ხელში ეჭირა. ქალის ჯემპრსაც ცეცხლი ეკიდა. პოლმა დაინახა, ქალს მკლავსა და მარჯვენა ლოყაში შუშის ნატეხი შერჭობოდა.

- მოგკლავ, შე დამპალო, მატყუარა, - ჩაილაპარაკა ქალმა და პოლისკენ დაჩოქილი გაექანა, მაგრამ სამი ნაბიჯის შემდეგ საბეჭდ მანქანას წამოედი და ისევ იატაკზე გაიშხლართა. ქალმა გვერდზე გადაბრუნება მაინც შეძლო და პოლიც მაშინვე ზედ დაეცა. კაცმა საბეჭდი მანქანის მახვილი კუთხეები ქალის ქვეშიდანაც კი იგრძნო. ენიმ კატასავით დაიჩხავლა, კატასავით დაიკლაკნა და სცადა, პოლი კატასავით დაეკაწრა.

ცეცხლი მათ ირგვლივ, მართალია, თანდათან ქრებოდა, მაგრამ პოლი გრძნობდა, რა საშინელი სიმხურვალე ამოდიოდა მის ქვემოთ დახვავებული ხორცის ზვინისაგან. ალბათ ლიფი და ჯემპრის ნაწილი ქალს კანში ჩაადნაო, გაიფიქრა პოლმა. პოლს ის სრულებით არ შეცოდებია.

ქალმა სცადა, პოლი ძირს ჩამოეგდო, მაგრამ კაცი გაუძალიანდა. ქალს თავზე ისე აწვა, თითქოს მისი გაუპატიურება ჰქონდა

განზრახული. ისინი სახეებით თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს. კაცმა მარჯვენა ხელი იატაკზე მოაფათურა.

- მომშორდი! - იყვირა ქალმა.

პოლმა ნახევრად ჩამქრალი, ცხელი ქაღალდები მოხვეტა და მუჭში მოიქცია.

- მომშორდი!

კაცმა მუშტი მაგრად შეკრა და ქაღალდებზე შერჩენილი ცეცხლი ჩააქრო. პოლს ქალის დამწვარი ხორცის, ოფლის, ზიზღისა და სიგიჟის სუნი ეცა.

- მომშორდიიი! - უშველებელი პირი გააღო და დაიღრიალა ქალმა. პოლმა ქალღმერთის წითლად დანაოჭებულ, ნესტიან ხახას მოჰკრა თვალი.

- მომშორდი, შე ნაბიჭვაროოო...

პოლმა დაჭმუჭნული თეთრი, შავი, ყავისფერი ქაღალდების გუნდა ქალს პირში ჩაუტენა. ენის ანთებული თვალები უცებ შიშის, გაოცებისა და ტკივილისაგან გაუფართოვდა.

- აი შენი წიგნი, ენი, - ქოშინით უთხრა კაცმა, თან ხელით ქაღალდებს კიდევ აგროვებდა. ამჯერად ღვინოში დასველებული, მჟავესუნიანი ქაღალდები მოხვეტა. ქალი იგრიხებოდა და კაცის სიმძიმისაგან გათავისუფლებას ლამობდა. ამ ჯაჯგურში პოლმა მარცხენა მუხლი იატაკს დაჰკრა. კაცმა აუტანელი ტკივილი იგრძნო, მაგრამ ძირს არ გადმოვარდნილა. „მაცალე, რა გიქნა. გაგაუპატიურებ, ენი, რადგან ამაზე უარესს ვერაფერს ვიზამ. მიდი, მოწუწნე ჩემი წიგნი. მიდი, შე ძუკნა, წუწნე, სანამ არ დაიხრჩობი“, - გაიფიქრა პოლმა და მეორედ სველი ქაღალდების ბღუჯა ჩატენა ქალს პირში.

- ჰა, ენი, როგორ მოგწონს? „ენი უილკსის გამოცემის“ პირველი ეგზემპლარია. ჰა, როგორია? ჭამე, წუწნე. მიდი, მთელი წიგნი შეჭამე.

პოლმა ქაღალდების მესამე და მეოთხე ბღუჯაც ქალს პირში ჩათხარა. მერე მეხუთედ, ჯერ ისევ მხრჩოლავი ქაღალდები მოაგროვა. ბებერებიანი მარჯვენა ხელისგულით ჩააქრო და ქალს ისევ პირში შეტენა.

ქალმა უცნაურად დაიზმუვლა, ერთი ძლიერად გაიბრძოლა და პოლი ძირს გადააგდო. მერე მუხლებზე წამოწევა მოახერხა. გასიებულსა და გაშავებულ კისერზე ხელი იტაცა. მისი სვიტერისაგან ბევრი აღარაფერი დარჩენილიყო, თუ არ ჩავთვლით თითქმის დანახშირებულ საყელოს. მუცელი და მკერდი ბებერებით ჰქონდა დაფარული. ქაღალდებით გამოვსებული პირიდან კი შამპანურის წვეთები გადმოსდიოდა.

- მამფ! მაქ! მაქ! - მხოლოდ უაზრო ბგერები ამოუშვა ქალმა. ფეხზე წამოდგა. პოლმა ფორთხვით დაიხია უკან, მაგრამ ფეხები უხერხულად წინგამოჩრილი დარჩა. ქალს დაძაბული უყურებდა. ენი კვლავ რაღაცის თქმას ცდილობდა: - ჰარკო? დორგ? მამფ!

ქალი პოლისკენ წავიდა. ერთი ნაბიჯი გადადგა, მერე მეორე და ისევ საბეჭდ მანქანას წამოედო. სანამ დაეცემოდა, თავი გვერდზე მოაბრუნა. პოლმა მის თვალებში შემაძრწუნებელი შეკითხვა ამოიკითხა: „რა მოხდა, პოლ? მე ხომ შენთვის შამპანური მომქონდა“.

ენიმ წაქცევისას თავი ბუხრის ძგიდეს ჩამოარტყა. მერე ქვებით სავსე ტომარასავით იატაკზე მძიმედ დაენარცხა და მთელი სახლი შეაზანზარა.

ენი ცეცხლწაკიდებულ ქაღალდებზე დაეცა. მისმა ტანმა ცეცხლი ჩააქრო. იატაკიდან შავი კვამლი ავარდა. შამპანურის გუბეებმა ოთახში ცეცხლი თითქმის ჩააქრო, მაგრამ ორი სამი ფურცელი კედელთან, კარის მარცხნივ მაინც იწვოდა და ცეცხლი ნელნელა შპალერზეც გადადიოდა.

პოლი საწოლთან ხოხვით მივიდა, იდაყვებზე წამოიწია და საწოლის გადასაფარებელი გადმოათრია. მერე ფორთხვით კედლისკენ წავიდა. ბოთლის ნამსხვრევებისაგან გზას ხელით წმენდდა. ხერხემალი დაჭიმული ჰქონდა, მარჯვენა ხელისგული დამწვარი, თავი სტკიოდა და დამწვარი ხორცის მოტკბო სუნისაგან გული ერეოდა, მაგრამ თავისუფალი იყო. ქალღმერთი მოკვდა. პოლი კი თავისუფალი იყო.

პოლი მარჯვენა მუხლზე გაჭირვებით წამოდგა და ხოხვისას შამპანურის გუბეებში გვარიანად დასველებული და ფერფლისგან გაშავებული საწოლის გადასაფარებლით ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. ცოტა ხანში კაცმა ცეცხლი ყველგან ჩააქრო. მერე მაღლა აიხედა. კედელზე კალენდრის ზედა ფურცელი ალისგან დაგრეხილიყო, სხვა გვერდებს კი არაფერი მოსვლოდა.

პოლი ეტლისკენ მიხოხავდა. კაცს ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი, როდესაც ენიმ თვალები გაახილა.

როდესაც ენიმ წამოიწია და მუხლებზე დადგა, პოლი ქალს გაოცებული მიაშტერდა. თავად პოლი ამ დროს იდაყვებზე იყო დაყრდნობილი, ფეხებს უკან მიითრევდა.

არა... არა, შენ ხომ მოკვდი.

შემცდარხარ, პოლ. ქალღმერთს ვერ მოკლავ. ის უკვდავია. ახლა კი უნდა გამოვრეცხო.

ქალს თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და საზარლად გამოიყურებოდა. თავზე, მარცხენა მხარეს, თმაში უზარმაზარი

ჭრილობა უჩანდა. სახე მთლიანად სისხლით ჰქონდა მოსვრი

ლი.

- ბინ... დუო! - ქალს ქაღალდებჩატენილი ყელიდან ყვირილის მსგავსი ხმა ამოუვიდა და პოლისკენ წაბობღდა. იდაყვებში მოხრილი ხელები წინ გაიშვირა. - ოოო, ბინდუო! - გაიმეორა მან.

პოლი შებრუნდა და კარისკენ, რაც შეიძლება ჩქარა გახოხდა. ესმოდა, ქალი უკან როგორ მიყვებოდა. როდესაც პოლი იმ ადგილას მივიდა, სადაც ბოთლის ნამსხვრევები ეყარა, კაცმა მარცხენა კოჭთან ქალის ხელი იგრძნო. ენი ფეხში სწვდა და ხელი მაგრად მოუჭირა. კაცმა ტკივილისაგან იყვირა.

- ბინძურო! - დაიღრიალა გახარებულმა ქალმა.

პოლმა მხარს ზემოდან უკან მიიხედა. ქალს სახე ნელნელა უწითლდებოდა და უსივდებოდა. ბურკების კერპს მართლა ემსგავსებოდა.

პოლმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიბრძოლა. უტერფო ფეხი ქალს ხელიდან ადვილად გაუსხლტა. ხელში მხოლოდ ტყავის სახვევი შერჩა, რომლითაც კაცს ფეხი მოჭრილი ტერფის ადგილას ჰქონდა შეხვეული.

პოლი იდაყვებზე დაყრდნობილი მიხოხავდა და თან ყვიროდა. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ჯარისკაცს ჰგავდა,

რომელიც ტყვიების საშინელ წვიმაში ხოხვით მიიკვლევს გზას. პოლმა გაიგო, როგორ გადმოდგა ბრახუნით ქალმა ერთი მუხლი, მერე მეორე, მერე ისევ პირველი. ენი უკან მოსდევდა. მაინც რა მკვრივი და მაგარი სხეული ჰქონდა. დაიწვა, ზურგი დაუზიანდა, თავი გაიტეხა, ყელი ქაღალდებით ჰქონდა გამოტენილი და მაინც მოდიოდა.

- ნაბიჭ! - დაიკივლა ქალმა. - ბინძურო... ნაბიჭვარო!

ხოხვისას პოლს ხელში ბოთლის ნამსხვრევი შეერჭო, მაგრამ არ შეჩერებულა, მაინც წინ მიიწევდა. ქალიც ფეხდაფეხ მიყვებოდა.

- დაამ... პაა... ლო! - უყვიროდა ქალი.

პოლმა კვლავ უკან მიიხედა. ენის სახე ქლიავივით გაშავებოდა. ჩასისხლიანებული თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. კისერი კიდევ უფრო გასიებოდა და ალბათ შიგნიდან გვირაბს მიუგავდა. ტუჩები ეგრიხებოდა. პოლმა გაიფიქრა, ალბათ ჩაცინებას ცდილობსო.

პოლი კართან მიხოხდა და ხელით წირთხლს მოეჭიდა.

- დაამ... პაა...

ენიმ მარჯვენა ხელი სტაცა მარჯვენა ბარძაყში. მერე ერთი მუხლი გადმოდგა, შემდეგ მეორე. კიდევ უფრო ახლოს მოვიდა. ქალის ჩრდილი პოლს თავზე დაეცა.

- არა, - ჩაიდუდუნა კაცმა. პოლმა იგრძნო, როგორ მოიწევდა ქალი. კაცმა თვალები დახუჭა და კარის წირთხლს უფრო მაგრად ჩააფრინდა.

- დამ... პაა... ლო!

ჭექა ქუხილი. ქალღმერთის ჭექა ქუხილი.

ქალის ხელები ნაბიჯნაბიჯ კაცის ზურგზე კისრისკენ მოიწევდა. პოლს სუნთქვა შეეკრა. ქალის თითები პოლს კისერში სწვდა. კაცის შინაგანმა ხმამ დაიკივლა: „მოკვდი, არ უნდა მოკვდე? ნუთუ არასოდეს მოკვდები? მოკვდები კი ოდესმე?“

- დამ... და...

პოლმა იგრძნო, კისერზე მოჭერილი ხელები ქალს თანდათან როგორ მოუდუნდა. კაცმა ჰაერი კვლავ ჩაისუნთქა, მაგრამ ახლა ქალი მოცელილივით დაეცა თავზე და ამის გამო კაცმა ამოსუნთქვა ვეღარ შეძლო.

პოლმა თავი ძლივს გაითავისუფლა. გზა ზვავში მოხვედრილი კაცივით გაიკვლია და კარში ხოხვით გავიდა. ყოველ წუთს ელოდა, რომ კოჭზე ქალის ხელს იგრძნობდა, მაგრამ ენი, სისხლში, შამპანურსა და ბოთლის ნამსხვრევებში დამხობილი, გაუნძრევლად იწვა. მოკვდა? ალბათ მოკვდა. მაგრამ პოლს არ სჯეროდა, რომ მოკვდა.

კაცმა კარი დახურა. პოლს საკეტი ისე მაღლა მოეჩვენა, თითქოს მთის წვერზე იყო დამაგრებული, მაგრამ მაინც მისწვდა, კარი ჩაკეტა და ღონეგამოცლილი იქვე დაემხო.

პოლს გული წაუვიდა. გონზე უცნაურმა ფხაჭუნმა მოიყვანა. ალბათ ვირთხები დარბიანო, გაიფიქრა კაცმა.

მაგრამ ენის მსხვილი, სისხლიანი თითები კარის ქვევიდან შემოცოცდა და პოლს პერანგზე ჩაეჭიდა. კაცს ელდა ეცა, გვერდზე სხარტად გაიწია და ქალს თითებზე მუშტი ჩაარტყა. უკან გაწევის ნაცვლად თითები ოდნავ შეტოკდა და იქვე გაირინდა.

„ნეტავ ეს იყოს მისი აღსასრული. ღმერთო, გემუდარები, ეს იყოს მისი აღსასრული“, - გაიფიქრა კაცმა.

პოლი სააბაზანო ოთახისკენ მიხოხავდა. შუა გზაზე იყო, როდესაც უკან მოიხედა. ქალის თითები კარის ქვედა ნაწილიდან ისევ ისე იყო გამოჩრილი. კაცმა ამის ატანა ვეღარ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ფეხები საშინლად სტკიოდა, უკან დაბრუნდა, თითებს ხელი ჰკრა და მხედველობიდან მოიცილა. ეშინოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა. ეგონა, შევეხები თუ არა, თითები ისევ ჩამეჭიდებაო.

ბოლოს, როგორც იქნა, შევიდა სააბაზანო ოთახში და კარი დაკეტა. მთელს სხეულში პულსაციას გრძნობდა.

„ღმერთო, წამალი თავის ადგილზე რომ არ დამხვდეს?“ - გაიფიქრა შიშით პოლმა. მაგრამ ქალს წამალი ისევ ძველ ადგი

ლას დაეტოვებინა. პოლმა სამი ნოვრილი უწყლოდ გადაყლაპა და კართან მიხოხდა. სააბაზანო ოთახის კართან მისასვლელი გზა თავისი სხეულით გადაღობა და ჩაეძინა.

როდესაც გაეღვიძა, ბნელოდა. პირველად ვერ მიხვდა, სად იყო. საძინებელი ოთახი ასე რამ დააპატარავაო, გაიფიქრა. მერე ყველაფერი მოაგონდა. თან უცნაური გრძნობა დაეუფლა. გაიფიქრა, ენი არ მომკვდარა, ნაჯახით ხელში კარის უკან დგას და გავხოხდები თუ არა გარეთ, ნაჯახს კისერში ჩამარტყამს და თავს მომაჭრისო. ჩემი თავი ბურთივით გაგორდება დერეფანში, ქალს კი ხარხარი აუტყდებაო.

„არა, რა სიგიჟეა“, - სცადა, დაერწმუნებინა საკუთარი თავი. მერე თითქოს ქალის გახამებული ქვედაკაბის შრიალი შემოესმა. შესაძლოა, კაბა კედელს ოდნავ გაეხახუნა, - გაიფიქრა კაცმა.

ამას იგონებ, პოლ. შენი წარმოსახვაა... ცოცხალი წარმოსახვის უნარი გაქვს.

არა, არ ვიგონებ, აშკარად შემომესმა.

არა, არაფერი გაუგია. ეს თავადაც კარგად იცოდა. კარის სახელურისკენ ხელი ასწია, მაგრამ ყოყმანით ისევ დაუშვა. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ არაფერი გაუგია... მაგრამ, დავუშვათ, გაიგო?

ქალს ფანჯრიდან გადასვლა შეეძლო.

პოლ, ქალი მკვდარია.

და აქვე არალოგიკური პასუხი: ქალღმერთი არასოდეს კვდება.

პოლმა გააცნობიერა, რომ ტუჩებს გამალებით იკვნეტდა და სცადა, გაჩერებულიყო. ნუთუ ასე გიჟდებიან ხოლმე? ჰო, გაგიჟებას არაფერი უკლდა. თუკი მართლა გაგიჟდებოდა, ამაზე დიდი მიზეზი ნეტავ ვის ჰქონდა? ხვალ ან ზეგ პოლიციელები მართლა რომ დაბრუნებულიყვნენ და საძინებელში ენი მკვდარი ენახათ, ხოლო სააბაზანო ოთახში - მედუზას მსგავსი პროტოპლაზმის

ბურთი, რომელიც ერთ დროს მწერალი პოლ შელდონი იყო, ეს ენის გამარჯვებად ჩაითვლებოდა?

რასაკვირველია, ახლა კი, პოლ, შენ ხომ დამჯერი ბიჭი ხარ, ჰოდა, მიჰყევი დაწერილ სცენარს, კარგი?

კარგი.

პოლმა კარის სახელურისკენ ისევ ასწია ხელი... კვლავ შეყოყმანდა. ისე ვერ იმოქმედებდა, როგორც თავიდან ჩაიფიქრა. სცენარის მიხედვით, პოლს ქაღალდის ფურცლებისათვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინა, ენი ამ ფურცლებს აკრეფდა. ეს ზუსტად ასე მოხდა. მაგრამ შემდეგ პოლს საბეჭდი მანქანა ქალისთვის თავში უნდა ჩაერტყა, ამის ნაცვლად, ზურგში მოახვედრა. შემდეგ, სცენარის მიხედვით, სასტუმრო ოთახში უნდა გასულიყო და სახლისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. თვითონ კი გარეთ სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან გადახოხდებოდა. ეს კი ჯოჯოხეთურ ტკივილთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, იცოდა, ენის კარი გულმოდგინედ ექნებოდა ჩარაზული.

წიგნში ყველაფერი გეგმის მიხედვით ხდება ხოლმე, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ. დავუშვათ, ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში ტუალეტში შესვლა მოგინდეს ან რაღაც ამის მსგავსი, მერე?.. თანაც ცხოვრება თავებად არ არის დაყოფილი.

- რეალობა აბურდული და ბინძურია, - ჩაიდუდუნა პოლმა. - კარგია, რომ ჩემისთანები არსებობენ, რათა სიბინძურე გამორეცხონ.

შამპანურის ბოთლი სცენარში საერთოდ არ იყო, მაგრამ ეგ არაფერი. ეს უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რა სიცოცხლისუნარიანობაც ქალმა გამოამჟღავნა. ამჟამინდელი გაურკვევლობა კი პოლისთვის მტანჯველ განცდად გადაქცეულიყო. კაცს სახლის დაწვა და ამით ყურადღების მიპყრობა არ შეეძლო, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ენი ცოცხალი არ იყო. იმიტომ კი არა,

რომ ენის ცოცხლად ვერ გამობუგავდა, არა, პოლი ქალს თვალ-დაუხამხამებლად გაიმეტებდა. ენი სულ არ ენაღვლებოდა. მხ-ოლოდ ხელნაწერის დარდი ჰქონდა, ნამდვილი ხელნაწერის. ის, რაც დაწვა, მხოლოდ იმიტაცია და მოჩვენებითი ხელნაწერი იყო, რომელსაც თავფურცელზე მართალია „მიზერის დაბრუნება“ ეწ-ერა, მაგრამ შიდა ფურცლები ან ცარიელი იყო, ან დაწუნებული და შავი ვარიანტისაგან შედგებოდა. ხოლო ნამდვილი ხელნაწერი საწოლის ქვეშ იდო. ხელნაწერი იქ იქამდე იქნებოდა, სანამ ქალი ცოცხალი იყო და თუ ნამდვილად ცოცხალი იყო, შესაძლოა, იჯდა ახლა და კითხულობდა.

რის გაკეთებას აპირებ, პოლ?

აქ დაიცადე, ურჩია კაცს საკუთარი გონების ერთმა ნაწილმა. აქ იყავი, აქ კარგია და თან უსაფრთხოდ იქნები.

მაგრამ მეორე, უფრო გაბედული ნაწილი დაჟინებით მოით-ხოვდა, კაცს სცენარის, ჩანაფიქრის მიხედვით ემოქმედა: სას-ტუმრო ოთახში ფორთხვით მისულიყო ფანჯარამდე, ფანჯარა გა-ეტეხა და ამ საშინელი სახლიდან თავი დაეღწია. მერე გზამდე მი-სულიყო და რომელიმე გამვლელ მანქანას დალოდებოდა. სხვა დროს ალბათ დღეების განმავლობაში მოუწევდა ლოდინი, მაგ-რამ ახლა სიტუაცია შეიცვალა, რადგან ენის სახლი საზოგადოე-ბის ყურადღების ცენტრში მოექცა.

პოლმა მთელ თავის გამბედაობას მოუხმო, კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და გადაატრიალა. კარი ნელა გაიღო. სიბნელეში ენი იდგა, დიახ, ის იყო. იქ, ჩრდილში ქალღმერთი იდგა. მედდის თეთრი ფორმა ეცვა...

პოლმა თვალები მაგრად დახუჭა და გაახილა. დერეფანში ჩრდილები იყო, ენი - არა. პოლს, გაზეთში გამოქვეყნებული სუ-რათების გარდა, ენი მედდის ფორმაში არასოდეს ენახა. მხ-ოლოდ ჩრდილები, ჩრდილები და (ცოცხალი) წარმოსახვა.

პოლი დერეფანში ნელა მიხოხავდა. უკან მიიხედა. საძინებელი ოთახის კარი დაკეტილი იყო. სასტუმრო ოთახისკენგადაუხვია. თითოეული ჩრდილი შეიძლებოდა უცებ ხაფანგად გადაქცეულიყო. შესაძლოა, ენი ნებისმიერ ჩრდილში ნაჯახით ხელში ყოფილიყო ჩასაფრებული.

პოლმა გზა განაგრძო. აი, დივანი. შეიძლება ენი ამის უკანაა. სამზარეულოს კარია გამოღებული. ენი კარის უკან დგას. იატაკმა გაიჭრაჭუნა. რასაკვირველია, ეს ენის ნაბიჯებია.

პოლს ელდა ეცა და უკან მიიხედა. გული გამალებით უცემდა და სისხლი საფეთქლებს აწვებოდა. უკან ნაჯახაღმართული ენი იდგა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. ქალი მაშინვე ჩრდილებს შეერია. პოლმა მოახლოებული მანქანის ხმა გაიგო, როდესაც სასტუმრო ოთახში შეხოხდა. წინა მაშუქების სუსტმა შუქმა სასტუმრო ოთახის ფანჯარაში შემოანათა. მანქანამ დაამუხრუჭა, იქ მსხდომებმა გზის გადასაღობი ჯაჭვი შენიშნეს.

მანქანის კარი გაიღო და დაიხურა.

- ჯანდაბა, ამას შეხედე! - გაიგო პოლმა.

კაცი აჩქარდა, წამოიწია, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, სილუეტი, რომელიც სახლს უახლოვდებოდა. პოლს პოლიციელის გამოცნობა, სილუეტის მიხედვით, არ გასჭირვებია.

კაცმა კერამიკული ფიგურების მაგიდაზე ხელი მოაფათურა. რამდენიმე ფიგურა იატაკზე გადავარდა და დაიმსხვრა. პოლმა ერთ ფიგურას წამოავლო ხელი და მოხდა საოცარი დამთხვევა, რაც ასე ხშირად ხდება ხოლმე მხატვრულ ლიტერატურაში და რაც ასე იშვიათია რეალურ ცხოვრებაში.

პოლს ხელში ყინულის ლოდზე შემოსკუპებული პინგვინი ეჭირა.

დასრულდა ჩემი ამბავი! ახდა, რაც დაწერილია. „მადლობა უფალო!“ - გაიფიქრა პოლმა.

პოლი მარცხენა მკლავს დაეყრდნო და მარჯვენა ხელი პინგვინს მაგრად მოუჭირა. ხელისგულზე ბებერები გაეხსნა და ჩირქიანი სითხე გადმოეღვარა. კაცმა მარჯვენა ხელი უკან გადაიქნია და პინგვინი სასტუმრო ოთახის ფანჯარას ესროლა. ისე, როგორც ამას წინათ საძინებელი ოთახის ფანჯარას საფერფლე.

- აქეთ, აქეთ, აქა ვარ! - ბოდვასავით აღმოხდა პოლს.

კიდევ ერთი დამთხვევა მოხდა. ეს პოლიციელები ისინი იყვნენ, რომლებიც ამას წინათ კუშნერის გაუჩინარების თაობაზე ენისთან დასაკითხად მოვიდნენ - დავითი და გოლიათი. ოღონდ ამაღამ დავითს ქურთუკი არა მხოლოდ გახსნილი ჰქონდა, არამედ იარაღამოღებულიც მოდიოდა. დავითის ნამდვილი სახელი უიკსი იყო, ხოლო გოლიათის - მაკნაითი. ისინი ჩხრეკის ორდერით მოვიდნენ. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, კარი შემოამტვრიეს და სახლში შემოვიდნენ, მათ სასტუმრო ოთახში კაცი აღმოაჩინეს, რომელიც გიჟივით ყვიროდა და რომელიც რეალურ ცხოვრებაში გადმოსულ ღამის კოშმარს ჰგავდა.

- სკოლაში სწავლისას ერთი წიგნი წავიკითხე, - უთხრა უიკსმა თავის ცოლს მეორე დილას. - მგონი, წიგნს ან „გრაფი მონტე კრისტო“ ერქვა, ან „ზენდას პატიმარი“. მოკლედ, იმ წიგნში იყო ერთი კაცი, რომელმაც ორმოცი წელი საკანში, სრულ მარტოობაში გაატარა. ორმოცი წელი სულიერი არ უნახავს. ეს კაცი იმ პატიმარს ჰგავდა, - თქვა უიკსმა და ცოტა ხანს გაჩუმდა. უნდოდა, იმ ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციების აღწერა, რაც ამ ადამიანმა დაუტოვა. - შიში და სიბრალული. გულისტკივილი და ზიზღი, - თქვა მან. - მაგრამ ყველაზე საოცარია, ცოცხალი როგორ იყო. როდესაც დაგვინახა, ტირილი აუტყდა. მე დავითს მეძახდა. არ ვიცი, რატომ.

- შეიძლება ვინმე ნაცნობს მიგამსგავსა, - მიუგო ცოლმა. - შეიძლება.

პოლს კანი განაცრისფერებული ჰქონდა და ჩონჩხად იყო ქცეული. მაგიდის ფეხსჩაჭიდებული ერთიანად ცახცახებდა. ოთახში შემოსულებს გაფართოებული თვალებით მიშტერებოდა.

- ვინ ხართ? - ჰკითხა მაკნაითმა.

- ქალღმერთი, - გაძვალტყავებულმა, იატაკზე მწოლიარე კაცმა პოლიციელს სიტყვა გააწყვეტინა და გამხმარი ტუჩები ენით დაისველა. - ფრთხილად იყავით. საძინებელშია. იქ ვყავდი. პირადი მწერალი. საძინებელი ოთახი. იქ არის.

- ენი უილკსი? - ჰკითხა უიკსმა. - იმ საძინებელშია? - თავით დერეფნისკენ ანიშნა უიკსმა.

- ჰო, იქაა. ჩავკეტე, მაგრამ ოთახს ფანჯარაც აქვს.

- ვინ ხართ? - გაუმეორა კითხვა მაკნაითმა.

- ღმერთო, ვერ ხედავ? - თქვა უიკსმა. - ეს ხომ ის არის, ვისაც კუშნერი ეძებდა. მწერალი. მისი სახელი და გვარი არ მახსოვს, მაგრამ ის არის.

- მადლობა ღმერთს, - თქვა გაძვალტყავებულმა კაცმა.

- რა? - მისკენ დაიხარა შუბლშეკრული უიკსი.

- მადლობა ღმერთს, ჩემი სახელი და გვარი არ გახსოვთ. - შენ კი არ გითვალთვალებდი, მეგობარო.

- კეთილი, არა უშავს. ოღონდ ფრთხილად იყავით. მგონი მკვდარია. მაგრამ მაინც ფრთხილად იყავით. თუ ცოცხალია... ჩხრიალა გველივით საშიშია, - პოლს უზარმაზარი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მარცხენა ფეხი მაკნაითის ფარნის შუქისკენ მიეტრიალებინა. - ნაჯახით ტერფი მომაჭრა.

პოლიციელები იმ ადგილს დააშტერდნენ, სადაც პოლს ერთ დროს ტერფი ჰქონდა. მერე მაკნაითმა წაიჩურჩულა:

- ღმერთო, დიდებულო!

- წამოდი, - უთხრა უიკსმა და იარაღი ამოიღო. ისინი დერეფანში, საძინებელი ოთახის დახურული კარისკენ ფეხაკრეფით გაემართნენ.

- ფრთხილად იყავით, - დაუძახა პოლმა ჩახლეჩილი ხმით.

პოლიციელებმა კარი გააღეს და ოთახში შევიდნენ. პოლი კედელთან მიხოხდა. კედელს თავი მიადო და თვალები დახუჭა. ერთიანად გაცივდა. კანკალს ვერ იკავებდა. ყურს უგდებდა, ან პოლიციელები იყვირებდნენ, ან ენი. შეიძლება ცემის ან სროლის ხმაც გაეგო. თავის თავს ყველაფრისთვის ამზადებდა. დრო გადიოდა. თითქოს საუკუნემ გაიარა.

ბოლოს, როგორც იქნა, დერეფნიდან ფეხის ხმა შემოესმა. პოლმა თვალები გაახილა. უიკსი მოუახლოვდა.

- მკვდარი იყო, - თქვა პოლმა. - ასეც ვიცოდი. ვიცოდი, მკვდარი იქნებოდა, მაგრამ ბოლომდე არ მჯერ...

- იქაურობა სისხლით, ბოთლის ნამსხვრევებითა და ნახევრად დამწვარი ქაღალდის ფურცლებითაა სავსე... მაგრამ ქალი იქ არ არის.

პოლმა უიკსს შეხედა და ყვირილი აღმოხდა. ყვიროდა და ყვიროდა, სანამ გონება არ დაკარგა და ყვირილი გონების დაკარგვის შემდეგაც არ შეუწყვეტია.

IV ნაწილი

ქალღმერთი - მაღალი, შავგვრემანი უცნობი გესტუმრებათ, - უთხრა ბოშა ქალმა მიზერის. შეშინებული მიზერი ორ რამეს მიხვდა: პირველი - ეს ქალი სულაც არ იყო ბოშა და მეორე - მიზერი „ბოშა“ ქალთან ერთად კარავში

მარტო არ იმყოფებოდა. სანამ გვენდოლინ ჩასტეინი ყელში სწვდებოდა, მიზერიმ ცოტა ხნით ადრე ამ გიჟი ქალის სუნამოს სუნი იგრძნო. - სინამდვილეში ის ახლა აქ არის, - უთხრა „ბოშამ“, რომელიც სულაც არ იყო ბოშა. მიზერიმ დაყვირება სცადა, მაგრამ ვეღარ სუნთქავდა. „მიზერის ბავშვი“ - ყოველთვის ასე ყურება, ბატონო იან, - უთხრა ეზეკიამ. - რა მხრიდან არ შეხედო, გეჩვენება, რომ გიყურებს. არ ვიცის, მართალი თუ არა, მაგრამ ბურკები ამბობენ, კერპი მაშინაც ყურება, როცა მის უკან დგახარ. - მაგრამ ის ხომ ქვისგან არის გამოთლილი, - მიუგო იანმა. მართალია, ბატონო იან, - დაეთანხმა ეზეკია. - ეგ აძლევს ძალას. „მიზერის დაბრუნება“

1

უმბრა უუნ,
იერნ უმბრა უუნ, ფეიუუუნნნ
- ბგერები ნისლში.

2

- ახლა უნდა გამოვრეცხო, - თქვა ქალმა. - აი, ასე გამოირეცხება.

3

9 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც უიკსმა და მაკნაითმა პოლ შელდონი ენის სახლიდან გამოიყვანეს. პოლი მთელ დროს ან ქვინსში მდებარე საავადმყოფოში ატარებდა, ან თავის ახალ ბინაში იყო, რომელიც მანჰეტენის ისტ საიდში მდებარეობდა. ფეხები ხელახლა მოტეხეს. მარცხენა ფეხი, მუხლიდან ქვემოთ ისევ თაბაშირში ჰქონდა. ექიმებმა უთხრეს, სამუდამოდ დაკოჭლდი, მაგრამ სიარულს შეძლებ და გარკვეული დროის შემდეგ ტკივილი აღარ შეგაწუხებსო. პოლს კუსტარულად გაკეთებული არტაშანი რომ არ ჰქონოდა ფეხებზე, უფრო მეტად იკოჭლებდა. ბედის ირონიაა, მაგრამ ენიმ კეთილი საქმეც გაუკეთა.

პოლი ძალიან ბევრს სვამდა, საერთოდ არაფერს წერდა და ცუდ სიზმრებს ხედავდა.

მაისის ერთ ნაშუადღევს, როდესაც პოლი მეცხრე სართულზე ლიფტიდან გამოვიდა, ენიზე კი არა, უხეიროდ შეფუთულ დიდ

ამანათზე ფიქრობდა, რომელიც იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ამანათში „მიზერის დაბრუნების“ ორი სასიგნალო ეგზემპლარი იდო. გამომცემლებმა წიგნი გამოსაცემად ძალიან სწრაფად მოამზადეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იმ ვითარებას, რომელშიც წიგნი დაიწერა, მსოფლიო დონის გამოხმაურება მოჰყვა. „ჰასტინგს ჰაუსმა“ წიგნის გამოცემა ერთმილიონიანი ტირაჟით გადაწყვიტა, რაც პირველი გამოცემისათვის უპრეცენდენტო შემთხვევა იყო.

- ეს მხოლოდ დასაწყისია, - უთხრა პოლს რედაქტორმა ჩარლი მერილმა, როდესაც ერთად სადილობდნენ. პოლი სასიგნალო ეგზემპლარებით ახლა შინ ბრუნდებოდა.

- ჩემო მეგობარო, ეს წიგნი მსოფლიოში ყველა წიგნს გაუსწრებს გაყიდვებით, - უთხრა ჩარლიმ. - მადლობა ღმერთს, წიგნი ისეთივე კარგია, როგორც მისი დაწერის ისტორია, - შეაქო რედაქტორმა.

პოლმა არ იცოდა, სიმართლეს ეუბნებოდნენ თუ არა და აღარც აინტერესებდა. მისი ერთადერთი სურვილი ამ წიგნის წარსულში დატოვება და ახლის დაწერა იყო... მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და ახალი წიგნის იდეა თავში არა და არ მოსდიოდა. უკვე ეჭვი შეეპარა, შეძლებდა კი საერთოდ ახალი წიგნის დაწერას.

ჩარლი ევედრებოდა, ავტობიოგრაფიული წიგნი დაეწერა იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც პოლმა გადაიტანა. ჩარლის აზრით, ახალი წიგნი „მიზერის დაბრუნებაზე“ უფრო დიდი ტირაჟით გაიყიდებოდა. უფრო მეტიც, ლი იაკოკას საქვეყნოდ ცნობილ ავტობიოგრაფიულ წიგნსაც კი გაუსწრებდა. როდესაც უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო პოლმა ჩარლის ჰკითხა, შენი აზრით, რა ეღირება ასეთი წიგნის რბილი ყდით გამოცემის უფლებაო, ჩარლიმ გრძელი თმა შუბლიდან უკან გადაიყარა, ქემელის ფირმის სიგარეტს მოუკიდა და უთხრა:

- ჩემი აზრით, შეგვიძლია საწყის ფასად 10 მილიონი დოლარი დავასახელოთ და შემდეგ აუქციონი ჩავატაროთ, - თვალის დაუხამხამებლად თქვა ჩარლიმ. ერთიორი წუთის შემდეგ პოლი მიხვდა, რომ ჩარლი ამას სერიოზულად ამბობდა, ან მოეჩვენა, რომ სერიოზულად ამბობდა.

მაგრამ პოლი ასეთ წიგნს ვერ დაწერდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც და ალბათ ვერასოდეს. მისი საქმე რომანების წერა იყო. რა თქმა უნდა, შეეძლო ისეთი ავტობიოგრაფიული წიგნი დაეწერა, როგორიც ჩარლის უნდოდა, მაგრამ მაშინ ხომ ეს იმის აღიარება იქნებოდა, რომ რომანს ვეღარასოდეს დაწერდა.

„ავტობიოგრაფიულ წიგნს კი არა, რაც გადამხდა იმაზე მხატვრულ ნაწარმოებს შევქმნი“, - გაიფიქრა პოლმა და ეს აზრი ჩარლი მერილს კინაღამ უთხრა... მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა, რადგან ახალი წიგნი ავტობიოგრაფიული იქნებოდა თუ მხატვრული, ჩარლის სულაც არ ადარდებდა.

„თხრობას დავიწყებდი ისე, როგორც სინამდვილეში დაიწყო ყველაფერი“, - გაიფიქრა პოლმა. „მერე შევალამაზებდი... ჯერ ცოტას შევალამაზებდი... მერე უფრო მეტს... მერე კიდევ უფრო მეტს. ჩემს თავს უკეთესად კი არ წარმოვაჩენდი (თუმცა კარგი იქნებოდა, უკეთესად წარმომეჩინა) და არც ენის დავხატავდი უფრო ცუდად, ვიდრე სინამდვილეში იყო (ეს შეუძლებელიც იქნებოდა). წიგნს შევკრავდი, სადაც ჩემი ნამდვილი სახე შენარჩუნებული მექნებოდა და გამოგონილ პერსონაჟად არ გადავიქცეოდი“.

პოლი ლიფტიდან ყველაზე შორს, ბინა ნომერ 9-ე-ში ცხოვრობდა. ეჩვენებოდა, რომ ორკილომეტრიანი დერეფანი უნდა გაევლო. დაღლილი და დაღვრემილი შინისკენ მილასლასებდა. ორივე ხელში ყავარჯნები ეჭირა. კლაკ... კლაკ... კლაკ... კლაკ... ღმერთო, როგორ სძულდა ეს ხმა.

ფეხები საშინლად სტკიოდა. ნოვრილი ენატრებოდა. ხანდახან ენისთან ყოფნა საოცრად მოუნდებოდა მხოლოდ იმიტომ,

რომ წამალი დაელია. ექიმებმა ნოვრილის მიღებას გადააჩვიეს. პოლისთვის ახლა ალკოჰოლი გახდა წამლის შემცვლელი. სახლში რომ მივიდოდა, ორმაგ ბურბონს დალევდა.

მერე ერთხანს კომპიუტერის ცარიელ ეკრანს მიაშტერდებოდა. მართლაც, რა სასაცილოა!

კლაკ... კლაკ... კლაკ... კლაკ.

ახლა მთავარია, ისე ამოიღოს გასაღები ჯიბიდან, რომ არც ამანათი დაუვარდეს და არც ყავარჯნები. პოლმა ყავარჯნები კედელს მიაყუდა. ამასობაში ამანათი იღლიიდან გამოუცურდა და ხალიჩაზე დავარდა. ამანათი შუაზე გაიხა.

- ამის დედაც, - ჩაილაპარაკა პოლმა. მერე რახუნით ყავარჯნებიც ძირს დაცვივდა.

პოლმა თვალები დახუჭა. დაგრეხილ, მტკივან ფეხებზე ირწეოდა და ჩასაფრებულივით ელოდა, რას იზამდა: გაბრაზდებოდა თუ ატირდებოდა. იმედი ჰქონდა, რომ გაბრაზდებოდა. არ უნდოდა, დერეფანში ეტირა, მაგრამ შეიძლება აქვე ატირებულიყო კიდეც. ასე ადრეც მომხდარა. ფეხები გამუდმებით სტკიოდა და თავისი წამალი უნდოდა. ის ძლიერმოქმედი ასპირინი კი არა, რომელსაც საავადმყოფოს დისპანსერში აძლევდნენ, არამედ თავისი კარგი წამალი, ენის წამალი ენატრებოდა. და კიდევ, სულ დაღლილობას გრძნობდა. საყრდენად დამპალი ჯოხები კი არა, მოგონილი ამბები და თამაშები სჭირდებოდა.

ეს იყო მისთვის კარგი წამალი, რომელიც ყოველთვის სასიკეთოდ მოქმედებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამბავი და თამაში შემოეფანტა. ჩანს, თამაშის დრო, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა.

„აი, თურმე რა ხდება, როცა ყველაფერი მთავრდება“, - გაიფიქრა პოლმა, თან კარი გააღო და ბინაში შებარბაცდა. - „გული საოცარი სევდითა და დარდით გაქვს ადამიანს სავსე. აი, რატომ არავინ წერს ამგვარი დასასრულის შესახებ... ენი მაშინ უნდა

მომკვდარიყო, როცა პირში ქაღალდის ფურცლები ჩავუტენე“, - განაგრძო ფიქრი პოლმა. - „და მეც მაშინ უნდა მოვმკვდარიყავი. ჩვენ იმ მომენტში ენის საყვარელი სერიალის პერსონაჟები ვიყავით. შავი და თეთრი, კარგი და ცუდი გმირები. მე ჯეფრი ვიყავი, ის კი ბურკების ფუტკართა ქალღმერთი. მერე, როგორც იტყვიან, კვანძის გახსნა და ასე შემდეგ. მაგრამ სასაცილოა ეს ყველაფერი... ღმერთო, რა არეულობაა. არა უშავს, ეყაროს. ჯერ დავლევ და მერე ავალაგებ. ჯერ უნდა დავლიო და“...

პოლმა უნებურად გააცნობიერა, რომ ბინაში ძალიან ბნელოდა და უცნაური სუნიც იდგა. კაცს ჭუჭყისა და პუდრის ერთმანეთში არეული სუნი ეცნო.

დივნის უკანა მხრიდან ენი წამოიმართა. მედდის თეთრი ფორმა ეცვა და თეთრი ქუდი ეხურა. ხელში ნაჯახი ეჭირა და ყვიროდა:
- დროა გამოვრეცხო, პოლ! დროა გამოვრეცხო!

პოლმა დაიყვირა და შებრუნება სცადა. ქალი დივანს მოუხერხებლად, ალბინოსი ბაყაყივით გადმოახტა. ექთნის გახამებულმა ფორმამ გაიშრიალა და მოქნეულმა ნაჯახმა მხოლოდ ჰაერი გააპო. ყოველ შემთხვევაში, პოლს ასე ეგონა, სანამ ხალიჩაზე არ დავარდა და საკუთარი სისხლის სუნი არ ეცა. როცა ტანზე დაიხედა, მისი სხეული შუაზე იყო გაჩეხილი.

- უნდა გამოირეცხოს! - დაიყვირა ქალმა და მარჯვენა ხელის მტევანი მოაჭრა.

- გამოირეცხოს! - იყვირა მეორედ ქალმა და ახლა მარცხენა ხელის მტევანი მოაჭრა. სისხლმა იფეთქა, მაგრამ მკლავებზე დაყრდნობილმა პოლმა მაინც მოახერხა ღია კარისკენ ფორთხვით წასვლა. ამანათი ისევ იქ ეგდო. ამანათი, რომელიც სადილობისას ჩარლიმ მისცა. მან ხელი ჰკრა და მაგიდის თეთრ გადასაფარებელზე ამანათი პოლისკენ გააცურა. ამ დროს ხმის გამაძლიერებლებიდან მუსიკა იღვრებოდა.

- ახლა შეგიძლია წაიკითხო, ენი! - ყვირილი უნდოდა პოლს, მაგრამ მხოლოდ „ახლა შეგიძლიას” თქმა მოასწრო და პოლის თავი კედლისკენ გაგორდა. კაცმა სიკვდილის წინ იატაკზე გართხმული თავისი სხეული და ენის თეთრი ფეხსაცმელები დაინახა.

ქალღმერთი, გაიფიქრა მან და მოკვდა.

4

სცენარი - მონახაზი ან სინოფსისი. სიუჟეტის მონახაზი (ვებსტერის ლექსიკონი).

მწერალი - ადამიანი, რომელიც წერს. პროფესია (ვებსტერის ლექსიკონი).

წარმოსახვა - თვალთმაქცობა ან თავის მოჩვენება (ვებსტერის ლექსიკონი).

5

შეგიძლია, პოლ?

6

რა თქმა უნდა, შეეძლო. სცენარის მიხედვით, ენი ისევ ცოცხალი იყო. თუმცა ქალი მწერლის წარმოსახვაში ცოცხლობდა მხოლოდ.

7

პოლმა ჩარლი მერილთან ისადილა და მათ შორის საუბარიც შედგა. მაგრამ როდესაც პოლი შინ დაბრუნდა და ოთახში შევიდა, მიხვდა, დამლაგებელ ქალს ფარდები გადმოეწია. სიბნელეში კაცი იატაკზე დაეცა და შიშისგან დაიყვირა, რადგან ენი კაენივით დივნის უკანა მხრიდან წამოიმართა. მაგრამ სინამდვილეში სიამის კატა, სახელად დამპსტერი, ამოძვრა დივანზე და პოლს

თავისი ელამი თვალები შეანათა. დამპსტერი პოლმა შინ ერთი თვის წინ მოიყვანა.

ენი არსად იყო, რადგან ის ქალღმერთი სულაც არ გახლდათ. ენი ერთი გიჟი ქალი იყო, რომელმაც პოლს საშინელი ტკივილი მიაყენა და ამისთვის თავისი მიზეზები ჰქონდა. სანამ წამლისგან გაბრუებულ პოლს სააბაზანოში ეძინა, ენიმ ყელიდან ქაღალდების ამოღება მოახერხა, ფანჯრიდან გადაძვრა, ბოსლამდე მივიდა და იქ, ბოსელში ჩაიკეცა. მკვდარი იყო, როდესაც უიკსმა და მაკნაითმა იპოვეს. ქალი ქაღალდებს არ დაუხრჩვია. მისი სიკვდილის მიზეზი გატეხილი თავის ქალა იყო. თავი კი მაშინ გაუტყდა, როდესაც საბეჭდ მანქანას წამოედო, წაიქცა და თავი ბუხრის ძგიდეს ჩამოარტყა. ენი იმ საბეჭდმა მანქანამ შეიწირა, რომელიც პოლს ასე ძალიან სძულდა.

ენის თურმე თავისი გეგმები ჰქონდა. პოლის ნაჯახით დაჩეხვა თურმე საკმარისი არ იყო.

ქალი ღორის ბაგასთან ეგდო და ხელში ელექტროხერხის სახელური ჰქონდა ჩაბღუჯული.

ეს ამბავი უკვე წარსულს ჩაბარდა. ენი უილკსი საფლავში იწვა, მაგრამ როგორც მიზერი ჩასტეინი, საფლავში ვერც ის ისვენებდა. პოლს სიზმრებსა და ფანტაზიებში ქალი საფლავიდან გამუდმებით ამოჰყავდა. შეუძლებელი იყო ქალღმერთის მოკვლა. მხოლოდ დროებით შეიძლებოდა ბურბონით მისი გაბრუება, სხვა არაფერი.

პოლი ბართან მივიდა და ბოთლს დახედა. მერე ამანათსა და ყავარჯნებს შეავლო თვალი. თითქოს ემშვიდობებაო, ისევ ბოთლს შეხედა და თავისი ნივთებისაკენ გასწია.

8

უნდა გამოირეცხოს.

9

ნახევარი საათის შემდეგ პოლი კვლავ კომპიუტერის ცარიელი ეკრანის წინ იჯდა და თავის ბედისწერაზე ფიქრობდა. სასმელის ნაცვლად ასპირინი დალია, მაგრამ ეს რას შეცვლიდა? ცარიელ ეკრანს მიშტერებული კიდევ თხუთმეტი წუთი ან ნახევარი საათი აქ იჯდებოდა, მერე კომპიუტერს გამორთავდა და დალევდა.

მაგრამ...

ჩარლისთან სადილის შემდეგ, როდესაც შინ ბრუნდებოდა, ქუჩაში უცნაური რაღაც დაინახა და პაწაწინა იდეა გაუჩნდა. 48ე ქუჩაზე პატარა ბიჭი საყიდლების ურიკას მიაგორებდა. სულ ეს იყო. მაგრამ ურიკაში გალია იდო, რომელშიც საკმაოდ დიდი, ბეწვიანი ცხოველი იჯდა. პოლს თავიდან კატა ეგონა, მაგრამ როდესაც კარგად დააკვირდა, შეამჩნია, რომ ცხოველს ფართო, თეთრი ზოლი, მთელს ზურგზე გასდევდა.

- შვილო, - მიმართა მან ბიჭს. - ეს სკუნსიაა?“

- კი, - გიუგო ბიჭმა და ურიკა უფრო სწრაფად გააგორა, რადგან ქალაქში ხალხი უცხო ადამიანებთან სასაუბროდ დიდი ხნით არ ყოვნდება ხოლმე. განსაკუთრებით ისეთ ადამიანებთან, რომლებიც უცნაურად გამოიყურებიან, თვალებს ქვემოთ უპეები საშინლად ჩამოსიებული აქვთ და ყავარჯნებზე დაყრდნობილნი ტორტმანით დადიან. ბიჭმა კუთხეში შეუხვია და თვალს მიეფარა.

პოლმა გზა განაგრძო, ტაქსის აყვანა სურდა, მაგრამ, ექიმების რჩევით, ყოველდღე ფეხით ერთი მილი მაინც უნდა გაევლო.

ასე რომ, გადაიფიქრა. ფეხები საშინლად სტკიოდა და გასავლელ მანძილზე რომ არ ეფიქრა, იმაზე დაფიქრდა, აქ ეს ბიჭი საიდან გაჩნდა, საყიდლების ურიკა საიდან ჰქონდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სკუნსი საიდან ჰყავდაო.

ზურგსუკან რაღაც ხმა გაიგო. კომპიუტერის ცარიელ ეკრანს თვალი მოაცილა და უკან მიიხედა. ენი დაინახა, რომელიც სამზარეულოდან გამოდიოდა. ქალს ჯინსის შარვალი და წითელი ფლანელის მაისური ეცვა. ხელში ელექტროხერხი ეჭირა.

პოლმა თვალები დახუჭა და მერე გაახილა. ენი გამქრალიყო. უცებ გაბრაზდა. ეკრანისკენ შებრუნდა და სწრაფად დაიწყო წერა. თითებს გამეტებით ურტყამდა კლავიშებს.

- 1 -

ბიჭმა შენობის უკანა მხრიდან რაღაც ხმა გაიგონა და გაიფიქრა, შეიძლება ვირთხები იყოსო, მაგრამ მაინც იქითკენ წავიდა, საიდანაც ხმა მოდიოდა. სკოლაში გაკვეთილები ჯერ კიდევ საათნახევარი უნდა გაგრძელებულიყო. სახლში წასვლის დრო ჯერ არ იყო. ბიჭი სკოლიდან ლანჩის დროს წამოვიდა.

შენობის უკან ვირთხების ნაცვლად ბიჭს დიდი შავი კატა დახვდა, რომელსაც დიდი, ფუმფულა კუდი ჰქონდა. ასეთი ბეწვიანი კუდი ბიჭს არასოდეს ენახა. როდესაც ბიჭი გამოჩნდა, კატა მზეში, კედელთან აიტუზა.

10

პოლმა ბეჭდვა შეწყვიტა, გული გამალებით უცემდა. პოლ, შეგიძლია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვერ ბედავდა. ისევ კომპიუტერის კლავიატურას მიუბრუნდა და ცოტა ხანში კლავიშებზე თითები უფრო ნაზად ააკაკუნა.

11

ეს კატა არ იყო. ედი დესმონდი, ძირითადად, ნიუიორკში ცხოვრობდა, მაგრამ ბრონქსის ზოოპარკში ნამყოფი იყო და ნახატებიანი საბავშვო წიგნებიც დათვალიერებული ჰქონდა. ამიტომ კარგად იცოდა, რომ მის წინ სკუნსი იყო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მოხვდა ის აღმოსავლეთის 105ე ქუჩაზე მდებარე ამ მიტოვებულ შენობასთან. გრძელი თეთრი ზოლი, რომელიც ცხოველს მთელ ზურგზე გასდევდა, მიუთითებდა, რომ ეს ნამდვილად სკუნსი იყო.

ედი ნელნელა, ფეხაკრეფით მიდიოდა მისკენ, თუმცა მიწაზე დაყრილი ბათქაში ფეხის დადგმისას ჭრიალებდა.

შეეძლო. შეეძლო.

შიშითა და მადლიერების გრძნობით შეპყრობილმა პოლმა შეძლო. ხვრელი გაიხსნა და მას იქ ჩახედვა შეეძლო. კაცი ვერ აცნობიერებდა, რომ ასოებს სულ უფრო და უფრო სწრაფად კრეფდა, რომ მისი მტკივანი ფეხები ნიუიორკში იყო, ოღონდ სახლიდან ორმოცდაათი კვარტლის იქით და ვერც იმას ხვდებოდა, რომ წერისას ქვითინებდა.

1984 წლის 23 სექტემბერი - 1986 წლის 7 ოქტომბერი. ლოველი - ბანგორი. მეინის შტატი. ამბის თხრობა დავასრულე.